კათოლიკური ეკლესიები საქართველოში: ისტორია და არქიტექტურა

ნათია ნაცვლიშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კულტურის კვლევების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების
ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჭიჭინაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს
ბატონ გიორგი გვალიას

ამავე ფაკულტეტის დოქტორანტის
ნათია ნაცვლიშვილის

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ნაცვლიშვილი 16 იანვარი, 2019

აბსტრაქტი

ნაშრომში გამოკვლეულია XVIII-XIX საუკუნეებისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში კათოლიკური ეკლესიების მშენებლობის ისტორია და არქიტექტურა; ნაჩვენებია ვისი პატრონაჟითა და შემოწირულობით შენდებოდა ეს ეკლესიები, რა გემოვნება და ტრადიციები განსაზღვრავდა მათ არქიტექტურულ სახეს, როგორ აისახებოდა განსხვავებული კულტურული ტრადიციები (ქართული, სომხური, დასავლეთ ევროპული) კათოლიკური ეკლესიების არქიტექტურულ ფორმებზე და რა ზოგადი ტენდენციები ვლინდება საქართველოს კათოლიკური ეკლესიების არქიტექტურაში.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა როგორც საქართველოს ყველა კათოლიკური ეკლესია და მათი მშენებლობის ისტორია, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ მდებარე უმნიშვნელოვანესი ქართული კათოლიკური ცენტრი - სტამბოლის ფერიქოის მონასტერი.

ჩატარებული კვლევის შედეგად უფრო ნათლად წარმოჩნდა საქართველოს XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ისტორიის მრავალი საკითხი - სხვადასხვა ეროვნებისა და სოციალური შემადგენლობის კათოლიკური თემების მისწრაფებები და იდეალები, მათი ეკონომიკური მდგომარეობა და შესაძლებლობები, სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა, შიდაკონფესიური და კონფესიათშორისი ურთიერთობები, ეთნიკური და რელიგიური იდენტობა და სხვა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კათოლიკური ეკლესიები საქართველოში, კათოლიკური ეკლესიების არქიტექტურა, საეკლესიო მშენებლობა, ქართველი კათოლიკეები, სომეხი კათოლიკეები.

Abstract

The proposed thesis explores the architecture and construction history of Catholic churches built in Georgia from the eighteenth to the early twentieth centuries. It shows who and how built these churches, what tradition has shaped the architecture of Catholic churches in Georgia, how the architecture reflected different cultural traditions (Georgia, Armenian, Western European) and what principal trends are revealed in the architecture of the Catholic churches in Georgia.

The thesis studies architecture and building history of tens of Catholic churches in various parts of Georgia. It also explores the Feriköy monastery in Istanbul, which was the main centre of Georgian Catholics outside the country.

The research resulted in giving an overall picture of the architecture of Catholic churches within a broader context of complicated and controversial ethno-confessional processes that took place in Georgia between the late 18th and early 20th centuries. It sheds more light on various aspects of the modern Georgian history such as ideals and aspirations of different Catholic communities, their economic conditions, religious policy of the state, intraconfessional and interconfessional relations, ethnic and religious identity, etc.

Key words: Catholic churches in Georgia, architecture of Catholic churches, church building, Georgian Catholics, Armenian Catholics.

მადლობა

მინდა მადლიერებით მოვიხსენიო ის ადამიანები და სამეცნიერო დაწესებულებები, რომელთა თანადგომითაც შესაძლებელი გახდა წინამდებარე ნაშრომის მომზადება. მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს კვლევის ჩასატარებლად შექმნილი საუკეთესო პირობებისათვის. მადლობელი ვარ პროფესორ გიგა ზედანიასი ნაშრომის მომზადების ადრეულ ეტაპზე გაწული ხელმძღვანელობისთვის და განსაკუთრებით პროფესორ ნინო ჭიჭინაძისა, რომლის ხელმძღვანელობითაც შესაძლებელი გახდა ნაშრომის დასრულება.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის დირექტორს 2009-2018 წლებში მარიამ დიდებულიძეს, რომელმაც დიდად შემიწყო ხელი კვლევაზე გეგმაზომიერად მუშაობაში. გამორჩეული მადლობა ეკუთვნის ძველი ხელოვნების განყოფილების გამგეს დავით ხოშტარიას ნაშრომის მომზადების ყველა ეტაპზე გაწეული პროფესიული რჩევების, კრიტიკული შენიშვნებისა და უბრალოდ მეგობრული თანადგომისთვის. მადლობელი ვარ ცენტრის თანამშრომლების დიმიტრი თუმანიშვილის, მაია მანიას და მზია ჯანჯალიასი პროფესიული რჩევებისათვის, მანონ ლილუაშვილის და ნატალია ჩიტიშვილისა საარქივო მასალის მოძიებაში გაწეული დახმარებისთვის.

საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ სამეცნიერო კვლევის წარმატებით ჩატარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან მიღებულ პრეზიდენტის სამეცნიერო და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტებს. დიდად დამეხმარა ასევე კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის გრანტი, რომელმაც საშუალება მომცა დისერტაციაზე მუშაობის დროს

მესარგებლა ფრიბურგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით.

მადლობას ვუხდი ირინე გივიაშვილს გორის კათოლიკური ეკლესიის რეკონსტრუქციამდელი ფოტოსურათებისათვის, გია სოსანიძეს გორის, ხოლო მამა გაბრიელე ბრაგანტინის ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის არქიტექტურული პროექტების მოწოდებისთვის.

მუშაობაში გაწეული სხვადასხვა სახის დახმარებისათვის ასევე საგანგებო მადლობა მინდა ვუთხრა კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელს ხათუნა გაფრინდაშვილს, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის დირექტორის მოადგილეს ქეთევან კობიაშვილს, ქუთაისის ეროვნული არქივის დირექტორს მერაბ კეზევაძეს, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს როლანდ ისაკაძეს, სტამბოლის სომეხ კათოლიკეთა არქიეპისკოპოსს ბოღოს ლევონ ზეკიანს, მატენადარანის - მესროპ მაშტოცის სახ. ძველ ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელს არფინე ასრიანს, ნიკო ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის, გორის სერგი მაკალათიას სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახ. მუზეუმის, იოსებ გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმის (ქარვასლის) თანამშრომლებს.

დაბოლოს, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობრებსა და ოჯახის წევრებს გულშემატკივრობისათვის.

სარჩევი

ილუსტრაციების ჩამონათვალი ix

ილუსტრაციების წყაროები xxix

აბრევიატურის ჩამონათვალი xxxii

შესავალი 1

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა 4

თავი 1. აღმოსავლეთ საქართველო

1.1. ადრეული მისიონები თბილისში და საკათედრო ტაძარი 12

1.2. კაპუცინთა მისიონი თბილისში და ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია 16

1.3. თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესია 40

1.4. თბილისის კათოლიკური სასაფლაოები და სამლოცველოები 51

1.5. თეთრიწყარო და მანგლისი 65

1.6. გორის წმ. ოჯახის ეკლესია 69

1.7. ლაგოდეხის კათოლიკური ეკლესია 92

თავი 2. დასავლეთ საქართველო

2.1. XVII-XVIII საუკუნეთა მისიონები ქუთაისში და წმ. სოფიოს ეკლესია 96

2.2. ქუთაისის ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესია 102

2.3. ბათუმის სომხურ-კათოლიკური ეკლესია 123

2.4. ბათუმის ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესია 131

2.5. აფხაზეთი 147

2.6. გურია 154

2.7. სამეგრელო 159

2.8. მცირე მისიონები და დროებითი სამლოცველოები 163

თავი 3. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო

3.1. სამცხე

3.1.1. ახალციხე 166

3.1.2. ახალციხის რაბათის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია 174

3.1.3. ახალციხის რაბათის ღმრთისმშობლის (,,პატრების") ეკლესია 184

3.1.4. ახალციხის რაბათის წმ. ჯვრის ეკლესია 195

3.1.5. ახალციხის ,,პლანის" ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია 206

3.1.6. ივლიტას ღმრთისმშობლის ეკლესია 207

3.1.7. არალის წმ. იოსების ეკლესია 217

3.1.8. ვალეს ღმრთისმშობლის ეკლესია 221

3.1.9. ნაოხრების მაცხოვრის ეკლესია 228

3.1.10. აბათხევის წმ. ჯვრის ეკლესია 233

3.1.11. წყალთბილას მაცხოვრის ეკლესია 239

3.1.12. ხიზაბავრას წმ. იესოს გულის ეკლესია 243

3.1.13. სხვილისის ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესია 256

3.1.14. უდეს წმ. სერგის (სურბ სარქისის) ეკლესია 261

3.1.15. უდეს ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია 266

3.1.16. წინუბნის ღმრთისმშობლის ეკლესია 277

3.2. ჯავახეთი

3.2.1. უჯმანას წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია 282

3.2.2. ვარევანის ღმრთისმშობლის ეკლესია 285

3.2.3. ეშტიას ღმრთისმშობლის ეკლესია 291

3.2.4. ბავრის წმ. ჯვრის ეკლესია 296

3.2.5. ტურცხის ღმრთისმშობლის ეკლესია 299

3.2.6. ალასტანის ღმრთისმშობლის ეკლესია 304
3.2.7. თორიას ღმრთისმშობლის ეკლესია 309
3.2.8. ხულგუმოს წმ. სტეფანეს ეკლესია 312
3.2.9. კარტიკამის ღმრთისმშობლის ეკლესია 317
3.2.10. ოცხე და აბასთუმანი 323

3.3. სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიების არქიტექტურის თავისებურებები 326
3.4. შავშეთ-კლარჯეთი და არტაანი 343

თავი 4. ქართველ კათოლიკეთა აღმშენებლობა საზღვარგარეთ
4.1. სტამბოლის ფერიქოის მონასტერი 351
4.2. სტამბოლის უსქუდარის მონასტერი 364
4.3. მონტობანი 365

დასკვნა 366
ბიბლიოგრაფია 381

ილუსტრაციების ჩამონათვალი

ილ. 1. თბილისი. კაპუცინთა მისიონი ჟან შარდენის 1672 წლის ნახატზე (აღნიშნულია ასო M-ით).

ილ. 2. თბილისი. კათოლიკური ეკლესია ვახუშტის 1735 წლის გეგმაზე (აღნიშნულია 75-ით)

ილ. 3. თბილისი. ხარების ეკლესია ბანოვის 1809 წლის გეგმაზე

ილ. 4. თბილისი. გ. აბესაძის ქ. №13 (ყოფილი ხარების ეკლესია). ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთით

ილ. 5. თბილისი. გ. აბესაძის ქ. №13. ხარების ეკლესიის დასავლეთი კარის ჩარჩოს ფრაგენტი

ილ. 6. თბილისი. ბეთლემის ღმრთისმშობლის ეკლესიის ჩრდილოეთი კარის ჩარჩოს ფრაგმენტი

ილ. 7. თბილისი. ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესია. 1864 წლის ფოტოსურათი

ილ. 8. თბილისი. კათოლიკური მონასტრის გეგმა. 1875 წელი

ილ. 9. თბილისი. კათოლიკური მონასტრის გეგმა. 1900 წელი

ილ. 10. თბილისი. ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესიის რეკონსტრუქციის პროექტი. არქ. ალ. როგოისკი. 1902 წელი

ილ. 11. თბილისი. ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 12. თბილისი. ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილ. 13. თბილისი. ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესია. ჩრდილოეთი ფასადი

ილ. 14. თბილისი. ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესია. სამრეკლო

ილ. 15. თბილისი. ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი

ილ. 16. თბილისი. ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი

ილ. 17. თბილისი. ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი. 1890-იანი წლების ფოტოსურათი

ილ. 18. თბილისი. ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესია. სტეფანე ზუბალაშვილის კუბო დასვენებული საკურთხეველში. 1904 წლის ფოტოსურათი

ილ. 19. თბილისი. წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესია. 1870-იანი წლების მიწურულის ფოტოსურათი

ილ. 20. თბილისი. წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით. 1880-იანი წლების ფოტოსურათი

ილ. 21. თბილისი. წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესია. საკურთხეველი. 1900-იანი წლების ღია ბარათი

ილ. 22. თბილისი. წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესიის პროექტი. არქიტექტორი ა. ზალცმანი. 1870

ილ. 23. თბილისი. წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთით

ილ. 24. თბილისი. წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესია. გუმბათი

ილ. 25. თბილისი. წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესია. სამრეკლო

ილ. 26. თბილისი. წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი

ილ. 27. თბილისი. წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 28. თბილისი. წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილ. 29. თბილისი. წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. გუმბათი

ილ. 30. რომი. ილ ჯეზუს ეკლესია. არქიტექტორები ჯაკომო და ვინიოლა, ჯაკომო დელა პორტა. 1568-1584 წლები

ილ. 31. კრაკოვი. წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესია. 1605-1619 წლები

ილ. 32. ლვოვი. წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესია. 1613-1621 წლები

ილ. 33. თბილისი. სოლოლაკის კათოლიკური სასაფლაო. 1867 წლის გეგმა

ილ. 34. თბილისი. სოლოლაკის კათოლიკური სასაფლაოს გეგმა. 1893 წელი

ილ. 35. თბილისი. სოლოლაკის კათოლიკური სასაფლაო და სამლოცველო. 1880-90-იანი წლების ფოტოსურათი

ილ. 36. თბილისი. კუკიის კათოლიკური სასაფლაოს ტოპოგრაფიული რუკა. 1884 წელი

ილ. 37. თბილისი. კუკიის კათოლიკური სამლოცველოს პროექტი. გეგმა. 1900 წელი

ილ. 38. თბილისი. კუკიის კათოლიკური სამლოცველოს პროექტი. დასავლეთი და ჩრდილოეთი ფასადები. 1900 წელი

ილ. 39. თბილისი. კუკიის კათოლიკური სამლოცველოს პროექტი. აღმოსავლეთი ფასადი. 1900 წელი

ილ. 40. თბილისი. კუკიის კათოლიკური სამლოცველოს პროექტი. გრძივი ჭრილი ხედით სამხრეთისკენ. 1900 წელი

ილ. 41. თბილისი. კუკიის კათოლიკური სასაფლაო და სამლოცველო (მარცხნივ). 1900-იანი წლების ფოტოსურათი

ილ. 42. თეთრიწყარო. ღმრთისმშობლის ამაღლების კათოლიკური ეკლესია. 1880-1890-იანი წლების ფოტოსურათი

ილ. 43. მანგლისი. კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი

ილ. 44. მანგლისი. კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი ფასადი

ილ. 45. მანგლისი. კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი

ილ. 46. მანგლისი. კათოლიკური ეკლესია. ღია ბარათი. XIX საუკუნე

ილ. 47. გორი. ავგუსტინელთა რეზიდენცია. კასტელის ნახატი. 1633 წელი

ილ. 48. გორი. წმ. ოჯახის კათოლიური ეკლესია. გეგმა. 2000-იანი წლები. არქ. გ. სოსანიძე

ილ. 49. გორი. წმ. ოჯახის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი ფასადი რეკონსტრუქციამდე. 2000-იანი წლები. არქ. გ. სოსანიძე

ილ. 50. გორი. წმ. ოჯახის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთისკენ

ილ. 51. გორი. წმ. ოჯახის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთისკენ

ილ. 52. გორი. წმ. ოჯახის კათოლიკური ეკლესია. პატრონიკეს რეკონსტრუქციის პროექტი. 1913 წელი. არქ. ჩენცოვი

ილ. 53. გორი. წმ. ოჯახის კათოლიკური ეკლესია. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან

ილ. 54. გორი. წმ. ოჯახის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ. 2008 წლის ფოტოსურათი

ილ. 55. გორი. წმ. ოჯახის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. საკურთხეველი. 2008 წლის ფოტოსურათი

ილ. 56. გორი. წმ. ოჯახის კათოლიკური ეკლესია. საერთო ხედი

ილ. 57. გორი. წმ. ოჯახის კათოლიკური ეკლესია. აგურის დეკორატიული წყობა ჩრდილოეთი ფასადზე

ილ. 58. გორი. წმ. ოჯახის კათოლიკური ეკლესია. 1890-იანი წლების ფოტოსურათი

ილ. 59. გორი. წმ. ოჯახის კათოლიკური ეკლესია. შელესილობის ფრაგმენტი აფსიდის კედელზე. 2009 წლის ფოტოსურათი

ილ. 60. გორი. წმ. ოჯახის კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი რეკონსტრუქციამდე. 2000-იანი წლები. არქ. გ. სოსანიძე

ილ. 61. გორი. წმ. ოჯახის კათოლიკური ეკლესია. გუმბათი. 2009 წლის ფოტოსურათი

ილ. 62. თბილისი. აგურის დეკორატიული წყობა სურფ ნიშნის ეკლესიის ფასადზე. 1703-1720 წლები

ილ. 63. თბილისი. ნორაშენის ეკლესია. 1793-1830 წლები

ილ. 64. თბილისი. მოღნინის ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი. 1750-იანი წლები

ილ. 65. მერეთი. კასტელის ჩანახატი. XVII საუკუნე

ილ. 66. ლაგოდეხი. კათოლიკური ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთით

ილ. 67. ლაგოდეხი. კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი

ილ. 68. ლაგოდეხი. კათოლიკური ეკლესია. XIX საუკუნის ფოტოსურათი

ილ. 69. ლაგოდეხი. კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი

ილ. 70. ქუთაისი. წმ. სოფიას კათოლიკური ეკლესია (მარცხნივ). დეტალი კასტელის ნახატიდან. 1644 წელი

ილ. 71. ქუთაისი. წმ. სოფიას კათოლიკური ეკლესია. კასტელის ნახატი. 1644 წელი

ილ. 72. ქუთაისი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. 1890-იანი წლების ფოტოსურათი

ილ. 73. ქუთაისი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. საკურთხეველი

ილ. 74. ქუთაისი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილ. 75. ქუთაისი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. მოხატულობის ფრაგმენტი

ილ. 76. ქუთაისი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. სარკოფაგი

ილ. 77. ქუთაისი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. საადმსარებლო ოთახში შესასვლელი ღიობის ჩარჩო

ილ. 78. ქუთაისი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. ხედი დასავლეთიდან

ილ. 79. ქუთაისი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. ქვის საფასადო წყობა

ილ. 80. ქუთაისი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი ფასადი

ილ. 81. ქუთაისი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი

ილ. 82. ქუთაისი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. სარკმელი სამხრეთ ფასადზე

ილ. 83. სუჯუნა. წმ. გიორგის ეკლესია. ჯვარი დასავლეთ ფასადზე

ილ. 84. ქუთაისი. სურფ გევორქის ეკლესია. სარკმელი

ილ. 85. ბათუმი. სომხურ-კათოლიკური ეკლესიის პროექტი. ავტორი ვ. ონიკევიჩი. 1882 წელი

ილ. 86. ბათუმი. სომხურ-კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი

ილ. 87. ბათუმი. სომხურ-კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 88. ბათუმი. სომხურ-კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით. კარიბჭე

ილ. 89. ბათუმი. სომხურ-კათოლიკური ეკლესია. ჩრდილოეთი ფასადი

ილ. 90. ბათუმი. სომხურ-კათოლიკური ეკლესია. 1880-იანი წლების ფოტოსურათი

ილ. 91. თბილისი. დიდუბის ღმრთისმშობლის ეკლესია. 1884 წელი

ილ. 92. ბათუმი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი. 1900-იანი წლების ღია ბარათი

ილ. 93. ბათუმი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი. 1900-იანი წლების ღია ბარათი

ილ. 94. ბათუმი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 95. ბათუმი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილ. 96. ბათუმი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. დეკორის ფრაგმენტი

ილ. 97. ბათუმი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ჩრდილოეთი კედელი. მოსეს მიერ კლდის გაპობის სასწაული

ილ. 98. ბათუმი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთით

ილ. 99. ბათუმი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი

ილ. 100. ბათუმი. სულიწმინდის სახელობის კათოლიკური ეკლესია. ანგელოზის ქანდაკება

ილ. 101. ბიჭვინთა. კასტელის ჩანახატი. 1630-იანი წლები

ილ. 102. სოხუმი. წმ. სვიმონ კანანელის კათოლიკური ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთით

ილ. 103. ოზურგეთი. კათოლიკეების მისიონი. კასტელის ჩანახატი. 1630-იანი წლები

ილ. 104. ოზურგეთი. წმ. სტეფანეს კათოლიკური ეკლესია. თაბაშირის პანო

ილ. 105. წიფურია. კათოლიკეების მონასტერი არქანჯელო ლამბერტის რუკაზე. XVII საუკუნე

ილ. 106. წიფურია. წმ. გიორგის კათოლიკური ეკლესია. კასტელის ჩანახატი. 1650-იანი წლები

ილ. 107. ახალციხე. (მარჯვნიდან მარცხნივ) წმ. ჯვრის, ღმრთისმშობლისა და წმ. იოანე ნათლისმცემლის კათოლიკური ეკლესიები. 1860-იანი წლების ფოტოსურათი

ილ. 108. ახალციხე. წმ. იოანე ნათლისმცემლის კათოლიკური ეკლესიის გადაკეთების პროეტი. 1914 წელი

ილ. 109. ახალციხე. წმ. იოანე ნათლისმცემლის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთ-დასავლეთი კუთხე. 1930-იანი წლების ფოტოსურათი

ილ. 110. ახალციხე. წმ. იოანე ნათლისმცემლის კათოლიკური ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. 1920-იანი წლების ფოტოსურათი

ილ. 111. ახალციხე. წმ. იოანე ნათლისმცემლის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე. 1920-იანი წლების ფოტოსურათი

ილ. 112. ახალციხე. ახალციხის რაბათის კათოლიკური ეკლესიები. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. 1920-იანი წლების ფოტოსურათი

ილ. 113. ახალციხე. წმ. იოანე ნათლისმცემლის ნაეკლესიარი. ა. ყაზბეგის ქუჩა

ილ. 114. ახალციხე. ღმრთისმშობლის (პატრების) კათოლიკური ეკლესია

ილ. 115. ახალციხე. ღმრთისმშობლის (პატრების) კათოლიკური ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთით

ილ. 116. ახალციხე. ღმრთისმშობლის (პატრების) კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. საკურთხეველი

ილ. 117. ახალციხე. ღმრთისმშობლის (პატრების) კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი

ილ. 118. ახალციხე. ღმრთისმშობლის (პატრების) კათოლიკური ეკლესია. კარის საპირის ფრაგმენტი

ილ. 119. ახალციხე. ღმრთისმშობლის (პატრების) კათოლიკური ეკლესია. გეგმის სქემა

ილ. 120. ახალციხე. ღმრთისმშობლის (პატრების) კათოლიკური ეკლესიის სამრეკლო

ილ. 121. ახალციხე. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთით

ილ. 122. ახალციხე. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია. გეგმა. 2010 წლის პროექტი

ილ. 123. ახალციხე. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია დიუბუას ჩანახატის მიხედვით. 1833 წელი

ილ. 124. ახალციხე. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთით. XX საუკუნის I ნახევრის ფოტოსურათი

ილ. 125. ახალციხე. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია. ხედი ჩრდილო-დასავლეთით

ილ. 126. ახალციხე. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ჩრდილოეთი კედელი

ილ. 127. ახალციხე. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 128. ახალციხე. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი ფასადი. სამრეკლო

ილ. 129. ქვემო აკეთი. მაცხოვრის ეკლესია ილ.

130. მაქათუბანი. წმ. გიორგის ეკლესია ილ. 131.

ინაშაური. ღმრთისმშობლის ეკლესია

ილ. 132. ახალციხე. ,,პლანის" ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია

ილ. 133. ახალციხე. კათოლიკური ეკლესიის კარის საპირის ფრაგმენტი

ილ. 134. ივლიტა. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ხედი ჩრდილო-დასავლეთით

ილ. 135. ივლიტა. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი. სამშენებლო წარწერა ს. კარაპეტიანის მიხედვით

ილ. 136. ივლიტა. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი

ილ. 137. ივლიტა. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 138. ივლიტა. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი ფასადი

ილ. 139. ივლიტა. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. დასავლეთ კედელში ჩადგმული საფლავის ქვა

ილ. 140. არალი. წმ. იოსების კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი ფასადი

ილ. 141. არალი. წმ. იოსების კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 142. არალი. წმ. იოსების კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილ. 143. არალი. წმ. იოსების კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი ფასადი. 2010 წლის ფოტოსურათი

ილ. 144. არალი. წმ. იოსების კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი. 2010 წლის ფოტოსურათი

ილ. 145. არალი. წმ. იოსების კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი

ილ. 146. არალი. წმ. იოსების კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი

ილ. 147. არალი. წმ. იოსების კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი. რელიეფური დისკო

ილ. 148. ვალე. ღმრთისმშობლის მართლმადიდებლური ეკლესია. სამრეკლო

ილ. 149. ვალე. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთით

ილ. 150. ვალე. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 151. ვალე. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. საკურთხეველში გასასვლელი ღიობი

ილ. 152. ვალე. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილ. 153. ვალე. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი

ილ. 154. ვალე. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი კარი. რელიეფური ფილა

ილ. 155. ვალე. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი კარი. სამშენებლო წარწერა

ილ. 156. ვალე. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესიის ეზო. მღვდლის სახლი

ილ. 157. ნაოხრები. მაცხოვრის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი კარის ბალავრის ქვა

ილ. 158. ნაოხრები. მაცხოვრის კათოლიკური ეკლესია. ხედი ჩრდილო-დასავლეთით. 1900-იანი წლების ფოტოსურათი

ილ. 159. ნაოხრები. მაცხოვრის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 160. ნაოხრები. მაცხოვრის კათოლიკური ეკლესია. ჩრდილოეთი ნავის გამყოფი სვეტი

ილ. 161. ნაოხრები. მაცხოვრის კათოლიკური ეკლესია. ხედი დასავლეთით

ილ. 162. ნაოხრები. მაცხოვრის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი ფასადი

ილ. 163. ნაოხრები. მაცხოვრის კათოლიკური ეკლესია. ჩრდილოეთი ფასადი

ილ. 164. ნაოხრები. მაცხოვრის კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი

ილ. 165. აბათხევი. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია. გეგმა ს. კარაპეტიანის მიხედვით

ილ. 166. აბათხევი. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 167. აბათხევი. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილ. 168. აბათხევი. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. რეტაბლო. 2013 წლის ფოტოსურათი

ილ. 169. აბათხევი. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია. სარკმლის თავსართი

ილ. 170. აბათხევი. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი

ილ. 171. აბათხევი. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია. ჩრდილოეთი ფასადი

ილ. 172. წყალთბილა. მაცხოვრის კათოლიკური ეკლესია. გეგმა ს. კარაპეტიანის მიხედვით

ილ. 173. წყალთბილა. მაცხოვრის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 174. წყალთბილა. მაცხოვრის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი ფასადი

ილ. 175. წყალთბილა. მაცხოვრის კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი

ილ. 176. წყალთბილა. მაცხოვრის კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი. ცოკოლის არე

ილ. 177. წყალთბილა. მაცხოვრის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი კარის საპირის ფრაგმენტი

ილ. 178. ახალციხე. წმ. მარინეს ეკლესია. კარის საპირე

ილ. 179. ახალციხე. წმ. მარინეს ეკლესია. სარკმლის თავსართი

ილ. 180. ქუთაისი. მაცხოვრის ამაღლების ეკლესია. სარკმლის თავსართი

ილ. 181. წყალთბილა. მაცხოვრის კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი

ილ. 182. ხიზაბავრა. იესოს გულის კათოლიკური ეკლესია. პროექტის თავდაპირველი ვარიანტი. არქ. ლ. კროპინსკი.1893 წელი

ილ. 183. ხიზაბავრა. იესოს გულის კათოლიკური ეკლესია. პროექტის შესწორებული ვარიანტი. არქ. ლ. კროპინსკი. 1893 წელი

ილ. 184. ხიზაბავრა. იესოს გულის კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი

ილ. 185. ხიზაბავრა. იესოს გულის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 186. ხიზაბავრა. იესოს გულის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილ. 187. ხიზაბავრა. იესოს გულის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთი კიდე. წმინდა წყლის გადასაღვრელი ნიჟარა

ილ. 188. ხიზაბავრა. იესოს გულის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი ფასადი

ილ. 189. ხიზაბავრა. იესოს გულის კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი

ილ. 190. ხიზაბავრა. იესოს გულის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი ფასადი. რელიეფური ჯვარი

ილ. 191. სხვილისი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. პროექტი. არქ. ლ. კროპინსკი. 1893 წელი

ილ. 192. სხვილისი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. გეგმა. ს. კარაპეტიანის მიხედვით

ილ. 193. სხვილისი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 194. სხვილისი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. აფსიდის წაკვეთილი კუთხე. დეკორატიული გაფორმება

ილ. 195. სხვილისი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილ. 196. სხვილისი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი

ილ. 197. სხვილისი. ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი

ილ. 198. უდე. წმ. სერგის კათოლიკური ეკლესია. სარკმლის საპირე და რელიეფური ფილა მუსლოვის მიხედვით

ილ. 199. უდე. წმ. სერგის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. საკურთხეველი

ილ. 200. უდე. წმ. სერგის კათოლიკური ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

ილ. 201. უდე. წმ. სერგის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი ფასადი. ხუთჯვრიანი ფილა

ილ. 202. უდე. ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესია. ხედი ჩრდილო-დასავლეთით

ილ. 203. უდე. ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესია. საპირის ფრაგმენტი

ილ. 204. უდე. ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესია. XX საუკუნის დასაწყისის ფოტოსურათი

ილ. 205. უდე. ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესია. გეგმის სქემა

ილ. 206. უდე. ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 207. უდე. ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილ. 208. უდე. ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი

ილ. 209. უდე. ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი

ილ. 210. სუჯუნა. წმ. გიორგის ეკლესია. დასავლეთი ფასადი. კარის საპირე

ილ. 211. ულუმბო. ღმრთისმშობლის ეკლესია. სამხრეთი ფასადი. კარის საპირე

ილ. 212. უდე. ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესიის ეზო. სამრევლო სახლი

ილ. 213. წინუბანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. გეგმა ს. კარაპეტიანის მიხედვით

ილ. 214. წინუბანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 215. წინუბანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილ. 216. წინუბანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი კარი. რელიეფური გამოსახულება

ილ. 217. წინუბანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთით
ილ. 218. წინუბანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთით

ილ. 219. წინუბანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი

ილ. 220. უჯმანა. იოანე ნათლისმცემლის კათოლიკური ეკლესია. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთით

ილ. 221. უჯმანა. იოანე ნათლისმცემლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 222. უჯმანა. იოანე ნათლისმცემლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. კამარის საბჯენი კონსტრუქცია

ილ. 223. უჯმანა. იოანე ნათლისმცემლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილ. 224. უჯმანა. იოანე ნათლისმცემლის კათოლიკური ეკლესია. ხედი ჩრდილო-დასავლეთით

ილ. 225. უჯმანა. იოანე ნათლისმცემლის კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი. კარის ღიობი

ილ. 226. ვარევანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. პროექტი. 1891. არქ. ლ. კროპინსკი

ილ. 227. ვარევანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთით

ილ. 228. ვარევანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 229. ვარევანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთით

ილ. 230. ვარევანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილ. 231. ვარევანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი

ილ. 232. ვარევანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი. სარკმლის თავსართი

ილ. 233. ვარევანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთით

ილ. 234. ვარევანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი ფასადი. კარის ღიობი

ილ. 235. ეშტია. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ხედი ჩრდილო-დასავლეთით

ილ. 236. ეშტია. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთით

ილ. 237. ეშტია. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 238. ეშტია. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. სამხრეთი კედელი

ილ. 239. ეშტია. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილ. 240. ეშტია. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. სარკმლის თავსართი

ილ. 241. ეშტია. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი. მაცხოვრის ქანდაკება

ილ. 242. ბავრა. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 243. ბავრა. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილ. 244. ბავრა. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი

ილ. 245. ბავრა. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი ფასადი

ილ. 246. ბავრა. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი ფასადი. რელიეფური ფილა ჯვრის გამოსახულებით

ილ. 247. ბავრა. წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი. სამრეკლო

ილ. 248. ტურცხი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 249. ტურცხი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი

ილ. 250. ტურცხი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილ. 251. ტურცხი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ჩრდილოეთი ფასადი

ილ. 252. ტურცხი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი

ილ. 253. ტურცხი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი

ილ. 254. ტურცხი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი. ხაჩკარი

ილ. 255. ალასტანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 256. ალასტანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. კამარა და კამარის საბჯენი კონსტრუქცია

ილ. 257. ალასტანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილ. 258. ალასტანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ხედი ჩრდილო-დასავლეთით

ილ. 259. ალასტანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი. სარკმლის თავსართი

ილ. 260. ალასტანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი ფასადი. კარის ღიობი

ილ. 261. ალასტანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი ფასადი. რელიეფური ფილა

ილ. 262. პიშტოფლის წმ. კრიტოფორეს ეკლესია. ბრაიერის და სხვათა მიხედვით.

ილ. 263. მაურანა. ბრაიერის და სხვათა მიხედვით

ილ. 264. ემრეკი. ბრაიერის და სხვათა მიხედვით

ილ. 265. ალასტანი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთით

ილ. 266. თორია. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთით

ილ. 267. თორია. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 268. თორია. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ჩრდილოეთი კედელი

ილ. 269. თორია. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილ. 270. თორია. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი ფასადი

ილ. 271. თორია. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი ფასადი. კარის ღიობი

ილ. 272. თორია. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი

ილ. 273. ხულგუმო. წმ. სტეფანეს კათოლიკური ეკლესია. შეკეთების პროექტი. 1903 წელი

ილ. 274. ხულგუმო. წმ. სტეფანეს კათოლიკური ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთით

ილ. 275. ხულგუმო. წმ. სტეფანეს კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 276. ხულგუმო. წმ. სტეფანეს კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. სამხრეთი კედელი

ილ. 277. ხულგუმო. წმ. სტეფანეს კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილ. 278. ხულგუმო. წმ. სტეფანეს კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი

ილ. 279. კულიკამი. სურბ კარაპეტის ეკლესია. დასავლეთი ფასადი

ილ. 280. კარტიკამი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. პროექტი. 1899. არქ. ლ. კროპინსკი

ილ. 281. კარტიკამი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 282. კარტიკამი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილ. 283. კარტიკამი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ჩრდილოეთი კედელი. ემბაზის ქვა

ილ. 284. კარტიკამი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. სამხრეთი ფასადი

ილ. 285. კარტიკამი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი

ილ. 286. კარტიკამი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი

ილ. 287. კარტიკამი. ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი. სამრეკლო

ილ. 288. კარტიკამი. მღვდლის სახლი. დასავლეთი ფასადი. შესასვლელი კარი

ილ. 289. აბასთუმანი. კათოლიკური ეკლესია. XX საუკუნის დასაწყისის ღია ბარათი

ილ. 290. აბასთუმანი. კათოლიკური ეკლესია. 1922 წლის ფოტოსურათი ილ.

291. ახალციხე. რაბათის ღმრთისმშობლის (,,პატრეების”) კათოლიკური ეკლესია. სამრეკლოს გუმბათი. ხის ძელები

ილ. 292. სორი. ჯვარცმის ეკლესია. დასავლეთი ფასადი. მაცხოვრის რელიეფური ქანდაკება

ილ. 293. ართვინი. ქალაქის საერთო ხედი. პროკუდინ-გორსკის ფოტოსურათი. 1909 წელი

ილ. 294. სტამბოლი. ფერიქოის ქართული კათოლიკური მონასტერი. 1890-იანი წლების ფოტოსურათი

ილ. 295. სტამბოლი. ფერიქოის ქართული კათოლიკური მონასტერი. 1900-იანი წლების ფოტოსურათი

ილ. 296. სტამბოლი. ფერიქოის ქართული კათოლიკური ეკლესია. დასავლეთი ფასადი

ილ. 297. სტამბოლი. ფერიქოის ქართული კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

ილ. 298. სტამბოლი. ფერიქოის ქართული კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ჩრდილოეთი კედელი

ილ. 299. სტამბოლი. ფერიქოის ქართული კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით. 1900-იანი წლების ფოტოსურათი

ილ. 300. სტამბოლი. ფერიქოის ქართული კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. საკურთხევლის მოხატულობა. წმ. ანდრია პირველწოდებულის ქანდაკება

ილ. 301. სტამბოლი. ფერიქოის ქართული კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. საკურთხევლის მოხატულობა. წმ. ნინოს ქანდაკება
ილ. 302. სტამბოლი. ფერიქოის ქართული კათოლიკური ეკლესია. ინტერიერი. ხედი დასავლეთით

ილუსტრაციების წყაროები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო – 85.

აჭარის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი – 92, 93.

თბილისის ღმრთისმშობლის ამაღლების კათოლიკური ეკლესია – 109, 110, 112, 124, 204.

თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი – 42.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი – 111, 294, 295, 299.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი ერმაკოვის ფონდი – 17-20, 35, 72, 90, 91, 107, 132.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა) – 41, 290.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტო – 122.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა ,,ივერიელი" – 21 (ბაადურ ქობლიანიძის კოლექცია).

საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი – 8-10, 22, 34, 36-40, 52, 108, 182, 183, 191, 226, 273, 280.

სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი – 58.

გია სოსანიძე – 48, 49, 60.

დავით ხოშტარია – 119, 134, 205.

ეკატერინე კვაჭატაძე – 130, 131, 211.

ვალერი იადოიანი – 158.
ირინე გივიაშვილი – 54, 55.

მანანა ქუთათელაძე – 46, 68, 289.

მანონ ლილუაშვილი – 62-64.

ნათია ნაცვლიშვილი – 4-6, 11-16, 23-29, 43-45, 50, 51, 53, 56, 57, 59, 61, 66, 67, 69, 73-84, 86-89, 94-100, 104, 113-118, 120, 121, 125-129, 136-157, 159-164, 166-171, 173-181, 184-190, 193-197, 199-203, 206-210, 212, 214-225, 227-261, 265-272, 274-279, 281-288, 291, 292, 296-298, 300-302.

ნატო ცინცაბაძე – 7.

არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, 2011 – 105.

გიორგი კალანდია, *ს. პროკუდინ-გორსკი, ფერადი წარსული*, 2006 – 293.

დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, 1976 – 47, 65, 70, 71, 101, 103, 106.

Anthony Bryer and others, *The Post-Byzantine Monuments of the Pontos*, 2002 – 262-264.

Frédéric Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase*, Atlas, série d'architecture, série III, 1840 – 123.

Marie Brosset, *Rapports sur un voyage archéologique*, 2e livraison, 2e rapport, 1851 – 198.

Samvel Karapetian, *Javakhk*, 2011 – 135, 165, 172, 192, 213.

აბრევიატურები

აარმსდ-სს – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო

სსცა – საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი

ქსიმ – ნიკო ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

ხეც – კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

შესავალი

კათოლიკური ეკლესიები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელ და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ეკლესიების რიცხვი მთელი ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე ათეულს აღწევს. ისინი ბევრ რეგიონში დგას, თუმცა მათი უმეტესობა სამხრეთ საქართველოზე მოდის. ისტორიულად ამ ეკლესიათა ნაწილი ლათინურ-კათოლიკური იყო, ნაწილი კი სომხურ-კათოლიკური. შემორჩენილი ნაგებობების ქრონოლოგიური ჩარჩო XVIII საუკუნის შუახანებსა და XX საუკუნის დასაწყისს შორის ექცევა. ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში აღინიშნება ძირეული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცვლილებებით, რამაც განმსაზღვრელი გავლენა იქონია კათოლიკური ეკლესიების მშენებლობის პირობებზეც და მათი მხატვრულ-არქიტექტურული ფორმების ჩამოყალიბებაზეც.

კათოლიკური თემები საქართველოში მრავალეთნიკური იყო და, შესაბამისად, ეკლესიების მშენებლობა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა ზრუნვის საგანს შეადგენდა (ქართველების, სომხების და პოლონელების). ზოგადად, კათოლიკური ეკლესიები XIX საუკუნის საქართველოს მრავალკონფესიური და მრავალეთნიკური მოსახლეობის სამშენებლო და შემოქმედებითი აქტივობის მეტყველი ილუსტრაციაა.

კვლევის აქტუალურობას განაპირობებს ბოლო 40 წლის განმავლობაში გაზრდილი ინტერესი ისეთი საკითხისადმი როგორიცაა არქიტექტურის კავშირი რელიგიურ, კულტურულ თუ ეთნიკურ იდენტობებთან. საქართველოს კათოლიკური ეკლესიების კვლევა მნიშვნელოვანია საკუთრივ ქართველი ერის ისტორიის თვალსაზრისითაც, ვინაიდან საეკლესიო შენობების კულტურულ-ისტორიული კონტექსტი ხშირად ცოცხლად ეხმიანება ერთიანი ქართული თვითშეგნების ფორმირების საკვანძო საკითხებს და არსებითად ავსებს ჩვენს ცოდნას მათ შესახებ.

საქართველოს კათოლიკური ეკლესიების არქიტექტურა დღემდე არ

გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი. არ არის განსაზღვრული მათი ადგილი კათოლიკური ეკლესიების მსოფლიო არქიტექტურაში; არ არის დადგენილი შესაძლო პროტოტიპები. გასარკვევია ბევრი ეკლესიის მშენებლობის ისტორია და ქრონოლოგიური ფენები. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ამ მდგომარეობის გამოსწორებას ემსახურება.

სადისერტაციო კვლევის მიზანია საქართველოში მდებარე XVIII-XIX საუკუნეებისა და XX საუკუნის დასაწყისის კათოლიკური ეკლესიების არქიტექტურის შესწავლა ფართო ისტორიულ კონტექსტში და ამ ეკლესიების მხატვრულ-არქიტექტურული რაობის განსაზღვრა. კვლევას უნდა ეჩვენებინა თუ როგორ აისახებოდა განსხვავებული კულტურული ტრადიციები (ქართული, სომხური, დასავლეთ ევროპული) კათოლიკური ეკლესიების არქიტექტურულ ფორმებზე და რა ზოგადი მხატვრულ-სტილისტური ტენდენციები ვლინდება მათში, როგორი იყო არქიტექტურის როლი საქართველოში მცხოვრებ კათოლიკეთა იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში, ვისი პატრონაჟითა და შემოწირულობებით შენდებოდა ეს ეკლესიები და რა გემოვნება და ტრადიციები განსაზღვრავდა მათ არქიტექტურულ სახეს.

სადისრეტაციო კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა როგორც საქართველოს ყველა კათოლიკური ეკლესია და მათი მშენებლობის ისტორია, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ მდებარე უმნიშვნელოვანესი ქართული კათოლიკური ცენტრი - სტამბოლის ფერიქოის მონასტერი.

კვლევის შედეგები სასარგებლო იქნება როგორც საისტორიო მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტთათვის (ზოგადი ისტორია, არქიტექტურის ისტორია, იდენტობების ისტორია, ეთნოლოგია), ისე ფართო საზოგადოებისათვის, კერძოდ მათთვის, ვისაც სურს უფრო მეტი იცოდეს კათოლიციზმის ისტორიისა და კათოლიკური არქიტექტურის შესახებ საქართველოში.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება ხუთი თავისაგან. პირველი თავი ეთმობა აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკურ ეკლესიებს. მასში

განხილულია თბილისის ღმრთისმშობლის მიძინებისა და წმ. პეტრესა და პავლეს, გორის წმ. ოჯახის, მანგლისის წმ. ალოიზისა და ლაგოდეხის ეკლესიების, ასევე სოლოლაკისა და კუკიის სასაფლაოებზე ძველად მდგარი სამლოცველოების მშენებლობის ისტორია და არქიტეტურა.

მეორე თავი დასავლეთ საქართველოს ეძღვნება. მასში შესწავლილია ქუთაისისა და ბათუმის ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესიები. აქვე გადმოცემულია აფხაზეთში, გურიასა და სამეგრელოში არსებული კათოლიკური მისიონების ისტორია და ნარატიულ და გრაფიკულ მონაცემებზე დაყრდნობით შეძლებისდაგვარად რეკონსტრუირებულია მათი ეკლესიების არქიტექტურა.

ნაშრომის მესამე, ყველაზე ვრცელი თავი ეხება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, სადაც კათოლიციზმმა ყველაზე ცხოველი კვალი დატოვა. აქ განხილულია ახალციხის წმ. იოანე ნათლისმცემლის, წმ. ჯვრის, ღმრთისმშობლის („პატრების") და „პლანის" ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიები და სამცხე-ჯავახეთის სოფლების ცხრამეტი ეკლესია. ცალკე ქვეთავი ეთმობა სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიების არქიტექტურული თავისებურებების ანალიზს. აქვეა გადმოცემული შავშეთში, კლარჯეთსა და არტაანში ძველად არსებული კათოლიკური თემების ისტორია და მიმოხილულია ოდესღაც აქ მდებარე ეკლესიები.

მეოთხე თავში განხილვის საგანია ქართველ კათოლიკეთა აღმშენებლობას საზღვარგარეთ. აქ საგანგებო ადგილი ეთმობა სტაბოლის ფერიქოის მონასტრის დაარსების ისტორიასა და ლურდის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის არქიტექტურას. ასევე მიმოხილულია დღეს აღარ არსებული სტამბოლის უსკუდარისა და მონტობანის კათოლიკური მონასტრები.

დისერტაცია სრულდება დასკვნით, რომელშიც შეჯამებულია კვლევის შედეგები.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

პირველწყაროები

საქართველოში კათოლიკური ეკლესიების დაარსების, მათი მშენებლობის ისტორიისა და არქიტექტურის შესაწავლად უპირველესი მნიშვნელობისაა რომის (ძირითადად ვატიკანისა და პროპაგანდა ფიდეს) არქივებში დაცული დოკუმენტები, შეკრებილი, თარგმნილი და გამოცემული ცნობილი ქართველი კათოლიკე მოღვაწის მიხეილ თამარაშვილის მიერ. ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით, მის ორ წიგნში: *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის* (ტფილისი, 1902; რეპრინტი: თბილისი: სიესტა, 2011) და *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე* (თბილისი: კანდელი, 1995) ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის მოთხრობილი ვატიკანისა და საქართველოს ურთიერთობების შესახებ XIII საუკუნიდან XX საუკუნის დასაწყისამდე, განხილულია საქართველოში კათოლიკობის გავრცელების საკითხები, სხვადასხვა ორდენის პატრების მოღვაწეობა და მათი მისიონების დაარსება. აქვე ზოგი რამ არის ნათქვამი სხვადასხვა პერიოდის მშენებლობების თაობაზეც. ბუნებრივია, მ. თამარაშვილის ნაშრომები, რომლებიც საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაიწერა, ბევრი თვალსაზრისით და, მათ შორის, ისტორიული დოკუმენტების პუბლიკაციის მხრივაც თანამედროვე აკადემიურ სტანდარტებს არ შეესაბამება, მაგრამ ისინი დღემდე რჩება ქართული კათოლიკობის ისტორიის წყაროების ყველაზე სრულ გამოცემად. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველ წიგნს დართული აქვს დოკუმენტები ორიგინალის ენაზეც, რაც დაინტერესებულ მკვლევარს საშუალებას აძლევს გადაამოწმოს თარგმანის სიზუსტე.

რომის არქივებში დაცული დოკუმენტები, რომლებშიც მოიპოვება ცნობები ჩვენთვის საინტერესო საკითხებზეც, რუსული თარგმანითურთ

გამოცემული აქვთ ასევე გ. ჟორდანიასა და ზ. გამეზარდაშვილს: Г. Жордания, З. Гамезардашвили, *Римско-католическая миссия и Грузия* (Тбилиси: Издательство Тбилисского Университета, 1994).

კათოლიკური არქიტექტურის ისტორიის შესწავლისთვის საინტერესო მასალის შემცველია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში XVII-XIX საუკუნეში მცხოვრები ევროპელი მისიონერების წერილები, რელაციონები და ჩანახატები. მათ შორის წინამდებარე კვლევისთვის გამორჩეულად მნიშვნელოვანია დონ პიეტრო ავიტაბილეს *ცნობები საქართველოზე (XVII)*, (თბილისი: მეცნიერება, 1977), არქანჯელო ლამბერტის *სამეგრელოს აღწერა* (თბილისი: მთაწმინდა, 2011) და დონ კრისტოფორო დე კასტელის *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ* (თბილისი: მეცნიერება, 1976). სამივე ავტორი მისიონერულ ცხოვრებასთან ერთად სააღმშენებლო საქმიანობის შესახებაც გვაწვდის ინფორმაციას, ხოლო კასტელის ალბომში შესული ჩანახატები ერთადერთი წყაროა XVII საუკუნის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდებარე კათოლიკეთა ეკლესიების არქიტექტურული სახის წარმოსადგენად.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კათოლიკეთა ისტორიისა და, კერძოდ, ეკლესიათა მშენებლობის შესასწავლად ძვირფასი წყაროა XVIII-XIX საუკუნეში მცხოვრები კათოლიკე მღვდლების იოანე ხოჯაშვილის, სტეფანე აბინაშვილისა და სტეფანე ნავროზაშვილის დღიურები. მათი მნიშვნელოვნების გამო, ისინი არაერთხელ იყო შესწავლილი და გამოცემული: შ. ლომსაძე, *გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან: ახალციხური ქრონიკები* (თბილისი: მეცნიერება, 1979), ლ. ქიტიაშვილი, ,,1763-1809 წლების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი ,,ხოჯავანთ იოვანეს მისიონერული დღიურის წერილების" მიხედვით", დის., (წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 2014), *ახალციხური ქრონიკები, დღიური-მატიანე*, გამოსაცემად მოამზადეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ქავთარიამ (თბილისი: უნივერსალი, 2015).

XX საუკუნის დასაწყისში სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიების მშენებლობისა და არქიტექტურული სახის შესახებ იშვიათი ცნობებია დაცული ტირასპოლის ეპისკოპოსის ედუარდ ფონ როპის მოგზაურობის დღიურში, რომელიც ქართულად გამოსცა კონსტანტინე გვარამაძემ: *ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა, ტირასპოლის ეპარხიის ეპისკოპოსი ედუარდ ბარონ-დე როპი და მისი მოგზაურობა საქართველოში* (თბილისი: ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის სტამბა, 1903).

საქართველოს კათოლიკური ეკლესიების შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს XVIII-XIX საუკუნეთა ევროპელი მოგზაურების ჩანაწერები. მათი ნაწილი თარგმნილია ქართულად: *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*. ტ. 1. (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1964); *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ)* (თბილისი: მეცნიერება, 1975); ჟაკ ფრანსუა გამბა, *მოგზაურობა ამიერკავკასიაში* (თბილისი: განათლება, 1987); ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორი, *მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში* (თბილისი: მეცნიერება, 1988). სხვა მოგზაურთაგან აღსანიშნავია ინგლისელი მხატვრის რობერტ კერ-პორტერისა და ამერიკელი მისიონერის ილაი სმითის თხზულებები: Robert Ker-Porter, *Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylonia, etc. During the Years 1817, 1818, 1819, and 1820*. vol. I. (London: Longman, Hurst, Rees, Orme, and Brown, 1821); Eli Smith, *Researches of the Rev. E. Smith and Rev. H. G. O. Dwight in Armenia: Including a Journey through Asia Minor, and into Georgia and Persia*. vol. I. (Boston: Crocker and Brewster, 1833).

კათოლიკური ეკლესიების მშენებლობის ისტორიის საყურადღებო წყაროს წარმოადგენს მასალები, რომლებიც დაცულია კათოლიკე მოღვაწეთა პირად არქივებში - პავლე თუმანიშვილისა (ინახება ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში), მიხეილ თამარაშვილისა (ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში) და იოანე გვარამაძისა (ინახება სამცხე-ჯავახეთის

ისტორიულ მუზეუმში). ისინი, სხვა საინტერესო ცნობებთან ერთად, შეიცავს იშვიათ ინფორმაციას სხვადასხვა ეკლესიების მშენებლობის წამომწყებთა და შემწეთა შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში, მათი მეშვეობით დგინდება ეკლესიათა მშენებლობის წლებიც და არქიტექტორთა ვინაობაც. კათოლიკეთა აღმშენებლობასთან დაკავშირებული საინტერესო დოკუმენტები (წერილები, ოფიციალური საბუთები და სხვა) ინახება ასევე საისტორიო ცენტრალურ არქივში, ქუთაისის ცენტრალურ არქივსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოში.

წერილობით წყაროებთან ერთად, არქიტექტურის ისტორიის საკვლევად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვიზუალური წყაროები - ძველი ნახაზები და ფოტოსურათები. შემორჩენილია რამდენიმე კათოლიკური ეკლესიის პროექტები, რომლებიც დაცულია საისტორიო ცენტრალურ არქივში, ქუთაისის ცენტრალურ არქივსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოში.

სამეცნიერო კვლევა

საქართველოს ისტორიისა და ისტორიული ძეგლების, მათ შორის კათოლიკური სიძველეების მიმართ სამეცნიერო ინტერესი XIX საუკუნის დასაწყისიდან გაცხოველდა. ცნობები ქუთაისისა და ახალციხის კათოლიკური ეკლესიების მშენებლობის შესახებ შესულია შვეიცარიელი მოგზაურისა და მკვლევრის დიუბუა და მონპერეს ექვსტომეული ნაშრომის პირველ და მეორე წიგნებში, ხოლო მისივე ატლასში გამოქვეყნებული ახალციხის წმ. ჯვრის კათოლიკური ეკლესიის ჩანახატი ერთადერთია, რომელიც მას XIX საუკუნის რეკონსტრუქციამდელი სახით წარმოგვიდგენს (F. Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase, chez les tcherkesses et les abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée*, t. I, II, Paris: Librarie de Gide, 1839; Atlas, série d'architecture, III, Neushatel en Suisse:

l'Auteur, 1840).

გამორჩეულად დიდია ფრანგი ისტორიკოსისა და არქეოლოგის მარი ბროსეს წვლილი სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიების სომხური და ქართული წარწერების წაკითხვისა და გამოქვეყნების საქმეში. ამ წარწერების უდიდესი ნაწილი დღეს დაკარგულია და მათ მხოლო მ. ბროსეს მიერ გადმოღებული ასლებით ვიცნობთ (Marie Brosset. *Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847-1848*, 2e livraison. St.-Pétersbourg: imprimerie de l'Académie Impériale des Sciences, 1851).

მოკლე ცნობები შავშეთისა და კლარჯეთის კათოლიკური თემებისა და მათი ეკლესიების შესახებ შეიძლება ინახოს ნიკო მარის ცნობილ „დღიურში": Н. Марр, Дневник поездки в Шавшию и Кларджию, Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра, *Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии,* кн. VII, (С.-Петербург, 1911).

1880-იანი წლებიდან კათოლიციზმის ისტორია საქართველოში მკვლევართა და პუბლიცისტთა განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე დაწერილი რიგი ნაშრომების მთავარი მიზანი იყო კრიტიკა მცდარი მოსაზრებებისა ქართველ კათოლიკეთა წარმომავლობის შესახებ, მაგრამ მათი ავტორები სხვა საკითხებსაც ფართოდ ეხებოდნენ. საყურადღებო - თუმცა ხშირად არასანდო - ცნობებს კათოლიკეთა სააღმშენებლო საქმიანობის თაობაზე გვაწვდის ზ. ჭიჭინაძე თავის ნაშრომებში: *კათოლიკეთა ისტორია საქართველოში* (ტფილისი 1903), *საქართველოს დაკარგული სოფლები და ქართველი კათოლიკენი* (ტფილისი 1904) და *სამცხე-საათაბაგო და ქართველი კათოლიკენი* (ტფილისი 1906). მსგავსი ცნობები შეიძლება ინახოს სხვა ავტორებთანაც (ლ. ისარლოვი, *კათოლიკენი საქართველოში*, ტფილისი 1898; პ. იზაშვილი, *ქართველ კათოლიკეთა შესახებ*, ტფილისი 1893).

საბჭოთა პერიოდში საქართველოში კათოლიკეთა მოღვაწეობის

ისტორიის კვლევა თითქმის მთლიანად შეწყდა. 1980-იანი წლებიდან ინტერესი კათოლიციზმის ისტორიისადმი კვლავ გაცხოველდა. გამოვიდა რამდენიმე მონოგრაფია: ი. ტაბაღუა, *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში.* ტ. I-III (თბილისი: მეცნიერება, 1984); Г. Жордания и З. Гамезардашвили, *Римско-католическая миссия и Грузия* (Тбилиси: Изд-во ТГУ, 1994); მ. პაპაშვილი, *საქართველო-რომის ურთიერთობა, VI-XX სს.* (თბილისი: აღმაშენებელი, 1995), რომლებშიც ავტორები აქა-იქ ეხებიან კათოლიკეთა სააღმშენებლო საქმიანობასაც. ამავე პერიოდში გამოიცა გ. ბოჭორიძის სამცხე-ჯავახეთში 1932-1933 წლებში მოგზაურობის ჩანაწერები, რომლებიც შეიცავს ძვირფას სიძველეთმცოდნეობით მონაცემებს რეგიონის კათოლიკური ეკლესიების შესახებ: გ. ბოჭორიძე, *მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში*, (თბილისი: მეცნიერება, 1992).

ცნობები კათოლიკური ეკლესიების დაარსებისა და მშენებლობის, მათი შემწეებისა და არქიტექტორების შესახებ გაბნეულია სხვა ავტორთა ნაწერებშიც: გ. ტოტოჩავა, ხსოვნა გულისა: ზუბალაშვილების გვარისა და ბათუმის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობიდან, *ჯვარი ვაზისა*, 1 (1988): 31-33; მ. შამილიშვილი, ბათუმის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობიდან, *ჭოროხი*, 2 (1988): 80-83; ა. ბაჯელიძე, ბათუმის კათოლიკური ეკლესია. *ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმის მაცნე.* ბათუმი, III (2010): 31-36; ა. ფურიერი, თბილისის პეტრე-პავლეს ეკლესიის ისტორიიდან, *თბილისის უნივერსიტეტის შრომები*, 310 (1992): 224-230; ნ. კვარაცხელია, ქუთაისის კათოლიკეები XIX საუკუნეში, *ქუთაისის მუზეუმის მასალები*, ტ. XI (1999):88-97; ქ. პავლიაშვილი, ფრაგმენტები გორის კათოლიკური ეკლესიიდან (XV-XIX სს.), *კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები*, ტ. XXI (2005): 81-91; დ. ხოშტარია, ხარების ეკლესია თბილისში, *საქართველოს სიძველენი*, 13 (2009): 159-167; ნ. პაპუაშვილი, *სიმართლისა და სამართლისათვის გორის კათოლიკურ ეკლესიაზე.* (თბილისი, 2013); მ. კეზევაძე, ქუთაისის წმ. სოფიასა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიების ისტორიისათვის, საერთაშორისო კონფერენციის

,,არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა, სიძველეთმცოდნეობა - ტენდენციები და თანამედროვე გამოწვევები 1-3 სექტემბერი, 2016" მასალები. თბილისი (2017): 58-65.

არქიტექტურის ისტორიის თვალსაზრისით კათოლიკურ ეკლესიებს პირველი შეეხო ვ. ბერიძე წიგნში *თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები*, ტ. II, (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1963). ზოგადი მიმოხილვები შეიძლება ინახოს თბილისის, ქუთაისისა და სოხუმის არქიტექტურისადმი მიძღვნილ წიგნებსა და ალბომებში - თ. გერსამია, *ძველი თბილისი* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1984); *საქართველოს ძველი ქალაქები: თბილისი*, მ. ბულიასა და მ. ჯანჯალიას რედაქციით (თბილისი: ბეთანია, 2003); *საქართველოს ძველი ქალაქები: ქუთაისი*, მ. ბულიასა და მ. ჯანჯალიას რედაქციით (თბილისი 2006); მ. მანია, *ევროპელი არქიტექტორები თბილისში* (თბილისი 2006); А. Агумаа, *Старый Сухум, Архитектура Сухума на рубеже XIX-XX вв.* (Сухум: Абгосиздат, 2016).

მეთოდოლოგია

როგორც ლიტერატურის მიმოხილვიდან ჩანს, კათოლიციზმის ისტორიისგან გასნხვავებით, საქართველოს კათოლიკური ეკლესიების არქიტექტურა დღემდე არ გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი. არ არის განსაზღვრული მათი ადგილი კათოლიკური ეკლესიების მსოფლიო არქიტექტურაში; არ არის დადგენილი შესაძლო პროტოტიპები. არსებითად აღუნუსხავია სამხრეთ საქართველოს სოფლებში შემორჩენილი კათოლიკური ეკლესიები. ჩასატარებელია დიდი სამუშაო არქივებში დაცული ნახაზებისა და შემორჩენილი შენობების შესადარებლად; გასარკვევია ბევრი ეკლესიის მშენებლობის ისტორია და ქრონოლოგიური ფენები. წარმოდგენილი სადისერტაციო კვლევითი პროექტი ამ

მდგომარეობის გამოსწორებას ემსახურება. მის მეცნიერულ სიახლეს განსაზღვრავს როგორც საკვლევი მასალის არჩევანი, ისე კვლევითი მიდგომა, რომელიც საეკლესიო არქიტექტურის ფართო კონტექსტში განხილვას გულისხმობს.

სადოქტორო კვლევა გულისხმობს მრავალგანზომილებიან მიდგომას საქართველოს კათოლიკური ეკლესიების არქიტექტურის ისტორიის საკითხისადმი, რელიგიის სოციოლოგიისა და იდენტობის კვლევების მეთოდების მოხმობით. პროექტის ფარგლებში შესწავლილი იქნება საქართველოში მდებარე ყველა კათოლიკური ეკლესია და მათი მშენებლობის ისტორია.

კვლევა ითვალისწინებდა როგორც საველე სამუშაოს (არსებული შენობების ადგილზე შესწავლა), ასევე მრავალრიცხოვანი საარქივო მასალის დამუშავებას. შესწავლილი იქნა საქართველოს ეროვნულ არქივში, ქუთაისის ცენტრალურ არქივში, ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და ახალციხის მუზეუმში დაცული საარქივო მასალები, ასევე სხვადასხვა სახის წერილობითი წყაროები (ქართველ კათოლიკეთა პირადი არქივები, ოფიციალური დოკუმენტები, ანგარიშები, ძველი პრესა და ა. შ.), ძველი ფოტოსურათები და ნახაზები.

თავი 1

აღმოსავლეთ საქართველო

1.1. ადრეული მისიონები თბილისში და საკათედრო ტაძარი

საქართველოში კათოლიკეთა სამისიონერო და სამშენებლო აქტივობა XIII საუკუნიდან იწყება და ადრეულ ეტაპზე არსებითად ქვეყნის დედაქალაქით - თბილისით შემოიფარგლება.[1]

ევროპელი მისიონერები საქართველოში პირველად რუსუდანის მეფობის დროს გამოჩნდნენ. 1233 წელს რომის პაპის გრიგოლ IX-ის (1227-1241) მიერ გამოგზავნილმა ფრანცისკელმა ბერებმა იაკობ დე რუსანოს ხელმძღვანელობით თბილისში მისიონი დააარსეს.[2] 1240 წელს თბილისში კიდევ ერთი კათოლიკური, ამჯერად დომინიკელთა მისიონი დაფუძნდა.[3] ამ უკანასკნელის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის დომინიკელი ბერი სიმონ დე სან-კვენტინი. ის იყო ერთ-ერთი წევრი დელეგაციისა, რომელიც პაპმა ინოკენტი IV-მ (1243-1254) მონღოლთა სარდალ ბაიჯუ-ნოინთან გააგზავნა. მისიას ასცელინ ლომბარდიელი მეთაურობდა. ბაიჯუს სამხედრო ბანაკში მიმავალმა დელეგაციამ 1247 წლის გაზაფხულზე გამოიარა თბილისი, სადაც მათ გვიჩარდუს კრემონელი შეუერთდა.[4] სიმონ დე სან-კვენტინის თანახმად, გვიჩარდუსი კარგად იცნობდა მონღოლთა

---

1 . წინამდებარე თავის შემოკლებული ვარიანტისთვის იხ.: ნათია ნაცვლიშვილი, ,,კათოლიკეთა აღმშენებლობა თბილისში", წიგნში: *არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918)*". რედ. დავით ხოშტარია (თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი, 2016), 149-189.

2. ილია ტაბაღუა, *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში*, ტ. I (თბილისი: მეცნიერება, 1984), 87.

3. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის* (1902; რეპრინტი, თბილისი: სიესტა, 2011), 17.

4 . ვრცლად მისიის შესახებ იხ.: Gregory G. Guzman, ,,Simon of Saint-Quentin and the Dominican Mission to the Mongol Baiju: A Reappraisal", *Speculum* 46, no 2 (1971): 232-249; სიმონ დე სან-კვენტინის ქართული ტექსტისთვის იხ.: დავით ნინიძე, ,,სიმონ დე სან-კვენტინის ცნობები საქართველოს შესახებ (ასცელინის ელჩობა)", *ქართული დიპლომატია, წელიწდეული* 11 (2004): 256-286. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გვიჩარდუსი (Guichardus) უფრო ხშირად მოიხსენიება როგორც გვიხარდი.

ყოფას და წეს-ჩვეულებებს, რადგან მას შვიდი წელი გაეტარებინა თბილისში. როგორც ჩანს, გვიჩარდი აქ სხვა დომინიკელ ბერებთან ერთად 1240 წელს ჩამოვიდა და შესაბამისად, მისიონის ერთ-ერთი დამაარსებელი უნდა იყოს.[5] ასცელინის მისია თბილისიდან გაემგზავრა სისიანში, რომლის მახლობლად მონღოლთა საზაფხულო ბანაკი იყო განლაგებული. 1247 წლის 24 მაისს ბანაკში ჩასულმა დელეგატებმა იქ დაახლოებით ორი თვე დაჰყვეს და შემდეგ თავრიზში წავიდნენ, ხოლო 1247 წლის ზამთარში კვლავ თბილისში დაბრუნდნენ და ქალაქი მხოლოდ 1248 წლის გაზაფხულზე დატოვეს. გვიჩარდუსმა მათთან სულ ხუთი თვე გაატარა.

რომიდან აღმოსავლეთის ქვეყნებში გაგზავნილი მისიებისთვის ძალზე ფასეული იყო რამდენიმე ენის მცოდნე თარჯიმნები. ხშირად ასეთ ადამიანებს თბილისში პოულობდნენ. მაგალითად, ფრანცისკელთა ჯგუფს თომას ტოლენტინოს ხელმძღვანელობით ინდოეთში თან გაჰყვა თბილისელი დემეტრიოსი, ეროვნებით სავარაუდოდ ქართველი ან სომეხი. მას თანამგზავრები საერო ძმად (frate converso) მოიხსენიებდნენ, რაც გულისხმობს, რომ ის მონასტერში ცხოვრობდა, მაგრამ ბერად არ იყო აღკვეცილი. 1321 წლის 8 აპრილს ქალაქ ტჰანაში დემეტრიოსი მისიის სხვა წევრებთან ერთად სიკვდილით დასაჯეს.[6]

1310-იან წლებში პაპ იოანე XXII-ს (1316-1334) ინიციატივით მოხდა ფრანცისკელთა და დომინიკელთა აქტივობის რეგიონების გამიჯნვა. თბილისი და, როგორც ჩანს, მთლიანად საქართველო დომინიკელთა იურისდიქციაში მოექცა.[7] 1328 წელს იოანე XXII-მ სმირნის საეპისკოპოსო

---

5. მართებულად მიმაჩნია დ. ნინიძის მოსაზრება, რომ გვიჩარდუსი და პაპ გრიგოლ IX-ის მიერ რუსუდან დედოფალთან 1240 წელს მიწერილ წერილში ნახსენები ძმა გვიძარდო, რომელიც ექვს სხვა დომინიკელ ბერთან ერთად ჩამოვიდა თბილისში და მისიონი დაარსა, ერთი და იგივე ადამიანი უნდა იყოს. იხ.: დავით ნინიძე, ,,თბილისის დომინიკელთა მონასტრის ისტორიისათვის (ვინ იყო გვიხარდ კრემონელი?)", *საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი* (თბილისი, 2009): 232.

6. ილია ტაბაღუა, *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში*, ტ. I, 94; Henri Cordier, *Cathay and the Way Thither Being a Collection of Mewdieval Norices of China*, vol. III, translated and edited by Sir H. Yule, (Cambridge: University Press, 1914), 76; John Roland Seymour Phillips, *the Medeival Expansion of Europe* (Oxford: Clarendon Press, 1998), 91.

7. ,,A History of the Crusades", vol. V, *the Impact of the Crusades on the Near East*, edited by N. P. Zacour and H. W. Hazard (Madison, Wisconsin: University of Wisconsin Press, 1985), 496.

კათედრა თბილისში გადმოიტანა, რაც დომინიკელთა სამისიონერო საქმიანობის ახალი აქტიური ეტაპის დასაწყისად იქცა. თბილისის პირველ ეპისკოპოსად იოანე ფლორენციელი დაინიშნა. ცოტა ხნის შემდეგ მან რამდენიმე სხვა სასულიერო პირთან ერთად დააფუძნა წმ. გრიგოლ განმანათლებლის უნიტორი ძმების (Fratres Unitores) კონგრეგაცია - დომინიკელთა ორდენის სომხური განშტოება,[8] რომელმაც გვიან შუა საუკუნეებში დიდად შეუწყო ხელი სომხური რიტის კათოლიციზმის გავრცელებას აღმოსავლეთ ანატოლიასა და კავკასიაში და, მათ შორის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ამის შესახებ ქვემოთ).

იოანე XXII-ს 1329 წლის ნოემბრის წერილში იოანე ფლორენციელისადმი ნათქვამია, რომ თბილისში საკათედრო ტაძარი უნდა აშენდეს.[9] რამდენადაც კათედრამ ამის შემდეგ კარგა ხანს იარსება, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ტაძარი მართლაც აშენდა. მისი მდებარეობის შესახებ დანამდვილებით არაფერი ვიცით. პლ. იოსელიანი აღნიშნავს, რომ კათედრალი მდებარეობდა ,,გარშემო ხარების ყოფილი ეკლესიისა, დღევანდელი კათოლიკეთა ეკლესიის მოპირდაპირედ, ქუჩის გადაღმად“.[10] აქ ხარების ეკლესიაში იგულისხმება კათოლიკეების ძველი ეკლესია, რომელიც დღევანდელი გ. აბესაძის ქ. №13 სახლის ადგილას იდგა, ხოლო ,,დღევანდელში“ ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია. ამ ცნობის წყაროს პლ. იოსელიანი არ უთითებს, საფიქრელია, რომ ის ზეპირ გადმოცემას ეყრდნობა. თუმცა, როგორც ჩანს, სხვა გადმოცემაც არსებობდა.

---

8. იქვე, 509; უნიტორების შესახებ იხ.: მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის,* 73-76; Магакия Орманян, *Армянская церковь: ее история, учение, управление, внутренний строй, литургия, литература, ее настоящее*. Пер. с франц. Б. Рунт (Москва: Издание А. М. Будагова, 1913), 69; Grzegorz Petrowicz, ,,I Fratres Unitores nella Chiesa Armena”, *Euntus Docete* XXII (1969): 309-347; Levon Boghos Zekiyan, ,,la formazione e gli sviluppi tra gli armeni di correnti ecclesiali simpatizzanti per la comunione romana”, *Eukosmia: Studi miscellanei per il 75 di Vincenzo Poggi S. J.* a cura di V. Ruggieri e L. Pieralli (Soveria: Mannelli, 2003), 649.

9 . *Annales Ecclesiastici*, tomus XV, 1305-1335 (Coloniæ Agrippinæ / Cologne: 1694), 396; ეს წერილი სრულად აქვს მოტანილი პლ. იოსელიანს: Платон Иосселиани, *Описание древностей города Тифлиса* (Тифлис: 1866), 234-235. ქართულ გამოცემაში მოტანილია წერილის ქართული თარგმანიც: პლატონ იოსელიანი, *აღწერა თფილისის სიძველეთა* (თბილისი: 2009), 189-190.

10. პლატონ იოსელიანი, *აღწერა თფილისის სიძველეთა*, 190.

ზ. ჭიჭინაძე, რომელიც კათოლიკეთა საქართველოში შემოსვლის თარიღად შეცდომით XII საუკუნეს მიიჩნევს და ეკლესიის აშენებასაც ამავე პერიოდს უკავშირებს, ამბობს, რომ ,,კათოლიკების ეკკლესია მდებარეობდა ჯვარის მამის ეკკლესიის მახლობლად, ცოტა ზემოთ სოლოლაკის მხრით, სადაც დღეს აღარაფერი სჩანს და იქ სახლებია გაკეთებული“.[11]

1370 წლის შემდგომ საქართველოში მისიონერთა შემოსვლა შეწყდა. თბილისის კათედრა ტიტულარული გახდა, ვინაიდან შემოსეული მტრის გამუდმებული თარეშის გამო ეპისკოპოსებს თავიანთ რეზიდენციაში ჯდომა აღარ შეეძლოთ. თბილისის თოთხმეტ ეპისკოპოსთაგან უკანასკნელი 1505 წელს დაინიშნა. ამის შემდეგ მოკლე ხანში კათედრამ არსებობა შეწყვიტა.[12]

ჩვენთვის უცნობია კათოლიკეთა ეკლესიის მდგომარეობა XVI საუკუნის თბილისში. 1578 წლიდან ქართლში ოსმალები გაბატონდნენ და, სამცხე-საათაბაგოს მსგავსად, ევროპელი მისინერების შემოსვლა აქაც შეწყდა. სავარაუდოდ მისიონი დაიხურა, ხოლო ეკლესიის შენობა დაანგრიეს ან გადააკეთეს. ამაზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტიც, რომ დაახლოებით ერთი საუკუნის შემდგომ თბილისში მოსულ კათოლიკე ბერებს მათი წინამორბედების ქონება უკან არ დაბრუნებიათ.

---

11. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში* (ტფილისი: მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა არ. ქუთათელაძისა, 1903), 48.

12. მურმან პაპაშვილი, *საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX საუკუნეები* (თბილისი: აღმაშენებელი, 1995), 110.

1.2. კაპუცინთა მისიონი თბილისში და ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია

1633 წელს საქართველო ოფიციალურად გადავიდა რწმენის პროპაგანდის წმინდა კონგრეგაციის (Sacra Congregatio de Propaganda Fide, შემოკლებით Propaganda Fide, პროპაგანდა ფიდე) იურისდიქციაში. 1663 წელს თბილისში სამი კაპუცინი ბერი ჩამოვიდა. ისინი მეფე ვახტანგ V შაჰნავაზმა პატივით მიიღო და მისცა ორი სახლი - ერთი საცხოვრებლად, მეორე კი წირვის ჩასატარებლად. სახლები ქალაქის გალავნის შიგნით, ქვემო კალას უბანში მდებარეობდა - სავარაუდოდ, ძველი კათოლიკური კათედრალის მიდამოებში. სამლოცველო და პატრების საცხოვრებელი სახლი ერთმანეთის პირდაპირ იდგა და მათ შორის გზა გადიოდა.[13] ყორე გალავნით მოსაზღვრულ შენობებს ბაღიც ერთვოდა. მისიონი მჭიდრო განაშენიანების ნაწილი უნდა ყოფილიყო, რადგან 1698 წელს მასზე სომხების თავდასხმას მოსახლეობა საკუთარი სახლების ბანებიდან ადევნებდა თვალს. [14] მოგვიანებით შუა ბაზრის (დღევანდელი კოტე აფხაზის ქუჩა) მარჯვენა მხარეს აქ მდებარე მისიონის გამო ფრანგთა უბანი ეწოდა, [15] ხოლო ქუჩას, რომელზეც უშუალოდ ეკლესია იდგა - კათოლიკეების ქუჩა (დღევანდელი გ. აბესაძის ქუჩა).

პატრების მიერ ეკლესიისთვის შერჩეული ნაგებობა იმდენად მცირე ზომის ყოფილა, რომ ის ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით ქალებისა და მამაკაცების ცალ-ცალკე განთავსების საშუალებას არ იძლეოდა. მისიონერებმა მის გასადიდებლად საჭირო მიწის ნაკვეთის შესაძენი თანხა პროპაგანდა ფიდეს სთხოვეს. 1669 წელს რომიდან მიღებული ფინანსური დახმარებით მათ სამლოცველო სახლის გაფართოების ნაცვლად ახალი

---

13. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 225-226.
14. იქვე, 292.
15 . მას ასევე პატრების, ლათინთა ან კათოლიკეთა უბანსაც ეძახდნენ. იხ. მამისა ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში* (თბილისი: მეცნიერება 1965), 26-27.

ეკლესიის მშენებლობა წამოიწყეს. [16] ეკლესია 1671 წელს უკვე დამთავრებულია.[17]

კაპუცინთა მისიონში ზოგჯერ ჩერდებოდნენ თბილისში ჩამოსული ევროპელები. 1672 წლის დეკემბერში და 1673 წლის 26 იანვრიდან 28 თებერვლამდე აქ ცხოვრობდა ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი.[18] ნახატზე, რომელიც ერთვის ჟ. შარდენის მოგზაურობის ანგარიშს, კაპუცინთა მისიონი გალავნით არის შემოსაზღვრული (ილ. 1). მოზრდილი ეზოს ერთ მხარეს დიდი, მეორე მხარეს კი პატარა შენობა დგას, ორივე მართკუთხა ფორმისაა და ორფერდა სახურავი აქვს. ეკლესია სავარაუდოდ, მცირე ზომის შენობა უნდა იყოს.[19]

1690 წელს კაპუცინებმა მისიონი კვლავ განაახლეს. მათ მონასტრისა და ეკლესიის რემონტზე სულ 505 სკუდი დახარჯეს. [20] გამშვენებული მისიონით ჯერ პოლონელი იეზუიტი პატრი იგნატიუს ზაპოლსკი მოხიბლულა,[21] ხოლო 1701 წელს - ფრანგი ბოტანიკოსი ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორი, რომელმაც საგანგებოდ აღნიშნა მონასტრის სილამაზე. [22] როგორც ჩანს, ბერების საცხოვრებელი სახლი ხით იყო ნაგები, ხოლო ეკლესია ქვით ან აგურით. 1717 წლის სექტემბერში, როცა სომხებმა მისიონს ცეცხლი წაუკიდეს, სახლი დაიწვა, ეკლესია კი გადარჩა. პატრი ანჯელო პოპიელი რომში 1718 წელს გაგზავნილ წერილში წერდა:

ღვთის და რომის საყდრისაგან გადამდგარნი არ დაკმაყოფილდნენ ჩვენის მონასტრის საფუძვლიანად დაქცევას ... არამედ მისცვივდნენ ეკლესიასაც. რაკი ის

---

16. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 235.
17. იქვე, 237.
18. *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ)*, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა (თბილისი: მეცნიერება, 1975), 275.
19. დავით ხოშტარია, ,,ხარების ეკლესია თბილისში", *საქართველოს სიძველენი* 13 (2009): 159.
20. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა* ქართველთა შორის, 288.
21. იქვე, 286.
22. ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორი, *მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში*, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა (თბილისი: მეცნიერება, 1988), 67.

დღე ვერ დააყენეს როგორც სახლს და რადგან შენობა მაგარი იყო, ბევრ ადგილას ცეცხლი წაუკიდეს და გამოსწვეს.[23]

ბერებმა ვახტანგ VI-ის დახმარებით მალევე აღადგინეს მონასტერი. მცირე ზომის უგუმბათო ეკლესია - ,,ლათინთ საყდარი" კვლავ ნაჩვენებია ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის თბილისის გეგმაზე (ილ. 2).[24]

1742 წელს სომხებმა კათოლიკეთა მისიონი ხელმეორედ ააოხრეს და ბერებს თბილისის დატოვება აიძულეს. ძმები ივანე და ვახტანგ ორბელიანები პროპაგანდა ფიდესთვის გაგზავნილ წერილში იუწყებოდნენ:

სომხებმა ... მარჯვე დრო ჰპოვეს და შეასრულეს ბოროტი წადილი ... ჩვენი პატრი-კაპუცინები დაიჭირეს ... ეკლესია ჩამოართვეს და კაპუცინებს ჩვენს პროვინციაში ცხოვრების ნება აღარ მისცეს.[25]

კაპუცინები რამდენიმე თვეში დაბრუნდნენ თბილისში. 1747-1749 წლებში მისიონის ახალმა ამბიციურმა ვიკარმა ნიკოლა და ჯირჯენტიმ ძველის ადგილას ბევრად დიდი, გუმბათიანი ეკლესია ააშენა. ამ მშენებლობას შეეწირა არა მხოლოდ მისიონის კუთვნილი რამდენიმე სახლი და დუქანი, რომლებიც ჯირჯენტიმ ეკლსიის დასამთავრებლად თვითნებურად გაყიდა, არამედ მისი თანამდებობაც. პროპაგანდა ფიდემ სრულიად გაუმართლებლად მიიჩნია ასეთი ხარჯის გაწევა, ,,რადგან უმცირესი ხარჯებიც ეყოფოდა ამ ძველი ეკლესიის რესტავრაციას" და

---

23. მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე* (თბილისი: კანდელი, 1995), 670. მისიონის დარბევის ამბავი იხსენიება კარბელაშვილისეულ ქრონიკაშიც: ,,ფრანგების საყდარი დააქციეს ქალაქსა ენკენის თვის ი". იხ.: *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა.* შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. III (თბილისი: მეცნიერება, 1967), 62.

24 . ვახუშტისავე ცნობით ,,კალას არს რომაელთა ეკლესია ერთი და მონოზონნი". *ქართლის ცხოვრება,* ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 337.

25. მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე,* 678-679.

ისფაჰანის ეპისკოპოსს ჯირჯენტის ვიკარის თანამდებობიდან გათავისუფლება მოსთხოვა.[26]

კაპუცინების ახალი ეკლესია წარმოადგენდა აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე წაგრძელებულ მართკუთხა გეგმის ნაგებობას, რომელიც აღმოსავლეთიდან შვერილი აფსიდით სრულდებოდა. ასეთი გეგმა აქვს მას ბანოვის თბილისის 1809 წლის გეგმაზე (ილ. 3). ამავე გეგმაზე კარგად ჩანს, რომ კათოლიკეთა ქუჩისა და ჩიხის გადაკვეთაზე მდებარე შენობა ქუჩიდან სიღრმეში იყო შეწეული და მეზობელი სახლებისგან განცალკევებით იდგა.

ეკლესია, როგორც ჩანს, წმ. იოსებისადმი იყო მიძღვნილი - ასე მოიხსენიებს მას ჰ. ი. ფონ კლაპროთი.[27] 1755 წელს ის თეიმურაზ II-მ კათოლიკეებს ჩამოართვა და ქართველ მართმადიდებლებს გადასცა, ბერები კი ქართლიდან განდევნა.[28] ქართველებმა ეკლესია ხარების სახელობაზე აკურთხეს და მას შემდეგ ის ამ სახელით მოიხსენიება.[29] შენობა, სავარაუდოდ, ძლიერ დააზიანა თბილისში 1778 წლის ივნისში მომხდარმა მიწისძვრამ.[30] მისი ფიზიკური მდგომარეობა იმდენად ცუდი იყო, რომ 1801 წელს რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის ანექსიის

---

26. მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე,* 681-682. ზ. ჭიჭინაძე ამ ეკლესიის აშენების თარიღად შეცდომით 1729 წელს უთითებს: ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 48. ვრცლად ეკლესიის მშენებლობის ისტორიისა და არქიტექტურის შესახებ იხ.: დავით ხოშტარია, ,,ხარების ეკლესია თბილისში", 159-167.

27. Julius von Klaproth, *Travels in the Caucasus and Georgia, Performed in the years 1807 and 1808 by Command of the Russian Government*, translated from German by F. Shoberl (London: 1814), 411.

28. მეფის განრისხება კათალიკოს-პატრიარქის ანტონ I-ის გაკათოლიკებას გამოუწვევია: ,,შეუთქვეს კახთ ანტონ კათალიკოზს ფრანგობა მტერობით და განაძეს. კვალად (განაძეს) რომის ბერნი კაპუჩინნი ქართლიდან" (*ქრონიკები*, III, 234).

29. ზ. ჭიჭინაძე ცდება, როცა წერს, რომ კაპუცინების ეკლესია ხარების სახელობისა იყო. ეს სახელობა ეკლესიამ მართლმადიდებლების ხელში მიიღო. ასევე მცდარია მისი ცნობა თითქოს ქართველებმა შენობა სომხებს მიჰყიდეს (ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 48). ეს ცნობა უფრო სანდო ადრინდელი წყაროებით არ დასტურდება. ი. გიულდენშტედტი და ღ. ინჭიჭიანი ხარებას ქართულ ეკლესიად მოიხსენიებენ. ასეა დატანილი ის კაპიტან ჩუიკოს 1800 წლის გეგმაზეც (*გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962), 91; Marie Brosset, *Rapports Sur Un Voyage Archéologique Dans la Géorgie et Dans l'Arménie, Execute en 1847-1848*, 2e livraison, cinquiéme rapport (St-Pétersbourg: Imprimerie de l'Académie Impériale des Sciences 1850, 3; ბერძნიშვილი, მამისა. *თბილისის გარეგანი სახე*, 84, ჩანართი გეგმა 3).

30. დავით ხოშტარია, ,,ხარების ეკლესია თბილისში", 161.

შემდგომ, როცა პროპაგანდა ფიდემ რუსეთის ხელისუფლებას თბილისში მცხოვრები პატრებისათვის ჩამორთმეული ქონების დაბრუნება სთხოვა, კაპუცინებს ეს ამბავი დიდად არ გახარებიათ. 1802 წელს პატრი ფრანჩისკე პადუელი რომში სწერდა კარდინალს:

თუ ეკკლესიები და სახლები დავიბრუნეთ ეგოდნათ დაზიანებულია, რომ დიდი ხარჯი უნდა მათს შეკეთებას, რათა მთლად არ დაინგრეს. ჩვენი ტფილისის ეკკლესიის გუმბათი ლამის დაინგრეს; ამიტომ, შიშის გამო, ბევრი ქართველები აღარ შედიან...[31]

იგივეს აღნიშნავს ჰ. ი. ფონ კლაპროტი თავის 1807 წლის ნაწერებში: ,,ის (ეკლესია – ნ. ნ.) რამდენიმე ადგილას გახეთქა ძლიერმა მიწისძვრამ და ახლა წაქცევის პირასაა“. [32] რამდენიმე წელიწადში ავარიულ შენობას გუმბათი მოხსნეს და სურსათის საწყობად გადააკეთეს. [33] შემდგომში ნაგებობამ არაერთი რეკონსტრუქცია განიცადა. დღეს ის, როგორც ითქვა, გ. აბესაძის ქუჩის №13 სახლია (ილ. 4). მრავალჯერადი განახლების მიუხედავად, სახლი კვლავაც ინარჩუნებს არქიტექტურულ ნიშნებს, რომლებიც 1747-1749 წლებში აგებულ ეკლესიასთან მის კავშირს ამჟღავნებს.[34] დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული ოთხკუთხა შენობის გეგმის გარე კონტური თითქმის ემთხვევა ეკლესიისას. XIX საუკუნის ბოლომდე აღმოსავლეთ ფასადზე შემორჩენილი იყო ნახევარწრიულად შვერილი აფსიდიც - ის ნაჩვენებია 1897 წლის გეგმაზე (1900-იანი წლების რეკონსტრუქციის დროს აფსიდი მოშალეს და მის ნაცვლად სწორი კედელ ამოიყვანეს). სახლის დასავლეთ კედელში, გვიანდელ აგურის წყობაში, გადარჩა ეკლესიის შესასვლელის ქვაზე

31. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 485.
32. Julius von Klaproth, *Travels in the Caucasus and Georgia*, 411.
33. ,,კვალად იყო ეკლესია ხარებობისა გუმბათიანი, დიდშენი სიგრძითა და სივრცითა, აღშენებული რომაელთა ფრანგთა მიერ და მიხმული 95 მეფის თეიმურაზის მიერ, და ძვრისაგან საშიშრად დაძრული. ამას მოარღვიეს გუმბათი შიშისათჳს და ჰქმნეს საამბარდნოდ რუსთა“ (*ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, 336). შენობა სურსათის საწყობად არის დატანილი თბილისის 1867 წლის გეგმაზეც.
34. დავით ხოშტარია, ,,ხარების ეკლესია თბილისში”, 161. ეკლესიის დღევანდელი სახის შესახებ ვრცლად იქვე, 162-163.

კვეთილი გაფორმების ფრაგმენტები. ისინი საშუალებას იძლევა აღვადგინოთ დეკორის ზოგადი სქემა: კარის ღიობს აჩარჩოებდა სამი ლილვისგან შედგენილი მართკუთხა საპირე, ხოლო მის ზემოთ იყო ტიმპანი, რომელსაც ასეთივე სამი ლილვით გამოყვანილი თაღი შემოწერდა (ილ. 5). თაღი ქუსლებით პატარა გლუვ მართკუთხა ფილებს ეფუძნებოდა.[35] XVIII საუკუნისა უნდა იყოს ე. წ. ქართული აგურის წყობა ახლანდელი შენობის ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლების ქვედა ნაწილებში. როგორც ჩანს, ეკლესია ძირითადად აგურით იყო აგებული, თუმცა კარი და ალბათ ზოგი სხვა დეტალიც ქვით გამოუყვანიათ.

დ. ხოშტარია ვარაუდობს, რომ კაპუცინების ეკლესიის მშენებლობაზე მუშაობდა იგივე არტელი, რომელმაც 1750 წლის ახლო ხანებში აღადგინა მეტეხი და ააგო მოღნისის ეკლესია.[36] დ. თუმანიშვილი დამატებით აღნიშნავს კაპუცინების ეკლესიის დასავლეთი კარის მოჩარჩოების ახლო მსგავსებას ბეთლემის ღმრთისმშობლის ეკლესიის ჩრდილოეთი კარის გაფორმებასთან (მისგან გადარჩენილია ტიმპანის სამლილვიანი თაღი, რომელიც მასალით, აგებულებით და შესრულების მანერით ხარების ეკლესიის ტიმპანის თაღის ზუსტი პარალელია) (ილ. 6).[37] ამ მსგავსების საფუძველზე ავტორი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ბეთლემიც მშენებელთა იმავე ჯგუფის მიერ იყოს აშენებული. ასეა თუ ისე, უეჭველია, რომ თავისი ეკლესიის მშენებლობა ნიკოლა და ჯირჯენტიმ ადგილობრივ არტელს დაუკვეთა. მართალია, ვიკარი ენერგიული კაცი იყო და არც ხარჯს მორიდებია, მაგრამ მშენებლების ევროპიდან მოწვევის სურვილი რომც ჰქონოდა, ძნელი წარმოსადგენია ეს მოეხერხებინა. როგორც ცნობილია, საქართველოში ჩამოსვლის მოსურნე ოსტატების მოძებნა მანამდეც და მერეც ძალიან ჭირდა.[38]

---

35. იქვე, 164.
36. იქვე.
37 . დიმიტრი თუმანიშვილი, თბილისის ბეთლემის ღმრთისმშობლის ეკლესია (ხელნაწერი), 21.
38. 1630-იან წლებში თეიმურაზ I-მა თეატინელ პატრ დონ პიეტრო ავიტაბილეს დაავალა იტალიაში მოეძებნა მხატვრები, რომლებიც ქართლ-კახეთის სამეფოში ჩამოვიდოდნენ და

თეიმურაზ II-ის მიერ 1755 წელს ქართლიდან განდევნილმა კაპუცინებმა 1760-იანი წლების დასაწყისში კვლავ შეძლეს თბილისში დაბრუნება. მათ წართმეული ეკლესია ვეღარ დაიბრუნეს, მაგრამ იმავე ქუჩაზე კათოლიკეების კუთვნილი ერთ-ერთი სახლი გადააკეთეს და ღმრთისმსახურება აღადგინეს.[39] ამ სამლოცველოს თბილისში 1772 წელს ჩამოსული ი. გიულდენშტედტიც ახსენებს.[40] კაპუცინების მისიონი 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას შეეწირა. ამის შემდეგ მათ სახლის დაქირავება მოუწიათ. შემოსავლის გარეშე დარჩენილი პატრები უკიდურეს გაჭირვებაში იყვნენ და ეკლესიის სათანადოდ გამართვა არ შეეძლოთ. ფრანჩისკე პადუელი 1800 წლის 4 აგვისტოს პროპაგანდა ფიდეს ატყობინებდა:

...უნდა მოგახსენო, რომ აქ ტფილისში მისიონერები, ვალით სავსენი, სატირელ მდგომარეობაში ვიპოებით, რადგან ხუთი წლის წინეთ სპარსელები მოულოდნელად შემოესივნენ ამ უბედურ ქალაქს და თითქმის მთლიანად გადასწვეს. დაქირავებულ სახლში ვართ; ამაშივე მოვათავსეთ ეკკლესია, რომელიც მთლად გაშიშვლებულია. უნდა მოგახსენო, რომ არც ნაწილი გვაქვს ტრაპეზზედ დასასვენებლად, არც შარავანდედი ყოვლად წმიდა ზიარების გამოსასვენებლად, წირვის შესამოსები, არამც თუ სადღესასწაულო, არამედ თვით უბრალო, საზოგადოც, არა გვაქვს, ისე დღეობით ვწიროთ. ყველაფერი ჩვენს ეკკლესიასა და სახლთან ერთად დაიწვა; იმდენი საშუალებაც არა გვაქვს ეკკლესიისათვის რამე ვიშოვოთ...[41]

დაზიანებულ ეკლესიებს შეაკეთებდნენ. ორნახევარი საუკუნის შემდგომ, 1899 წელს მღვდელი ანსელმ მღებრიშვილი მ. თამარაშვილს სთხოვს გამონახოს რომში მხატვრები და მოქანდაკეები, რომლებიც ბათუმში ჩამოსვლას და ეკლესიის გაფორმებას შეძლებენ. ვერც პიეტრო ავიტაბილემ და ვერც მ. თამარაშვილმა საქართველოში ჩამოსვლის მსურველი ოსტატები ვერ მოძებნეს. იხ.: მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 121; ანსელმ მღებრიშვილის წერილი მიხეილ თამარაშვილს, 1899, 18-30 ნოემბერი, საქმე № 2654, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი.

39. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 380.

40. *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, 93.

41. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 484.

თბილისში ახალი ეკლესიის აგების შესაძლებლობა პატრებს რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ანექსიის შემდგომ, პ. ციციანოვის მთავარმართებლობის დროს (1802-1806) მიეცათ (მისი წინამორბედი კ. კნორინგი კათოლიკეებს და განსაკუთრებით ევროპელ მისიონერებს არ სწყალობდა, მათ ჯაშუშებად თვლიდა და იმპერიასთან ახლადმიერთებულ ტერიტორიაზე შემოსვლა საერთოდ აუკრძალა).[42] პ. ციციანოვმა დიდი დახმარება გაუწია კაპუცინებს. მისი შუამდგომლობით პატრებმა ჩამორთმეული ეკლესიის სანაცვლოდ კომპენსაციის სახით მთავრობისგან 6000 მანეთი მიიღეს. ზუბალაშვილებისა და ისარლიშვილების მიერ შეწირულ მიწის ნაკვეთზე მთავარმართებელსვე დაუტანია ახალი შენობის გეგმა (დღევანდელი გ. აბესაძის ქ. №4).[43] გეგმის ,,დახატვა", როგორც ამას კაპუცინი ბერები წერენ, ნაკვეთზე ნაგებობის ზომების დატანას უნდა გულისხმობდეს. როგორც ჩანს, ციციანოვმა კათოლიკეთა ფინანსური შესაძლებლობები ვერ გათვალა და მათთვის ზედმეტად დიდი ეკლესიის აგება მოიწადინა. 1804 წელს დაწყებული მშენებლობა 1805 წლის ბოლოს უსახსრობის გამო შეჩერდა. პატრი ფრანჩისკე პადუელი პროპაგანდა ფიდეს წერილით მიმართავს და სთხოვს მათ ნება მისცენ გაყიდონ კაპუცინების კუთვნილი ბაღი, სახლი და მიწის ორი ნაკვეთი. შემოსული თანხით იგულისხმებოდა როგორც ეკლესიის დასრულება, ისე ბერების საცხოვრებელი სახლის აშენება. პროპაგანდის შენიშვნაზე, პატრებს სავარაუდოდ ზედმეტად დიდი ეკლესიის აგება განუზრახავთო, ფრანჩისკე პადუელი თავს იმით იმართლებდა, რომ გეგმა თავად პ. ციციანოვმა ,,დახატა".[44] 1807 წლის ნოემბერში მშენებლობა დასრულებულია. მასზე დაიხარჯა მთავრობისგან გამოყოფილი 6000 მანეთი, პროპაგანდა ფიდეს მიერ გაცემული 720 ოსმალური პიასტრი და 200 სკუდი და ასევე ვენის მთავრობისაგან მიღებული შემოწირულობა. გარდა ამისა, ეკლესიის მრევლის წევრებმა მთავრობისაგან პროცენტით ისესხეს 1000 მანეთი (მათ

42. იქვე, 493.
43. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში,* 49.
44. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 496-497.

სხვა ვალიც აუღიათ). უცნობია თუ რა რაოდენობის თანხა მიიღეს კაპუცინებმა უძრავი ქონების გაყიდვის შედეგად.[45] ეკლესიის კურთხევის დღე სადღესასწაულო მოვლენად იქცა. უფროსი პატრი პროპაგანდა ფიდეს კარდინალს 1808 წლის 24 იანვარს ატყობინებდა:

პროცესიას აქეთ იქით რუსის ჯარი ახლდა და წინ მიუძღოდენ რუსის მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო აფიცრები, ქართველები, სომხები, და მთელი ქალაქი უყურებდა. აქაური ქართველების კათალიკოსმა და მათმა მიტროპოლიტმა ეკლესიაში შემოსვლა ინებეს, ეგრეთვე სომხების პირველი ეპისკოპოსიც შემოვიდა. პატივი ვეცით და სკამზედ დავსვით...[46]

ეკლესია ეკურთხა ღმრთისმშობლის მიძინების სახელობაზე. მშენებლობის დასრულების მიუხედავად, მისი ინტერიერის მოწყობასა და ფასადების მოწესრიგებას დამატებით ცხრა წელი დასჭირდა. 1814 წელს დამთავრებულია შიდა სამუშაოები და გალავნის მშენებლობა,[47] ხოლო 1817 წელს - ფასადების შელესვა.[48] ექსტერიერზე ჩასატარებელ სამუშაოებს

---

45. იქვე, 497.
46. იქვე.
47. ,,...შიდა ნაწილი დავასრულე და ისე დავამშვენე, რომ ამ ქვეყნის საუკეთესო ეკკლესიად ითვლება. ეკკლესიას კარგად ამშვენებს გალავანი, რომელიც (აქაური ჩვეულებისამებრ) შემოვავლებინე და გავათავებინე ორი თვეა“ - წერდა ფილიპე ფორანოელი (იქვე, 502).
48. ზ. ჭიჭინაძის მიხედვით პატრმა ფილიპემ ახალ ეკლესიაში გადასვლამდე ძველი ,,საჯაროდ“ (აუქციონზე? - ნ. ნ.) გაყიდა. ,,აქამდის ამ ეკკლესიაში მარილის მაღაზია იყო, ეხლა სხვა ნივთთა საწყობია“ - ამბობს ჭიჭინაძე. თუ ამ ცნობას დავუჯერებთ, გამოდის, რომ მთავრობამ კათოლიკეებს დაუბრუნა 1810-იან წლებში უკვე საწყობად გადაკეთებული ხარების ეკლესია, რომელიც პატრებმა მალევე გაყიდეს. თბილისის 1867 წლის გეგმაზე ხარების ეკლესია ნამდვილად დატანილია, როგორც Большой провиантский магазин (დიდი საწყობი). ზ. ჭიჭინაძე კიდევ ასახელებს ორ ეკლესიას. აქედან ერთი, მისი თქმით ასევე საწყობად გადაკეთებული ,,სძევს ... ჯვრის მამის ეკკლესიის ზემოთ, რომელსაც კარგად ეტყობა კათოლიკის ეკკლესიის სახე“. ჯვრის მამის ზემოთ, პურის მოედნისა (Хлебная) და დიდი მრუდე (Большая кривая) ქუჩის კუთხეში №84-ით მართლაც არის დატანილი მცირე საწყობი (Малый провиантский магазин), რომლის ეკლესიასთან კავშირი სხვა არცერთი წყაროთი არ დასტურდება. რაც შეეხება მესამე ეკლესიას, ზ. ჭიჭინაძის თქმით ის ,,სომხებს უპყრიათ. იგი გადაკეთებულია სხვა გეგმით“. იხ.: ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 50. როგორც ზემოთ აღინიშნა, ასევე არაფერია ცნობილი თბილისში სომხების მიერ დაკავებული კათოლიკური ეკლესიის შესახებ. სავარაუდოდ, ზ. ჭიჭინაძე ერთმანეთში ურევს სხვადასხვა, უკვე საგრძნობლად დამახინჯებულ წყაროდან მოსულ ფაქტებს. სინამდვილეში ამ უკანასკნელშიც ყოფილი ხარების ეკლესია უნდა იგულისხმებოდეს. გამოდის, რომ ზ. ჭიჭინაძის მიერ დასახელებული სამი ეკლესიიდან ორი ერთიდაიგივეა, ხოლო მესამე შესაძლოა ასახავდეს

აკონტროლებდა პოლიცია, რომელიც ქალაქში მიმდინარე სამშენებლო საქმიანობების ზედამხედველის ვალდებულებებსაც ითავსებდა. ეკლესიის წინამძღვარმა ფილიპე ფორანოელმა საკუთარი ინიციატივით წამოიწყო ფასადებზე აგურებს შორის ნაკერების ამოვსება. დაწყებული სამუშაო პოლიციამ შეაჩერა და მოითხოვა, რომ კედლები პროფესიონალ მლესავს გაელესა არქიტექტორის მეთვალყურეობით.[49] მშენებლობის მაღალ ხარისხზე ზრუნავდა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი კარლ სტალიც, რომელსაც სურდა, რომ კათოლიკეების ეკლესია ქალაქში გამორჩეულად მშვენიერი და სხვებისთვის მისაბაძი ყოფილიყო. წინამძღვარს გადაეცა დამტკიცებული პროექტი, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა ფასადების მოწესრიგების დროს. რადგან კედლების სრულად შელესვა მეტ ხარჯთან იყო დაკავშირებული, მან დამატებითი დაფინანსება მოითხოვა და მიიღო თანხის შეგროვების უფლება. ამან ფილიპე ფორანოელს საშუალება მისცა ბოლომდე მიეყვანა არა მარტო ეკლესიაზე დარჩენილი არქიტექტურული სამუშაოები, არამედ სამრევლო სკოლის მშენებლობაც.[50]

1804-1808 წლებში აგებულმა ეკლესიამ მომდევნო ხანებში ძლიერ იცვალა სახე. შემორჩენილი ნაწილებისა და აღწერების გარდა, მისი თავდაპირველი სახის წარმოდგენის საშუალებას 1864 წლის ფოტოსურათი იძლევა (ილ. 7). ეკლესია წარმოადგენდა აგურით ნაგებ მომცრო დარბაზულ შენობას, რომლის აღმოსავლეთ მხარეს, საკურთხევლის აქეთ-

---

ძალზე გაფერმკთალებულ ხსოვნას ოდესღაც კალაში მდებარე XIV საუკუნის კათედრალის შესახებ. როგორც ჩანს, მსგავსი ხსოვნა მართლაც არსებობდა. ქართველი კათოლიკეების საკითხით დაინტერესებული გაზეთი ,,ივერია" 1893 წელს წერდა: ,,ყველამ კარგად იცის, რომ ტფილისში ქართველ კათოლიკეთა ძმობა და ეკკლესია დიდის ხნიდამ არსებობს ... ტფილისშივე აქვთ კათოლიკეთ ორი ძველი საეკლესიო შენობა, რომელიც სხვა-და-სხვა თავ-შესაფარად არის გადაკეთებული. ძველად-კი ეკკლესიებიც ყოფილა და თავის საქმეების არხივიც ჰქონიათ". *ივერია*, 1893, ოქტომბერი 7, № 214, 2.

49 . აქ ჩანს ახალი ხელისუფლების სურვილი ქალაქში ქაოტურად მიმდინარე სამშენებლო საქმიანობის კანონმდებლობის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევისა. ქალაქგეგმარებაში გარკვეული რეგლამენტაცია 1806 წლიდან არსებობდა. მაგალითად, აუცილებელი იყო წინასწარი ნებართვა სახლის ასაშენებლად. ვახტანგ ბერიძე, *თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1960), 38.

50. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 507.

იქით მდებარე ორივე ოთახის თავზე თითო სამრეკლო იყო აღმართული. ფოტოსურათზე ჩანს, რომ სამ-სამი თაღოვანი სარკმლით დანაწევრებული გრძივი კედლები გარედან შეულესავია, ხოლო დასავლეთი ფასადი და, სავარაუდოდ, აღმოსავლეთიც - შელესილი. ქუჩის მხარეს მიმართული დასავლეთი ფასადი, სამრეკლოების მსგავსად, კლასიცისტურ სტილისაა. მას კაპიტელებით დასრულებული ოთხი პილასტრი აუყვება. ფასადს ასრულებს ფრონტონი, რომლის კუთხეებსა და წვერზე პატარა კოშკურებია აღმართული. კოშკურიანი ფრონტონი მოჩანს აღმოსავლეთ მხარესაც. კათოლიკეთა ეკლესია გვიანი კლასიციზმის ერთ-ერთი უადრესი ნიმუში იყო თბილისში.

1817 წელს ჩამოსული ინგლისელი მხატვარის სერ რობერტ კერ-პორტერის აზრით, კათოლიკეთა ეკლესია საუკეთესო იყო თბილისში და თვით სიონის ტაძარსაც სჯობდა სიმდიდრითა და დახვეწილობით, თუმცა კი ზომით ჩამოუვარდებოდა მას.[51] ამერიკელი მისიონერი ილაი სმითი, რომელიც თბილისს 1830 წელს ეწვია, წერს, რომ კაპუცინებს ჰქონდათ კომფორტული მონასტერი ,,რესპექტაბელური ზომისა და იერის" ეკლესიით. მისი მრევლი იმხანად 600 სულს ითვლიდა.[52]

კაპუცინმა ბერებმა ეკლესიით სარგებლობა მხოლოდ 1845 წლამდე შეძლეს. 1844 წლის 19 მარტს რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I-ის მიერ მიღებული დეკრეტი რომის ქვეშევრდომ ევროპელ პატრებს ავალდებულებდა თავი რუსეთის ქვეშევრდომებად ეცნოთ, უარი ეთქვათ რომთან მიმოწერაზე, გამიჯვნოდნენ სომეხ კათოლიკეებს და დამორჩილებოდნენ მოგილიოვის კონსისტორიას. პატრებმა მათთვის წაყენებულ ყველა პირობაზე უარი განაცხადეს და საქართველო

51. Ker Robert Porter, *Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylonia, etc. During the Years 1817, 1818, 1819, and 1820*, vol. I, (London: Longman, Hurst, Rees, Orme, and Brown, 1821), 126.

52. Eli Smith, *Researches of the Rev. E. Smith and Rev. H. G. O. Dwight in Armenia: Including a Journey through Asia Minor, and into Georgia and Persia*, vol. I, (Boston: Crocker and Brewster, 1833), 255.

სამუდამოდ დატოვეს.[53] იმავე წელს, მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის თაოსნობით, თბილისში წმ. როზარის ძმობის წევრი პოლონელი მღვდლები ჩამოვიდნენ და სათავეში ჩაუდგნენ ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიას. სხვა უძრავ ქონებასთან ერთად, მათ გადაეცათ სოლოლაკის სასაფლაო სამლოცველოთი და სამრეკლოთი, იქვე მდებარე სახლი, რომელიც იმ დროს შემოსავალს არ იძლეოდა, და პატრი ფილიპეს მიერ გაშენებული ბაღი მებაღის სახლითურთ.[54]

პოლონელმა ქსენძებმა თბილისში კეთილგანწყობა ვერ მოიპოვეს. მათ არ იცოდნენ ადგილობრივი მრევლის სალაპარაკო ენები - ქართული და სომხური. ამასთან, მრევლის აზრით ისინი დაკისრებულ მოვალეობებს პირნათლად არ ასრულებდნენ. 1858 წელს თბილისის ადგილობრივი კათოლიკეების წმ. როზარის საძმოს საზოგადოებამ კავკასიის მთავარმართებელ ბარიატინსკის თხოვნით მიმართა გადაეყენებინათ თბილისის მიძინების ეკლესიის პრელატი მაქსიმილიან ორლოვსკი და მის ნაცვლად ოდესაში მოღვაწე რომაულ-კათოლიკურ რიტზე ნაკურთხი თბილისელი მღვდელი ხანუმოვი დაენიშნათ.[55] ადგილობრივი მრევლის უკმაყოფილებას მათთან ერთად წირვაზე დამსწრე უცხოელები და რუსეთის არმიის პოლონელი სამხედრო პირებიც იწვევდნენ. მცირე ზომის ეკლესია დიდ მრევლზე არ იყო გათვლილი და ბევრ ხალხს ვერ იტევდა. მალე უცხოელ კათოლიკეთა რიცხვს რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ პოლონეთის 1863-1864 წლების აჯანყების შემდეგ გადმოსახლებულ პოლონელთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი შეემატა. მ. ორლოვსკიმ მთავრობა თბილისში მეორე კათოლიკური ეკლესიის აგების აუცილებლობაში დაარწმუნა. მან პოლონელ და ქართველ კათოლიკეთა ფინანსური დახმარებით კუკიაზე წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესია ააშენა და მისი წინამძღვარი გახდა (ამ ნაგებობის მშენებლობის ისტორიასა და არქიტექტურაზე ქვემოთ იქნება საუბარი).

---

53. მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე,* 719-720.
54. საისტორიო ცენტრაული არქივი, ფონდი №1645, ანაწერი №1ა, საქმე №1, 2.
55. სცა, ფონდი №8, ანაწერი №1, საქმე №4129.

1870-იანი წლებიდან ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიას სათავეში რომაულ-კათოლიკურ წესზე ნაკურთხი ქართველი მღვდლები ჩაუდგნენ. 1884-1886 წლებში ეკლესიის წინამძღვრის დიმიტრი თუმანიშვილის თაოსნობით შენობა საფუძვლიანად გადაკეთდა. აღმოსავლეთიდან მას დაემატა წაკვეთილკუთხეებიანი მინაშენი, ხოლო დასავლეთიდან _ ნართექსი, რომელიც დასავლეთ ფასადზე განიერია და, შესაბამისად, მისი კიდეები სცდება ეკლესიის ძირითად მოცულობას. ამ დამატებების შემდეგ შენობის გეგმა, რომელიც მანამდე მართკუთხა იყო, ვიწროთავიანი T-ს მოხაზულობისა გახდა - ასე გამოიყურება ის 1900 წელს შედგენილ გენერალურ გეგმაზე. მიშენებულ ნაწილებს მკვეთრად გამოხატული ნეოგოთიკური სახე აქვს. შეილესა და შემლებისდაგვარად ამავე სტილზე გაფორმდა ეკლესიის ძველი ნაწილის ფასადები და ინტერიერი.[56]

ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის განვითარებაზე წარმოდგენას ქმნის მონასტრის 1875 და 1900 წლების გენერალური გეგმები (ილ. 8 და 9). პირველ გეგმაზე ეკლესიის ჩრდილოეთით დგას კათოლიკეთა მონასტრის შენობა, აღმოსავლეთით (ფასადიდან დაახლოებით 1,5 მეტრის მოშორებით) გადის აგურის ზღუდე, ზღუდის იქით ეკლესიის აღმოსავლეთით ცარიელი მიწის ნაკვეთია, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით - ჯიგრაშენის სომხური ეკლესიის ეზო. ნახსენები ცარიელი ტერიტორია ყრუ შესახვევის (Глухой переулок) გაგრძელებას წარმოადგენდა და ორ ეკლესიას შორის ჩიხს ქმნიდა. 1900 წლის გეგმაზე აგურის კედელი მოშლილია და ცარიელი მიწის ნაკვეთი კათოლიკური მონასტერის ეზოსთან არის შეერთებული.

ეკლესიის განახლების შემდგომი ეტაპი 1900-იანი წლების დასაწყისზე მოდის. მისმა წინამძღვარმა პეტრე კალაიჯოვმა რამდენიმე ათასი მანეთი დახარჯა.[57] შეძენილი იქნა ახალი შესამოსელი, სალიტურგიო ნივთები, მათ

---

56. *ივერია*, 1886, 8 ივნისი, №121, 2.

57 . *ქართველ კათოლიკეთ მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები*, აღწერილი და დაბეჭდილი ზ. ჭიჭინაძის მიერ (თფილისი: მსწრაფლ-მბეჭდავი არ. ქუთათელაძისა,1904), 63.

შორის ვალკერის ფირმის ორღანი, რომელიც გერმანიიდან გამოიწერეს. ორღანის შეძენასთან დაკავშირებით საჭირო გახდა პატრონიკეს რეკონსტრუქცია, რომლის პროექტიც 1902 წელს შეადგინა არქიტექტორმა ალექსანდრ როგოისკიმ (ილ. 10).[58] პროექტის მიხედვით, გაფართოებული პატრონიკის ხის აივანი ორ ხისავე ბოძს ეკავა. აივნის მოაჯირი და მისი საყრდენები ნაკვეთი ორნამენტით იყო გაფორმებული. პეტრე კალაიჯოვის თქმით: ,,ახლა ყველა მნახველებს დიდათ მოსწონსთ ეს ეკკლესია და ამბობენ რომ ახლა ესა ჰგავს ნამდვილ ევროპიულ რომის-კათოლიკე მშვენიერ ეკკლესიებსაო".[59]

წინამძღვრის ეს სიტყვები ბევრისმთქმელია. აშკარაა, რომ სამღვდელოებასაც და მრევლსაც ძალიან უნდოდა მიძინების ეკლესია ,,ნამდვილი ევროპიული" ყოფილიყო და ამის განმსაზღვრელი ფაქტორი მათთვის პირველ რიგში იყო არა შენობის არქიტექტურული სტილი, არამედ ლიტურგიული მოწყობა. ამ თვალსაზრისით ორღანს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ის პირდაპირ ასოცირდებოდა ლათინურ რიტთან. საორღანო მუსიკას ნაკლებად იყენებდნენ სომხურ-კათოლიკურ ეკლესიებში - ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს საქართველოს შემთხვევაში. ბათუმის რომაულ-კათოლიკური ეკლესიის აშენებამდე, როცა ქართველებიცა და სომხებიც ერთ შენობაში წირავდნენ, სომხები ეკლესიაში ორღანზე დაკვრის წინააღმდეგნი იყვნენ და ამბობდნენ ,,მუსიკის ადგილი თეატრშია და არა ეკლესიაშიო".[60] XIX-XX საუკუნის მიჯნაზე შექმნილი სიტუაციის გამო ნებისმიერი დეტალი, რომელიც თბილისის მიძინების ეკლესიის რომაულ-კათოლიკურობის დამადასტურებელ დამატებით არგუმენტად გამოდგებოდა, ძალზე მნიშვნელოვანი იყო მრევლისთვის. აღნიშნულ პერიოდში აქტუალური გახდა როგორც ქართველ კათოლიკეთა წარმოშობის, ისე ეკლესიის შენობის მფლობელობის საკითხი. ამ დროს

58. სცა, ფონდი №204, ანაწერი №1, საქმე №1228.
59. პეტრე კალაიჯოვის წერილი მიხეილ თამარაშვილს, 1903, 11 აპრილი, საქმე №1897, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.
60. ანსელმ მღებრიშვილის წერილი მიხეილ თამარაშვილს, 1897, 12 ივლისი, საქმე №2643, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

სომხური წესის კათოლიკეთა სასულიერო ხელისუფლებამ პრეტენზია განაცხადა მიძინების ეკლესიაზე, ხოლო სომეხმა ინტელექტუალებმა ქართველ კათოლიკეთა ლეგიტიმურობის საკითხი წამოჭრეს.[61]

ისტორიული სურათის აღსადგენად უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება მ. თამარაშვილის პირად არქივსა და ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ მრავალრიცხოვან მასალას, საიდანაც ვიგებთ, რომ 1877 წელს წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესიის აგებას ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიის საკუთრების თაობაზე სომხურ-კათოლიკური სამღვდელოების პრეტენზია მოჰყვა. მათი არგუმენტებით, ის სომეხი კათოლიკეების მიერ იყო აშენებული და ევროპელებს წირვის ჩატარების ნება მხოლოდ დროებით ჰქონდათ დართული ,,უცხო გვარის კათოლიკების სულიერის საჭიროების საზრუნველად, ვიდრე რომ თავიანთვის აიშენებდნენ ერთს სხვა ეკლესიას“. [62] სომხურ-კათოლიკური სამღვდელოების მცდელობას ხელისუფლებისთვის დაემტკიცებინათ საკუთარი უფლებები მიძინების ეკლესიაზე საფუძვლად სასულიერო მმართველობის ახალციხიდან თბილისში გადატანის სურვილი ედო. ამ მცდელობამ ერთხანს შედეგიც გამოიღო - რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ის მიერ 1893 წლის 14 მაისს მიღებული უზენაესი დადგენილებით,[63] შენობა სომეხ კათოლიკეებს გადაეცათ. ეკლესიის ჩამორთმევას წინ უსწრებდა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის 1886 წლის ბრძანება საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ყველა კათოლიკურ ეკლესიაში ქართული ენის გამოყენების აკრძალვის შესახებ. ამ ბრძანების აღსრულება ტირასპოლის სასულიერო კონსისტორიამ გარკვეული ხნით გადაავადა, ძალაში ის მხოლოდ 1891-1892 წლებში შევიდა.[64] ხელისუფლება სარგებლობდა ქართველ და სომეხ

---

61 . გაზეთ ,,მშაკის“ 1897 წლის №№110, 137, 138, 144, 145, 149-ის თარგმანი. თარგმანი სომხურიდან ქართულად მ. თამარაშვილისა. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, საქმე №169, ხეც, თბილისი.

62. იქვე.

63. Уставы Духовных Дел Иностранных Исповеданий, статья 244, часть I, глава XI, том III.

64 . ნათია ნაცვლიშვილი, ,,კათოლიკური ეკლესიების მშენებლობა სამხრეთ საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე (ხიზაბავრა და სხვილისი)”, *საქართველოს სიძველენი* 16 (2013): 182-197.

კათოლიკეებს შორის ეროვნულ ნიადაგზე არსებული უთანხმოებით. ის ყველანაირად ცდილობდა დაპირისპირება მეტად გაეღრმავებინა, ამიტომ მიღებული გადაწყვეტილებების მყისიერ აღსრულებას კი არ მოითხოვდა, არამედ დაპირისპირებულ მხარეებს საშუალებას აძლევდა შუამდგომლობებით მიემართათ სხვადასხვა სასულიერო თუ სახელმწიფო ინსტანციებისთვის და ეთხოვათ ამა თუ იმ ბრძანების შეცვლა. ქართული და სომხური თემის მხრიდან მეფისნაცვლის უწყების, ტირასპოლის ეპისკოპოსისა და ერთმანეთისადმი გაუთავებელი მიმართვები გრძელდებოდა წლების განმავლობაში, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა მათ ისედაც დაძაბულ ურთიერთობას. მიძინების ეკლესიის შემთხვევაშიც დავის პროცესმა დაახლოებით ათი წელიწადი გასტანა. უზენაესი გადაწყვეტილების მიღებისთანავე, ეკლესიის წინამძღვარმა პეტრე კალაიჯოვმა დასახმარებლად ტირასპოლის ლათინური ეპარქიის ეპისკოპოსს ანტონ იოჰან ცერს (1889-1902) მიმართა და ეკლესიის შესანარჩუნებლად ხელისუფლებასთან შუამდგომლობა სთხოვა. პატრი მოხსენებაში განმარტავდა, რომ თბილისში, ისევე როგორც გორსა და ქუთაისში, სომხურ-კათოლიკურ მრევლს საკუთარი ეკლესია არასდროს ჰქონია, ამ ქალაქებში იმთავითვე ლათინურ წესის ეკლესიები დაფუძნდა, მრევლის წევრები კი წარმოშობით ქართველები იყვნენ. შესაბამისად, პეტრე კალაიჯოვის თქმით, იმპერატორის გადაწყვეტილებას მრევლისათვის მძიმე შედეგები მოჰყვებოდა:

...ტფილისის მკვიდრ-მცხოვრებთა, რომის-კათოლიკეთა ერთმევათ თავიანთი საკუთარი ეკკლესია, ისპობა მასშიდ ლათინური ხმიანი წირვა, და სხვა ლოცვები თავისი მშვენიერი ტიბიკონითა და საეკკლესიო ცერემონიებითა; ეკკლესიას და მრევლს ესპობათ თავიანთი ლათინის რიგის მღვდლები, და ეკარგებათ მათ ყოველი მნიშვნელობა, ერი ამა ეკკლესიისა, რომელნიც არიან ქართველთა შთამომავალნი, უნდა გახდნენ ძალდატანებით სომხის-კათოლიკებათა...[65]

65 . პავლე კალაიჯოვის წერილი მ. თამარაშვილს, 1893, 21-24 ივლისი, №4224, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

1907 წელს ტირასპოლის ახალმა ეპისკოპოსმა ედუარდ ფონ როპმა სომეხ-კათოლიკეთა არქიმანდრიტის თბილისში გადმოსვლის თხოვნა არ დააკმაყოფილა. [66] ქართველი კათოლიკეები ეკლესიის ჩამორთმევას გადაურჩნენ, თუმცა 1893 წელს მიღებული დადგენილება კვლავ ძალაში რჩებოდა - ეკლესია, რომელშიც ლათინური რიტის ქართველი და სომეხი კათოლიკეები ლოცულობდნენ, სამართლებრივად სომხური წესის კათოლიკეთა საკუთრება იყო. ეპისკოპოს ფონ როპის აზრით, საუკეთესო გამოსავალი სომეხ კათოლიკეთათვის სოლოლაკის სასაფლაოზე ეკლესიის ასაშენებლად მიწის დათმობა იქნებოდა. [67] როგორც ჩანს მიძინების ეკლესიის ახალი მფლობელები შეთავაზებული წინადადებით დაინტერესდნენ, თუმცა, როგორც მღვდელი ლაზარე გოზალაშვილი მ. თამარაშვილს 1909 წლის 16 აპრილს თბილისიდან სწერდა, სასაფლაოზე ადგილის მიღებას ფული ამჯობინეს:

...სომეხ-კათოლიკებმა დაინახეს, რომ სოლოლაკის სასაფალოს ადგილი მოუხერხებელია მათთვის ყოველნაირად, რის გამო კმაყოფილდებიან ჩვენგან დახმარებაზე ფულით. იგინი 10 000-გან 15 000-მადე მანეთს მოელიან ჩვენგან და თანვე გვაძლევენ ხელწერილს, კანონიერად შედგენილს, რომ სპობენ დავა-საჩივარს სამუდამოდ...[68]

იმავე ლაზარე გოზალაშვილის 6 ნოემბრის წერილში სომხების მიერ ეკლესიის შენობის სანაცვლოდ მოთხოვნილი თანხა უკვე 30 000 მანეთამდეა გაზრდილი. ეს მრევლის შესაძლებლობებს ბევრად აღემატებოდა. თანხის მოგროვების და გადახდის შემდგომ ეკლესიის დაკარგვის პოტენციური რისკი მაინც რჩებოდა, რადგან მოდავე მხარეების მორიგება სახელმწიფოს მიერ მიღებული დადგენილებას ვერ გააუქმებდა. შექმნილ სიტუაციის

66. ლაზარე გოზალიშვილის წერილი მ. თამარაშვილს, 1908, 2 იანვარი, საქმე №1366, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.
67 . იოანე ანტონოვის წერილი მ. თამარაშვილს, 1907, 22 ივნისი, საქმე №728, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.
68. ლაზარე გოზალიშვილის წერილი მ. თამარაშვილს, 1909, 16 აპრილი, საქმე №1374, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

სწორად აფასებდნენ ქართველი კათოლიკეები, როდესაც ჭეშმარიტ მოწინააღმდეგეს მთავრობაში ხედავდნენ და არა ერთმორწმუნე სომეხ კათოლიკეებში. ლაზარე გოზალაშვილი მ. თამარაშვილს სწერდა:

...ყველას გვწადია მორიგებით გავათავოთ ეკკლესიის საკუთრების, საცილებელ-სადავოდ ქმნილის საქმე. საჭიროა, დაისვას საკითხი: თუ ვინ არის მოწინააღმდეგე ანუ მოდავე ამა ქონებისა? მოჩანან ორნი: სომეხ-კათოლიკენი და სამოქალაქო კანონი. ნამდვილ მოწინააღმდეგედ მოჩანს მეორე და არა პირველი. იჭვის გარეშეა, რომ მათ მისცეს მიზეზი და გამოვიდა მუხლი შემლახავი ამა ეკკლესიის საისტორიო თვისების და საკუთრებისა. გარნა კიდევაც რომ დავაკმაყოფილოთ პირველნი, მუხლი მაინც დარჩება. მაშ თუ რომელიმემ მათგანმა თქმული მუხლის ძალის სისრულეში მოყვანა მოინდომოს, სად წავა ჩვენი დახარჯული და გაცემული ფული?[69]

მეფისნაცვლის კანცელარიის 1910 წლის 17 სექტემბერისა და 3 დეკემბრის შუამდგომლობების საფუძველზე, თბილისში საგანგებოდ სომხური წესის კათოლიკეებს შეწირულობების მოკრეფის ნება დართეს. 1911 წლის 18 თებერვალს შეწირულობების შეგროვების კომიტეტის თავმჯდომარე სამოციქულო ადმინისტრატორი არქიმანდრიტი სარქის ტერ-აბრამიანცი თხოვნით მიმართავს მიძინების ეკლესიის ზედამხედველსა და სინდიკებს გაითვალისწინონ, რომ მესამე კათოლიკური ეკლესიის აგება ერთნაირად ძვირია ყველა კათოლიკესათვის და ხელი შეუწყონ მის მშენებლობას მიძინების ეკლესიის და მასთან არსებული წმ. როზარის საძმოს ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფით.[70] როგორც საარქივო მასალა ადასტურებს, ტერ-აბრამიანცის თხოვნა არ დაკმაყოფილდა. 1912 წლის 17 ივლისს ტირასპოლის რომაულ-კათოლიკური ეპარქიის ეპისკოპოსი იოზეფ კესლერი მიძინების ეკლესიის ვიზიტატორს მიხეილ ანტონოვს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ

69. ლაზარე გოზალიშვილის წერილი მ. თამარაშვილს, 1909, 6 ნოემბერი, საქმე №1375, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.
70. სცა, ფონდი №1645, ანაწერი №1, საქმე №113.

ატყობინებს. ეპისკოპოსი ანტონოვს წერს, რომ ტერ-აბრამიანცმა დასახმარებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა. მეფისნაცვლის შუამდგომლობით, ის მოითხოვდა ან მიძინების ეკლესიის სომხურ-კათოლიკური სასულიერო მმართველობისთვის გადაცემას, ან ეკლესიის კუთვნილი კაპიტალიდან ახალი შენობის ასაგებად საჭირო თანხის გაღებას. გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა დავის გადაჭრის ყველაზე უწყინარ გზად თბილისის მიძინების ეკლესიის კაპიტალიდან 30-35 ათასი მანეთის გამოყოფა მიიჩნია. გადაწყდა, რომ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ხელისუფლება მიძინების ეკლესიას სომეხ კათოლიკეებს გადასცემდა.[71]

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა მიძინების ეკლესიის მრევლმა დასახმარებლად ზუბალაშვილების ოჯახს მიმართა. პეტრე და ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილებისა და ემმა ჰენრიხის ასულ ზუბალაშვილისადმი[72] გაგზავნილ წერილებში კარგად ჩანს, რომ ეკლესიის შენარჩუნება ქართველ კათოლიკეთა როგორც რელიგიური, ისე ეროვნული იდენტობის შენარჩუნების ტოლფასი იყო. ისინი მხოლოდ ქონებას არ კარგავდნენ, ეს იყო ,,განადგურება ყოველივე იმისა, რაც ქართველი-კათოლიკეებისათვის წარმოადგენს წმინდას, რელიგიური ტრადიციებისა და იმედისა". ეკლესიის სომეხ კათოლიკეთა ხელში გადასვლა გულისხმობდა ლათინური (მთავარი წირვა) და ქართული (დამატებითი ლოცვები და ქადაგებები) ღმრთისმსახურების სომხურენოვანით შეცვლას. მრევლს, რომლის ძირითად ნაწილს ქართველი კათოლიკეები წარმოადგენდნენ, ,,ერთმეოდათ ენა და ეკლესია, მათი ცხოვრებისა და მათი განვითარების ეს სულიერ-ზნეობრივი საფუძვლები".[73]

ლევან ზუბალაშვილმა გულთან ახლოს მიიტანა მრევლის გასაჭირი. გარდა იმისა, რომ აქ დაკრძალულნი იყვნენ მისი წინაპრები, ის თავად იყო ეკლესიის მრევლის წევრი. კავკასიის მეფისნაცვლის სახელზე დაწერილ

---

71. იქვე.

72 . ნიკოლოზ გიორგის ძე ზუბალაშვილის მეუღლე. იხ. თემურ შარიქაძე, ,,ზუბალაშვილების სავაჭრო-სამრეწველო და საქველმოქმედო მოღვაწეობა", *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე* II, 47-B (2011): 450.

73. სცა, ფონდი №1645, ანაწერი №1, საქმე №113.

განცხადებაში (1912 წლის 8 დეკემბერი) განმარტებულია პირობები, რომელთა შესრულების შემთხვევაშიც სომეხ კათოლიკეებს მის მიერ გამოყოფილი 35 000 მანეთით სარგებლობის უფლება ექნებოდათ. ზუბალაშვილი ფულს გირაოს სახით განათავსებდა ხაზინაში, მეფისნაცვლის პირად ანგარიშზე.[74] თანხის სანაცვლოდ მოდავე მხარეს უარს ამბობდა ეკლესიაზე, ხოლო მთავრობას 1893 წლის დადგენილებაში შესაბამისი ცვლილება უნდა შეეტანა. ამ მოთხოვნების შესრულების შემდგომ, როდესაც მიძინების ეკლესია საბოლოოდ გადავიდოდა ქართველ კათოლიკეთა ხელში, 35 000 მანეთი სომეხ კათოლიკეთა წარმომადგენელს გადაეცემოდა. ზემოთჩამოთვლილი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ფული ზუბალაშვილს უბრუნდებოდა.[75] ამ მოთხოვნებს დათანხმდნენ სომეხი კათოლიკეები, მხოლოდ ეკლესიის აშენებამდე მათი წარმომადგენელი უნდა დარჩენილიყო ვიკარის თანამდებობაზე ხელფასის შენარჩუნებით. ფულის მიღებისთანავე ისინი დაუყონებლივ შეუდგებოდნენ მშენებლობას.[76]

თავის დაზღვევის მიზნით, დადგენილების გაუქმებაში დახმარებას მიხეილ ანტონოვი ეპისკოპოს კესლერსაც სთხოვს (1912 წლის 16 იანვარი).[77] ეპისკოპოსის პასუხში ნათქვამია, რომ შუამდგომლობა გაგზავნილ იქნა შინაგან საქმეთა მინისტრთან, ხოლო კავკასიის მთავარმართებლის დახმარება საჭირო არ არის.[78]

სავარუდოდ, პირობა ორივე მხარემ შეასრულა, თუმცა, როგორც ცნობილია, სომეხ კათოლიკეებს თბილისში საკუთარი ეკლესია არ აუშენებიათ, რასაც ხელი მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა შეუშალა. 1914 წელს დაწყებულმა პირველმა მსოფლიო ომმა საქართველოშიც შეაჩერა მსხვილმასშტაბიანი მშენებლობები, ხოლო 1921 წელს ქვეყნის გასაბჭოების შემდგომ, ცხადია, ეკლესიის აგების ნებას

74. განცხადებას თან ერთვოდა აზოვ-დონის კომერციული ბანკის საკრედიტო წერილი.
75. სცა, ფონდი №1645, ანაწერი №1, საქმე №113.
76. იქვე.
77. იქვე.
78. იქვე.

სომხებს აღარავინ დართავდა. სომეხ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორის მ. ოღანიანის მიერ თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესიის ზედამხედველის ემანუილ ვარდიძისადმი მიწერილი წერილიდან (1930 წლის 1 დეკემბერი) ირკვევა, რომ სომხურ-კათოლიკური მრევლი თბილისის მიძინების ქართულ-კათოლიკურ ეკლესიით სარგებლობდა. ეკლესიის დახურვის შემდგომ შენობის გარეშე დარჩენილებმა დახმარებისთვის წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესიის ზედამხედველს მიმართეს. სალოცავი სივრცე მათ ყოველთვიურად 100 მანეთი ქირის სანაცვლოდ ჰქონდათ დათმობილი.[79]

თბილისის მიძინების ეკლესიის ამჟამინდელი სახე ძირითადად 1884-1886 წლების რეკონსტრუქციის შედეგად ჩამოყალიბდა, თუმცა მისმა აღმოსავლეთ მხარემ ნაწილობრივ შეინარჩუნა თავდაპირველი, 1804-1808 წლების არქიტექტურული ფორმები. დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული დარბაზული ნაგებობა აღმოსავლეთით სწორკუთხა საკურთხევლით სრულდება (ილ. 11). მის ორსავე მხარეს საკრისტიებია განლაგებული. დასვლეთით არის ორღანისათვის განკუთვნილი პატრონიკე - მეორე სართულის დონეზე ჩაშენებული ხის გალერეა, რომელიც წინა მხარეს ხისავე სვეტებს ეყრდნობა (ილ. 12). დარბაზულ სივრცეს ხურავს ხის ძელაკებით აწყობილი და შელესილი ცრუ ჯვაროვანი კამარა.

ფასადებზე მკაფიოდ განირჩევა 1804-1808 და 1884-1886 წლების სამშენებლო ფენები. ეკლესიის ძველი ნაწილი შელესილი და შეღებილია. გრძივი და აღმოსავლეთი ფასადების ნალესობით გამოყვანილი დეკორი კლასიცისტური და ნეოგოთიკური ელემენტების ნაზავს წარმოადგენს. შეისრული სარკმლების ვიმპერგები კაპიტელებით დასრულებულ ორსაფეხურიან პილასტრებს ეფუძნება. კედლის სიბრტყეების ორ იარუსად გამყოფი პროფილირებული სარტყელი და კარნიზი კლასიციზმის რეპერტუარიდან არის ნასესხები, ხოლო ვარდულების ორსავე მხარეს

79. სცა, ფონდი №1645, ანაწერი №2, საქმე №19.

გამოყვანილი ცრუ თაღების მსგავსი არქიტექტურული ელემენტები მკაფიოდ ნეოგოთიკურია (ილ. 13).

ეკლესიის ერთადერთი ნაწილი, რომელსაც ახლაც გამოხატულად კლასიცისტური იერი აქვს, ძველი სამრეკლოებია (ილ. 14). კვადრატულ საფუძველზე დამყარებული ოთხი თაღოვანი ღიობით გახსნილი ფანჩატურები ჯვრული კამარებით არის გადახურული. ჯვრის მკლავებს შორის, მძლავრად პროფილირებული კარნიზის თავზე, ფრონტონებია მოწყობილი. ფანჩატურის წაკვეთილ კუთხეებს შეწყვილებული ნახევარსვეტები აუყვება. როგორც ჩანს, სამრეკლოებს 1880-იანი წლების რეკონსტრუქცია არ შეხებია, მათი თავდაპირველი, 1804-1808 წლების არქიტექტურული გადაწყვეტა უცვლელი დარჩა.

საკურთხეველსა და საკრისტიებს აღმოსავლეთიდან მთელ სიგანეზე ეკვრის გეგმით ლათინური U-ს ფორმის დაბალი სათავსი (ილ. 15). ის უშუალოდ მხოლოდ საკრისტიებს უკავშირდება და საკურთხეველში არ გადის. მასში მოხვედრა სამხრეთ ფასადში გაჭრილი კარიდანაც არის შესაძლებელი. ამ სათავსის ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხეები როგორც გარედან, ისე შიგნიდან წაკვეთილია. მისი სახურავის ზემოთ ეკლესიის სწორი აღმოსავლეთი კედლის კედლის დამაგვირგვინებელი ფრონტონი მოჩანს.

მიშენებული დასავლეთი მონაკვეთი დაახლოებით ორნახევარი მეტრის სიმაღლემდე მოვარდისფრო თლილი ქვითაა მოპირკეთებული, ხოლო ამის ზემოთ შეულესავი აგურისაა (ილ. 16). იმავე ქვით არის გამოყვანილი თაღები, ვიმპერგები, შუაკედლისები, ვარდული და კარნიზი. დასავლეთ ფასადს მთლიანად ნეოგოთიკური იერი აქვს. მასში მოწყობილი შეისრულთაღოვანი პორტალი ორივე მხრიდან ფლანკირებულია ასეთივე მოყვანილობის შეღრმავებებით. სამივეს ადგას ერთმანეთზე გადაბმული ვიმპერგები. განაპირა ვიმპერგებს ფასადის კიდეებზე აქვს ჰორიზონტალურ გადანაკეცები, რომლებიც შენობის კუთხეებს უვლის და

გრძივ ფასადებზე გადადის. მათ ებმის თითო ასეთივე ვიმპერგი დასავლეთი ნაწილის სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადებზე.

დასავლეთი კარის ასწვრივ ფასადზე მოწყობილი ღრმა შეისრულთაღიანი ნიშა ახლა ჩვილედი ღმრთისმშობლის ფერად ქანდაკებას უკავია. ის შუა ვიმპერგის კეხზე დადგმულ პატარა კვარცხლბეკზეა აღმართული. რამდენადაც ძველ ფოტოსურათზე გაირჩევა, თავდაპირველად აქ მდგარა ღმრთისმშობლის უბიწო გულის იკონოგრაფიული ტიპის ქანდაკება, რომელიც საბჭოთა პერიოდში მოხსნეს (ილ. 17). ნიშის თავზე დიდი ვარდული, ხოლო აქეთ-იქით შედარებით დაბალი ორ-ორი ვიტრაჟიანი სარკმელია. ინტერიერში ეს ღიობები პატრონიკეს არეშია მოქცეული. ძველი ფოტოსურათის მიხედვით, ადრე ფანჯრების ადგილი ფრანგულ აივნებს ეკავა, თუმცა, ძნელია იმის თქმა, სარკმლების მინა სადა იყო თუ ფერადოვანი. ვარდულის ვიმპერგის ზემოთ დასავლეთ კედელში გაჭრილია კიბისებურად განლაგებული ხუთი ღიობი, რომლებიც კამარასა და სახურავს შორის მოთავსებულ სივრცეს ანათებს. ღიობების ჟალუზების დაქანებული ფირფიტები გვაფიქრებინებს, რომ ამ სივრცეს სამრეკლოს ფუნქცია ჰქონდა - ასეთი დახრა, როგორც წესი, ზარის ხმისათვის მიმართულების მისაცემად კეთდებოდა ხოლმე.

საბჭოთა პერიოდში ეკლესია სპორტდარბაზად აქციეს და ახალი ფუნქციის შესაბამისად გადააკეთეს. მისი ინტერიერის ძველი სახის წარმოდგენის საშუალებას იძლევა 1904 წლის დ. ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტოსურათი, რომელზეც ეკლესიაში დასვენებული სტეფანე ზუბალაშვილის კუბოა გადაღებული (ილ. 18). გვირგვინებით დაფარული კუბო საკურთხევლის წინ დგას. კადრი საკურთხევლის კონქის ქვემოთ არის გადაჭრილი. აღმოსავლეთი კედლის ცენტრში შეისრული თაღით მონიშნული ღრმა საკურთხეველია. მის აქეთ-იქით ეკლესიის ძირითადი სივრციდან საკრისტიებში შესასვლელი მართკუთხა ღიობებია გაჭრილი (ჩრდილოეთი კარი ფოტოზე ცუდად განირჩევა, თუმცა მის არსებობას ეკლესიის 1902 წლის გეგმაც ადასტურებს). ღიობების თავზე

კედლის სიბრტყე შეისრული მოყვანილობის თითო ნიშას უკავია (ფოტოსურათზე მხოლოდ ჩრდილოეთი ნიშა ჩანს). ნიშებსა და საკურთხეველს შორის აყოლებული პილასტრების დაახლოებით შუაში სადგამებია წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ქანდაკებებისთვის (ორივე ქანდაკება დღეს წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკურ ეკლესიაშია გადატანილი). საკურთხეველში იდგა დიდი ზომის ბალდახინი, რომელშიც ფერწერული ხატი (სავარაუდოდ ღმრთისმშობლისა) იყო დასვენებული.

ეკლესიას გრძივ კედლებში, როგორც ითქვა, თავიდან სამ-სამი თაღოვანი სარკმელი ჰქონდა. 1884-1886 წლების რეკონსტრუქციის დროს შუა სარკმლები ღრმა ნიშებად აქციეს და გარედან დამატებით მიადგეს შვერილი მოცულობები, რომელთაც ფასადებზე ერკერების სახე აქვს (ისინი დატანილია 1902 წლის გეგმაზე). ამ ნიშებში ახლა (ალბათ ადრეც) შეღებილი ქანდაკებები დგას: სამხრეთ ნიშაში - ღმრთისმშობლისა, ჩრდილოეთისაში - წმ. ქრისტეფორესი ყრმა იესოთი. ინტერიერის კედლებს ქვის მოპირკეთება ჰქონდა. შელესილი და სავარაუდოდ, ოქროსფრად შეღებილი იყო დეკორატიული ელემენტები - კედლების წიბოებზე აყოლებული ლილვები, კუთხის სვეტები და სხვა.

1998-1999 წლებში ეკლესია, რომელიც კვლავ კათოლიკე მრევლის საკუთრებაში გადავიდა, კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორის ჯუზეპე პაზოტოს ინიციატივით აღადგინეს (არქიტექტორი ა. სოლომნიშვილი) და ღმრთისმშობლის ამაღლების სახელზე აკურთხეს. ამ განახლების დროინდელია საკურთხევლის მოხატულობა და ანგელოზთა მოზაიკური გამოსახულებები დასავლეთ ფასადზე, კარის აქეთ-იქით.[80]

80. *საქართველოს ძველი ქალაქები, თბილისი,* წიგნი მოამზადეს და გამოსცეს მ. ბულიამ და მ. ჯანჯალიამ (თბილისი: ბეთანია, 2006), 127, ანოტაცია №46.

1.3. თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესია

თბილისში მეორე კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის გადაუდებელი აუცილებლობა 1863 წელს დადგა, როცა რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ პოლონეთის აჯანყების ჩახშობის შემდგომ თბილისში პოლონელთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი გადმოასახლა.[81] ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიის მრევლი ძირითადად ქართველი და სომეხი ეროვნების კათოლიკეებისგან შედგებოდა. ისინი ქალაქში მცხოვრები უცხოელებისთვის საკუთარი ეკლესიის ასაშენებლად ნებართვის გაცემას ჯერ კიდევ 1860 წელს ითხოვდნენ.[82] ეკლესიის პოლონელი წინამძღვრით უკმაყოფილო მრევლი საკუთარ გაღიზიანებას წირვა-ლოცვაზე დამსწრე უცხოელების (პოლონელები, ფრანგები) მიმართაც გამოხატავდა, თუმცა ამ უკანასკნელთა სიმცირის გამო მათთვის ცალკე ეკლესიის აგების მოთხოვნა მთავრობისთვის ნაკლებად დამაჯერებელი ჩანდა. პოლონელთა გადმოსახლებამ ახალი ეკლესიის მშენებლობას მყარი საფუძველი შეუქმნა. ამ საკითხით ახლა მხოლოდ ადგილობრივი თემი როდი იყო დაინტერესებული.

პოლონეთის სამეფოსგან განსხვავებით, სადაც ამბოხებულთა დამარცხების შემდეგ ეკლესია-მონასტერთა უმეტესობა რუსეთის მთავრობამ დახურა, ხოლო არქიეპისკოპოსი ფელინსკი და ეპისკოპოსი რზევუსკი ქვეყნიდან გააძევა,[83] თბილისში გადმოსახლებულ პოლონელებს შედარებით თავისუფალი გარემო დახვდათ.[84] პოლონელთა უმეტესობა რელიგიური ადამიანი იყო, მათ იდენტობას დიდწილად სწორედ რომაულ-კათოლიკური

---

81 . ადამ ოხალი, ,,პოლონელთა წვლილი საქართველოს კათოლიკური ეკლესიის მოღვაწეობაში", კრებულში: *პოლონელების 200 წელი კავკასიაში. ქართულ-პოლონური ურთიერთკავშირები.* რედ. მ. ფილინა (თბილისი, 2004): 39.

82 . ანჯეი ფურიერი, ,,თბილისის პეტრე-პავლეს ეკლესიის ისტორიიდან", *თბილისის უნივერსიტეტის შრომები* 310 (1992): 225.

83. Stephen D. Corrsin, ,,Warsaw, Poles and Jews in a Conquered City", წიგნში: M. F. Hamm, ed., *the City in Late Imperial Russia* (Bloomington: Indiana University Press, 1986), 130.

84. თბილისში მცხოვრები და მოღვაწე პოლონელების შესახებ ვრცლად იხ.: Andrzej Furier, *Polacy w Gruzi,* (Warszawa: Wydawnictwo Trio, 2009).

ეკლესიისადმი კუთვნილება განსაზღვრავდა [85] და, ამდენად, საკუთარი ეკლესიის ქონა უცხო ქალაქში მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

ღმრთისმშობლის მიძინების წინამძღვარმა მაქსიმილიან ორლოვსკიმ[86] მთავრობა მეორე კათოლიკური ეკლესიის საჭიროებაში მარტივად დაარწმუნა. 1866 წლისთვის თბილისში დაახლოებით 4000 კათოლიკე ცხოვრობდა. მიძინების შედარებით მცირე ზომის ეკლესია ამხელა მრევლს ვეღარ იტევდა, წირვა-ლოცვაზე დამსწრეთა ნაწილს შენობის გარეთ უწევდა დგომა. არაკომფორტული გარემოს გამო, ზოგიერთი მორწმუნე საერთოდ აღარ ესწრებოდა ღმრთისმსახურებას.[87]

ეკლესიის მზრუნველობამ გადაწყვიტა სასწრაფო ზომები მიეღო შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად და სულ ცოტა 600-კაციანი ეკლესია აეგო. შენობის პროექტი დაუკვეთეს არქიტექტორ ალბერტ ზალცმანს. ხარჯთაღრიცხვამ, რომელიც გუმბათის მშენებლობასა და ინტერიერის ნაძერწობით შემკობას არ ითვალისწინებდა, 23 423 მანეთი შეადგინა.[88]

იმის გამო, რომ მიძინების ეკლესიას მიწის ნაკვეთის შესაძენი თანხა არ გააჩნდა, ორლოვსკის კუკიაში არსებული თავისუფალი საეკლესიო მიწა შესთავაზეს. ამ წინადადებამ წინამძღვარი მაინცდამაინც ვერ მოხიბლა. მისი აზრით, ნაკვეთი მცირე ზომის იყო და მასზე ეკლესიის, მღვდლისა და ეკლესიის მსახურთა სახლების განთავსება ვერ მოხერხდებოდა. სანაცვლოდ ის სოლოლაკში კათოლიკური ეკლესიის კუთვნილი ბაღის (დღევანდელი ჭონქაძისა და გერგეტის ქუჩების მიმდებარე ტერიტორია) მახლობლად მდებარე მიწის ვრცელი ნაკვეთის დათმობას ითხოვდა. [89] ეკლესიის მზრუნველობა ამავე ეკლესიის საბჭოს სთხოვდა შესაბამის პირებთან შემდეგი საკითხების მოსაგვარებლად ეშუამდგომლა: 1. გეგმისა

85. Stephen D. Corrsin, ,,Warsaw Poles and Jews in a Conquered City", 129.
86 . მაქსიმილიან ორლოვსკი 1852 წელს დანიშნეს ვიზიტატორად და თბილისის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიის წინამძღვრად. ის 1891 წელს გარდაიცვალა და კუკიის კათოლიკურ სასაფლაოზეა დაკრძალული.
87. სცა, ფონდი №1645, ანაწერი №1, საქმე №20.
88. იქვე.
89. იქვე.

და პროექტის დამტკიცება; 2. სოლოლაკში მდებარე მიწის ნაკვეთზე ეკლესიის აგების ნებართვა; 3. მშენებლობისთვის შემოწირულობათა შეგროვების უფლება კავკასიასა და მის ფარგლებს გარეთ; 4. მშენებლობის ზედამხედველობისთვის საგანგებო კომიტეტის დაარსება.[90]

ორლოვსკი ძალინ ჩქარობდა მშენებლობის დაწყებას. მან გადაწყვიტა მიძინების ეკლესიის საძმოსგან 10 000 მანეთი ესეხა, რათა ამ ფულით სამშენებლო მასალის მოსამზადებლად შემოდგომისა და ზამთრის სეზონები გამოეყენება და 1867 წლის გაზაფხულზე უკვე დაეწყო მშენებლობა. [91] სათანადო ნებართვების მიღების პროცესმა რამდენიმე წელიწადს გასტანა. მიძინების ეკლესიამ სოლოლაკის მიწის ნაკვეთის დათმობაზე უარი განაცხადა და მშენებლობა კუკიაზე, ნიკოლოზისა (დღევანდელი მ. ჯავახიშვილის ქ.) და მელიქოვის (დღევანდელი კ. აბაშიძის ქ.) ქუჩების კვეთაზე დაიწყო (მ. ჯავახიშვილის ქ. №53 / კ. აბაშიძის ქ. №8). 1870 წლის მაისში ეკლესიის შენობის საძირკვლის ჩაყრა საზეიმოდ აღინიშნა. ზოგადად, ეკლესიების მშენებლობასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს თბილისში ყოველთვის სახალხო ზეიმის სახე ჰქონდა. მათში განსხვავებული რელიგიური თუ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები, მათ შორის მაღალი საერო და სასულიერო თანამდებობის პირები მონაწილეობდნენ. როგორც ეკლესიის მშენებლობის დაწყების, ისე კურთხევის შესახებ ყოველთვის წერდა ადგილობრივი პრესა. წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესიის საძირკვლის გაჭრის ცერემონიალი საინტერესო კუთხით გააშუქა ივანე კერესელიძემ ჟურნალ ,,ცისკარის" ფურცლებზე. ის აღწერს სცენას თუ როგორი ხალისით ეხმარებოდნენ სტუმრები ხელოსნებს, რომელთაც საძირკვლის კედლები ამოჰყავდათ:

> რამწავს გათავდა სამღრთო რიგი, - დიდი თუ პატარა, ღარიბი თუ მდიდარი, ქალი თუ კაცი, სომეხი თუ ქართუᲑᲚი, კათოლიკე თუ რუსი, მისცვივდნენ მასალასა და უნდა ენახა კაცსა, თუ რა გულ-მხურვალედ და სასოებით

90. იქვე.
91. იქვე.

ეზიდებოდნენ კალატოზებთან, რომელთაცა ამოჰყვანდათ საძირკველი; ჯინი[92] ჯინზედ მიდიოდა, და ამ ჯინსა სწევდნენ კვნესით, მაგრამ მხიარულების ღიმილით რამდენიმე ნარნარი და ნაზი ქალები, რომელთ შორის იყვნენ გასათხოვრებიც.[93]

ეკლესიის მშენებლობა კონსტანტინე ზუბალაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით წარიმართა. ის ,,...მოუღალავად ყოველ დღე ზედ შენობას ადგია და სთესავს დაუჭკნობელ ღვაწლსა..."[94] - იუწყებოდა პრესა 1873 წელს. ნაგებობა პოლონელ და ქართველ კათოლიკეთა ფინანსური დახმარებით 1877 წელს ძირითადად დასრულდა. პოლონელებისა და ქართველების გარდა, მრევლის წევრები იყვნენ კათოლიკე გერმანელებიც, თუმცა მათი რიცხვი შედარებით ნაკლები იყო.

ახალი ეკლესიის კურთხევა პომპეზურად აღინიშნა. მისმა არქიტექტურამ თანამედროვეთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ადგილობრივი პრესა წერდა:

გასულ კვირას კუკიაში აკურთხეს ახალ-აშენებული ფრანგების (კათოლიკეების - ნ. ნ.) ეკკლესია. დიდ-ძალი ხალხი ფრანგები და არაფრანგები - დაესწრო ამ ცერემონიას, რადგან თეატრის ორკესტრი მუზიკას უკრავდა. ეკკლესია ჩინებულს პლანზედ არის აშენებული; მაგრამ ჯერ კიდევ გათავებული არ არის.[95]

ასეთი სახით არის აღბეჭდილი ეკლესია დიმიტრი ერმაკოვის მიერ 1870-იანი წლების მიწურულს გადაღებულ ფოტოსურათზე (ილ. 19). აგურით ნაგები, შეულესავი და მოურთავი შენობა გუმბათის გარეშე დგას. ამოყვანილია მხოლოდ მისი წრიული ძირი, რომელზეც დაბალი დროებითი სახურავია მოწყობილი.

---

92 . ,,მოწნული პირგანიერი დაბალი კალათი ტვირთის გადასაზიდავად; ორ კაცს სახელურებით მიაქვს (ანუ ურემზე დგამენ)"; *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.* (თბილისი: ქართული საბჭ. ენციკლოპედიის მთ. სამეცნიერო რედაქცია, 1986), 587.
93. *ცისკარი*, 1870, მაისი, 254-255.
94. *ცისკარი*, 1873, ივლისი და აგვისტო, 69.
95. *დროება*, 1877, 19 ოქტომბერი, №171, 3.

მშენებლობის დასრულებისა და კურთხევის მიუხედავად, ეკლესია ჯერ კიდევ არ იყო ლიტურგიისა და მრევლისთვის საჭირო ყველა ნივთით აღჭურვილი. მათი შეძენა თანდათანობით, რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. [96] დ. ერმაკოვის 1880-იანი წლების მიწურულის ფოტოსურათზე ჩანს, რომ ინტერიერის დეკორატიული სამუშაოები დამთავრებულია (ილ. 20). შენობა სრულად არის გამართული მერხებით, ტრაპეზით, ხატებით [97] და სხვა საჭირო ნივთებით, თუმცა გუმბათი მას კვლავ არა აქვს - ცენტრალურ სივრცეს ხის კოჭებზე გამართული დროებითი სახურავი ადგას. გუმბათი ეკლესიას საფუძვლის ჩაყრიდან 27 წლის შემდეგ, 1897-1898 წლებში დააშენეს. ამ დროს დასრულდა ფასადების შელესვა და ნაძერწი დეკორით შემკობაც. ინტერიერში შეიცვალა ტრაპეზი და განთავსდა ბაროკული სტილის ბალდახინი (ილ. 21).

ეკლესია ა. ზალცმანის პროექტის[98] მიხედვით აიგო, თუმცა ცალკეული დეტალებით განსხვავდება მისგან (ილ. 22). ეს არის დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული შენობა, რომელიც აღმოსავლეთით ნახევარწრიული შვერილი აფსიდით სრულდება. საკურთხევლის წინ ნავს მოკლე ტრანსეპტი კვეთს. მათ გადაკვეთაზე, ცენტრში დიდი გუმბათია აღმართული. ნავსა და ტრანსეპტს შორის კუთხეებში აღმოსავლეთით მოწყობილია საკურთხევლის დამატებითი სათავსები, დასავლეთით - მართკუთხა ფორმის ორ-ორი ვიწრო სადგომი. ამათგან აღმოსავლეთის წყვილი სამეურნეო დანიშნულებისაა და ზედ სამრეკლოები ადგას, დასავლეთისაში სამრეკლოებზე ასასვლელი კიბეებია მოწყობილი. ამ ვიწრო სადგომებში მოხვედრა მხოლოდ ნავის ჩრდილოეთ და სამხრეთ

---

96. ანჯეი ფურიერი, ,,*თბილისის პეტრე-პავლეს ეკლესიის ისტორიიდან*", 226.

97. მაცხოვრის ამაღლების ხატი, რომელიც დღესაც დევს საკურთხეველში, ეკლესიის ძველი მორთულობის ნაწილია.

98. სცა, ფონდი №1645, ანაწერი №2, საქმე №1.

ეკლესიის პროექტის კიდევ ორი ასლი არსებობს. ერთი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმშია (,,ქარვასლა") დაცული (საარქივო ნომერი: ი-250), ხოლო მეორე საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმის ძველი ქართული ხელოვნების ხუროთმოძღვრული ძეგლების, ნახაზების და ანაზომების ფონდში ინახება (№ბ-61). მაია მანია, *ევროპელი არქიტექტორები თბილისში* (თბილისი: 2006), 40, შენიშვნა 28.

კედლებში გაჭრილი კარებით არის შესაძლებელი. გარედან ამ სადგომების მოცულობები ტრანსეპტს ებმის და მის ნაწილად აღიქმება.

დასავლეთ ფასადის ცენტრში გაჭრილი კარის წინ რვასაფეხურიანი, განიერი პარადული კიბეა მოწყობილი (ილ. 23). ა. ზალცმანის პროექტზე შესასვლელის დიდი ღიობის თაღის არე ხის დაფებითაა შევსებული. ისინი ჩანს 1870-იანი წლების ფოტოსურათზეც (ილ. 19). მშენებლობის პროცესში თაღი ამოაშენეს და ცენტრში წრიული ვიტრაჟი ჩასვეს. კარის ორსავე მხარეს განთავსებული ნიშები პროექტით ქანდაკებებისთვის იყო განკუთვნილი. ერთხანს ამ ნიშებში ღიობები გაჭრეს (ჩანს ძველ ფოტოსურათზე). საბოლოოდ ისინი ამოავსეს, მაგრამ ქანდაკებები აღარ დაუდგამთ. ნიშების თავზე წრიული სარკმლებია მოწყობილი. მშენებლობის ადრეულ ეტაპზე ასეთივე სარკმელი კარის თავზეც იყო (ესეც ძველ ფოტოსურათზე ჩანს), თუმცა პროექტით ის ნაგულისხმევი არ ყოფილა და შენობის დასრულებისას ამოქოლეს, მაგრამ მართკუთხა სიბრტყე კარის ზემოთ პროექტთან შედარებით უფრო მდიდრულად გააფორმეს: მისი ზედა კიდე მრუდხაზოვანი გახდა, ხოლო შუაში დარჩა გაუქმებული წრიული სარკმლის ჩარჩო. დასავლეთი ფასადის დაბოლოებას ბაროკოსათვის სახასიათო მდიდრული სახე აქვს - ცენტრში აღმართულია ვიწრო პარაპეტი ღრმა თაღოვანი ნიშით, ხოლო მის ორსავ მხარეს გადადის გიგანტური ვოლუტები (ძველ ფოტოსურათზე ისინი ჯერ კიდევ არ არის გაკეთებული, მათ ადგილას სადა დახრილი სიბრტყეებია).

პროექტის მიხედვით, ტრანსეპტის მკლავები შენობის ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლებიდან მცირედ უნდა ყოფილიყო შვერილი. აგებულ ეკლესიაში ამ შვერილებმა კიდევ უფრო პატარა, დაბალი მოცულობების სახე მიიღო. ისინი ფრონტონებით სრულდება. გრძივ ფასადებს კომპოზიტურკაპიტელებიანი კანელირებული პილასტრები ანაწევრებს. მათ შორის არეებში ქვემოთ თაღოვანი შეღრმავებებია, ზემოთ - ასევე თაღოვანი დაბალი და ფართო სარკმლები. თაღები პროფილირებულია, მათ საჭექ ქვებს ქვედა რიგში პაწია სამყურა ნიშები და ნაძერწი

სკულპტურული თავები ამკობს, ზემოთ - დეკორატიული ხვეულები. ფასადების შუა ნაწილებს აქაც პარაპეტები და ბაროკული ვოლუტები აგვირგვინებს.

მდიდრული გაფორმებით გამოირჩევა გუმბათი (ილ. 24). მის თორმეტ წახნაგში გაჭრილია თითო თაღოვანი სარკმელი, რომლებსაც პროფილირებული თავსართები ამკობს. კუთხეებს პილასტრები ფარავს, რის გამოც გუმბათი მრგვალი ჩანს. ისინი ზედა ნაწილში კანელირებულია, ქვემოთ - გლუვი და რბილად გადადის მრუდხაზოვან შვერილებში (პროექტის მიხედვით, აქაც დიდი ვოლუტები უნდა ყოფილიყო). პილასტრების კაპიტელებსა და სარკმლების თაღების საჭექ ქვებს დახვეული ბალუსტრების სახე აქვს. გუმბათის ნახევარსფერულ თავს პატარა სანათი (ლანტერნი) აბოლოებს.

ტრანსეპტის დასავლეთით განთავსებული თითო პატარა სამრეკლო ერთმანეთზე დადგმული ორი რვაწახნაგა მოცულობისაგან შედგება (ილ. 25). ზედა ნაწილში დიდი თაღოვანი ღიობებია, ქვედაში - ასეთივე ფორმისა, ოღონდ უფრო პატარა. ორ იარუსს ერთმანეთისაგან მძლავრად პროფილირებული კარნიზი ჰყოფს. როგორც მოწმობს 1870-იანი წლების ფოტოსურათი, მშენებლობის დასაწყისში დეკორის უფრო გართულება უცდიათ და კარნიზის ზემოთ ყოველი წახნაგის თავზე მონაცვლეობით სამკუთხა და მშვილდთაღოვანი ფრონტონები გაუკეთებიათ. თუმცა საბოლოოდ ისინი მოხსნეს და კარნიზს ისეთი სახე მისცეს, როგორც პროექტზე აქვს. ორსავე სამრეკლოს ოდნავ კვერცხისებური გუმბათი ადგას, რომლის ქვედა კიდე ტეხილი კარნიზით არის მონიშნული.

აღმოსავლეთ ფასადზე სამი სარკმელია გაჭრილი (ილ. 26). შუაკედლისებს თითო პილასტრი აუყვება, ხოლო სარკმლების ზემოთ კედლის სიბრტყეს აფორმებს ერთმანეთის თავზე განთავსებული სამ-სამი შეღრმავებული მართკუთხედი, რომელთაგან შუაში დამატებით წრეებია ჩახაზული. საკურთხევლის აფსიდის დიდ ცილინდრულ შვერილს ორივე მხრიდან ბევრად უფრო დაბალი და პატარა წახნაგოვანი მოცულობები

ეკვრის. ეს დამატებითი სათავსებია, რომლებიც ა. ზალცმანის პროექტში ნაგულისხმევი არ ყოფილა.

ექსტერიერის მსგავსად, იმპოზანტურად გამოიყურება ეკლესიის შიდა სივრცეც (ილ. 27). დასავლეთი კარიდან შემსვლელი ხვდება ვესტიბიულში, რომლის წინ განთავსებულ ორ სვეტზე წმინდა წყლის ნიჟარებია მოწყობილი. ამ სვეტებსვე ეყრდნობა პატრონიკეს მრუდხაზოვანი იატაკი (ილ. 28). ტრანსეპტის მკლავები თითო კაპელას, ხოლო საკურთხევლის მიმდებარე ოთახები საკრისტიებს უკავია. გრძივ კედლებში ერთმანეთის პირისპირ გაჭრილია სამრეკლოების ქვეშ მდებარე ოთახებში შესასვლელი კარები. ჩრდილოეთის ოთახს აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდი აქვს, სამხრეთისა კი მართკუთხაა.

საკურთხეველი, რომელიც ძირითადი სივრცისაკენ ფართო თაღით იხსნება, დაბალი რიკულებიანი მოაჯირით არის მოფარგლული. აფსიდის ცენტრი უკავია მართკუთხა ფორმის მარმარილოს ტრაპეზს, რომელზეც მაცხოვრის ამაღლების ხატი დევს. ისინი საგანგებოდ მათთვის შექმნილი ლითონის კონსტრუქციით არის გადახურული. ის შედგება ოთხი თავისუფლად მდგომი სვეტისა და მათზე დაფუძნებული გამჭვირვალე გუმბათისაგან. კონსტრუქცია ბაროკულ სტილშია გადაწყვეტილი. მისი მაღალი ბაზებითა და კომპოზიტური კაპიტელებით შემკული სვეტები, მსხვილი პროფილირებული კარნიზი და ოქროსფრად დაფერილი *Putto*-ს თავები ეკლესიის ინტერიერის დეკორს ეხმიანება.

შუა სივრცის დამაგვირგვინებელი დიდი გუმბათი განიერი თაღოვანი სარკმლების წყალობით უხვად არის განათებული (ილ. 29). გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასვლა აფრების მეშვეობით ხდება. გუმბათის როგორც ძირი, ისე ნახევარსფერო კესონირებულია. კედლები ბაროკოსათვის დამახასიათებელი სიუხვით არის გაფორმებული. დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლემდე მათ მთელ პერიმეტრზე შემოუყვება მოწითალო მარმარილოს დეკორატიული პანელების ფერწერული იმიტაცია. კედლის ზედა სიბრტყისგან მას გამოყოფს ნაძერწი

სარტყელი, რომელზეც ოქროსფრად დაფერილი პილასტრებია აღმართული. მათ კაპიტელებს სიბრტყეებს შორის მცენარეულ ორნამენტში ჩართული *Putto*-ს თავები ამკობს. გრძივ კედლებში მოწყობილი ნიშებისა (ისინი საფასადო ნიშებს შეესაბამება) და სარკმლების თაღებს თავსართები ევლება. მძლავრად პროფილირებული სარტყლებითაა შემკული პატრონიკის ტეხილი მოაჯირი. მოზაიკური ხსნარით მოგებული დეკორატიული იატაკი ა. ანდრეოლეტის სახელოსნოს მიერ არის შესრულებული. მისი გვარი ოქრისფერი ასოებით ეკლესიის შესასვლელშია გამოყვანილი.

დ. ერმაკოვის 1870-იანი წლების ფოტოსურათზე წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესიის არც თუ ვრცელ ეზოს ხის ღობე საზღვრავს. 1891 წელს ის ივანე ჯიმშერაშვილის (ჯიმშეროვის) ოჯახის შეწირულობით აშენებულმა გალავანმა შეცვალა. გალავანი შედგება ნაშენი ცოკოლისა და სვეტებისაგან, რომელთა შორის ლითონის აჟურული მოაჯირებია ჩასმული. შესასვლელი ჭიშკრის ბოძებზე ქართულ და რუსულ ენებზე სამშენებლო წარწერებია განთავსებული:

გალავანი ესე აგებულ არს 1891 წელსა. წარსაგებელითა მიხეილ, პავლე, ნიკოლოზ და დედისა მათისა მარიამ ჯიმშეროვებისათა საუკუნო სახსენებლად ქრისტეს მოყვარე შემწირველისა მამისა და მეუღლისა ივანე პეტრეს ძე ჯიმშეროვისა. JOANNE! VIVAS IN DOMINO PX!

კუკიის წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესია, რომელიც პოლონელთა ინიციატივით და დიდწილად მათი სახსრებით აშენდა,[99] ეროვნული

99. მ. თამარაშვილი საგანგებოდ აღნიშნავს წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესია უმთავრესად პოლონელთათვის აშენდაო. ამ შენიშვნას საქართველოში ზოგიერთი კათოლიკე მღვდლის უკმაყოფილება გამოუწვევია. მაგალითად, ახალციხელი მღვდელი ლაზარე გოზალაშვილი საყვედურობს თამარაშვილს და სწერს, სჯობდა ეს ფაქტი საერთოდ არ გეხსენებინაო. ლ. გოზალაშვილის აზრით, რადგან წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესიის ასაშენებლად მიწის ნაკვეთი თბილისის მიძინების ეკლესიამ დათმო, ხოლო ზუბალაშვილმა და ჯიმშერაშვილმა დიდი თანხები გაიღეს, ამიტომ ის არა მხოლოდ ქართველთა საკუთრებად, არამედ მიძინების ეკლესიის თანაშემწედ უნდა ჩაითვალოსო (მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე*, 733; ლ.

იდენტობის არქიტექტურული მანიფესტაციის საყურადღებო მაგალითია. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მისი არქიტექტურა ადრეული ბაროკოს ხანის რომაულ ეკლესიებს ბაძავს. უთითებენ კონკრეტულ პროტოტიპსაც - ილ ჯეზუს ცნობილ ეკლესიას (1568-1584, არქიტექტორები ჯაკომო და ვინიოლა და ჯაკომო დელა პორტა) (ილ. 30).[100] ეკლესიის რომაულ ნიმუშს აღნიშნავდა იმდროინდელი პრესაც, ოღონდ არასწორად უთითებდა მის სახელობას[101]:

> როგორც შევიტყეთ, ეს ეკგლესია კეთდება იმ ჴელოვნებით, და იმ გვარად, როგორიც გაკეთებულია რომში პეტრე პავლეს საჴელობაზედ, მაგრამ რა საკჳირველია იმ სიდიდისა არ იქნება.

არჩევანს საფუძვლად აშკარა კულტურულ-ისტორიული მიზეზი ჰქონდა - ილ ჯეზუ, რომელიც აშენდა, როგორც იეზუიტთა ორდენის მთავარი ტაძარი, იეზუიტებმა თავიანთ მშენებლობაში მაგალითად აიღეს და მისი მიბაძვით XVII საუკუნეში არაერთი ეკლესია ააგეს მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი პოლონეთში (უფრო ზუსტად, რეჩ პოსპოლიტაში - კონფედერაციულ სახელმწიფოში, რომელიც იმხანად დღევანდელ პოლონეთზე გაცილებით ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა). ზოგიერთი მათგანი - მაგალითად, კრაკოვის წმ. პეტრე და პავლე (1605-1619) და ლვოვის წმ. პეტრე და პავლე (1613-1621) (ილ. 31 და 32) უფრო მეტად ჰგავს თბილისის ეკლესიას, ვიდრე თავად ილ ჯეზუ. შესაძლოა უბრალო დამთხვევა არც ის იყოს, რომ ეს ორივე ეკლესია, თბილისის ეკლესიის მსგავსად, პირველმოციქულთა სახელობისაა.

ვფიქრობ, თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესიის პროტოტიპის შერჩევა არქიტექტორის გემოვნებით არ მომხდარა. სურვილი, რომ ის ილ

გოზალიშვილის წერილი მ. თამარაშვილს, 1910, 10-14 ივნისი, საქმე №№1382, 1383, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი).

100. ვახტანგ ბერიძე, *თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917*, ტ. II (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1963), 65; მაია მანია, *ევროპელი არქიტექტორები თბილისში* (თბილისი: 2006), 40.

101. *ცისკარი*, 1870, მაისი, 255.

ჯეზუსა და მის პოლონურ რეპლიკებს ყოფილიყო მიმსგავსებული, უთუოდ თავად პოლონური თემის მესვეურთაგან მოდიოდა. განსხვავებით ნეოგოთიკისაგან, რომელიც XIX საუკუნეში კათოლიკური ეკლესიების უნივერსალურ არქიტექტურულ სტილად იქცა, იეზუიტური ტაძრების ბაროკო უშუალოდ ასოცირდებოდა პოლონეთთან და მისი ისტორიის ოქროს ხანასთან - XVII საუკუნესთან. ეს არ ყოფილა მარტოოდენ ,,ნაცნობი“ არქიტექტურული ფორმა, რომელიც კავკასიაში იძულებით გადახვეწილ პოლონელებს სამშობლოს მოაგონებდა, ეს იყო ერთგვარი სიმბოლო პოლონეთის დიდების ეპოქისა, რომელმაც XIX საუკუნეში, პოლონეთის სახელმწიფოებრიობის არარსებობის ხანაში, ეროვნული იდენტობის მარკერის მნიშვნელობა შეიძინა.

პოლონელი მრევლისთვის ეკლესია მხოლოდ სრულყოფილ რელიგიურ ცხოვრებასთან როდი იყო დაკავშირებული. ის აქტიური საზოგადოებრივი ცენტრის ფუნქციასაც ითავსებდა. უცხო ქალაქში აღმოჩენილი მრევლი წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესიის გარშემო გაერთიანდა და ჩამოაყალიბა საზოგადოება, რომელიც ,,პოლონური წარმოშობის მოქალაქეთა ზნეობრივი, რელიგიური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას“ ისახავდა მიზნად.[102] ეკლესიასთან მოეწყო სამრევლო სკოლა და ბიბლიოთეკა. გარკვეული დრო ეთმობოდა კითხვას, რელიგიურ-კულტურული თუ ზოგადსაგანმანათლებლო საკითხების განხილვას, ტარდებოდა კონცერტები, სპექტაკლები და გასართობი ღონისძიებები. საზოგადოება ასევე ცდილობდა ბროშურებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემას. [103] ეკლესიის მრევლი მართლაც აქტიურ როლს თამაშობდა XIX-XX საუკუნეების მიჯნის თბილისის კულტურულ ცხოვრებაში.

ქვეყანის გასაბჭოების შემდგომ, სხვა ეკლესიების მსგავსად, დახურვის საშიშროება წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკურ ეკლესიასაც დაემუქრა. ის და მთელი მისი ქონება სახელმწიფო საკუთრება გახდა, თუმცა ქირის

102. სცა, ფონდი №1645, ანაწერი №2, საქმე №20.
103. იქვე.

გადახდის სანაცვლოდ კათოლიკურ მრევლს ეკლესიით სარგებლობის უფლება შეუნარჩუნდა. 1928 წელს თბილისის საქალაქო აღმასრულებელმა კომიტეტმა საზოგადოებას ქირასთან ერთად შენობის ღირებულების შესაბამისი გადასახადიც დააკისრა.[104] ა. ფურიერის მიხედვით, ამ დროს ეკლესიის მრევლის უდიდეს ნაწილს ვოლგისპირეთიდან გადმოსახლებული გერმანელები შეადგენდნენ, რადგან საბჭოთა რევოლუციის შემდეგ პოლონელთა უმრავლესობამ თბილისი დატოვა და სამშობლოში დაბრუნდა. ხელმოკლე მრევლი გაჭირვებით, თუმცა მაინც ახერხებდა დაკისრებული თანხის დაფარვას. ეკლესია საბჭოთა პერიოდში არ დაუხურავთ.[105]

ეკლესიის შენობამ დროთა განმავლობაში დაზიანდა. მისი კედლები ბევრგან დაბზარულია. 1993 წელს გაჩენილმა ხანძარმა და ჩაქრობისას უხვად დასხმულმა წყალმა დააზიანა ინტერიერი. 2009 წლიდან ეკლესიაში მიმდინარეობს საკონსერვაციო სამუშაოები პოლონელი სპეციალისტების მონაწილეობით. მას შემდგომ კონსერვაცია ჩაუტარდა მთავარი საკურთხევლის ბალდახინს, გვერდით (სამხრეთ) საკურთხეველს და ეკლესიის ინტერიერის აღჭურვილობის ნაწილს. მომზადებულია შენობის გამაგრების პროექტი (საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელი - ევა სოვა-მროზი, პოლონეთის სენატის დაფინანსებით).[106]

1.4. თბილისის კათოლიკური სასაფლაოები და სამლოცველოები

კათოლიკეებს თბილისში სხვადასხვა დროს რამდენიმე სასაფლაო ჰქონდათ. მათი არსებობა დოკუმენტურად მხოლოდ XVIII საუკუნიდან დასტურდება. ვახუშტის 1735 წლის გეგმაზე №75-ით აღნიშნულია

---

104 . ეკლესიის შენობა 88 850 რუბლად შეფასდა. მისი ღირებულების გადასახადმა 444 რუბლი და 25 კაპიკი შეადგინა. ქირა 184 რუბლი და 12 კაპიკი იყო. სცა, ფონდი №1645, ანაწერი №2, საქმე №18.

105. ანჯეი ფურიერი, ,,*თბილისის პეტრე-პავლეს ეკლესიის ისტორიიდან*", 229.

106. *პირველი ქართულ-პოლონური სემინარი თემაზე: საქართველოში არსებული საერთო კულტურული მემკვიდრეობა, გამოსვლები* (თბილისი: 2018), 27-36, 47.

,,ფრანგთა სასაფლაო“ (ილ. 2). ის კალოუბნის აწ დანგრეული ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს, დაახლოებით დღევანდელი გრიბოედოვის თეატრის ტერიტორიაზე იყო განთავსებული.[107] სასაფლაო კაპუცინთა ორდენის ბერებს ეკუთვნოდა. ჟან შარდენს თავის 1673 წლის ნახატზე მხოლოდ ეკლესია და მისიონის ტერიტორია აქვს დატანილი, სასაფლაო მასზე აღნიშნული არ არის. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ იმხანად თბილისის მკვიდრი კათოლიკენი (მათი რიცხვი კი ძალიან მცირე იყო)[108] კაპუცინ მღვდლებთან ერთად ეკლესიის ეზოში იკრძალებოდნენ. მიწა გარეთუბანში სასაფლაოს მოსაწყობად მათ, საცხოვრებელ და წირვის ჩასატარებელ ორ სახლთან ერთად, სავარაუდოდ მეფე ვახტანგ V შაჰნავაზის დროს უნდა მიეღოთ, ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს 1720-იან წლებისა, ვინაიდან ვახუშტის გეგმა 1724 წლამდელ მონაცემებს ემყარება. სასაფლაოს გაუქმების თარიღი უცნობია. პიშჩევიჩის 1782 წლის გეგმაზე ის უკვე აღარ ჩანს.

XIX საუკუნის დასაწყისში პატრების ქონებას მიძინების ეკლესიასთან ერთად ბაღი, ორი ცარიელი ადგილი და ერთი სახლი შეადგენდა.[109] ერთ-ერთი ამ ,,ცარიელ ადგილთაგანი“ სოლოლაკში, მთაწმინდის აღმოსავლეთი კალთის ძირში, ახლანდელი ჭონქაძის ქუჩის ზემოთ მდებარეობდა. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, სწორედ აქ მოეწყო თბილისელ კათოლიკეთა სასაფლაო. იულიუს ფონ კლაპროთი, რომელიც თბილისში 1808 წლის იანვარში ჩამოვიდა, ქალაქის აღწერისას ამ სასაფლაოსაც ახსენებს.[110] ეს ცნობა საშუალებას გვაძლევს მისი დაარსების თარიღი 1800-

---

107. ძველი საბუთების მიხედვით, ქამოანცის საყდრის მოპირდაპირე მხარეს ნაოხარი ადგილები და ვენახები იყო. მამისა ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში* (თბილისი: მეცნიერება, 1965), 51.

108. 1701 წელს ქალაქის მოსახლეობა დაახლოებით 20 000 სულს შეადგენს. აქედან 14 000 სომეხია, 2000 ქართველი, 3000 მაჰმადიანი, და 500 რომაელი კათოლიკე. იხ.: ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორი, *მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში*, თარგმანი, შესავალი და კომენტარები მ. მგალობლიშვილისა (თბილისი: მეცნიერება, 1988), 66-67.

109. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, (1902, რეპ. თბილისი: სიესტა 2012), 496.

110. Julius von Klaproth, *Travels in the Caucasus and Georgia*, Performed in the years 1807 and 1808 by Command of Russian Government. Translated from German by F. Shoberl (London: H. Colburn, 1814), 410.

იანი წლების დასაწყისით შემოვფარგლოთ. 1820-იან წლებში კაპუცინი ბერები რომის პროპაგანდასთან მიმოწერაში ამ სასაფლაოს და მასზე მიმდინარე სამშენებლო თუ სამეურნეო საქმიანობას რამდენჯერმე საგანგებოდ ახსენებენ. 1824 წლის 18 დეკემბერს უფროსი პატრი ფილიპე ფორანოელი რომის პროპაგანდას სასაფლაოს პატარა ეკლესიის დასრულების შესახებ ატყობინებს.[111] 1830 წლის 6 მარტს იგი რომში აგზავნის ვრცელ მოხსენებას საქართველოს მისიონის შესახებ და აღნიშნავს:

ეკლესიას ქალაქის ახლო ერთ გორაზე აქვს სასაფლავო ვრცელის მიწით, რომლის ნახევარიც სათესავ-სათიბავია. შვიდი წლის წინათ შემოევლო ღობე და გადაიქცა მშვენიერ ბაღად, რომლის შემოსავალი ეძლევა გლახაკთა. ამ მოწყალების განწესება იქვე ახლად აშენებულის ეკლესიის კედლის ქვაზეა დაწერილი, რაც სათნო საყოფელი შეიქმნა მთავრობისათვის, რაისგამო ამ ბაღს მოსარწყავი წყალი დაეთმო უსასყიდლოდ.[112]

როგორც ჩანს, სასაფლაოს ბაღი მართლაც ქალაქის ერთგვარ ღირსშესანიშნაობად გადაიქცა. მას სოლოლაკში მდებარე გენერალ ბებუთოვისა და გენერალ-ანშეფის სახლების ბაღების გვერდით საგანგებოდ ახსენებს საფრანგეთის კონსული თბილისში ჟაკ ფრანსუა გამბა:

... ცოტა ზემოთ კათოლიკეთა ახალი სასაფლაოა განლაგებული. ის იქცა სასეირნო ადგილად, სადაც შეიძლება დატკბეთ სამი წლის წინ გაშენებული მშვენიერი შირაზული ვენახით. ეს ვაზი გამოგზავნა ლეიტენანტ-პოლკოვნიკმა მონტითმა,[113] აბას-მირზას სამსახურში მყოფმა ინგლისელმა სამხედრო ინჟინერმა,

---

111. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 513.
1804-1808 წლებში ამავე ფილიპე ფორანოელის თაოსნობით აშენდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია კალაში, კათოლიკეთა (ამჟამად გ. აბესაძის) ქუჩაზე.
112. იქვე, 514-515.
113. პოლკოვნიკი (შემდგომში გენერალი) უილიამ მონტითი (1790-1864) 1810-1829 წლებში სხვადასხვა მისიით იმყოფებოდა ირანში. კარგად იცნობდა ალექსანდრე ბატონიშვილს. რამდენჯერმე იყო საქართველოში. მოგვიანებით დაწერა წიგნი, რომელშიც სხვადასხვაენოვან წყაროებზე დაყრდნობით ვრცლად არის მიმოხილული კავკასიის ომების ისტორია 1720-იანიდან 1820-იან წლებამდე. იხ.: William Monteith, *Kars and Erzeroum: the Campaigns of Prince Paskiewitch in 1828 and 1829, and an Account of the*

რომელიც დიდი ხანი ცხოვრობდა ინდოეთში. ძნელია ასეთი დაუზარელი და თავაზიანი ადამიანის პოვნა. კათოლიკეთა სასაფლაოს განაპირას ლამაზი ფანჩატურია, რომლის ერთი ნაწილი მოსეირნეთა დასასვენებლადაა განკუთვნილი, ხოლო მეორე სამლოცველოა.[114]

კათოლიკეთა თემი განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდა სასაფლაოსა და მასთან მდებარე ბაღს და, შესაძლებლობის შემთხვევაში, მის გაფართოებასა და ახალ შენობებზეც ზრუნავდა. მაგალითად, 1850 წელს ძველი სამლოცველო ახალი, წმ. ჯვრის სახელობის ეკლესიით შეცვალეს,[115] ხოლო 1858 წლის 27 ნოემბერს ვინმე არტემ ბაისაღლოვისაგან 2500 მანეთად სასაფლაოს მომიჯნავე მიწის სამი ნაკვეთი შეისყიდეს.[116]

სოლოლაკის სასაფლაო და მასზე განთავსებული სამლოცველო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა თბილისის კათოლიკეთა ცხოვრებაში. *Corpus Domini*-ს დღესასწაულზე, რომელიც სულთმოფენობის შემდეგ, პირველივე ხუთშაბათს აღინიშნება, აქ თავს იყრიდნენ ქართველი, სომეხი და პოლონელი კათოლიკეები. საზეიმო მსვლელობას წინ მიუძღვოდნენ თეთრად შემოსილი ბავშვები, რომლებიც აქეთ-იქით ვარდის ფურცლებს ყრიდნენ. სასაფლაოზე დგამდნენ ოთხ საკურთხეველს ოთხი სახარების წასაკითხად. მას ლათინურ, ქართულ, სომხურ და პოლონურ ენებზე კითხულობდნენ.[117]

Conquests of Russia Beyond the Caucasus, from the Time of Peter the Great to the Treaty of Turcoman Chie and Adrianople (London: Longman, Brown, Green, and Longman, 1856). გამბას მისი გვარი შეცდომით მოაქვს - Monthieth ნაცვლად Monteith-ისა. ასევე შეცდომით, მონსისად მოიხსენიებენ მას მ. პოლიევქტოვი და გ. ნათაძე და მას ვაზის ნაცვლად ვარდების გამოგზავნას მიაწერენ. იხ.: მიხეილ პოლიევქტოვი და გრიგოლ ნათაძე, *ძველი ტფილისი*, თარგმანი რუსულიდან ი. აღლაძისა და ვ. გორგაძისა, (ტფილისი: სახელგამი, 1930), 80-81.

114. Jacques Francois Gamba, *Voyage dans la Russie méridionale, et particulièrment dans les provinces situées au-delà du Caucase, fait depuis 1820 jusqu'en 1824*, t. II (Paris: C. J. Trouvé, Imprimeur-Libraire, 1826), 181-182.

115. *Кавказский календарь на1885 год* (Тифлис: Типографии Грузинскаго Издательскаго Товарищества и Мартиросянца, 1884), 67.

116. სცა, ფონდი 1645, ანაწერი №1, საქმე №11.

117. Шота Чхетия, *Тбилиси в XIX Столетии* (Тбилиси: Академия наук Грузинской ССР, 1942), 418.

თბილისის 1867 წლის გეგმაზე სოლოლაკის კათოლიკური სასაფლაოს საზღვრები საბოლოოდ არის დადგენილი. მას უკავია მოზრდილი ტერიტორია სოლოლაკის ფერდზე და ქალაქის მხრიდან კონსულისა (დღევანდელი გერგეტის) და გუდოვიჩის (დღევანდელი ჭონქაძის) ქუჩებით იფარგლება (ილ. 33).

1883 წლის 12 სექტემბერს თბილისის საქალაქო სათათბირომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც კათოლიკეებს სოლოლაკის სასაფლაოზე გარდაცვლილთა დაკრძალვა აეკრძალათ. მთავრობის აზრით, სასაფლაოს მდებარეობა ქალაქის უშუალო სიახლოვეს ეპიდემიის გავრცელების საშიშროებას ქმნიდა. ხელისუფლება მიზნად ისახავდა ყველა კონფესიის სასაფლაოს ქალაქიდან მოშორებით, ნავთლუღში გადატანას. [118] ერთიანი მუდმივი ტერიტორიის გამოყოფამდე, კათოლიკეებს მიწა კუკიისა და ავლაბრის მართლმადიდებელთა სასაფლაოებზე მისცეს. ამ გადაწყვეტილებამ ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მზრუნველთა საბჭოს წევრთა უკმაყოფილება გამოიწვია. მათ სათათბიროს მიმართეს შუამდგომლობით, რომელშიც ასაბუთებდნენ, ერთი მხრივ, სოლოლაკის სასაფლაოს უვნებლობას ამ უბნის მცხოვრებთათვის და, მეორე მხრივ, სასაფლაოსა და ეკლესიის განსაკუთრებულ ,,სასიცოცხლო" მნიშვნელობას კათოლიკე მრევლისათვის. [119] სათათბირომ ეკლესიის შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და 1884 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ძველ სასაფლაოზე დაკრძალვის ნება მხოლოდ მათ მისცეს, ვისაც საგვარეულო აკლდამა ჰქონდა ან ვისი წინაპრებიც აქ განისვენებდნენ. დანარჩენებს -

118 . ჰიგიენური მოსაზრებებით ევროპაში სასაფლაოებს ქალაქის ცენტრებიდან და ეკლესიების ეზოებიდან მოშორებით უკვე მეთვრამეტე საუკუნეში გამოუყვეს ადგილები. ამ მხრივ ერთ-ერთი მოწინავე პარიზი იყო. აქაური სასაფლაოები შემდგომში ბევრი სხვა ქალაქისთვის სანიმუშოდ იქცა. მეცხრამეტე საუკუნეების სასაფლაოების შესახებ ვრცლად იხ.: James Stevens Curl, ,,the Architecture and Planning of the Nineteenth-Century Cemetery", *Garden History 3*, no. 3 (1975): 17.

119. სცა, ფონდი №192, ანაწერი №1, საქმე №38.

,,მარტოხელებსა და ჩამოსულებს“ - ადგილი კუკიაზე და ავლაბარში გამოუყვეს.[120]

1893 წელს შედგა სოლოლაკის კათოლიკური სასაფლაოს გენერალური გეგმა,[121] რომელიც ასეა დასათაურებული: ,,გეგმა ქალაქ თბილისის მეოთხე ნაწილში (სოლოლაკში) მდებარე თბილისის რომაულ-კათოლიკური სასაფლაოს მიწისა, რომელიც ეკუთვნის თბილისის მიძინების რომაულ-კათოლიკურ სამრევლო ეკლესიასთან არსებულ წმ. როზარის საძმოს და მოიცავს 12930 კვადრატულ საჟენ ფართობს. ეს გეგმა შედგენილია 1893 წელს ზემოთხსენებული ეკლესიის წინამძღვრად მღვდელ პავლე კალაიჯევის[122] და ამავე ეკლესიის მზრუნველთა საბჭოს წევრებად კარის მრჩეველ ეგორ პეტროვიჩ ისარლოვისა და კოლეგიის ასესორ ედუარდ ოსიპოვიჩ კარაევის ყოფნისას” (ილ. 34) .

12930 კვ. საჟენი (თითქმის ექვსი ჰექტარი) მიწის ნაკვეთიდან ბაღს, რომლითაც ჯერ კიდევ 1830 წელს ასე ამაყობდნენ კაპუცინი პატრები, 2340 კვ. საჟენი მიწა ჰქონდა დათმობილი, მდელოს - 430; საკუთრივ სასაფლაოს - 2970, ხოლო საძოვარს, კლდესა და მიწაყრილს - 7190. სასაფლაოს გაშენებული მონაკვეთი ქალაქის მხარეს იყურებოდა. შესასვლელი ლერმონტოვის ქუჩის ბოლოში იყო მოწყობილი. აქედან შესულს წინ დარაჯის მოზრდილი სახლი ხვდებოდა. უზარმაზარი გამწვანებული ბაღი თავისი ორანჟერეით კონსულის და გუდოვიჩის ქუჩებზე გამოდიოდა. ქუჩების შესაყართან ბაღში შედიოდა პატარა ბილიკი, რომელიც მებაღის სახლისაკენ მიემართებოდა. ბაღი კარგად მოვლილი, უხვად გამწვანებული და დაკვალული იყო. მას ჩრდილოეთი მხრიდან ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანა და მაიკო ქართველიშვილის კუთვნილი მიწის ნაკვეთი ემიჯნებოდა.

---

120. იქვე.
121. სცა, ფონდი №1645, ანაწერი №1, საქმე №188.
122. გეგმის შედგენა პ. კალაიჯევის აქტიურ საქმიანობას უკავშირდება. ის ამავე წელს თანამდებობიდან გათავისუფლებული ალფონს ხითარიშვილის ადგილზე დანიშნეს (სცა, ფონდი №1645, აღწერა №1ა, საქმე №105).

სოლოლაკის კათოლიკურ სასაფლაოზე იკრძალებოდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მრევლი - უმეტესად თბილისის მკვიდრი ქართველები და სომხები.[123] 1893 წლისათვის აქ სულ 22 გვარის სამარხი აკლდამაა აღნუსხული.[124]

1867 და 1893 წლების გეგმებზე დატანილი სამლოცველო და სამრეკლო ამჟამად აღარ არსებობს, მაგრამ სამლოცველოს არქიტექტურაზე ზოგად წარმოდგენას ძველი ფოტოსურათები გვიქმნის (ილ. 35). ოქტაგონალური ფორმის შენობას აღმოსავლეთ მხარეს მცირედ გამოწეული აფსიდი ჰქონდა. წიბოებს გარედან დორიული ნახევარსვეტები აუყვებოდა. ნახევარსვეტების კაპიტელებზე იდო ერთიან მაღალ ჰორიზონტალურ სარტყელში ჩართული იმპოსტები, რომლებსაც ნახევარწრიული თაღები ეფუძნებოდა. ლუნეტებში თაღებქვეშ თავსდებოდა პატარა ნახევარწრიული ფანჯრები. ქვემოთ, მათ გასწვრივ, მაღალი თაღოვანი, როგორც ჩანს, ვიტრაჟებიანი ფანჯრები იყო გაჭრილი. სხვაგვარი გადაწყვეტა ჰქონდა დასავლეთ წახნაგს - აქ ერთიანი სარტყელი წყდებოდა და კედელს სრული წრის ფორმის ფანჯრის ღიობი ანაწევრებდა. მის ქვეშ იყო მოწყობილი ნახევარსვეტებით ფლანკირებული და ფრონტონით დაბოლოებული შესასვლელი. სამლოცველოს სადად პროფილირებული კარნიზი და დაბალი პირამიდისებრი სახურავი ასრულებდა. 1893 წლის გეგმაზე სამრეკლო ეკლესიის სამხრეთითაა აღნიშნული, მაგრამ ფოტოსურათებზე ის არ ჩანს.

რამდენიმე ძველი ფოტოსურათი სასაფლაოს საერთო ხედს გვიჩვენებს ფერდზე შეფენილი საფლავებით. მოკირწყლულ ბილიკს, რომელიც ეკლესიისაკენ მიემართებოდა, ბოლოში ქვის ფართო კიბის ორი სამსაფეხურიანი მარში აგრძელებდა. სასაფლაოს უხვი გამწვანება არ ჰქონია, ფოტოსურათებზე აქა-იქ ჩანს დაბალი ხეები. საფლავების ნაწილი მხოლოდ ქვებით არის აღნიშნული, ნაწილს ხის უბრალო მესერი არტყია, ნაწილიც - ლითონის მოაჯირით მოფარგლული და ჩარდახით

123. ლუკა ისარლოვი, „კათოლიკენი საქართველოში", *მოამბე XII* (დეკემბერი 1897), 64.
124. სცა, ფონდი №1645, ანაწერი №1, საქმე №188.

გადახურული - შედარებით მდიდრულად გამოიყურება. ამ უკანასკნელთაგან ზოგიერთს მრგვალი ქანდაკებებიც ამშვენებდა.

სასაფლაოს მიმდებარე ბაღს XIX საუკუნის ბოლოდან შემოსავალი აღარ მოჰქონდა, პირიქით, მისი შენახვა ეკლესიას გარკვეული თანხა უჯდებოდა. მრევლის წევრი იოსებ ანდრონიკაშვილი 1900 წლიდან სასაფლაოსა და ბაღის მაღალი კედლით გამიჯვნის, ბაღის ტერიტორიის წვრილ მონაკვეთებად დაყოფისა და მათზე გასაქირავებელი სახლების მშენებლობის უფლების მოპოვებას ცდილობდა. 1902 და 1905 წლებში მან ეს თხოვნა რამდენჯერმე შეიტანა თბილისის მიწათმოქმედების უწყებაში.[125] ი. ანდრონიკაშვილი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ გაქირავებული სახლებიდან მიღებული თანხა დიდად წაადგებოდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიისა და მასთან არსებული სასულიერო სკოლის ბიუჯეტს. 1908 წლის 14 თებერვალს კომისიამ, რომლის წევრები იყვნენ ივან ჩეხოვსკი, იაკობ ისარლოვი და მიხეილ გოსნევსკი, გამოაქვეყნა დასკვნა. დასკვნის მიხედვითაც ი. ანდრონიკაშვილის პროექტი დაწუნებულ იქნა შემდეგ მიზეზთა გამო: 1. ბაღი ეკლესიის უშუალო სიახლოვეს მდებარეობდა და აქ სამშენებლო საქმიანობა და ამ ტერიტორიის თავისუფლად დასახლება მკრეხელობად იქნა მიჩნეული; 2. ქალაქის მიერ შეთავაზებული მოკლევადიანი იჯარის პირობების გათვალისწინებით, დასაშვები იყო მხოლოდ დროებითი შენობების აგება, ხოლო რადგან ქალაქი ყოველ 6 წელიწადში აახლებდა მოიჯარეთა ხელშეკრულებებს, ქირის გადასახადის მნიშვნელოვანი გაზრდით, ეს გამოიწვევდა დამქირავებელთა უკმაყოფილებას და საქმეთა სასამართლოში გადაცემას, რაც წარმოუდგენელ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული; 3. ბაღი აუცილებელი იყო კათოლიკურ ეკლესიასთან არსებული სკოლის მოსწავლეთათვის, რომლებიც აქ მოწყობილი ექსკურსიების საშუალებით პრაქტიკულად სწავლობდნენ ბოტანიკას და, ზოგადად, საბუნებისმეტყველო საგნებს; 4. ბაღის დასახლებულ

125. ეს საკითხი საზოგადოებრივი მსჯელობის საგანიც გამხდარა და საგანგებოდაც აღუნიშნავთ იმ პერიოდის პრესაში. *ისარი*. 1908, 27 თებერვალი, №46, 2.

ტერიტორიად გადაქცევა საბოლოოდ შეზღუდავდა სასაფლაოს სივრცეს, რომელიც მომავალში შეიძლებოდა გამოყენებულიყო, როგორც ეკლესიის საჭიროებისათვის, ასევე მრევლის ღარიბი წევრებისათვის განკუთვნილი საქველმოქმედო შენობის ასაგებად.[126] სასაფლაოს ბაღი იმდენად მნიშვნელოვანი იყო თბილისელი კათოლიკეებისათვის, რომ 1900-იანი წლების დასაწყისში, როცა მიძინების ეკლესიის მრევლს სომეხ-კათოლიკეთათვის ეკლესიის სანაცვლოდ 30 000 მანეთის გადახდა დაევალა და ამ თანხის დასაფარად ეკლესიის მზრუნველთა საბჭომ ბაღის გაყიდვის საკითხი წამოჭრა, ,,ამ აზრმა კრიტიკას ვერ გაუძლო და მისი განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა".[127]

1900-იან წლებში სოლოლაკის სასაფლაო კვლავ მოქმედი იყო. 1904 წელს აქ დაკრძალეს ცნობილი ქველმოქმედი სტეფანე ზუბალაშვილი, 1908 წელს - გრიგოლ საფაროვი.[128]

სასაფლაო და მისი სამლოცველო არსებობდა 1940-იანი წლების დასაწყისამდე.[129] სასაფლაო ჯერ კიდევ დატანილია თბილისის 1934 წლის გეგმაზე. სამლოცველოს დანგრევა და სასაფლაოს ტერიტორიის სამშენებლო მიზნით აქტიურად გამოყენება, როგორც ჩანს, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს უკავშირდება.

კათოლიკეთა მეორე სასაფლაო კუკიაზე მდებარეობდა. როგორც აღინიშნა, ტერიტორია მისთვის 1884 წელს გამოიყო - მას შემდეგ რაც თბილისის საქალაქო სათათბიროს გადაწყვეტილებით სოლოლაკის სასაფლაოზე დაკრძალვა შეიზღუდა. კათოლიკეებს მიწა კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოსთან მისცეს.

ქალაქის სამმართველოს დავალებით, მიწის მზომელმა ლ. ზემიანსკიმ 1884 წელის 28 ივნისს აზომა და პლანშეტზე დაიტანა ახალი კათოლიკური სასაფლაოსთვის გამოყოფილი ტერიტორია (ილ. 36). პლანშეტის

---

126. სცა, ფონდი №1645, ანაწერი №1, საქმე №91.
127. სცა, ფონდი №1645, ანაწერი №1, საქმე №113.
128. *ეკალი*, 1908, 25 სექტემბერი, № 21, 2.
129. მათ აღნიშნავს შ. ჩხეტია თავის წიგნში, რომელიც 1942 წელს გამოიცა. იხ.: Шота Чхетия, *Тбилиси в XIX Столетии*, 93.

მიხედვით, კათოლიკეთა დროებით დასაკრძალავად გამოყოფილ იქნა 625 კვ. საჟენი (2835 კვ. მეტრი) ქალაქის კუთვნილი მიწის ნაკვეთი.[130] მას ჩრდილოეთიდან საზღვრავდა ხევი, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან - მინდორი, ხოლო დასავლეთიდან - ბორცვი.

კუკიის კათოლიკურ სასაფლაოზე გადარჩენილი საფლავებიდან ყველაზე ადრეულები 1880-იანი წლებით არის დათარიღებული - მაგალითად, ელეონორა ვილკომირსკას (Eleonora Wilkomirska) საფლავი 1885 წლისა, ერევნის პოლკის მაიორის იან ჰოლინეცის (Jan Holinec) საფლავი 1886 წლისა და იოზეფ პახლას (Józef Pachla) საფლავი 1888 წლისა. რამდენადაც შემორჩენილი საფლავებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, კუკიის კათოლიკურ სასაფლაოზე ძირითადად პოლონელები იკრძალებოდნენ, თუმცა არის ქართველი,[131] სომეხი, ასირიელი (ქალდეველი),[132] გერმანელი, ფრანგი,[133] იტალიელი[134] და სხვა ეროვნების[135] კათოლიკეების საფლავებიც.

---

130. სცა, ფონდი №1645, ანაწერი №1, საქმე №175, 1.

131 . მაგალითად, გადარჩენილია ოლია ადამის ასული ზუბალაშვილის საფლავის ქვის ნაწილი ნაკლული ქართული წარწერით. ორენოვანი ქართულ-პოლონური წარწერა აქვს საფლავს სტეფანე პაპალოვის (პაპალაშვილის) ასულ სოფიოსი, რომელიც დუნევსკიზე იყო გათხოვილი. კუკიის კათოლიკურ სასაფლაოზე იყო დაკრძალული ცნობილი პიანისტი ალოიზ მიზანდარი (1838-1912). არის ცნობა, რომ მისი საფლავის ძეგლი გაკეთებული იყო თბილისელი ჩეხი მოქანდაკისა და მძერწავის კარელ სოუჩეკის მიერ (დაკარგულია). მოგვიანებით ა. მიზანდარი დიდუბის პანთეონში გადაასვენეს.

132. ერთი საფლავის ქვის რუსული წარწერა გვაუწყებს: ,,აქ განისვენებს ნეშტი ქალდეველ რომაულ-კათოლიკე მღვდლის მეუღლის (супруги Халдейского Римско-католического священника) შაქარა ხოშაბოვნა ტერ-სარქისოვასი. დაიბადა 1850 წლის 14 ივლისს გარდაიცვალა 1900 წლის 21 ივნისს". რუსულ წარწერას ასირიული ანბანით გამოყვანილი რამდენიმე სტრიქონი მოსდევს. არის რამდენიმე საფლავის ქვა მხოლოდ ასირიული წარწერებით.

133 . მაგალითად, ფრანგულწარწერიანი ქვა ადევს ლეონს მეიერის (Leonce Meyer, გარდაიცვალა 1907 წელს), მისი მეუღლე ნატალისა და ძმისწულ მარგარიტას საფლავებს.

133. კუკიის კათოლიკურ სასაფლაოზეა დაკრძალული იტალიელი ინჟინერი ანტონიო ფონტანა როსი (Antonio Fontana Ros, 1870-1906), მთაწმინდის ფუნიკულიორის საინჟინრო პროექტის თანაავტორი. მისი საფლავი შემორჩენილია, მაგრამ წარწერა ახალი გაკეთებულია.

135 . აქ იყო დაკრძალული ნორვეგიელი მწერალი ქალი დაგნი იუელი, რომელმაც კათოლიკობა პოლონელ მწერალ სტანისლავ პშიბიშევსკიზე გათხოვების შემდეგ მიიღო. იგი 1901 წელს საასტუმრო ,,გრანდ-ოტელის" ნომერში მოკლა ოჯახის მეგობარმა ვლადისლავ ემერიკმა. მისი ცხოვრების თბილისური პერიოდისა და ტრაგიკული სიკვდილის შესახებ იხ.: Mary Kay Norseng, *Dagny Juel Przybyszewska, the Woman and the Myth* (Seattle and London: University of Washington Press, 1991): 62-63. რამდენიმე წლის წინ დაგნი იუელი გადაასვენეს კუკიის სასაფლაოს შესასვლელთან მოწყობილ პატარა პანთეონში.

კუკიის ახალ კათოლიკურ სასაფლაოზე საფლავების მატებასთან ერთად, ბუნებრივად დადგა სამლოცველოს საჭიროების საკითხი. 1900 წელს გარდაცვლილი პროვიზორის ვილჰელმ შმიტცის მეუღლემ ექიმმა სოფია შმიტცმა შუამდგომლობით მიმართა კავკასიის მთავარმართებელს და კუკიის რომაულ-კათოლიკურ სასაფლაოზე დაკრძალული ქმრის საფლავზე სამლცველოს ასაშენებლად ნებართვა სთხოვა. ნაგებობა განკუთვნილი იყო კათოლიკეების საერთო გამოყენებისთვის, ლიტურგიის აღსავლენად.

სამლოცველოს დამკვეთის ბიოგრაფიის ერთ მონაკვეთზე წარმოდგენას გვიქმნის კავკასიის კალენდარი, რომელშიც ინფორმაცია სოფია შმიტცის შესახებ 1895 წლიდან 1905 წლამდე გვხვდება. როგორც ამ ათწლიანი საქმიანობიდან ჩანს, იგი თავისი დროისთვის საკმაოდ აქტიური ქალი იყო. თვალისა და ქალურ დაავადებათა ექიმი წლების განმავლობაში რამდენიმე ადგილზე მუშაობდა. 1895 წლიდან ის აღმზრდელის თანაშემწეა თბილისის საეპარქიო ქალთა სასწავლებელში, 1896 წელს მუშაობას იწყებს უსინათლოთა საავადმყოფოში [136] და პარალელურად აქვს საკუთარი კაბინეტი კერძო პაციენტების მისაღებად. [137] 1900-იან წლების დასაწყისისთვის ის უკვე წარმატებული ექიმია და თვალის ოპერაციებსაც აკეთებს. მისგან განსხვავებით, ჩვენთვის სრულიად უცნობი რჩება მისი მეუღლის ფარმაცევტ ვილჰელმ შმიტცის ბიოგრაფია. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ოჯახი საკმაოდ შეძლებული იყო და დაქვრივებულ ექიმს სამლოცველოს ასაშენებლად ხარჯის გაღება არ გასჭირვებია.

---

136. უსიანთლოთა საავადმყოფოს კავკასიის განყოფილება თბილისში 1893 წელს გაიხსნა იმპერატრიცა მარიას შუამდგომლობით. 1895 წლის მონაცემებით, საავადმყოფო განთავსებული იყო კუკიაზე, ელისაბედის ქუჩაზე მდებარე ჩითახოვის სახლში. ის განკუთვნილი იყო როგორც სტაციონარული, ისე ამბულატორიული ავადმყოფებისათვის. ყველა სახის მკურნალობა წამლების ჩათვლით სრულიად უფასო იყო. იხ.: *Кавказский Календарь на 1896 год* (Тифлис: Типографии Грузинскаго Издательскаго Товарищества и Мартиросянца, 1895), 514.

136. სხვადასხვა წლებში მას კაბინეტი ჰქონდა მიხეილის, ელისაბედის, კუჩუბევისა და ანდრეევის ქუჩებზე. *Кавказский Календарь на 1896 год*, 442, 491; *Кавказский Календарь на 1898 год (*Тифлис: Типографии Грузинского Издательского Товарищества и Мартиросянца, 1897), 420; *Кавказский Календарь на 1902 год* (Тифлис: Типографии Грузинского Издательского Товарищества и Мартиросянца, 1901), 513. ოთხივე ქუჩა კუკიაზე მდებარეობდა.

მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად სოფია შმიტცმა პროექტთან და ხარჯთაღრიცხვასთან ერთად წარადგინა კავკასიის რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ვიზიტატორის მოწმობა, რომელიც ადასტურებდა, რომ ტირასპოლის რომაულ-კათოლიკური ეპარქიის ეპისკოპოსი არ ეწინააღმდეგებოდა სამლოცველოს აგებას.[138]

იმდროინდელი რეგულაციებით, კათოლიკური სამლოცველოს ასაშენებლად აუცილებელი იყო კავკასიის მართმადიდებლური სასულიერო ხელმძღვანელობის თანხმობაც. პროცედურის მიხედვით, თბილისის გუბერნატორი [139] უკავშირდებოდა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას და მის დასტურს ელოდებოდა. თავის მხრივ სინოდალური კანტორა მიმართავდა სამშენებლო განყოფილებას და განსახილველ პროექტთან გაცნობას ითხოვდა. როგორც ჩანს, კანტორას არამარტო უარის თქმის უფლება ჰქონდა, არამედ შეეძლო უკვე აშენებეული ნაგებობა დაენგრია. ის ასევე აკონტროლებდა რელიგიური უმცირესობების სალოცავი ადგილების რაოდენობასაც. სოფია შმიტცის მსგავსად, ქმრის საფლავზე სამლოცველოს აგების ნებას ითხოვდა ბაქოელი პირველი გილდიის ვაჭრის რილსკის ქვრივიც, მაგრამ სინოდალურმა კანტორამ ნებართვა მხოლოდ მას შემდეგ გასცა, როცა დარწმუნდა, რომ რილსკის საფლავზე აშენებული ნაგებობა მხოლოდ საძვალე იქნებოდა და არა კათოლიკეთა საერთო სარგებლობისთვის განკუთვნილი სამლოცველო. [140] როგორც ჩანს, სინოდი ერთმანეთის სიახლოვეს ორი კათოლიკური სამლოცველოს არსებობის აუცლებლობას ვერ ხედავდა.

1900 წლის 26 აგვისტოს თბილისის გუბერნიის სამმართველოს სამშენებლო განყოფილების ტექნიკოსებმა განიხილეს ვილჰელმ შმიტცის საფლავზე ასაშენებელი სამლოცველოს პროექტი და ის კონსტრუქციულად გამართულად მიიჩნიეს. [141] სოფია შმიტცმა მშენებლობის ნებართვა (მას

138. სცა, ფონდი №204, ანაწერი №1, საქმე №1207, 1.
139. 1899-1905 წლებში თბილისის გუბერნატორი იყო გენერალ-მაიორი ივან სვეჩინი.
140. სცა, ფონდი №204, ანაწერი №1, საქმე №1207, 4-5.
141. იქვე, 3.

ხელს აწერენ გუბერნიის ინჟინერი ვ. ბუტკოვიჩი და გუბერნიის არქიტექტორი ა. ტრონოვი) გარდაცვლილთა სულისმოსახსენიებელი ღვთისმსახურების ჩატარების უფლებით 1901 წელს მიიღო.[142]

ინჟინერ რაზუმოვის მიერ შედგენილი პროექტი შედგება არქიტექტურული ნაწილისა (სამლოცველოს გეგმა, ფასადები და ჭრილები) და სასაფლაოს გენერალური გეგმისგან. ამ უკანასკნელის მიხედვით, კათოლიკურ სასაფლაოს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა მართმადიდებლური, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან - საავადმყოფოს სასაფლაოები, სამხრეთიდან - კუკიის სააგარაკო მიწები [143] და დასავლეთიდან - თავად ამატუნის აგარაკი. [144] სამლოცველო სასაფლაოს ჩრდილო-აღმოსასვლეთ ნაწილში უნდა აშენებულიყო.

პროექტის მიხედვით სამლოცველო წარმოადგენს დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებულ მართკუთხედს (ზომები: 6.4 × 8.5 მ), რომელიც აღმოსავლეთით სწორკუთხა საკურთხევლით სრულდება (ილ. 37). დასავლეთ კედელში გაჭრილი კარის წინ შემაღლებული ბაქანია. მის ორსავე მხარეს პანდუსი მიემართება (ილ. 38). ბაქანი დასავლეთი მხრიდან ფლანკირებულია ორი ბოძით, რომელთა შორის არსებული სივრცე ლითონის აჟურული მოაჯირით არის მოფარგლული. კარის კიდეებს კომპოზიტური კაპიტელებით გაფორმებული პილასტრები აუყვება. კაპიტელებზე გადაყვანილი ნახევარწრიული თაღი დამატებით სწორკუთხა ჩარჩოშია ჩასმული. შესასვლელის თავზე გადმოკიდებულია პლასტიკურად ნაძერწი მცენარეული ორნამენტით შემკული მასიური აივანი, რომელიც ლითონის აჟურულ მოდილიონებს ეყრდნობა. აივანი სამლოცველოს შიგნით მოწყობილ ზედა გალერეასთან თაღოვანი კარით

142. იქვე, 11.

143. დღეს კუკიის აგარაკების ადგილას ცხრა ძმის, ხოლო ამატუნის აგარაკის ადგილას ლაილაშის ქუჩები გადის.

144. კუკიაზე მიწა თავად გიორგი ამატუნს ჯერ კიდევ ერეკლე II-ს დროს გადაეცა. მიუხედავად იმისა, რომ 1813 წელს სოფელი კუკია სახაზინო მამულად გამოცხადდა, როგორც ჩანს, ამატუნის მემკვიდრეებმა საკუთარი მიწების ნაწილის შენარჩუნება მაინც მოახერხეს. იხ.: თეიმურაზ ბერიძე, *ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია* (თბილისი: მეცნიერება, 1977), 204-205.

არის დაკავშირებული. სწორკუთხა ჩარჩოში ჩასმულ კარს სამკუთხა ფრონტონი აბოლოვებს. პროექტზე გალერეასა და აივანზე ასასვლელი კიბე არ ჩანს. შესაძლოა აქ ხის მისადგმელ კიბეს იყენებდნენ.

დასავლეთი ფასადი სრულდება დიდი ზომის მრუდხაზოვანი ფრონტონით. ის ფასადის კიდეებში, კედლის მთელ სიმაღლეზე აყოლებული ორსაფეხუროვანი პილასტრების (ქვედა - რუსტირებულზედაპირიანი, ზედა - გლუვი ზედაპირის მქონე) კაპიტელებს ეყრდნობა და სიმაღლით საკმაოდ სცდება სახურავის კეხს. ფრონტონის ცენტრალურ არეში ბაროკოს ეპოქის ფრონტონებისათვის დამახასიათებელი შეღრავებული ნიშაა, რომელშიც ქანდაკება დგას.

სამლოცველოს დანარჩენი სამი ფასადი შედარებით მოკრძალებულია. სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები ერთნაირად არის გადაწყვეტილი (ილ. 38). მათი შუა მონაკვეთები კედლის საერთო სიბრტყიდან ერთი საფეხურით არის გამოწეული და თითო მაღალი და განიერი თაღით მოხაზული სარკმლით ნაწევრდება. შვერილი სიბრტყეები სამკუთხა ფრონტონებით და მათ უკან კვარცხლბეკზე შედგმული დეკორატიული ლარნაკებით არის გაფორმებული.

აღმოსავლეთი ფასადი ყველაზე სადაა (ილ. 39). მისი ოდნავ შვერილი ცენტრალური არე ზუსტად იმეორებს საკურთხველის შიდა შეღრმავების ფორმას. მათი არქიტექტურული დეკორიც მსგავსია - პლასტიკურად ნაძერწ კრონშტეინებზე დასმულია სამკუთხა ფრონტონები.

სამლოცველოს ინტერიერი მოკრძალებულია, თუმცა მსუბუქი დეკორატიული ელემენტები აქაც არის გამოყენებული (ილ. 40). მაგალითად, კედლების ცენტრალური მონაკვეთები პროფილირებული თაღებით არის მოხაზული.

1900-იანი წლების ფოტოსურათზე სამლოცველო უკვე დასრულებული სახით დგას (ილ. 41). ის თითქმის ზედმიწევნით იმეორებს პროექტს, შეცვლილია მხოლოდ უმნიშვნელო არქიტექტურულ დეტალები. მაგალითად, დასავლეთ ფასადზე გამომავალი აივანი მთლიანად ნაშენი

უნდა ყოფილიყო, საბოლოოდ კი მას ლითონის აჟურული მოაჯირი გაუკეთეს; პილასტრების მარტივი კაპიტელები ვოლუტებიანმა კაპიტელებმა შეცვალა; განსხვავებულად იქნა გაფორმებული შესასვლელი კარის მოჩარჩოებაც.

საინტერესოა, რომ კუკიის სასაფლაოს სამლოცველო იმავე ნეობაროკულ სტილს მისდევდა, რომელსაც თბილისელ პოლონელთა მთავარი სალოცავი - წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესია. ეს სტილი, როგორც ზემოთ ითქვა, უშუალოდ ეპასუხებოდა პოლონელების ეროვნულ იდენტობას. საფიქრელია, რომ სოფია შმიტცი, მიუხედავად გერმანულად ჟღერადი გვარისა, ტომით პოლონელი და წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესიის მრევლის წევრი იყო.

სამლოცველომ დაახლოებით სამი ათეული წელი იარსება. მასში მღვდელმსახურებას ქსენძი იულიან დობკევიჩი და ქსენძი ივან იეტაროვი ასრულებდნენ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ბევრ სხვა რელიგიურ შენობასთან ერთად, 1930-იან წლებში ისიც დაანგრიეს.[145]

დღეს კუკიის კათოლიკური სასაფლაო ძლიერ სახეშეცვლილია. საბჭოთა პერიოდში და განსაკუთრებით 1990-იან წლებში კათოლიკეთა საფლავები განადგურდა და მათ ადგილას ახალი საფლავები გაჩნდა. გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ათეული საფლავი. ზოგიერთი მეტნაკლებად შემონახული ძველი საფლავის ქვა ამჟამად თავდაპირველ ადგილზე აღარ დევს და სასაფლაოს სავალ ბილიკებზე აწყვია.

1.5. თეთრიწყარო და მანგლისი

პოლონელები მსახურობდნენ რუსეთის იმპერიის სამხედრო ნაწილში, რომელიც XIX საუკუნის I ნახევრიდან იდგა თეთრწყაროში. ტირასპოლის ეპარქიის კატალოგის ცნობით, უკვე 1849 წელს მათ

145. ანჯეი ფურიერი, ,,თბილისის პეტრე-პავლეს ეკლესიის ისტორიიდან", 228-229.

ღმრთისმშობლის ამაღლების კათოლიკური ეკლესია აუშენებიათ.[146] სავარაუდოდ, ეს ეკლესია ხისა უნდა ყოფილიყო. მოგვიანებით - ალბათ 1860-იან წლებში - ის ქვის ნაგებობამ შეცვალა. ეკლესიის წინამძღვარი 1877 წლამდე იყო ფრანციშეკ სტაროვიჩი. 1877-1879 წლებში - ფელიქს კორმანი, 1879-1893 წლებში - ვალენტინ შამოტულსკი (მის პერიოდში ძირითადი მრევლი მანგლისში გადავიდა).[147]

პოლონელთა კათოლიკური ეკლესია თეთრიწყაროში იდგა ამჟამინდელი I საშუალო სკოლის ადგილზე (თამარ მეფის ქ. №3). ის 1934 წელს დაანგრიეს. არსებობს ფოტოსურათი, რომელზეც შენობის მხოლოდ დასავლეთი ფასადი ჩანს (ილ. 42).

აგურით ნაგები დიდი ზომის ეკლესია სავარაუდოდ, სამნავიანი ბაზილიკა უნდა ყოფილიყო. ფოტოსურათზე ჩანს ორფერდა სახურავის ქვეშ მოქცეული ცენტრალური ნავის დასავლეთი კეხი და ბევრად დაბალი ჩრდილოეთი ნავის ცალქანობა სახურავი. მთავარი ნავის დასავლეთ ფასადში სამთაღედიანი (შუა გვერდითებზე მაღალია), ხოლო გვერდით ნავში ორთაღედიანი სარკმლებია გაჭრილი. პირველი კედლის სიბრტყეზე გადაყვანილი დიდი თაღის ქვეშ არის მოქცეული, მეორეს კი გადანაკეცებიანი წარბი შემოწერს. წარბსა და სარკმელს შორის მცირე ზომის წრიული ღიობია მოწყობილი.

ეკლესიის დასავლეთ კედელში მოწყობილი შესასვლელის წინ იდგა თაღებით გახსნილი კარიბჭე, რომლისკენაც პარადული კიბე მიემართებოდა. ძლიერად დასაფეხურებული თაღების გარე ჩარჩო კარიბჭის ბურჯების ზედაპირზე გამოყვანილი შეწყვილებულ დეკორატიულ სვეტებს ეყრდნობოდა. კარიბჭესაც და ეკლესიის ძირითად ნაწილსაც აგურით გამოყვანილი მაღალი კარნიზი ჰქონდა. კარიბჭის დასავლეთ კეხზე დიდი აკროტერიონი იდგა.

ცალკეული არქიტექტურული ელემენტების მიხედვით თეთრიწყარის

---

146. Б. Кухаренко, Военные капелланы в Тираспольской епархии, в сборнике: *Поляки в России: эпохи и судьбы*, (Краснодар, 2009), 167.
147. იქვე.

ეკლესია ნეო-რომანულ სტილში გადაწყვეტილი ხარისხიანი შენობა იყო. ის ბევრად იმპოზანტურად გამოიყურება ვიდრე მანგლისის კათოლიკური ეკლესია. გასაკვირია, რომ ძირითადი მრევლი სწორედ ამ უკანასკნელში გადავიდა.

მანგლისში კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა ასევე უკავშირდება პოლონელ სამხედროებს, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებამ პოლონეთის აჯანყებების შემდეგ გადმოასახლა საქართველოში. ეკლესია 1860 წელს აშენდა წმ. ალოიზის სახელზე.[148] 1885 წლის ,,კავკასიის კალენდრის" მიხედვით, მანგლისში კავკასიის ჯარების კაპელანი მსახურობდა.[149] ცნობილია კაპელანების სახელებიც: ვალენტინ შამოტულსკი (1884-86 წლებს შორის - 1893), იან უსელისი (1893-1903), იუზეფ პეჩურო (1903-1911) და ბარტლომეი მიკოლაიუნასი (1911-1917)[150].

ეკლესია დღეს გაველურებული ეზოს სიღრმეში დგას (ილ. 43). ის წარმოადგენს დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებულ დარბაზულ შენობას, რომელიც აღმოსავლეთით მართკუთხა საკურთხევლით სრულდება (გარე ზომები: 20 მ × 9, 30 მ). კედლებისათვის გამოყენებულია შერეული საშენი მასალა - ისინი აგურის ორი და ქვის ერთი რიგის მონაცვლეობით არის აგებული. კონსტრუქციული და დეკორატიული ელემენტები მთლიანად აგურითაა გამოყვანილი.

ეკლესიის გრძივ კედლებს ხუთ-ხუთი ნახევარწრიულთაღოვანი ღიობი ანაწევრებდა. მათი ნაწილი დღეს ამოშენებულია ან გადაკეთებული. შუაკედლისებს გლუვი პილასტრები აუყვება (ილ. 44). აღმოსავლეთ კედელში ერთი წრიული სარკმელი იყო გაჭრილი. დღეს ისიც ამოქოლილია (ილ. 45). იატაკის ქვეშ ეკლესიას აქვს ვრცელი კრიპტა, რომელშიც აღმოსავლეთი კედლის ძირში გაჭრილი კარიდან ჩადიოდნენ (ამჟამად კარი დაზიანებულია, თუმცა ჩასვლა შეიძლება).

---

148. Богдан Кухаренко, „Военные капелланы в Тираспольской епархии", *Поляки в России: эпохи и судьбы* (Краснодар: Издательство «Парабеллум», 2009), 167.
149. *Кавказский календарь на 1885 год*, 68.
150 . Богдан Кухаренко, „Военные капелланы в Тираспольской епархии", 167.

ეკლესიაში შესასვლელი კარი ორია: ერთი - სამხრეთი ფასადის დასავლეთ მონაკვეთში, მეორე - დასავლეთი ფასადის შუაში. ძველად ორივე კარი მაღალი და თაღოვანი იყო. საბჭოთა პერიოდში ისინი დაადაბლეს და მართკუთხა ფორმა მისცეს. რადგან დასავლეთი ფასადი მთავარია, მისი შესასვლელიც შედარებით ,,იმპოზანტურად" არის გაფორმებული - ღიობს კედლის სიბრტყიდან ერთი საფეხურით ამოწეული ასევე თაღოვანი მოხაზულობის საპირე შემოუყვება. მისი ნაპირები სიგანეზე ჩადგმული აგურებით არის გამოყვანილი, შუა მონაკვეთი კი განიერია და ოდნავ ჩაწეული.

დასავლეთი ფასადის თავდაპირველ სახეზე წარმოდგენას გვიქმნის XIX საუკუნის ღია ბარათი, რომელზეც პოლონელი ოფიცრები არიან გადაღებული ეკლესიის ფონზე (ილ. 46).[151] მასზე ჩანს, რომ კარის ასწვრივ ექვსკუთხა ჩარჩოთი მოსაზღვრული ძალიან პატარა წრიული სარკმელი იყო გაჭრილი. სახურავის კეხს თაღოვანი ღიობებით გახსნილი სამრეკლო ასრულებდა. მას პირამიდისებური სახურავი ჰქონდა.

რამდენადაც ღია ბარათით შეიძლება მსჯელობა, კედლის ძირითადი სიბრტყე შელესილი ან შეთეთრებული იყო, ხოლო დეკორატიული ელემენტები (პილასტრები, კარის საპირის კიდეები, კარნიზი) - შეულესავი.

საბჭოთა პერიოდში ეკლესია ჯერ ელექტროსადგურად, შემდეგ კი რძის ქარხანად გადააკეთეს. შესაბამისად, ჩვენამდე მან მნიშვნელოვნად შეცვლილი სახით მოაღწია. მონგრეულია სამრეკლო და ფრონტონის არეები, რის გამოც სახურავი დღეს ორფერდას ნაცვლად ოთხფერდაა, საკურთხეველი ძირითადი სივრცისაგან კედლით არის გამოყოფილი, ჭერი ბრტყლადაა შეფიცრული, კედლების ცალკეულ მონაკვეთებზე კი კაფელია გაკრული.

არქიტექტურული ფორმებისა და სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით მანგლისის ეკლესია სიახლოვეს ამჟღავნებს დაახლოებით იმავე პერიოდში აგებულ ლაგოდეხის კათოლიკურ ეკლესიასთან.

151 . მანგლისის ეკლესიის შესახებ ინფორმაციისა და ღია ბარათის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდი მანანა ქუთათელაძეს.

შერეული მასალის გამოყენება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ სამცხე-ჯავახეთის ეკლესიებისგან განსხვავებით, ისინი ადგილობრივი ოსტატების მიერ არის აგებული. მიუხედავად იმისა, რომ 1850-იან წლებში ბერძენი ქვის მთლელები მანგლისის სიონის აღდგენაზეც მუშაობდნენ,[152] როგორც ჩანს, კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა მათთვის არ დაუკვეთავთ.

1.6. გორის წმ. ოჯახის ეკლესია

კათოლიკე მისიონერები აქტიურ საქმიანობას გორში 1620-იანი წლებიდან იწყებენ. ერთადერთი ცნობა, რომელმაც შეიძლება XVII საუკუნემდე გორში მათი ყოფნა გვაფიქრებინოს, ეკუთვნის რუსეთის არმიის ყოფილ პოლკოვნიკს ბერნარ ეჟენ ანტუან როტიეს. 1819 წელს პროპაგანდა ფიდეს წინაშე წაკითხულ მოხსენებაში ,,ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოში" იგი აღნიშნავდა, რომ არსებობდა კათოლიკე მისიონერთა მიერ XV საუკუნეში გორში სახლების შეძენის საბუთები.[153] მას ასევე ნახსენები აქვს ეკლესიის ნანგრევები ქალაქის ერთ-ერთი წისქვილის ახლოს, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ავადმყოფობის დროს მიდიოდა და ლოცულობდა. როგორც გვამცნობს ბ. როტიე, ადგილობრივი გადმოცემით, ეს ეკლესია გენუელ პატრებს ეკუთვნოდა და ის ოსმალებს დაუნგრევიათ XVI საუკუნეში.[154] რამდენადაც სხვა მონაცემებით ეს ცნობები არ დასტურდება, ვფიქრობ ისინი სარწმუნო არ უნდა იყოს.

1628 წლის 11 მაისს გორში ავგუსტინელი ბერები - ამბროსიო დუშ ანჟუსი და პედრო დუშ სანტუში ჩამოვიდნენ. მათ ქართლ-კახეთის მეფე

---

152. მალაქია დვალი, *მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი* (თბილისი: მეცნიერება, 1974).

153. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის* (1902, რეპ. თბილისი: სიესტა, 2011): 70, 602. მ. თამარაშვილი, რომელსაც, როგორც ჩანს, სჯეროდა ბ. როტიეს ცნობისა, სინანულით შენიშნავს, ეს საბუთები დღეს მთლიანად დაკარგულიაო (70, შენიშვნა).

154. იქვე.

თეიმურაზ I-ს წმ. ქეთევანის ნაწილები გადასცეს.[155] მეფემ მისიონერებს ეკლესიისა და საცხოვრებელი სახლის ასაგებად მიწის ნაკვეთი, ხოლო შემოსავლის უზრუნველსაყოფად მამული და ყმები უბოძა.[156] ამ ნაკვეთზე პატრებმა მონასტერი დააარსეს. სალოცავის ასაშენებელი ფული მათ გოას ავგუსტინელთა მისიონიდან მიიღეს. ავგუსტინელთა რეზიდენცია ნაჩვენებია გორის ციხისა და მიმდებარე უბნის პანორამულ ნახატზე, რომელიც ქრისტოფორო კასტელის მიერ არის შესრულებული 1633 წელს (ილ. 47).[157] ნახატზე მონასტრის ტერიტორია ხის ღობით არის შემოსაზღვრული. შესასვლელი კარიბჭე ღობის სამხრეთ მონაკვეთშია განთავსებული. ეკლესია რეზიდენციის დასავლეთ ნაწილში დგას. კასტელის ნახატით რთულია მისი არქიტექტურული სახის ზუსტად წარმოდგენა. ერთი შეხედვით ის ორფერდა სახურავით გადახურული მოკლე დარბაზული ნაგებობაა, რომელსაც შუაში დაბალი წახნაგოვანი გუმბათი ადგას, მაგრამ ამ შემთხვევაში გაუგებარი ხდება შენობაზე აღმოსავლეთით მიდგმული მოცულობა, რომელიც კარიბჭეს უფრო ჰგავს, ვიდრე საკურთხეველს. თუმცა შესაძლოა გუმბათი ადგას არა ამ პატარა ნაგებობას, არამედ მის უკან მდგომ შენობას, რომელიც თვითონ არ ჩანს. ეგებ ამით შეიძლება აიხსნას გუმბათის სიდაბლეც. ამ შემთხვევაში წინ მდგომი შენობა ბერების საცხოვრებელ სახლად უნდა ვიგულისხმოთ. ასეა თუ ისე, ავგუსტინელთა ეკლესია ერთ-ერთ საუკეთესო საკულტო შენობად ითვლებოდა გორში. თეატინელი ბერი პიეტრო ავიტაბილე მას ყოველთვის

---

155 . ილია ტაბაღუა, *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში,* II (თბილისი: მეცნიერება, 1986), 134.

156. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 103.

157. დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ (თბილისი: მეცნიერება, 1977), 170-171, სურ. 437; როგორც ავგუსტინელების, ისე თეატინელების რეზიდენციების აღწერისას ასევე ვეყრდნობი კასტელის ნახატის ასლს (ავტორი გ. სოსანიძე), რომელიც გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია განთავსებული. ორიგინალი ინახება პალერმოს საქალაქო ბიბლიოთეკაში. Michael Rogers, ,,The Theatine Mission to Georgia: Cristoforo Castelli as Painter and Reporter", *Oriental Art* 47, 5, (2001): 42.

ეკლესიად მოიხსენიებს, მაშინ როცა საკუთარს მხოლოდ სამლოცველოს ან ,,პაწია ეკლესიას" უწოდებს.[158]

მონასტრის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი მონაკვეთები გუმბათისებრი მრგვალი სახურავებით გადახურულ კვადრატულ შენობებს უკავია. მათ სამეურნეო დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ნახატზე მონასტერს დასავლეთით პატარა მდინარე, სავარაუდოდ ლიახვის ვიწრო ტოტი, ჩამოუდის. ერთ-ერთი ცნობის მიხედვით, ავგუსტინელები მტკვრის პირას დასახლდნენ. ე. მამისთვალაშვილს მისიონის მტკვრის პირას გაშენება საეჭვოდ მიაჩნია, რადგან მდინარე ამ დროს ქალაქიდან საკმაოდ მოშორებით მოედინებოდა. ნაკლებსავარაუდოა, თუმცა მაინც დასაშვებია, რომ ცნობის ავტორი მდინარეს შეცდომით ასახელებდეს.[159]

ავგუსტინელებმა გორში სულ რამდენიმე წელი დაჰყვეს. 1632 წელს ქალაქში გავრცელებულ შავ ჭირს თითქმის მთელი მისიონი შეეწირა. გადარჩა წინამძღვარი პატრი ამბროსიო, რომელიც ამ დროს ნახიჭევანში იმყოფებოდა. ქართლში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო პროპაგანდა ფიდემ გორში ავგუსტინელთა მისიონი დახურა. 1637 წელს მარტო დარჩენილი პატრი ამბროსიო ისპაჰანში წავიდა და ეკლესია თეატინელებს ჩააბარა. გორიდან რომში გაგზავნილი მისი ბოლო წერილი 1640 წლით თარიღდება. როგორც ჩანს, ის ნახიჭევანიდან რაღაც დროს გორში დაბრუნდა, მაგრამ მონასტერი არ აღუდგენია.[160]

1628 წელს გორში ავგუსტინელების გარდა ორი თეატინელი ბერი - პიეტრო ავიტაბილე და ჯაკომო დი სტეფანო ჩამოვიდა. ისინი ქალაქში 14 დეკემბერს მოვიდნენ. მეფე თეიმურაზმა მათ საცხოვრებელი სახლი და დაზიანებული ეკლესია მისცა.[161] 1631 წლის 12 მაისს თეატინელთა რიგებს არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე ჯუდიჩე, ხოლო 1632 წლის 7 ივლისს

158. დონ პიეტრო ავიტაბილე, *ცნობები საქართველოზე (XVII ს.)*, შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა (თბილისი: მეცნიერება, 1977), 28, 52.
159. ილია ტაბაღუა, *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, III (თბილისი: მეცნიერება, 1987), 87; ელდარ მამისთვალიშვილი, *გორის ისტორია*, წ. I (თბილისი: მეცნიერება, 1994), 306.
160. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 132.
161. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 100, 102.

კიდევ ექვსი თეატინელი ბერი (მათ შორის კრისტოფორო კასტელი) შეუერთდა.[162] თეატინელებმა მეფის ნაჩუქარი ეკლესია შეაკეთეს და წმ. პეტრეს სახელზე აკურთხეს[163]. მისი მდებარეობისა და არქიტექტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის კრისტოფორო კასტელის ზემოთნახსენები ნახატი, რომელზეც ეკლესია მარჯვენა ზედა ნაწილშია დახატული. ის ციხის აღმოსავლეთით დგას, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც გვიანდელი კათოლიკური ეკლესია აშენდა (დღევანდელი შობის მართმადიდებლური ტაძარი). პატარა დარბაზული შენობა ხის ღობით შემოსაზღვრული ტერიტორიის დასავლეთით მდებარეობს. ის ორფერდა სახურავით არის გადახურული და თავზე სამრეკლოს ფანჩატური ადგას. დასავლეთ კედელში სამი ვიწრო სარკმელია, მათ ქვემოთ ფასადზე მიდგმულია კარიბჭის მსგავსი დაბალი მინაშენი, რომლის სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები თითო თაღოვანი ღიობით არის გახსნილი. ეკლესია განცალკევებით დგას და მისი მოცულობის დიდი ნაწილი დაბალი ღობით მოფარგლული ეზოს გარეთ არის გამოსული - ღობის შიგნით მხოლოდ ეკლესიის აღმოსავლეთი კედელი ხვდება. მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ოთხფერდა სახურავით დაბურული ორი სახლი დგას. ერთ-ერთი მათგანი პატრების საცხოვრებელი უნდა იყოს. კასტელის ნახატის სიზუსტეს პიეტრო ავიტაბილეს რელაციონებიც ადასტურებს. მათ მიხედვით, თეატინელები მოედანთან, ციხის ბასტიონის ქვემოთ ცხოვრობდნენ, მცირე ზომის ეკლესია და სახლი ერთმანეთის სიახლოვეს იდგა. უფულობის გამო თეატინელებმა მისიონს ალიზით ნაშენი ზღუდის ნაცვლად შემოავლეს ხის მოწნული ღობე, რომელიც მსუბუქი კარით იკეტებოდა. თვით ეკლესიას ორი კარი ჰქონდა. 1633 წლის დასაწყისში, როცა როსტომ-ხანმა თავისი მრავალრიცხოვანი ჯარით გორი დაიკავა, ჯარისკაცებმა ერთ ღამეს ეკლესიის გარე კარი გატეხეს, თუმცა შიდა კარში ვერ შევიდნენ, რადგან ის ბერებს რკინის ჯაჭვით ჰქონდათ დაბმული. აქ გარე კარში კარიბჭის, ხოლო შიდაში უშუალოდ ეკლესიის კარი უნდა

162. დონ პიეტრო ავიტაბილე, *ცნობები საქართველოზე*, 30.
163. დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, 60.

იგულისხმებოდეს. ცნობისმოყვარე ჯარისკაცები მოსვენებას არ აძლევდნენ თეატინელ ბერებს, რომლებიც მათ აურაცხელ ვიზიტებს ვერ აუდიოდნენ. ამ გაუთავებელი მიმოსვლის დროს სახლიდან რამდენიმე ნივთი, მათ შორის ბარძიმი დაიკარგა. მუსლიმ მეომართა დიდი ინტერესი გამოუწვევია ეკლესიაში განთავსებულ მაცხოვრისა და ღმრთისმშობლის ხატებს. არასწორად გავრცელებულმა ინფორმაციამ, თითქოს ბერებთან ორი ,,უსაზღვრო სილამაზის ყმაწვილი ქალ-ვაჟი" ცხოვრობდა, უამრავი ადამიანი დარაზმა მათი მონასტრისკენ, ბერები საკმაოდ გვიან მიხვედრილან, რომ საქმე აღნიშნულ ხატებს ეხებოდა.[164] მონასტერში ასევე ჰქონდათ რეფექტორიუმი (სატრაპეზო). სწორედ აქ შეხვდა დაუდ-ხანი ოსმალეთის სულთნის ელჩს. ავიტაბილეს ცნობით, დაუდ-ხანი მათი სასადილოს სისუფთავით მოხიბლულა.[165]

თეატინელების ეკლესია ძლიერ დაზიანდა 1635 წლის 17 ოქტომბერს თეიმურაზ I-ის გორზე თავდასხმის დროს. ამ ბრძოლას უნდა გულისხმობდეს ავიტაბილე, როცა 1635 წლის 24 ნოებრით დაათარიღებულ რელაციონში წერს, ჩვენ რომ გორში ეკლესია გვქონდა, გასული ომების დროს დაინგრაო.[166] ეკლესია, სავარაუდოდ, არტილერიის გახსნილ ცეცხლს უნდა დაეზიანებინა. მისიონის ციხესთან ახლო მდებარეობით ბერები მანამდეც ჩავარდნილან საფრთხეში. 1633 წელს გორის ციხის აღდგენის აღსანიშნავად გამართული საზეიმო სროლის დროს შაშხანების ტყვიებმა კინაღამ არქანჯელო ლამბერტი და ჯაკომო დი სტეფანო იმსხვერპლა.[167]

ეკლესიის დანგრევის შემდეგ პატრები სახლში ლოცულობდნენ. მათ გორში ორი სახლი ეკუთვნოდათ. ორივე რეზიდენცია მოუნახულებია 1635 წლის სექტემბერში გორში ჩამოსულ დომინიკელ მისიონერს ჯოვანი და ლუკას.[168] 1637 წელს გორიდან წასასვლელად გამზადებულ ავიტაბილეს 1635 წელს დანგრეული ეკლესიიდან ერთ-ერთ სახლში გადაუსვენებია

164. დონ პიეტრო ავიტაბილე, *ცნობები საქართველოზე*, 52-55.
165. იქვე, 45.
166. იქვე, 22.
167. იქვე, 56.
168. იქვე, 37.

ჯაკომო დი სტეფანოს ძვლები.[169] 1638 წლისათვის, ავგუსტინელების მსგავსად, გორი თეატინელებმაც დატოვეს.[170]

1660-იანი წლების დასაწყისში ქართლში კაპუცინთა ორდენის მისიონერები ჩამოვიდნენ. ისინი თბილისში დასახლდნენ. ერთ-ერთი პატრის კარლო სანმარინელის მოხსენებაში, რომელიც 1668 წლით თარიღდება, თბილისისა და ქუთაისის კათოლიკური ეკლესიების გვერდით გორზეც არის ლაპარაკი. იგი ავგუსტინელების ყოფილ ეკლესიას მონასტრად და სადედოფლოდ მოიხსენიებს,[171] რაც მოწმობს, რომ შენობა მართლმადიდებელთა ხელში გადასულა. მისივე ცნობით ,,გორში არის კიდევ სხვა პატარა ეკკლესია, რომელიც 20 წლის წინეთ ეკუთვნოდა თეათინელ პატრებს".[172] მეფე შაჰნავაზი კაპუცინებს აღნიშნული ეკლესიის გადაცემას დაჰპირდა, მაგრამ იმის გამო, რომ მათ მისიონის დასაარსებელად ადამიანური და ფინანსური სახსრები არ გააჩნდათ, შენობა ვერ მიიღეს. 1669 წელს იტალიიდან მისიონერთა ახალი ნაკადი ჩამოვიდა. მათგან სამი გორში გაემგზავრა და მონასტერი დააარსა.[173] უცნობია მიიღეს თუ არა პატრებმა თეატინელების ძველი ეკლესია, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას რომ შაჰნავაზმა მათ სახლი უწყალობა. სწორედ ამ სახლში გაათენა რამდენიმე ღამე 1672 წლის დეკემბერსა და 1673 წლის იანვარში გორში ჩასულმა ჟან შარდენმა.[174] მისიონი წევრთა მრავალრიცხოვნებით არ გამოირჩეოდა. 1684 წელს, ქართლში გაჩენილ შავი ჭირის დროს, იქ ცხოვრობდა მხოლოდ ერთი პატრი - კარლო პეშელი.[175] მისი გარდაცვალების შემდეგ მისიონი დაცარიელდა. შექნილი სიტუაციით ისარგებლეს მონოფიზიტმა სომხებმა და მიტოვებული სახლი დაიკავეს. კაპუცინებმა მისი დაბრუნება მხოლოდ 1690 წელს შეძლეს. თბილისის

---

169. იქვე, 60.
170. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 132.
171. იქვე, 234.
172. იქვე.
173. იქვე, 235.
174. *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ)*, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა (თბილისი: მეცნიერება, 1975), 288, 323.
175. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 259.

მისიონის წევრი პატრი ჯულიო 1691 წელს რომში გაგზავნილ წერილში წერდა:

... მარტო გორია, რომ ვერც წინეთ და ვერც ახლა შეიძლო თავის გამოჩენა, რადგან ჩვენი ძმები დაიძაბუნეს სომხების მღვდლებმა, რომლებსაც ძალით ჩამოართვეს მათგან მითვისებული ჩვენი სახლი ... გარნა ამ მისიონს კვალად სჭირია გიორგი მეფის (იგულისხმება გიორგი XI – ნ. ნ.) მობრძანება, რადგან დიდი ხარჯია საჭირო, რომ ეკკლესია რიგიანად იქმნეს მოწყობილი ...[176]

დაზუსტებით ძნელია იმის თქმა, თუ რა ბედი ეწია კაპუცინთა სალოცავს. როგორც ჩანს, მათ კიდევ დიდი ხანი არ ჰქონდათ ეკლესია და მონასტრის სახლში წირავდნენ. 1713 წელს გორში შეხვედრილან ერთმანეთს მისიონერი ი. რიშარდი და კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცეული სულხან-საბა ორბელიანი. გორიდან ისინი ერთად გაემგზავრნენ საფრანგეთში.[177]

1745 წლისთვის გორში ახალი კათოლიკური ეკლესია აშენდა წმ. სილვესტრეს და წმ. გიორგის სახელობაზე. ამის დამადასტურებელი საბუთი XIX საუკუნის ბოლოს მოიძია მღვდელმა გაბრიელ ასლანიშვილმა საქართველოში კათოლიკეთა მოღვაწეობასთან დაკავშირებულ დოკუმენტთა კრებულში, რომელიც ინახებოდა გორის კათოლიკურ ეკლესიაში.[178] საბუთი გვამცნობს, რომ 1745 წლის 11 მაისს წმ. სილვესტრესა და წმ. გიორგის სახელობის ახლადაშენებულ ეკლესიაში გორის კათოლიკე მრევლს მირონის ცხება მიუღია ფილიპე ეპისკოპოსისაგან. რამდენადაც იმ დროს საქართველოზე ისპაჰანის ლათინური საარქიეპისკოპოსოს

---

176. იქვე, 285.

177 . მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე* (თბილისი: კანდელი, 1995), 649; სულხან საბა ორბელიანი, *მოგზაურობა ევროპაში*, სოლომონ იორდანაშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით (1940, რეპ. თბილისი: 2005), 158.

178 . გაბრიელ ასლანიშვილი, ,,ახალი ცნობა ქართველ კათოლიკეთ რომის ტიბიკონის შესახებ", *ცნობის ფურცელი*, 1899, 16 ივნისი, №843, 2. ავტორი ამ კრებულს აღწერს როგორც წიგნს, „რომელიც არს დაწერილი ლათინურს ენაზე და ზოგან ქართულ ენაზედაც". სხვადასხვა საკითხზე მსჯელობისას ის კრებულის შესაბამის გვერდებსაც უთითებს.

იურისდიქცია ვრცელდებოდა, ნახსენები მეუფე ფილიპე უნდა იყოს ისპაჰანის ეპისკოპოსი ფილიპო მარია დი სან აგოსტინო მალაკისი, რომელიც 1736 წელს დაინიშნა. წყაროში ამაზე მითითება არ არის, მაგრამ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ეკლესია კაპუცინთა მისიონში უნდა ყოფილიყო აშენებული. 1755 წელს კათალიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის გაკათოლიკების გამო თეიმურაზ II-მ კაპუცინებს ეს ეკლესია ჩამოართვა და მათ წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლ კირილე ეპისკოპოსს გადასცა, რათა ,,ეწირა ამ მისიონერების ეკკლესიაში და საცხოვრებლად მის ყოფილიყო მათივე მონასტერი".[179] როგორც ზემოთ იყო ლაპარაკი, იგივე ბედი ეწია თბილისის კათოლიკურ ეკლესიასაც. მეფებ მისიონერებს ქონების ჩამორთმევა არ აკმარა და ისინი ქართლიდან გააძევა.

ყოფილი წმ. სილვესტრესა და წმ. გიორგის ეკლესია მართლმადიდებელთა ხელში გ. ასლანიშვილის დროსაც ფუნქციონირებდა. ის არაფერს ამბობს ეკლესიის ახალ სახელობაზე - განსხვავებით ზ. ჭიჭინაძისაგან, რომელიც მას ოქონის ღვთისმშობლის სახელზე ნაკურთხად მოიხსენიებს, თუმცა აშენების თარიღად 1745 წლის ნაცვლად 1630 წელს უთითებს.[180] ოქონის ეკლესიის ისტორია გამოკვლეულია[181] და დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ის ყოფილი კათოლიკური ეკლესია არ არის.

გ. ასლანიშვილი ახსენებს კაპუცინ მისიონერთა სახლსაც, რომელიც დროთა განმავლობაში სიძველის გამო დანგრეულა და მის ადგილას „სამრევლო სასწავლებელი" აუგიათ (როგორც ჩანს, იგულისხმება გორის სასულიერო სასწავლებელი, აშენებული 1880-იან წლებში).

კაპუცინები გორში 1767 წელს დაბრუნდნენ. ერეკლე II-მ მათ თეიმურაზის მიერ ჩამორთმეული ეკლესიის სანაცვლოდ მიწის ნაკვეთი და

---

179. იქვე.

180. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში* (ტფილისი: სტამბა არ. ქუთათელაძისა, 1903), 56.

181. იოსებ ალიმბარაშვილი, ,,გორის ოქონის ღვთისმშობლის ეკლესია და მასში დაცული სიწმინდეები", *ოქონა, სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო სესიების მასალები* (თბილისი: ფარნავაზი, 2012), 57-82.

მცირე ზომის სახლი მისცა. მასში პატრებმა საკურთხეველი მოაწყვეს და ღვთისმსახურებას ასრულებდნენ.[182] კათოლიკეთა მშვიდი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. ერეკლეს მერყევი დამოკიდებულება და სომხების მტრობა გამუდმებულ პრობლემებს უქმნიდა მისიონერებს. ეჩმიაძინის პატრიარქის წაქეზებით 1775, 1776 და 1782 წლებში სომხები თავს დაესხნენ ადგილობრივ კათოლიკე მოსახლეობას და სასტიკად დაარბიეს, ხოლო კაპუცინების სამლოცველო სახლს ქვები დაუშინეს.[183]

ძნელია იმის თქმა, თუ სად მდებარეობდა ეს სახლი. ე. მამისთვალაშვილი თავის წიგნში ,,გორის ისტორია" ქალაქის ეკლესიების აღწერისას ეყრდნობა გორის 1802 წლის გეგმას და ამბობს, რომ მასზე სხვა კონფესიის ეკლესიებს შორის ლათინური ასო q-თი აღნიშნულია კათოლიკეთა სამლოცველო სახლი. მამისთვალაშვილს საილუსტრაციოდ მოაქვს არა გეგმის ორიგინალი, რომელიც მოსკოვის სამხედრო-საისტორიო არქივში ინახება, არამედ მასზე დაყრდნობით შედგენილი გეგმის საკუთარი ვერსია, რომელზეც აღნიშნული სამლოცველო საერთოდ არ არის ნაჩვენები.[184] ამდენად, სახლის ლოკალიზება ამ გეგმით შეუძლებელია.

გორის კათოლიკურ ეკლესიას ახსენებს იულიუს კლაპროთიც:

> გორში არის ქვით ნაშენი სამი ეკლესია, რომელთაგან ორი ქართველების ერთი კი სომხების მიერ არის აშენებული. კათოლიკე სომხებს აქვთ ერთი პატარა ეკლესია, სადაც ღვთისმსახურებას აღავლენდნენ იტალიელი კაპუცინები, რომლებიც ცოტა ხნის წინ აქედან წავიდნენ. თბილისში, გორში და ქუთაისში არიან ევროპელი მისიონერები მხოლოდ სამხრეთ კავკასიიდან.[185]

აქ აშკარა შეცდომაა. 1808 წელს, როცა ი. კლაპროტი გორში ჩავიდა, კაპუცინები ჯერ კიდევ მოღვაწეობდნენ გორშიც და საქართველოს სხვა ქალაქებშიც. როგორც ჩანს, მან არასწორად გაიგო ის ვითარება, რომელიც

---

182. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 385.
183. იქვე, 388, 392, 400.
184. ელდარ მამისთვალიშვილი, *გორის ისტორია*, წ. I, 132, 284.
185. Jules Klaproth, *Voyage au Mont Caucase et en Georgie*, tome second (Paris: librarie de Charles Gosselin, Librarie Classique-Éleméntaire, 1823), 114.

შეიქმნა XIX საუკუნის პირველ წლებში[186]. რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ანექსიის შემდეგ მთავარმართებელმა კ. კნორინგმა (1801-1802) ევროპელი მისიონერების შემოსვლა აკრძალა. ის ქვეყნიდან მათ გაძევებასაც აპირებდა, რაც ძალზე ხანმოკლე მმართველობის გამო უბრალოდ ვერ მოასწრო. [187] მაგრამ მისი მემკვიდრის პ. ციციანოვის დროს ვითარება მკვეთრად შეიცვალა. ის დადებითად იყო განწყობილი მისიონერების მიმართ და ეხმარებოდა კიდეც მათ. თუმცა გარკვეული პრობლემები პატრებს მის დროსაც შეექმნათ. 1804 წლის 10 აგვისტოს გამოქვეყნდა ალექსანდრე I-ის ბრძანება, რომელმაც საქართველოს რომაული ეკლესია რუსეთში ლათინთა მიტროპოლიტ სტანისლავ სესტრენცევიჩს დაუქვემდებარა [188] (მოგილიოვის ლათინთა ეპისკოპოსი საქართველოზე პრეტენზიას ჯერ კიდევ 1784 წლიდან აცხადებდა). [189] 1805 წელს პ. ციციანოვმა კაპუცინ პატრებს აუწყა, რომ ისინი მოგილოვის ეპისკოპოსს უნდა დამორჩილებოდნენ, ხოლო პროპაგანდა ფიდესთან ურთიერთობა გაეწყვიტათ. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული, სავარაუდოდ 1823 წლის, ერთ-ერთი დოკუმენტი ადასტურებს, რომ

---

186 . ი. კლაპროთის ეს ცნობა სარწმუნოდ მიიჩნია ე. მამისთვალაშვილმა და მასზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ „უკანასკნელ პატრს გორი დაუტოვებია 1807 წლის ახლო ხანებში". იხ.: ელდარ მამისთვალიშვილი, *გორის ისტორია*, 334). ამ მცდარი აზრის განსამტკიცებლად ის დამატებით უთითებს პოლონელი ქსენძის იულიან დობკევიჩის სტატიას, რომელიც 1898 წელს გამოქვეყნდა პეტერბურგში გამომავალ პოლონურ გაზეთში „Kraj". იმავე წელს სტატიის ქართული თარგმანი გაზეთმა „ივერიამ" დაბეჭდა. აქ ნათქვამია: „როდესაც რუსეთის ჯარი პირველად შევიდა საქართველოში, აქ იყოღა მხოლოდ 3 მონასტერი კათოლიკეთა კაპუცინების ორდენისა: ტფილისსა, გორსა და ქუთაისში. მაშინ ზოგიერთი ცვლილება მოხდა. კაპუცინის ორდენის ბერები, რომელთაც არა ჰსურდათ რუსეთის ქვეშევრდომობა, გარდასახლებულ იქმნენ საქართველოდგან. მათი ადგილები დაიჭირეს პოლონელმა პატრებმა, რომელთაც არ იცოდნენ ქართული ენა". იხ.: იულიან დობკევიჩი, ,,კათოლიკობა საქართველოში", *ივერია*, 1898, 14 ივნისი, №125, 1). არცერთი საბუთი 1840-იან წლებამდე თბილისში, გორსა თუ ქუთაისში პოლონელი მღვდლების ყოფნას არ ადასტურებს. პოლონელი მღვდლები პირველადე იხსენიებიან 1848 წლით დათარიღებულ საბუთებში. ამ დროს გორში მსახურობს იოსიფ სკაჩკოვსკი, ხოლო ქუთაისში - სტანისლავ მისოვიჩი (სცა, ფონდი №1617, აღწერა №1, საქმე, №18).

187. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 493.

188 . მურმან პაპაშვილი, *საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს.* (თბილისი: აღმაშენებელი, 1995), 302.

189. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 494.

კაპუცინი ბერები სესტრენცევიჩის უწყებას ექვემდებარებიან, თუმცა რომთან კვლავ ინტენსიური კავშირი აქვთ:

მწყემსნი ... ვართ ფრანცისკო გვარისა კაპუცინის რიგის ბერები, მე განწესებულ ვარ იმათზედ პრეფეკტათ რომის პროპაგანდა ფიდესაგან და ვიმყოფებით უწყებასა ქვეშე პეტერბურღში მყოფის მიტროპოლიტის სტანისლავოს სერტრინცევიჩისა. [190]

ასეა თუ ისე, უეჭველია, რომ 1800-იან წლებშიც და კარგა ხანს მერეც კაპუცინები საქართველოში რჩებოდნენ - ეს დასტურდება როგორც მრავალრიცხოვანი დოკუმენტებით, ისე მოგზაურთა ცნობებით. 1813 წელს საქართველოში სულ ორი კაპუცინი ბერია - ფილიპე ფორანოელი და მარიუს კიოლნელი. მათთან ერთად არის ქართველი პატრი ონოფრიო, რომელიც დომინიკელთა წესის მონაზონია ერთ-ერთი პოლონური მონასტრიდან.[191] 1830-იან წლებამდე ეს სამი ბერი უძღვებოდა თბილისის, გორისა და ქუთაისის ეკლესიებს. 1839 წელს თბილისში არიან ფრანჩესკო მესონელი, იოსებ ჯენუელი და იოსებ ლიბერნსელი, გორში დამიანე ვიარეჯელი და ემანუილ სარდინელი, ხოლო ქუთაისში პატრი ჩელესტინე და პატრი ბონავენტურა. [192] ქვეყნის დატოვება დატოვება კაპუცინებს ბევრად უფრო გვიან, ნიკოლოზ I-ის მიერ 1844 წლის 19 მარტს გამოცემული დეკრეტის შემდეგ მოუწიათ. დოკუმენტი მათ ავალდებულებდა თავი რუსეთის ქვეშევრდომებად ეცნოთ, უარი ეთქვათ რომთან მიმოწერაზე, გამიჯვნოდნენ სომეხ კათოლიკეებს და დამორჩილებოდნენ მოგილიოვის კონსისტორიას. პატრებმა ამაზე უარი განაცხადეს და ქვეყნიდან გაემგზავრნენ.

დამაბნეველია ი. კლაპროთის გამოთქმა „ევროპელი მისიონერები სამხრეთ კავკასიიდან", მით უმეტეს იმ კონტექსტში, რომ კაპუცინები მას უკვე განდევნილი ჰგონია და ეს „მისიონერები სამხრეთ კავკასიიდან" მათ

190. სცა, ფონდი №1644, ანაწერი №1, საქმე №1.
191. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 499.
192. სცა, ფონდი №1644, ანაწერი №1, საქმე №1.

შემცვლელებად წარმოუდგენია. ჩემი ვარაუდით, ი. კლაპროთის ცნობა ეხება არა საქართველოში მოღვაწე მისიონერების წარმომავლობას, არამედ იმას, თუ ვის ექვემდებარებიან ისინი, ანუ ზემოთნახსენებ დადგენილებას პატრების მოგილიოვის ეპისკოპოსის იურისდიქციაში გადასვლის თაობაზე.

1810 წელს კაპუცინებმა გორში ახალი ეკლესიის მშენებლობა წამოიწყეს. ეს ის შენობაა, რომელიც დღესაც დგას და, მიუხედავად გადაკეთებებისა, თავდაპირველი სახე დიდწილად შემოინახა (ნ. ლომოურის ქ. №7). მარი ბროსეს 1847 წელს ამ ეკლესიაზე უნახავს ლათინური სამშენებლო წარწერა (ამჟამად ის არ იძებნება, სავარაუდოდ განადგურდა საბჭოთა პერიოდში):

I. M. J. Ecclesia catholica incepta A. P. M[ari] Anno Dni. 1810, et completa A. P. D. 1819

ი[ესო] მ[არიამ] ი[ოსებ] კათოლიკური ეკლესია დაიწყო ა[ბატმა] პ[ატრმა] მარი[უსმა] ქრისტეს აქეთ 1810 წელს და დაასრულა ა[ბატმა] პ[ატრმა] დ[ამიანემ?] 1819 წელს.[193]

ეკლესიის მშენებლობის დაწყება პატრ მარიუსის (მარიოს, მარის) მიერ 1810-იანი წლების დამდეგს სხვა ცნობებითაც დასტურდება.[194] კაპუცინების

---

193. Marie Brosset, *Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847-1848*, 3e livraison, sixième rapport (St.-Pétersbourg: Imprimerie de l'Académie Impériale des Sciences, 1851), 43.

194 . მ. თამარაშვილი ეკლესიის აგების თარიღად ერთგან გაკვრით 1806-1810 წლებს უთითებს. იხ.: მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე*, 702. ეს თარიღი ძირითადად გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. იხ.: მაგალითად, *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა,* ტ. 5 (თბილისი: ქათული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1990), 38-39. რამდენიმე ავტორი საარქივო მასალაზე დაყრდნობითა და კვლავ თამარაშვილის მონაცემების გაანალიზების საფუძველზე ფიქრობს, რომ ეკლესია 1822 წელს ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. მაგალითად, იხ.: ნუგზარ პაპუაშვილი, *სიმართლისა და სამართლისათვის გორის კათოლიკურ ეკლესიაზე* (თბილისი, 2013), 78; ქეთევან პავლიაშვილი, „ფრაგმენტები გორის კათოლიკური ეკლესიის ისტორიიდან (XV-XIX სს.)", *კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები*, საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, XXI (თბილისი, 2005), 89. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს აზრი სავსებით საფუძვლიანია.

მისიონის უფროსი პატრი ფილიპე ფორანოელი 1815 წლის იანვარში პროპაგანდა ფიდეს სწერდა:

გორში არიან პატრი მარიო კოლონიელი (იგივე მარიუს კიოლნელი - ნ. ნ.) და დომინიკანი პატრი ონოფრიო ტფილელი. იქ 30 მოსახლე კათოლიკეა. ეკკლესიის მაგიერ აქვსთ კარგად მოწყობილი სახლი, რომელზედაც მიკრულია რავდენიმე ოთახი, სადაც დღევანდლამდე პატრები სცხოვრობენ. ახლა პატრი მარიომ და პატრი ონოფრიომ თითქმის დაასრულეს ახალი სახლი და ახალი ეკკლესიის კედლებიც მიწას ამოაცილეს ერთი კაცის სიმაღლეზე. მე არ მინახავს, მაგრამ ბევრი აქებს როგორც სახლს, ისე ეკკლესიის გარეგნობას. გორშიც არის ერთი და იგივე ძმობა, რომელიც ბევრს შეეწია ეკკლესიის აშენებას ....[195]

ფილიპე ფორანოელის სხვა წერილიდან ვიგებთ, რომ 1817 წელს ბერების საცხოვრებელი სახლი უკვე დასრულებულია, ხოლო ეკლესია სანახევროდ არის აშენებული. შემწირველებად ის ტფილისის მისიონს, გორელ კათოლიკეებსა და ქართველ თავადებს ასახელებს. პოლკოვნიკ როტიეს ცნობით, უსახსრობის გამო ეკლესიის მშენებლობა პერიოდულად ფერხდებოდა. [196] გამბას, რომელიც გორში 1820 წელს იყო, ეკლესია აშენებული დახვდა. გორის სხვა რვა ეკლესიას შორის ის კათოლიკურსაც ახსენებს:

ქალაქს აქვს რვა ეკლესია. მათგან ერთი კათოლიკური რიტისა მხოლოდ ერთი წელია რაც დასრულდა. ის აშენებულია აგურით. ხარჯები მდიდარმა სომხებმა გაიღეს. ის უფრო ვრცელია, ვიდრე ამას მოითხოვს მორწმუნეთა

195 . მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 503. ახალი ეკლესიის მშნებლობის ინიციატორ პატრ მარიოს მარიუსის სახელით ახსენებენ ბერნარ როტიე და გ. ასლანიშვილიც. ამ უკანასკნელის ცნობით პატრი 1823 წელს გარდაცვლილა და თავისსავე აგებულ ეკლესიაში დაუკრძალავთ. იხ.: Bernard E. A. Rottiers, *Itinéraire de Tiflis a Constantinople* (Bruxelles: Chez Frechet Libraire, 1829), 111; გაბრიელ ასლანიშვილი, „ახალი ცნობა ახალი ცნობა ქართველ კათოლიკეთ“, 2.

196. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 508.

რაოდენობა, რომელიც ორასსაც არ აღწევს. ამ ეკლესიას ემსახურებიან იტალიელი კაპუცინები.[197]

ამრიგად, აწ დაკარგული სამშენებლო წარწერითა და წერილობითი ცნობებით ირკვევა, რომ კათოლიკური ეკლესიის შენობა, რომელიც დიდწილად დღემდე შემოინახა, კაპუცინებს 1810-1819 წლებში აუგიათ.

ეკლესიის მშენებლობისთვის მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარება გაიღო ზუბალაშვილების ოჯახმა[198]. როგორც მ. ბროსე წერს, გორში მისთვის უთქვამთ, ეკლესია ზუბალაშვილების ხარჯით არის აშენებულიო.[199] შეძლებულმა კათოლიკურმა გვარმა ფინანსური დახმარება შემდგომშიც არაერთხელ გაუწია გორის ეკლესიას. მაგალითად, ნიკოლოზ ზუბალაშვილმა ეკლესიას ანდერძით (ის 1898 წელს გარდაიცვალა) 1000 მანეთი დაუტოვა. ეს თანხმა მღვდელმა გაბრიელ ასლანიშვილმა ფისჰარმონიის შეძენასა და ეკლესიის იატაკის დაგებას მოახმარა.[200] 1913 წელს შენობის განახლების ხარჯი მთლიანად საკუთარ თავზე აიღო ლევან ზუბალაშვილმა. 1914 წელს მისი გარდაცვალების შესახებ გაზეთი ,,ახალი ქართლი" წერდა: ,ეუწყა რა საჭიროება ეკლესიისა, დაუყონებლივ გამოგვიგზავნა ინჟინრები, ტეხნიკოსები, ოსტატები; და განახლდა ესე ეკლესია კათოლიკეებისა".[201]

გორის წმ. ოჯახის სახელობის ეკლესია აგურით ნაშენი, დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული ჩახაზული ჯვრის ტიპის ნაგებობაა (ილ. 48). ჯვრული სტრუქტურა გარე მოცულობაში სუსტად არის გამოვლენილი - მკლავები ოდნავ მაღალია კუთხის ნაწილებზე. შუაში აღმართულია გუმბათი მრგვალი შემაღლებული თორმეტსარკმელიანი ყელითა და სფერული სახურავით (ილ. 49). პასტოფორიუმებს პატარა

197 . Jacques Francois Gamba, *Voyage dans la Russie méridionale, et particulièrment dans les provinces situées au-delà du Caucase, fait depuis 1820 jusqu'en 1824*, t. II. (Paris: C. J. Trouvé Imprimeur-Libraire, 1826), 116.

198. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 520.

199. Marie Brosset, *Rapports sur un voyage archéologique,* 3e livraison, sixième rapport, 43.

200. სცა, ფონდი №161, ანაწერი №1, საქმე №48.

201. *ახალი ქართლი,* ლ. კ. ზუბალაშვილის გარდაცვალების გამო, 1914, 18 დეკემბერი, № 17, 2.

გუმბათებით დაგვირგვინებული სამრეკლოები ადგას. აღმოსავლეთით ეკლესიას სეგმენტურად შვერილი სამი აფსიდი აქვს.

გუმბათი ორ რვაწახნაგა ბურჯსა და საკურთხევლის აფსიდის კედლების შვერილებს ეყრდნობა. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა აფრების მეშვეობით ხდება (ილ. 50). გუმბათსა და დასავლეთის კედელს შორის ბურჯების დამატებითი წყვილია. მათგან თითო თაღი გადადის დასავლეთი და შესაბამისი გრძივი კედლებისაკენ. ამ თაღების ზემოთ სივრცე დამატებით სათავსებს უკავია. სწორკუთხა პასტოფორიუმები თითო კარით უკავშირდება როგორც საკურთხეველს, ისე ეკლესიის ძირითად სივრცეს. სამკვეთლოს ჩრდილოეთ კედელში მოწყობილი კიბითა და კამარაში გაკეთებული კარით შესაძლებელია კონქისა და პასტოფორიუმების თავზე მოწყობილ ოთახებში მოხვედრა. თავდაპირველი სახით ისინი საკურთხევლისკენ იხსნებოდა თითო თაღოვანი ღიობით, რომლებიც 2000-იან წლებში საკურთხეველის მხატვრობის გადაწერისას ამოქოლეს და გადალესეს. ამავე პერიოდში მოშალეს პატრონიკეც (ილ. 51). ის დასავლეთ კედელს მთელ სიგანეზე გაუყვებოდა. პატრონიკეზე ასასვლელი კიბეები შესასვლელის აქეთ-იქით, კედლის სისქეშია დატანებული. კიბის უჯრედებს გარედან ხის თაღოვანი კარები კეტავს. დღეს მოშლილი პატრონიკე 1913 წელს, შენობის განახლების დროინდელი იყო (ილ. 52). მხატვარ-არქიტექტორ ჩენცოვის მიერ შედგენილი პროექტი ვესტიბიულისა და შესასვლელი კარის შეცვლასაც ითვალისწინებდა. პროექტის მიხედვით, პატრონიკის ხის მოაჯირი, რომელიც დასავლეთ მკლავს მთელ სიგანეზე გასდევდა, რიკულებით იყო შედგენილი. მასზე ასასვლელად ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ლითონის აჟურულმოაჯირიანი კიბე უნდა გაკეთებულიყო. ეს უკანასკნელი აღარ განხორციელდა და პატრონიკეზე მოსახვედრად ძველი პატრონიკის კიბეები გამოიყენეს. გამოცვალეს როგორც შესასვლელი, ისე პატრონიკეს კარები.

თავდაპირველად ეკლესიას შესასვლელი მხოლოდ დასავლეთიდან ჰქონდა.[202] 2000-იან წლებში შენობის რეკონსტრუქციის დროს მას კარიბჭე მიადგეს. ამავე პერიოდში სწორკუთხა კარი გაჭრეს სამხრეთი ფასადის დასავლეთ და ჩრდილოეთი ფასადის აღმოსავლეთ მონაკვეთებში. ეს უკანასკნელი უშუალოდ სამკვეთლოში შედის.

ინტერიერის განათების ძირითად წყაროს გუმბათის ყელში გაჭრილი თორმეტი სარკმელი წარმოადგენს. ჯვრის მკლავებში მართკუთხა შეღრმავებაში ჩაწერილი თითო დიდი თაღოვანი სარკმელია მოწყობილი. გრძივ კედლებზე მცირე ზომის სარკმლები - ორ-ორი დასავლეთით და თითო აღმოსავლეთით (პასტოფორიუმების გასანათებლად) შუასთან შედარებით ქვემოთ არის გაკეთებული (ილ. 53). დასავლეთ კედელში კარის აქეთ-იქით გაჭრილი ორი მცირე ზომის თაღოვანი სარკმელი პატრონიკის კიბის უჯრედებს უზრუნველყოფს შუქით, ხოლო მათ ასწვრივ კარნიზის ძირში გაკეთებული წრიული ღიობები - დასავლეთი მკლავის ზედა სათავსებს. ინტერიერში თითქმის ყველა თაღი ნახევარწრიული ფორმისაა, მხოლოდ გუმბათქვეშა საბჯენ თაღებს აქვს მსუბუქად შეისრული მოხაზულობა.

გუმბათქვეშა და დასავლეთის ბურჯებს ჰქონდა სამი თაროს პროფილის საფეხუროვანი კაპიტელები, რომლებიც ნაწილობრივ ჩამოთალეს 2000-იან წლებში (ილ. 54). თავად ბურჯები, როგორც ითქვა რვაწახნაგაა, ამასთან ძირითად ღერძებზე განლაგებული წახნაგები უფრო განიერია, ვიდრე დიაგონალურზე. კაპიტელების ქვეშ ვიწრო წახნაგები დასაფეხურებული იყო ირიბად ჩალაგებული აგურების სამი რიგით. ბოლო რეკონსტრუქციის დროს კაპიტელები მოშალეს და აგურების საფეხურები ჩამოთალეს, შედეგად კუთხეებმა მარტივი ,,სტალაქტიტის" ფორმა მიიღო. ანალოგიურად, სამის ნაცვლად ერთი მთლიანი ,,სტალაქტიტი" დარჩა სატრიუმფო თაღის პილასტრების კუთხეებშიც.

---

202. სამხრეთი კედელის ერთ-ერთ მართკუთხა შეღმავებაში ჩაწერილი ნახევარწრიული თაღი იმაზე მიუთითებს, რომ შესასვლელი კარის მოწყობა აქაც იყო გათვალისწინებული, თუმცა რაღაც მიზეზით სავარაუდოდ მშენებლობის დროსვე ამოუქოლავთ.

ამოშენებული იქნა ჩრდილოეთ და სამხრეთ მკლავებში ქანდაკებებისთვის განკუთვნილი ღრმა ნიშები. ნიშებთან ერთად მათი მამკობი პლასტიკურად ნაძერწი თავსართებიც მოიშალა.

ეკლესია XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოხატეს. 1950 წელს კედლები დაახლოებით თაღების იმპოსტებისა და სარკმლების ძირების სიმაღლემდე შეათეთრეს, ზედა რეგისტრის მხატვრობა კი ხელუხლებელი დარჩა. 2000-იან წლებში ეს დარჩენილი მოხატულობაც გადალესეს და ინტერიერი ნაწილობრივ ხელახლა მოხატეს. ამ რემონტამდე გადაღებულ ფოტოსურათებზე ჩანს, რომ საკურთხეველი ღვთისმშობლის დიდების სცენას უკავია (ილ. 55). ცეცხლოვან მანდორლაში გამოსახული ღვთისმშობელი გარშემორტყმულია სამი სერაფიმით, რომელთა ერთმანეთში გადაწნული ვარდისფერი ფრთები მანდორლის ფორმას იმეორებს. საკურთხევლის კედლებზე ორ რიგად განთავსებულ ანგელოზთა ლაშქარი ხატია. ღვთისმშობლის თავზე გამოსახულია მთავარანგელოზის (სავარაუდოდ გაბრიელის) ნახევარფიგურა, რომლის აქეთ-იქით მახარებელთა სიმბოლოებია დახატული: მარცხნივ - მათე (ფრთიანი ყმაწვილი) და იოანე (არწივი), ხოლო მარჯვნივ - ლუკა (ხარი) და მარკოზი (ლომი). მათ ასწვრივ გაფრიალებული ლენტია წარწერით: წმიდა არს, წმიდა არს. რამდენადაც ფოტოსურათებზე ჩანს, წარწერა თითქოს მანდორლის კიდესაც შემოუყვებოდა. ბემაში განთავსებული სამი მედალიონი ვედრების სცენას ასახავს. შუა მედალიონში მაცხოვარია გამოსახული, მის აქეთ-იქით - იოანე ნათლისმცემელი და ღმრთისმშობელი. საკურთხევლის თაღზე ოქროსფერი ქართული ასოებით გამოყვანილია წარწერა: ,,დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა შინა მშვიდობა". პილასტრების ძირში მთავარანგელოზები იყო დახატული, სამხრეთისაზე - მიქაელი, ჩრდილოეთისაზე - გაბრიელი. აფრები ტრადიციისამებრ მახარებელთა ფიგურებს ეკავა. გუმბათქვეშა თაღები, ბემის მსგავსად, მედალიონებით იყო შემკული. მათ სხვადასხვა წმინდანთა ფიგურები ავსებდა. კედლების ზედა რეგისტრებს, თაღებს, კაპიტელებს,

კამარებსა და გუმბათის ყელს მცენარეული ორნამენტი ამკობდა. დეკორი ძირითადად მწვანე, ლურჯ და ოქროსფერ ტონებში იყო გადაწყვეტილი.

გარედან ეკლესია საკმაოდ სადად გამოიყურება (ილ. 56). 2000-იანი წლების რემონტის შემდეგ, როცა მოიხსნა საფასადო ნალესობა, გამოჩნდა აგურის წყობა. თლილი ქვის კვადრები მხოლოდ კუთხეებზე, ისიც სარკმლების ძირების სიმაღლემდეა გამოყენებული. ქვები კედლებზე მონაცვლეობით გრძელი და მოკლე მხარით გამოდის. ჩრდილოეთ ფასადზე მართკუთხა ნიშების ზედა ნაწილები აგურის ფიგურული წყობით არის გაფორმებული: ოთხი ნიშიდან სამში გაკეთებულია მეანდრის მსგავსი მოტივის ზოლი, ხოლო ერთში (მარცხნიდან მესამეში) - იქ, სადაც ძველადვე ამოქოლილი კარი ღიობია - შედარებით დიდი ფართობზე ზიგზაგისებური წყობით რომბებია გამოყვანილი (ილ. 57). ასეთი მხატვრული ხერხების გამოყენება მოწმობს, რომ თავიდან ფასადები შესალესად არ უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი. თუმცა უკვე XIX საუკუნეში შენობა გარედან მთლიანად შელესეს. 1890-იანი წლების ფოტოსურათებზე ეკლესიის კედლები კირითაა შეთეთრებული (ილ. 58). ფასადები მოურთავია, ღიობებს დეკორი არა აქვს. აღმოსავლეთ კედელზე პასტოფორიუმების ნახევარწრიული სარკმლები სწორკუთხა შეღრმავებებშია ჩაწერილი. საკურთხევლის უსარკმლო აფსიდზე მსუბუქად შეისრულ ნიშაა მოწყობილი. გრძივ კედლებს კედლის სიბრტყიდან ჩაწეული ოთხ-ოთხი სწორკუთხა (მათ ზედა ნაწილებს კბილანების რიგი გაუყვება), ხოლო დასავლეთ კედელს ორი ნახევარწრიული მოხაზულობის ბრტყელი შეღრმავება ანაწევრებს.

ქვედა კორპუსისგან განსხვავებით, უხვი დეკორი ამკობდა გუმბათსა და პასტოფორიუმების თავზე აღმართულ სამრეკლოებს. გუმბათის თავდაპირველ სახეზე წარმოდგენას გვიქმნის XIX საუკუნის დასასრულის ფოტოსურათები (ილ. 58). გუმბათის ყელს შეწყვილებულ ნახევარსვეტებზე გადაყვანილი თაღნარი შემოუყვება. ნახევარწრიული მოხაზულობის თაღებზე რელიეფურად საჭექი ქვებია გამოყვანილი. ბევრად მცირე ზომის

საჭექი ქვები სარკმლების თავსართებსაც აფორმებს. თაღედის ზემოთ გადის ვერტიკალური ნაჭდევებით „გოფრირებული“ სარტყელი. თაღისა და სარკმლის თავებს შორის სიბრტყეებს აფორმებს წრეები, რომელთა ცენტრებში ამობურცული კოპებია ჩასმული. ანალოგიური წრეები სარკმლებს შორის განთავსებული სვეტების კვარცხლბეკებზე და კაპიტელების თავზე, ასევე გუმბათის ყელის ძირზეც არის გამოყვანილი. გუმბათის ყელის ძირში მძლავრად შვერილი, პროფილირებული სარტყელი გადის. გუმბათს კბილანების რიგით გაფორმებული კარნიზი შემოუყვება. ანალოგიურად იყო გაფორმებული ოთხ-ოთხი ღიობით გახსნილი სამრეკლოები.

1913 წლის კაპიტალური განახლება ფასადებსაც შეეხო. მათ ნალესობაზე ქვის კვადრების იმიტაცია დაიტანეს (მისი ფრაგმენტები შემორჩენილი იყო 2000-იან წლებამდე) (ილ. 59). ღიობები საპირეებითა და თავსართებით გაფორმდა. პასტოფორიუმების სარკმლებს ნახევარწრიული საპირეები, ხოლო გრძივი კედლების სარკმლებს იმპოსტებზე გადაყვანილი თავსართები დაემატა. აღმოსავლეთ ფასადზე, საკურთხევლის კედლის შუაში გაკეთებული ნიშის წინ საფეხუროვან ცოკოლზე შედგმული, არქიტრავით გადახურული ორსვეტიანი ბალდახინი მოაწყვეს (ილ. 60).[203] მნიშვნელოვნად შეიცვალა გუმბათის დეკორი. გუმბათის სარკმლებსა და მათ თავზე გადაყვანილ თაღებს შორის წრიული მედალიონები (სხვაგან ისინი მოშალეს) გვირილის მსგავსი ყვავილებით გააფორმეს (ილ. 61). თაღების თავზე გამავალი სარტყლის ირიბი ნაჭდევებით გამოყვანილი „გოფრირებული“ ზედაპირი გალესეს, რის შემდეგაც ეს სარტყელი ერთგვარად დორიულ ფრიზს დაემსგავსა ამოწეული მართკუთხა „მეტოპებით“. სარტყელსა და კარნიზს შორის თანაბარი მანძილით დაშორებული ბრტყელი წრეები გაჩნდა. მოიშალა სარკმლების საჭექი ქვები.

---

203. ამ ბალდახინს სავარაუდოდ რელიგიურ ცერემონიაში იყენებდნენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აფსიდის კბილანებიანი კარნიზის ქვეშ გაკეთებული ბრტყელი ფრიზი (ილ. 59). მას ტალღოვანი დეკორატიული „ჩარჩოებით“ შემოწერილი დიდი და პატარა შროშანების რიგი ამკობდა. გუმბათისა და საკურთხევლის აფსიდის განახლებულ დეკორში მცენარეული ორნამენტის შემოტანა XX საუკუნის დასაწყისში გავრცელებული მოდერნის (Art Nuoveau) სტილის გავლენად უნდა მივიჩნიოთ. თუ ეს მართლაც ასეა, გამოდის, რომ გორის კათოლიკური ეკლესია საქართველოში ერთადერთი საკულტო შენობაა, რომლის გაფორმებაშიც თუმცა თავშეკავებულად, მაგრამ მაინც გამოიყენეს მოდერნისათვის დამახასიათებელი ელემენტები.

ეკლესიის განახლების თანადროულად გაზეთ ,,სახალხო ფურცელში” კრიტიკული წერილი დაიბეჭდა. როგორც გაზეთი იუწყებოდა, აგებიდან თითქმის საუკუნის შემდეგ შენობა საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში იყო. მას ლიტურგიული ნივთებიც აკლდა. ეკლესიის განახლება 1913 წლის გაზაფხულზე დაიწყეს. ოსტატების ნაკლებკვალიფიციურობამ და უხარისხო სამშენებლო მასალების გამოყენებამ თანამედროვეთა უკმაყოფილება გამოიწვია:

გარედან კედლები ეკლესიისა მარმარილოს ფხვიერით და ცემენტით უნდა გაკეთებულიყო. მაგრამ ეტყობა მასალა ცუდი უხმარიათ. კედლები უფერულია და უშნო. ... კედლებზე ბევრ ალაგას დიდრონი ლაქებია დარჩენილი. აიხსნება ეს იმით, რომ არც ზედამხედველს, არც სხვას ყურადღება არ მიუქცევია და სამუშაოდ გაკეთებული ხარაჩოები დროზე არ გამოუღიათ აი ეს ალაგებია ეხლა ლაქებად დარჩენილი. ... ლესვის დროს, როგორც გავიგეთ, მარმარილოს ქვიშის მაგიერ უხმარიათ უბრალო თეთრი ქვიშა, ძირულისა და ეს არის ალბად მიზეზი, რომ გარედან კედლები ისე უშნოდ გამოიყურება.[204]

კრიტიკა ექსტერიერთან ერთად ინტერიერსაც შეეხო:

---

204. სანდრო გრძელიშვილი, ,,ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის შეკეთება ქ. გორში”, *სახალხო ფურცელი*, 1914, 13 სექტემბერი, №62, 3-4.

შიგ ორივე საკურთხეველი პატარა დაუჭერიათ, ისე პატარა, რომ ეკლესიის ძვირფასი ძეგლები მღვთისმშობლისა და ჯვრისა არ ეტევა. რამდენჯერ უთხოვია მრევლს გამგისთვის, ბ. ზუბალაშვილების კანტორისთვისაც მოსკოვში, რომ საკურთხევლები დიდი დაეჭირათ, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია. არ ვიცით ეხლა, ხსენებულ ძვირფას ძეგლებს სად დაასვენებენ.[205]

„საკურთხევლებში“ აქ უნდა იგულისხმებოდეს ჩრდილოეთ და სამხრეთ მკლავებში მოწყობილი ნახევარწრიული ნიშები, რომელთაც მოკლე გადანაკეცებიანი პროფილირებული თავსართები ჰქონდათ. როგორც ჩანს ფორმის გამო სტატიის ავტორი მათ საკურთხეველს ამსგავსებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ნიშები ეკლესიის 2000-იანი წლების რეკონსტრუქციის დროს ამოაშენეს და გადალესეს. ღმრთისმშობლისა და ჯვრის ქანდაკებები კი შესაძლოა იყოს ლურდის ღმრთისმშობელი და ჯვარცმა. რომლებიც დღეს გორის კათოლიკეთა სამრევლო სახლში დგას.[206]

სტატიის ავტორმა უკმაყოფილება ახლად მოწყობილ პტარონიკესა და შეცვლილ კართან დაკავშირებითაც გამოხატა:

შეუფერებელია ეკლესიის აივანიც, სადაც მგალობელთა გუნდია ხოლმე მოთავსებული. აივანი ისე მაღლა გაუკეთებიათ გვერდის თაღებიდან, რომ გადმოხედვა გინდოდეთ უნდა დაიკუზოთ და ისე მიხვიდეთ მოაჯირთან. ... შესავალი კარი ეკლესიისა უბრალო ხისაა, სადა და ძალზე თხელი ...[207]

გორის კათოლიკური ეკლესიის სამშენებლო მასალა, საკურთხევლის გარე გადაწყვეტა და ცალკეული არქიტექტურული ფორმები მის ადგილობრივი არტელის მიერ აგებაზე მიუთითებს. ეკლესია გვიანი შუა საუკუნეების ქართლური ტრადიციის მიხედვით აგურით არის ნაგები. შესრულების ტექნიკური ხარისხი საკმაოდ მაღალია - თაღებს, კუთხეებს, აფრებს გეომეტრიულად მკაფიო მოხაზულობა აქვს. ეკლესიის საფასადო

205. იქვე.
206. ნუგზარ პაპუაშვილი, *სიმართლისა და სამართლისათვის* გორის, 139-141.
207. სანდრო გრძელიშვილი, ,,ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის შეკეთება”, 3-4.

გაფორმება აგურის დეკორატიული წყობით შემკული მართკუთხა შეღრმავებებით შუა საუკუნეების თბილისურ ეკლესიებთან კავშირს ამჟღავნებს. მსგავსი, თუმცა შეისრული თაღებით გამდიდრებული, შეღრმავებები აქვს სურბ ნიშნის (1703-1720), ვანქის სამგუმბათიან (1788), ხოჯა ვანქისა (1780-იანი წლები) და მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიებს (1780-იანი წლები) (ილ. 62. ინტერიერში საკურთხევლის პილასტრებზე გამოყვანილი სამ-სამი სტალაქტიტის უახლესი პროტოტიპები კვლავ თბილისის ნორაშენისა (1793-1830) და შამქორეცის (1840-50-იანი) ეკლესიებში იძებნება (ილ. 63). უფრო იშვიათი დეტალია მრგვალად შვერილი აფსიდები. მისი უახლოესი პარალელი მოღნინის ეკლესიაა (1750-იანი წლები) (ილ. 64). ერთი ნახევარწრიულად შვერილი აფსიდი ჰქონდა თბილისის ხარების ლათინთა ეკლესიას (1747-1749).

გორის კათოლიკურ ეკლესიაში გამოყენებული ელემენტები ძირითადად სომხური ეკლესიების რეპერტუარიდან არის აღებული. ბოლოდროინდელ მეცნიერებაში მიღებული აზრია, რომ გვიანი შუა საუკუნეების როგორც ქართულ, ისე სომხურ ეკლესიებს ქართლში ეთნიკურად შერეული (ქართულ-სომხური) არტელები აშენებდნენ. [208] საფიქრებელია, რომ ფინანსურად გაჭირვებული კაპუცინი ბერები მშენებლებს ძებნას შორს არ დაუწყებდნენ და თუ გორში ვერავის ნახავდნენ, მათ თბილისიდან მოიწვევდნენ.

ძირითადი კორპუსისგან განსხვავებით, ეკლესიის გუმბათი არც არქიტექტურული ფორმისა და არც დეკორატიული გაფორმების მხრივ ადგილობრივ სამშენებლო ტრადიციასთან კავშირს არ ამჟღავნებს. ის აკადემიური განათლების მქონე არქიტექტორის მიერ შედგენილ პროექტს მისდევს. შენობის ორ ნაწილს შორის ასეთი აშკარა სხვაობა იმით აიხსნება,

---

208. დავით ხოშტარია, ,,ხარების ეკლესია თბილისში", *საქართველოს სიძველენი* 13 (2009), 164; დიმიტრი თუმანიშვილი, ,,თბილისის ბეთლემის ღმრთისმშობლის ეკლესია" (ხელნაწერი), 21; მანონ ლილუაშვილი, ,,სომხური და ქართული არქიტექტურის ურთიერთქმედება XVIII-XIX საუკუნეების თბილისში", *არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918)*, რედ. დ. ხოშტარია (თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი, 2016), 145--146.

რომ ეკლესია ერთიანად აგებული არ არის და მას გუმბათი მოგვიანებით, იმ დროს დაადგეს, როცა საქართველოში სამშენებლო რეგულაციები უკვე მოქმედებდა და ნებისმიერი მშენებლობა წინასწარ შეთანხმებული პროექტის მიხედვით მიმდინარეობდა. გორის კათოლიკური ეკლესიის გუმბათი თავდაპირველი სახით რუსეთის იმპერიიაში XIX საუკუნის I ნახევარში მტკიცედ დამკვიდრებულ ნეოკლასიცისტურ არქიტექტურას უკავშირდება. ვფიქრობ, რომ ის 1830-იან წლებში უნდა იყოს დადგმული. ამ მოსაზრებას ის ფაქტი ამყარებს, რომ მისიონის უფროსი პატრის ფილიპე ფორანოელის 1830 წლის მოხსენებაში გორის ეკლესია მოქმედად, მაგრამ ჯერ კიდევ დაუსრულებლად არის მოხსენიებული:

გორის სამრევლო ეკკლესიაც ახლად აშენებულია, მაგრამ ერთიან დასრულებული ჯერ არ არის გავლილის ომების გამო, რამაც შიმშილი ჩამოაგდო აქ. გარნა ეკკლესიას სართული დაეხურა თუ არა, მაშინვე დიდის გამოჩვენებით აკურთხეს და დაიწყეს შიგ წირვა-ლოცვის შესრულება 1822 წელს სექტემბრის თვეში. ეს ეკკლესია, როდესაც კი მთლად დასრულდება, მეტად მშვენიერი რამ იქმნება...”.[209]

1913 წლის გადაკეთებამ მნიშვნელოვნად უცვალა გუმბათს სახე და მას უფრო ეკლექტური იერი მისცა.

1990-იან წლებში გორის კათოლიკური ეკლესიის შენობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრება გახდა. 1913 წლის დროინდელი სახით ეკლესია 2000-იან წლებამდე იდგა. 2008 წელს გორის ეპარქიამ მისი განახლება დაიწყო. როგორც ითქვა, ფასადებზე მთლიანად მოიხსნა ნალესობა. გუმბათსა და სამრეკლოებზე ნალესობა ასევე აყარეს და ხელახლა შელესეს, თუმცა ნაძერწი დეკორი აღარ გამოუყენებიათ.

---

209 . მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 515; ეს სიტყვები ერთი შეხედვით ეწინააღმდეგება გამბას ცნობას, ეკლესია დასრულებულიაო, მაგრამ თუ ეკლესიის ძირითადი კორპუსი უკვე აშენებული იყო და გუმბათის ნაცვლად დროებითი გადახურვა ჰქონდა, დიდად სავარაუდოა მოგზაურს ის დასრულებულად ჩაეთვალა და თავის ტექსტში ასეც ეხსენებინა.

კასტელის ცნობით, XVII საუკუნეში თეატინელებს მისიონი ჰქონიათ გორიდან 30 კმ-ით დაშორებულ სოფელ მერეთშიც.[210] ტექსტზე დართულია ჩანახატიც (ილ. 65). ეს მისიონი ამჟამად მთლიანად გამქრალია.

1.7. ლაგოდეხის კათოლიკური ეკლესია

ლაგოდეხის კათოლიკური ეკლესიის მრევლს ძირითადად პოლონეთის პირველი და მეორე აჯანყებების შემდეგ გადმოსახლებული სამხედროები ქმნიდნენ.[211] ისინი თბილისის გრენადერთა პოლკის წევრები იყვნენ. პოლკის შტაბ-ბინა ლაგოდეხში იყო განთავსებული.

ეკლესიის მშენებლობის ზუსტი თარიღი და სახელობა უცნობია. სავარაუდოდ, ის 1860-იან წლებში უნდა იყოს აგებული, მას შემდეგ რაც აქ პოლონელ აჯანყებულებულთა მეორე ნაკადი დაასახლეს. ლაგოდეხის შტაბ-ბინის ეკლესია შეტანილია 1885 წლის ,,კავკასიის კალენდარში" გამოქვეყნებულ კავკასიის რომაულ-კათოლიკური ეკლესიების სიაში, მაგრამ არაფერია ნათქვამი მისი სახელობის შესახებ.[212]

ეკლესიამ ჩვენამდე ძალიან გადაკეთებული სახით მოაღწია. საბჭოთა პერიოდში აქ ელექტროსადგური იყო გახსნილი, მოგვიანებით ,,ლაგოდეხენერგო", ხოლო დღეს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" ლაგოდეხის მომსახურების ცენტრია განთავსებული (დავით აღმაშენებლის ჩიხი). ინტერიერში ავთენტური არაფერია დარჩენილი. გვიანდელი მინაშენებით არის დაფარული ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ფასადები. შედარებით უკეთესად არის დაცული დანარჩენი ორი ფასადი.

---

210. დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, 170, ტაბ. 434.
211. მაკა ხუციშვილი, *კავკასია - თბილი ციმბირი*, 16 იანვარი, 2015. https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-maka-khutsishvili-kavkasia/26797588.html
212. *Кавказский Календарь на 1885 год*, 68.

ეკლესია ლითონის დეკორატიული ღობით მოზღუდულ ეზოში დგას (ილ. 66). ეს არის დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული მოზრდილი (გარე ზომებია - 18 მ × 9, 30 მ) დარბაზული ნაგებობა, რომელიც შერეული მასალით არის ნაგები. კონსტრუქციული ნაწილებისა და დეკორატიული ელემენტებისათვის აგურია გამოყენებული, ხოლო კედლის ძირითადი სიბრტყე აგურისა და რიყის ქვის მონაცვლეობითაა ამოყვანილი.

აღმოსავლეთი ფასადი ძალიან არის შელახული. გადაკეთების გამო ძნელია დაბეჯითებით ითქვას მასში სამი ფანჯარა იყო გაჭრილი თუ ნიშებით ფლანკირებული ერთი ფანჯარა. დღეს ფასადის მარჯვენა კიდეს უსახური მინაშენი ფარავს, შუა ღიობი კარად არის გადაკეთებული, ხოლო მარცხენა კიდეში სქლად გალესილი ნიშაა (ილ. 67).

ყველაზე უკეთ სამხრეთი ფასადია შენარჩუნებული. მასში ხუთი თაღოვანი ღიობია გაჭრილი. ღიობებს კაპიტელებზე გადაყვანილი ნახევარწრიული თავსართები ამკობს. კედლის კიდეებს ფართო პისლატრები აუყვება.

ჩრდილოეთი და დასავლეთი ფასადების თავდაპირველი არქიტექტურული სახის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის XIX საუკუნის II ნახევრის ფოტოსურათი, რომელზეც პოლონელ ოფიცერთა ჯგუფი ეკლესიის ფონზეა გადაღებული (ილ. 68). ფოტოსურათის მიხედვით ჩრდილოეთი ფასადი სამხრეთის მსგავსად იყო გადაწყვეტილი. ყველაზე იმპოზანტურად დასავლეთ ფასადი გამოიყურებოდა. მისი არქიტექტურული დეკორი ვერტიკალურ ღერძზეა ასხმული - მაღალი თაღოვანი შესასვლელის დეკორატიულ საპირეს მსხვილი პილასტრებით ფლანკირებული ცრუ ორთაღედი ეფუძნება. მის აქეთ-იქით, კედლის ძირითად სიბრტყეში თითო წრიული სარკმელია გაჭრილი. თაღედის ზემოთ ჩაკეტილი ფრონტონია. მის ფარგლებში მოწყობილია სამთაღედი, რომელიც სამრეკლოს ფუნქციას ასრულებდა. მთელი ეს კომპოზიცია დაბალი მართკუთხა ფორმის აკროტერიონით სრულდებოდა. მასზე ჯვარი

უნდა ყოფილიყო აღმართული (ფოტოსურათზე გარკვევით არ იკითხება). ფრონტონის როგორც დამრეც, ისე ჰორიზონტალურ კარნიზებს აგურით გამოყვანილი დეკორატიული ელემენტები აფორმებდა.

დღეს დასავლეთი ფასადი საკმაოდ გადაკეთებულია (ილ. 69). საბჭოთა პერიოდში ნაწილობრივ ამოაშენეს და ფანჯრად გადააკეთეს შესასვლელი ღიობი (მის აქეთ-იქით კიდევ თითო ფანჯარაა გაჭრილი). ასევე ამოშენებული და გადალესილია წრიული სარკმლები. შელესილია ყველა დეკორატიული ელემენტი. ელექტროსადგურად გადაკეთების დროს მთლიანად მოშალეს ძველი სახურავის კონსტრუქცია. დღეს შენობას ორფერდას ნაცვლად ოთხფერდა გადახურვა აქვს.

მიუხედავად ფოტოსურათის ცუდი ხარისხისა, მასზე კარგად ჩანს, რომ აგურით გამოყვანილი დეკორატიული და დამანაწევრებელი ელემენტები შეულესავია. კედლის გლუვ სიბრტყეებს თითქოს ბათქაში ფარავს.

სამშენებლო ტექნიკისა და არქიტექტურული გადაწყვეტის მხრივ ლაგოდეხის ეკლესია ყველაზე ახლოს მანგლისის ასევე სამხედრო კათოლიკურ ეკლესიასთან დგას. მარტივი დარბაზული სტრუქტურის გარდა ისინი არაფრით ჰგავს სამცხე-ჯავახეთის კათოლიკურ ეკლესიებს, რომლებიც მთლიანად ქვით არის ნაგები. სამცხე-ჯავახეთისგან განსხვავებით, აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო (და არა მხოლოდ) მშენებლობაში გვიანი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული უპირატესობა აგურს ან შერეულ მასალას ენიჭება.[213] ეს ერთი მხრივ სამშენებლოდ ვარგისი ქვის კარიერების შეზღუდული რაოდენობით იყო გამოწვეული, მეორე მხრივ კი აგურის სიიაფით.

ისიც სათქმელია, რომ მასალისა და სამშენებლო ტექნიკის გარდა ლაგოდეხის ეკლესია ადგილობრივ სამშენებლო ტრადიციასთან კავშირს არაფერში ამჟღავნებს. მისი მწირი, მარტივი დეკორი (რუსტირებული საპირე, კედლის სიღრმეში ჩაწეული ცრუ თაღები, ორივე ფასადის

213. ვახტანგ ბერიძე, *ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია*, ტომი I (თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი, 2011), 485.

მომცველი ფართო პილასტრები, ფანჯრების თავსართები) კლასიციზმის რეპერტუარიდანაა აღებული. ეს ელემენტები ფართოდ იყო გავრცელებული მთელი XIX საუკუნის მანძილზე როგორც სასულიერო, ისე სამოქალაქო არქიტექტურაში. ლაგოდეხის კათოლიკური ეკლესია პროფესიული განათლების მქონე არქიტექტორის მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით არის აგებული და ადგილობრივ ოსტატებს მისი გარეგნული სახის შექმნაში არსებითი წვლილი არ შეუტანიათ.

თავი 2

დასავლეთ საქართველო

2.1. XVII-XVIII საუკუნეთა მისიონები ქუთაისში და წმ. სოფიოს ეკლესია

1644 წლის მაისში იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ს თხოვნით სამეგრელოდან ქუთაისში ჩავიდა თეატინელი ბერი კრისტოფორო კასტელი.[214] მეფე და ქალაქის მოსახლეობა პატრს განსაკუთრებული პატივით დახვდა. მალე კასტელიმ საჩუქრად წმ. სოფიოს სახელობის, სავარაუდოდ, ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია და რამდენიმე სახლი მიიღო.[215] პატრმა ,,რა დაისაკუთრა შვენიერი ეკკლესია, მორთო იგი ლათინურს წესზედ, დაიწყო ქადაგება და საეკლესიო წესების აღსრულება."[216]

წმ. სოფიოს ეკლესიის ადგილმდებარეობასა და არქიტექტურაზე წარმოდგენას გვიქმნის კასტელის მიერ შესრულებული ორი ჩანახატი. პირველზე ქუთაისში გამართული ყაბახია ასახული (ილ. 70).[217] წინა პლანზე ნაჩვენები საჯირითო მოედნის უკან ქალაქის პანორამული ხედი იშლება. მარცხენა მხარეს, ყველაზე მაღალ ადგილას ციხეა დახატული. მის ძირში დგას მოზრდილი გუმბათიანი ეკლესია, რომლის ქვეშაც კასტელის მიწერილი აქვს: ,,რეგულარული თეატინელი პატრების ეკლესია". უეჭველია, რომ სწორედ ეს არის თეატინელებისთვის გადაცემული წმ. სოფიოს ეკლესია. ჩანახატის მარჯვენა მხარეს დიდი ზომის გუმბათიანი

---

214. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო მერაბ კეზევაძეს წინამდებარე ტექსტთან დაკავშირებით მოცემული სასარგებლო შენიშვნებისა და კომენტარებისათვის. ასევე მადლობა მინდა ვუთხრა როლანდ ისაკაძეს ქუთაისის მწვანეყვავილას ეკლესიასთან დაკავშირებით გაზიარებული მოსაზრებებისათვის.

215. დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ (თბილისი: მეცნიერება, 1977), 97.

216. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის* (1902, რეპ., თბილისი: სიესტა, 2011), 215, 217.

217. დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, 146, ნახატი № 328.

ეკლესია ჩანს. ის ბაგრატის საკათედრო ტაძარი უნდა იყოს. შენობების ორიენტაციით თუ ვიმსჯელებთ, ხედი კასტელის რიონის მარცხენა ნაპირიდან, დღევანდელი ბულვარის მიმდებარე ტერიტორიიდან აქვს ჩახატული. როგორც ცნობილია, XVII საუკუნეში ქალაქის მოედანი გალავნის გარეთ, მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა. სწორედ აქ იმართებოდა ასპარეზობები, მათ შორის ყაბახიც.

კასტელის ნახატის ანალიზი ცხადყოფს, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში გავრცელებული მოსაზრება, თითქოს თეატინელების ეკლესია (იგივე წმ. სოფიო) XIX საუკუნეში აგებული კათოლიკური ეკლესიის ადგილას იდგა, მცდარია. ნახატზე წმ. სოფიოს ეკლესია მდინარის მოპირდაპირე, მარჯვენა ნაპირზე დგას, ბევრად უფრო მაღალ ნიშნულზე, ვიდრე გვიანდელი კათოლიკურ ეკლესია (ოდნავ ბაგრატის კათედრალსაც კი სცდება). დამაჯერებელი ჩანს მერაბ კეზევაძის ბოლოდროინდელი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც წმ. სოფიოს ეკლესია ე. წ. ჩარკვიანის გორაზე, დღევანდელი ყაზბეგისა და დები იშხნელების ქუჩებს შორის მდებარე ტერიტორიაზე იდგა.[218]

წმ. სოფიოს ეკლესიის არქიტექტურული სახის შესახებ ზემოთგანხილული ნახატი მხოლოდ ძალზე ზოგად წარმოდგენას გვიქმნის. ის სქემატურად გვიჩვენებს ჯვარ-გუმბათოვან შენობას სამხრეთი კარიბჭით. უფრო ინფორმაციულია კასტელის სხვა ჩანახატი,[219] რომელზეც წმ. სოფიოს ეკლესია და მისი სამრეკლო ახლოდან არის ნაჩვენები, თუმცა არქიტექტურულ ფორმებს ის აშკარად ძლიერ არაზუსტად და თანაც პირველი ნახატისაგან განსხვავებულად გადმოსცემს (ილ. 71). ჩრდილო-დასავლეთი კუთხით წარმოდგენილი ეკლესია, როგორც ჩანს, ჯვრული გეგმისაა. დასავლეთი მკლავი შესამჩნევად გრძელია აღმოსავლეთისაზე.

---

218 . მერაბ კეზევაძე, ,,ქუთაისის წმ. სოფიასა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიების ისტორიისათვის", *საერთაშორისო კონფერენციის ,,არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა, სიძველეთმცოდნეობა - ტენდენციები და თანამედროვე გამოწვევები 1-3 სექტემბერი, 2016" მასალები* (თბილისი, 2017), 62-64.

219. დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, 175, ნახატი №455.

ჩრდილოეთი მკლავი ასევე მოკლეა და, ამასთან, გრძივ მკლავებზე უფრო დაბალია. გუმბათის ნაცვლად შენობას შუაში ადგას კვადრატული გეგმის მაღალი ქონგურებიანი კოშკი, რომელსაც შპილის მსგავსი პირამიდული სახურავი აგვირგვინებს. ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელში მართკუთხა კარია გაკეთებული. კარის თავზე ორი შეწყვილებული თაღოვანი სარკმლები გამოდის, ხოლო ფრონტონის არეში ერთი წრიული სარკმელია გაჭრილი. გრძივი მკლავების ჩრდილოეთი კედლები ყრუა, დასავლეთ კედელში ორი თაღოვანი და ერთი წრიული სარკმელია. დასავლეთ ფასადზე ორფერდა სახურავით გადახურული დაბალი კარიბჭეა მიდგმული. მის დასავლეთ კედელს მაღალი კარი და მის ასწვრივ მოწყობილი წრიული სარკმელი ანაწევრებს, ჩრდილოეთ კედელში ორი თაღოვანი ღიობია გაჭრილი.

ყველაზე უჩვეულო ამ ნახატზე წმ. სოფიოს ეკლესიის „გუმბათია“. მას ქართული არქიტექტურისათვის უცხო ფორმა აქვს და ძალიან ჰგავს რომანულ კოშკს. ეს მით უფრო უცნაურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველ ნახატზე გუმბათი სრულიად განსხვავებულია - ბევრად უფრო დამჯდარი პროპორციებისა, მრგვალი (ან მრავალწახნაგა), მთელ შემოწერილობაზე გაჭრილი სარკმლებით და დაბალი კონუსური სახურავით - ზოგადად, ბევრად უფრო მიახლოებული ქართულ ხუროთმოძღვრულ ტრადიციასთან. განსხვავება პირველ და მეორე ნახატზე ნაჩვენებ გუმბათებს შორის იმდენად თვალშისაცემია, რომ ჩნდება კითხვა, ნამდვილად ერთსადაიმავე შენობას ასახავს ისინი თუ აქ რაღაც შეცდომაა.

სამრეკლო კასტელის ნახატზე წარმოადგენს მაღალი ორქანობა სახურავით გადახურულ ორსართულიან შენობას. პირველი სართული კუბური მოცულობაა გვირაბისებრი გასასვლელით. მეორე, შედარებით დაბალი სართულის ჩრდილოეთ კედელს ორი თაღოვანი ღიობი ანაწევრებს. წინიდან გახსნილი სახურავი (ის ყავრის უნდა იყოს) ხის

კონსტრუქციას უჭირავს. ამ კონსტრუქციის ერთ-ერთ ჰორიზონტალურ ძელზე ორი ზარი ჰკიდია.

ეკლესიისა და სამრეკლოს საშენი მასალის თაობაზე რისამე თქმა ჭირს. მეორე ნახატზე მათი კედლები ისეა ნაჩვენები, რომ ხით ნაგების შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს გასაკვირიც არ იქნებოდა - შუა საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში მრავლად იყო ხის ეკლესიები. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მრგვალი და თაღოვანი სარკმლები ხის ხუროთმოძღვრებისათვის უცხოა.

კასტელის ჩანახატები არქიტექტურაზე სამსჯელოდ, რა თქმა უნდა, სანდო არ არის. მათ მიხედვით დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ წმ. სოფიოს ეკლესია იყო დიდი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობა, რომელიც მდინარის მარჯვენა ნაპირზე აღმართულ სხვა ეკლესიებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის ლანდშაფტის შექმნაში. ლევან დადიანის მიერ 1645 წელს ქუთაისზე გალაშქრებისას მან სათავდაცვო ფუნქციაც კი შეიძინა - წმ. სოფიოს ეკლესიაში ალექსანდრე III-ს მეთოფეები ჩაუყენებია.[220]

თეატინელთა მისიონმა ქუთაისში ორიოდე წელი იარსება. ლევან II დადიანის მოთხოვნით, კრისტოფორო კასტელის სამეგრელოში დაბრუნება მოუწია.[221]

კათოლიკურ წესზე ნაკურთხი ეკლესია მართლმადიდებლებისათვის უკან არ დაუბრუნებიათ, რადგან 1668 წელს იმერეთის მეფე კაპუცინებს ქუთაისში ჩასვლის შემთხვევაში თეატინელთა ეკლესიის გადაცემას დაჰპირდა. [222] კაპუცინებმა დასავლეთ საქართველოში გამუდმებული ომიანობისა და მწირი სახსრების გამო ქუთაისის მისიონის შენახვა ვერ შეძლეს.[223] 1673 წელს მათ იქ ქონება აღარ აქვთ.[224] უცნობია თუ რა ბედი ეწია

---

220. ილია ანთელავა, *ლევან II დადიანი* (თბილისი: მერანი, 1990), 124.
221. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 219.
222. იქვე, 220.
223 . *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში*, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა (თბილისი: მეცნიერება, 1975), 274.

თეატინელების ყოფილ ეკლესიას. სავარაუდოდ, ის 1692 წელს, თურქების მიერ ქალაქის გადაწვის დროს განადგურდა.[225]

XVIII საუკუნეში კაპუცინების იმერეთში დამკვიდრებას ყველანაირად უწყობდა ხელს დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ბესარიონი (1742-1769), [226] რომელმაც კათოლიკობა 1750 წელს მიიღო, თუმცა სამეფოს არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა მისიონის ფუნქციონირებას მნიშვნელოვნად აფერხებდა.

1770 წელს ქუთაისში კაპუცინებს ეკლესია მწვანეყვავილაზე ჰქონდათ. [227] გენერალმა ტოტლებენმა ქუთაისის ციხეში გამაგრებულ ოსმალთა ჯარს სწორედ მათი ეკლესიიდან დაუშინა ზარბაზნები: ,,რუსებმან ზარბაზნის და ყუმბარის სროლა დაუწყეს მწვანე ყვავილიდგან გინა (გა) თუ ჩვენი საყდრიდგან პირველად" - წერდა თავის დღიურში პატრებთან დაბინავენული ახალციხელი კათოლიკე მღვდელი იოანე ხოჯაშვილი. [228] როგორც ჩანს საომარმა მოქმედებებმა ეკლესია დააზიანა. მისი შეკეთება პატრებს მალევე დაუწყიათ: ,,გიორგობისთვე 25, ხუ[თშაბათი] ქუთაისის საყდარს ჴელი მივჰყავთ გასაკეთებლად". [229] ეკლესია შიგნიდან და გარედან კირით გალესეს და ყავრით გადახურეს. მშენებლობაში კირის გამოყენება ეგებ იმაზე მიუთითებდეს, რომ ნაგებობა

---

224 . მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე* (თბილისი: კანდელი 1995), 627.

225 . *საქართველოს ძველი ქალაქები, ქუთაისი,* წიგნი მოამზადეს და გამოსცეს მარინე მულიამ და მზია ჯანჯალიამ (თბილისი: ბეთანია, 2006), 113, ანოტაცია №6. ანოტაციის ავტორი დ. ხოშტარია.

226. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 394.

227 . როლანდ ისაკაძე, ,,ქუთაისი XV-XVIII საუკუნეებში", ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, 2006, 88. აქ გამოთქმულია აზრი, რომ XVIII საუკუნეში კათოლიკეებს ეკუთვნოდა წმ. მთავარანგელოზთა ძველი დარბაზული ეკლესია, რომელიც დღეს ნანგრევების სახით დგას მწვანეყვავილას კონცხზე. ამ ეკლესიის შესახებ იხ.: *საქართველოს ძველი ქალაქები, ქუთაისი,* 116. ანოტაცია №14. ანოტაციის ავტორი დ. ხოშტარია; ომარ ლანჩავა, *ქუთაისის არქეოლოგია* (ქუთაისი: ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, 2015), 289-290. როგორც რ. ისაკაძემ პირად საუბარში მითხრა, ეკლესიის აღმოსავლეთი კედელი ხელოვნურად გარღვეულს ჰგავს და, შესაძლოა, ის ტოტლებენმა გაანგრევინა მწვანეყვავილაზე დაყენებული ზარბაზნის ლულის გასაყოფად.

228 . იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბინაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალცხიური ქრონიკები, დღიური მატიანე,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ნიკო ბერძენიშვილმა და მიხეილ ქავთარიამ (თბილისი: უნივერსალი, 2015), 19-20.

229. იქვე, 22.

ქვით იყო ნაშენი, თუმცა ადგილობრივი სამშენებლო ტრადიციის გათვალისწინებით ის ხისაც შეიძლება ყოფილიყო.[230] მონასტრის კეთილმოწყობის საქმეში აქტიურად იყო ჩართული იოანე ხოჯაშვილი. მას საყდარში ბუხარი გაუკეთებია და ქვის იატაკიც დაუგია.[231] მონასტერს ჰქონდა მოზრდილი ეზო, სადაც მან ხეხილი და ვაზი დარგო. 1774 წელს ეკლესიის ახლოს ფიცრის სახლიც დადგა.[232] იოანემ რამდენიმე წელიწადში მოაწყო სრულფასოვანი მონასტერი, სადაც ახალგაზრდებს საქრისტიანო მოძღვრებას ასწავლიდა.[233]

გაურკვეველი მიზეზების გამო იოანეს, რომელიც იმერეთის სამეფო კარზე აშკარა პრივილეგიებით სარგებლობდა, სოლომონ I-თან ურთიერთობა გაუფუჭდა. 1777 წელს მეფემ მღვდელს ეკლესია დააცლევინა და ქუთაისიდან გააძევა: ,,აპრილი 4 სამ[შაბათი] მეფემ საყდარი დამაცლევინა, გამამართვა და მიბძანა: წადი ნუ დადგებიო“.[234] ამ დროს ქუთაისში კათოლიკური მისიონი აღარ არის. ქალაქში მცხოვრებ რამდენიმე ოჯახს ახალციხელი კაპუცინები ემსახურებიან.[235] 1781 წელს სოლომონმა ეკლესია მართლმადიდებლებს გადასცა.[236]

---

230. გამბას მიხედვით ჯერ კიდევ 1820-იანი წლების ქუთაისში სახლების უმრავლესობა: ,,ნაგებია თიხით შელესილი წნულებით და გარედან კირითაა შეთეთრებული”. იხ.:, ჟაკ ფრანსუა გამბა, *მოგზაურობა ამიერკავკასიაში* (თბილისი: განათლება, 1987), 133.

231. ,,ქუთაისის საყდრის ყალდურმა დავიწყე და შევასრულე”. იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბინაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალციხური ქრონიკები*, 34; ივ. გვარამაძის მიხედვით ყალდურმა ქვაფენილს ნიშნავს.

232. იქვე, 23, 27, 31, 32, 34, 42.

233. იქვე, 39.

234. იქვე, 50.

235 . ,,იმერეთის მთავარ ქალაქს ქუთაისს, რომლის გარეშე (ახლო-მახლო) ხშირად იმყოფება ხსენებული სოლომონ მეფე, არის ერთი კათოლიკე ეკკლესია თუთხმეტი მოსახლე კათოლიკეთი, ეგრეთვე არიან წამსვლელ-მომსვლელი ვაჭრებიც. ამათ სულიერ საჭიროებას უსრულებენ ხან ერთი კათოლიკე მღვდელი, ხან ახალციხეში მყოფი კაფუცინები, რომლებიც დღე-ნახევარის გზით შორს არიან”. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 394.

236. ,,ივნისი 11, პა[რასკევი] ქუთაისს მეფე კვალად გაწყრა და პატრებს საყდარი რომ წაართვა, თავიანთვის აკურთხევინა”. იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბინაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალციხური ქრონიკები*, 60.

2.2. ქუთაისის ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესია

1790-1800 წლების ცნობები ქუთაისში მოღვაწე პატრების შესახებ ბუნდოვანია. 1800 წელს სოლომონ II-ის, ხოლო 1803 წელს დედოფალ მარიამის მიერ გაცემული სიგელებიდან ჩანს, რომ აქ ცხოვრობენ პატრები მარიოზი, ჩელერინე და ნიკოლა.[237] სიგელები მათ ეკლესიის გარშემო მდებარე მიწებს უმტკიცებს. ეს მიწის ნაკვეთები განთავსებული უნდა ყოფილიყო რიონის მარცხენა ნაპირზე, მდინარის პირას, იქ, სადაც XIX საუკუნეში კათოლიკეებმა ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის დიდი ეკლესია ააშენეს, დღემდე შემორჩენილი და ამჟამად მართლმადიდებლურად ნაკურთხი.

ქუთაისში კათოლიკური ეკლესიების ქრონოლოგიის შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა მღვდელი გაბრიელ ასლანიშვილი:

,,ძველად, ქუთაისს ქართველთ კათოლიკეთ ეკკლესია არსებობდა, აწინდელ ეკკლესიის ზემოთ, ყანთართან, იქ ეს ეკკლესია კარგა ხანს ყოფილა, შემდგომ იგი გადმოუტანიათ ქვემოთ, აწინდელ ეკკლესიის ახლოს ვიღაც კათოლიკის სახლთან, მისს მერე, ეს ეკკლესიაც დაუტივებიათ და გაუკეთებიათ სხვა, ქვით-კირის, აწინდელი ეკკლესიის ახლოს, რიონის ნაპირას, რომელ ეკკლესიის არსებობამაც 1840 წლამდე მოსტანა. აწინდელ ეკკლესიის გალავანში, რიონის ნაპირას, დღესაც-კი სჩანს ამ ძველი ეკკლესიის საძირკველი, იგი საკმაოდ მოზრდილი ყოფილა თავის დროის კვალად. მისი სრულად გაუქმება, ანუ მოშლა 1850 წელს ეკუთვნის".[238]

,,აწინდელ ეკლესიაში" გაბრიელ ასლანიშვილი გულისხმობს 1826-1862 წლებში რიონის მარცხენა ნაპირზე აშენებულ ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესიას (ფ. ვარლამიშვილის ქ. №7). მისი ცნობით, 1826 წლამდე კათოლიკეებს ქუთაისში სხვადასხვა დროს სამი ეკლესია ჰქონიათ.

---

237. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 482, 495.
238. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში* (ტფილისი: მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა არ. ქუთათელაძისა, 1903), 77.

შეიძლება გვეფიქრა, რომ ზემო ეკლესიაში, რომელიც ამ სამთაგან უადრესია, ის მწვანეყვავილაზე მდებარე კათოლიკურ მონასტერს გულისხმობს, თუმცა გ. ასლანიშვილი გარკვევით ამბობს, რომ ეკლესია ყანთართან ანუ ქალაქის სასწორთან ახლოს იდგა. ასლანიშვილის ცნობის სიზუსტე სხვა წყაროთიც დასტურდება. ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი 1852-56 წლებში პეტრე გნილოსაროვი თავის წერილში სოლომონ II-ის შესახებ წერდა, რომ კათოლიკეებს ეკლესია ჰქონდათ ქალაქის აღმოსავლეთ კიდეში, ქუთაისის მოურავების - წულუკიძეების სახლთან ახლოს. მაშინ ეს ტერიტორია ხშირი ტყით იყო დაფარული და ავაზაკებისგან მუდმივად საფრთხე ემუქრებოდა. ამის გამო კათოლიკეებს ეკლესია რიონის პირას გადაუტანიათ, სადაც უკვე ცხოვრობდა კათოლიკეების რამდენიმე ოჯახი.[239]

როგორც მერაბ კეზევაძემ მიმითითა, წულუკიძეების სახლი და სასწორი ერთმანეთთან ახლოს, ქუთაისის მთავარ მოედანთან მდებარეობდა, დაახლოებით იქ სადაც დღეს მუსიკალური საათია განთავსებული.

რაც შეეხება მის შემდეგ აშენებულ ორ ეკლესიას, ცნობიდან ჩანს, რომ ისინი როგორც ერთმანეთთან, ისე 1826-1862 წლებში აგებულ ეკლესათან ახლოს, მდინარის პირას მდგარა. ეს უნდა იყოს ტერიტორია, რომელიც კაპუცინებს სოლომონ II-მ და დედოფალმა მარიამმა დაუმტკიცეს.

ასლანიშვილის მიხედვით, ბოლოსწინა ეკლესია ქვით ყოფილა ნაგები, რაც სხვა ცნობებით არ დასტურდება. როგორც პატრების ანგარიშებში, ისე მოგზაურების ჩანაწერებში ის ხისად მოიხსენიება.[240]

1813 წელს ქუთაისის კათოლიკურ მონასტერში მცხოვრები პატრი ნიკოლა გარდაცვალა და მისიონი დაცარიელდა. კაპუცინების უფროსმა ფილიპე ფორანოელმა იქ ახალციხელი მღვდელი გაგზავნა. ფილიპეს მიერ რომში გაგზავნილ ანგარიშში ცოტა რამ ქუთაისის მონასტრის შესახებაცაა ნათქვამი. ანგარიშიდან ვიგებთ, რომ: ,,იქაური ეკკლესია ხისაა, მაგრამ

---

239. Петр Гнилосаров, О царе Соломоне II и бывшем при нем управлении, *Кавказский Календарь* 1859 (Тифлис: Типография канцелярии наместника кавказскаго, 1858), 421.
240. Bernard Rottiers, *Itinéraire de Tiflis a Constantinepole* (Bruxelles: Frechet Libraire, 1829), 127.

სუფთა და ადამიანს ღვთის სასოებას უნერგავს გულში. სახლის კედლები ზოგი ხისაა, და ზოგიც ქვისაა; იქვე საბაღო ადგილი აქვს."[241]

ქუთაისში მცხოვრებმა კათოლიკეებმა ხის ეკლესიის შეცვლა ქვის კაპიტალური გუმბათიანი შენობით 1817 წელს გადაწყვიტეს, [242] მაგრამ შეზღუდული ფინანსების გამო მშენებლობა 1826 წლებამდე არ დაწყებულა.[243] პატრი ფილიპე 1830 წელს რომში გაგზავნილ მოხსენებაში წერს: ,,ქუთაისის ეკლესია ხისაა. გარნა აგერ სამი წელიწადია, რაც დაიწყეს იქაურმა კათოლიკეებმა აშენება ქვითკირის ეკკლესიისა, რომელიც ტფილისის ეკლესიაზე დიდია." [244] ეს მშენებარე ეკლესია 1833 წელს ნახა ქუთაისში ჩასულმა დიუბუა დე მონპერემ. ქალაქის სიძველეთა ჩამონათვალში 23-ე ნომრით ის ახსენებს კათოლიკურ სკოლას, რომელიც დაშენდა შუა საუკუნეების გალავანზე, და მიმდებარე ძველ და ახალ ეკლესიებს:

23. მძლავრი კოშკი, რომელზეც კაპუცინმა მამებმა თავიანთი სკოლა დააშენეს. ისინი ფლობენ თითქმის მთელ ამ ტერიტორიას ხიდთან. შუაში მათ თავიანთი ხის ეკლესია აღმართეს. ამჟამად მათ განზრახული აქვთ მისი ჩანაცვლება ქვის ეკლესიით, რომელმაც უნდა დაიტიოს ყოველდღიურად მზარდი, მრავალრიცხოვანი სომხურ-კათოლიკური მოსახლეობა. მათ უკვე ჩაყარეს საძირკველი.[245]

უსახსრობის გამო შეჩერებული მშენებლობა 1835 წელს ნელი ტემპით განახლდა. [246] მშენებლობას ბერძენი ოსტატი გიორგი უსტაბაში

---

241. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 503.
242. იქვე, 508.
243. იქვე, 528.
244. იქვე, 515.
245. Marie-Frédéric Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase, chez les tcherkesses et les abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée*, t. I (Paris: Librarie de Gide: 1839), 426-427.
246 . საქართველოში მოღვაწე კაფუცინთა მისიონს 1840 წლიდან ფულადი შემოწირულობებით ეხმარებოდა ლიონის სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოება. მათ ჯამში 12100 ფრანკი გამოგზავნეს. ამ თანხის ნაწილი ქუთაისის ეკლესიის მშენებლობას მოხმარდა. იხ.: მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე*, 714.

ხელმძღვანელობდა. ბერძნები იყვნენ ქვის მთლელებიც. როგორც ჩანს, ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მრევლს ფული მალევე გაუთავდა და გიორგი უსტაბაშმა თავისი ჯგუფით 1838 წელს სამეგრელოში, სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობაზე გადაინაცვლა.[247]

1840 წელს ქუთაისის კათოლიკური ეკლესია კვლავ დაუმთავრებელია. მშენებლობის გასაგრძელებლად ამჯერად სინოდალური კანტორის ნებართვა გახდა საჭირო. ნებართვის გაცემამდე კანტორა ინფორმაციას აგროვებდა კათოლიკური მრევლის რაოდენობის, მათი ფინანსური მდგომარეობისა და ეკლესიის ადგილმდებარეობის შესახებ - თუ რამდენად შორს იდგა ის მართლმადიდებელთა ეკლესიისგან. ეს ინფორმაცია კათოლიკური ეკლესიის წინამძღვრისგან ჯერ ეპისკოპოსს, ხოლო შემდეგ ქვეყნის ეგზარქოსს ეგზავნებოდა.

1840 წლის 30 აპრილს ეკლესიის გამგემ, პატრმა ქერუბინო სერავეცელმა იმერეთისა და გურიის ეპისკოპოს სოფრონიოსს გაუგზავნა მოხსენება, რომელშიც ქუთაისის ახალი კათოლიკური ეკლესიის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციაა მოცემული:

... ახალი ეკლესია დაწყებულ არს ... წელსა შინა ათას რვას ოცდა ექვსსა: - სიღრმე საძრიკვლისა როგორათაც დამარწმუნეს ზოგთა კათოლიკეთაგან ერთს საჟენს (2. 13 მ) გარდასცილდება. - შიგნეული სიგრძე კარიდგან მოკიდებული ხორნიანათ არის ოცდა თორმეტი არშინი (22. 75 მ), შუაშიდ ტრაპეზიდგან მოკიდებული სამწირველოიანათ და სხვა აქვს სიგრძისა ოცდა თექვსმეტი არშინი (25. 60 მ). - სიგრძე მრევლისათვის ცარიელი არის ოცდა ოთხი არშინი (17. 06 მ). - სიგანე თანასწორეთ შიგნით არის ოცი არშინი (14. 22 მ). - წინა პირის კედლის სიგანე არის არშინი და ხუთი ვერშოკი (93. 37 სმ) - სიგანე გვერდის კედლისა არის ერთი არშინი და ათი ვერშოკი (1. 15 სმ).[248]

---

247. მანანა ჭუმბურიძე, ,,თედო ხოშტარიას მოგონებები", *საისტორიო მოამბე* 79-80, (2009-2010): 130-131.

248. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 528-529.

აქვეა მოტანილი ხის ძველი ეკლესიის ზომებიც. ის ახალზე დაახლოებით ორჯერ პატარა იყო:

სიგრძე მრთლივ შიგნეული - ძველის ეკკლესიისა არის ცხრამეტი არშინი (13. 51 მ) - სიგრძე ცარიელი მრევლისათვის არის თოთხმეტი არშინი და ორი ვერშოკი (10. 03 მ) - სიგანე ამისივე ათის თვრამეტი არშინი და შვიდი ვერშოკი (13. 11 მ).[249]

სოფრონიოსი კარგად იყო განწყობილი კათოლიკეების მიმართ. პატრ ქერუბინოსგან ანგარიშის მიღებიდან რამდენიმე დღეში ის საქართველოს ეგზარქოს ევგენიოსს უგზავნის ვრცელ წერილს, რომლითაც გარკვეულწილად შუამდგომლობს ,,ფრანგებს". სოფრონიოსის წერილი დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში. დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ კათოლიკური ეკლესია ქუთაისის მართლმადიდებლური ეკლესიისგან (,,ბერძენთ იმერელ რუსეთის ეკკლესიაზედ") დაახლოებით 250 მეტრის მოშორებით იდგა. სოფრონიოსი ხაზს უსვამს ხის ეკლესიის ცუდ მდგმარეობასა და მცირე ზომას: ,,ქუთაისში სწორედ არის ფრანგებთ ღთის მსახურებისათჳს ერთი ხიის და მიდრეკილი დაქცევისადმი ეკკლესია მცირედ დასატეველი ქალაქის ქუთაისის ფრანგებთ მცხოვრებთათვის", საგანგებოდ აღნიშნავს მრევლში შეძლებული ვაჭრების ყოფნას,[250] რაც ეკლესიის დამთავრების ერთგვარ გარანტიას წარმოადგენს, და ბოლოს ხაზგასმით ამბობს ეკლესიის ასაშენებლად ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ვხედავო: ,,დაბრკოლებანი ნების დართვისადმი შესრულებად შენობათა დაწყებულისა ქვის ეკკლესიისა ჩვენის მართლ მადიდებლების ბერძენთ როსიის ეკკლესიის მხარეთ ჩემის აზრით არ იპოების".[251]

1845 წელს ქუთაისში იმყოფებოდა გერმანელი მოგზაური მორიც ვაგნერი. მისი ცნობით კათოლიკეებს ჰქონდათ ,,ლამაზი და ვრცელი"

249. იქვე, 529.
250. მართლაც, გადმოცემის თანახმად ეკლესიის დასამთავრებლად საჭირო ეკლარის ქვა უფასოდ გაუღია ადგილობრივ ვაჭარს ანტონ ჩილაშვილს. იხ.: ზაქარია ჭიჭინაძე, *ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა* (თფილისი: სტამბა ე. ი. ხელაძისა, 1905), 67.
251. სცა, ფონდი №488, ანაწერი №1, საქმე №6657.

ეკლესია, რომლის მშენებლობა 7000 რუბლი დაჯდა. ეს თანხა პროპაგანდა ფიდეს გადაუხდია. რომიდან გამოუგზავნიათ საკურთხევლის ხატიც. მშენებლობაზე თურქი და ბერძენი ოსტატები იყვნენ დასაქმებულნი.[252]

1845 წელს რუსულმა ხელისუფლებამ ევროპელი პატრები საქართველოდან გააძევა. ეკლესიის კანდელაკის (მნათე) სიმონ ყაუხჩიშვილის ცნობით, კურატმა[253] ანტონ გლახაშვილმა შენობა დროებით ხით გადახურა:

1845 წელსა შინა განძებულ იქმნენ ორნი კაპუჩინის რიგის პატრნი საქართველოიდამ და ქუთაისიდამაც, ამისათვის ახალი ქვიტკირის შენობა რომელიც იყო დაწყებული 1826სა წელსა შინა ხელითა მთავარუმფროსის პატრი ფილიპე რომაელისათა, დაშთა ისრე უსრული. ხოლო ქუთაისის რ. კ. დამწყესმან მათმან უფალმან დონ ანტონმან ზრახვა ჰყვეს და მოათავეს ხის შენობითა რომელიცა ზრუნვითა და თავობითა ამავე დონ ანტონ გლახოვისათა სრულ იქმნა და ამავე 1845სა წლის ოქტომბრის 7სა დღესა, რომ იყო დღესასწაული (სასწაული) ყოვლად წმინდა სავადრისა აკურთხა მანვე დონ ანტონ გლახოვმან და სთქვა პირველი წირვა, სადიდებლად უწმინდესისა სამებისა და ყოვლად წმ. მარიამ უმანკოდ ჩასახულისა რომლის წოდებისა ქვეშეთა არს აღშენებული.[254]

უგუმბათოდ დგას ეკლესია 1848 წელს, როცა ის მარი ბროსემ მოინახულა: ,,კათოლიკური ეკლესია, აგებული ამ მხარეს, ლამაზი შენობაა, მაგრამ დაუმთავრებელია. მამებს, რომლებიც აქ მსახურებენ, მეზობლად აქვთ ხის კარგი და ლამაზი სახლი."[255]

მშენებლობა 1850-იან წლებში განახლდა. 1854 წელს ქუთაისის გუბერნიის არქიტექტორმა ვასილიევმა ეკლესიის გუმბათის ნახაზი შეადგინა. თვითონ ნახაზი არ შემონახულა, მაგრამ მასზე წარმოდგენას

---

252 . Moritz Wagner, *Travels in Persia, Georgia, and Koordistan*, Vol. II (London: Hurst and Blackett Publishers, 1856), 206.

253. კათოლიკე მღვდელი რომელსაც აღსარების მიღების უფლება აქვს.

254. სიმონ ყაუხჩიშვილი, ,,მოსახსენებელი შემდგომთათვის", უთარიღო, საქმე № 4263, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

255. Marie Brosset, *Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847-1848*, 3e livraison, onzième rapport (St.-Pétersbourg: Imprimerie de l'Académie Impériale des Sciences, 18510), 8.

გვიქმნის კავკასიის მეფისნაცვალის 1854 წლის 28 ივლისით დათარიღებული მიწერილობა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისადმი.[256] როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, გუბერნიის არქიტექტორის მიერ შედგენილი ნახაზი ტექნიკურად გაუმართავი იყო. ის განიხილა გზათა სამინისტროს VIII ოლქის სამმართველომ და დარჩა შთაბეჭდილება, რომ ნახაზის მიხედვით არქიტექტორი გუმბათს პირდაპირ ოთხ სვეტზე ათავსებდა გუმბთქვეშა გარდამავალი კონსტრუქციისა და გუმბათის ყელის გარეშე. სამმართველოს ტექნიკოსებმა ასევე დაიწუნეს ნახაზით გათვალისწინებული მცირე ზომის წრიული სარკმლები (თუმცა თუ გუმბათს ყელი არ ჰქონდა მაშინ გაურკვეველია სად უნდა გაკეთებულიყო ისინი) და სახურავის ხის კონსტრუქცია. პროექტით ნივნივების სახსრები არც ერთმანეთთან იყო გადაბმული და არც გუმბათის ნახევარსფეროზე დამაგრებული. სამმართველომ პროექტის საფუძვლიანად შეცვლა მოითხოვა. მათი განმარტებით, ნახაზებზე წარმოდგენილი სახით გუმბათის დადგმა შეუძლებელი იყო. მათ მოითხოვეს აფრული გუმბათქვეშა კონსტრუქციის მოწყობა და მასზე გუმბათის ყელის დაფუძნება. მათივე განმარტებით, გუმბათის ნახევარსფეროს სახურავი უფრო მდგრადი უნდა ყოფილიყო, რათა ქუთაისის ძლიერი ქარებისათვის გაეძლო,[257] ხოლო ინტერიერში განათების გასაძლიერებლად და ზოგადად მეტი სილამაზისთვის, წრიული სარკმლების ნაცვლად დიდი ფანჯრების გაჭრა მიიჩნიეს მართებულად.

1856 წელს მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვმა ქუთაისის კათოლიკური ეკლესია მოინახულა. მისი დავალებით შენობის დასამთავრებლად შეიქმნა სამშენებლო კომიტეტი. კომიტეტის წევრები იყვნენ - კარის მრჩეველი ვერბიცკი, გუბერნიის არქიტექტორის ვასილიევი და პრაპორშჩიკი სტეფან

256 . ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, პავლე თუმანიშვილის პირადი არქივი, საქმე №7532, ფურცელი 5-6.

257. ქუთაისის ძლიერი ქარების დროს შენობათა სახურავების დაზიანება ნამდვილად არ იყო იშვიათი მოვლენა. მაგალითად, 1771 და 1773 წლებში ქარმა სახურავი კათოლიკურ ეკლესიასაც გადახადა. იხ.: იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბინაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალციხური ქრონიკები*, 23, 38.

აკოფოვი.[258] 1858 წლის 25 მარტს სამშენებლო კომიტეტმა კონტრაქტი გააფორმა ბერძენ ქვის ოსტატთან მიხაელ ელიოვთან. კონტრაქტში ოსტატი პირველ პირში ყვება შესასრულებელი სამუშაოების შესახებ.[259] მის მიხედვით, მთავარ ამოცანა შენობაზე გუმბათის დადგმა იყო:

ქვის თაღებთა ზედა გავაკეთო იალქანი (პარუსა) გათლილის ქვათა, იმავეთა ზედა ავიყვანო სიმგვრგვლე (ბარაბანი) გუმბეთისა, რომლისა გარე შესახედი პირი უნდა იყოს გათლილის ქვისა, ხოლო თვით კედელი (რაზბუტკა) აგურისა, სიმგრგვლესა ზედა თაღი, გინ გუმბათი უნდა გაკეთდეს აგრეთვე აგურისა ანუ თიხისა.

გუმბათის ამოყვანის გარდა მის მოვალეობაში შედიოდა ქვის ორი სამრეკლოს მოწყობა:

გავაკეთო ორინი პატარა სამრეკლონი გათლილის ქვისა, სამრეკლოთა ზედა თაღები უნდა იქმნენ გათლილის ქვისაგან და საზოგადოდ ყოველი სიმშვენიერე, ესე იგი: თაღები, თამასა ფანჯარათა, სვეტის თავები (კაპიტელი), კარნიზები და სხვა უნდა იქმნენ სუფთათ გათლილნი ქვისაგან.

ელიოვს ასევე უნდა აეშენებინა ეკლესიის ცენტრალური ნავის კამარა („...შუა ხაზზედ უნდა გავაკეთო თაღი გათლილის ქვისა...”), საკურთხევლის ბემა („...გავაკეთო თაღი გათლილის ქვისა, კედლის უკან ტრაპეზის თავზე ნახევარ მგვრგლივ (ნახევარ ცარიელი)...), ინტერიერში დაეგო დეკორატიული იატაკი („პოლი მთელს ეკკლესიასა შინა ... დავაგო სუფთათ გათლილის ეკლარის ქვისა მჭიდროდ მიშვებული ნუშის გულის სახედ დაშენებული კირითა...”), ქვით უნდა შეეცვალა ხის ტრაპეზი და ღმრთისმშობლის ხატის ხის დასასვენებელი, მასვე უნდა შეემოსა ეკლესიის ფასადები თლილი ქვით, გამოეცვალა ხის ძველი სახურავი და ყავრის ნაცვლად ეკლესია წითელი სპილენძით გადაეხურა. ასევე მას ევალებოდა სადურგლო საქმე (ფანჯრებისა და კარების ჩარჩოების გაკეთება) და

258. ქსიმ, პავლე თუმანიშვილის პირადი არქივი, საქმე №7532, ფურცელი 4.
259. იქვე, ფურცელი 24-27.

ღიობების შემინვა. ხარჯის შესამცირებლად ხარაჩოებისათვის ეკლესიის ზედა ნაწილებიდან მოხსნილი ხის მასალა გამოიყენეს. ელიოვი იყო პასუხისმგებელი ხელოსნებისა და დღიური მუშების დაქირავებაზე, სამშენებლო მასალების ვარგისიანობასა და ყველა საჭირო ხელსაწყოთი მომარაგებაზე. კონტრაქტის მიხედვით 1858 წლის 15 აპრილს დაწყებული მშენებლობა 1859 წლის 1 ნოემბერს უნდა დამთავრებულიყო. დაახლოებით ორწლიან სამუშაოში ქვის ოსტატი გასამრჯელოდ 8500 ვერცხლის მანეთს იღებდა. როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, მშენებლობა საგრძნობლად გაჭინაურდა. გუმბათის ყელის ამოყვანა 1859 წლის ზაფხულში დაუწყიათ და ისიც ტექნიკური ხარვეზით. 10 აგვისტოთი დათარიღებული წერილით [260] ქუთაისის გუბერნიის არქიტექტორი ვასილიევი ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორს აცნობებს მშენებელთა მიერ შეთანხმებული პროექტიდან თვითნებურად გადახვევის შესახებ და სამშენებლო კომიტეტისგან დაუყონებლივ რეაქციას ითხოვს:

დიდი გუმბათის ტრიბუნა ამოჰყავთ მისი მითითების სრულიად საწინააღმდეგოდ, ისე რომ ტრიბუნის კედლების სისქე დაშვებულია 13 ვერშოკამდე (57. 85 სმ), რაც ვერ გაუძლებს თლილი ქვის გუმბათის სიმძიმეს, რომელიც ამასთანავე უნდა გადაიხუროს წითელი სპილენძის ფურცლებით. რაიმე უბედურების თავიდან აცილების მიზნით გუმბათის სფერო უნდა გაკეთდეს ღრუ აგურებისაგან ან სხვა მსუბუქი კერამიკული მასალისაგან (из горшков).

1859 წლის ბოლოს მიხეილ ელიოვი გარდაიცვალა. მის ნაცვლად 1860 წლის 13 აპრილს სამშენებლო კომიტეტმა ახალი კონტრაქტი გაუფორმა ასევე ქვის ოსტატსა და ელიოვის შვილების მეურვეს, ბერძენ ქრისტოფორე ანტონოღლი ჩილიკოვს.[261] 1862 წელს ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დამთავრებულია, რადგან ინტერიერის დეკორზე (სვეტებისა და კედლების მოხატვა) იტალიელი ოსტატები მუშაობენ. [262] მიუხედავად იმისა, რომ

260. იქვე, ფურცელი 71.
261. იქვე, ფურცელი 41.
262. იქვე, ფურცელი 57.

ეკლესია ჯერ დაბურული არ იყო, 1862 წლის 4 ნოემბერს ის ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის სახელზე აკურთხეს.[263]

1863 წლის ივნისში ქუთაისის კათოლიკეთა საზოგადოებამ ქუთაისელი კათოლიკე პეტრე ფირალოვი ეკლესიის სახურავისთვის ტყვიის ფურცლების შესაძენად სტამბოლში ,,ფრანცუცის ფაბრიკაში" გაგზავნა. [264] მას თან გაატანეს ოთხპუნქტიანი ინსტრუქცია, რომელშიც სახურავის ოსტატის მოძებნას და ქუთაისში ჩამოყვანას სთხოვენ:

...თუ კარგი ოსტატი იშოვო რომ იქ შეხედო კარგათ გადაეხუროს იმისთანა კაცი ოსტატი წამოიყვანე, იქავე გაურუგდი აქეთობისა და იქითობისა ხარჯი ჩვენი იყოს და აქ რამდენს დღესაც იმუშავებს დღეში მანეთ ნახევარი ანუ ცოტა მეტნაკლები მიეცეს ასე გაურიგდი, მხოლოდ რომ ოსტატი ბეჯითი, გამოცდილი და მცოდნე იყოს.

ასეთი ოსტატის ვერ მოძებნის შემთხვევაში პეტრე ფირალოვს უნდა მოენახულებინა კათოლიკე მღვდელი ტერ პეტროსი[265] და მასთან გაევლო კონსულტაციები სახურავის მოწყობის ტექნიკასთან დაკავშირებით:

თუ ოსტატი ვერ იშოვო, გაისარჯე ტერ პეტროსთან და მოილაპარაკე რომელით ტყვიებსა ხურვენ რანაირათა ხურვენ, შიდ ხეებს ატანებენ თუ ტიტველ გადალესილზე ხურავენ, ამისი გარემოება რა ნაირათ იხურებოდეს ააწერინე და მოგვიტანე.

ის ამბავი, რომ იმერეთში ლითონის სახურავის ოსტატს საზღვარგარეთ დაეძებენ, საქართველოს სამშენებლო ისტორიაში პირველი როდია. ლითონით (სპილენძი, თუნუქი, ტყვია) შენობის გადახურვის

---

263 . ნუგზარ კვარაცხელია, ,,ქუთაისელი კათოლიკები XIX საუკუნეში", *ქუთაისის მუზეუმის მასალები*, კრებული XI (1999): 92.

264. ქსიმ, პავლე თუმანიშვილის პირადი არქივი, საქმე №7532, ფურცელი 68.

265 . ჩემი ვარაუდით ტერ პეტროსი უნდა იყოს სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტრის დამფუძნებელი და წინამძღოლი პეტრე ხარისჭირაშვილი. 1840 წელს ის ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში ანტონ გლახაშვილის თანაშემწედ დანიშნეს. ამ თანამდებობაზე 1850-იან წლებამდე იყო. შესაბამისად, ის ძალიან კარგად იცნობდა ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მრევლს. იხ.: შოთა ლომსაძე, *გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები* (თბილისი: მეცნიერება, 1979), 69-70.

ტრადიცია საქართველოში გვიან შუა საუკუნეებამდე არ არსებობდა. შესაბამისად, დასაბური მასალაც იმპორტირებული იყო. მაგალითად, იმერეთის მეფე სოლომონ I-მა 1770-80-იან წლებში აღდგენილი გელათის მონასტრის მთავარი ეკლესია რუსეთიდან საგანგებოდ მოტანილი თუნუქით გადაბურა. 1846 წელს გელათის მონასტრის შენობების თუნუქით გადასახურად კვლავ რუსეთიდანვე მოუწვევიათ ოსტატი ივან კრასოვი. როგორც ჩანს, მეთუნუქე ოსტატი არა მარტო ქუთაისის გუბერნიაში, არამედ მთელ საქართველოში ვერ იპოვეს.[266] რაც შეეხება ტყვიას, მისი მოპოვება რუსეთში არ ხდებოდა. შუა საუკუნეებში სახურავის დასაბური ტყვიის მასალა იქ შუა ევროპიდან ან ბიზანტიიდან შეჰქონდათ. ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ ქუთაისიდან ეკლესიისთვის საჭირო ტყვიის ფურცლების შესაძენად კათოლიკეთა წარმომადგენელი სწორედ სტამბოლში გააგზავნეს და იქვე დაიწყეს გამოცდილი ოსტატის ძებნა.[267] პ. ფირალოვმა დაკისრებულ მოვალეობას თავი წარმატებით გაართვა, მან ტყვიის ფურცელიც შეიძინა და ოსტატსაც გაურიგდა.[268]

1862 წელს დასრულებული ეკლესია, რომელიც ორგანულად ეწერება მდინარისპირა განაშენიანებაში, იმთავითვე ქალაქის ერთ-ერთ მთავარ არქიტექტურულ მახვილად იქცა და XIX-XX საუკუნეების არაერთ ფოტოსურათსა თუ ჩანახაზტე აღიბეჭდა (ილ. 72).

ქუთაისის კათოლიკური ეკლესია დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული დიდი ზომის ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა, რომელიც აღმოსავლეთით სეგმენტურად შვერილი აფსიდით სრულდება (ილ. 73). საკურთხევლის აქეთ-იქით მართკუთხა დამხმარე ოთახებია განთავსებული. ისინი ეკლესიის ძირითად სივრცეს უკავშირდება დასავლეთ კედლებში გაჭრილი თითო მართკუთხა კარით, რომელთაც ფართო ბრტყელი საპირეები აჩარჩოებს. გუმბათი საკურთხევლის

---

266. დიმიტრი თუმანიშვილი, ნათია ნაცვლიშვილი და დავით ხოშტარია, *მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში* (თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი2012), 200-201.
267. იქვე, 201-202.
268. ქსიმ, პავლე თუმანიშვილის პირადი არქივი, საქმე №7532, ფურცელი 69.

კედლებსა და დასავლეთით მდგომ ორ ბურჯს უკავია. აფსიდის კედლებს ორი მხრიდან, ხოლო დასავლეთის ბურჯებს სამი მხრიდან ნახევარსვეტები აქვს მიდგმული. ბურჯები მაღალ კვარცხლბეკებზეა შედგმული. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა აფრების საშუალებით ხდება (ილ. 73).

შენობის დასავლეთ ნაწილს სვეტების ორი წყვილი სამ ნავად ჰყოფს (ილ. 74). ცენტრალური მაღალი ნავი ცილინდრული კამარით არის გადახურული, ხოლო გვერდითი ნავები სამ-სამ კომპარტიმენტადაა დაყოფილი. სამივეს დამოუკიდებელი ცრუ გუმბათი ადგას.

დასავლეთ კედელს მთელ სიგრძეზე ორიარუსიანი მრუდხაზოვანი გალერეა მიუყვება. მისკენ შენობის სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში, კედლების სისქეში მოწყობილი ქვის ხვეული კიბეები მიემართება. გრძივ კედლებზე დარჩენილია ქვის იმპოსტები და ძველი მოაჯირების კვალი. დღეს ისინი მოხსნილია და მათ ნაცვლად ხის შეფიცვრაა გაკეთებული. გამოცვლილი უნდა იყოს გალერეის პირველი სართულის იატაკიც. ეს ცვლილებები სავარაუდოდ 1971 წელს შენობაში საკონცერტო დარბაზის მოწყობის დროს უნდა მომხდარიყო. გალერეის პირველი სართული მთლიანად ხისაა. მას რიკულებიანი მოაჯირი აქვს. იატაკის საყრდენი დაბალი და მსხვილი პილასტრები დასავლეთით მდგომი სვეტების პირველ წყვილს ერწყმის.

მეორე იარუსი უფრო ვიწროა და მხოლოდ დასავლეთ მკლავს მოიცავს. ამავე დროს, ის უფრო მეტად არის გამოწეული ინტერიერში. აქ იდგა ორღანი, რომელიც მოშალეს 1990-იან წლებში, ეკლესიის მართლმადიდებელთა ხელში გადასვლის შემდეგ. ქვედასთან შედარებით, ზედა გალერეას უფრო უხვი დეკორატიული გაფორმება აქვს. გალერეის იატაკის ოთხ მძლავრ კონსოლს ქვემოდან ეკვრის საყვირიან ანგელოზთა ოთხი დიდი, თეთრად შეღებილი ქანდაკებება. იატაკის წინა პირს კბილანებიანი სარტყელი გაუყვება. მოაჯირის კიდეები წარმოადგენს მარმარილოს ფილების იმიტაციას, რომელთა ცენტრში რომაული

კათოლიკური ეკლესიის გერბებით აღნიშნული თაბაშირის თეთრი პანოებია ჩასმული. მოაჯირის შუა ნაწილი სხმული რიკულების მწკრივით არის მოსაზღვრული. აივანზე ასასვლელი კიბე დასავლეთი კედლის შუა ღერძზე, ორ იარუსს შორის მდებარეობს.

ეკლესიის ინტერიერის დიდი ნაწილი საბჭოთა პერიოდში ცისფრად გადაღებეს, თუმცა დასავლეთ მკლავში შემორჩენილი გაფორმება მისი თავდაპირველი სახის წარმოდგენის საშუალებას იძლევა. დეკორი ნეობაროკული ხასიათისაა. ძირითადად გამოყენებულია სხვადასხვა ფერის მარმარილოს ფერწერული იმიტაცია: სვეტებისა და ნახევარსვეტებისათვის[269] - ოქრა, კაპიტელებისათვის - შავი, თაღებისათვის - მოწითალო, ხოლო კაპიტელების თავზე შენობის მთელ პერიმეტრზე გამავალი პროფილირებული სარტყლისათვის - თეთრი. ამ უკანასკნელს დამატებით კბილანების მწკრივიც აფორმებს. გრძივი კედლების დამანაწევრებელ პილასტრებს ნაძერწი კაპიტელები აქვს, ხოლო მათზე გადაყვანილი საბჯენი თაღები პროფილირებულია. განსაკუთრებულ საზეიმო განწყობას ქმნის დასავლეთი მკლავის კამარა, რომელზეც კესონირებული ჭერის იმიტაციაა დახატული (ილ. 74). კამარის საყრდენი სვეტების თაღებს შორის თეთრ გირლანდებში ჩაწერილი რომაული კათოლიკური ეკლესიის გერბებია დახატული (ილ. 75).

ინტერიერის მხატვრული სახის შექმნაში თავისი წვლილი შეაქვს გრძივ კედლებთან გაკეთებულ ნეობაროკული ყაიდის აკლდამებს. ისინი განლაგებულია სიმეტრიულად, ორსავე მხარეს დასავლეთიდან მესამე თაღის არეში, პილასტრებს შორის. აკლდამები ზოგადად მსგავსია - თითოეული მათგანი მოიცავს მარმარილოს სარკოფაგსა და მის თავზე მოწყობილ დეკორატიულ კომპოზიციას, რომელიც სარკოფაგის კიდეებზე აღმართული ნახევარსვეტებისა და მათზე დადგმული ფრონტონისაგან შედგება, თუმცა დეტალებში ისინი შესამჩნევად განსხვავდება. სამხრეთ

269. საბჭოთა პერიოდში ზეთის უხარისხო პრიალა საღებავით სვეტები თავიდან შეღებეს. ალაგ-ალაგ აფცქვნილი საღებავის ქვეშ თავდაპირველი მოხატულობა გარკვევით იკითხება. ახალი მეტნაკლებად იმეორებს ძველ ნახატს და ოდნავ განსხვავდება ტონში.

კედელთან მდგარი სარკოფაგი თეთრი მარმარილოსია, პროფილირებული ბაზისითა და კარნიზით და შავი და წითელი მარმარილოს დეკორატიული ჩანართებით. ის ყრუ მოცულობაა და, როგორც ჩანს, დასაკრძალავად არ ყოფილა განკუთვნილი. შესაძლოა მასში წმ. ნაწილები იყო მოთავსებული. სარკოფაგის თავზე მოწყობილია ნიშა, ფლანკირებული შავი და მუქი მოწითალო მარმარილოს სვეტებით და გადახურული ფრონტონით. სვეტების ქვაში ნაკვეთი კაპიტელები თავისუფალ ვარიაციას წარმოადგენს კომპოზიტური ორდერის მოტივებზე. ფრონტონის წვერი სამხრეთი კედლის სარკმლის არეში იჭრება და ნაწილობრივ ფარავს მას, რაც მოწმობს, რომ ეს კომპოზიცია ტაძრის მშენებლობის დასრულებიდან გარკვეული დროის შემდეგ არის დამატებული. ნიშაში 1900-იან წლებში დაიდგა ლურდის ღვთისმშობლის თაბაშირის შეღებილი ქანდაკება, რომელიც ქუთაისელი კათოლიკე ოსტატის სერაფიმე პოლოლიკაშვილის (1870-1918) მიერ არის შესრულებული.[270]

ჩრდილოეთ კედელთან მდგარი სარკოფაგი ასევე თეთრი მარმარილოსია და კიდეებზე შავი მარმარილოს დაბალი ნახევარსვეტები აუყვება (ილ. 76). სარკოფაგის წინა მხარე ბოლო დრომდე მთლიანად გახსნილი იყო და ჩანდა შიგ მოთავსებული გარდამოხსნილი მაცხოვრის ქანდაკება, რომელიც ასევე ს. პოლოლიკაშვილის ნახელავად ითვლება.[271] 2000-იან წლებში სარკოფაგს წინიდან ლითონის ფირფიტა ააფარეს და მისი შიგთავსი თვალისთვის მთლიანად დაფარეს (ქანდაკება კვლავ ადგილზეა). ეს აკლდამა, როგორც ჩანს, უფლის საფლავს სიმბოლიზირებს. ზედა კომპოზიცია აქ გირლანდებით მორთულ მაღალ კვარცხლბეკებზე დადგმული შეწყვილებული სვეტებისა და ბაროკული მრუდხაზოვანი ფრონტონისაგან შედგება. ამ შემთხვევაში ჩამშენებლებს უცდიათ დანამატი

270 . ს. პოლოლიკაშვილის შესახებ იხ.: ნინო ელერდაშვილი, ,,სერაფიმე პოლოლიკაშვილის უცნობი ნამუშევრები", *საქართველოს სიძველენი* 9 (2009): 205-211. აქ გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლოა ს. პოლოლოკაშვილს ეკუთვნოდეს ზედა გალერეის ქვეშ მოთავსებული საყვირიან ანგელოზთა ფიგურებიც (იქვე, 206).

271. *საქართველოს ძველი ქალაქები, ქუთაისი,* 113. ანოტაცია №6. ანოტაციის ავტორი დ. ხოშტარია.

თავდაპირველი არქიტექტურისათვის მოერგოთ - ფრონტონი შუაში რკალურად არის ამოღებული და ამ რკალში ზუსტად ეწერება ჩრდილოეთი კედლის მრგვალი სარკმლის ძირი.

სარკოფაგის ორ მხარეს დაფებზე ამოკვეთილი ლათინური და ფრანგული წარწერებით შეიძლება დავასკვნათ, რომ აქ ქუთაისის ერთ-ერთი თვალსაჩინო კათოლიკური გვარის - თუმანიშვილების საგვარეულო სამლოცველო კუთხე იყო მოწყობილი. ფრანგული წარწერის (TÉMOIGNAGE DE RECONNAISSANCE ET D'AMOUR DE LA FAMILLE TOUMANOW À ST MICHEL ET À ST ANNE) მიხედვით, ის წმ. მიქაელ მთავარანგელოზსა და წმ. ანას ეძღვნებოდა. ლათინური წარწერა (MICHAELI SANCTO PRINCIPI ANGELORUM DAEMONUM POTENTI FRATRES TUMANOW PROPRIIS IMPENSIS EXSTRUXERUNT DEDICARUNT. AN. R. S. MDCCCLXXIV [=1874]) მხოლოდ წმ. მიქაელს ახსენებს და შეიცავს თარიღს - 1874 წელს. სარკოფაგის წინ იატაკში ჩადგმულია თუმანიშვილების საფლავის ქვები.

საკურთხეველში, რომელიც ეკლესიის მართლმადიდებელთა ხელში გადასვლის შემდეგ (1989 წელი) მაღალი კანკელით არის მოზღუდული, ფეხზე მდგომი მავედრებელი ღვთისმშობლის ფერწერული ხატია მოთავსებული. მცენარეული ორნამენტით შემკულ, მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმულ ხატს საგანგებო არქიტექტურული გაფორმება აქვს - ის ფლანკირებულია შეწყვილებული მსუბუქი ნახევარსვეტებით, რომელთა იმპოსტებს პროფილირებული ფრონტონი ეყრდნობა. ფრონტონის გულში ოქროსფერი ლითონის სხივებით გარშემორტყმული ,,ყოვლისმხედველი თვალია" ჩასმული.

ინტერიერის თავდაპირველი გაფორმების ნაწილია სააღმსარებლო ოთახებში შესასვლელი ღიობების მოჩარჩოება (ილ. 77). ეს ოთახები გრძივი კედლების დასავლეთ კიდეებშია მოწყობილი. მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტითა და არქიტექტურული ელემენტებით შემკული წითელი ხის მასიური ჩარჩოები და მათზე გადაბმული ღიობის

მომსაზღვრელი დაბალი კარი-მოაჯირები ჩრდილოეთი ოთახის წარწერის მიხედვით 1883 წელს არის გაკეთებული.

ჯვრული სტრუქტურა ეკლესიის გარე მოცულობაში სრულად არ ვლინდება. იმის გამო, რომ პასტოფორიუმები ორსართულიანია, სამხრეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხეები განივი მკლავების სიმაღლისაა და შენობის აღმოსავლეთ ნაწილს ერთიანი დაუნაწევრებელი ფორმა აქვს. მისგან განსხვავებით, გამოხატულად ბაზილიკური პროფილისაა დასავლეთი ნაწილი - მაღალი ორფერდა სახურავის ქვეშ მოცქეული შუა ნავით (დასავლეთი მკლავით) და ცალფერდა სახურავით გადახურული დაბალი გვერდითა ნავებით (ილ. 78). ძირითად კორპუსზე აღმართულია გუმბათი მრგვალი შემაღლებული რვასარკმელიანი ყელითა და სფერული სახურავით. მას თავზე ლანტერნი ადგას. პასტოფორიუმებს პატარა გუმბათებით დასრულებული სამრეკლოები აგვირგვინებს. საკურთხევლის აფსიდი აღმოსავლეთ ფასადზე სეგმენტურად არის შვერილი, მის აქეთ-იქით კედლები სწორია.

ეკლესიის გარე გაფორმებაში შეთავსებულია ბაროკული ელემენტები (მრგვალი სარკმლები, დასავლეთი ფასადის ვოლუტები), კლასიციზმის პრინციპების გამოძახილი (ფასადთა გლუვი სიბტყეების დანაწევრება პილასტრებითა და პროფილირებული სარტყლებით, დასავლეთი ფასადის ჩაკეტილი ფრონტონი) და XIX საუკუნის ბერძენ ოსტატთა დეკორატიული ხერხები (მაგალითად, ზოგი სარკმლის მოჩარჩოების ორნამენტული შემკულობა), რომლებიც თავის მხრივ სათავეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ეკლექტური პოსტბიზანტიური არქიტექტურიდან იღებს.

ეკლარის ქვით მოპირკეთებულ ფასადებს შუაზე ორ თანაბარ ნაწილად ყოფს მსხვილი პროფილირებული სარტყელი, რომელიც შენობას მთელ პერიმეტრზე შემოუყვება. მის ზემოთ და ქვემოთ კედლის პერანგი განსხვავებულია. შენობის ქვედა ნაწილი სარტყლის ჩათვლით უფრო სახოვნად არის გათლილი. ქვის მართკუთხა კვადრების შუაგული მოკეჭნილი და ხაოიანია, ხოლო კიდეები მოსწორებული (ილ. 79).

ეკლესიის ზედა ნაწილი მთლიანად სუფთად გათლილი ქვებით არის მოპირკეთებული. პერანგის განსხვავებული თლის მანერა ვფიქრობ ორ, თუმცა ერთმანეთისგან არც თუ ძალიან დაშორებულ, სამშენებლო პერიოდს უკავშირდება. კერძოდ, შენობის ქვედა ნახევარი 1845 წლამდე უნდა იყოს შემოსილი, ხოლო ზედა - 1858 წლის შემდეგ.

ძუნწად გაფორმებული კედლების ორივე სიბრტყე ბრტყელი პილასტრებით არის დანაწევრებული (ილ. 80). მათი საფეხუროვანი კაპიტელები სარტყლების ფარგლებშია მოქცეული. გრძივი ფასადების ქვედა ნაწილებში ოთხ-ოთხი მრგვალი სარკმელია გაჭრილი: სამ-სამი - დასავლეთ მონაკვეთბში და თითო - აღმოსავლეთში, პასტოფორიუმების ფარგლებში. ამ უკანასკნელის ქვეშ სამხრეთით ერთი სწორკუთხა სარკმელია გაკეთებული, ხოლო ჩრდილოეთით - პასტოფორიუმში გარედან შესასვლელი კარი. ფასადების ზედა ნაწილს უფრო დიდი თაღოვანი სარკმლები ანაწევრებს. სამ-სამი სარკმელი დასავლეთი მკლავის გრძივ კედლებში, მრგვალი ღიობების ასწვრივ არის გაჭრილი, ხოლო თითო სარკმელი - ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავების შესაბამის კედლებში. ისინი ერთნაირად არის გაფორმებული - ღიობის კიდეზე მჭიდროდ შემოვლებულ საპირეს გარედან დამატებით ევლება ფართო ჩარჩო, რომელსაც შეწყვილებულ ლილვებზე გადაყვანილი თაღის სახე აქვს. თაღის იმპოსტებს, მათ შორის გავლებულ სარტყელსა და ვერტიკალური ლილვების შიდა მხარეს სამკუთხა და ნახევარცილინდრული კბილანების მწკრივები ამკობს.

აღმოსავლეთ ფასადზე აფსიდის ქვედა მონაკვეთი ცენტრისკენ მზარდი სამთაღედით არის გაფორმებული (ილ. 81). სამსაფეხუროვანი თაღები ნახევარსვეტებზეა გადაყვანილი. იმის გამო, რომ განაპირა ნახევარსვეტები უშალოდ აფსიდის კუთხეებზე არ არის მიდგმული, კიდეებში დამატებით ნახევართაღებია გამოყვანილი. კედლის ზედა რეგისტრს ოთხი ნახევარსვეტი ანაწევრებს. მათი კაპიტელები შორიდან იონიურს მოგვაგონებს, მაგრამ ვოლუტების ნაცვლად ისინი შემკულია

გირჩის მსგავსი ორ-ორი წახნაგოვანი ბურთით, რომლებიც აბაკის კუთხეებიდან არის ჩამოშვებული. ნახევარსვეტების გარდა, აფსიდის კედელი ღრმა ნიშებით არის დანაწევრებული. კედლის როგორც ქვედა, ისე ზედა რეგისტრის ცენტრალურ არეებში მოწყობილია მართკუთხა, ხოლო გვერდებზე - თაღოვანი ნიშები. მართკუთხა ნიშებს დამატებით ნახევარწრიულთაღოვანი საპირეები შემოწერს. ეს კომპოზიცია ტიმპანით დასრულებულ ცრუ კარს მოგვაგონებს.

დასავლეთი ფასადის ცენტრში გაჭრილი თაღოვანი სარკმელი ნახევარსვეტებით არის ფლანკირებული. მათ თავზე გავლებული სარტყლის ზემოთ დიდი სამკუთხა ფრონტონია, რომლის ორსავ მხარეს გიგანტური ვოლუტები გადადის. დასავლეთი ფასადის სარკმელი დანარჩენი სარკმლების მსგავსად არის გაფორმებული (ილ. 82). ერთადერთი განსხვავება ღიობის ორ საპირეს შორის ჩასმული ქვის ტოლმკლავა ჯვრის რელიეფია.

ეკლესიის დასავლეთ კედელში სამი მართკუთხა კარია გაჭრილი. მათგან მთავარი შუაა, რომელიც დასავლეთ მკლავში შედის. თითო კარი იყო შენობის გრძივ კედლებშიც, მრგვალი სარკმლების ქვეშ. ეს ღიობები შიგნიდან დაიფარა, როცა ეკლესიაში ზემოთაღწერილი აკლდამები გაკეთდა. გაუქმებული შესასვლელები ამოავსეს. ფასადებზე ჩანს მათი პროფილირებული საპირეები.

ეკლესიის გუმბათის ცილინდრულ ყელს შეწყვილებულ ნახევარსვეტებზე გადაყვანილი თაღნარი შემოუყვება. თაღებს შორის ბრტელი კოპებია დასმული. უშუალოდ სარკმლებს პროფილირებული საპირეები შემოწერს. პასტოფორიუმების თავზე აღმართული მცირე ზომის გუმბათები ოთხი თაღით გახსნილ ფანჩატურებს წარმოადგენს. თაღების ძირები ეყრდნობა პროფილირებულ იმპოსტებს, რომლებიც იმავდროულად მასიური ბურჯების კაპიტელებია. ბურჯებზე ზემოდან დამატებით მსხვილი ნახევარსვეტებია დადებული.

დასავლეთი კედლის ქვედა ნაწილზე სამთაღედით გახსნილი დიდი კარიბჭეა მიდგმული. ის 1892 წელს გაკეთდა ივანე ყაუხჩიშვილის შემწეობით. სადა, ზომიერად შემკულ ეკლესიასთან შედარებით კარიბჭე უხვი ღვლარჭნილი დეკორით გამოირჩევა. დასავლეთ ფასადზე კარიბჭე სამი თაღით იხსნება (შუა შედარებით განიერი და მაღალია), გვერდებზე - თითოთი. ექვს მართკუთხა სვეტზე გადადის, რადგან შუა თაღის საყრდენი სვეტები შეწყვილებულია. სვეტებს სამი მხრიდან მცენარეული ორნამენტით დაფარული ვოლუტები აქვს დამატებული. შედეგად, მათი ტანი ქვედა ნაწილში გამსხვილებულია და ერთგვარ ,,მუცელს" იკეთებს. კაპიტელები აკანთის ფოთლებში ჩაწნული ჯვრებით არის გაფორმებული, ხოლო მათზე დადებული იმპოსტები - ვაზის ჩუქურთმით. უშუალოდ თაღების წინა პირებს ორსაფეხუროვანი რომბების მწკრივი გაუყვება. მათზე რელიეფური ლათინური ასოებით ეკლესიის სახელობაა გამოყვანილი: IN HONOREM IMMACULATAE CONCEPTIONIS B MARIAE S V. ასოებისგან თავისუფალი რომბები ფართო ფოთლებზე გადაშლილი წვრილი ყვავილებით არის მორთული.

ქუთაისის კათოლიკური ეკლესიასთან არქიტექტურული დეტალებითა და სამშენებლო ტექნიკის მხრივ ყველაზე ახლოს სოფელ სუჯუნის (1838-46) და ქუთაისის სომხური (1843-59) ეკლესიები დგას - ორივე წმ. გიორგის სახელობის. მაგალითად, ქუთაისის ეკლესიის სარკმლების მამკობი ნახევარცილინდრული და სამკუთხა ელემენტები გამოყენებულია სუჯუნის ეკლესიის გუმბათის ყელისა და დასავლეთ ფასადზე გამოყვანილი ჯვრის ბაზისის გასაფორმებლად (ილ. 83), ხოლო ქუთაისის ყოფილ სომხურ ეკლესიაში, რომელიც კათოლიკურთან ძალიან ახლოს დგას სარკმლების ჩარჩოების დეკორში (ილ. 84). შესრულების თვალსაზრისით თითქმის იდენტური სამსაფეხუროვანი ცრუ თაღედი ევლება სუჯუნის სამ შვერილ აფსიდს. სამივე ნაგებობაში ერთმანეთის მსგავსი და ერთნაირად მაღალია ქვის თლის ხარისხი. ეს მსგავსება გასაკვირი არაა - ეკლესიები ხომ დაახლოებით ერთ დროს აშენდა და

მათზე ერთიდაიგივე ოსტატები მუშაობდნენ. ზემოთ უკვე ითქვა, რომ 1838 წელს სუჯუნის ეკლესიის დამკვეთებს ბერძენი ოსტატები ქუთაისიდან წაუყვანიათ. არც ის იქნება გასაკვირი, თუ ქვის მთლელთა ნაწილი 1846 წელს სუჯუნის ეკლესიის დასრულების შემდეგ კვლავ ქუთაისში დაბრუნდებოდა და 1858 წელს კათოლიკურ ეკლესიაზე განახლებულ მშენებლობაში მიიღებდა მონაწილეობას.

ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის სამხრეთით ძველი სასაფლაო მდებარეობს. ის 1910 წელს ლითინის მოაჯირით შემოზღუდეს.[272] დღეს საფლავის ქვების უმეტესობა დაზიანებული და დაკარგულია.

საქართველოს გასაბჭოების პირველსავე წელს ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიას და მასთან არსებულ სარწმუნოებრივ საზოგადოება ,,ძმობას" მთელი საეკლესიო ქონება ჩამოართვეს. 1921 წლის მონაცემებით, აღნიშნული საზოგადოება მონასტრის ტერიტორიაზე განთავსებული შენობების გარდა ქუთაისში კიდევ ერთ სასაფლაოსა და ხუთ სახლს ფლობდა.[273] 1923 წლის აგვისტოში მიღებული იქნა დეკრეტი ,,რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის შესახებ", რამაც ეკლესიის წინამძღვარ დამიანე სააკაშვილს საშუალება მისცა თავიდან შეექმნა რელიგიური საზოგადოება, გაეფორმებინა ხელშეკრულება ქალაქის საბჭოსთან და შედეგად, უკან დაებრუნებინა ეკლესია.[274] 1930 წელს ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნის ქვის გალავნით შემოზღუდული 3240 კვ. მ. მიწის ნაკვეთი, სადაც დგას ეკლესია, მონასტერი, ყოფილი სამრევლო სკოლა და ღარიბთა თავშესაფარი. 1924 წლიდან სკოლის შენობა და მისი ეზო დათმობილი ჰქონდა რუსულ სკოლასთან არსებულ საბავშვო ბაღს, ხოლო მონასტერში და ღარიბთა თავშესაფარში რამდენიმე ადამიანი იყო შესახლებული. შენობებით სარგებლობისთვის ეკლესიას წლიური გადასახადი 621 მანეთი ეკისრებოდა, რასაც მატერიალურად გაჭირვებული

---

272. *საქართველოს ძველი ქალაქები, ქუთაისი,* 113, ანოტაცია №6. ანოტაციის ავტორი დ. ხოშტარია.
273. ქცსა, ფონდი №38, საქმე №13.
274. იქვე, ფონდი №296, საქმე №1.

მრევლი ვერ იხდიდა.[275] 1939 წელს ქალაქის საბჭომ ქუთაისის რელიგიურ საზოგადოებას ქირის გადაუხდელობის გამო ხელშეკრულება გაუუქმა. ეკლესიის ქონება ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და სახელმწიფო ფონდს შორის გადანაწილდა. დონ დამიანე სააკაშვილმა მღვდელმსახურება 1939 წლის 1 აპრილიდან შეწყვიტა, ხოლო ეკლესიის შენობა, რომელიც მუზეუმს უნდა გადასცემოდა, საწყობად აქციეს. [276] ნაგებობამ ფუნქცია კიდევ ერთხელ 1971 წელს შეიცვალა. აქ ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით საკონცერტო დარბაზი მოეწყო. 1989 წლიდან ღვთისმშობლის ხარების სახელობაზე ნაკურთხი შენობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაა.

ეკლესიის სამხრეთით მდებარე მცირე სასაფლაოს გარდა, კათოლიკეებს ქუთაისში კიდევ ერთი, ბევრად დიდი სასაფლაო ჰქონდათ საფიჩხიას უბანში. სამკუთხედს მიახლოებული ფორმის ტერიტორია დღეს თბილისის, სოლომონ პირველისა და დიმიტრი ყიფიანის ქუჩებს შორის მოქცეულ, მთლიანად საბჭოთა პერიოდში განაშენიანებულ საცხოვრებელ კვარტალს უკავია. 1847 წელს სასაფლაოზე დონ ანტონ გლახაშვილს ქუთაისის მოქალაქე მელქონ სოღოლოვის ფინანსური დახმარებით ქვის მცირე სამლოცველო აუშენებია. [277] ის წმ. ჯვრის ამაღლების სახელობის ყოფილა. 1900-იან წლებში აქ ღვთისმსახურებას მღვდელი რაფიელ ნებიერიძე ასრულებდა. სასაფლაო მასზე მდებარე შენობებითურთ 1921 წელს ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიას სხვა უძრავ ქონებასთან ერთად ჩამოართვეს. [278] საბჭოთა პერიოდში დანგრეული სამლოცველოს არქიტექტურული ფორმების შესახებ დღეს რისამე თქმა შეუძლებელია.

---

275. იქვე, ფონდი №149, საქმე №24.
276. იქვე, ფონდი №149, საქმე №785.
277. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში,* 80; სცა, ფონდი №1617, ანაწერი №1, საქმე №47.
278. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი №38, საქმე №13.

2.3. ბათუმის სომხურ-კათოლიკური ეკლესია

ოსმალური პერიოდის ბათუმში, ართვინისაგან განსხვავებით, კათოლიკეთა რიცხვი მცირე იყო. ქალაქში მეტწილად ქართველი და თურქი მუსლიმები და ბერძენი მართლმადიდებლები ცხოვრობდნენ. კათოლიკურ თემს ძირითადად ართვინელი სომხები შეადგენდნენ.[279] მათ შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა სამხედრო კორესპონდენტი ალექსანდრ ფრენკელი თავის წიგნში, რომელიც რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრებიდან მალევე, 1879 წელს გამოიცა. ის წერს:

აქაური სომხები რომაულ-კათოლიკური აღმსარებლობის არიან; მათი ღვთისმსახურება ტარდება სომხურად და არა ლათინურად, როგორც ყველა სხვა კათოლიკეებთან. ღვთისმსახურების დროს ქალები უშუალოდ ეკლესიაში კი არ იმყოფებიან, არამედ იკავებენ მაღალ და ფართო ზედა გალერეას (хоры), რომელსაც ცალკე მისასვლელი აქვს. ეკლესიის იატაკზე გაშლილია ხალიჩები და მათზე ბალიშები აწყვია. ეს ადგილები ეკუთვნის კერძო პირებს და ლიტურგიაზე დასაწრებად თითოეული კათოლიკე იკავებს თავის ადგილს. მღვდლების შესამოსელი როგორც ქსოვილით, ისე თარგით მოგვაგონებს მართმადიდებელ სასულიერო პირთა სამოსს და არაფრით ჰგავს დასავლეთის მღვდლების ჩაცმულობას.[280]

ამ აღწერამ მკვლევართა ნაწილი შეცდომაში შეიყვანა და აფიქრებინა, რომ სომეხ კათოლიკეებს ბათუმში საკუთარი ეკლესია ჯერ კიდევ ოსმალურ პერიოდში ჰქონდათ. რ. უზუნაძე და მასზე დაყრდნობით მ. ჭიჭილეიშვილი ეკლესიის აგების თარიღად 1874-1876 წლებს მიიჩნევენ.[281]

---

279 . კონსტანტინე გვარამაძე, *ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა, ტირასპოლის ეპარხიის ეპისკოპოსი ედუარდ ბარონ-დე როპპი და მისი მოგზაურობა საქართველოში თავისი საკუთარი მარშრუტის დამატებით.* შედგენილი და გამოცემული მესხი კონსტანტინე გვარამაძის მიერ (თბილისი: ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის სტამბა, 1903), 38.

280 . Александр Френкель, *Очерки Чурук-су и Батума* (Тифлис: Типография А. А. Михельсона, 1879), 62-63.

281. რევაზ უზუნაძე, *ბათუმის ისტორიიდან* (ბათუმი: გამომცემლობა აჭარა, 1997), 56; მაია ჭიჭილეიშვილი, „„ძველი ბათუმის" საკულტო ძეგლების შესწავლის საკითხისათვის", *ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები*, III (თბილისი, 2011): 164.

რ. უზუნაძე უყურადღებოდ ტოვებს ზემოთ მოტანილი ციტატის გაგრძელებას, სადაც ა. ფრენკელი წერს ,,ბათუმში ქრისტიანული აღმსარებლობის მხოლოდ ერთი - წმ. ნიკოლოზის ბერძნული ეკლესიაა"-ო. ამ ეკლესიის მოკლე აღწერის შემდგომ ის აგრძელებს:

სხვა ქრისტიანული აღმსარებლობის მცხოვრებლებს ბათუმში ეკლესიები არ აქვთ, თუმცა მათ ჰყავთ მღვდლები, მაგალითად, სომეხ-კათოლიკეებს, რომლებიც აღასრულებენ ღვთისმსახურებას. საჭიროების მიუხედავად მათ არ შეუძლიათ ეკლესიის აშენება, რადგან მრევლი მცირერიცხოვანია. თუმცა, თურქულ პროვინციებში ეკლესიების აგება საკმაოდ ძნელი საქმე იყო მთავრობის მხრიდან შექმნილი სხვადასხვა სირთულისა და დაბრკოლების გამო.[282]

ამრიგად, ა. ფრენკელი გარკვევით ამბობს, რომ სომეხ კათოლიკეებს ბათუმში ეკლესია არა აქვთ და ამის მიზეზებად ოსმალეთში არსებულ ბიუროკრატიასა და კათოლიკური თემის სიმცირეს ასახელებს. [283] ამავე დროს, ის აღნიშნავს, რომ სომეხ კათოლიკეებს ჰყავთ მღვდლები, რომლებიც ღვთისმსახურებას აღასრულებენ. ალბათ უნდა ვიფიქროთ, რომ წირვა სამლოცველო სახლში ტარდებოდა და ზემოთმოტანილ ფრაგმენტში ა. ფრენკელი საამისოდ მორგებული ოთახის ინტერიერს აღწერს. ეს ინტერიერი საცხოვრებელი სახლის კვალობაზე რთულია (ცალკე შესასვლელის მქონე ფართო ზედა გალერეით) და ამიტომ ა. ფრენკელი მას ეკლესიად მოიხსენიებს. შესაძლოა, ის მართლაც „ნამდვილ" ეკლესიას აღწერს, ოღონდ არა ბათუმისა, არამედ ზოგადად ოსმალეთის სომეხი კათოლიკეებისა. ბათუმის იქით ა. ფრენკელს ოსმალეთის იმპერიაში არ უმოგზაურია, მაგრამ მას შეეძლო ადგილობრივი მრევლისაგან მიეღო

---

282. Александр Френкель, *Очерки Чурук-су и Батума*, 63.

283. ზ. ჭიჭინაძეს თავის წიგნში *კათოლიკური ეკლესიები საქართველოში* ბათუმის ძველ კათოლიკურ ეკლესიასაც ეხება, თუმცა მის მიერ მოტანილი ცნობები საკმაოდ ბუნდოვანია. ის იძახის, რომ ბათუმში კათოლიკეებს ჰქონდათ ეკლესია, რომელიც 1860 წელს მცირედ განაახლეს, შემდეგ კი მნიშვნელოვნად გააფართოვესო (ამ უკანასკნელში ის 1880-იან წლებში აგებულ ეკლესიას უნდა გულისხმობდეს). ჭიჭინაძე ძველ შენობას არ აღწერს და მისი ზომისა თუ არქიტექტურული ფორმის წარმოსადგენად ხელჩასაჭიდს არაფერს იძახის. ამდენად, ვფიქრობ ის ეკლესიაში შესაძლოა სამლოცველო სახლსაც გულისხმობდეს.

ცნობები მეზობელ მხარეებში (მაგალითად, ართვინში) მცხოვრებ სომეხ კათოლიკეთა ეკლესიების მოწყობისა და საეკლესიო ყოფის თაობაზე და ეს ცნობები თავის მონათხრობში ჩაერთო.

ასეა თუ ისე, ვფიქრობ, უდავოა, რომ ოსმალურ პერიოდში ბათუმში კათოლიკური ეკლესია არ ყოფილა. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ ბათუმის საკულტო შენობების ჩამოთვლისას სამ მეჩეთსა და მხოლოდ ერთ -მართლმადიდებლურ - ეკლესიას ასახელებს ჟან მურიე. ბათუმი მან რუსული ხელისუფლების პირველ ხანებში მოინახულა, მაგრამ საკულტო შენობებზე ლაპარაკისას ის ოსმალებისდროინდელ მონაცემებს ეყრდნობა.[284]

1878 წელს აჭარის რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ ბათუმი სტრატეგიულ საპორტო ქალაქად განვითარდა. გაცხოველებულმა სამშენებლო საქმიანობამ, 1883 წელს ბაქო-თბილისი-ბათუმის სარკინიგზო ხაზის გაყვანამ, პორტის რეკონსტრუქციამ და საქართველოს სხვა ქალაქებთან დამაკავშირებელი გზების მოწყობამ პატარა ზღვისპირა დასახლება მნიშვნელოვან კომერციულ ცენტრად აქცია. ის მალევე გახდა მიმზიდველი ქუთაისსა და ახალციხეში მცხოვრები ბევრი ვაჭრისთვის, რომელთა დიდი ნაწილი კათოლიკე იყო.[285]

რუსული ხელისუფლების დამყარებისთანავე ბათუმელმა კათოლიკეებმა ეკლესიის აგებაზე დაიწყეს ზრუნვა. აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული პროექტი ადასტურებს, რომ პირველი კათოლიკური ეკლესია ქალაქში 1880-იან წლებში აშენდა კათოლიკურ ქუჩაზე (დღევანდელი კ. გამსახურდიას ქ. №35).[286] პროექტი 1882 წლის 15 ოქტომბერს არის შედგენილი ვ. ონიკევიჩის მიერ (ილ. 85). 18 ოქტომბერს

---

284. ჟან მურიე, *ბათუმი და ჭოროხის აუზი*, ფრანგულიდან თარგმნა იზა ლორთქიფანიძემ. (ბათუმი: სახელმწიფო გამომცემლობა, 1962), 23.

285. აჭარის ცუდი გზების გამო XIX საუკუნის დასაწყისის ახალციხელ ვაჭრებს საქონელი ბათუმის ნაცვლად ერზერუმში გაჰქონდათ. იხ.: ჟაკ ფრანსუა გამბა, *მოგზაურობა ამიერკავკასიაში* (თბილისი: განათლება, 1987), 263; კონსტანტინე გვარამაძე, *ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა,* 37-38.

286 . აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო, ფონდი №ი-6, აღწერა №2, საქმე №659.

მას ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი და ქალაქის არქიტექტორი ამტკიცებენ. ეს ეკლესია დაზიანებული სახით დღემდე შემოინახა. არსებული შენობის აღმოსავლეთი მონაკვეთის ძალიან სახასიათო ,,სამყურა" ფორმა მის აღნიშნული პროექტით აშენებაზე მიუთითებს, თუმცა აშკარაა მათ შორის განსხვავებებიც.

ეკლესია შერეული მასალითაა ნაგები. კედლებისათვის გამოყენებულია ფლეთილი ქვა. კონსტრუქციული დეტალები ინტერიერში აგურით, ხოლო ფასადზე დიდწილად თლილი ქვითაა გამოყვანილი.

ეკლესია დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული დარბაზული ნაგებობაა, რომელიც აღმოსავლეთით დიდი ნახევარწრიული აფსიდით სრულდება. გრძივ კედლებზე აღმოსავლეთ ბოლოში მიდგმულია თითო მცირე დამატებითი სათავსი - ალბათ საკრისტიები, რომლებსაც აფსიდები განივ ღერძზე ერთვის და, შესაბამისად, სამხრეთითა და ჩრილოეთით არის მიმართული. სამივე აფსიდი გარეთ ნახევარცილინდრული მოცულობების სახით გამოდის. მათ აქვს მხრები, რომლებიც ასევე გამოვლენილია გარე მასაში (ილ. 86).

შესასვლელი კარი ეკლესიის დასავლეთ კედელშია მოწყობილი. დარბაზულ სივრცეს ხის ძელაკებისგან აწყობილი ცრუ კამარა ხურავს (ილ. 87). ის ჭრილში ნახევარწრეზე ნაკლებია და მთლად სწორი მოხაზულობისა არ არის. გრძივ კედლებში ხუთ-ხუთი ფართო და განიერი მართკუთხა სარკმელია გაკეთებული. სავარაუდოდ ორი თაღოვანი სარკმელი იყო გაჭრილი დასავლეთ კედელში. მთლიანად ინტერიერი კარგად არის განათებული. მისი სიგანეში გაშლილობის შეგრძნებას საერთო დამჯდარ პროპორციებთან ერთად ხელს უწყობს კამარის დაბრტყელებული ფორმაც.

თავდაპირველი სახით საკურთხეველი ეკლესიის ძირითადი სივრცისკენ მთლიანად იხსნებოდა. საბჭოთა პერიოდში ეკლესიის სპორტდარბაზად გადაკეთების შემდეგ ის გადატიხრეს და შესასვლელად განიერი მართკუთხა კარი დაუტოვეს. კონქის თავზე ხუთი მართკუთხა ფანჯრით განათებული სათავსია მოწყობილი. შედეგად, საკურთხეველი

გარედან უჩვეულოდ მაღალი და ტლანქია. ის სიმაღლით ეკლესიის კორპუსის სახურავის კეხს უტოლდება. ძნელი სათქმელია, რის გამო შეიძლება დასჭირვებოდათ აფსიდის თავზე ასეთი სივრცის შექმნა. შესაძლოა აქ მოაწყვეს სამრეკლო მას შემდეგ, რაც უარი თქვეს მის ამოყვანაზე დასავლეთ ფასადთან, პორტიკის თავზე (იხ. ქვემოთ).

ზემოთაღწერილი დამატებითი სათავსები ეკლესიის ძირითად სივრცეს თითო მართკუთხა კარით უკავშირდება. ჩრდილოეთის სათავსს დამოუკიდებელი შესასვლელი გარედანაც ჰქონდა. დღეს ის ამოქოლილია.

ეკლესიას დასავლეთით მთელს სიგანზე მიდგმული აქვს ორფერდა სახურავით გადახურული დაბალი კარიბჭე, რომელსაც დასავლეთ კედელში გაჭრილი სამი კარით უკავშირდება. კარიბჭე რთული აგებულებისაა, ის შედგება შუა დერეფნისა და მის აქეთ-იქით განლაგებული ორ-ორი სათავსისაგან (ილ. 88). 1882 წლის პროექტით ეს კარიბჭე ნაგულისხმევი არ არის. მის ნაცვლად ეკლესიას კვადრატული გეგმის, თაღებით გახსნილი პატარა პორტიკი უნდა ჰქონოდა, ზედ აღმართული მაღალი ორსართულიანი სამრეკლოთი. როგორც ჩანს, მისი ამოყვანა დაუწყიათ კიდეც. კარიბჭის შუა დერეფნის დასვლეთი მონაკვეთი სამი მხრიდან ნახევარწრიული თაღებით არის გახსნილი და უთუოდ სამრეკლოს პირველ სართულს წარმოადგენს. მას ზედა ორი სართული აღარ დააშენეს, ამოყვანილი მოცულობა კი კარიბჭის ვესტიბიულად აქციეს.

ეკლესიის ფასადები ძუნწად არის გაფორმებული (ილ. 89). სარკმლების ძირების დონეზე გავლებული, ნალესობით გამოყვანილი უწყვეტი პროფილირებული სარტყელი აფსიდებზეც გადადის. ასეთსავე პროფილირებულ კარნიზს ძირში კბილანების რიგი აქვს დართული. ეს კბილანები, მოცულობების ზომის შესაბამისად, გვერდით სათავსებზე პატარაა, ხოლო ეკლესიის ძირითად კორპუსზე - მსხვილი. კარნიზი არ შემორჩა საკურთხევლის აფსიდს, თუმცა ცხადია, განსხვავებული სახის არც ის იქნებოდა. გრძივი კედლების სრულიად მოურთავი დიდი

მართკუთხა ფანჯრებისგან განსხვავებით, გვერდითი სათავსების თაღოვან სარკმლებს ფართო ბრტყელი ზოლის სახის საპირეები შემოწერს. შუა აფსიდისა და აღმოსავლეთი კედლის შეერთების კუთხეებში ამოყვანილია მსუბუქი კოშკისებრი მოცულობები, რომლებსაც უფრო დეკორატიული დანიშნულება აქვს, ვიდრე კონსტრუქციული. ისინი დაახლოებით კამარის ქუსლის დონემდე ადის და პირამიდისებური გადახურვით სრულდება.

ეკლესიის ექსტერიერის თავდაპირველი სახით წარმოდგენის საშუალებას იძლევა ბათუმის ისტორიული ფოტოსურათი, რომელიც 1880-იან წლებში უნდა იყოს გადაღებული (ილ. 90). შენობა ქალაქის საერთო ხედში სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან ჩანს. მისი დარბაზის სახურავი ორფერდაა. ფოტოსურათზე კარგად არ გაირჩევა საკურთხევლის გადახურვის ფორმა. მას წესით ნახევარწრიული გვერდითი სათავსების მსგავსად ნახევარკონუსური სახურავი უნდა ჰქონოდა, თუმცა კონქის თავზე მდებარე მაღალი სათავსის გამო შეიძლება გართულებული აგებულებისაც ყოფილიყო. მ. ჭიჭილეიშვილი მას ,,დეკორატიული ,,ყვავილის" ფორმის გუმბათად" [287] აღწერს, რაც მთლად ზუსტი არაა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ის ეკლესიის ძირითადი კორპუსის სახურავთან შედარებით მაღალი იყო და ცრუ გუმბათით ან ლანტერნით სრულდებოდა.

მთლიანად, ბათუმის სომხურ-კათოლიკურ ეკლესიას ძალიან სადა, მხატვრულ-სტილისტურად ნეიტრალური არქიტექტურული სახე აქვს. მსგავსად სამხრეთ საქართველოს ზოგიერთი კათოლიკური ეკლესიისა, რომლებიც ქვემოთ იქნება განხილული, ის გვიანი კლასიციზმის უკიდურესად გამარტივებული, სქემატიზირებული ვერსიის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

გადაკეთების კვალს ატარებს დასავლეთი კარიბჭე. მისი ცენტრი უკავია კედლის ხაზიდან შეწეულ ღრმა ნიშას, რომელშიც შესასვლელი კარია გაჭრილი. ნიშის ორსავე მხარეს თითო მართკუთხა ფანჯარაა. მათ

287 . მაია ჭიჭილეიშვილი, ,,,ძველი ბათუმის" საკულტო ძეგლების შესწავლის საკითხისათვის", 164.

გარედან პროფილირებული თაღოვანი მოჩარჩოებები შემოუყვება. ასეთივე პროფილირებული სარტყლით არის მოხაზული დასავლეთი ფასადის ფრონტონი. ფრონტონის ცენტრს ნალესობაში გამოყვანილი კონცენტრული წრე აღნიშნავს. როგორც ძველ ფოტოსურათზე ჩანს, კარიბჭე თავდაპირველად ბევრად დაბალი იყო. ნაძერწი დეკორის ხასიათითა და შიდა სივრცის გადაწყვეტით თუ ვიმსჯელებთ, ის საბჭოთა პერიოდშია გადაკეთებული. კარიბჭემ მოიმატა როგორც სიმაღლეში, ისე სიგანეში. სწორედ მისი ჭერის ამაღლების შედეგად დაიფარა ეკლესიის დასავლეთ კედელში გაჭრილი ერთი თაღოვანი ღიობი სრულად, მეორე კი ნაწილობრივ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებული შენობა არ ემთხვევა 1882 წლის პროექტს. ის იმეორებს პროექტის ზოგ არსებით მახასიათებელს, როგორიცაა აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე დაგრძელებული ძირითადი სივრცე, დიდი ნახევარწრიულად შვერილი საკურთხევლის აფსიდი და გრძივ კედლებზე გარედან მიდგმული სათავსები სამხრეთითა და ჩრდილოეთით მიმართული აფსიდებით, მაგრამ დიდად განსხვავდება მისგან ძირითადი ნაწილის გეგმითა და სივრცობრივ-მოცულობითი სტრუქტურით. პროექტზე ეკლესია წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას შუა ნავის აღმოსავლეთ ბოლოზე აღმართული მაღალყელიანი გუმბათით, რომელიც ძლიერ ვერტიკალურ აქცენტს ქმნის. გუმბათი აფსიდის კუთხეებსა და ორ თავისუფლად მდგარ ბურჯს ეყრდნობა. მათ დასავლეთით კიდევ ერთი წყვილი ბურჯია, რომლების შენობის დასავლეთ ნაწილს სამ ნავად ყოფს. ბურჯებზე ფართო და დაბალი თაღებია გადაყვანილი. დასავლეთი კედლის წინ ხის ვრცელი ზედა გალერეაა მოწყობილი. მისკენ გრძივი კედლების გასწვრივ მოწყობილი ერთმარშიანი კიბეები მიემართება.[288] თავის მხრივ გალერეიდან კიბე ადის ეკლესიის დასავლეთ კედელზე მიდგმული კარიბჭე-სამრეკლოს მეორე სართულის სათავსისაკენ.

288. გალერეა, შესაძლოა, განხორციელდა კიდეც და მოიხსნა საბჭოთა პერიოდში, შენობის სპორტდარბაზად გადაკეთების დროს.

ყველაზე საინტერესო პროექტში გუმბათია - მას მკაფიო ხახვისთავიანი ფორმა აქვს, რაც XIX საუკუნის რუსული სტილის აშკარა ანარეკლია. გუმბათის მრგვალი ყელი აგებულებით 1880-90-იანი წლების თბილისის რუსული სტილის ეკლესიების (კალოუბნის წმ. გიორგი, დიდუბის ღვთისმშობელი, კუკიის წმ. ნინო)(ილ. 91).[289] გუმბათებს მოგვაგონებს, თუმცა საპირეებისა და შუაკედლისების დეკორატიული შემკულობა არ გააჩნია და უფრო სადაა. რუსულ სტილს უკავშირდება არა მხოლოდ გუმბათის ხახვისებური ფორმა, არამედ პროექტზე გამოხაზული გუმბათქვეშა კონსტრუქციაც - აქ გამოყენებულია რვანაწილიანი შეკრული კამარა, რომელიც გუმბათქვეშა კვადრატის ზომის შემცირებას ემსახურება. გუმბათი ამ კამარის შუაში დარჩენილ წრეზეა აღმართული (მსგავსი გადაწყვეტა გვხვდება, მაგალითად, თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში).

ბათუმის სომხურ-კათოლიკური ეკლესიის პროექტი გვიჩვენებს, რომ მის შემქმნელ არქიტექტორს უცდია შენობაში გაეერთიანებინა კათოლიკური ეკლესიის ტრადიციული წაგრძელებული ფორმა და რუსული სტილის ელემენტები. XIX საუკუნის შუახანებიდან იმპერიის ხელისუფლება აქტიურად ნერგავდა რუსულ სტილს მართლმადიდებლური ტაძრების არქიტექტურაში, მაგრამ კათოლიკურ ეკლესიებს ეს სტილი პრაქტიკულად არ შეჰხებია. მისი მოხმობა ბათუმის სომხურ-კათოლიკური ეკლესიის პროექტში შემთხვევითი არ არის, ის განსაკუთრებული გარემოებებით აიხსნება. სომეხ-კათოლიკეთა ეკლესია იყო პირველი ქრისტიანული საკულტო შენობა, რომელიც ბათუმში რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ უნდა აეგოთ[290]. პროექტით ნაგულისხმევი ხახვისთავიანი გუმბათი - ძლიერი ვერტიკალური

---

289. დავით ხოშტარია, ,,იმპერიული იდენტობა და რუსული სტილი თბილისის საეკლესიო არქიტექტურაში", *არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918)*, რედ. დ. ხოშტარია (თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი, 2016), გვ. 55, 99, 65, სურ. 55, 61, 65.

290. 1878 წლამდე ბათუმში მხოლოდ ერთი მართლმადიდებლური ეკლესია იყო. ის ადგილობრივმა ბერძნებმა 1865-1871 წლებში ააშენეს (მაია ჭიჭილეიშვილი, ,,,,ძველი ბათუმის" საკულტო ძეგლების შესწავლის საკითხისათვის, 161).

მახვილი, რომელიც დაბალი განაშენიანების ფონზე სხვადასხვა წერტილიდან კარგად გამოჩნდებოდა, ახლადმიერთებულ ბათუმში რუსული იმპერიული იდენტობის პირველი არქიტექტურული მანიფესტაცია უნდა გამხდარიყო. ეს იდეა ზოგადად კარგად ეწერებოდა ალექსანდრე III-ის დროინდელ არქიტექტურულ ნარატივში. იმპერიის პერიფერიებში ამ დროს განსაკუთრებული ინტენსივობით დაიწყო რუსული სტილის ეკლესიების მშენებლობა, რაც არარუსული იერის მქონე ქალაქებში ურბანული სივრცეების ახლებურად ფორმირების ეფექტურ იარაღად იქცა. [291] ბათუმის კონტექსტში რუსული სტილის გუმბათი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა - ის სიმბოლიზირებდა ქრისტიანული რუსული ხელისუფლების დამკვიდრებას მუსლიმ ოსმალთათვის წართმეულ ქალაქში.

პროექტი, როგორც ვნახეთ, არ განხორციელდა. ეკლესია ბევრად გამარტივებული სახით აშენდა, რაც მრევლის შეზღუდულ ბიუჯეტს უნდა გამოეწვია. რუსული იმპერიული იდენტობა მოგვიანებით სრულად გამოვლინდა 1902-1905 წლებში ვლადიმერ სიმონსონის ხელმძღვანელობით ბათუმის ბულვარში აშენებულ წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესიის არქიტექტურაში.[292]

2.4. ბათუმის ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესია

XIX საუკუნის ბოლოსთვის ბათუმში ლათინური წესის კათოლიკეთა რაოდენობამ საგრძნობლად გაიზარდა. კათოლიკე ქართველებს ემატებოდნენ ქალაქში ჩამოსული ევროპელი კომერსანტები, მრეწველები და ინჟინრები, აგრეთვე საკონსულოებში მომუშავე დიპლომატები. ამ ქართულ-ევროპულ მრევლს სომხურ-კათოლიკური ეკლესიით სარგებლობა უწევდა. საერთო საეკლესიო სივრცის გამოყენება გარკვეულ

291. დავით ხოშტარია, ,,იმპერიული იდენტობა და რუსული სტილი", 100-101.
292. მაია მანია, *ევროპელი არქიტექტორები თბილისში* (თბილისი, 2006), 129.

უხერხულობებთან იყო დაკავშირებული. სომხები მფლობელის უფლებებით სარგებლობდნენ. წირვას ისინი პირველები იწყებდნენ და გვიან ამთავრებდნენ. გაჯანჯლებული ღვთისმსახურების დასრულებას ლათინური წესის მრევლი ეკლესიის ეზოში ან სულაც ქუჩაში უცდიდა, რაც უამინდობის დროს განსაკუთრებით უსიამოვნო იყო.[293] ლათინური წესის მრევლმა მალე საკუთარი ეკლესიის მშენებლობა მოიწადინა. მათ სათავეში 1890 წელს ბათუმში ჩამოსული პატრი ანსელმ მღებრიშვილი ჩაუდგა. სათანადო ფინანსური სახსრების მოძიებამდე მრევლმა მთავრობას საფრანგეთის კონსულის მეშვეობით მიმართა და სამლოცველო სახლის გახსნის ან მღვდლის სახლში დროებით წირვის ჩატარების უფლება სთხოვა. 1895 წელს მათ წირვის ჩატარების, ხოლო 1897 წელს უკვე დროებითი ეკლესიის მოწყობის ნება დართეს. ამ სამლოცველოს საკმაოდ დეტალურად აღწერს ა. მღებრიშვილი მ. თამარაშვილსთვის მიწერილ წერილში:

დროებითი ეკლესია კიდევ გავაკეთეთ. ბზობას ვაკურთხეთ და ეხლა შიგ ვართ და ნაქირავებ სახლებში აღარ ვამბობ წირვას. ეს შენობა ხისა არ არის, აგურით არის ჩაწყობილი, ისე როგორც სტამბოლში აკეთებენ სახლებს, ერთი ზალა მაქვს კარგი, რომელსაც 24 ნაბიჯი, გინა არშინი სიგრძე აქვს და 10 სიგანე. ამას აქვს 4 არშინისიგანით შუშაბანდებით ბალკონი გალერეა სიგრძით 24 არშინი როგორც ზალას, ასე რომ წირვის დროს კარსა აკოშკებს რომ გავაღებთ ეს გალერეაც ეკკლესიას უერთდება და ხალხი თავისუფლად ისმენს წირვას 500 კაცისთვის საკმაო ადგილია ამის გარდა ორი ოთახი, თავისი გალერეით და კუხნითაც მე მაქვს ჩემს სადგომლად, 800 საჟენი ადგილიც მაქვს ეკკლესიისთვის. მშვენიერი ადგილია, ასე რომ ბევრს შური მოსდით, რომ ამისთანა ადგილი მოგვცა ღმერთმა.[294]

ბათუმში მცხოვრები რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მრევლი, ბუნებრივია, დროებითი სამლოცველოთი ვერ დაკმაყოფილდებოდა. მათ

293. აარმსდ-სს, ფონდი ი-82, აღწერა 1, საქმე № 11, ფ. 41-43.
294. ანსელმ მღებრიშვილის წერილი მიხეილ თამარაშვილს, 1897, 12 ივლისი, საქმე №2640, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

საშუამდგომლოდ კვლავ ევროპელ - იტალიის, საფრანგეთისა და ავსტრია-უნგრეთის კონსულებს მიმართეს. როგორც კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის კანცელარიასა და ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს შორის მიმოწერიდან ირკვევა, მშენებლობის ნებართვის გასაცემად კათოლიკურ მრევლს ერთადერთი პირობა უნდა დაეკმაყოფილებინა - ეკლესია საქართველოს ეგზარქოსის მოთხოვნით მართლმადიდებელთა ეკლესიებისგან მოშორებით უნდა მდგარიყო.[295] ეკლესიის ასაშენებლად შეირჩა მიწის ნაკვეთი, რომელიც ქალაქს ეკუთვნოდა და იჯარით ჰქონდა გადაცემული კომერსანტ ნიკოლოზ საბაშვილს. მან მიწით სარგებლობაზე უარი თქვა და ტერიტორია კათოლიკეებს დაუთმო, თუმცა ნაკვეთზე საკუთრების უფლება ქალაქმა შეინარჩუნა.[296] მრევლმა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს გენერალ-ლეიტენანტ მ. შალიკოვს ეკლესიის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის თანმხლებ განმარტებით ბარათთან ერთად სამშენებლო და ქალაქის სიტუაციურის გეგმებიც წარუდგინა. მას შემდეგ, რაც გუბერნატორი დარწმუნდა, რომ შერჩეული ადგილი მნიშვნელოვნად იყო დაშორებული მართმადიდებლური ტაძრებისაგან, კათოლიკეებს ეკლესიის აშენების ნება დართო.[297] ქალაქის მმართველობის მოხსენებაში ნაკვეთის საზღვრებად დასახელებულია ტფილისის, გიორგის და კომაროვსკის (დღევანდელი ბარათაშვილის, ჭავჭავაძისა და ზუბალაშვილის) ქუჩები.[298]

ბათუმის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებული ბიუროკრატია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთის იმპერიის ერთადერთი სახელწიფო საეკლესიო ორგანიზაციის - მართმადიდებლური ეკლესიის გვერდით სხვა, თუნდაც ასევე ქრისტიანული რელიგიური

---

295. აარმსდ-სს, ფონდი ი-82, აღწერა 1, საქმე №11, ფ. 55.

296. *რელიგიური დაწესებულებები აჭარაში, დოკუმენტების კრებული* (ბათუმი: ალიონი, 2010), 48, 55.

297. აარმსდ-სს, ფონდი ი-82, აღწერა №1, საქმე №11, ფ. 68.

298 . ბათუმის გეგმაზე, რომელიც ერთვის გრ. მოსკვიჩის 1902 წლის გზამკვლევს, კათოლიკური ეკლესიის ტერიტორია არასწორად არის ნაჩვენები მეზობელ კვარტალში, რკინიგზის სადგურთან უფრო ახლოს იხ.: Григорий Москвич, *Иллюстрированный практический путеводитель по Кавказу* (Одесса: типография Л. Нитче, 1902), გეგმა გვ. 448-სთან.

წარმომადგენლობა ადგილს ადვილად ვერ დაიმკვიდრებდა.[299] მართლმადიდებლობა მხოლოდ იმპერიის გამაერთიანებელი რელიგია როდი იყო. ის მის იდენტობასაც განსაზღვრავდა და ნებისმიერი სხვა რელიგია ამ იდენტობისათვის პოტენციურ საფრთხედ განიხილებოდა.[300] ყველა სხვა იმპერიის მსგავსად, რუსეთიც მულტიეთნიკური და მრავალკონფესიური ქვეყანა იყო, ამიტომ მას დროდადრო რელიგიისადმი საკუთარი დამოკიდებულების გადახედვა უწევდა. არათანაბარი სიმკაცრის დეკრეტების გამოქვეყნებებს შორის ყოველთვის რჩებოდა საკმარისი სამოქმედო სივრცე სხვადასხვა აღმსარებლობის საკულტო ნაგებობების ასაგებად, თუმცა იმპერია ამ თვალსაზრისით ყოველთვის დიდი სიფრთხილეს იჩენდა. მაგალითად, ბევრი რამ იყო დამოკიდებული მრევლის მთავრობასთან შუამავლის რეპუტაციაზე. ბათუმის ეკლესიის შემთხვევაში უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთის, იტალიისა და ავსტრია-უნგრეთის კონსულთა მაღალ საერთაშორისო სტატუსს. ეკლესიის აშენების აუცილებლობას ქალაქის მომრავლებული ევროპელი მოსახლეობაც განაპირობებდა.

ნებართვის მიღების შემდეგ ა. მღებრიშვილი ენერგიულად შეუდგა ეკლესიის შენებას. მშენებლობის პროცესის სურათის თითქმის სრულად აღდგენის საშუალებას იძლევა როგორც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მ. თამარაშვილის პირადი არქივი, რომელიც ა. მღებრიშვილისა და მ. თამარაშვილის მიმოწერას შეიცავს, ისე თანამედროვეთა პუბლიკაციები (პირველ რიგში ზ. ჭიჭინაძისა და კ. გვარამაძის ნაწერები).

---

299 . იმდროინდელი რეგულაციებით, კავკასიის მართლმადიდებლური სასულიერო ხელმძღვანელობის თანხმობა სხვა რელიგიური სამლოცველოების ასაშენებლად აუცილებელი იყო. მაგალითად, სინოდალურმა კანტორამ თბილისის კუკიის კათოლიკურ სასაფლაოზე სამლოცველოს მშენებლობის ნებართვა მხოლოდ მას შემდეგ გასცა, როცა დარწმუნდა, რომ ის კათოლიკეთა სარგებლობისთვის განკუთვნილი ერთადერთი სამლოცველო იქნებოდა. იხ.: ნათია ნაცვლიშვილი, ,,კათოლიკეთა აღმშენებლობა თბილისში", წიგნში: *არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918)*, რედ. დ. ხოშტარია (თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი, 2016), 183-184.

300. Grigor Roland Suny, ,,Nationalities in the Russian Empire", *Russian Review* 59, no. 4 (October, 2000): 491.

ა. მღებრიშვილი ეკლესიის მშენებლობის ყველა ეტაპზე საქმის კურსში აყენებდა იმ დროისთვის რომში მცხოვრებ მ. თამარაშვილს. პირველი წერილი ბათუმიდან 1897 წლის 12 ივლისს არის გაგზავნილი და ის ეკლესიის გეგმის პეტერბურგში გაგზავნის ამბავს იუწყება:

ახლა პლანი გაგზავნილი გვაქვს პეტერბურგში, რომ ხემწიფემ უნდა ხელი მოაწეროს. 7 მაისს წავიდა პლანი და ვგონებ ახლა მალე მოგვივა და როცა მივიღებ თუ არა, მაშინათვე ფუნდამენტს ჩავუყრი ეკკლესიას. ეკკლესიას ღვთისმშობლის შობის ტიტულაზედ ვაკეთებთ. ამისთვის, თუ მალე მივიღე პლანი, მე მინდა რომ მოსასვლელ სექტემბერს ვაკურთხო პირველი საფუძვლის ქვა.[301]

როგორც ჩანს, მშენებლობის დაწყების დროს ა. მღებრიშვილს ერთი კონკრეტული შემწე არ ჰყოლია და ფინანსურ პრობლემების წინაშეც იდგა. მან საჭირო თანხის მოსაძიებლად საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა, რაც იმ დროს საკმაოდ მიღებული პრაქტიკა იყო:

როცა საფუძველს ამოვიტანთ, მაშინათვე ევროპაში მინდა წამოვიდე, რომ ფული მოვაგროვო. ამისთვის აქ ერთი ფრანცუზის მღვდელი იყო, გზათ გამოიარა, და ამას ვაჩვენე ჩემი ეს ყველა საქმეები, კაპელა ძრიელ მოეწონა ... ამან მირჩია, რომ პირველად რომში მივიდე და ეკლლესისათვის ფულის მოსაკრეფად, რაიმე ქაღალდი და ნებართვა მივიღო, რადგან მატყუარები ბევრი დადიან ევროპაში ფულს კრეფავენ და ამისთვის დღეს ვეღარავის ენდობიან და აღარავის არ აძლევენ არაფერსაო და შენ როცა რომიდან ქაღალდი გექნება, მაშინ აღარაფრის სიძნელე აღარ გექნება და თვით ეპისკოპოზებიც დაგეხმარებიან, რომ ფული იშოვნო; მას შემდგომ გირჩევ რომ ამერიკაშიდ წახვიდე, რადგან იქ დიდი მდიდრები არიან და დიდ ძალს ფულს იშოვნიო.[302]

ქალაქში მეორე კათოლიკური ეკლესიის გაჩენას უარყოფითად შეხვდნენ სომეხი-კათოლიკეები. უკმაყოფილების მთავარი მიზეზი მრევლის

301. ანსელმ მღებრიშვილის წერილი მიხეილ თამარაშვილს, 1897, 12 ივლისი, საქმე №2640, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.
302. იქვე.

გაყოფა და შემოსავლის შემცირება უნდა ყოფილიყო. მათ მთავრობას საჩივრით მიმართეს და მშენებლობის ნებართვის გაუქმება მოითხოვეს:

სომხებმაც დიდი შეწუხება მომაყენეს. როცა გაიგეს, რომ კონსოლების ხელით თხოვნა გაიგზავნა მთავრობასთან ლათინის ეკკლესიის აშენებისა, მაშინათვე დაფაცურდნენ და დიდად ეცადნენ რომ ამ საქმისთვის რაიმე დაბრკოლება მიეცათ, საშინელი დანოსები (ტყვილი საჩვრები) მისცეს ჩემზედ მთავრობას, როგორც თუ მე მოღალატე ვყოფილიყო მთავრობისა და ბუნტავშიკი, როგორც თუ მე ვპატრიოტობ. მე ხალხი შემეცდინოს და პარტიებად გამეყოს; როგორც თუ მარტო მე მდომებოდეს ბათუმში კიდევ სხვა ახალი ეკკლესიის გაღება, ასე რომ, ერთი ეკკლესია დიდიხანია არ არის ავაშენეთო, სწერდნენ ბათუმში ქვითკირისაო, სადაც ლათინებიც ასრულებდნენ თავიანთ წირვას და ჩვენ სომხებიცაო, ესეც დიდია ბათუმისთვის, ამის შენახვაც უჭირს ხალხს, რადგან ცოტაა კათოლიკობა და მეორე ეკკლესია რასაჭიროა ბათუმშიო; ხალხიც წინააღმდეგია მეორე ეკკლესიის აშენებაზედ, მხოლოდ მარტო ეს ვიღაც მღვდელი მოსულა ბათუმში მღებროვი, ეს ცდილობს და ამას უნდა რომ ისარგებლოს და მეორე ეკკლესია გააკეთოსო და საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს მთავრობამ და სხვაცა მრავალი სიცრუე.[303]

ეკლესიის გეგმის დამტკიცების პროცესმა თითქმის ერთი წელი გასტანა. მშენებლობა 1898 წლის აპრილში დაიწყო.[304] საძირკვლის ამოსაყვანი ფული ბათუმის კათოლიკურმა მრევლმა შეაგროვა. მშენებლობის გასაგრძელებლად სულ ცოტა 80 000 მანეთი იყო საჭირო. ა. მღებრიშვილმა დაფინანსებისთვის კონსტანტინე ზუბალაშვილს მიმართა.[305] ის მღვდელს დახმარებას დაჰპირდა, რის შემდეგაც ეკლესიის მშენებლობის საქმე თითქის შეუფერხებლად წარიმართა. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ნაგებობის დასრულებას ბევრი არაფერი უკლდა:

---

303. იქვე.

304. *ცნობის ფურცელი*, ბათომი, კათოლიკეთა ახალი ეკკლესია, 1898, 5 აპრილი, №500, 2.

305 . ა. მღებრიშვილის მსგავსად ეკლესიის აშენებით ძალიან იყო დაინტერესებული ადგილობრივი კათოლიკე კომერსანტი ნიკოლოზ საბაშვილი. სწორედ მისი თანხლებით ესტუმრა პატრი კონსტანტინე ზუბალაშვილს. იხ.: მანანა შამილიშვილი, ,,ბათუმის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის ისტორიიდან", *ჭოროხი* 2 (1988): 81-82; გოდერძი ტოტოჩავა, ,,ხსოვნა გულისა", *ჯვარი ვაზისა* 1 (1988), 31-33.

ეკკლესია მშვენივრად მიდის, მთელი ქვეყანა გააკვირვა ამ საქმემ, მთელს ბათუმშიდ დღეს ესღაა სალაპარაკოდ. ქვეყანა მოდის სანახავად, გუშინაც მწვალებელი (მონოფიზიტი - ნ. ნ.) სომხების მღვდელი მოსულიყო და შენობის ზედ წვერზედ ასულიყო და ისე ათვარიელებდა. ნამდვილი დიდი სასწაული გვიყო ჩვენ ეს ლურდის ღვთის-მშობელმა. აგერ ამ მაისის დამლევს სახურავზედ მივალთ, ასე რომ ღვთის შეწევნით ამ ზაფხულს დახურვას და გარედგან შელესვას მოვრჩებით, ზამთარშიდაც შიგნიდგან მოვაწყობთ და იმედი მაქვს ღვთისაგან მეორე მაისში კიდევაც ვაკურთხებთ. ჯერ დღევანდლამდისინ 55000 ორმოცდა თხუთმეტი ათასი მანეთია დახარჯული, აი ღმერთი ასე გვეწევა! თუ ღმერთი შემეწია, მთავარს საკურთხეველი ,,ონიქსი" რომელიც ერთნაირ მარმარილოს ქვასავით არის, ამისი უნდა გავაკეთებინო, რომელიც ვიდრე 7000 მანეთამდისინ ჯდება. ეს ,,ონიქსი" ქვა აქ ახალციხისაკენ აღმოაჩინეს, და ამით მინდა ვისარგებლო იმედი მაქვს ამის შემდეგ კიდევ უფრო კაი ამბებს მოგწერ ... ერთის სიტყვით თუ ღმერთმა მომასწრო, იმისთანა ეკლესია გვექმნება ბათუმში, რომ ჯერ მთელს კავკასიაში არ ყოფილა...[306]

ა. მღებრიშვილმა თანხა არ დაინანა და ხატები, ქანდაკებები, შესამოსელი და ლიტურგიისათვის საჭირო ყველა ნივთი იტალიასა და საფრანგეთში შეუკვეთა. დიდი ზომის, ფაქიზი ძეგლები ხშირად შორეულ მოგზაურობას ვერ უძლებდა და დანიშნულების ადგილამდე დაზიანებული სახით აღწევდა, რაც ბუნებრივია პატრი ანსელმის გულისწყრომას იწვევდა. თავის ერთ-ერთ წერილში ის მ. თამარაშვილს შესჩივის:

თქვენო ღირსებაო მამაო მიხეილ! ქრისტე აღსდგა! ... მე რომ წერილი მოგწერე ძეგლების მიუღებლობისა, ერთი კვირის უკან მივიღე ძეგლები, მაგრამ უნდა გითხრათ რომ ძრიელ ბრაკეულად ჩაუწყვიათ. ამოდონ იაშიკებშიდ განა ვერ მოახერხეს ამაზედ უკეთესად ჩადება? საგანგებოდ რამე მიმაქვს მაქედგან,

306. ანსელმ მღებრიშვილის წერილი მიხეილ თამარაშვილს, 1899, 11 მაისი, საქმე №2662, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი. (ამავე წერილში ვკითხულობთ: ,,შესამოსები მივატანვინე ძვირფასი პარიჟიდგან, სულ თვლებით არის მოქარგული და ოქრომკერდით. ... 260 მანეთი ბაჟი გადამახდევინეს, კიდევ მომივა ძვირფასი შესამოსები. ჯერ 4000 მანეთის ეკჭკლესიის სამკაული მაქვს მომზადებული. ესე იგი შესამოსები და სხვა ძვირფას-ჯვარი გზის ხატები დავიბარე პარიჟიდგან ვგონებ 1000 მანეთამდე დამიჯდეს).

ამოდონა ფული დამიჯდა, ესე იგი 410 მანეთი დამეხარჯა მე ამ ძეგლებშიდ დამიჟნითა და გზის ხარჯით და ძეგლები კი დანსხვრეული და გაოხრებული ამოვიღე იაშიკიდგან, ისე რომ კინაღამ გულ შემომეყარა.[307]

შემდგომი წერილიდან, რომელიც 1899 წლის 18-30 ნოემბერს არის დაწერილი, ვიგებთ, რომ პატრი ალფონს ხითარიშვილი მიემგზავრება რომში და ა. მღებრიშვილი სთხოვს მ. თამარაშვილს გამონახოს მხატვრები და მოქანდაკეები, რომლებიც შეძლებენ ბათუმში ჩამოსვლას და ეკლესიის გაფორმებას. ის მ. თამარაშვილს სწერს მხატვრები ბათუმის ძლიერი ნესტის შესახებ გააფრთხილოს, რათა მათ ნამუშევრები ისეთი მასალით დაამზადონ, რომ მალე არ გაფუჭდეს. მ. თამარაშვილის პასუხი უცნობია, თუმცა პატრის მომდევნო წერილით უნდა ვივარაუდოთ, რომ მან ბათუმში ჩამოსვლაზე ვერავინ დაითანხმა და ა. მღებრიშვილს შესთავაზა, ოსტატები ბათუმში ჩამოუსვლელად დაამზადებენ ხატებსა და ქანდაკებებო, რაზეც პასუხი ასეთია:

თქვენი ბოლო წერილი მივიღე, ცოტა დავაგვიანე ეს პასუხი, მისთვის, რადგან არხიტექტორი ქალაქში (თბილისში - ნ. ნ.) ცხოვრობს და როცა საჭიროა მოგვყავს და იმას ვუცდიდი, რომ მოგველაპარაკნა მასთან ამ საქმეზედ. ახლა შესახებ ეკლესიის მხატვრობისა, მაგნაირად როგორც თქვენ იწერებით არ შეიძლება უთუოდ აქ უნდა მოვიდეს ოსტატი და თვალით ნახოს შენობა და მაშინ ყოველივეს გაიგებს. რაკი ასეა ჯერ ჯერობოთ ჩვენ მაინც შიგნიდან შტუკატურ, ესე იგი ვლესამთ და მერმე ვნახოთ. აქაც გამოჩნდა კარგი ოსტატი მხატვარი იტალიელი, და თუ ამასთან გავარიგეთ საქმე ხომ კარგი და თუ არა, მაშინ მოგწერთ ყველაფერს რაც უნდა ვქმნათ.[308]

---

307. ანსელმ მღებრიშვილის წერილი მიხეილ თამარაშვილს, 1899, 22 აპრილი-3 მაისი, საქმე №2649, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

308. ანსელმ მღებრიშვილის წერილი მიხეილ თამარაშვილს, 1900, 20 იანვარი - 1 თებერვალი, საქმე №2655, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

1900 წლის 25 სექტემბრით დათარიღებული წერილიდან ვიგებთ, რომ ეკლესიაში იატაკი და ტრაპეზიღა დარჩა გასაკეთებელი.[309] იმავე წლის 10 ოქტომბრის წერილში ა. მღებრიშვილი დიდად სწუხს შექმნილი ფინანსური მდგომარეობის გამო. ზუბალაშვილები ევროპაში არიან და დროულად ვერ ეხმარებიან მას. ის ყოველ შაბათს ემალებოდა არქიტექტორს რადგან არ იცოდა რითი გადაეხადა ხელობის ფული.[310] საინტერესოა, რომ თავის არცერთ წერილში ა. მღებრიშვილი ეკლესიის პროექტის ავტორს არ ასახელებს. ის მხოლოდ ერთგან აღნიშნავს ,,არქიტექტორი ქალაქში სცხოვრობს და როცა საჭიროა მოგვყავს"-ო.[311] ქალაქში, ცხადია, ის თბილისს გულისხმობს. არქიტექტორზე დამატებით, თუმცა არაზუსტ ინფორმაციას გვაწვდის გაზეთი ,,ივერია". კონსტანტინე ზუბალაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სტატია მოკლედ მიმოიხილავს ბათუმელ კათოლიკეთა ისტორიას და ახალი ეკლესიის მშენებლობასაც ეხება: ,,...კონსულების შუამდგომლობით მთავრობისაგან ნებართვა გამოუთხოვნიათ, რომ ახალი რომის კათოლიკეთა ეკკლესია აეგოთ იმ გეგმით, რომელიც ცნობილმა ხუროთმოძღვარმა ბ-ნმა ბაგუისკიმ შეადგინა ...".[312] ზემოთ მოტანილი ცნობების შეჯერებით გამოდის, რომ ბათუმის ეკლესიის პროექტის ავტორი თბილისში მომუშავე არქიტექტორი ბოგუისკია, თანაც ცნობილი. რადგან ასეთი გვარის არქიტექტორი არათუ თბილისში, არამედ ზოგადად საქართველოში უცნობია, ვვარაუდობ, რომ სტატიის ავტორს გვარი შეცდომით მოაქვს და სინამდვილეში ეს არქიტექტორი ალექსანდრ როგოისკი უნდა იყოს.[313] არაერთი გამორჩეული შენობის ავტორი ა.

---

309. იქვე, ანსელმ მღებრიშვილის წერილი მიხეილ თამარაშვილს, 1900, 25 სექტემბერი, საქმე №2658, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

310. ანსელმ მღებრიშვილის წერილი მიხეილ თამარაშვილს, 1900, 1 ოქტომბერი, საქმე №2659, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

311. ანსელმ მღებრიშვილის წერილი მიხეილ თამარაშვილს, 1900, 20 იანვარი - 1 თებერვალი, საქმე №2655, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

312. *ივერია*, 1901, 25 აპრილი, №89, 3.

313. ასმათ ბაჯელიძე ბათუმის კათოლიკური ეკლესიის შესახებ სტატიაში წერს, რომ ეკლესიის არქიტექტორი მ. ზაგორსკია, თუმცა წყარო მითითებული არ აქვს. ასმათ

როგოისკი შემდგომშიც თანამშრომლობდა ქართველ კათოლიკეებთან. მაგალითად, მას ეკუთვნის თბილისის ღვთისმშობლის მიძინების პატრონიკეს 1902 წლის რეკონსტრუქციის პროექტი.

ბათუმის ეკლესიის მშენებლობა 1902 წელს დასრულდა. მის საკურთხებლად ბათუმს 1903 წლის 4 მაისს საგანგებოდ ეწვია ტირასპოლის ეპარქიის ეპისკოპოსი ედუარდ ბარონი დე როპი.[314]

ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის სახელზე ნაკურთხი ეკლესია ქალაქის მთავარ ღირსშესანიშნაობად იქცა (ილ. 92). თანამედროვეთა დიდი ნაწილი აღფრთოვანებას ვერ მალავდა მისი მასშტაბისა და არქიტექტურის გამო. ეპისკოპოსმა ეკლესიის კურთხევისას წარმოთქმული სიტყვის დროს ,,...უბედნიერესად დასახა იქაური მკვიდრნი, ქართველ-კათოლიკენი, რომელთა ბედათ ხვდათ უძვირფასესი სტილით აგებული ტაძარი...".[315] ამავე ცერემონიალზე ივანე გვარამაძეს საგანგებოდ აღუნიშნავს ეკლესიის ,,საუცხოვო მოყვანილება და სიმშვენიერე", რომელიც ,,საოცრათ უტკბობს ყოველ კაცს სულს-გულსა და თან რაღაცა უღრმესს მოწიწებულ კრძალვა-რიდს უნერგავს გულში",[316] ხოლო კონსტანტინე გვარამაძის თქმით ,,ეს ეკკლესია ერთად ერთი შენობაა, არამც კავკასიაში, აგრეთვე ბევრ რუსის სახელმწიფო კუთვნეებაშიაც კი იშვიათია სიშვენიერით"-ო.[317] თუმცა იყო განსხვავებული აზრიც. ძალიან საინტერესოა ზაქარია ჭიჭინაძის მერყევი დამოკიდებულება ეკლესიის არქიტექტურისადმი. თუ თავის ერთ ნაშრომში ის ბათუმის კათოლიკურ ეკლესიას ქალაქის თვალს უწოდებს, ხატოვნად აღწერს მის არქიტექტურას და საგანგებოდ აღნიშნავს შენობის გოთიკურ-რომაულ სტილს,[318] მეორეში მას ტლანქსა და მდარედ

ბაჯელიძე, ,,ბათუმის კათოლიკური ეკლესია", *ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმის მაცნე,* III, (ბათუმი, 2010), 33.

314. ეკლესიის კურთხევის ცერემონიის შესახებ ვრცლად იხ.: კონსტანტინე გვარამაძე, *ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა,* 10-12; *ცნობის ფურცელი,* 1903, 7 მაისი, №2144, 2.

315. კონსტანტინე გვარამაძე, *ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა,* 11.

316. იქვე, 12.

317. იქვე, 39. ეკლესიის მშვენიერებით მოხიბლულ სახალხო მელექსეს მისთვის ლექსიც კი მიუძღვნია. იხ.: ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში* (ტფილისი: სტამბა არ. ქუთათელაძისა, 1903), 136-137.

318. იქვე, 130-150.

შესრულებულს უწოდებს და უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებს ეკლესიის არაქართულ ხასიათს.[319] სულ რაღაც ერთ წელიწადში ზ. ჭიჭინაძის შენობისადმი დამოკიდებულების რადიკალური ცვლილება მასზე დახარჯულ დაახლოებით 240 000 მანეთს გამოუწვევია. ქართველ კათოლიკეთა ისტორიის მკვლევარი და გულშემატკივარი ზ. ჭიჭინაძე ძალიან კარგად იცნობდა სამცხელი კათოლიკეების პრობლემებს. უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებთ სოფლებში ეკლესიების მშენებლობის ხარჯები მძიმე ტვირთად აწვათ. ს. ზუბალაშვილისა და ა. მღებრიშვილის ხელგაშლილობა მათი გაჭირვებული მდგომარეობის ფონზე ზ. ჭიჭინაძემ ზედმეტ ფუფუნებად ჩათვალა და მკაცრად გაკიცხა ისინი: ,,ვიტყვით, რომ ბათუმში ანსელმოსაგან ასეთი შეცდომის დაშვება არას დროს არ ეპატიება და ვგონებთ მესხელ-ჯავახელთ ქართველ კათოლიკეთა სიღარიბის ცნობებმა თვით საფლავშიაც-კი არ მოასვენოს.”[320]

1898-1902 წლებში აშენებული ბათუმის კათოლიკური ეკლესია თავისი ეპოქის ერთ-ერთ გამორჩეულ ნაგებობათაგანია. ეს არის ნეოგოთიკური სტილის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და უდაოდ ყველაზე იმპოზანტური შენობა საქართველოში. ის გამორჩეულია ტექნიკური ინოვაციების თვალსაზრისითაც - საქართველოში ეს იყო პირველი საკულტო შენობა, რომელშიც რკინაბეტონის კონსტრუქციები და ელექტრონული სანთლები გამოიყენეს.[321]

მაღალ ცოკოლზე აღმართული, დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული ეკლესია ხუთწახნაგა შვერილი აფსიდის მქონე სამნავიანი ბაზილიკაა (ილ. 93). აღმოსავლეთით საკურთხევლის ორსავე მხარეს, მთავარი ნავისა და ტრანსეპტის კვეთაზე, ერთსართულიანი კვადრატული

---

319. ზაქარია ჭიჭინაძე, *ქართველ კათოლიკეთ მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები* (ტფილისი: მსწრაფლ-მბეჭდავი არ. ქუთათელაძისა, 1904), 84.
320. იქვე.
321. კონსტანტინე გვარამაძე, *ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა*, 39; ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 140, 147; რკინაბეტონის გამოყენებით აგებული საკულტო შენობების შესახებ საქართველოში იხ.: გიორგი ჭანიშვილი, ,,თბილისის სატაძრო ნაგებობა რკინაბეტონის გუმბათით - აშკენაზების სინაგოგა”, *საქართველოს სიძველენი* 19 (2016): 215-230.

ოთახები - საკრისტიებია განთავსებული. დასავლეთი ფასადი ორი მაღალი სამრეკლო-კოშკით არის ფლანკირებული.

ინტერიერს ჯვრული გეგმის ხუთი წყვილი ბურჯი ანაწევრებს (ილ. 94). სამივე ნავი ნერვიურებიანი ჯვრული კამარებით არის გადახურული. გვერდით ნავებთან შედარებით მაღალი და ფართო შუა ნავისა და ტრანსეპტის გადაკვეთაზე ბრტყელი უყელო ლამბაქისებრი გუმბათია გამოყვანილი. დასავლეთი ვესტიბიულის პირველი სართული მთავარი ნავის სივრცეში მარმარილოს ორ სვეტზე გადაყვანილი სამთაღედით იხსნება (ილ. 95). მის თავზე დაბალი რიკულებიანი მოაჯირით მოსაზღვრული ზედა გალერეა (პატრონიკე) არის გამართული. შუქი ინტერიერში უხვად შემოდის. გვერდით ნავებში სამ-სამი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი; თითო თითქმის მთელი კედლის მომცველი ვიტრაჟი არის ტრანსეპტის ბოლოებში და დასავლეთი კედლის მეორე იარუსზე; თითო ღიობი მთავარი ნავის გრძივი კედლების აღმოსავლეთ მონაკვეთებშია მოწყობილი; შეწყვილებული მართკუთხა სარკმლები გაჭრილია დასავლეთი კედლის კიდეებში (ინტერიერში ისინი გვერდით ნავებს ანათებს) და საკურთხევლის აქეთ-იქით მდებარე ოთახების სამხრეთ (სამხრეთისაში) და ჩრდილოეთ (ჩრდილოეთისაში) კედლებში. უშუალოდ საკურთხეველს გვერდით წახნაგებში გაჭრილი ოთხი სარკმელი ანათებს. შუა წახნაგი ყრუა. ეკლესიაში შესასვლელ ნახევარწრიულთაღოვან კარს დასავლეთი ფასადის ცენტრი უკავია.

ინტერიერის გასაფორმებლად სხვადასხვა მასალაა გამოყენებული. იატაკი მოზაიკური ხსნარით არის მოგებული. მასზე თეთრი, შავი და სხვადასხვა ტონალობის წითელითა და რუხი გეომეტრიული ფიგურებია გამოყვანილი. ბურჯებისა და პილასტრების ბაზისები მოპირკეთებულია ნაცრისფერი მარმარილოს პანოებით. ბაზისისა და ტანის ერთმანეთისგან გამიჯვნა თეთრი მარმარილოს პროფილირებული სარტყლით ხდება.

ინტერიერში კედლებს მხატვრობა ფარავს. ბურჯებზე, პილასტრებზე, თაღებზე, კამარებსა და მათ ნერვიურებზე მცენარეული ორნამენტია

დატანილი (ილ. 96). ფერთა პალიტრაში გვხვდება სხვადასხვა ტონის ოქრა, ვარდისფერი, მწვანე, იისფერი, ლურჯი და მეწამული. მთავარი ნავის სივრცეში თაღების თავზე გამოსახულია ძველი აღთქმის სცენები: ჩრდილოეთ კედელზე (დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ) - მოსეს მიერ კლდის გაპობის სასწაული, მელქისედეკისა და აბრაამის შეხვედრა, მრავალვნებული იობი და მისი მეგობრები (ილ. 97).[322] სამხრეთ კედელზე (აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ) - ადამისა და ევას სამოთხიდან განდევნა, აბრაამის მსხვერპლშეწირვა, ძმების მიერ იოსების გაყიდვა.

ტრანსეპტში ახალი აღთქმის სცენები ხატია. ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ კედელზე მარცხენა სცენა დაზიანების გამო არ იკითხება, ხოლო მარჯვნივ იესო ქრისტესა და პეტრე მოციქულის წყალზე გავლაა გამოსახული. აღმოსავლეთ კედელზე წარმოდგენილია გარდამოხსნა და ურწმუნო თომას მიერ გვერდის განხილვა. სამხრეთი მკლავის დასავლეთ კედელზე ხატია მაცხოვრის გამოცხადება მოწაფეების წინაშე და უფლის აღდგომა, ხოლო აღმოსავლეთ კედელზე - საიდუმლო სერობა და ლოცვა გეთსიმანიის ბაღში.

საკურთხეველი წმ. სამების მიერ ღვთისმშობლის კორონაციის სცენას უკავია, ხოლო ტრანსეპტისა და ნავის კვეთაზე განთავსებული გუმბათის აფრებში მახარებლებია გამოსახული სიმბოლოებითურთ. ცალკეულ წმინდანთა პორტრეტები სარკმლების თავზე გამოყვანილ და პილასტრების დეკორში ჩართულ მედალიონებშია მოცემული. ისინი მოზაიკის იმიტაციის ფონზე არიან დახატულნი.

ბათუმის კათოლიკური ეკლესიის მხატვრობა ცალკე საგანგებო კვლევის საგანია, მაგრამ წინასწარი შეფასებით შეიძლება ითქვას, რომ მასზე რამდენიმე ოსტატი მუშაობდა. შესრულების მანერით ერთმანეთისგან მკვეთრად სხვაობს სიუჟეტური სცენები და

322 . იობის გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ ესმათ მის მეგობრებს - ელიფას, თემანელთა მეფეს, ბალდას, საფქელთა მთავარს და სოფარს, მინეველთა მეფეს, რომლებიც მის მოსანახულებლად გაემგზავრნენ და ის სრულიად განძარცვული და მშიერი იპოვეს (იობი. 2,11).

არქიტექტურული დეტალების მამკობი დეკორატიული მოტივები, თუმცა ყველა სცენაც არ უნდა იყოს ერთი მხატვრის დახატული.

ნეოგოთიკური სტილი მთელი სისრულით ეკლესიის ექსტერიერში ვლინდება.[323] მთავარი ფასადი დასავლეთისაა. მის ცენტრში გაჭრილი შესასვლელის წინ მოწყობილია წითელი ქვით მოპირკეთებული, ვიმპერგით დასრულებული კარიბჭე, რომლისკენაც სამწახნაგოვანი პარადული კიბე მიემართება. ეკლესიის კედლების ძირითადი სიბრტყე შელესილია და ქვიშისფრად არის შეღებილი (ილ. 98). ნალესობაზე ქვის კვადრების იმიტაციაა დატანილი. შემაღლებულ ცოკოლს, რომლის ფარგლებში შენობის მთელ პერიმეტრზე კრიპტაა მოწყობილი, ასევე ნალესობით გამოყვანილი რუსტირების იმიტაცია ფარავს.[324] ფასადზე გამოყვანილი ყველა დეკორატიული ელემენტი წითელი ქვისაა. საკურთხევლის პოლიგონალის წიბოებს, შენობის კედლების კუთხეებსა და შუაკედლისებს კონტრფორსები აუყვება. შუა წელზე ცოტა ზემოთ ისინი იკეთებს საფეხურებს, რომლებიც პროფილირებული კაპიტელებითა და დაცერობებული სახურავებით არის მონიშნული. სარკმლებს საჭექი ქვებით აღნიშნული თავსართები ამკობს. ტრანსეპტის სარკმლებს დამატებით ევლება ნალესობაში გამოყვანილი მცენარეული ორნამენტით გაფორმებული საპირეები, რომელთაც თავის მხრივ წითელი ქვის პროფილირებული მოჩარჩოებები შემოწერს. ასეთივე მცენარეული ორნამენტი გაუყვება გვერდითი ნავების კარნიზებს. შეწყვილებულ

---

323 . ეკლესიის ფასადების გაფორმებას სერაფიმე პოლოლიკაშვილის მიაწერენ. ი. ჯავახიშვილი თავის საგაზეთო სტატიაში წერს, რომ მოქანდაკემ ეკლესიაზე ბათუმში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ, ანუ 1917 წელს იმუშავა. იხ.: ი. ჯავახიშვილი, ,,ქუთაისი - რუსთაველის ქანდაკების სამშობლო", *ქუთაისი*, 1966, 4 სექტემბერი, №173, 3.
ნაგებობის ექსტერიერი მართლაც შეიძლება იყოს ს. პოლოლიკაშვილის მიერ გაფორმებული. ა. მღებრიშვილმა თბილისში მცხოვრები არქიტექტორი დაიქირავა და ცხადია მას არც ქუთაისიდან გაუჭირებოდა მოქანდაკის მოწვევა. უბრალოდ ეს ნაგებობის კურთხევამდე, ანუ 1903 წლამდე მოხდებოდა და არა 1917 წლის შემდეგ.

324. 1899 წელს გაზეთ ,,ცნობის ფურცლის" კორესპონდენტი ნიკოლოზ ბერიძე წერდა: ,,ამ ეკკლესიას გაკეთებული აქვს აკლდამები, რომელსაც შეძლებული ფრანგები ამ თავითვე ყიდულობენ (აზანიატებენ) ამ აკლდამებს თავიანთ მიცვალებულთათვის, რომლის სასყიდლად რამოდენიმე ათას მანეთებს იძლევიან". გურულ-მეგრელი, *ცნობის ფურცელი*, 1899, 29 სექტემბერი, №927, 1-2.

მართკუთხა სარკმლებს ერთმანეთისგან ვიწრო შუაკედლისი და ზედ მიდგმული ნახევარსვეტი ყოფს, ხოლო ზემოდან მართკუთხა გადანაკეცებიანი თავსართი შემოწერს. კოშკებზე და ტრანსეპტისა და შუა ნავის გრძივ კედლებზე ზედა მონაკვეთები (კარნიზის ქვეშ) დაბალ სვეტებზე გადაყვანილი თაღნარითა და მათ თავზე ტრიგლიფებისა და მეტოპების მოტივით შთაგონებული დეკორით არის შემკული.

დასავლეთი ფასადის ორი დიდი კოშკი, რომლებსაც შენობის საერთო მხატვრული სახის შექმნაში გადამწყვეტი როლი აქვთ, სამრეკლოების ფუნქციას ასრულებდა. სამრეკლოებში შესასვლელი კარები გრძივი კედლების დასავლეთ მონაკვეთებზე მიდგმული კარიბჭეების ფარგლებშია მოწყობილი. ვიმპერგით დასრულებულ კარიბჭეებს ბეტონის სხმული კიბეები მიემართება. სამრეკლოს ფანჩატურები ოთხი მხრიდან ორთაღედებით არის გახსნილი. კოშკების ზედა ნაწილებს კბილანებიანი კარნიზის ქვეშ კრონშტაინებზე გადაყვანილი თაღედი აფორმებს. კარნიზის კუთხეებზე დელფინის სკულპტურის სახის ლითონის წყალსადენი მილებია განთავსებული. ორსავე კოშკს, ტრანსეპტის მკლავებსა და საკურთხევლის უკანა კედელს პარაპეტები ასრულებს. ისინი ცენტრისკენ მზარდი ვერტიკალური ბოძებისა და მათთან შედარებით დაბალი მართკუთხა მოცულობების მონაცვლეობით არის შედგენილი. ტრანსეპტისა და ნავის კვეთაზე ლითონის მცირე ზომის გამჭოლი კოშკი დგას.

დასავლეთი კარიბჭეების მსგავსი კიბე და, შესაბამისად, დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს სამხრეთ საკრისტიას (ილ. 99). მის აღმოსავლეთ კედელზე მიდგმული კიბე დამატებით გადახურულია ლითონის დეკორატიულად დამუშავებულ სვეტებზე დამაგრებული მხრუდხაზოვანი სახურავით. მის წინა პირს ფოთლოვანი ორნამენტით გაფორმებული ლითონის აჟურული ფარდა გაუყვება.

ეკლესიას თუნუქის ვერცხლისფერი ქერცლოვანი საბურველი აქვს. ნეოგოთიკური სტილი წვრილმან დეტალებშიც არის გათვალისწინებული, როგორიცაა მაგალითად, სახურავის პინაკლებით დაბოლოვებული

სამყურა და კრიპტის ოთხყურა სავენტილაციო ხვრელები, ბეტონის კიბეების ასეთივე ფორმის ყვავილებისგან შედგენილი მოაჯირები და ქანდაკებების განსათავსებელი ნიშების ვიმპერგიანი ბალდახინები. ასეთი ნიშა სულ სამია - ორი დასავლეთით, სადაც წმ. ანდრია პირველწოდებულისა და წმ. ნინოს თეთრი ქვის ქანდაკებები იდგა (დღეს ისინი ბრინჯაოს ქანდაკებებით არის შეცვლილი) და ერთიც აფსიდის შუა წახნაგზე.

ეკლესიის სამშენებლო წარწერები ლათინურ და ქართულ ენებზეა შესრულებული. ლათინური წარწერა ტრანსეპტის სამხრეთ მკლავის აღმოსავლეთ კედელზე, ხოლო ქართულენოვანი წარწერა ჩრდილოეთი საკრისტიას აღმოსავლეთ კედელზეა განთავსებული. მასში ვკითხულობთ:

ტაძარი ესე ყოვლად-წმიდა ღვთის-მშობელი მარიამისა თვისის ზღუდი-თურთ აღვაგე მე სტეფანე კონსტანდინეს ძე ზუბალაშვილმა საცხოვნებლად სულისა ჩემისა.

ძნელი სათქმელია თუ ვისი გემოვნებით შეირჩა ეკლესიისთვის ნეოგოთიკური სტილი. ის ქალაქის მულტიკულტურულ გარემოსაც ეპასუხებოდა და იმდროინდელი კათოლიკური არქიტექტურის მსოფლიო ტენდენციებსაც. შესაბამისად, ის ალბათ მრევლის გემოვნებასაც აკმაყოფილებდა - მის დიდ ნაწილს ხომ სწორედ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული კათოლიკები შეადგენდნენ. ჯვაროვანი კამარები, დიდი ვიტრაჟები, ვიმპერგები, პინაკლები და სხვა სახასიათი ელემენტები ნეოგოთიკური ტაძრის ზოგად სახეს ქმნის. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არქიტექტორი სტილის პრინციპების დაცვაში თანმიმდევრული არ არის - მაგალითად, ფასადებზეც და ინტერიერშიც თაღები ნახევარწრიული მოხაზულობისაა, გოთიკისთვის ესოდენ დამახასიათებელი ისრული ფორმა არსად არის გამოყენებული.

გასაბჭოების შემდეგ ეკლესია დაიხურა. მასში სხვადასხვა დროს არქივი და მაღალი ძაბვის ლაბორატორია იყო განთავსებული. 1988 წელს

მასში კულტურის ცენტრი გაიხსნა.[325] 1989 წელს შენობა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას გადაეცა და დღეს ის ღვთისმშობლის შობის სახელობის კათედრალია.

ძველი ეკლესიის სანაცვლოდ ბათუმის მერიამ ადგილობრივ კათოლიკეებს მიწა გადასცა. მათ ახალი ეკლესია 2000 წელს სულიწმინდის სახელობაზე აკურთხეს.[326] სწორედ აქ დგას საბჭოთა პერიოდში დახურული ეკლესიიდან წამოღებული და მრევლის წევრების მიერ შენახული თაბაშირის პოლიქრომიული ქანდაკებები - ანგელოზები, ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ფიგურები, საშობაო ბაგა და პანოები, რომლებზეც ჯვრის გზის სცენებია გამოსახული (ილ. 100).

2.5. აფხაზეთი

აფხაზეთში კათოლიკე მოსახლეობა XIV საუკუნის დასაწყისიდან, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გენუელთა კოლონიების დაარსების შემდეგ გაჩნდა. აფხაზეთის ტერიტორიაზე შექმნილი შვიდი კოლონია ადმინისტრაციულად ექვემდებარებოდა ყირიმის ნახევარკუნძულზე მდებარე ქალაქ კაფას (ძველი ფეოდოსია), რომელიც შავ ზღვაზე გენუელთა მთავარი საყრდენი პუნქტი იყო.[327]

აფხაზეთის კოლონიებს შორის სტრატეგიული სავაჭრო მნიშვნელობით ქალაქი სოხუმი (ისტორიული სებასტოპოლი) გამოირჩეოდა. 1318 წელს აქ პირველი კათოლიკე ეპისკოპოსი - ბერნარ

---

325 . ეკლესიაში კულტურის სახლის გახსნასთან დაკავშირებით მოხატულობას კონსერვაცია ჩაუტარდა. სამუშაოებს რესტავრატორი ა. გოგოლაძე ხელმძღვანელობდა. ასმათ ბაჯელიძე, ,,ბათუმის კათოლიკური ეკლესია", 31.

326. ,,ბათუმის ეკლესიის ირგვლივ", *ომეგა*, 2001, ოქტომბერი, №10 (24), 124.

327 . ვრცლად გენუელთა კოლონიების შესახებ იხ.: Зураб Анчабадзе, *Из истории средневековой абхазий (VI-XVII вв.)* (Сухуми: Абхазское государственное издательство, 1959), 243-248; ელდარ მამისთვალაშვილი, *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (XV-XVI სს.)*, I (თბილისი: მერიდიანი, 2009), 452-468; Matteo Pugliese, ,,Genoa and Abkhazia: two centaries of relations (1280-1475) colonies, trade, war and slaves", https://www.academia.edu/11291871/Genoa_and_Abkhazia_two_centuries_of_relations_1280_-_1475_Colonies_trade_war_and_slaves

მორე დაინიშნა.[328] ის 1330 წელს წარმოშობით ინგლისელმა პეტრე გერალდმა შეცვალა: ,,ჩაბარებულია აგრეთვე სებასტოპოლის ეკლესია (ამ შემთხვევაში კათოლიკური მრევლი - ნ. ნ.), სადაც სახარების გასავრცელებლად ეპისკოპოსი პეტრე გერალდია დანიშნული".[329]

გერალდმა 1330 წელს თავის თანამემამულეს, კენტერბერის არქიეპისკოპოსს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღმოსავლეთის ქრისტიანების სავალალო მდგომარეობის აღწერასთან ერთად ცოტაოდენი რამ სოხუმში მცხოვრებ კათოლიკეებზეც არის ნათქვამი. წერილის მიხედვით ეპისკოპოსი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა:

არც ეკლესია და არც სახლი არ გამაჩნია თავის შესაფარებლად (და) არცერთი დინარი არა მაქვს გასაცემი ... კვირაობით, რომელიმე ღარიბი ქართველისაგან შეწირულებას ვიღებ.[330]

პეტრეს ცნობით, აფხაზეთის მთავარი (მამია I დადიანი - ნ. ნ.) მზად იყო მონაწილეობა მიეღო ჯვაროსნულ ლაშქრობაში და საჭიროების შემთხვევაში კათოლიკობის მიღებასაც დასთანხმდებოდა. მან კათოლიკეებს სოხუმში სასაფლაოსთვის მიწა გამოუყო. გაღიზიანებულ მართლმადიდებლებს სასაფლაო რამდენჯერმე დაურბევიათ:

...იმდენად გაიზარდა შფოთი, რომ კათოლიკე ლათინელთა მიერ სასაფლაოს შუაგულში ამართული ჯვარი ამოგლიჯეს და ასევე ლათინთა მიერ ამართული თუთხმეტი საფლავის ქვა დაამტვრიეს. ლათინელებმა ხელახლა აღმართეს ისინი.[331]

---

328. ვაჟა კიკნაძე, ,,საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან", *მნათობი* 9 (1982): 158.

329. ტექსტი ლათინურიდან თარგმნა ვ. კიკნაძემ. იხ.: ვაჟა კიკნაძე, ,,ლათინური წყარო XIV ს. საქართველოს შესახებ", *თბილისის უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 243 (თბილისი, 1983), 97; ლათინური ტექსტისთვის იხ.: Cœsar Baronius, *Annalles Ecclesiastici*, vol. 24 (1313-1333), (Barri-Ducis, Parisus, Friburgi HELV: Ex typis Consociationis Sancti Pauli, M DCCC LXXX), 462.

330. ვაჟა კიკნაძე, ,,ლათინური წყარო XIV ს. საქართველოს შესახებ", 102.

331. იქვე, 103.

პეტრე გერალდის წერილიდან ირკვევა, რომ ადგილობრივ კათოლიკურ თემში იტალიელებთან ერთად რამდენიმე ქართველიც შედიოდა.[332] მათ ჰქონდათ საკუთარი სასაფლაო, თუმცა არ გააჩნდათ ეკლესიის შენობა. აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე ზოგიერთ მკვლევარს ეჭვი შეაქვს სოხუმში კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრის არსებობაში.[333] ვფიქრობ, ასეთი დაშვება მცდარია. როგორც ჩანს, გერალდის დროს კათოლიკეებს სოხუმში საკათედრო ტაძარი მართლაც არ ჰქონდათ, რაც გასაკვირი არაა, ამ დროს საეპისკოპოსო მხოლოდ 12 წლის დაარსებულია, ადგილობრივი მრევლი კი მცირერიცხოვანი და ხელმოკლე. თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ კათედრამ ამის შემდეგ სულ ცოტა 130 წელი იარსება,[334] საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ტაძარი მოგვიანებით აშენდა. არსებობს ცნობა, რომ ასპრის მონეტები კათოლიკური კათედრალის ეზოში მოწყობილ ზარაფხანაში იჭრებოდა.[335]

XV-XVIII საუკუნეების ისტორიული წყაროები აფხაზეთში მცხოვრები კათოლიკეების შესახებ უკიდურესად მწირია. 1624 წელს პროპაგანდა ფიდემ შავიზღვისპირეთის ტერიტორიების გასაცნობად ოთხკაციანი მისია გამოგზავნა.[336] 1629 წლის 21 მაისს აფხაზეთში, ზღვისპირა ქალაქ სკისორნუმში ჩავიდა ამ მისიის წევრი დომინიკელი პატრი ჯოვანი და ლუკა: ,,21 მაისისას მოვედით ძველ ქალაქს სკისორნუმში (Schissornum), საცა მდინარე აუსი ჰყოფს აფხაზეთს სამეგრელოსაგან“.

---

332. მურმან პაპაშვილი, *საქართველო-რომის ურთიერთობა*, 95.
333. ელდარ მამისთვალაშვილი, *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია,* 454.
334. სოხუმის კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრის გაუქმების შესახებ მეცნიერთა აზრი ორად იყოფა. ნაწილი თვლის, რომ ეს 1454 წელს მოხდა და ამ ამბავს სებასტოპოლის საკონსულოს გაუქმებას უკავშირებს, ნაწილი კი კათედრის გაუქმებას 1475 წელს კაფას დაცემის შემდეგ ვარაუდობს. იხ.: მურმან პაპაშვილი, *საქართველო-რომის ურთიერთობა*, 94, შენიშვნა 44.
335. Matteo Pugliese, ,,Genoa and Abkhazia: two centaries of relations”, 20. https://www.academia.edu/11291871/Genoa_and_Abkhazia_two_centuries_of_relations_1280_-_1475_Colonies_trade_war_and_slaves
336. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 142-143.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ სკისორნუმი არის სოხუმი, ხოლო მდინარე აუსი - ბესლეთი.[337]

იოანემ აფხაზეთში 1 ივლისამდე დაჰყო. წერილში ის საკმაოდ დაწვრილებით აღწერს საკუთარ თავგადასავალს, თუმცა არაფერს ამბობს ადგილობრივ კათოლიკეებზე. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ შავიზღვისპირეთიდან გენულების წასვლას მალევე მოჰყვა იქ არსებული მცირერიცხოვანი კათოლიკური თემის გაქრობა. ზოგადად, ქრისტიანობის მდგომარეობა აფხაზეთში მძიმე იყო. XVI საუკუნიდან მკვეთრად შემცირდა მოქმედი ეკლესიებისა და მღვდლების რაოდენობა. 1568 წლის შემდგომ აფხაზეთის კათალიკოსმა ევდემონ I ჩხეტიძემ თავისი კათედრა ბიჭვინთიდან გელათში გადაიტანა. რეგიონში ქრისტიანული წეს-ჩვეულებების თანდათანობით მოშლას არაერთი მოგზაური და მისიონერი აღნიშნავს.[338]

1634-1639 წლებში აფხაზეთში კათალიკოს მალაქია გურიელს თან ახლდა კრისტოფორო კასტელი.[339] ამ მოგზაურობის შედეგად გაკეთებული ჩანაწერები და ჩანახატები საინტერესო ცნობებს იძლევა აფხაზეთში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების მცდელობის შესახებ. მაგალითად, კასტელის ერთ-ერთი გრაფიკული ნახატი სოხუმში კათოლიკე მისიონერის ქადაგებას ასახავს.[340]

---

337 . კობა ოკუჯავა, ,,თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია XVII საუკუნეში", წიგნში: *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე,* რედ-ები ჯემალ გამახარია, თამაზ ბერაძე და თეიმურაზ გვანცელაძე (თბილისი: ინტელექტი 2007), 166.

338 . XVII საუკუნის აფხაზეთში რელიგიური მდგომარეობის შესახებ იხ.: *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 785; არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა* (თბილისი: მთაწმინდა, 2011), 5, 166; ევლია ჩელები, *მოგზაურობის წიგნი*, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I (თბილისი: მეცნიერება, 1971), 106.

339 . ბაბილინა ლომინაძე, *ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან სენიორიები,* I (თბილისი: მეცნიერება, 1966), 200.

340. დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ (თბილისი: მეცნიერება, 1977), 148. ტაბ. 338.

კასტელის ცნობით, აფხაზეთის მთავარს თეატინელებისთვის ორი ეკლესია უბოძებია. ერთი მათგანი, რომელსაც კასტელი წმ. ანდრია მოციქულის სახელობის ეკლესიად იხსენიებს, ბიჭვინტის საკათედრო ტაძარია:[341]

როგორც ამბობენ, ეს მდიდარი და უძველესი ეკლესია აშენებულია წმინდა ანდრია მოციქულის მიერ ... ზემოაღნიშნული ეკლესია უდიდესმა მთავარმა გადმომცა, რათა მისიონერებს ერთობლივად მოგვევლო. ამ ეკლესიაში თაყვანისცემა აღარაა ან, უკეთ რომ ვთქვათ, მიტოვებული იყო კულტის ნაკლოვანებების გამო. იქ მხოლოდ ძველი ჯვ[არია] შემონახული.[342]

მოტანილი ტექსტი განმარტების სახით ერთვის გრაფიკულ ნახატს, რომელზეც ეკლესია შეკეთების პროცესშია ნაჩვენები - ხელოსნები ეკლესიის მთელ შენობას ყავრით ხურავენ (ილ. 101). საქართველოში ეს იმ იშვიათ გრაფიკულ ილუსტრაციათაგანია, რომელზეც ოსტატები უშუალოდ მშენებლობის პროცესში არიან გამოსახულნი. ყავარი საკულტო ნაგებობათა დასაბურად ინტენსიურად XVII საუკუნიდან შემოვიდა ხმარებაში. ბიჭვინთის ტაძარზე მისი გამოყენება ოდიშის სამთავროს უკიდურესი ეკონომიური სიდუხჭირის მაჩვენებელია.[343]

კასტელის განმარტებით, ეკლესიის შეკეთება აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის სურვილით მომხდარა: ,,იბერიის პატრიარქის ბრძანებითა და განკარგულებით აფხაზებს მოაქვთ სვეტი წმინდა ანდრია მოციქულის ეკლესიის შესაკეთებლად”. [344] მას ნახატზეც აქვს ნაჩვენები (ეკლესიის აღმოსავლეთით) ადამიანთა ჯგუფი, რომელიც

---

341 . კასტელის მიერ ჩახატული ეკლესიის ბიჭვინტის ტაძართან იდენტიფიცირება ეკუთვნის ბაბილინა ლომინაძეს. მის მოსაზრებას მეც ვიზიარებ. იხ.: ბაბილინა ლომინაძე, *ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან*, 191.

342. დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, 177. ტაბ. 466, 466ა.

343 . დიმიტრი თუმანიშვილი, ნათია ნაცვლიშვილი და დავით ხოშტარია, *მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში* (თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი, 20012), 195.

344. დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, 177, ტაბ. 466ა.

მაღალი სვეტის ვერტიკალურ მდგომარეობაში გაჩერებას ცდილობს. თუ კასტელის ცნობა ზუსტია, გამოდის, რომ 1640-იან წლებში ბიჭვინთის ტაძარს აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორე II-მ (1638-1660) აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარა. დიდია ცდუნება ვიფიქროთ, რომ განახლების ინიციატორი იყო როსტომ ხანის მეუღლე და ლევან II დადიანის და მარიამ დედოფალი, რომელმაც ქართლის სამეფოში არაერთი ეკლესია (ბოლნისი, რუისი, სვეტიცხოველი) შეაკეთა.[345] თუმცა ამ მოსაზრების დასადასტურებლად არავითარი საბუთი არ გაგვაჩნია.

მეორე ეკლესია, რომელიც მისიონერებს აფხაზეთის მთავრის ბესლაკო შარაშიასგან მიუღიათ, სოფელ ლანში მდებარეობდა.[346] ბიჭვინთის ტაძრის მსგავსად, ისიც მიტოვებული ყოფილა: ,,... მოგვცეს გამოუყენებელი ორი უმშვენიერესი ეკლესია“. [347] არასტაბილური პოლიტიკური ვითარების, შემცირებული ქრისტიანული მრევლისა და მისიონერების ნაკლებობის გამო თეატინელებმა აფხაზეთში დამკვიდრება ვერ შეძლეს.

1710-იან წლებში აფხაზეთში კათოლიკე მისიონერების ჩამოყვანის მცდელობა სულხან-საბა ორბელიანის მეშვეობით აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ II ლორთქიფანიძესაც (1696-1742) ჰქონდა, თუმცა უშედეგოდ.[348]

აფხაზეთში კათოლიკური თემი ბევრად გვიან, XIX საუკუნის II ნახევარში გაჩნდა. ტირასპოლის ეპარქიის 1864 წლის კატალოგის (Directorium Officii Divini et Missae sacrificii, ad usum utriusque clerri Dioecesis tiraspolensis in Annum Domini MDCCCLXV editum) თანახმად, ამ დროს

---

345 . ლევან II დადიანმა არაერთხელ დალაშქრა აფხაზეთი და შერვაშიძეები თავის ვასალებად აქცია. 1628 წელს მისი ხელისუფლება ბიჭვინთაზეც ვრცელდებოდა. იხ.: *საქართველოს ისტორიის ატლასი*, რედ. დავით მუსხელიშვი (თბილისი: არტანუჯი, 2016), 43.

346. დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, 178; ბ. ლომინაძე სოფელ ლანს არლანად მიიჩნევს. იხ.: ბაბილინა ლომინაძე, *ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან*, 194.

347. იქვე, 192, ტაბ. 544.

348. ბეჟან ხორავა, ,,აფხაზეთი XVIII საუკუნის დასაწყისიდან 80-იან წლებამდე”, წიგნში: *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე*, რედ-ები ჯემალ გამახარია, თამაზ ბერაძე და თეიმურაზ გვანცელაძე (თბილისი: ინტელექტი, 2007), 220.

სოხუმში 2739 კათოლიკე ცხოვრობს.[349] ესენი უნდა ყოფილიყვნენ სომხები, რუსეთის არმიაში მომსახურე პოლონელები და 1860-70-იან წლებში რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩამოსახლებული სხვადასხვა ეროვნების ხალხი. მათი სამლოცველო სახლი მდებარეობდა დღევანდელი ლეონისა და გულიას ქუჩების კუთხეში, პოლკოვნიკ ზავადსკოის საკუთარ სახლში, რომელიც მან კათოლიკურ საზოგაოდებას საჩუქრად გადასცა. ეს შენობა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლის ომის დროს განადგურებულა.[350]

1908 წელს სოხუმში კათოლიკეებმა წმ. სვიმონ კანანელის სახელობის ეკლესია ააგეს (დღევანდელი აბაზინის ქ. №65ა).[351] მან ბოლო დრომდე მოატანა და 2015 წელს კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა.[352] მცირე ზომის დარბაზული შენობა გეგმით დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებულ მართკუთხედს წარმოადგენს (ილ. 102). აღმოსავლეთიდან ის ორსართულიან შენობაზეა მიდგმული და ერწყმის მას.

გარედან შენობა სტილურად ეკლექტურია. მთავარია დასავლეთი ფასადი, რომლის ცენტრშიც მაღალი მართკუთხა ფორმის კარია გაჭრილი. მის აქეთ-იქით ასეთივე მოყვანილობის თითო ფანჯარაა გაკეთებული. სამსავე ღიობს გარს ევლება განიერი ბრტყელი საპირეები. საპირის ზედა ნაწილს რუსტიკის იმიტაციით დაფარული საჭექი ქვა აღნიშნავს, ხოლო გვერდებს კბილანების მწკრივი მიუყვება. ფასადს ჩაკეტილი ფრონტონი აბოლოებს. ფრონტონის არეში კარ-ფანჯრების შესაბამისად თითო წრიული ღიობია მოწყობილი. მათ ნაძერწობით გამოყვანილი პროფილირებული საპირეები შემოწერს. სახურავის დასავლეთ კეხზე მცირე ზომის სამრეკლოა აღმართული. სამრეკლოს მართკუთხა გეგმა და ორფერდა გადახურვა აქვს. ეკლესიის სამხრეთ კედელში ორი მართკუთხა

---

349 . Бронислав Чаплицкий, *История Католической Церкви в России*. http://krotov.info/libr_min/24_ch/ap/lizky_01.html

350. Анзор Агумаа, *Старый Сухум, Архитектура Сухума на рубеже XIX-XX вв.* (Сухум: Абгосиздат, 2016), 128.

351. იქვე, 128, 129.

352. გასაგები მიზეზების გამო, სოხუმში წასვლა თავად ვერ მოვახერხე. ეკლესიის შენობის აღწერისას ვეყრდნობი სხვადასხვა წყაროებით მოპოვებულ მასალას.

ფორმის, ხოლო ჩრდილოეთ კედელში სამი შეისრული მოყვანილობის ფანჯარაა გაჭრილი.

2.6. გურია

გურიაში კათოლიკური მისიონის დაარსება თეატინელი პატრების - კრისტოფორო კასტელისა და ანტონიო ჯარდინას სახელებს უკავშირდება. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ისინი სხვა კათოლიკე ბერებთან ერთად 1632 წლის 7 ივლისს ჩამოვიდნენ საქართველოში და გორში მდებარე თეატინელთა მონასტერში დასახლდნენ. [353] 1633 წლის ოქტომბერში როსტომ ხანისა და მარიამ დადიანის ქორწილში სხვა დიდებულებთან ერთად გორში ჩამოვიდა შემოქმედელი ეპისკოპოსი მაქსიმე I მაჭუტაძე.[354] ის აქ კათოლიკე მისიონერებს შეხვდა და მათი უფროსი პიეტრო ავიტაბილე რამდენიმე პატრის გურიაში გაგზავნაზე დაითანხმა.[355]

გურიაში ჩასულ კრისტოფორო კასტელის, ანტონიო ჯარდინასა და ძმა კლაუდიოს გურიის მთავარმა და დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა მალაქია II გურიელმა ,,თავის ახლოს ოზურგეთში ერთი შვენიერი სახლი მისცა და იქვე აუშენა ხის ეკკლესია, რომელიც პატრებმა შეამკეს მხატვრობით". [356] ავიტაბილეს მიხედვით, ეკლესია წმ. სილვესტრეს სახელობის იყო და სომხების უბანში მდებარეობდა:

წმინდა სილვესტროს სახელობის ეს ჩვენი ეკლესია ჩვენი ბატონის სასახლის კარიდანაც დაცილებული იყო და მისი მდებარეობა მოწმობდა, რომ ეს პატარა ეკლესია არასაკმარისი იყო ჩვენი წიმინდა ამხანაგებისათვის. იგი სომხების საცხოვრებლების შუაგულშია; სომხები დაახლოებით 40 ოჯახია, ვშიშობთ, რომ ამის გამო ჩვენს ეკლესიაში ქართველები ვეღარ მოვლენ, ვერც მთავრის სახლის

---

353. დონ პიეტრო ავიტაბილე, *ცნობები საქართველოზე (XVII ს.)*, შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა (თბილისი: მეცნიერება, 1977), 6.
354. თეა ქართველიშვილი, *გურიის საეპისკოპოსოები* (თბილისი: არტანუჯი, 2006), 92.
355. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის* (1902, რეპ., თბილისი: სიესტა, 2011), 150-151.
356. იქვე, 154.

პირნი, რომელნიც ამ ადგილზე არა ცხოვრობენ. არა მგონია, ჩვენი მისიონი ერთ თემზე მეტს მოემსახუროს".[357]

გურიაში ჩასვლიდან ორ წელიწადში მალაქიამ პატრებს სკოლის გახსნის მიზნით თავისი რეზიდენციის ეზოში გამოუყო ადგილი, აქვე მისცა საცხოვრებელი სახლი და ეკლესია[358] ეს ადგილი დაწვრილებით აქვს აღწერილი ავიტაბილეს, რომელიც დიდად კმაყოფილი არ ყოფილა მისი ცენტრალური მდებარეობით:

ჩვენი სახლი მდებარეობს შიგ მთავრის ბაღში ... ამ სახლის ფანჯრები შიგნით, ეზოში იცქირებიან. კარგი მდებარეობა აქვს, მაგრამ მე ნაკლებ მომწონს. მეშინია, როცა მემკვიდრე ტახტს დაიკავებს, ჩვენები აშკარად გაიქცევიან აქედან, რადგან ყოველ საათს იქაურობა სავსეა ქალებით და ბიჭებით, რომლებიც მოდიან და ჩვენ კარებთან დგანან, რადგანაც მთავრის სახლში სხვა გასართობი არა აქვთ რა. აქ არის ისლით დახურული პატარა ხის ეკლესია, რამდენადაც კი შეიძლება სუფთად მოვლილი. ყველა პატრისათვის ერთი ოთახია იმავე მასალით დახურული.[359]

ავიტაბილეს აღწერის სიზუსტეს ადასტურებს კრისტოფორო კასტელის გრაფიკული ჩანახატი სათაურით ,,ჩვენი პატრების რეზიდენცია გურიელის პროვინციაში". 1977 წელს ბეჟან გიორგაძის თარგმანითა და კომენტარებით გამოცემულ კასტელის ალბომში ეს ჩანახატი ორ სურათად არის დაბეჭდილი დამოუკიდებელი ნომრებითა და სახელებით: ,,№425. მისიონის რეზიდენცია გურიაში" და ,,№429. გურიელის სახლი და მისიონერთა კარმიდამოს ხედი" (ილ. 103).[360]

ჩანახატზე სიღრმეში დახატულია ორსართულიანი გრძელი შენობა, რომელიც გურიელის რეზიდენცია უნდა იყოს. მის გარშემო მჭიდრო განაშენიანება ერთსართულიანია. აქვე დგას რამდენიმე ეკლესია.

---

357. დონ პიეტრო ავიტაბილე, *ცნობები საქართველოზე (XVII ს.)*, 73.
358. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 155.
359. დონ პიეტრო ავიტაბილე, *ცნობები საქართველოზე (XVII ს.)*, 69.
360. დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ (თბილისი: მეცნიერება 1977), 166, 168-169.

მისიონერთა საცხოვრებელი ადგილი გურიელის რეზიდენციას სამხრეთი მხრიდან ემიჯნებოდა. ხის ღობით შემოსაზღვრულ მოზრდილ ტერიტორიაზე ისლით დახურული რამდენიმე საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობაა ნაჩვენები. აღმოსავლეთით ტერიტორიას ეკვროდა ცალკე ღობით შემოფარგლული მიწის ნაკვეთი, რომელსაც სახნავ-სათესად იყენებდნენ.

მისიონის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ერთ-ერთი შენობა კასტელის ჯვრით აქვს აღნიშნული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სწორედ ეს უნდა იყოს ავიტაბილეს მიერ ნახსენები ,,პატარა ხის ეკლესია". მცირე ზომის დარბაზული ეკლესია მარტივი ნაგებობაა ორფერდა სახურავითა და დასავლეთ კედელში მოწყობილი შესასვლელი კარით. ის რეზიდენციის სხვა შენობებისგან მხოლოდ სახურავის კეხის დასავლეთ ბოლოზე აღმართული ჯვრით განსხვავდება. მისიონის გარშემო ნაჩვენებია ხალხმრავლობა, რაც გასაგებს ხდის ავიტაბილეს უკმაყოფილებას.

პატრებს ოზურგეთში მშვიდად ცხოვრება დიდხანს არ დასცალდათ, მისიონს ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა. ცეცხლის გაჩენას ისინი გურიელის მკურნალ ექიმს, წარმოშობით იტალიელ ფერინდონეს აბრალებდნენ. [361] პატრებმა მისიონი ვეღარ განაახლეს. ავიტაბილე 1638 წელს კონსტანტინოპოლიდან გაგზავნილ რელაციონში წერდა, ჩვენი ადგილსამყოფელი გურიაში, სამეგრელოსთან შედარებით, უდიდეს გაჭირვებაში ჩავარდნილიყო გასულ წლებში მომხდარი ხანძრის გამოო.[362]

ძალიან მალე კათოლიკეებს საერთოდ მოუწიათ გურიის დატოვება. 1639 წელს მალაქია გურიელი გარდაიცვალა, ხოლო მისმა მემკვიდრემ ვახტანგ II გურიელმა მისიონერები სამთავროდან გააძევა.[363]

კათოლიკეებისადმი დამოკიდებულება შეიცვალა მას შემდეგ, რაც გურიის მთავრის ადგილი გიორგი III გურიელმა დაიკავა. ის 1677 წელს

---

361. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 156-157.
362. დონ პიეტრო ავიტაბილე, *ცნობები საქართველოზე (XVII ს.)*, 69, 80.
363 . მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 165; თეა ქართველიშვილი, *გურიის საეპისკოპოსოები*, 108.

გორში დაბინავებულ კაპუცინებს წერდა: ,,გთხოვთ მობრუნდეთ თავისუფლად ჩვენს სამთავროში და ჩვენც მაშინვე დაგიბრუნებთ ეკკლესიას, (თეათინელთა დატოვებულს), სახლსა, მოგცემთ ბაღსა, ...”[364].

მწირი ფინანსური შესაძლებლობებისა და ქვეყანაში მუდმივი არეულობის გამო კაპუცინებმა გურიაში მისიონის დაარსება ვერ შეძლეს. XVII საუკუნის მიწურულიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე აქ მცხოვრები კათოლიკეების შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. XIX საუკუნის I ნახევრის დოკუმენტებიდან ჩანს, რომ დაახლოებით ორი საუკუნის განმავლობაში სულიერი მოძღვრების არყოლის გამო გურიაში კათოლიკეთა რიცხვი დიდად შემცირდა. თბილისის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, 1823 წელს გურიაში ცხოვრობდა ახალციხიდან გადასული სომხური წესის 30 კათოლიკე, რომელთაც საკუთარი მღვდელი ჰყავდათ.[365] 1837 წელს გურიაში მღვდლად დაუნიშნავთ სომხურ ტიპიკონზე ნაკურთხი მღვდელი გრიგოლ ბაშკოვსკი.[366] მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში გურიაში მცხოვრებ კათოლიკეთა რიცხვი იმდენად მცირე იყო, რომ მათ, როგორც წესი, ქუთაისსა და რედუტ კალეში (დღევანდელი ყულევი) მცხოვრებ კათოლიკეებთან ერთად აღწერდნენ. მაგალითად, 1838 წლის მონაცემით სამივეგან ერთად სულ 522 კათოლიკე ცხოვრობდა (აქედან მხოლოდ ექვსი იყო ლათინური წესის) და მათ ორი ეკლესია ჰქონდათ.[367] აქედან ერთი ქუთაისში მდებარეობდა, მეორე კი ალბათ სოფელ დვაბზუს ეკლესია უნდა იყოს. თბილისის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული 1840 წლის დოკუმენტის თანახმად, კათოლიკეებს იქ ხის ეკლესია ჰქონიათ.[368] ამ ეკლესიის შესახებ სხვა ინფორმაცია არ იძებნება.

---

364. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 166.
365. სცა, ფონდი №1644, ანაწერი №1, საქმე №1.
366. იქვე.
367. იქვე.
368. იქვე, ფონდი №488, ანაწერი №1, საქმე №6496.

1850 წელს ოზურგეთში ლათინური რიტის მხოლოდ 22 კათოლიკეა.[369] მცირერიცხოვნობის მიუხედავად, მრევლმა ეკლესიის მშენებლობის ნებართვის მისაღებად ჯერ კიდევ 1828 წელს მიმართა ხელისუფლებას. მათ თხოვნა 1840 წელსაც განაახლეს, თუმცა იმერეთის არქიეპისკოპოსი სოფრონიოსი გადაწყვეტილების მიღებისგან თავს იკავებდა, რადგან: ,,დაბასა ოზურგეთსა შინა როგორც მე ვგონებ არ არის არც ერთი მოსახლე მისის მცხოვრები რომის კათოლიკეს სარწმუნოებისა, გარდა დროებითად მუნ მოვაჭრეთა და სამხედრო კაცთა". [370] 1841 წელს კაცხის მონასტრის იღუმენი ექვთიმე საქართველოს და კახეთის არქიეპისკოპოსსა და კავალერს ევგენიოსს სწერდა, მართალია ის ადგილი ოზურგეთში, სადაც კათოლიკეებს ეკლესიის აშენება სურდათ, არც დაკავებულია და არც სადავო, მაგრამ მართმადიდებელთა ეკლესიისგან სულ რაღაც 800 მეტრშიაო. როგორც ჩანს, ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გამო კათოლიკეებმა მშენებლობის ნებართვა ვერ მიიღეს. XIX საუკუნის ბოლოსაც კი მათ საკუთარი ეკლესია არ ჰქონდათ და ბათუმიდან დროგამოშვებით ჩამოსული მღვდელი ატარებდა ღმრთისმსახურებას ადგილობრივი ვაჭრის თუმანიშვილის სახლში. [371] 1900-იან წლებში ოზურგეთელმა კათოლიკეებმა მაინც მოახერხეს ეკლესიის აგება. იქვე გააშენეს დეკორატიული ბაღი. საქართველოს გასაბჭოების შემდგომ ეკლესია, რომელიც, ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, ხის უგუმბათო შენობა ყოფილა, ოზურგეთის ფოლკლორულ გუნდს გადაეცა, ხოლო ბაღი - ქალაქის საბჭოს. [372] ამჟამად არცერთი არსებობს.[373]

---

369. იქვე, ფონდი №1617, ანაწერი №1, საქმე №36.
370. იქვე, ფონდი №488, ანაწერი №1, საქმე №6496.
371. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში* (ტფილისი: მსწრაფლ-მბეჭდავი ა. რ. ქუთათელაძისა, 1903), 106.
372. 1944 წელს ადგილობრივი გაზეთი *ლენინის დროშა* წერდა: ,,აბაშიძის შესახვევში არის ფრანგთა ყოფილი ეკლესიის დეკორატიული ბაღი, ახლა იგი ქალაქის საბჭოს ეკუთვნის, მაგრამ მას არ პატრონობენ, არ ჰყავს მცველი, შეუღობავია, პირუტყვისაგან საგრძნობლად დაზიანებული". იხ.: ლ. მახარაძე, *ლენინის დროშა*, 1944, 14 სექტემბერი, №36, 4.
373. გრიგოლ მახარაძეს ნაეკლესიარი ადგილი იდენტიფიცირებული აქვს დღევანდელი ე. თაყაიშვილის მეოთხე ჩიხში. იხ.: გრიგოლ მახარაძე, ,,*ფრანგთა ეკლესია ოზურგეთში*", 23 ოქტომბერი, 2015. http://aboutguria.blogspot.com/2015/10/blog-post_72.html ; ,,*ოზურგეთის*

დღეს ოზურგეთში მოქმედი წმ. სტეფანეს სახელობის რომაულ-კათოლიკური ეკლესია 2005 წელს არის აშენებული. მისი მრევლის უმეტეს ნაწილს ეთნიკური სომხები შეადგენენ. დარბაზული ტიპის ეკლესიის ინტერიერში, მის სამხრეთ კედელზე კიდია თაბაშირის დაფერილი თოთხმეტი პანო, რომელიც ქრისტეს ჯვარცმის ისტორიას (ე. წ. ,,ჯვრის გზა“) ასახავს. აქედან მესამე (ქრისტეს პირველი დაცემა) და მეხუთე (სიმონ კვირინელი ეხმარება ქრისტეს ჯვრის ზიდვაში) ძველია და მრევლის წევრების თქმით, მეზობელ სოფლებში - შრომასა და ცხემლისხიდში ინახებოდა, თუმცა უცნობია კონკრეტულად რომელი ეკლესიიდანაა წაღებული (ილ. 104).

2.7. სამეგრელო

ოდიშის სამთავროში პირველი მისიონერები ლევან II დადიანის მოწვევით კონსტანტინოპოლიდან 1615 წლის მარტში ჩამოვიდნენ. [374] იეზუიტთა ორდენის პატრები - ლუდოვიკე გრანჯერიო და მორჩილი ძმა სტეფანე მოქვში დაბინავდნენ. მათ სამეგრელოში სულ რამდენიმე თვე დაჰყვეს. სამთავროში გაჩენილმა შავმა ჭირმა სტეფანე მალევე იმსხვერპლა, ასევე დაავადდა პატრი ლუდოვიკე, რომელიც კონსტანტინოპოლში დაბრუნდა და იქ გარდაიცვალა 1615 წლის 22 აგვისტოს.[375]

1629 წელს აფხაზეთის გავლით სამეგრელოში იმყოფებოდნენ დომინიკელი პატრები, თუმცა მათ ვიზიტს ხელშესახები შედეგი არ მოჰყოლია.[376]

დანგრეული შენობები", 8 დეკემბერი, 2015. http://aboutguria.blogspot.com/2015/12/blog-post_8.html

374. XVII საუკუნეში სამეგრელო ანუ ოდიშის სამთავრო მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას მდინარე რიონიდან, რომელიც მას გურიის სამთავროსა და იმერეთის სამეფოსგან ჰყოფდა, მდინარე კოდორამდე, სადაც მაშინ აფხაზეთის საზღვარი გადიოდა. შემდგომში ეს უკანასკნელი არაერთხელ შეიცვალა.

375. *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ),* ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა (თბილისი: მეცნიერება, 1975), 218; მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის* (1902, რეპ., თბილისი: სიესტა, 2011), 134-142.

376. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 142-143.

იეზუიტებისა და დომინიკელებისგან განსხვავებით, წარმატებული აღმოჩნდა თეატინელთა გამგზავრება სამეგრელოში. 1633 წლის შემოდგომაზე გორში როსტომ ხანისა და მარიამ დადიანის ქორწილში ჩამოსულმა ნიკოლოზ ირბახმა თან გაიყოლა პატრები არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე ჯუდიჩი.[377] სამეგრელოში რვათვიანი მოგზაურობის შემდეგ ლევან II დადიანმა პატრებს სოფელ წიფურიაში (დღევანდელი თაგილონი, გალის რაიონი) მამული და საცხოვრებელი სახლი უბოძა. ამავე ტერიტორიაზე მდებარეობდა ორი ეკლესია. აქედან ერთი მთავარმა თეატინელებს გადასცა. პატრი ჯუზეპე ჯუდიჩის თანახმად, ამ ფაქტს დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია მართლმადიდებელ მღვდლებში, რომლებიც არაერთხელ შეეცადნენ მათთვის შენობის ჩამორთმევას: ,,[ეკლესია] ჩვენ მოვრთეთ, მასში ვმსახურობთ და ვასრულებთ რომაული წესით საზეიმო ცერემონიებს, თუმცა ბერძნებმა ყველაფერი იღონეს, იგი ჩვენთვის ისევ წაერთმიათ.“[378]

ლამბერტის მიხედვით, მათთვის გადაცემული ეკლესია უწინ საეპისკოპოსო ყოფილა და შემდგომ მონასტრად გადაკეთებულა:

,,მეორეა წიფურიას (Cippurias) მონასტერი, რომელიც აშენებულია ვაკეზე, ენგურის ნაპირას. ეს მონასტერი ეხლა ჩვენების ხელშია. აქ არის ორი ეკლესია ერთად შეერთებული, რომელთაგან ერთი ღვთსმშობლის სახელობაზეა და მეორე - წმინდა გიორგისაზე.“[379]

ლამბერტის წიფურიას მონასტერი მის მიერ შედგენილ სამეგრელოს რუკაზეც აქვს დატანილი (ილ. 105). ნახატის მიხედვით ეს არის ქვის მაღალი გალავნით შემოზღუდული ტერიტორია, რომლის შიგნით დარბაზული ტიპის რამდენიმე შენობა დგას.

---

377. იქვე, 170.

378 . დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, *რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე)*, იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა (თბილისი: უნივერსალი, 2014), 35.

379. არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა* (თბილისი: მთაწმინდა, 2011), 138.

თეატინელთა რეზიდენცია სამეგრელოში ჩახატული აქვს კრისტოფორო კასტელისაც.[380] 1650-იან წლებში შესრულებულ გრაფიკულ ნახატზე ნაჩვენებია ხის ღობეებით მოფარგლული რამდენიმე მიწის ნაკვეთი (ილ. 106). მარცხენა, შედარებით მცირე ზომის ტერიტორიაზე ქვის ორი - დარბაზული და გუმბათიანი ეკლესია დგას. ისინი სამხრეთ-დასავლეთი კუთხით არის დახატული. კასტელის ცნობით, თეატინელებს ეკუთვნოდა დარბაზული ეკლესია, რომელიც წმ. გიორგის სახელობის იყო. [381] ნახატის მიხედვით, ესაა ორფერდა სახურავით გადახურული პატარა შენობა. მას აღმოსავლეთით შვერილი აფსიდი აქვს. დასავლეთ კედელში თაღოვანი შესასვლელი კარი და სამი სარკმელია გაჭრილი. შესასვლელის წინ ხის კარიბჭე დგას. მეორე, ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელიც მართლმადიდებლების იყო, თავისუფალი ჯვრის ტიპის გუმბათიანი შენობაა. ეკლესიებს შორის წარმოიქმნება პატარა ეზო, რომელიც დასავლეთიდან ქვის კედლით არის მოსაზღვრული. ის დარბაზული ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხიდან იწყება და გუმბათიანი შენობის ჩრდილო-დასავლეთ კუთხემდე მიდის. ეზოში შესასვლელი კარი ამ კედელშია გაჭრილი. კედლის უკან ისლით დახურული ერთსართულიანი შენობა მოჩანს. კასტელის ჩანახატი ადასტურებს ავიტაბილეს ცნობას, რომ თეატინელებისთვის გადაცემული ეკლესია ძველი მონასტრის ტერიტორიაზე იდგა. პატრებმა რეზიდენცია მის გარშემო გააშენეს და საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ერთ-ორ სართულიანი ისლით დახურული ხის შენობები დადგეს.

ჩანახატის განმარტებისას კასტელი ამბობს ,,... ადგილსამყოფელი და სახლი ... ჩვენმა კეთილისმყოფელმა მეგობრებმა გვიბოძეს 1654 წელს“-ო,[382] რაც აშკარაა შეცდომაა. მისი ჩანახატი და სხვა მისიონერების აღწერები

380. კასტელი სამეგრელოში 1640 წელს, გურიის მისიონის დახურვის შემდეგ გადავიდა. იხ.: დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ (თბილისი: მეცნიერება, 1977), ტაბ. 427, 428.
381. დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, 168.
382. იქვე, 167.

ზედმიწევნით ემთხვევა ერთმანეთს და ეჭვგარეშეა, რომ ის წიფურიას რეზიდენციას ხატავს. ეს მამული კი ზემოთ ნახსენები უტყუარი ცნობებით პატრებმა 1634 წელს მიიღეს.

წიფურიას მისიონი ძალიან დაზიანდა 1665 წელს ოდიშის სამთავროზე იმერლების თავდასხმის დროს. სახლი და ეკლესია გაუძარცვავთ და აუოხრებიათ.[383] ის თავდაპირველ მდგომარეობას მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, პატრი ჯუზეპე მარია ძამპის წინამძღოლობით დაუბრუნდა. 1672 წლის შემოდგომაზე წიფურიაში პატრებთან ცხოვრობდა ჟან შარდენი, რომელსაც თავის მოგზაურობის წიგნში მისიონი საკმაოდ ვრცლად აქვს აღწერილი:

> წიფურია ორი პატარა ეკლესიის სახელია, რომელთაგან ერთი მეგრელებისაა, ხოლო მეორე თეათინელებს ეკუთვნის. ეს ეკლესია მისცეს თეათინელებს შემოღობილ მიწის ნაკვეთთან ერთად, რომელზედაც ეკლესია იდგა. მიწის ნაკვეთი დიდია. თეათინელებმა აქ გააშენეს ადგილობრივი ტიპის ხის სახლები, ზოგი ორსართულიანი და ზოგიც ერთსართულიანი. თითო ბერს თითო ასეთი ბინა აქვს საცხოვრებლად. ასე, რომ, ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობენ. ყველაზე პატარა ქოხები სავსეა მათი ტყვეებით. აქვეა მათი მოჯალაბე გლეხების ორი ოჯახი.[384]

თეატინელების სამეგრელოში ცხოვრება ძალიან გაართულა არასტაბილურმა პოლიტიკურმა ვითარებამ. მიუხედავად იმისა, რომ პროპაგანდა ფიდე შემდგომშიც აგრძელებდა აქ მისიონერების გამოგზავნას, გამუდმებული ომებისა და არეულობის გამო მათ ხშირად უწევდათ საცხოვრებელი ადგილის დატოვება და თავშესაფრის სხვაგან ძებნა. XVII საუკუნის მიწურულს აქ ორი ბერიღა ცხოვრობდა. 1700 წელს პატრი ტორიჩელის გარდაცვალებით საბოლოოდ დასრულდა თეატინელთა სამოცდაათწლიანი მისია ოდიშის სამთავროში.[385]

---

383. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 202.
384. *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში*, 217.
385. იქვე, 212.

XVIII საუკუნის ბოლოს სამეგრელოში ფეხის მოკიდება კაპუცინებმაც სცადეს. თბილისის მისიონის წინამძღვარს ანდრია მილანელს 1786 წელს იქ ორი პატრი გაუგზავნია. მისივე ცნობით, სამეგრელოს მთავარს მათთვის საკუთარი ხარჯით ეკლესიაც აუშენებია. მართალია, პატრი ანდრია მთავრის ვინაობას არ ასახელებს, მაგრამ ეს უნდა იყოს მამია II დადიანი, რომელიც ოდიშის სამთავროს 1758-1788 წლებში მართავდა. დადიანის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ჩანს, მისიონმა ფუნქციონირება შეწყვიტა. სამწუხაროდ, არ არსებობს მასალა მისი ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ. ასევე უცნობია თუ როგორი არქიტექტურული გადაწყვეტა ჰქონდა ეკლესიას.[386]

2.8. მცირე მისიონები და დროებითი სამლოცველოები

გარდა ძირითადი ცენტრებისა, რომელთა შესახებ ზემოთ იყო საუბარი, კათოლიკეებს დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა დროს კიდევ რამდენიმე ადგილას ჰქონდათ მცირე მისიონები და დროებითი სამლოცველოები.

კასტელის ცნობით, იმერეთში თეატინელების მისიონები მდებარეობდა არგვეთსა და ბაღდადში,[387] ხოლო გურიაში - რეკულსა და ასკანაში. [388] მიუხედავად იმისა, რომ კასტელი ტექსტებს ჩანახატებსაც ურთავს, ამ ადგილების იდენტიფიცირება დღეს შეუძლებელია.

ასევე ვერ ხერხდება კაპუცინთა მისიონისა და ეკლესიის ადგილმდებაროების დადგენა ონში. რაჭაში კათოლიკეთა საქმიანობის შესახებ საინტერესო ცნობას წარმოადგენს პატრი იერონიმე ნორჩაელის მოხსენება, რომელიც მან 1763 წელს გააგზავნა რომში. წერილის მიხედვით:

---

386. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 404.
387. დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, 167, 169. ტაბ. 426, 430; 170. ტაბ. 433.
388. იქვე, 175. ტაბ. 459; 182. ტაბ. 490.

,,ონის ადგილი (კაპუცინებს - ნ. ნ.) აჩუქა ქართველ კათოლიკე ბატონმა (როსტომ - ნ. ნ.) ერისთავმა 1751 წ. ამავე ბატონმა სრულიად თავის ხარჯით ააშენებინა მონასტერი და ეკლესია". [389] 1754 წელს კონსტანტინოპოლის ხელმეორედ არჩეულმა ბერძენმა პატრიარქმა კირილე V-მ (1752-1757) კაპუცინები რაჭის მონასტრიდან გააყრევინა[390]. 1767 წელს ონში დაბრუნდა ძმა დიონიზიო. მას მისიონი გავერანებული დახვდა და თავიდან მოუწია სახლისა და ეკლესიის მშენებლობაზე ზრუნვა. [391] 1769 წელს ონში, პატრების ,,სასახლეში" უწირავს იოანე ხოჯაშვილს.[392] როგორც ჩანს, რაჭის მონასტერმა დიდხანს აღარ იარსება. XVIII საუკუნის შემდგომ აქ კათოლიკეთა საქმიანობის შესახებ ინფორმაცია აღარ მოიპოვება.

XIX საუკუნეში კათოლიკეები ცხოვრობდნენ ფოთშიც. ქალაქის 1901 წლის გეგმის მიხედვით, მის ერთ-ერთ მოედანს კათოლიკური ერქვა. გეგმაზე მოედანი №5-ით არის აღნიშული. ის მდებარეობდა დღევანდელი ბარათაშვილის, გამსახურდიას, კომაროვისა და ზამბახიძის ქუჩებს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე, რომელიც ეხლა განაშენიანებულია. ფოთის კათოლიკური მოსახლეობის შესახებ ჩვენთვის არსებითად არაფერია ცნობილი. ესენი უნდა ყოფილიყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან წამოსული ვაჭრები, რომელთაც ქალაქს 1828 წლის შემდგომ მიაშურეს. 1829 წლის ადრიანოპოლის ზავის შედეგად ფოთი ახალციხესთან ერთად ოსმალეთმა დათმო და მასზე რუსეთის იმპერიის ძალაუფლება აღიარა. ახალი ხელისუფლების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა (მისთვის ქალაქის სტატუსის მინიჭება, ნავსადგურის მშენებლობა, ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანა) საუკუნის ბოლოს ფოთი მნიშვნელოვან სავაჭრო და სატრანზიტო ადგილად აქცია. ქალაქის შვიდი მოედნიდან ერთ-ერთისათვის კათოლიკურის დარქმევა იმაზე მიუთითებს, რომ აქ მცხოვრებ კათოლიკეებს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ მის

389. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 380.
390. იქვე, 370, 373.
391. იქვე, 385.
392. იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბნაშვილი და სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალციხური ქრონიკები, დღიური-მატიანე*, 18.

განვითარებაში. თუმცა, თანამედროვეთა ცნობით, ფოთში მათი რიცხვი XX საუკუნის დასაწყისში საგრძნობლად შემცირებული იყო და არც ეკლესია ჰქონდათ.[393]

გარდა ამისა, სხვადასხვა დროს საქართველოს სხვადასხვა მხარეში იყო რამდენიმე კათოლიკური სამლოცველო, რომლებიც რუსეთის არმიაში მომსახურე პოლონელ სამხედროთათვის აშენდა. ასეთი იყო სამლოცველო დედოფლისწყაროში (XIX საუკუნეში ერქვა ცარსკიე კოლოდცი, Царские Колодцы). ის არსებობდა 1849 წლიდან 1866 წლამდე და მთელი ამ პერიოდის მანძილზე მისი კაპელანი იყო ფრანცისკელი ბერი ვ. ჟიჟნევსკი[394]. პოლონელ სამხედროთა პატარა სამლოცველოები ასევე იყო ბომბორაში (აფხაზეთში, 1856 წლამდე) და რედუტ-კალეში (ახლანდელ სოფელ ყულევთან, 1868 წლამდე)[395]. არცერთი მათგანი არ შემორჩა.

393. ზაქარია ჭიჭინაძე, *ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა*, 52.
394. Богдан Кухаренко, „Военные капелланы в Тираспольской епархии“, *Поляки в России: эпохи и судьбы* (Краснодар: Издательство «Парабеллум», 2009), 167.
395. იქვე, 168.

თავი 3

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო

3.1. სამცხე

3.1.1. ახალციხე

ისტორიული ვითარების გამო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში კათოლიციზმის გავრცელების გზები ქვეყნის დანარჩენი რეგიონებისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული იყო. აქ რაოდენობრივად ყველაზე მეტი სომხური რიტის კათოლიკე ცხოვრობდა. განსაკუთრებით დიდი იყო მათი რიცხვი ახალციხეში და სამცხე-ჯავახეთის სოფლებში. საქართველოს სხვა მხარეებისაგან განსხვავებით, აქ იყო სოფლები, რომელთა მოსახლეობასაც დიდწილად ან მთლიანად კათოლიკეები შეადგენდნენ.

საქართველოში კათოლიკეთა შემოსვლის პირველივე ხანებიდან მეთექვსმეტე საუკუნემდე სამცხე ქართლის მისიონს ექვემდებარებდა.[396] ზემოთ შესაბამის თავში უკვე ითქვა, რომ XIV საუკუნიდან საქართველო დომინიკელთა იურისდიქციაში მოექცა და პაპმა იოანე XXII-მ სმირნის საეპისკოპოსო კათედრა თბილისში გადმოიტანა. სავარაუდოდ 1342 წელს, ეპისკოპოსი იოანე ფლორენციელი სათავეში ჩაუდგა ახლად დაფუძნებულ წმ. გრიგოლ განმანათლებლის უნიტორ ძმათა (Fratres Unitores) კონგრეგაციას - დომინიკელთა ორდენის სომხურ განშტოებას, რომლის საეპისკოპოსო ნახიჩევანში მდებარეობდა.[397] შემდგომში ამ ორდენმა

---

396 . მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის* (1902, რეპ., თბილისი: სიესტა, 2011), 401.

397. უნიტორების შესახებ იხ.: O. P. Thaddeus Murphy, ,,The Friars Preachers in Armenia", *Dominicana* 38:2 (June 1953): 126; *A History of the Crusades, vol. V: The Impact of the Crusades on the Near East*, N. P. Zacour and H. W. Hazard, eds. (Madison,Wisconsin: University of Wisconsin Press, 1985), 496; მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 73-76; Макагиа Орманян, *Армянская церковь: ее история, учение, управление, внутренний строй, литургия, литература, ее настоящее*, пер. с франц. Б. Рунт (Москва: Издание А. М. Будагова, 1913), 69; G. Petrowicz, ,,I Fratres Unitores nella Chiesa Armena",

დიდად შეუწყო ხელი სომხური რიტის კათოლიციზმის გავრცელებას აღმოსავლეთ ანატოლიასა და კავკასიაში - მათ შორის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

მესხეთში უნიტორებს მისიონერული საქმიანობა XIV საუკუნეშივე უნდა დაეწყოთ, თუმცა ამის დამადასტურებელი პირდაპირი საბუთი არ არსებობს. [398] საქართველოსთან დაკავშირებულ ჩვენთვის ცნობილ ოფიციალურ დოკუმენტებში უნიტორების სახელი პირველად XVI საუკუნეში ჩნდება. 1545 წელს რომის პაპი პავლე III ლუარსაბ მეფის სახელზე დაწერილ წერილს ატანს პატრებს დომინიკესა და ბაპტისტას ,,რომელ არიან წმიდა დომინიკეს წესისა დიდი სომეხთის ქალაქ ნახჩევნიდგან". [399] მომდევნო წელს პაპი თავის ნუნციოდ საქართველოში აგზავნის ნახიჩევნის არქიეპისკოპოსს სტეფანეს.[400] პაპის გადაწყვეტილება საქართველოში თავის წარმომადგენლად სომეხი უნიტორი არქიეპისკოპოსის დანიშვნის შესახებ ქვეყანაში დომინიკელთა საქმიანობის ტრადიციას უნდა უკავშირდებოდეს. შ. ლომსაძის ცნობით, მისიონის დაარსების მიზნით ეპისკოპოსს მალევე მოჰყვნენ სომეხი უნიტორი ბერები, რომლებიც ძირითადად ქართლში და სამცხეში დასახლდნენ.[401]

1551-1578 წლებში ოსმალეთის იმპერიამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო დაიპყრო და ევროპელ მისიონერებს ამ ტერიტორიაზე საქმიანობა შეეზღუდათ. შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო უნიტორების საქმიანობა სამცხეში ბევრად ნაყოფიერი აღმოჩნდა. სომეხი კათოლიკე მღვდლები, რომლებიც ღმრთისმსახურების დროს ლათინურის ნაცვლად მშობლიურ ენას იყენებდნენ, თურქებისთვის, ევროპელი

Euntus Docete, XXII, (1969): 309-347; Bogos Levon Zekiyan, ,,La formazione e gli sviluppi tra gli armeni di correnti ecclesiali simpatizzanti per la comunione romana", წიგნში: *Eukosmia: Studi miscellanei per il 75 di Vincenzo Poggi S. J., a cura di V. Ruggieri e L. Pieralli,* (Soveria Mannelli: Rubbettino, 2003), 649.

398. მ. თამარაშვილი უნიტორი ბერების საქართელოში საქმიანობას XVI საუკუნემდე უარყოფს. იხ.: მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 73.

399. იქვე, 72.

400. იქვე, 74.

401. შოთა ლომსაძე, *გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები* (თბილისი: მეცნიერება, 1979), 30.

მისიონერებისაგან განსხვავებით, იმპერიის მტრებთან ნაკლდებად ასოცირდებოდნენ. ისინი ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომები იყვნენ, სომხური მილეთის ნაწილს შეადგენდნენ და, სხვა სომეხ კათოლიკეებთან ერთად, სამოქალაქო იურისდიქციით კონსტანტინოპოლის სომხურ-მონოფიზიტურ საპატრიარქოს ემორჩილებოდნენ.[402] მეორე მხრივ, რომისთვის ისინი ევროპული ორდენის წარმომადგენლები იყვნენ და მათი დახმარებით კათოლიკური ეკლესია რეგიონში პოზიციების შენარჩუნებას სუსტად, მაგრამ მაინც ახერხებდა.

სამხრეთ საქართველოს სრულად დაქვემდებარების შემდეგ, 1579 წელს ოსმალეთის იმპერიამ ახალციხის (ჩილდირის) საფაშო შექმნა. საფაშოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი ქალაქი ახალციხე იყო. ამ პერიოდში ახალციხეში მცხოვრები კათოლიკეებისა და მათი სულიერი ლიდერების შესახებ ინფორმაცია ძალინ მწირია. როგორც ჩანს, მათი მდგომარეობა იმპერიის დედაქალქში მცხოვრებ სომეხ კათოლიკეებთან შედარებით უკეთესი იყო. კონსტანტინოპოლელი სომეხი კათოლიკეები 1701 წლიდან 1815 წლამდე გამუდმებულ დევნას განიცდიდნენ, არ

---

402 . ოსმალეთის იმპერიის ეროვნულ-კონფესიური სახელმწიფო პოლიტიკა მილეთის სისტემას ეფუძნებოდა. მილეთი ეწოდებოდა რელიგიურ თემს, რომელსაც იმპერია ოფიციალურად აღიარებდა. მას ჰქონდა შეზღუდული თვითმმართველობა საკუთარი კანონების შესაბამისად და განაგებდა ავტონომიურ დაწესებულებებს - სასამართლოებს, სკოლებს, საავადმყოფოებს. რელიგიური თემის სულიერი ლიდერი მილეთის ხელმძღვანელად ითვლებოდა და სამოქალაქო საქმეებიც მოეკითხებოდა. ის პასუხისმგებელი იყო თემის წევრთა ლოიალობაზე სულთნის მიმართ და წესრიგზე თემის შიგნით (Benjamin Braude, ,,Foundation Myths of the Millet System", წიგნში: Benjamin Braude and Bernard Lewis, eds., *Christians and Jews in the Ottoman Empire: The Functioning of a Plural Society*, *Volume I: The Central Lands* (London: Holmes & Meier, 1982), 69-88; Dimitrios Stamatopoulos, ,,From Millets to Minorities in the 19th-Century Ottoman Empire, an Ambiguous Modernization", წიგნში: Steven G. Ellis, Gudmundur Hálfadanarson, and Ann Katherine Isaacs, eds., *Citizenship in Historical Perspective* (Pisa: Edizioni Plus, 2006, 253-273). პირველი მილეთი უკვე 1454 წელს, ბიზანტიის იმპერიის დაცემიდან ერთი წლის თავზე შეიქმნა. ის ბერძნულ ანუ „რუმის" მილეთად იწოდებოდა და ოსმალეთის მთელ ქრისტიანულ მოსახლეობას აერთიანებდა განურჩევლად კონფესიისა. ბუნებრივია, ეს ვითარება ხელს არ აძლევდა არამართლმადიდებლებს, რომლებიც უცხო აღმსარებლობის იერარქის სამოქალაქო განმგებლობაში აღმოჩნდნენ. უკვე 1461 წელს სომხებმა მიაღწიეს დამოუკიდებელ თემად აღიარებას - პორტამ შექმნა ცალკე სომხური მილეთი, რომელიც კონსტანტინოპოლის ახლადშექმნილ სომხურ საპატრიარქოს ჩააბარა. მონოფიზიტი სომეხი პატრიარქის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში აღმოჩნდნენ იმპერიაში მცხოვრები სომხური რიტის კათოლიკეებიც (შოთა ლომსაძე, *გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან*, 27). საკუთარი მილეთის შექმნის უფლება მათ მხოლოდ 1830 წელს მიიღეს.

ჰქონდათ საკუთარი ეკლესია და ღმრთისმსახურებას ფარულად აღავლენდნენ. მათგან განსხვავებით, XVIII საუკუნის შუა წლებისთვის ახალციხეში სომეხ კათოლიკეთა მფლობელობაში ორი ეკლესიაა, მათი რაოდენობა კი 4000 აღწევს.[403]

მ. თამარაშვილი და მასზე დაყრდნობით შ. ლომსაძე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სომეხ კათოლიკეთა გამრავლებას მთლიანად უნიტორთა ორდენის აქტივობას მიაწერენ, რაც მთლად ზუსტი არაა. უკვე XVI საუკუნეში უნიტორების რიცხვი იმდენად შემცირდა, რომ 1583 წელს ისინი დომინიკელთა ორდენს მთლიანად შეერწყნენ, თუმცა, როგორც ჩანს, ღმრთისმსახურებაში სომხური რიტი მაინც შეინარჩუნეს.[404] სომეხ დომინიკელთა მონასტრების რიცხვის შემცირების პროცესი 1745 წელს ნახიჩევანის საეპისკოპოსოს გაუქმებით დასრულდა.[405] შ. ლომსაძის ცნობით: ,,XVIII საუკუნის დასაწყისში უნიტორები განსაკუთრებით არზრუმ-ჰასან-ყალას (ყარსთან) მიდამოებში საქმიანობდნენ, ხალხს აკათოლიკებდნენ. სხვათაშორის, ერთხანს აქ საქმიანობდა ცნობილი მხითარ სევასტაცი". აქ შ. ლომსაძე ერზერუმსა და მის მიდამოებში მოღვაწე კათოლიკეებს შეცდომით უნიტორებად მიიჩნევს. სინამდვილეში ამ დროს ანატოლიაში ლათინი პატრები მოღვაწეობენ. კერძოდ, ერზერუმში მცხოვრებ სომეხ კათოლიკეებს იეზუიტი ბერები უწევენ სულიერ მამობას. არც ცნობილი კათოლიკე ბერი მხითარ სებასტაცი ყოფილა უნიტორი. ის იყო ფუძემდებელი ახალი სომხური სამონასტრო ორდენისა, რომელიც ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე მოქმედი მისიების დახმარებით 1700 წელს შეიქმნა კონსტანტინოპოლში და რომლის წევრებსაც მისი სახელის მიხედვით მხითარისტები ეწოდათ. 1701 წელს კონსტანტინოპოლიდან დევნილმა მხითარმა 1717 წელს ვენეციაში სან ლაძაროს სომხურ

403. Charles A. Frazee, *The Church and the Ottoman Empire 1453-1923* (New York: Cambridge University Press, 2006), 188.
404. იქვე, 76.
405. იქვე, 188-189.

კათოლიკური მონასტერი დაარსა და ფართო სამეცნიერო და საგამომცემლო საქმიანობა გააჩაღა.[406]

დასავლეთევროპული მისიები ოსმალეთის იმპერიაში ექვემდებარებოდა რწმენის პროპაგანდის წმინდა კონგრეგაციას (Sacra Congregatio de Propaganda Fide). კონგრეგაცია რეფორმაციული ეკლესიის წინააღმდეგ საბრძოლველად 1622 წელს საგანგებო ბულით დაამტკიცა პაპმა გრეგორიუს XV-მ. ცნობილია, რომ XVI-XVII საუკუნეებში კათოლიკური ეკლესიისთვის კრიზისული ხანაა. ამ დროს გააქტიურებულმა რეფორმაციულმა მოძრაობამ ვატიკანი აიძულა მთელ მსოფლიოში გაეძლიერებინა მისიონერული საქმიანობა. რომის განსაკუთრებულ ინტერესს ირანისა და ოსმალეთის მიერ დაპყრობილი აღმოსავლეთქრისტიანული ქვეყნები წარმოადგენდა. კონგრეგაციის შექმნიდან მალევე პაპმა ურბან XVIII-მ დააარსა კოლეჯი (Collegium Urbanum), სადაც თორმეტი მოსწავლიდან ერთი ადგილი საქართველოსთვის იყო გამოყოფილი.[407] 1742 წელს კილიკიის სომხური კათოლიკური საპატრიარქოს შექმნის შემდეგ სამცხის კათოლიკეები მას დაექვემდებარნენ.[408] მათგან განსხვავებით, საქართველოს სხვა რეგიონების კათოლიკეები 1633 წლიდან ისპაჰანის ეპისკოპოსის იურისდიქციაში შედიოდნენ.[409]

ზემოთ მოტანილი ცნობების შეჯამებით, შემდეგი სურათი იხატება: ახალციხეში კათოლიკურ საქმიანობას წმ. დომინიკეს ორდენის სომეხი უნიტორი ბერები სავარაუდოდ XIV საუკუნიდან იწყებენ და სამცხეში

---

406. *The New Westminster Dictionary of Church History*, Robert Benedetto, ed., V, 1 (Louisville, London: Westminster John Knox Press, 2008), 49; Alberto Peratoner, *Venice San Lazzaro Degli Armeni* (Milan: Silvana Editoriale, 2011), 4.

407. Charles A. Frazee, *The Church and the Ottoman Empire,* 88-92.

408. საპატრიარქოს იურისდიქციაში არ შედიოდნენ იმპერიის დედაქალაქში მცხოვრები კათოლიკეები. ისინი ექვემდებარებოდნენ კონსტანტინოპოლის ვიკარს, რომლის თანამდებობაც 1740 წელს შექიმნა. სომხური კათოლიკური საპატრიარქოს დაარსების შესახებ ვრცლად იხ.: Charles A. Frazee, *The Church and the Ottoman Empire*, 185-189; Levon Boghos Zekiyan, „Armenians and the Vatican During Eighteen and Nineteenth Centuries: Mekhitar and the Armenian Catholic Patriarchate, the Challenge of Mekhitarian ECUMENISM and Latin-Roman Loyalty", *Het Christelijk Oosten* 52, 3-4 (2000): 251-267.

409. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 130.

სომხურ რიტს ავრცელებენ. XVI საუკუნეში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალეთის იმპერიის დაპყრობის შემდეგ, ადგილობრივი კათოლიკეები სომხური მილეთის ნაწილი გახდნენ. XVIII საუკუნიდან ადგილობრივ მრევლს რელიგიურ სამსახურს უწევენ ვენეციაში მხითარისტების მონასტერში ან რომში ურბანოს კოლეჯში აღზრდილი და კონსტანტინოპოლში სომხურ რიტზე ნაკურთხი ეროვნებით ქართველი ან სომეხი მღვდლები,[410] რომელთაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სომხური რიტის კათოლიციზმის შემომტან უნიტორ ბერებთან კავშირი არა აქვთ.

ლათინური რიტის კათოლიკეები სამცხეში XVIII საუკუნის დასაწყისამდე არ ჩანან. კაპუცინები ახალციხეში 1715 წლის აგვისტოს ჩავიდნენ, თუმცა ადგილობრივმა ფაშამ მათთვის ხონთქარის ფირმანი ვერ მოიპოვა და ორი თვის ლოდინის შემდეგ პატრები იძულებულნი გახდნენ ქართლში დაბრუნებულიყვნენ.[411] ერთი წლის შემდეგ პატრი ალექსი მილანელი კვლავ ჩავიდა ახალციხეში, მაგრამ ამჯერადაც მის სტუმრობას შედეგი არ მოჰყოლია. პატრი რომში წაკითხულ მოხსენებაში საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ახალციხელ კათოლიკეებს ისე ეშინოდათ ადგილობრივი მონოფიზიტი მღვდლის, რომ სურდათ პატრებს რაც შეიძლება მალე დაეტოვებინათ ქალაქი.[412] ზოგადად, ეს პერიოდი ერთ-ერთი უმძიმესია სომეხ კათოლიკეთა ისტორიაში. 1715 წელს არჩეული კონსტანტინოპოლის სომეხ მონოფიზიტთა პატრიარქი ჰოვანეს IX კოლოტი აქტიურად იბრძოდა მათ წინააღმდეგ. მან იმდენს მიაღწია, რომ პორტასგან მიიღო ნებართვა დაეპატიმრებინა კათოლიციზმზე მოქცეული ნებისმიერი სომეხი. ტრაბზონსა და ერზერუმში დახურა იეზუიტთა მისიონები, ხოლო ალეპოსა და მარდინის ეპისკოპოსები დააჭერინა.[413] როგორც ჩანს, ამ საყოველთაო

410. მაგალითად, იოანე ლაზაშვილი, ანტონ თუმანიშვილი, გრიგოლ ბაღინაშვილი. იხ.: ზაქარია ჭიჭინაძე, *ქართველ კათოლიკეთ მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები* (თფილისი: მსწრაფლ-მბეჭდავი არ. ქუთათელაძისა, 1904), 25-34, 50-51.
411. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 412-413.
412. იქვე, 414.
413. Charles A. Frazee, *The Church and the Ottoman Empire*, 181.

დევნას ახალციხელი კათოლიკეებიც უფრთხოდნენ და ლათინ პატრებთან ურთიერთობისაგან თავს იკავებდნენ. ვითარების დაწყნარებას გარკვეული დროს დასჭირდა. ქართლის მისიონის ვიკარმა ნიკოლა ჯირჯენტიმ ახალციხეში მონასტრის დაარსება კაპუცინების პირველი მცდელობიდან არც თუ ძალიან მალე - 1733 წელს მოახერხა.[414] 1740-იან წლებში ახალციხელმა კაპუცინებმა რომიდან ნებართვა მიიღეს ღმრთისმსახურება ლათინურის ნაცვლად ქართულ ენაზე ჩაეტარებინათ.[415]

XVIII საუკუნის II ნახევარში ახალციხეში სამი კათოლიკური ეკლესია იყო - წმ. ჯვრისა (ზემო), წმ. იოანე ნათლისმცემლისა (ქვემო) და ღმრთისმშობლისა.[416] აქედან „ზემო და ქვემო საყდრები" სომხურ-კათოლიკურ მრევლს ემსახურებოდა, ღმრთისმშობლისა კი - ლათინურ-კათოლიკურს, რის გამოც მას „პატრების ეკლესიას" ეძახდნენ. კათოლიკური მოსახლეობა ციტადელის ფერდობზე და მის გარშემო განლაგებულ ძველ ქალაქში - რაბათში ცხოვრობდა. აქვე მდებარეობდა მათი სალოცავები, რომელთაგან ყველაზე მაღლა, მთის წვერზე იდგა წმ. ჯვრის ეკლესია.[417]

1828 წელს რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად ახალციხე რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა. რამდენიმე წელიწადში მდ. ფოცხოვის მარჯვენა ნაპირზე ახალი უბანი - „პლანი" გაშენდა. მის ძირითად მოსახლეობას ერზერუმიდან გადმოსახლებული მონოფიზიტი სომხები შეადგენდნენ. მათთან ერთად აქ ცხოვრობდნენ ქართველი, პოლონელი და სომეხი კათოლიკეებიც. 1839 წლიდან „პლანში" უკვე იყო ღმრთისმშობლის

---

414. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 418.

415. Christopher Lawrence Zugger, *The Forgotten: Catholics of the Soviet Empire from Lenin Through Stalin* (New York: Syracuse University Press, 2001), 471, შენ. 76;
ეს არ იყო პირველი შემთხვევა. რამდენიმე დოკუმენტი ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ XVII საუკუნეში პედრო ავიტაბილეს პაპ ურბანო VIII-ემ ნება დართო ღმრთისმსახურება ქართულ ენაზე ჩაეტარებინა. იხ.: ნინო დობორჯგინიძე, უცნობი საქართველო, იტალიის არქივებსა და მუზეუმებში დაცული წყაროების კვლევა და პუბლიკაცია, *მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო კონფერენციის ,,მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა" მასალები* (თბილისი, 2015), 79, შენ. 9.

416 . ნათია ნაცვლიშვილი, ახალციხის კათოლიკური სიძველეები, *საქართველოს სიძველენი* 20 (2017): 274-306.

417. შოთა ლომსაძე, *სამცხე-ჯავახეთი* (თბილისი: მეცნიერება, 1975), 452-453.

სახელზე ნაკურთხი სომხურ-კათოლიკური რიტის ეკლესია.[418] ამრიგად, XIX საუკუნის შუახანებისათვის ახალციხეში კათოლიკური ეკლესიების რაოდენობა ოთხამდე გაიზარდა. მათგან დღეს მხოლოდ ორი - წმ. ჯვრისა და პატრების ეკლესია შემორჩა. წმ. იოანე ნათლისმცემელი და „პლანის" ღმრთისმშობელი საბჭოთა პერიოდში დაანგრიეს.

სიძველეებით დაინტერესებული მეცნიერები თუ მოგზაურები ახალციხის კათოლიკური სალოცავების ჩამოთვლას, დომინანტური მდებარეობის გამო, როგორც წესი, წმ. ჯვრის ეკლესიით იწყებენ. ევროპელ მეცნიერთაგან მათ ყველაზე ვრცლად შეეხო მარი ბროსე, რომელიც სამცხე-ჯავახეთს 1847 წლის შემოდგომაზე ეწვია. მის მიხედვით, მაღლა დგას წმ. ჯვრის სომხურ-კათოლიკური ეკლესია, რომელიც კოკოლას სახელითაც არის ცნობილი, ცოტა ქვემოთ - ღმრთისმშობლისა, ხოლო კიდევ უფრო ქვემოთ - წმ. იოანე ნათლისმცემლისა (ილ. 107). სულ ბოლოს ის ასახელებს სომხურ კათოლიკურ ეკლესიას ქალაქის ახალ ნაწილში.[419] ახალციხის კათოლიკური ეკლესიების შესახებ ასევე საინტერესო ინფორმაციას იძლევა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მმართველი, ეთნოგრაფი ლეონარდ ზაგურსკი, რომელიც სამაზრო ქალაქში 1872 წელს იმყოფებოდა. მისი თქმით, ქალაქის ძველ ნაწილში ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს განთავსებული სამი კათოლიკური ეკლესიაა. ყველაზე მაღლა წმ. ჯვრის ეკლესია დგას, მის ქვემოთ მდებარეობს წმ. როზალიას რომაულ-კათოლიკური ეკლესია, ხოლო უფრო ქვემოთ - წმ. იოანე ნათლისმცემლისა.[420] ქალაქის ახალ ნაწილში მდებარე სომხური-კათოლიკური ეკლესიის შესახებ ის არაფერს ამბობს.

---

418 . იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბინაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალციხური ქრონიკები, დღიური-მატიანე,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ქავთარიამ (თბილისი: უნივერსალი, 2015), 223.

419. Marie Brosset, *Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847-1848*, 2e livraison, cinquiéme rapport (St.-Pétersbourg: imprimerie de l'Académie Impériale des Sciences, 1851), 139-143.

420 . Леонард Загурский, *Записки Кавказскаго Отдела Имнераторскаго Русскаго Географическаго Общества.* к. VIII (Тифлис: Изданная под редакцию правителя дел отдела Д. И. Коваленскаго, 1873), 17-18. ,,ქართული აკვნის" ფორმის კამარების გამო ლ. ზაგურსკისთვის სამივე ეკლესია ერთი სტილისაა.

მ. ბროსესა და ლ. ზაგურსკის შემდეგ ახალციხის კათოლიკური ეკლესიების ვრცელი აღწერა ზაქარია ჭიჭინაძეს ეკუთვნის. თავის წიგნში *კათოლიკური ეკლესია საქართველოში* ზ. ჭიჭინაძე, ლ. ზაგურსკის მსგავსად, მხოლოდ რაბათის ეკლესიებს ჩამოთვლის. შემდეგი მკვლევარი, რომელმაც საგანგებო ყურადღება დაუთმო სამცხე-ჯავახეთის რეგიონის კათოლიკურ სალოცავებს, გიორგი ბოჭორიძეა. მან ამ მხარეში 1932-33 წლებში იმოგზაურა. ის რაბათის ეკლესიების გვერდით ქალაქის ახალი უბნის - ,,პლანის" ღმრთისმშობლის სახელობის კათოლიკურ ეკლესიასაც ასახელებს.[421]

3.1.2. ახალციხის რაბათის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია

ახალციხის ზოგიერთი კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის ზუსტი თარიღი უცნობია. თუ მ. ბროსეს ვენდობით, მათში ყველაზე ადრეული წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, იგივე ქვემო საყდარია. ლ. ზაგურსკის, ზ. ჭიჭინაძისა და ი. გვარამაძის მიხედვით, თავდაპირველად აქ იდგა ძალიან პატარა სამლოცველო, რომელსაც მოგვიანებით ჩრდილოეთით დიდი დარბაზული ეკლესია მიადგეს. რეკონსტრუქციის შემდეგ ძველ შენობას ჯერ საკრისტიად, შემდეგ კი საზეთედ იყენებდნენ. [422] ძირითადი შენობიდან დამხმარე ნაგებობად ქცეულ სამლოცველოში გასასვლელი კარის არქიტრავზე მ. ბროსეს ამოუკითხავს თარიღის შემცველი წარწერა სომხური ქორონიკონით - 747=1298. [423] წარწერაზე დაყრდნობით ის წმ. იოანე ნათლისმცემელს ახალციხის უძველეს კათოლიკურ ეკლესიად მიიჩნევს: ,,... კათოლიკეთა ყველაზე უძველესი ეკლესია ახალციხეში

---

421 . გიორგი ბოჭორიძე, *მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები, საძიებლები და შესავალი დაურთეს დ. ბერძენიშვილმა, ლ. მელიქიშვილმა, ლ. ხუციშვილმა (თბილისი: მეცნიერება, 1992), 165, 189.

422. Леонард Загурский, *Записки Кавказскаго Отдела*, 18; ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში* (ტფილისი: მსწრაფლ-მბეჭდავი სტმბა არ. ქუთათელაძისა, 1903), 3; ივანე გვარამაძის წერილი მ. თამარაშვილს, 1907, 7 დეკემბერი, საქმე №1251, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

423. Marie Brosset, *Rapports sur un voyage archéologique,* cinquiéme rapport, 140.

არსებობს 1298 წლიდამ."[424] მის აზრს იზიარებენ ზ. ჭიჭინაძე, ლ. ზაგურსკი და მ. თამარაშვილი. ი. გვარამაძემ გადაამოწმა წარწერა და 1298 წლის ნაცვლად 1301 ამოიკითხა. ამასთან, მას ტრაპეზის ქვაზე უნახავს წარწერა, რომლის მიხედვითაც ეკლესიის ძველ ნაწილს VIII-IX საუკუნეებით ათარიღებს. 1907 წლის 7 დეკემბერს მ. თამარაშვილთან გაგზავნილ წერილში გვარამაძე წერს, მ. ბროსე შეცდომაში ამ წარწერის უნახაობამ შეიყვანა და, შესაბამისად, ეკლესიაც შეცდომით დაათარიღაო:

ეკკლესია მე8, მე9 საუკუნის ნაშთია, როგორც სჩანს წა. გს. (წმინდა გიორგის - ნ. ნ.) ტრაპეზის წარწერისგან, რაც შეეხება ბროსეს დაწერილს როგორც თუ 1298 აშენებული იყოს, შეცთომა არის. მე შესაბამის ოდის კარის ქვა ალჩით შელესილი და წაშლილი ჩამოვანგრიე და ვნახე რომ ჯვრიანი ქვა შეუწყვიათ და რიცხვი აქვს ზედ 1301. ამით შემცდარა ბროსე და ესეც ნაკლებად აუნიშნია. მას რომ ენახა გს. (გიორგის - ნ. ნ.) ტრაპეზი მაშინ აღარ შესცდებოდა.[425]

ი. გვარამაძეს წერილში ტრაპეზის წარწერა არ მოაქვს, ამდენად, გაუგებარი რჩება, თუ რაზე დაყრდნობით მიაკუთვნებს ის შენობას ასე ადრეულ პერიოდს.

თავის ანგარიშში მ. ბროსე ასევე ახსენებს ოთხჯვრიან ქვას, რომელიც ამავე სამლოცველოს ერთ-ერთ კედელში ყოფილა ჩადგმული. 1511 წელს გაკეთებულ მემორიალურ ჯვრებზე შემწირველთა სახელებიც იყო დატანილი: მედათიარ, დოვლათიარ, გულთაბარ, მენრათხან. [426] აღნიშნული ქვის შესახებ მეტ ინფორმაციას გვაწვდის ლ. ზაგურსკი. მისი თხოვნით მღვდელმა ტერ პეტროს აღოშოვმა გადმოიღო ჯვრებისა და წარწერების პირი. ასლი გამოქვეყნებულია ლ. ზაგურსკის წიგნში. ესაა ერთ ქვაზე გამოკვეთილი ხუთი (და არა ოთხი, როგორც მ. ბროსე აღნიშნავს) ტოლმკლავა ჯვარი. თითოეული ჯვრის მკლავებს შორის წმინდანის

---

424 . მარი ბროსსე, *საქართველოს ისტორია*, ნათარგმნი და განმარტებული სიმ. ღოღობერიძის მიერ, გამოცემული ნიკ. ღოღობერიძის მიერ (1895, რეპ., ბათუმი: გამომცემლობა აჭარა, 1998), 140.

425 . ივანე გვარამაძის წერილი მ. თამარაშვილს, 1907, 7 დეკემბერი, საქმე №1251, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

426. Marie Brosset, *Rapports sur un voyage archéologique*, cinquiéme rapport, 142-143.

სახელია ჩაწერილი შემდეგი თანმიმდევრობით: წმ. გრიგოლი, წმ. ღმრთისმშობელი, მაცხოვარი, წმ. იოანე და წმ. გიორგი, ხოლო ჯვრების ვერტიკალური მკლავების ქვეშ შემწირველების სახელია გამოყვანილი - სადათიარი, დავლათიარი, გულბაგარი, მურათი და სპანდიარი. მემორიალური ჯვრების შექმნის თარიღი შუა ჯვრის თავზეა დაწერილი. ყველა წარწერა სომხურია და თარიღიც სომხური ქორონიკონით არის მოცემული - 960=1511. ლ. ზაგურსკი მოხსენიებულ პირებს სამლოცველოს შესაძლო განმაახლებლებად მიიჩნევს.[427] ი. გვარამაძე მათ მიაწერს წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ზემოთნახსენებ გაფართოებას:

...აღმოვაჩინე წარწერა წა.იე.ნათ.მცემლის (წმინდა იოანე ნათლისმცემლის - ნ. ნ.) ეკკლესიის საზეთეში, ის მატური ხუთძმას აუშენებია პერსიელებს, რომელნიც უნითორებს გაუქრისტიანებიათ სახელდობრ აწერია ეგვტერის კარზედ სომხურათ. 1510. ასე სადათიერა. დოვლათარა. გულბაჰარა. მურადა და სპანდარა. თვითეეულთ ზედ სახელებს ჩუქურთმიანი ჯვრები აქვს ზედ აწერია ერთს წა. გრიგოლ მეორეს წა ღვთისმშობელი. მესამეს იო. მაცხოვარი. მეოთხე წა. იე. ნათლისმცემელი და მეხუთეს წა გიორგი. ეს შენობა მიუდგიათ ქართველების ძველს ეკკლესიაზედ. 10 სული ძლივ დაეტევა ეს ყოფილა სომხური სალოცავი მერმე ქართველებიც რომ მიუყოლებიათ ლათინის ტიპიკონზედ შესულან ნათლისმცემლის ეკკლესიაც შეუერთებიათ.[428]

ი. გვარამაძისაგან განსხვავებით, ძველი ეკლესიის განვრცობის თარიღად ზ. ჭიჭინაძე XVII-XVIII საუკუნეებს უთითებს, რაც უთუოდ უფრო სწორია. ამ სამუშაოს ჩატარების მიზეზად ისიც ახალციხის კათოლიკური მრევლის გამრავლებას ასახელებს. ზ. ჭიჭინაძე სხვა მკვლევრებთან შედარებით ყველაზე დაწვრილებით აღწერს ეკლესიის არქიტექტურას. ეს აღწერა ქვემოთ თითქმის სრულად მომაქვს:

---

427. Леонард Загурский, *Записки Кавказскаго Отдела*, 18-19;
428. ივანე გვარამაძის წერილი მ. თამარაშვილს, 1907, 7 დეკემბერი, საქმე №1251, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

იოანე ნათლისმცემლის ეკლესია (ახალციხეში) გაკეთებულია XIII საუკუნეში, ზედ მიწევნით 1298 წ. იგი აღუშენებიათ უბრალო დიდრონის თლილის ქვებით, თითქმის ლოდებით, შიგა და შიგ, აქა-იქ კედლეში, ზოგი ერთ ალაგას კარგი ქვებიც ჩაუტანებიათ ... ეკკლესია გაკეთებულია თავის დროის რიცხვის მრევლის კვალობაზედ. თვით ეკკლესიის გარეგანი სახეც მოწმობს მის უხუცესობას. ძველი ეკკლესიის სიგრძე იქნება თორმეტი არშინი და სიგანე შვიდი არშინი ... XVII-XVIII საუკუნოებში, რადგანაც მესხეთსა და ჯავახეთს კათოლიკის მრევლს გამრავლება დაუწყვია, ამიტომ ამ ძველის ეკკლესიისათვის წინიდამ კარგა ვრცელი ეკკლესია მიუდგამთ, ეკკლესია უყავრულო, უფრო ძველებურს მიწურ ქოხსა ჰგავს, ვინემც ეკკლესიას. ახლად მიშენებული კარგა ვრცელია, საკმარისი, ხოლო ძრიელ მდაბიურათ-კი არის გაკეთებული.[429]

წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გაფართოების ზ. ჭიჭინაძისეულ დათარიღებას ადასტურებს და აზუსტებს კათოლიკე მღვდლის სტეფანე აბინაშვილის დღიურის ცნობა. აქ ნათქვამია „1786 წელს სურფ ოვანესი აშენდა"-ო.[430] რამდენიმე წლით ადრე კათოლიკე მღვდლებს საგანგებო კრება მოუწვევიათ და ერთმანეთში მრევლი გაუყვიათ: „წელსა უფლისასა 1781 დეკემბერი 13, ორ[შაბათი] ქვემო საყდარს კრება იქნა ერის გაყოფისათვის".[431] საფიქრებელია, რომ სწორედ ამ გაყოფამ აჩვენა ეკლესიის გადიდების საჭიროება, რაც რამდენიმე წელში განახორციელეს კიდეც. ნაკლებად სარწმუნო ჩანს „კავკასიის კალენდარში" მოტანილი ცნობა, რომლის მიხედვითაც წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია 1750 წელს არის აგებული.[432]

თუ კრიტიკულად განვიხილავთ ზემოთ მოტანილ მონაცემებს, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ეპიგრაფიკული მასალიდან მომდინარე თარიღების უპირობოდ მიღება ძნელია, რადგან წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია დღეს აღარ არსებობს და მისი წარწერებიანი ქვების მოძიება ვერ ხერხდება. შესაბამისად, არ არის წარწერების

---

429. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 3.
430. იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბინაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალციხური ქრონიკები, დღიური-მატიანე*, 164.
431. იქვე, 60.
432. *Кавказский календарь на 1885 год*, 68.

გადამოწმების შესაძლებლობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეკლესია რამდენიმე სამშენებლო პერიოდს მოიცავდა, წარწერებიანი ქვები შეიძლება მეორადი გამოყენებისაც ყოფილიყო და ეგებ სხვა შენობიდან მოტანილიც. ამ ფაქტორების გათვალისწინებით მხოლოდ სავარაუდოდ შეიძლება ითქვას, რომ წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ადგილზე თავდაპირველად მდგარი მცირე ზომის (ზ. ჭიჭინაძის მიხედვით - 8,5 × 5,0 მ) სამლოცველო 1298 თუ 1301 წელს იყო აშენებული. თარიღის შემცველი წარწერის ენიდან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სამლოცველო იმხანად მონოფოზიტ სომხებს ეკუთვნოდა, ვინაიდან სომხური რიტის კათოლიკეების აქტივობა სამცხეში XIV საუკუნის შუახანებამდე მოსალოდნელი არ არის. შეიძლება ასევე დავუშვათ, რომ სომხებმა დაიკავეს და გადააკეთეს უფრო ადრინდელი (ი. გვარამაძის მიხედვით - VIII-IX საუკუნეების) ქართული ეკლესია. გასათვალისწინებელია, რომ XIII საუკუნეში საქართველოს ქალაქებს და, მათ შორის, ახალციხეს თავშესაფრის ძიებაში მრავლად მოაწყდა მუსლიმი დამპყრობლების მიერ შევიწროებული სომხური მოსახლეობა კავკასიისა და აღმოსავლეთ ანატოლიის სხვადასხვა კუთხიდან, რასაც სომხურ-მონოფიზიტური მრევლის მკვეთრი ზრდა უნდა გამოეწვია.

ასევე სავარაუდოდ, წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია 1511 წელს განუახლებიათ. საფიქრელია, რომ ამ შეკეთებას ეკლესიის ზომები და სტრუქტურა არ შეუცვლია. უფრო მასშტაბური იყო 1786 წელს ჩატარებული აღმშენებლობა. გაზრდილი კათოლიკური მრევლის დასატევად ძველ სამლოცველოს ჩრდილოეთიდან მიადგეს ახალი, უფრო დიდი მოცულობა, ხოლო ძველი ნაგებობა იქცა დამხმარე სათავსად, რომელსაც, როგორც ითქვა, ჯერ საკრისტიად, შემდეგ კი საზეთედ იყენებდნენ.

1837 წელს წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია კიდევ ერთხელ შეაკეთეს.[433] ამის მიუხედავად, ის მაინც „მდაბიურად“ გამოიყურებოდა ანუ, როგორც ჩანს, უხარისხოდ ნაგები და არქიტექტურულად უსახური იყო.

---

433. იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბინაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალციხური ქრონიკები, დღიური-მატიანე,* 219.

XIX საუკუნის ბოლოდან აქტიურად განიხილებოდა წმ. იოანე ნათლისმცემლის ძველი ეკლესიის განახლების საკითხი. 1880-იანი წლებიდან ეკლესიის წინამძღვარი ივანე გვარამაძე გახდა. მას 1896 წელს შენობის რეკონსტრუქციის პროექტის თაობაზე ახალციხე-ახალქალაქის მაზრების არქიტექტორთან ლუდვიკ კროპინსკისთან [434] დაუწყია მოლაპარაკება, თუმცა უშედეგოდ. 1907 წლის 1 დეკემბრით დათარიღებულ წერილში ლაზარე გოზალიშვილი მ. თამარაშვილს წერს, ივანე გვარამაძე „ჰსწუხს, რომ ეკკლესია აუგებელი დარჩა"-ო.[435]

წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, რომ მართლაც არ ჰქონდა გამოკვეთილი საეკლესიო ფორმები დ. ერმაკოვის კოლექციაში დაცული, XIX საუკუნის II ნახევრის ორი ფოტოსურათითაც დასტურდება. მათზე გარკვევით მხოლოდ ცალკემდგომი, თაღებით გახსნილი და პირამიდისებური სახურავით დასრულებული სამსართულიანი სამრეკლო მოჩანს. ის მჭიდრო განაშენიანებაშია ჩადგმული, თუმცა რომელიმე შენობაზე დაბეჯითებით თქმა ეკლესიაად შეუძლებელია (ილ. 107).

ი. გვარამაძის ინიციატივა აიტაცა მომდევნო წინამძღვარმა, ძალიან ენერგიულმა და აქტიურმა მღვდელმა მიხეილ ვარძელაშვილმა. ახალციხეში გადმოსვლამდე მას ხიზაბავრაში უკვე ჰქონდა აშენებული კათოლიკური ეკლესია (ვრცლად იხილეთ ქვემოთ). იმავე სოფელში ვარძელაშვილმა ვაჟთა ერთკლასიანი სასწავლებელი ორკლასიანად გადააკეთა და ქალთა სკოლაც დაარსა. [436] სწორედ მისი ძალისხმევით მოხერხდა წმ. იოანე ნათლისმცემლის ახალი ეკლესიის აგება და მასთან ორწლიანი სასწავლებლის გახსნა. მ. ვარძელაშვილი ეკლესიის

---

434. გრიგოლ ჯვარიძე, *ივანე გვარამაძის პირადი არქივის აღწერილობა*, (ახალციხე, 2011), საქმე №774 (2314); ნათია ნაცვლიშვილი, ,,არქიტექტორი ლუდვიკ კროპინსკი", *აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია,* 2014 წლის 11-12 დეკემბერი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ცენტრი (თბილისი, 2014): 19-20.

435. ლაზარე გოზალიშვილის წერილი მ. თამარაშვილს, 1907, 1 დეკემბერი, საქმე №1365, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

436. მ. ვარძელაშვილის წერილი მ. თამარაშვილს, 1905, 10 თებერვალი, საქმე №1617, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

წინამძღვრად 1907 წლის დეკემბერში დაინიშნა და 1913 წლის იანვარში გარდაიცვალა:

1913 წლის იანვრის 28-ს ... გარდაიცვალა წმინდა იოანე ნათლისმცემლის (ქვემო ეკლესიის) წინამძღვარი დეკანოზი მამა მიხეილ ვარძელოვი, რომელმაც თავისი შრომითა და ენერგიით ორ ალაგს ააგო ეკლესია: პირველი - სოფელ ხიზაბავრაში, მეორე - რაბათში (ძველ ნაწილში) წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, რომელიც დღეს ძველ ნაწილს - რაბათს ამშვენებს.[437]

მ. ვარძელაშვილმა წმ. იოანე ნათლისმცემლის ახალი ეკლესიის მშენებლობა 1908 წლის გაზაფხულზე დაიწყო. [438] ახალი შენობისათვის ადგილის გასათავისუფლებლად ადრინდელი ეკლესია მთლიანად დაანგრიეს.[439]

როგორც ჩანს, მშენებლობის დროს მძიმე შეცდომები იქნა დაშვებული, ვინაიდან მ. ვარძელაშვილის გარდაცვალებიდან მალევე ეკლესიამ რღვევა დაიწყო და მისი გამაგრება გახდა საჭირო. თბილისის საისტორიო ცენტრალურ არქივში ინახება ახალციხის წმ. იოანე ნათლისმცემლის სომხურ-კათოლიკური ეკლესიის გადაკეთების პროეტი, რომელიც საქალაქო ინჟინერს ლევაკოვსკის ეკუთვნის. ის 1914 წლის 27 აგვისტოს არის შედგენილი (ილ. 108).[440] განმარტებითი ბარათი პროექტს არ ერთვის. როგორც ნახაზებიდან ირკვევა, რეკონსტრუქცია ითვალისწინებდა შენობის გრძივი კედლების დასავლეთი მონაკვეთების, დასავლეთი კედლის მთლიანად, გადახურვის და სამრეკლოს ზედა ორი სართულის დაშლას და თავიდან ამოყვანას. ხელუხლებელი რჩებოდა ეკლესიის აღმოსავლეთი ნაწილი და სამრეკლოს პირველი სართული. პროექტით დაგეგმილი სამუშაოები პირველი მსოფლიო ომის გამო ვერ განხორციელდა - ეკლესია

---

437. კარლო მღებრიშვილის მოგონება (1920 წელი) წიგნში: ნატო ყრუაშვილი, *სოფელი ხიზაბავრა* (თბილისი: ცოდნა, 2009), 47.
438 . ახალციხელი, ,,ქ. ახალციხე", *ეშმაკის მათრახი*, 1908, 27 ივლისი, №13; ნატო ყრუაშვილი, *ქართველი კათოლიკეები სამცხე-ჯავახეთში* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005), 39-40.
439. ვინმე მესხი, ,,ახალციხე", *ამირანი*, 1908, 9 აგვისტო, №129, 3.
440. სცა, ფონდი №192, ანაწერი № 8ა, საქმე № 10665.

ადრეულ საბჭოთა პერიოდშიც იმ სახით იდგა, როგორადაც ის ააშენა მ. ვარძელაშვილმა. ნაგებობა რომ ნამდვილად ავარიული იყო, ამდროინდელი ფოტოსურათითაც დასტურდება. მასზე ეკლესიის დასავლეთი და სამხრეთი კედლები ერთმანეთს ძლიერ დაშორებულია. ბზარი დაუყვება სამხრეთი კაპელის დასავლეთ სარკმელსაც (ილ. 109).

წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, როგორც ითქვა, ამჟამად აღარ არსებობს. მის არქიტექტურულ გადაწყვეტაზე წამოდგენას გვიქმნის რამდენიმე ძველი ფოტოსურათი და ლევიაკოვსკის 1914 წლის განუხორციელებელი პროექტისათვის მომზადებული ნახაზები - გეგმა, განივი და გრძივი ჭრილები და დასავლეთი ფასადი. გასათვალისწინებელია, რომ ეს რეკონსტრუქციის პროექტია და, შესაბამისად, ნახაზები მხოლოდ ნაწილობრივ და ისიც არცთუ მთლად ზუსტად ასახავს არსებულ შენობას (კედლები, რომლებსაც რეკონსტრუქცია არ უნდა შეხებოდა, მათზე წითლად არის დატანილი, ხოლო ხელახლა ასაგები კედლები - მუქ-წაბლისფრად).

სამსაფეხურიან ცოკოლზე განთავსებული წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია წარმოადგენდა ორფერდა სახურავით გადახურულ დიდი ზომის დარბაზული ნაგებობას სამნაწილიანი საკურთხევლითა და დასავლეთ კედელზე მიდგმული სამსართულიანი სამრეკლოთი. შესასვლელები დასავლეთ კედელში იყო გაჭრილი: შუაში - მაღალი და განიერი, მარჯვენა და ალბათ მარცხენა კიდეებში - უფრო პატარა და ვიწრო. ძველ ფოტოსურათზე ჩანს, რომ მარჯვენა კარს ნახევარწრიული თაღი ჰქონდა და მარტივპროფილიანი საპირე შემოუყვებოდა. მის ზემოთ კედელზე დიდი ნახევარწრის კვალი იკითხება, რაც მოწმობს, რომ კარს წინიდან რაღაც მინაშენი უნდა ჰქონდოდა, რომელიც სავარაუდოდ მშენებლობის პროცესშივე მოხსნეს.

გრძივი კედლების დაახლოებით შუაში მართკუთხა გეგმის მცირე შვერილი კაპელები იყო მოწყობილი. კარვისებური სახურავებით დასრულებული კაპელები აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში

დატანებული თითო ნახევარწრიულთაღოვანი ღიობით ნათდებოდა. ეკლესიის დასავლეთ კედელს ჰქონდა ჩაკეტილი ფრონტონი, რომლის ქვედა ზოლი გრძივი კედლების კარნიზებს აგრძელებდა.

ეკლესიის აღმოსავლეთი მონაკვეთის არქიტექტურული გადაწყვეტა მთლად ნათელი არ არის. 1914 წლის პროექტი, როგორც ითქვა, შენობის ამ ნაწილის რეკონსტრუქციას არ გულისხმობდა და, შესაბამისად, ის არსებული სახით უნდა იყოს დატანილი. გეგმაზე ნახევარწრიულ აფსიდს ორივე მხრიდან მართკუთხა ტრაპეციის გეგმის კუთხის ოთახები ერთვის და ეს სამნაწილიანი საკურთხეველი მთლიანად გეგმის საერთო მართკუთხედშია ჩაწერილი, აღმოსავლეთიდან მას სწორი კედელი საზღვრავს. ამავე დროს, ერთ-ერთ ძველ ფოტოსურათზე გარკვევით ჩანს მძლავრად შვერილი ნახევარცილინდრული აფსიდი (ილ. 110). გვერდითი სათავსები მასზე ბევრად დაბალია და ფოტოსურათზე დიდწილად ხეებით იფარება. შესაძლოა ქვედა ნაწილში (გეგმის დონეზე) ეს სამნაწილიანი საკურთხეველი მართლაც მართკუთხედში ეწერებოდა, მაგრამ უფრო საფიქრელია, რომ ლევიაკოვსკის აქ შეცდომა მოუვიდა და საკურთხევლის აგებულება გეგმაზე არასწორად დაიტანა.

ფოტოსურათზეც და გრძივ ჭრილზეც ჩანს, რომ საკურთხევლის აფსიდი ძირითად მოცულობაზე შესამჩნევად დაბალი იყო და ჰქონდა ცალკე სახურავი, რომლის ფორმაც ხის ძელებით აწყობილი კონქის მრგვალ ფორმას მიჰყვებოდა.

პროექტით ჩაფიქრებული იყო ინტერიერში გრძივ კედლებზე პილასტრების განთავსება და მათ შორის სამ-სამი (შუა მაღალი და მის აქეთ-იქით დაბალი) თაღოვანი სარკმლის გაჭრა. ასეთივე სარკმლების არსებობა მითითებულია გრძივი კედლების აღმოსავლეთ კიდეებში, ეკლესიის იმ ნაწილზე, რომელსაც რეკონსტრუქცია არ უნდა შეხებოდა. ძველ ფოტოსურათზე ამ ადგილას სამის ნაცვლად ერთი სარკმელი ჩანს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პროექტი სიზუსტით არ გამოირჩევა.

წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ფასადები სადა იყო[441]. კედლის წყობა კარგად ჩანს 1920-იანი წლების ფოტოსურათზე, რომელზეც სავარაუდოდ გადაღებულია ახალციხის სამაზრო მუზეუმის დამაარსებელი კონსტანტინე გვარამაძე ეკლესიის ეზოში მდგარ ქვაჯვარასთან ერთად (ილ. 111). მათ უკან კარგად გათლილი ქვის კვადრებით მოპირკეთებული სამხრეთი კაპელის მცირე ნაწილი და ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე მოჩანს.

მეორე ფოტოსურათი წარმოდგენას გვიქმნის არა მხოლოდ 1908-1912 წლებში აგებული ეკლესიის გარე სახეზე, არამედ მის ადგილზეც რაბათის ურბანულ ლანდშაფტში. ის 1921 წლის მარტში უნდა იყოს გადაღებული რაბათის ციხიდან. ფოტოსურათის წინა პლანზე რუსული წითელი არმიის ნაწილია განლაგებული. ჯარის უკან ჯერ ყაზარმის მოზრდილი შენობა მოჩანს (დღეს მისი ადგილი სპორტულ მოედანს უკავია), ხოლო შემდეგ უბნის ხედი იშლება მთაზე შეფენილი სამი კათოლიკური ეკლესიით (ილ. 112). მათკენ მიმავალი გზა ყაზარმის მარჯვნივ ადის (დღევანდელი ა. ყაზბეგის ქუჩა). გზის დასაწყისში, მარცხენა მხარეს წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია დგას. ჩანს მისი სამხრეთი ფასადისა და შვერილი აფსიდის ზედა ნაწილები და სამხრეთი საკრისტიის სახურავი, თუმცა ცუდი გარჩევადობის გამო მის ფორმაზე დაბეჯითებით რაიმეს თქმა შეუძლებელია. შენობის თუნუქის სახურავის სამხრეთ ქანობში ორი სამერცხლურია მოწყობილი. კარგად ჩანს სამრეკლოს სტრუქტურაც. ოთხ-

441 . რეკონსტრუქციის განუხორციელებელი პროექტი უფრო „იმპოზანტურ“ საფასადო გაფორმებას ითვალისწინებდა, როგორც მოწმობს დასავლეთი ფასადის ნახაზი. ფასადისა და მასზე მიდგმული სამრეკლო-კარიბჭის დეკორი ძლიერ ეკლექტურია. ნიშებით აღნიშნული ჩაკეტილი ფრონტონი, ეკლესიის კედლისა და სამრეკლოს პირველი სართულის კიდეებზე აყოლებული რუსტირებული პილასტრები, სამრეკლოს მეორე სართულის შემამკობელი ვერტიკალურად წაგრძელებული მართკუთხა და ტრაპეციის ფორმის გეომეტრიული დეტალები ნეორენესანსული არქიტექტურის რეპერტუარიდან არის ნასესხები, ხოლო სამრეკლოს მესამე სართულის კვადრატული გეგმის კოშკი, რომელსაც წრიული სვეტებიანი ფანჩატური უნდა შეეცვალა, რომანულ არქიტექტურას ბაძავს. მის დასავლეთ კედელში ერთმანეთისგან ნახევარსვეტით გაყოფილი შეწყვილებული სარკმლებია გაკეთებული. სარკმლებს დეკორატიულად გაფორმებული ერთმანეთზე გადაბმული ორი თავსართი ევლება. მათი შეყრის ადგილი სავარაუდოდ ანგელოზის ან ცხოველის თავის სკულპტურული გამოსახულებით უნდა ყოფილიყო აღნიშნული. კოშკის კარნიზის ძირს კბილანების მწკრივი გაუყვება.

ოთხ სვეტზე გადაყვანილი დიდი ნახევარწრიულთაღოვანი ღიობებით გახსნილ ქვედა ორი სართულთაგან პირველი უფრო განიერია. მესამე სართული მაღალი კონუსური სახურავით დასრულებულ სვეტებიან ფანჩატურს წარმოადგენს.

წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის დანგრევის ზუსტი თარიღი უცნობია. 1930-იანი წლების დასაწყისში, როცა გ. ბოჭორიძე ახალციხეში იმყოფებოდა, ის ჯერ კიდევ იდგა. გ. ბოჭორიძე ეკლესიას ერთი წინადადებით ეხება და ამბობს, ახალი შენობააო.[442] ავარიული ნაგებობა, სავარაუდოდ, მალევე დაანგრიეს.

დღეს ნაეკლესიარი საკარმიდამო მიწის ნაკვეთია. ადგილზე დარჩენილია რამდენიმე ჩუქურთმიანი ქვა, საფლავის ქვების ნამტვრევები და დიდი ზომის სომხურწარწერიანი ხაჩკარი (ილ. 113).

3.1.3. ახალციხის რაბათის ღმრთისმშობლის („პატრების") ეკლესია

წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიიდან დაახლოებით 150 მეტრში, ყაზბეგის ქუჩის მარცხენა მხარეს დგას პატრების, იგივე ღმრთისმშობლის, სავარდოსა და როზარის სახელწოდებებით ცნობილი დარბაზული ეკლესიის ნანგრევები და სამრეკლო (ილ. 114). ლათინური წესის ერთადერთი კათოლიკური ეკლესია ახალციხეში კაპუცინ პატრებს ეკუთვნოდა. 1930-იან წლებში, როცა ის გ. ბოჭორიძემ მოინახულა, შენობა სახურავიანად იდგა. მისი აღწერით ეკლესია ასე გამოიყურებოდა:

ახალციხის ქართული კათოლიკური სავარდოს ეკლესია (მას პატრებიანთ ეკლესიასაც უწოდებენ) ერთნავიანი მცირე შენობაა 6,5 × 5 მ, რომელიც განახლებულ-გადაკეთებულა. მას დასავლეთით ნახევარი შენობა აქვს მიშენებული

442. გიორგი ბოჭორიძე, *მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში*, 178.

... მთელი ეკლესიის ახლის და ძველის ზომაა 17 × 5 მ. ჩრდილოეთით ერთი ოთახის მაგვარი აქვს მიდგმული განახლებისას. ეკლესიას ჰხურავს თუნუქი.[443]

დღეს ეკლესიის მხოლოდ ძველი ნაწილია დარჩენილი, ისიც ნახევრად დანგრეული სახით. მართკუთხა დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომისა და ფორმის უხეშად ნატეხი ქვებით არის ნაგები კირის სქელ დუღაბზე (ილ. 115). ალაგ-ალაგ გამოყენებულია შემთხვევითი ფორმის ფლეთილი ქვაც. წყობის რიგების სისწორის დაცვის მცდელობა მხოლოდ აქა-იქ შეიმჩნევა (მაგალითად, ჩრდილოეთ კედელზე), რაიმე კანონზომიერები გარეშე. აფსიდი ბრტყელია და გეგმაში სეგმენტური მოხაზულობა აქვს. საკურთხევლის ცენტრში ვიწრო და მაღალი, მსუბუქად ისრულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი (ილ. 116). სარკმლის ქვემოთ, მის ორსავე მხარეს ბრტყელი ქვებით გადახურული პატარა ნიშებია მოწყობილი. ჩრდილოეთი კედლის მარჯვენა კიდეში გაჭრილი სწორკუთხა კარი გვერდით სათავსში, სავარაუდოდ საკრისტიაში გადიოდა. კარის მარჯვენა ფრთას კამარის საყრდენი იმპოსტით დასრულებული თლილი ქვის პილასტრი აუყვება.

ეკლესიის მწირი დეკორი აღმოსავლეთ ფასადზეა თავმოყრილი. კედლის წყობაში უსისტემოდ ჩართული დიდი ჯვრიანი ფილები მეორადი გამოყენებისაა (ილ. 117). ეკლესიის გარშემო მიმოფანტულ ქვებიდან ერთში უჩუქურთმო კარნიზის ფრაგმენტი ამოიცნობა. რამდენიმე ქვა კვეთილი ჩუქურთმითა და ჯვრებით არის შემკული. ყურადღებას იპყრობს კარის საპირიდან გადარჩენილი წაგრძელებული მართკუთხა ქვა, ძირში წნული ორნამენტით შემკული კვადრატით (ილ. 118). მას ადგას ოთხი ბურთულა, რომლებსაც შესაბამისი რაოდენობის გლუვი ლილვები აუყვება. წმ. ღმრთისმშობლის ეკლესიის კარის საპირის ფრაგმენტი შემკულობის მოტივითა და შესრულების ერთგვარად მშრალი ხასიათით ახლოს დგას სამცხის XIII საუკუნის მიწურულისა და XIV საუკუნის ძეგლებთან (საფარა,

443. იქვე, 182.

ზარზმა, ჭულე) და იმავე პერიოდში უნდა იყოს გაკეთებული.[444] ეს ქვა ეკლესიის ადრინდელ სამშენებლო ფენას ეკუთვნის და მოგვიანებით შენობის აღდგენის დროს ხელმეორედ გამოიყენეს.

ეკლესიის დასავლეთი და ჩრდილოეთი მინაშენები, რომლებსაც ახსენებს გ. ბოჭორიძე, ამჟამად მთლიანად დანგრეულია (ილ. 119). მხოლოდ ერთგან ჩანს დასავლეთი მინაშენის სამხრეთი კედლის უმნიშვნელო კვალი. ის მოწმობს, რომ სიგანით მინაშენი ეკლესიის ძველი ნაწილის ტოლი იყო. სიგრძით ის, როგორც გ. ბოჭორიძის აღწერიდან ჩანს, დაახლოებით ერთნახევარჯერ აღემატებოდა ძველ ნაწილს. როგორც ჩანს, მისი აგების შემდეგ ძველი ეკლესიის დასავლეთი კედელი მოშალეს და სივრცე გააერთიანეს. რაც შეეხება ჩრდილოეთ მინაშენს, რომელიც საკრისტია უნდა ყოფილიყო, მისგან არაფერია დარჩენილი. მის ადგილას ახლა სოფლის გზა გადის.

ეკლესიის ძველი სახის დაზუსტებაში გვეხმარება ზემოთ უკვე ნახსენები, დ. ერმაკოვის კოლექციაში დახული XIX საუკუნის II ნახევრის ორი ფოტოსურათი, რომლებზეც ეკლესია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოჩანს. ფოტოსურათების მიხედვით ეკლესიის დასავლეთი მინაშენი მართკუთხა ფორმის იყო და სიმაღლით თითქმის არ აღემატებოდა აღმოსავლეთ ნაწილს, მაგრამ იმის გამო, რომ ორივეს დამოუკიდებელი და სხვადასხვა კუთხით დახრილი ორქანობა სახურავი ჰქონდა ძველი და ახალი შენობების ერთმანეთისგან გარჩევა ადვილად იყო შესაძლებელი.

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით განცალკევებით დგას სამსართულიანი სამრეკლო (ილ. 120). ის სხვადასხვა ტონის ვარდისფერი და მორუხო ანდეზიტის დიდი თლილი კვადრებით არის ნაგები. სამრეკლოს პირველ სართულს კვადრატული გეგმა აქვს და ყრუ მასიურ ცოკოლს წარმოადგენს. ის სრულდება მაღალი პროფილირებული კარნიზით, რომელიც ჩრდილოეთ კედელზე შუაზეა გაწყვეტილი ხის მისადგმელი კიბის უკეთ დასაფიქსირებლად. სამრეკლოს მეორე სართული

---

444 . ვახტანგ ბერიძე, *სამცხის ხუროთმოძღვრება* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1955), ტაბ., 42, 48, 62, 89.

მთლიანად გახსნილია კუთხეებში აღმართულ კვადრატული გეგმის სვეტებზე გადაყვანილი ოთხი ნახევარწრიული თაღით. სვეტებს ორსაფეხუროვანი ბაზები და პროფილირებული კაპიტელები აქვს. სამრეკლოს მესამე სართული ასეთივე აგებულებისაა, ოღონდ თაღები აქ უფრო უფრო მსუბუქ მრგვალ სვეტებს ეფუძნება. თაღების სიმტკიცის უზრუნველსაყოფად მათი ქუსლების დონეზე ლითონის ძელებია გადებული. სვეტებს ძალიან სახასიათო კაპიტელები აქვს - აბაკის კუთხეებიდან გირჩის მსგავსი წახნაგოვანი მოცულობებია ჩამოზრდილი. მსგავსი სახის სვეტისთავები და ლითონის დგარები სამცხე-ჯავახეთის თითქმის ყველა კათოლიკურ ეკლესიასა თუ სამრეკლოზეა გამოყენებული და რეგიონში ბერძენთა სამშენებლო საქმიანობას უკავშირდება (ამაზე ვრცლად ქვემოთ).[445]

სამრეკლოს ადგას აგურით ამოყვანილი დაბალი პირამიდისებური სახურავი. ამჟამად მოხსნილი საბურველი სავარაუდოდ ლორფინისა უნდა ყოფილიყო.

ახალციხის ღმრთისმშობლის ეკლესიის სამრეკლოსთან სტრუქტურითა და არქიტექტურული გადაწყვეტის მხრივ ახლოს დგას სოფ. არალის კათოლიკური ეკლესიის სამრეკლო (ილ. 140). მესამე იარუსის სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეებზე გაკეთებული წარწერის მიხედვით, ის 1860 წელს არის აშენებული: „ღთის შეწევნით აღშენდა სამრეკლო ესე 1860სა ბარობობის ჟამსა ბალახოვისა." მცირე განსხვავებების მიუხედავად, (მაგალითად, არალში მესამე იარუსის ოთხივე კედელი ფრონტონებით სრულდება და ზოგადად, შენობის ფორმებს მეტი გეომეტრიული მკაფიოება აქვს) ორივე სამრეკლო ერთ პერიოდში, ერთი სამშენებლო ჯგუფის მიერ უნდა იყოს აგებული. როგორც არსებული მასალიდან ჩანს, ისინი სამცხე-ჯავახეთის ეკლესიების სამრეკლოებს შორის უადრესია. რამდენიმე ათეული წლით გვიან აგებულ ეკლესიებში ამ ტიპის სამრეკლოს უშუალოდ შესასვლელი ღიობის წინ

445. Anthony Bryer and others, *The Post-Byzantine Monuments of the Pontos* (Aldershot, Vermont: Ashgate 2002), part 4, 259.

ათავსებენ და მისი პირველი სართული კარიბჭის ფუნქციასაც ასრულებს (ახალციხის წმ. ჯვრისა (1881) და წმ. იოანე ნათლისმცემლის (1908) ეკლესიები, სხვილისი (1893), ხიზაბავრა (1898), წინუბანი (1908)). ცალკე განხილვის საგანია შენობის დასავლეთ კეხზე დადგმული ერთ ან ორიარუსიანი სამრეკლოები, რომელთაც სამცხე-ჯავახეთის ეკლესიების არქიტექტურის თავისებურებებისადმი მიძღვნილ თავში შევეხები.

ახალციხის ღმრთისმშობლის ეკლესიის აგების ზუსტი თარიღი უცნობია. მ. ბროსეს შენობის აღმოსავლეთ ფასადზე უნახავს რამდენიმე სომხურენოვანი სამშენებლო წარწერა: „მე ღვთისმოშიშმა აბრაამმა ავაგე ესე ეკლესია; უფალო შემიწყალე", „ქარასლადინმა ააშენა ... 805=1356 წელს", „ქარასლადინმა საძირკვლიდან ახლიდან ააშენა 891=1442".[446] მათ მ. ბროსეს გარდა არავინ ახსენებს, თუმცა შენობის აღმოსავლეთ ფასადზე ნამდვილად ყოფილა სომხურენოვანი წარწერა, რომლის საფუძველზეც 1844 წელს სომეხ კათოლიკეთა უფროსი წარმოშობით ქართველი პავლე შაჰყულიანი კაპუცინებს ეკლესიას ედავებოდა.[447]

ლ. ზაგურკის ეკლესია საგანგებოდ არ უკვლევია და აგების თარიღად მ. ბროსეს კვალდაკვალ XIV საუკუნეს იმეორებს. [448] მ. თამარაშვილის მიხედვით, ეკლესია 1730-იან წლებში აუშენებიათ კაპუცინებს. ის თვლიდა, რომ მ. ბროსეს მიერ ნანახი წარწერიანი ქვები მეორადი გამოყენების იყო და ძველად ამავე ადგილზე მდებარე ეკლესიას ეკუთვნოდა.[449]

ზ. ჭიჭინაძის აზრით, ეკლესია XIV საუკუნემდე უნდა აეშენებინათ ქართველ მართლმადიდებლებს. მისივე ცნობით, ახალციხეში თურქების გაბატონების შემდგომ შენობა კათოლიკეებისათვის გადაუციათ. კათოლიკეებს კი ის ორჯერ - 1560 და 1630 წლებში განუახლებიათ:

---

446. Marie Brosset, *Rapports sur un voyage archéologique,* cinquiéme rapport, 142.

447. წარწერის წაკითხვა უცდია ტერ იაკობ მურადოვს, მაგრამ ის ძალიან მაღლა იყო განთავსებული და დასაწყისიც დაზიანებული ჰქონდა. მისი წაკითხვით ეკლესია ვიღაც ლათინს აუშენებია ან განუახლებია 488 წელს. სომხური კალენდრით მოტანილი თარიღი 1039 წელს შეესაბამება. ცხადია, რომ წაკითხვა მცდარია (მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 542).

448. Леонард Загурский, *Записки Кавказскаго Отдела*, 19.

449. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 418.

(ეკლესია - ნ. ნ.) ქართველ კათოლიკებს მიუღიათ და 1450 წლიდან იგი ლათინის წესს-რიგის ტიბიკონის მექონ ქართველთათვის დანიშნულა, სადაც XV საუკუნიდამვე ყოველთვის ლათინის პატრები განაგებდენ, რადგანაც ახალციხეში კათოლიკობამ ძველად სწრაფად იწყო აღორძინება, ამიტომ ეს ეკკლესია 1560 წ. საკმარისად შეაკეთეს, გაამაგრეს, მაგრამ საქმე ამით არ გათავდა, სივიწროვე ხელს უშლიდა და ამიტომ იგი 1630 წლებს ისე განაახლეს, რომ შესავლის კართან ზომიერი ეკკლესიაც მიუშენეს.[450]

ზ. ჭიჭინაძის მიერ მოტანილი თარიღები სხვა წყაროებით არ დასტურდება. ამდენად, მათი უკრიტიკოდ მიღება შეუძლებელია. ძნელი წარმოსადგენია ეკლესიის დღეს გადარჩენილი ნაწილი XIV საუკუნეში იყოს აგებული. ძალიან უხარისხო საფასადო წყობა, არაღრმა დაბრტყელებული აფსიდი, ფლეთილი ქვებით გამოყვანილი სარკმელისა და ნიშების თაღები XVIII საუკუნეს უფრო შეეფერება. თუმცა ერთი რამ უდავოა - აქ ნამდვილად იდგა უფრო ადრინდელი, ალბათ XIV საუკუნის ეკლესია, რომლის ქვებიც განახლებისას გამოიყენეს. ისედაც, 1578 წლის შემდეგ თურქები ახალციხეში ცარიელ ადგილზე ახალი ეკლესიის აშენების უფლებას არავის მისცემდნენ, არსებულის გადაკეთება ან განახლება კი სწორედ XVIII საუკუნეში საგანგებო ნებართვის საფუძველზე უკვე შესაძლებელი იყო.

კაპუცინმა ნიკოლო ჯირჯენტიმ ახალციხეში მისიონი, როგორც ითქვა, 1733 წელს დააარსა. პატრი ჯერონიმო ნორჩელის მოხსენებითი ბარათის მიხედვით, ეკლესია მისთვის ადგილობრივ კათოლიკე მრევლს მიუცია იმავე ხანებში.[451] სხვა ცნობიდან ირკვევა, რომ შენობა დანგრეული ყოფილა და პატრმა მისი აღდგენა გადაწყვიტა. მან სტამბოლიდან საჭირო ფირმანიც მიიღო და „შეშა, ქვა, კირი, ყველა დაამზადა". პატრ ნიკოლოს დახმარებას ადგილობრივი მრევლიც დაჰპირდა:

---

450. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 12.
451. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 381. ბარათი გაგზავნილია რომში 1763 წელს.

ბატონო ეს რა კარგი საქმე ჰქენიო; ღმერთმა გაცხონოსო, აშენებაზე გული ნუ შეგიწუხდებაო. იეთარაშვილმა, პარუნ სიმონამ უთხრა: ერთი გვერდის კედელს მე ავაშენებო ჩემის ხარჯითო. ხოჯოანათ ბატონჯანამ უთხრა, ერთი გვერდის კედელს მე ავაშენებ სულ ჩემის ხარჯითაო, მაქანდრიანთ ზურაბამ მოახსენა, ზედა გვერდის კედელსა და ბემბსა მე გავაკეთებო ჩემის ხარჯითაო.[452]

ღმრთისმშობლის ეკლესიის აღდგენა მრევლის დაკარგვის შიშით დროებით შეაფერხა წმ. ჯვრისა და წმ. იოანე ნათლისმცემლის სომხური კათოლიკური ეკლესიების მღვდელმა:

ხსენებულმა დიდმა ტერ-ვანესმა (იოანე - ნ. ნ.) ... დაუძახა ვინც თავისი თარაფი იყო, და უთხრა: რას შვრებითო? ერთი საყდარი გინდათ აშენოთ, და ორი საყდარი დააქციოთო. იმ ვაჟებმა მოახსენეს: რას ბრძანებო? რათ დავაქცევთ ორ საყდარსო. მერე ტერვანესმა მოახსენა: თქვენ რა იცითო ესე იცოდეთ, თუ პატრების საყდარი აშენდა, არც ზემო საყდარში, არც ქვემო საყდარში ერთი მრევლი აღარ მოვაო, სულ იქ წავლენო, და უმრევლო საყდარი უნდა დავუყაროთო, ეცადეთ რომ დაუშალოთო, არ აშენდეს, თვარემა ჩვენი საქმე წახდებაო.[453]

წინააღმდეგობის მიუხედავად, პატრების ეკლესია მაინც განახლდა. მ. თამარაშვილის ცნობით, 1742 წლიდან მასში უკვე დასტურდება ღმრთისმსახურების ჩატარება.[454] „კავკასიის კალენდარში" ეკლესიის აგების თარიღად 1743 წელია მითითებული.[455] არსებითი მნიშვნელობა არ აქვს რომელი ცნობაა უფრო ზუსტი. ასეა თუ ისე, უეჭველია, რომ კაპუცინებმა პატრებმა მათთვის გადაცემული დაქცეული ეკლესიის აღდგენა 1733 წლის შემდეგ დაიწყეს და 1740 წლის შემდეგ მოკლე ხანში დაასრულეს. ეს ის ძველი შენობაა, რომლის კედლებმაც დღემდე მოატანა, XVIII საუკუნის შემდეგ მას, როგორც ჩანს, სახე აღარ უცვლია.

---

452. იქვე, 416-417.
453. იქვე, 417.
454. იქვე, 418.
455. *Кавказский календарь на 1885 год*, 68.

1769 წელს ეჩმიაძინის პატრიარქის მოთხოვნით ახალციხეში დაატყვევეს როგორც სომხური, ისე ლათინური წესის კათოლიკე მღვდლები და ეკლესიებიც დალუქეს.[456] რამდენიმე თვიანი ტყვეობიდან დაბრუნებულ პატრებს ეკლესია და საცხოვრებელი სახლი დაზიანებული დახვდათ,[457] თუმცა მალევე შეაკეთეს.

1791 წელს პატრების ეკლესია გააფართოვეს. „წელსა უფლისა 1791 ... პატრიანთ საყდრის მოდგმული გააკეთ[ეს]“ - გვამცნობს იოანე ხოჯაშვილი.[458] ძნელი სათქმელია, ზუსტად რას უნდა გულისხმობდეს ეს „მოდგმული“ - დასავლეთ მინაშენს, ჩრდილოეთს, თუ ორსავეს. ამჟამად, როგორც ითქვა, ეს მინაშენები აღარ არსებობს და მათ დასათარიღებლად არქიტექტურულ მონაცემებს ვერ მოვიშველიებთ.

გარკვეული წინააღმდეგობების მიუხედავად,[459] კაპუცინები მაინც ახერხებდნენ ახალციხის მისიონის შენარჩუნებას. მისი მნიშვნელობის შესახებ საინტერესო მასალას შეიცავს კაპუცინთა უფროსის ფილიპე ფორანოელის მოხსენება, რომელიც მან 1815 წელს პროპაგანდა ფიდეს გაუგზავნა:

ახალციხეში გვაქვს ერთი პატარა მონასტერი, რომელიც ევროპის წესისამებრ მოწყობილია. აქაური მისიონისათვის ძალიან საჭიროა, რადგან პატრები, უწინარეს ტფილისში მოსვლისა, იქ დგებიან. გვაქვს ეგრეთვე პატარა ეკკლესია ყოვლად წმიდა მარიამის, რომელიც დიდი სასო-სავედრებელია იქაური კათოლიკებისათვის.[460]

---

456. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 442; იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბნაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალციხური ქრონიკები, დღიური-მატიანე*, 17.

457. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 449.

458. იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბნაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალციხური ქრონიკები, დღიური-მატიანე*, 78.

459. მაგალითად, 1800 წლის 12 ივნისს 5 დღით დაულუქავთ პატრების საყდარი და მღვდლები დაუკავებიათ. იქვე, 107, 108.

460. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 503-504.

კაპუცინების მონასტერი განსაკუთრებით რუსების მიერ ახალციხის აღებისას დაზიანდა. პატრი ფილიპე ფორანოელი 1830 წლის 6 მარტს თბილისიდან რომში გაგზავნილ მოხსენებაში წერს:

ახალციხეში გვაქვს ერთი პატარა ღვთისმშობლის ეკკლესია, სადაც კათოლიკები ხშირად და მხურვალებით დაიარებიან. ეხლა კი ეს ეკკლესია მეტად დაზიანებული, ერთ გვერდზე ჩამონგრეული და გაშიშვლებულია. იქაური მონასტერი კი მთლად დაიწვა; დაიწვა ეგრეთვე ოთხი დუქანიც, რომელიც მას ეკუთვნოდა. ეკკლესია, როგორც არის შეკეთდება, მაგრამ მონასტრის ასაშენებლად საჭიროა ექვსასი სკუდი მაინც მისცეს წმიდა კრებამ.[461]

რუსების მიერ დაზიანებული ეკლესიის განახლება უკავშირდება საქართველოში 1829 წელს ჩამოსული კაპუცინი პატრის თომა თემპიელის ახალციხის მისიონში დასახლებას. შესაძლოა, ამ დროს შენობა არა მხოლოდ შეაკეთეს, არამედ ერთ-ერთი ზემოთნახსენები მინაშენიც დაუმატეს, თუმცა დანამდვილებით ამ საკითხზე რისამე თქმა შეუძლებელია.

1838 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ კაპუცინებს მალევე არ გამოუგზავნიათ მისი შემცვლელი და ეკლესია რაღაც დროით დაცარიელდა. [462] ამასობაში ახალციხის სასამართლომ პატრების უძრავი ქონება მთავრობას გადასცა. კაპუცინებს მხოლოდ მოძრავი ქონება დარჩათ. პატრებმა მთავრობასთან იჩივლეს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ არაფერია ცნობილი. ვფიქრობ, ეკლესია იურიდიულად

---

461. იქვე, 516.

462. თომა თემპიელის საფლავის ქვის ფრაგმენტი ამჟამად სამცხე ჯავახეთის მუზეუმში ინახება. მასზე ეპიტაფია ლათინურად და ქართულად არის დატანილი. ლათინური წარწერის დიდი ნაწილი ამოტეხილია, ხოლო ქართული წარწერისგან მხოლოდ პირველი სტრიქონია დარჩენილი. დაუზიანებელი საფლავის ქვა ეკლესიის ეზოში, სამხრეთ მხარეს უნახავს გ. ბოჭორიძეს. ის ქართულ წარწერას ასე კითხულობს: ,,ქ ნ (ი). წელსა უფლისასა 1838 სა ივნისის 7სა მოიხსენეთ პ-ტრი თომა თემფიელი ქაფუჩინი.” იხ.: გიორგი ბოჭორიძე, *მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში*, 182). მ. თამარაშვილს საფლავის ქვა არ უნახავს და პატრის გარდაცვალების თარიღად 1839 წელს ვარაუდობს. იხ.: მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 513, 519; პატრი თომა ადგილობრივ მრევლში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა. იხ.: Леонард Загурский, *Записки Кавказскаго Отдела*, 16-17).

კაპუცინების საკუთრებაში აღარ დაბრუნებულა. კაპუცინთა მისიონის მდგომარეობით ისარგებლა ახალციხის პროვიკარმა პავლე შაჰყულიანმა და ეკლესიაზე პრეტენზია გამოთქვა. ის ცდილობდა შენობა სომეხ კათოლიკეთა ხელში გადასულიყო და პატრების წინააღმდეგ საჩივრებს რუსეთის საიმპერატორო კარზე აგზავნიდა. ამ პრეტენზიებთან გასამკლავებლად პატრებს მოწმეების მოყვანაც კი დასჭირდათ, რათა დაემტკიცებინათ, რომ სამლოცველო დიდი ხნის განმავლობაში მათ მფლობელობაში იყო:

იმავე ეკლესიისათვის ჰქმნა გამოძიება იმავე ალექსოვმა კათოლიკთაგან, სომეხთაგან, და თათრებისაგანაც და ამათ გაქი კარგად დაემტკიცებინათ ვ~ც ალიბეგსა, და ალიბეგის შვილსა თქმითა რომ ჩვენ მამაპაპით ვიცით რომ ეგ ეკლესია პატრებისა ყოფილა ძველადვე და ჩვენც ასე გვინახამს მუდამ პატრების ხელში რომელთ კარგი მონასტერიც აქუნდათ საყდრის გვერდით ცხრაოდიანი და იქ ცხოვრობდნენ და კიდევც ექიმობდნენ.[463]

3. შაჰყულიანის მცდელობით 1844 წლის 9 აგვისტოს ღმრთისმშობლის ეკლესია დალუქეს. მღვდლები კაპუცინთა უფროსს თბილისში დამიანე ვიარეჯიელს სწერდნენ:

შემდგომად საღამოს ლოცვისა მოგვივიდა ბრძანება დაყენებისა, და დილაზედ მძლავრობით მიმღებელმან ეკლესიათა კლიტებისამან დაახშო კარები და არ გვიტევა შესვლად.[464]

ლათინური რიტის მღვდლებმა ეკლესიაზე დაკარგული უფლებები 1845 წლის 4 მარტს აღიდგინეს:

...დიდი გამოძიების შემდგომ მთავრობისაგან დამტკიცებულ იქმნა გამოცხადებით აქ ნაჩალნიკთან ... რომ ეკლესია ღვთისმშობლისა რომელი

463. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 541.
464. იქვე, 545.

ახალციხესა ძველსა, დამტკიცდა რომ ორასი წლის აქეთ კაფუცინის პატრებისა ყოფილა და იმათი არის არავის უფლება არა აქვს მასზედა ...[465]

1845 წელს საქართველოდან კაპუცინების გაძევების შემდეგ პატრების ეკლესიაში წირვა-ლოცვას ლათინურ ტიპიკონზე ნაკურთხი მღვდლები აღავლენდნენ. 1908 წლის 20 ივნისით დათარიღებულ წერილში თბილისის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიიდან ახალციხეში გადმოსული მღვდელი პავლე კალაიჯოვი მ. თამარაშვილს წერს, მინდა ერთი სამლოცველო ,,პლანშიც" გავხსნა, რადგან იქ მცხოვრები ქართველი კათოლიკეები და პოლონელები სიშორის გამო პატრების ეკლესიაში ვერ დადიანო:

პლანში ავირჩიე ერთი ქვითკირის ერთსართულიანი სახლი 4 კარგი ოთახებითა ... თუ ეს სახლი შევიძინე, მასში ერთი დიდი ზალაა და შემეძლო ის სახლი კაპლიცათ (ე. ი. კაპელად, სამლოცველოდ - ნ. ნ.) ვაქციო ... და იქმნება აქაური პატრებიანთ ეკკლესიის ... (არ იკითხება- ნ. ნ.) ამაზე დიდი მოხარული იქნებიან პლანში მცხოვრები ჩვენი ქართველი კათოლიკები და პოლიაკები რომელნიც პლანში ბლომათ არიან და მათ არ უყვარან სომხური წირვა-ლოცვა ... რადგან პლანიდგან ამა პატრებიანთ ეკკლესიაში სიშორის გამო ვერ დაიარებიან იმავე კვირა ჰუქმე დღეებში; მეტადრე ავდრიან დღეებში და ზამთარში.[466]

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, სხვა საეკლესიო ნაგებობების მსგავსად, პატრების ეკლესიაც დაცარიელდა და წლების განმავლობაში მოუვლელობის შედეგად დაზიანებულმა დღევანდლამდე ნანგრევების სახით მოაღწია.

465. იქვე, 547.
466. პავლე კალაიჯოვის წერილი მ. თამარაშვილს, 1908, 20 ივნისი, საქმე № 1919, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

3.1.4. ახალციხის რაბათის წმ. ჯვრის ეკლესია

ღმრთისმშობლის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 200 მეტრში მესამე კათოლიკური ეკლესია დგას (ილ. 121). ძველად სომხურ-კათოლიკური წესის წმ. ჯვრის სახელობის ეკლესიამ XXI საუკუნის დასაწყისამდე ნახევრად დანგრეული სახით მოატანა. 2010-2013 წლებში ის აღადგინეს და სავარდოს ღმრთისმშობლის სახელზე აკურთხეს. ამჟამად ის რომაულ-კათოლიკური რიტისაა.

უკვე ითქვა, რომ წმ. ჯვრის ეკლესიას ასევე ეძახდნენ ზემო საყდარს ან კოკოლას ეკლესიას. ეს უკანასკნელი ადგილობრივი ტოპონიმია - ახალციხის 1810 წლის გეგმის მიხედვით, მთას, რომელზეც წმ. ჯვრის ეკლესია დგას, კოკოლა-სერდარი (სერდარი სამხედრო თანამდებობა იყო ოსმალთა იმპერიაში) რქმევია. ეს სახელწოდება უკავშირდება XVII საუკუნის გამუსლიმებული სამცხელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის, კოკოლა (ნიკოლოზ) შალიკაშვილის (მაჰმუდ ხანის) სახელს. როგორც ჩანს, არსებობდა გადმოცემა, რომელიც წმ. ჯვრის ეკლესიის აგებას კოკოლა შალიკაშვილს მიაწერდა. ეს გადმოცემა აისახა ლ. ზაგურსკის წიგნში - აქ ნათქვამია, კოკოლა ანუ ნიკოლოზი ეკლესიას მისი დამფუძნებლის ნიკოლოზ შალიკოვის გამო შეერქვაო და ამ ცნობის წყაროდ მ. ბროსეა მითითებული,[467] თუმცა მ. ბროსე მსგავსს არაფერს წერს, ის მხოლოდ აღნიშნავს, რომ ეკლესიას „კოკოლას" (Cocola) ეძახიან.[468]

მთის წვერზე განთავსებული ნაგებობა ქალაქის ყველა წერტილიდან მოჩანდა და რაბათის უბნის ურბანულ დომინანტს წარმოადგენდა. „ქალაქის ყველა შენობის თავზე აღიმართებოდა თავისი არქიტექტურითა და სიძველით შესამჩნევი სომხური კათოლიკური ეკლესია" - აღნიშნავდა

467. Леонард Загурский, *Записки Кавказскаго Отдела*, 18. ლ. ზაგურსკი იქვე შენიშნავს, რომ შალიკაშვილის მიერ ეკლესიის აშენება შემორჩენილი წარწერებით არ დასტურდება.
468. Marie Brosset, *Rapports sur un voyage archéologique*, cinquiéme rapport, 140. ,,კოკოლა" საყდრად იხსენიება წმ. ჯვრის ეკლესია 1844 წელს იაკობ მურვანოვის დაწერილ წერილშიც. იხ.: მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 541.

რუსი გენერალი ნიკოლაი უშაკოვი 1820-იანი წლების ახალციხის აღწერისას.[469]

ახალციხის უკვე განხილული კათოლიკური სალოცავების მსგავსად, წმ. ჯვრის ეკლესიის არქიტექტურაც რამდენიმე სამშენებლო ფენას მოიცავს. ის სხვადასხვა დროს აგებული ორი შენობისგან შედგება. უფრო ძველი აღმოსავლეთი ნაწილი წარმოადგენდა მცირე ზომის გუმბათიან ეკლესიას. 2010 წლისათვის მისგან დარჩენილი იყო მხოლოდ სამხრეთი კედელი დაახლოებით კამარის ძირამდე, ჩრდილოეთი კედლის დასავლეთი მონაკვეთი და აღმოსავლეთი კედლის წყობის რამდენიმე რიგი, თუმცა გეგმა ასე თუ ისე იკითხებოდა (ილ. 122). მართკუთხა გეგმის (ზომები - 9.36 × 6.28 მ) შენობის გუმბათი ეყრდნობოდა სამხრეთით ორ თავისუფლად მდგომ გეგმით ჯვრულ ბურჯს (აქედან დასავლეთით მდებარე ბურჯსა და კედელს შორის სივრცე მოგვიანებით ამოუშენებიათ, რის შედეგადაც ის კედელს შეერწყა) და ჩრდილოეთით კედლის მართკუთხა შვერილებს.

შენობის არქიტექტურის შესახებ წარმოდგენის შექმნაში გვეხმარება დიუბუა დე მონპერეს მიერ 1833 წელს შესრულებული ჩანახატი, რომელზეც ის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხით არის აღბეჭდილი (ილ. 123).[470] ეს არის თლილი ქვით ნაგები ჯვარ-გუმბათოვანი მცირე ზომის შენობა, რომელსაც უმნიშვნელო დაზიანებები აქვს - აღმოსავლეთ ფასადზე ამოვარდნილია რამდენიმე საპირე ქვა, ხოლო ჩრდილოეთი მკლავის სახურავის კეხზე მორღვეულია ლორფინის სახურავი. ჩანახატი სიზუსტით არ გამოირჩევა. როგორც ძველ ფოტოსურათებზე ჩანს (ვრცლად მათ ქვემოთ შევეხები) შენობის გარე მოცულობაში ჯვრული სტრუქტურა სუსტად იყო გამოვლენილი - აღმოსავლეთი მკლავი ოდნავ მაღალი იყო კუთხის ნაწილებზე. დიუბუას ჩანახატზე ჩრდილოეთი მკლავი მოკლეა და

469. Николай Ушаков, *История военных действии в Азиатской Турции в 1828 и 1829 годах*, часть первая (Санкт-Петербург: Типографии Эдуарда Праца и Ко, 1836), 286.
470. Frédéric Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase*, Atlas, série d'architecture, série III (Neushatel en Suisse: l'Auteur, 1840), ტაბულა XII.

აღმოსავლეთი მკლავის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე ჩრდილოეთი მკლავის პირს კი არ უსწორდება, არამედ მის წინ მაღალი, ყრუ მინაშენის სახით გრძელდება და ხის კოჭებზე გამართული დამოუკიდებელი ცალფერდა გადახურვა აქვს.

მკლავების გადაკვეთაზე კონუსური სახურავით დასრულებული თორმეტწახნაგა გუმბათია აღმართული. გუმბათის ყელში თითო წახნაგის გამოტოვებით თაღოვანი სარკმელია მოწყობილი. სინამდვილეში ეკლესიას რვაწახნაგა გუმბათი და ოთხი სარკმელი ჰქონდა.

ჩანახატზე გარკვევით იკითხება აღმოსავლეთი კედლის საფასადო წყობაში ჩართული მეორადი გამოყენების ქვები სომხური წარწერებითა და რელიეფური გამოსახულებებით, რომელთა უმეტესობა დღეს დაკარგულია. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფასადის ქვედა რეგისტრში, სარკმლის მარჯვნივ ჩადგმული ქვის დიდი ფილა. მასზე გამოსახულია აღსაყდრებული მაცხოვრის წინაშე მუხლმოყრილი ქტიტორი ეკლესიის მოდელით ხელში. ქტიტორის ზემოთ ქრისტესკენ ხელგაწვდილი კიდევ ერთი ფიგურა დგას. როგორც ჩანს ეს რელიეფი დიუბუას მიერ ახალციხეში ყოფნის შემდგომ მალევე დაიკარგა. მას არ ახსენებს მარი ბროსე, რომელიც აქ ათიოდე წლის შემდეგ იმყოფებოდა.

აღნიშნული რელიეფის გარდა უშუალოდ სარკმლის ქვემოთ ჩადგმული იყო ხუთჯვრიანი დიდი ფილა.[471] მასზე კომპოზიციის ცენტრი უკავია უზარმაზარ განედლებულ ჯვარს, რომლის მკლავებს შორის უფრო მომცრო ზომის ოთხი ჯვარია განაწილებული. ამ ფილის ქვეშ ჰორიზონტალურად ჩადგმული იყო საფლავის ქვა ადამიანის გამოსახულებით.

471. ამის გარდა მთელ ფასადზე შვიდი თუ რვა ხუთჯვრიანი და ერთჯვრიანი ფილა იყო განაწილებული.

აღწერილი რელიეფური გამოსახულებების გარდა საფასადო წყობაში რამდენიმე სომხური წარწერაც იყო ჩადგმული.[472] მ. ბროსეს ცნობით, ზოგიერთი ქვა XV საუკუნის ყოფილა.[473]

როგორც ჩანს, XIX საუკუნის I ნახევარში ეკლესიის ფიზიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. 1860-იანი წლების ფოტოსურათის მიხედვით ის საკმაოდ შელახულია. ფოტოსურათზე ეკლესია ძალიან მკაფიოდ არ ჩანს, ამიტომ რთულია დაბეჯითებით ითქვას თუ რა ტიპის დაზიანებები ჰქონდა მას, თუმცა რჩება შთაბეჭდილება, რომ ნაწილობრივ მორღვეულია გუმბათის ჩრდილო-აღმოსავლეთი მონაკვეთი.

ეკლესიის მდგომარეობის ამსახველი შემდეგი ფოტოსურათი XX საუკუნის I ნახევარს განეკუთვნება (ილ. 124). მასზე ის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან არის აღბეჭდილი. ის უკვე საკმაოდ შელახულია, თუმცა დანგრეული ჯერ არის. გუმბათს თავდაპირველი ზედა ნაწილი მოხსნილი აქვს და ხის თორმეტსარკმლიან ფანჩატურზე დადგმული მაღალი პირამიდული სახურავით სრულდება.

ეკლესიის კედლები ნაგებია სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ქვებით. პირითი მხრიდან ქვები მეტ-ნაკლებად წესიერად არის გათლილი, თუმცა კუთხეები და წიბოები დაუდევრადაა გამოყვანილი და წყობის რიგებიც უსიამოვნოდ არის არეული. ფოტოსურათზე ჩანს პერანგისათვის უხვად გამოუყენებული სპოლია - რელიეფური ჯვრებით შემკული ფილები და საფლავის ქვები, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე იყო საუბარი. მეორადი გამოყენების ქვებით იყო აწყობილი როგორც სამხრეთი და აღმოსავლეთი მკლავების (სავარაუდოდ ჩრდილოეთისაც), ისე გუმბათის

472 . ერთი სამსტრიქონიანი წარწერა სარკმლის თავზე, ორი - სამსტრიქონიანი და ოთხსტრიქონიანი წარწერა ფასადის სამხრეთ კიდეში და კიდევ ერთი ოთხსტრიქონიანი წარწერა ფრონტონის კეხში.

473 . დიუბუას ჩანახატზე ნაჩვენები წარწერების მსგავსად, მ. ბროსეს მიერ წაკითხული ყველა წარწერაც სომხურენოვანია და მათზე თარიღი სომხური წელთაღრიცხვით არის მოტანილი: ,,მემორიალური ჯვარი სამხრეთ კედელზე: ,,903 – 1454, დედაო ჩემო, მე აღვმართე ეს მემორიალური ჯვარი", დასავლეთ კედელზე: ,,924 – 1475..."; აღმოსავლეთ კედელზე: ,,ეს ჯვარი მახსენებს , ჩემს ... მოლ-ხედჩან 904 – 1491"; მარმარილოს ფილაზე აღმოსავლეთ ფასადზე: ,,წმ. ღმრთისმშობლის მაშენებელი არის კარიმ-ოლვარტჩეს, ... გრიგორი, სარგისი, ჟ. ს. - ს მღვდელი ... 900 – 1451". იხ.: Marie Brosset, *Rapports sur un voyage archéologique*, cinquiéme rapport, 140-141. დღეს ყველა ეს ქვა დაკარგულია.

ყელის სარკმლების ჩარჩოებიც. რამდენადაც ფოტოსურათით შეიძლება მსჯელობა, გუმბათის სარკმლების საპირეებს ბოლოებში ბურთულებით აღნიშნული შეწყვილებული ლილვები აფორმებდა, რაც ტიპურია XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის სამცხის ძეგლებისათვის. რაღაც დროს ეკლესია გარედან ერთიანად შეულესავთ (გუმბათის სარკმლების ჩათვლით) და ნალესობაზე ქვის კვადრების რეგულარული წყობის იმიტაცია დაუტანიათ. სწორედ ამ ნალესობის ჩამოცვენის შემდეგ გამოჩნდა კედლის პერანგში ჩადგმული რელიფური ქვები. ეკლესიის იატაკი ქვის ფილებით იყო მოგებული. მისი ფრაგმენტები 2010 წელს ჩატარებული გაწმენდითი სამუშაოების დროს გამოვლინდა.

ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, წმ. ჯვრის ეკლესია XIII საუკუნეში აუგიათ ქართველ მართლმადიდებლებს და შემდგომ კათოლიკეებისათვის დაუთმიათ. ,,1333 წ. ეს ეკკლესია უკვე ქართველ კათოლიკების ხელში სჩანს" - წერს იგი.[474] შენობის კედლებში ჩართული მეორადი გამოყენების არქიტექტურული დეტალები, როგორც ითქვა, მართლაც მიეკუთვნება XIII საუკუნის მიწურულს ან უფრო XIV საუკუნეს და, შესაბამისად, ეს შეიძლება იყოს თარიღი არა წმ. ჯვრისა, არამედ მის ადგილას მდგარი უფრო ადრინდელი ეკლესიისა, რომელიც დაინგრა გვიან შუა საუკუნეებში. რაც შეეხება კათოლიკეების მიერ შენობის ფლობას უკვე 1333 წელს, ეს ცნობა აშკარად მცდარია. კათოლიკე მისიონერების შემოსვლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1340-იან წლებზე ადრე არ დაწყებულა (იხ. ზემოთ) და სრულიად წარმოუდგენელია 1333 წელს აქ იმხელა კათოლიკური თემი ყოფილიყო, რომ მართლმადიდებლებს მისთვის ეკლესია დაეთმოთ.

რაც შეეხება წმ. ჯვრის ეკლესიას, იმ სახით, რომლითაც ის აღბეჭდილია ძველ ფოტოსურათზე (და რომლის ნაშთებმაც ბოლო დრომდე მოატანა), ის აშკარად გვიან შუა საუკუნეებს მიეკუთვნება. შესაძლოა სწორი იყოს 1885 წლის „კავკასიის კალენდარში" მოტანილი

474. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 16.

თარიღი - 1691 წელი, თუმცა მისი წყარო უცნობია.[475] ასეა თუ ისე, გასათვალისწინებელია, რომ წერილობით წყაროების მიხედვით 1730-იან წლებში ეკლესია უკვე მოქმედია - სომეხ კათოლიკეთა „ზემო საყდარი“ იხსენიება პატრების ეკლესიის მშენებლობის ამბებთან დაკავშირებით.[476]

ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, წმ. ჯვრის ეკლესია უკვე 1750 წელს განუახლებიათ.[477] ეს ცნობა შესაძლოა ზუსტი არ იყოს, რადგან ზ. ჭიჭინაძე, როგორც წესი, ზეპირ გადმოცემებს ეყრდნობა ხოლმე.

1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე გენერალი ნ. უშაკოვი, ახალციხის აღწერისას წერს, რომ წმ. ჯვრის ეკლესია წარმოადგენდა მართკუთხა შენობას ვიწრო და მაღალი გუმბათით და შიგნით ბევრი სხვადასხვა განყოფილებით (,,наружная фигура ея имела вид четыреугольника, с высоким и узким куполом, а внутренностьб кроме алтаря и придела заключала в себе ей много других отделений, соединенных тёмными корридорами”).[478] ეს „დერეფნებით დაკავშირებული ბევრი განყოფილება“ დამაფიქრებელია - მომცრო გუმბათიან ეკლესიაში ბევრი ცალკე სათავსის გამოყოფა ვერ მოხერხდებოდა, ეს კიდევ უფრო შეამცირებდა ისედაც შეზღუდულ სამრევლო სივრცეს. როგორც ჩანს, 1829 წელს წმ. ჯვრის ეკლესიას უკვე ჰქონდა მოზრდილი მინაშენი დასავლეთიდან, რომელშიც რამდენიმე სათავსი იყო მოწყობილი. 1866 წელს ეს მინაშენი აიღეს და მის ნაცვლად ეკლესიას დასავლეთიდან ახალი მოცულობა მიადგეს.[479] ამის შემდეგ გუმბათიანი შენობა მთლიანად

---

475. *Кавказский календарь на 1885 год*, 68.

476. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 417.

477. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში*, 16.

478. Николай Ушаков, *История военных действии в Азиатской Турции*, 286.

479 . ,,კავკასიის კალენდარში” ახალციხის კათოლიკურ ეკლესიებს შორის ჯვრის სახელობის ორი ეკლესიაა მითითებული - ერთი ჯვართამაღლებისა 1866 წელს აგებული, მეორე კი წმ. ჯვრისა 1691 წ. აშენებული (*Кавказский календарь на 1885 год*, 68). როგორც ჩანს, წმ. ჯვრის ეკლესია, რომელიც სხვადასხვა დროს აღმართული ორი ნაწილისგან შედგებოდა, კალენდარში შეცდომით ორ ეკლესიად შეიტანეს. როგორც უკვე აღინიშნა, ეკლესიის აღმოსავლეთი ნაწილი გვიან შუა საუკუნეებს განეკუთვნება, ხოლო დასავლეთი სივრცე უეჭველად XIX საუკუნისაა. შესაბამისად, 1691 წელი უნდა იყოს პირველის თარიღი, ხოლო 1866 - მეორისა.

საკურთხეველს დაეთმო. ამ ამბავს ჰყვება ზ. ჭიჭინაძე და სწუხს, დანგრეული ნაწილი ხარისხით ახალს სჯობდაო:

უკანასკნელ-კი დროთა მიმდინარეობის მეოხით ისე შეირყა ეს ძველის ძველი ტაძარი, რომ მისს მრევლთ რიგიანად ვეღარა მოისაზრეს-რა და ძველად აღგებულის ეკკლესიას ძველადვე მიმატებული მშვენიერი ჩუქურთმიანის ქვებით აღშენებული ეკკლესია დააქციეს და მისს მაგიერ უბრალო, სადა თლილი ქვის ეკკლესია აღაგეს, საკურთხველი და ამის გუმბათი-კი ძველის ეკკლესიისა არის, რაც მცირედ გადააკეთეს.[480]

1866 წელს აგებულმა ნაწილმა ბოლო დრომდე ძლიერ დაზიანებული სახით მოატანა. მთლიანად ჩაქცეული იყო გადახურვა, ჩრდილოეთ კედელს აღარ ჰქონდა მოზრდილი მონაკვეთი სარკმლების ზემოთ და საპირე სარკმლების გარშემო. მონგრეული იყო სამხრეთი კედლის ზედა ნაწილი აღმოსავლეთი სარკმლის ჩათვლით. დასავლეთ კედელს მხოლოდ კარნიზი და ფრონტონის კუთხეები ჰქონდა მორღვეული.

მინაშენი მოვარდისფრო და მორუხო-ქვიშისფერი ბაზალტით არის ნაგები (ილ. 125). შიგნით კედლები უხეშად ნატეხი, ხოლო კონსტრუქციული ნაწილები (სარკმლის წირთხლები, პილასტრები და თაღები) კარგად გათლილი ქვებით არის ამოყვანილი. ფასადებს თანაბარზომიერი თლილი ფილების პერანგი მოსავს. დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებულ დარბაზულ სივრცეს (მისი ზომებია: 17.66 × 12.79 მ) ორფერდა სახურავი აქვს. ფასადებს სამ-სამი დიდი ნახევარწრიულთაღოვანი ღიობი ანაწევრებს. სამხრეთი კედლის ცენტრში კარი და მის ორივე მხარეს თითო სარკმელია გაჭრილი. კიდევ ერთი კარი დასავლეთი კედლის მარჯვენა კიდეშია მოწყობილი.

ინტერიერში გრძივ კედლებს აუყვება პილასტრები, რომელთა კაპიტელებზეც ერთსაფეხურიანი ნახევარწრიული თაღებია გადაყვანილი (ილ. 126). დასავლეთ კედელზე მხოლოდ პილასტრებია, მათზე თაღები არ

480. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 16.

გადადის. ნალესობისა და საღებავის ფრაგმენტების მიხედვით, ინტერიერი გაჯით იყო შელესილი და რუხად დაფერილი. სარკმლებს ნალესობით გამოყვანილი პროფილირებული საპირეები შემოუყვებოდა.

მინაშენის აღმოსავლეთ ნაწილში გამოყოფილია მოკლე მონაკვეთი, რომელიც უშუალოდ ემიჯნება ძველი შენობის დასავლეთ კედელს (ეს უკანასკნელი ორი შენობის გაერთიანების მიზნით შუაში გახსნეს და დიდი თაღი მოაწყვეს) (ილ. 127). მინაშენის ძირითადი სივრცისაგან ამ მონაკვეთს ჰყოფს ორ ბურჯზე გადაყვანილი სამი თაღი, ამათგან შუა გვერდითებზე მაღალი და განიერია. აღნიშნული მონაკვეთი ბურჯებიდან გრძივად გადაყვანილი თაღების მეშვეობით სამად იყოფა. ვიწრო სივრცე მინაშენის აღმოსავლეთ კედლებში გაჭრილი თითო პატარა სარკმლით ნათდება.

სუფთად გათლილი კვადრებით მოპირკეთებული ფასადების არქიტექტურული დეკორი მწირია. სარკმლებს პროფილირებული გადანაკეცებიანი თავსართები აქვს. დასავლეთ ფასადზე თავსართები კიდეებით ერთმანეთზეა გადაბმული და შუაკედლისებზე ჰორიზონტალურ სარტყლებს ქმნის. ჩრდილოეთი კედლის სარკმლების თავსართები ერთმანეთს არ ებმის, მაგრამ სარკმლების ზედა ნაწილები 2010-2012 წლის რესტავრაციის დროინდელია და შესაძლოა თავდაპირველ სურათს არ იმეორებდეს. სამხრეთ კარს შემოუყვება ჯვრის ფორმის პროფილირებული საპირე, რომლის ზედა მკლავი თაღოვანია. ჰორიზონტალური მკლავები ვერტიკალურზე ბევრად ვიწროა. ისინი მცირედ აღემატება პერანგის ქვების ორი რიგის სიმაღლეს. საპირეს თითქმის მთლიანად ფარავს 1881 წელს შესასვლელის წინ მიდგმული სამრეკლო. დასავლეთ ფასადზე ნაგებობას აქვს ჩაკეტილი ფრონტონი, რომლის ძირი გრძივი ფასადების პროფილირებული კარნიზების გაგრძელებაა.

როგორც ითქვა, 1881 წელს ეკლესიას სამხრეთი შესასვლელის წინ ორსართულიანი კარიბჭე-სამრეკლო მიადგეს (ილ. 128). მან პირვანდელი სახით, თითქმის დაუზიანებლად მოატანა ჩვენს დრომდე. სამრეკლოს

მეორე იარუსის სამხრეთ კედელზე ამოკაწრული სამშენებლო წარწერა წითელი საღებავითაა დაფერილი: ,,1881 აღაშენა სამრეკლო ესე ელისაბეთ მურვანოვის ასული აზნაუროვის ქვრივმა თვისისა და მშობელ".

მართკუთხა გეგმის სამრეკლო კარგად გათლილი მოყვითალო-ქვიშისფერი კვადრებით არის ნაგები. მისი პირველი სართული ოთხი ღიობით გახსნილ კარიბჭეს წარმოადგენს. ღიობების ნახევარწრიული თაღები კვადრატული გეგმის ბურჯების ორსაფეხუროვან კაპიტელებს ეყრდნობა. ქვედა კორპუსს ზედა ნაწილში წიბოები ირიბად აქვს წაკვეთილი - ისე, რომ მიიღება ტოლფერდა რვაკუთხედი. ამ საფუძველზე დადგმულია რვა მრგვალი სვეტითა და მათზე გადაყვანილი მსუბუქად შეისრული თაღებით შედგენილი რვაწახნაგა ფანჩატური. სვეტებს სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიების სამრეკლოებისათვის სახასიათო კაპიტელები აქვს - აბაკის კუთხეების ქვეშ პატარა კუბური მოცულობებია გამოყვანილი. ფანჩატურის ქვის გუმბათს გარედან რვაწახნაგა პირამიდის ფორმის გადახურვა აქვს. საბურველი ქვისაა.

წმ. ჯვრის ეკლესიასთან გაფორმების თვალსაზრისით ყველაზე ახლოს ჯავახეთის რეგიონში მდებარე სოფელ ვარევანის კათოლიკური ეკლესია დგას (ილ. 227). დარბაზული ტიპის შვერილაფსიდიანი შენობა 1890-იან წლებშია აგებული.[481] მწირი დეკორი აქაც კარ-სარკმლების გარშემოა თავმოყრილი. ნახევარწრიულთაღოვან სარკმლებს მარტივად პროფილირებული თაღოვანი თავსართები აფორმებს, ოღონდ ისინი წმ. ჯვრის ეკლესიის სარკმლების თავსართებისგან განსხვავებით გადანაკეცებიანი არ არის. ჯვრის ფორმის ნახევარწრიულთაღოვანი საპირე ვარევანშიც სამხრეთ კარს შემოწერს. აქ ჰორიზონტალური მკლავები უფრო ვიწროა და პერანგის ქვის ერთ რიგამდეა შემცირებული. მოჩარჩოება უფრო გართულებული ფორმით ოდნავ მოგვიანებით ჯავახეთის რაიონის სოფელ ალასტანის კათოლიკურ ეკლესიაშიც იქნა გამოყენებული (ილ. 260). 1863 წელს აშენებული ეკლესიის სამხრეთი კარის საპირე სწორკუთხაა და

481 . Samvel Karapetian, *Javakhk* (Yerevan: Research on Armenian Architecture (RAA) Foundation 2011), 479.

ერთის ნაცვლად ჰორიზონტალური მკლავების ორი რიგი აქვს.[482] ჯვრის მოხაზულობის ჩარჩოებით გაფორმებული კარ-სარკმლები განსაკუთრებით უხვად XIX საუკუნეში დასავლეთ საქართველოში აგებულ ან შეკეთებულ ეკლესიებში გვხვდება და ყველა მათგანი ბერძენი ოსტატების მშენებლობასთან არის დაკავშირებული: ლეჩხუმის მცხეთის წმ. გიორგის ეკლესია (სამხრეთი კარი, XIX ს-ის I ნახ.),[483] მარტვილის კათედრალი (სამხრეთი კარი და სამხრეთი მკლავის სარკმელი, XIX ს.),[484] კაცხის ტაძარი (ეკლესიის კორპუსის ზედა საფეხურის სარკმლები, 1854 წ.),[485] ქვემო აკეთის მაცხოვრის ეკლესია (სამხრეთი, ჩრდილოეთი და დასავლეთი შესასვლელების საპირეები, 1890-იანი წლები), ზემო აკეთის ეკლესია (სამხრეთი კარი, 1899 წ.), ინაშაურისა და მაქათუბნის ეკლესიები.[486] (ილ. 129, 130, 131).

უეჭველია, რომ სამცხე-ჯავახეთის ზემოთ ჩამოთვლილი კათოლიკური ეკლესიების მაშენებლებიც სწორედ ბერძნები უნდა ყოფილიყვნენ. მათი დიდი ნაკადი რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის შემდეგ სომხებთან ერთად წამოვიდა ერზერუმიდან და სამხრეთ საქართველოში დასახლდა.[487] მათთან ერთად მთელ საქართველოში ოსმალეთის ქვეშევრდომად დარჩენილი ბერძნებიც საქმიანობდნენ. როგორც ჩანს, სამშენებლო საქმეში გაწაფული ოსტატებისთვის სამუშაოს საძებნელად მეზობელ იმპერიაში გამგზავრება მიღებული პრაქტიკა იყო და მათ ასეთ აქტიურ მოძრაობას არცერთი ქვეყანა არ ზღუდავდა. ქვემოთ

---

482. ვახტანგ ბერიძე, *XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება* (თბილისი: კანდელი, 1994), 48.
483. იქვე, 188, სურ. 165.
484. ვახტანგ ბერიძე, *ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია*, ტ. II, (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 2014), 82.
485. იქვე, 72.
486. ე. კვაჭატაძის მოსაზრებით, რომელიც პირად საუბარში გამიზიარა, ორივე XIX საუკუნით უნდა დათარიღდეს. მადლობას ვუხდი მას ფოტოსურათების მოწოდებისთვის.
487. Candan Badem, ,,"Forty Years of Black Days?" The Russian Administration of Kars, Ardahan, and Batum, 1878-1918", წიგნში: *Russian-Ottoman Borderlands the Eastern Question Reconsidered*, Lucien J. Frary and Mara Kozelsky, eds., (Madison, Wisconsin: The University of Wisconsin Press, 2014), 234.

რეგიონის სხვა კათოლიკური ეკლესიების განხილვისას დავინახავთ, რომ მათი ნაწილი ასევე ბერძნების აშენებული უნდა იყოს.

2010-2013 წლებში, როგორც ითქვა, წმ. ჯვრის ეკლესია მთლიანად აღადგინეს (პროექტი განახორციელა არქიტექტურულ-სამშენებლო ფირმამ ,,ემ-ენ პროექტი”). [488] თითქმის მთლიანად ახლიდან აშენდა (შენარჩუნებულია სამხრეთი კედლის მცირე ფრაგმენტი და აღმოსავლეთი კედლის წყობის ქვედა რამდენიმე რიგი) აღმოსავლეთით მდებარე ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ძველისაგან (ილ. 121). მისი გუმბათი უფრო დაბალი, განიერი და გამოკვეთილად რვაწახნაგაა, ხოლო სამხრეთ მკლავში ერთი სწორკუთხა სარკმლის ნაცვლად, შეწყვილებული თაღოვანი ღიობებია მოწყობილი. შეიცვალა გეგმარებაც - ახლა გუმბათი თავისუფლად მდგომ ოთხ ბურჯს ეყრდნობა. დასავლეთის დარბაზულ სივრცეზე აღდგა კედლების დანგრეული ნაწილები, განახლდა დეკორატიული ელემენტები და მოეწყო ხის ორფერდა გადახურვა. ეკლესიის ჩრდილოეთით ჩაკეტილი ტიპის დედათა მონასტერი აშენდა. მისი ერთ-ერთი შენობა ლითონისა და მინის კონსტრუქციით აწყობილი დერეფნის მეშვეობით უშუალოდ უკავშირდება ეკლესიის გუმბათიან ნაწილს. დერეფანი მის ჩრდილოეთ კედელზეა მიდგმული და საკრისტიაში გადის.

წმ. ჯვრის ეკლესიის ვრცელი ეზოს დიდი ნაწილი სასაფლაოს უკავია. ეკლესიის დასავლეთით ზომითა და გაფორმებით გამოირჩევა უცნობი პირის მდიდრული აკლდამა, რომლის კვეთილი შემკულობაც შუა საუკუნეების ქართული, სომხური და ისლამური ხუროთმოძღვრებიდან ნასესხებ მოტივებს შეიცავს. ყველაზე ძველ საფლავის ქვებს შორის არის ახალციხის ვიკარის ტერ გრიქორის 1786 წლის და კათოლიკე ქართველის გოკიელის 1798 წლის საფლავის ქვები. წარწერები ორივეზე მხოლოდ ქართულად არის დატანილი. აქვეა დაკრძალული ივანე გვარამაძე (1831-1912).

---

488 . პროექტი აღრიცხულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურში, აღრიცხვის №1617.

3.1.5. ახალციხის „პლანის" ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია

როგორც დასაწყისში აღინიშნა, მეოთხე კათოლიკური ეკლესია ახალციხეში 1830-იან წლებში ააგეს. მშენებლობას წინ უსწრებდა ქალაქის ურბანული სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილება. 1831 წლამდე ახალციხე მხოლოდ მდინარე ფოცხოვის მარცხენა ნაპირზე იყო გაშენებული. ქალაქი ძალიან დაზარალდა რუსეთ-თურქეთის ომის დროს.

1829 წლის თებერვლის შტურმის შემდეგ ის სანახევროდ დაინგრა და დაცარიელდა.[489] ქალაქის ძველი უბნების ნაწილობრივ განადგურებას თან დაერთო ადრიანოპოლის ზავის შემდეგ ერზერუმიდან ქრისტიანთა - სომხებისა და ბერძნების გადმოსახლება. დაახლოებით 1000 ოჯახი რამდენიმე წელიწადი კარვებში ცხოვრობდა.[490] მალევე ხელისუფლებამ ქალაქის საზღვრების გაფართოების საკითხი დააყენა. 1831 წლის 3 აგვისტოს მდინარე ფოცხოვის მარჯვენა ნაპირზე საზეიმოდ აკურთხეს ახალი უბნისთვის განკუთვნილი ტერიტორია. მსვლელობაში მონაწილეობას იღებდნენ მართლმადიდებლები, მონოფიზიტები, კათოლიკეები და იუდეველები. 15 აგვისტოს აკურთხეს ეკლესიების ასაშენებელი ადგილები.[491] მათგან ერთ-ერთი სომხურ-კათოლიკური ეკლესიისა იყო. 1836 წელს დაწყებული მშენებლობა 1839 წელს დასრულდა.[492]. ის ღმრთისმშობლის მიძინების სახელზე აკურთხეს. 1843 წელს ეკლესიას სამრეკლოც აუშენეს.[493] 1903 წლის 4 ივნისს ახალციხეში ჩასული ტირასპოლის რომაულ-კათოლიკური ეპარქიის ეპისკოპოსი ბარონი ედუარდ ფონ როპი ამ ეკლესიაში მიუღიათ: „ახალციხეში აუარებელი ხალხი დაუხვდა ეპისკოპოზს. მიიღეს გაღმა, ღვთის მშობლის

489. Тифлисския ведомости, 1831, მარტი, №18, 157.
490. შოთა ლომსაძე, *სამცხე-ჯავახეთი* (თბილისი: მეცნიერება, 1975), 454.
491. Тифлисския ведомости, 1831, მარტი, № 18, 157, 158.
492. *Кавказский Календарь на 1885 год*, 68; იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბინაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალციხური ქრონიკები*, 223.
493. Marie Brosset, *Rapports sur un voyage archéologique*, cinquiéme rapport, 143.

მიძინების ეკკლესიაში, სადაც სიტყვა ბრძანა მისმა უსამღვდელოესობამ."[494] 1880-იანი წლების ფოტოსურათის მიხედვით ეს იყო ორფერდა სახურავით გადახურული მარტივი მართკუთხა შენობა (ილ. 132). სახურავის დასავლეთ ბოლოზე მაღალი სამრეკლო იდგა. საბჭოთა პერიოდში დანგრეულ ეკლესიას დაახლოებით დღევანდელი მერიის შენობის ადგილი ეკავა (მ. კოსტავას ქ. №18).

აქვე უნდა აღინიშნოს კათოლიკური ეკლესიის კარის საპირის ფრაგმენტი, რომელიც ამჟამად სამცხე-ჯავახეთის მუზეუმშია დაცული (ილ. 133). მორუხო ქვიშისფერი ანდეზიტის სწორკუთხა ქვა ჯვრის ფორმის ჩარჩოს ზედა ნაწილია. ის კუთხეებში ფრთოსანი ანგელოზების თავებითა და ცენტრში (ჯვრის მკლავის ფარგლებში) მანდორლაში ჩაწერილი ჯვრის რელიეფური გამოსახულებებით არის გაფორმებული. სამწუხაროდ, უცნობია თუ საიდან არის წამოღებული ეს ქვა. შესაბამისად, ამ ეტაპზე შეუძლებელია თქმა თუ რომელ ეკლესიას ამკობდა ის.

3.1.6. ივლიტას ღმრთისმშობლის ეკლესია

სამცხის კათოლიკურ ეკლესიებს შორის ერთ-ერთი უძველესი სოფელ ივლიტას წმ. ჯვრის ეკლესიაა (ილ. 134).[495] დღეს ის ღმრთისმშობლის სახელზეა ნაკურთხი და მართლმადიდებლებს ეკუთვნის. გადმოცემის თანახმად, სოფელმა სახელი ეკლესიიდან მიიღო.[496] ახალციხიდან სამი კილომეტრის დაშორებით მდებარე ივლიტა ქალაქთან სიახლოვის გამო მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა და მასზე

494 . *ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა, ტირასპოლის ეპარხიის ეპისკოპოსი ედუარდ ბარონ-დე როპპი და მისი მოგზაურობა საქართველოში*, შედგენილი და გამოცემული მესხის კონსტანტინე გვარამაძის მიერ (თბილისი: ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის სტამბა, 1903), 34.

495. სცა, ფონდი №1644, ანაწერი №1, საქმე №1.

496. წმ. ივლიტას სახელობის უნდა ყოფილიყო ის ეკლესია, რომელიც აქ შუა საუკუნეებში იდგა.

თავდასხმებისას ზიანიც არაერთხელ განუცდია, რამაც ერთ დროს საკმაოდ დიდი სოფელი მცირე დასახლებად აქცია.[497]

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, რომელიც ძირთადად ეთნოგრაფიულ მასალას ეყრდნობა, პირველი ეკლესია ივლიტაში XII საუკუნეში აუგიათ. XVII საუკუნის დასაწყისში თურქების შემოსევის დროს ის მდინარე ფოცხოვის მარჯვენა ნაპირიდან ნასროლ ყუმბარას შეეწირა. გადმოცემის თანახმად, მდინარეში ჩაყრილი ქვები ადგილობრივ მოსახლეობას შეუგროვებია, ახალციხის ფაშა მოუქრთამავს და 1640 წელს ძველის ადგილზე ახალი ეკლესია აუგია. ის თურქებმა მალევე ხელმეორედ ააოხრეს. დაზიანებული შენობის XVIII საუკუნეში აღდგენას ადგილობრივი მოსახლეობა ახალციხელ ვაჭრებს - მეფისაშვილებს მიაწერდა. ამის შემდეგ ეკლესია კიდევ ერთხელ 1825 წელს განუახლებიათ.[498]

მშენებლობის განსხვავებულ ისტორია მოაქვს გ. ბოჭორიძეს. მის მიხედვით ეკლესია ,,1646 წელს აშენებულა ღამეობით, ამ დროისაა აშენებული აღმოსავლეთი კედელი", 1782 წელს არის აგებული დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლები, ხოლო 1912 წელს - სამხრეთი კედელი.[499] ბოლო განახლებას ვინმე კონსტანტინეს მიაწერდნენ.

ზ. ჭიჭინაძისა და გ. ბოჭორიძის მიერ მოტანილ წლებს მეტნაკლებად ემთხვევა ეკლესიის დასავლეთ კედელზე, შესასვლელი კარის ბალავრის ქვაზე დატანილი სამშენებლო თარიღები (ილ. 135). აქედან ქვის მარჯვენა და მარცხენა კიდეებში ამოკაწრული თარიღები სომხური ქორონიკონით არის დაწერილი: მარცხნივ - 1100 (=1641), ხოლო მარჯვნივ - 1149 (=1691)[500]. მათ შორის არაბული ციფრებით 1782 წელია დატანილი. წლებს

---

497 . Леонард Загурский, *Записки Кавказскаго Отдела Имнераторскаго Русскаго Географическаго Общества*, к.VIII (Тифлис: Изданная под редакцию правителя дел отдела Д. И. Коваленскаго, 1873), 21.

498. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში* (ტფილისი: მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა არ. ქუთათელაძის, 1903), 19-20.

499 . გიორგი ბოჭორიძე, *მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები, საძიებლები და შესავალი დაურთეს დ. ბერძენიშვილმა, ლ. მელიქიშვილმა, ლ. ხუციშვილმა (თბილისი: მეცნიერება, 1992), 45.

500. ეს წარწერები წაიკითხა და გამოაქვეყნა მ. ბროსემ: Marie Brosset, *Rapports sur un Voyage Arch*éologique dans la Géorgie et dans l'Arménie, 2e livraison, cinquiéme rapport (St.-Pétersbourg: Imprimerie de l'Académie Impériale des Sciences, 1851), 140.

განმარტებითი წარწერები არ ახლავს და, ამდენად, ისინი როგორც მთელი შენობის, ისე მისი რომელიმე ნაწილის განახლების თარიღები შეიძლება იყოს.

ზემოთმოტანილი ცნობების შეჯერებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ XVII საუკუნის დასაწყისში დანგრეული ძველი ეკლესიის ადგილას 1641 წელს ახალი ააგეს, თურქების მიერ დაზიანებული შენობა 1691 წელს აღადგინეს, ხოლო 1782 წელს ის კაპიტალურად შეაკეთეს. კიდევ ერთი განახლება ნაგებობამ XIX საუკუნის ბოლოს ან XX საუკუნის დასაწყისში განიცადა.[501]

გასაბჭოების შემდეგ ეკლესიის შენობა საწყობად გადააკეთეს. 1962 წელს ის დაიწვა. ეკლესიის შეკეთება სოფლის კათოლიკე მოსახლეობამ საკუთარ თავზე აიღო. მათ მეზობელი სოფლებიდანაც გაუწიეს დახმარება. ხის მასალა წყალთბილას მცხოვრებლებმა გაიღეს, ხოლო ხელოსნებად სხვილისელები მუშაობდნენ.[502]

საისტორიო წყაროებში ივლიტას ეკლესია 1740-იანი წლებიდან იხსენიება. 1749 წელს აქ უქადაგია პატრ პიერ მარია ბორგიელს. [503] ივანე ხოჯაშვილის ცნობით, 1764 წლის 29 აპრილს ივლიტაში გარდაიცვალა პატრი დონ სტეფანე, რომელიც ეკლესიაში დაკრძალეს. [504] 1767 წელს

---

501. თ. იველაშვილი ამჟამად მდგარ ეკლესიას საკმაოდ ადრეული პერიოდით ათარიღებს: ,,ეს სალოცავი არაუგვიანეს XIII საუკუნისა უნდა იყოს (ამის თქმის უფლებას გვაძლევს ნაგებობის საძირკვლის კონსტრუქციული აგებულება, არსებული საარქივო და ეთნოგრაფიული მასალები)". იხ: თინა იველაშვილი, *სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია* (თბილისი: მემატიანე, 2005), 5. ამ თარიღის გაზიარება შეუძლებელია, რადგან მკვლევრის მიერ მოტანილი არგუმენტაცია არადამაჯერებელია. ივლიტას ეკლესიის საძირკვლის კონსტრუქციული აგებულება შენობის დასათარიღებლად ხელმოსაჭიდს არაფერს შეიცავს, XII-XIII საუკუნეების საარქივო მასალა არ არსებობს, ხოლო ეთნოგრაფიული მასალით არქიტექტურული ძეგლის დათარიღება მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია.

502. იქვე, 26-27.

503. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის* (1902, რეპ., თბილისი: სიესტა 2011), 354-365.

504. წელი უფლისა 1764 აპრილი 29, ხუ[თშაბათი] ქ. ბავთისტიანი დონ სტეფანე მიიცვალა ივლიტას და მასვე ეკლესიაში დაეფლა სომხურის წესით ჩიგიანთ ᲘᲝᲐᲜᲔ მოძღვრის განგებით". იხ.: იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბინაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალცხიური ქრონიკები, დღიური მატიანე,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ნიკო ბერძენიშვილმა და მიხეილ ქავთარიამ (თბილისი: უნივერსალი, 2015), 8.

ივლიტას ეკლესიაში მსახურებას იწყებს პეტრე ყორღანაშვილი. როგორც ჩანს რაღაც პერიოდი ეკლესიაში წირვა არ ტარდებოდა და ტრაპეზის ხელახლა კურთხევა გამხდარა საჭირო. ,,ტრაპეზის შენდობის განახლების" ნებართვა ყორღანაშვილს პაპისგან ოფიციალური საბუთის სახით 1768 წლის 30 აპრილს მიუღია.[505]

ეკლესია სოფლის შუაში, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ დაქანებულ ფერდობზე დგას. დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული დარბაზული შენობა (მიახლოებითი ზომებია: 15,0 მ × 8,8 მ) აღმოსავლეთით სწორკუთხა საკურთხევლით სრულდება (ილ. 136).

შიდა სივრცეს ხის ბრტყელი ჭერი აქვს. მისი ფიცრები გადებულია სამ მსხვილ განივ კოჭზე, რომლებიც ორ გრძივ რიგად გამწკრივებულ სამ წყვილ ხისავე სვეტს ეყრდნობა (ილ. 137). დაბალ მომრგვალებულ ქვის ბაზებზე დაფუძნებული სვეტები კვეთაში კვადრატულია, უხეშად გათლილი. ზედა ნაწილში ისინი გაფართოებულია მიჭედებული სამკუთხა დანამატების მეშვეობით. ზემოდან სვეტებს ასევე ხის ფართო ტრაპეციული „კაპიტელები" ადგას, რის გამოც ისინი ლათინური ასო T-ს ფორმას იღებს. ეს კონსტრუქცია კარგად არის ცნობილი ხის ხუროთმოძღვრებაში. მისი მეშვეობით სახურავის დამჭერი კოჭების დაწოლა უფრო დიდ სიბრტყეზე ნაწილდება და, შესაბამისად, მცირდება მათი ჩატეხვის რისკი.

ივლიტას ეკლესიის შიდა სივრცე საცხოვრებელი სახლის ინტერიერს წააგავს. განსაკუთრებით თვალშისაცემია სვეტების მსგავსება ხალხური საცხოვრებლის - დარბაზის დედაბოძთან. დარბაზი ფართოდ იყო

ეს უნდა იყოს წმ. იოანე ნათლისმცემლის (,,ბავთისტიანი" - ლათინური Baptista-დან) ორდენის პატრი სტეფანო განდოლფო. 1763 წელს საქართველოში მისი წინამძღოლობით რამდენიმე მისიონერი ჩამოვიდა. მათი მიზანი კავკასიის მთებში მისიონის დაარსება იყო. ისინი ჯერ ახალციხეში ჩავიდნენ, საიდანაც მთიანეთისკენ გაემგზავრნენ. გზად მათი წინამძღვარი სტეფანო გარდაიცვალა. ენის უცოდინრობის გამო მისიონერები ვერსად დაბინავდნენ და ახალციხეში დაბრუნება მოუწიათ. მოგვიანებით ისინი ევროპაში დაბრუნდნენ. იხ.: მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 382.

505. იქვე, 338, 341. მეცნიერულად დაუსაბუთებელი და აშკარად ტენდენციურია თ. იველაშვილის მოსაზრება, თითქოს ტრაპეზის განახლება იმიტომ გამხდარა საჭირო, რომ ახლად დანიშნულ მღვდელს მართლმადიდებელთა კვალის წაშლის მიზნით ეკლესია გადაუწვავს და შემდეგ ის კათოლიკური წესით აღუდგენია. იხ.: თინა იველაშვილი, *სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია*, 7-8.

გავრცელებული აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. მისი არაერთი ნიმუში ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი სამცხე-ჯავახეთში. მათ უმეტესობაში (ნასყიდაშვილის დარბაზი ვალეში, ასპანიძის დარბაზი საროში, ლიჩელის, სააკაძის, ფეიქრიშვილის დარბაზები ახალციხის რაბათში და სხვა) [506] დედაბოძი, ივლიტის სვეტების მსგავსად, T-ს ფორმისაა. თუმცა განსხვავებით ამ დედაბოძებისაგან, რომლებიც, როგორც წესი, ხეზე კვეთილი დეკორით არის შემკული, ივლიტაში სვეტები სრულიად სადაა. ეს სისადავე მაფიქრებინებს, რომ ივლიტას ეკლესიის გადახურვა და მისი საყრდენები შენობის ბოლო აღდგენის დროს, 1962 წელს უნდა იყოს გაკეთებული, როცა სამცხე-ჯავახეთში დაიკარგა ხეზე ორნამენტის ჭრის ტრადიცია. სავარაუდოდ, აღდგენისას გაიმეორეს ხანძრამდე მდგარი სვეტების სტრუქტურა.

ამჟამად ხის სვეტები თეთრად, მათი ქვის ბაზები კი წითლად არის შეღებილი. კედლები გაჯითაა გალესილი, ხოლო იატაკზე ე. წ. მოზაიკური ხსნარია დასხმული.[507]

ეკლესიის საკურთხეველი ამჟამად ქვის მაღალი კანკელით არის მოზღუდული. ის დგას რიკულებით შედგენილი დაბალი მოაჯირით მოსაზღვრულ ბაქანზე, რომელიც ეკლესიის კათოლიკეების ხელში ყოფნის დროს არის გაკეთებული. ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში მოწყობილია მსუბუქად შეისრული ფორმის სახატე ნიშა, რომლის ძირში წმინდა წყლისათვის განკუთვნილი ნიჟარაა ჩამაგრებული. კედლიდან წინ გამოშვერილი მომრგვალებული ფორმის ნიჟარა ერთიან ქვაშია გამოთლილი. ამ ნიშაში, საკურთხეველთან ახლოს, უნდა ყოფილიყო დასვენებული ივლიტას ღმრთისმშობლის ხატი, რომელსაც სამცხის კათოლიკეები სასწაულმოქმედად თვლიდნენ და განსაკუთრებულ პატივს

506. Лонгиноз Сумбадзе, *Архитектура грузинского народного жилища дарбази* (Тбилиси: Мецниереба, 1984), ტაბ. 50, 53, 55, 62, 65, 68, 72, 75.

507. 1990-იანი წლების ბოლოს ეკლესიას სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა. იმ დროს დასხმულმა იატაკმა ინტერიერში დაკრძალული კათოლიკეების საფლავები დაფარა.

მიაგებდნენ. ზ. ჭიჭინაძისათვის ადგილობრივ მღვდელს თომა ჩილინგაროვს უთქვამს:

ივლიტის საკვირველ მოქმედი ხატი ართვინიდამ მოუტანია ერთ კათოლიკის დედა-კაცს, ძველად ეს ხატი ოსმალთ მოუტანიათ ერთის ეკკლესიიდამ, მერე მათგან ამ დედა-კაცის ნათესავებს დაუხსნიათ. შემდეგ ამ დედა-კაცს რგებია მხვედრათ. ძველადგანვე ამ ხატს ისე განეთქვა სახელი, რომ ივლიტას ქართველ კათოლიკეთა ღამის თევაც გაუჩინეს. დღესაც აქ ხშირათ მოდიან სხვა და სხვა კათოლიკენი და ღამეს უთევენ.[508]

1907 წელს ვალედან ივლიტაში გადაყვანილ მღვდელს პავლე თუმანიშვილს, რომელსაც ხელმოკლე მრევლის გამო მნიშვნელოვნად შეუმცირდა შემოსავალი, სურდა ხატის პოპულარობით ესარგებლა და ივლიტაში იესოს გულის ძმობა დაეარსებინა. ამ გზით მას მომლოცველების მოზიდვის იმედი ჰქონდა. 1909 წლის 8 თებერვალს პ. თუმანიშვილი მ. თამარაშვილს წერილს უგზავნის და ძმობის დაარსებაში დახმარებას სთხოვს:

... გთხოვთ რომ თუ შეიძლება ამ ძმობის ერთობიდგან მომიშოვოდ უფლება რომ მეც დავაარსო ჩემს ივლიტის ეკკლესიაშიდ, მით უფრო მეტად რომ ამ იესოს გულის ძმობა ვგონებ ჩვენ კავკასიაშიდ არსად არ იმყოფება და ივლიტიის ეკკლესიაშიდ რომ დაარსდეს დიდძალი ხალხი ჩაეწერება ძმობაშიდ, რადგან თუ იცით ამ ეკკლესიაშიდ ასვენია ერთი ღვთისმშობლის ხატი რომელიც მრავალ სასწაულებს ახდენს და მრთელ კავკასიაშიდ დიდი სახელი აქვს ამ ეკკლესიას და თვით რუსეთის რომელიმე ქალაქებშიაც და ზაფხულობით როდესაც აბასტუმანშიდ მიდიან ხოლმე უვიზიტოდ არ დასტოვებენ ხოლმე ამ ეკკლესიას და ბევრიც განგებ მიდიან ხოლმე სალოცავად ამ ეკლესიაშიდ და თვით ზუბალოვებსაც კი ახსოვთ მეტადრე მათ დედას თავის სიცოცხლეშიდ დიდი სიყვარული ჰქონია ამ ხატისა...[509]

---

508. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 21-22.
509. პავლე თათენაშვილის წერილი მ. თამარაშვილს, 1909, 8 თებერვალი, №1774, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

როგორც ჩანს ეს ხატი გასაბჭოების შემდეგ ეკლესიიდან წაიღეს და დაიკარგა. დღეს მის ნაცვლად ნიშაში ღმრთისმშობლის თანამედროვე ხატი დევს.

ხშირი ნგრევისა და განახლების კვალი განსაკუთრებით ცხადად ეკლესიის ექსტერიერს ეტყობა. კედლები სხვადასხვა ფერის ფლეთილი ქვით არის ნაგები. კუთხეები, მართკუთხა სარკმლებისა და კარის ჩარჩოები თლილი კვადრებითაა გამოყვანილი. კუთხეებისა და კარისთვის ძირითადად საფლავის ქვებია ნახმარი. ერთ-ერთი გვიანდელი რემონტის დროს ფასადების ფლეთილი ქვით ნაგები მონაკვეთები ალაგ-ალაგ შელესეს. ცემენტის ეს ,,მონასმები" განსაკუთრებით უსიამოვნოდ ხვდება თვალს და კიდევ უფრო უსახურ იერს აძლევს შენობას (ილ. 138).

ეკლესიას სულ ხუთი სარკმელი აქვს. ერთი სწორკუთხა ღიობი ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთშია გაჭრილი, სამი ასეთივე სარკმელი - სამხრეთ კედელში, ხოლო ერთი ძალიან პატარა თაღოვანი ღიობი - დასავლეთ კედელში. აღმოსავლეთი ფასადი ყრუა.

ერთადერთი კარი დასავლეთი კედლის შუაშია გაჭრილი (ილ. 139). მისი წირთხლები ორი მოზრდილი საფლავის ქვით არის შექმნილი. დასავლეთი ფასადის ქვედა ნაწილს ნახანძრალის კვალი ატყვია - 1,2-1,8 მეტრის სიმაღლემდე ქვები მურისაგან გაშავებულია. ფასადი (განსაკუთრებით მისი მარცხენა მხარე) დიდწილად აწყობილია მეორადი გამოყენების არქიტექტურული ფრაგმენტებითა და საფლავის ქვებით. მათ შორის ყველაზე ძველი ჩანს სარკმლის ან კარის მოჩუქურთმებული საპირის კუთხის ქვა. წნული ორნამენტის სახითა და კვეთის ხარისხით თუ ვიმსჯელებთ, ის XIII-XIV საუკუნეებისა უნდა იყოს. მის მარცხნივ ჩადგმულ საფლავის ქვაზე თაღების მწკრივია დატანილი. კარის ზღუდარის ზემოთ კვადრატული ფორმის მოწითალო ქვაზე სამი მუზარადისებრი თაღია გამოკვეთილი. მის მარჯვნივ პატარა მორუხო

სავარაუდოდ გასაბჭოების შემდეგ ეს ხატი დაიკარგა. იხ.: ხათუნა ხითარიშვილი, ,,ივლიტის ეკლესიის ისტორია", *საგა* 4 (2004): 7.

ფილამ შემოინახა რელიეფური ასოებით შესრულებული ასომთავრული წარწერის ორი სტრიქონის ფრაგმენტი:

1. ... აღისა

2. ...ადას

კარის მარცხნივ ჰორიზონტალურად ჩადგმულ საფლავის ქვას მთლიანად ფარავს რვასტრიქონიანი მხედრული წარწერა: „ქ. საფლავსა ამასა შინა მდებარე არს ცუ[-]ამირა შვილი მართლმადიდებელი გასპარა (ილ. 139). მიიცვალა 1766 დეკემბრის კვ (=26)“.[510] გვარი უჩვეულოა და მისი ზუსტად აღდგენა ერთი დაზიანებული ასოს გამო ვერ ხერხდება. სახელის (გასპარა) მიხედვით, გარდაცვლილი კათოლიკე ჩანს. თუ ეს მართლაც ასეა, მისი ხაზგასმით „მართლმადიდებლად“ მოხსენიება ერთგვარი პოლემიკური ჟესტი უნდა იყოს - წარწერის გამკეთებლებს ალბათ სურდათ ეთქვათ, რომ ჭეშმარიტი რწმენა (ანუ მართლმადიდებლობა) სწორედ კათოლიკობაა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ 1766 წელს სამცხეში ასეთი პოლემიკა აქტუალური არ უნდა ყოფილიყო.

დასავლეთ ფასადში ჩართულია უფრო მცირე არქიტექტურული ფრაგმენტებიც. რამდენიმე ქვაზე სადა ტოლმკლავა ჯვრებია ამოკვეთილი. კარის ზღუდარის ქვაზე დატანილი თარიღის შემცველი წარწერები ზემოთ უკვე იყო ნახსენები.

ჩრდილოეთი ფასადი მთლიანად, გარდა კუთხეებისა, ყორე ქვის უხარისხო წყობითაა ამოყვანილი. ასეთივეა აღმოსავლეთი ფასადიც. მისი წყობის გასამაგრებლად კედელში ჰორიზონტალურად ხის ოთხი ძელი ჩაუყოლებიათ. სამხრეთ ფასადზე წყობა უკეთესია. მასში გვხვდება მეტ-ნაკლებად წესიერად დამუშავებული მოდიდო ქვებიც. სამივე სარკმლის ღიობებს თლილი კვადრები აჩარჩოებს.

კედლები გარედან სრულდება ბრტყლად დალაგებული ფილებით, რომელთა უწყვეტი რიგი ყველა ფასადზე სადა ჰორიზონტალურ კარნიზს ქმნის. დასავლეთ ფასადზე მასში ცხვრის პროტომებია ჩართული. უწინ

510. ივლიტას ორივე ზემოთმოტანილი წარწერა გამოცემული აქვს გ. ბოჭორიძეს. იხ.: გიორგი ბოჭორიძე, *მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში*, 46.

ეკლესიას ბანური გადახურვა ჰქონდა და ფილები მის კიდეებს საზღვრავდა. [511] ამჟამად ბრტყელი გადახურვის თავზე ასბესტის გოფრირებული ფილებით დაბურული ორფერდა სახურავია მოწყობილი. მოკლე ფასადებზე ორ ფერდს შუა მოქცეული არეები („ფრონტონები“) შეფიცრულია.

ზ. ჭიჭინაძე მართებულად შენიშნავს: ,,ეკკლესია თვითონ ღარიბია, სამრეკლო რომ არა ჰქონდეს უამისოთ კაცს ეკკლესიის გარჩევაც ვერ შეეძლება უბრალო მიწურის სახლიდამ”. მისი განმარტებით ეკლესიის ასეთი სახე მხოლოდ იმით იყო გამოწვეული, რომ ოსმალები ქრისტიანებს ,,...თუ არა ივლიტის მსგავსი ეკკლესიის გაკეთება, სხვა გეგმით ეკკლესიის გაკეთების ნებას არავის აძლევდნენ...”.[512]

,,ივლიტას მსგავს ეკლესიაში“ იგულისხმება შენობა, რომელსაც გამოხატულად საეკლესიო ფორმა არ აქვს. მართლაც, ოსმალეთის იმპერიაში არაისლამური ნაგებობების, მათ შორის კათოლიკური ეკლესიების მშენებლობას მკაცრად აკონტროლებდნენ. თითქმის წარმოუდგენელი იყო ცარიელი ადგილზე ახალი შენობის აღმართვა, ნებართვა მხოლოდ ძველი ეკლესიების განახლებაზე გაიცემოდა, ისიც გარკვეული პირობების დაცვით. მაგალითად, დაუშვებელი იყო ძველი ეკლესიის ზომების გაზრდა და არქიტექტურული ფორმების შეცვლა, მასზე ქვის ან აგურის გუმბათის დადგმა. განახლებულ შენობებს ძირითადად ხით ხურავდნენ. აკრძალული იყო სამრეკლოების აგება, ხოლო თუ ეკლესიას ის უკვე ჰქონდა - მასში ზარების დაკიდება.[513]

---

511. იქვე, 45.

512. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 20.

513. Alyson Wharton, ,,Identity and Style Armenian-Ottoman Churches in the Nineteenth Century”, in *Sacred Precincts the Religious Architecture of Non-Muslim Communities across the Islamic World*, Mohammad Gharipour, ed., (Leiden, Boston: Brill, 2015), 79; Paolo Girardelli, ,,Architecture, Identity, and Liminality: On the Use and Meaning of Catholic Spaces in Late Ottoman Istanbul”, *Muqarnas* 22 (2005): 239-240; Sezer Sezim Darnault, *Latin Catholic Buildings in Istanbul: a Historical Perspective (1839-1923)*, (Istanbul: Isis Press, 2004), 51-52.

XVIII საუკუნის მოგზაური ი. გიულდენშტედტი სამცხე-ჯავახეთთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ რწმენის თავისუფლების მიუხედავად ქრისტიანებისთვის ზარების რეკვა აკრძალულიაო. იხ.: *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, ტ. 1, გერმანული

დიდ ქალაქებში ეკლესიებს ქუჩის მომსაზღვრელი ღობეების უკან მალავდნენ, სოფლად კი მათ უბრალო სახლებს ამსგავსებდნენ. ივლიტას მსგავსად, ბანით იყო დახურული ახალციხის წმ. იოანე ნათლისმცემელი, ხიზაბავრას ძველი ეკლესია და სხვა. მათ უმეტესად ადგილობრივი, საერო არქიტექტურაში მეტად გაწაფული ხელოსნები აღადგენდნენ, რაც ასევე თავის კვალს ამჩნევდა ამ ნაგებობებს. საინტერესოა, რომ მკაცრი შეზღუდვების პირობებში ჩამოყალიბებული ტრადიცია სამცხე-ჯავახეთის კათოლიკურ საეკლესიო მშენებლობაში დიდწილად გრძელდება 1828 წლის შემდეგაც, როცა რეგიონში ბევრად უფრო ლიბერალური რუსული რეგულაციები შემოდის. ამ პერიოდის ეკლესიები (უდეს გამოკლებით) ცალნავიანი პროფილისაა, ძლიერ დამჯდარი პროპორციებით, დაბალი სახურავითა და „მინიმალისტურად“ გაფორმებული ფასადებით. ოსმალებისდროინდელი კათოლიკური ეკლესიებისაგან განმასხვავებელი არსებითი ელემენტია ცალკე მდგომი თუ ეკლესიის ძირითად კორპუსთან შერწყმული სამრეკლო, რომლის დადგმის უფლებაც კათოლიკურმა თემებმა რუსული ხელისუფლების დროს მოიპოვეს. დიუბუა დე მონპერე, რომელიც ახალციხეში 1833 წელს იმყოფებოდა, ადგილობრივ კათოლიკეებზე წერს:

... სიხარულით ჩქარობდნენ ისინი აღემართათ სამრეკლოები თავიანთ ეკლესიებთან, რაც მათ ეკრძალებოდათ თურქების დროს. მათი სამრეკლოების სახეს ქმნის მიწაში ჩარჭობილი ოთხი გრძელი ძელი ზედ პატარა სახურავით. მათში დიდი ზეიმით ჩამოკიდეს ზარები, როგორც მოწმობა ქრისტიანობის ტრიუმფისა.[514]

მარტივი სამრეკლო ივლიტას ეკლესიასაც აქვს. მის დასავლეთ ფასადთან მიწაში ჩამაგრებულია ლითონის ორ მილი. მათზე მოწყობილია

ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962), 215.

514. Frédéric Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase, chez les tcherkesses et les abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée*, t. II (Paris: Librarie de Gide, 1839), 266.

ლითონის ფერმები, რომლებიც თუნუქის ორფერდა სახურავს იკავებს. სახურავის ქვეშ ორი ზარი ჰკიდია. თავისთავად საინტერესო ამ გვიანდელ კონსტრუქციაში არაფერია, თუმცა ის ძალიან ჰგავს დიუბუას მიერ აღწერილ სამრეკლოებს და ეკლესიის ძველი სამრეკლოს სტრუქტურას უნდა იმეორებდეს.

ვფიქრობ, ივლიტას ეკლესია სამცხე-ჯავახეთის კათოლიკურ ეკლესიებს შორის ერთადერთია, რომელმაც XIX-XX საუკუნეების აღდგენა-გადაკეთებების მიუხედავად, ოსმალებისდროინდელი არქიტექტურული სახე ნაწილობრივ მაინც შეინარჩუნა.

1991 წლიდან ივლიტას ეკლესია მართლმადიდებლების ხელში გადავიდა, თუმცა 2011 წლამდე აქ კათოლიკეებიც ლოცულობდნენ. სამხრეთ კედელთან მათ ამისთვის შესაბამისი ადგილი ჰქონდათ დათმობილი. ბოლო რამდენიმე წელია ეკლესიით მხოლოდ მართლმადიდებლები სარგებლობენ.

3.1.7. არალის წმ. იოსების ეკლესია

სოფელი არალი ადიგენიდან 19, ახალციხიდან კი 17 კილომეტრის დაშორებით, მდ. ქვაბლიანის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. უდეს, ვალეს და ივლიტას მსგავსად, მისი მოსახლეობის უმრავლესობასაც ქართველი კათოლიკეები შეადგენდნენ.[515]

პირველად არალის კათოლიკურ ეკლესიას თავის დღიურში ახსენებს მღვდელი იოანე ხოჯაშვილი: ,,კა. ქ. არლელი ბალის ვაჟი გრიქორაი მოვნათლე. და სვინა იყო არლელი ბერი. ქ~კს უნდა(454)-ს. აპრილის Ბ(8)

515. არალის ეკლესია ქართველი კათოლიკეების ეკლესიად არის მოხსენიებული გაზეთ ,,ივერიაში" გამოქვეყნებულ ცნობაში, რომელიც 1880 წელს შენობის გაძარცვას ეხება. ი. ბ., არალი (ახალციხის მაზრა), *ივერია*, 1902, 30 ნოემბერი, №257, 2.

არლის ეკლესიაში, რომელს ჰქვია ყოვლად წმიდისა.“ [516] შესაძლოა ეს სწორედ ის შენობაა, რომელზეც ზ. ჭიჭინაძე წერს XVIII საუკუნეში ოსმალებმა დაანგრიესო. [517] მისი ცნობით: ,,XVIII საუკუნეს შემუსვრილის ეკკლესიის ქვებით და სხვა მასალით ქართველ კათოლიკებმა სხვაგან დადგეს პატარა ეკკლესია, სადაც ლოცვაც მოათავსეს.“ მართლაც, XIX საუკუნის ორი - 1818 წლის და 1840-იანი წლების დოკუმენტის მიხედვით არალში უკვე სურბ ნიშნის (იგივე წმ. ჯვარი) ქვის ეკლესია დგას.[518]

როგორც ჩანს უხარისხოდ ნაგები შენობა მალე დაზიანდა და მრევლმა ის XIX საუკუნის II ნახევარში ახალი, წმ. იოსების სახელობის ეკლესიით ჩაანაცვლა. ეკლესიის სამხრეთ ფასადთან დგას სამსართულიანი სამრეკლო, რომლის მესამე იარუსზე სამშენებლო წარწერაა გაკეთებული: ,,ღთის შეწევნით აღშენდა სამრეკლო ესე 1860სა ბარობობის ჟამსა ბალახოვისა.“ მასზე დაყრდნობით ეკლესიის აგების თარიღი 1850-იანი წლების მიწურულით უნდა განისაზღვროს.

არალის კათოლიკური ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა (გარე ზომები: 18.25 მ × 9.60 მ). მართკუთხა გეგმის შენობა დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზეა წაგრძელებული და აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდით სრულდება (ილ. 140). საკურთხევლის აქეთ-იქით მართკუთხა გეგმის დამხმარე ოთახებია განთავსებული. ისინი თაღოვანი კარების მეშვეობით უკავშირდება როგორც საკურთხეველს, ისე ეკლესიის ძირითად სივრცეს. ეს უკანასკნელი ორი წყვილი სვეტის მეშვეობით სამ ნავად არის გაყოფილი

---

516 . იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბინაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალცხიური ქრონიკები, დღიური-მატიანე,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ქავთარიამ (თბილისი: უნივერსალი, 2015), 137.

517 . ჭიჭინაძე ამბობს ოსმალებმა ეკლესია ,,XVIII საუკუნის ნახევარს“ დაანგრიესო. ,,ნახევარი“ ამ შემთხვევაში შეიძლება XVIII საუკუნის II ნახევარსაც ნიშნავდეს. იხ.: ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში* (ტფილისი: მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა არ. ქუთათელაძისა, 1903), 33-34.

518 . იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბინაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალცხიური ქრონიკები, დღიური-მატიანე,* 238; სცა, ფონდი №1644, ანაწერი №1, საქმე №1; არალში ქვის სამლოცველოს (chapelle) ახსენებს მ. ბროსეც, რომელიც აქ 1847 წლის შემოდგომაზე იმყოფებიდა. იხ.: Marie Brosset, *Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847-1848*, 2e livraison, 2e rapport (St.-Pétersbourg: Imprimerie de l'Académie Impériale des Sciences, 1851), 131.

(ილ. 141). შუა ნავი გვერდითებთან შედარებით მაღალი და განიერია. მსხვილ წრიულ სვეტებს ასრულებს დიდი მძიმე კაპიტელები, რომლებიც აბაკის კუთხეებიდან ჩამოზრდილი მართკუთხა ფორმის ელემენტებით არის გაფორმებული. არალის ეკლესიის სვეტებთან პროპორციების თვალსაზრისით ყველაზე ახლოს დგას 1862 წელს აშენებული ვალეს კათოლიკური ეკლესიის სვეტები (ილ. 150). ამავე პერიოდის სხვა ეკლესიებში ისინი უფრო მაღალი და თხელია (ალასტანი - 1863; ნაოხრები - 1863-65) (ილ. 257, 160).

ეკლესიის კამარა ქვისაა. გვერდითი ნავების კამარების საბჯენი თაღები გრძივ კედლებზე აყოლებულ ერთსაფეხურიან პილასტრებს ეყრდნობა, ხოლო ცენტრალური ნავის საბჯენი თაღები კრონშტაინებს ეფუძნება.

დასავლეთი კედლის წინ სივრცე ხის ერთსართულიან გალერეას უკავია (ილ. 142). მისი იატაკი ქვის სვეტებსა და უშუალოდ კედელზე მიდგმულ ხის ორ პილასტრს ეფუძნება. გალერეაზე ასასვლელი ერთმარშიანი კიბე სამხრეთ კედელზეა მიდგმული. კიბის ქვეშ სივრცე შეფიცრულია და სათავსოდ გამოიყენება.

ბაზილიკური ფორმა ეკლესიის გარე მასებში არ მჟღავნდება. მისი სამივე ნავი საერთო ორფერდა სახურავშია მოქცეული და, შესაბამისად, ეკლესიას ცალნავიანი შენობის პროფილი აქვს. ის ლორფინით არის დაბურული. სრულიად მოურთავ ფასადებს კარგად გათლილი ღია ქვიშისფერი, რუხი და ღვინისფერი ანდეზიტის ფილების პერანგი მოსავს. ეს პოლიქრომია ნაგებობის ერთადერთ დეკორად შეიძლება ჩაითვალოს.

შესასვლელი ეკლესიას სამხრეთ კედელში აქვს. მის მარცხნივ იყო ერთი სარკმელი, ხოლო მარჯვნივ - მიწიდან მაღლა გაჭრილი კარი, რომელიც სამრეკლოსა და ეკლესიის გალერეას ერთმანეთთან აკავშირებდა. შესასვლელის წინ იდგა ოთხ მრგვალ სვეტზე გამართული, ცალფერდა სახურავით გადახურული კარიბჭე (ილ. 143). 2013 წელს კარიბჭე მოშალეს და ეკლესიას სამხრეთიდან მართკუთხა გეგმის მოგრძო დამხმარე სათავსი

მიაშენეს. მისი სამხრეთი კედელი სამი ფანჯრითა და ერთი კარით არის დანაწევრებული. იმის გამო, რომ მინაშენმა ძველი სარკმელი დაფარა, მის აღმოსავლეთით ეკლესიის კედელში ახალი სარკმელი გაჭრეს. სარკმლადვე გადააკეთეს სამრეკლოსა და გალერეის დამაკავშირებელი კარი.

დასავლეთ კედელში შუა ღერძზე, ერთი მეორის ზემოთ ორი სარკმელი იყო მოწყობილი (ილ. 144). 2013 წლის რეკონსტრუქციის დროს ქვედა სარკმლის ნაცვლად თაღოვანი კარი გააკეთეს და ქვის ორფერდა წინფრით გადახურული სადა შვერილი „პორტალით“ გააფორმეს (ილ. 145). გადაკეთება შეეხო ჩრდილოეთ ფასადსაც. თავდაპირველად აქ ერთი სარკმელი იყო, დღეს კი სამია.

ერთი სარკმელია გაჭრილი აღმოსავლეთი ფასადის ზედა ნაწილში. ის ერთადერთია, რომელსაც პროფილირებული საპირე აქვს (ილ. 146). სარკმლის ასწვრივ ფრონტონის არეში ჩადგმულია კვადრატული ფილა, რომელზეც მედალიონში ჩაწერილი რელიეფური გამოსახულება იყო დატანილი. მისი ზედაპირი მთლიანად ნატყვიარებით არის დაცხრილული და გამოსახულება არ გაირჩევა (ილ. 147).

2013 წელს აღმოსავლეთ ფასადს წინიდან ქვის ბალდახინი მიაშენეს. მასში მაღალ კვარცხლბეკზე შედგმული ოქროსფრად დაფერილი ლურდის ღმრთისმშობლის ქანდაკება დგას.

როგორც ზემოთ ითქვა, ეკლესიის სამხრეთ ფასადთან სამსართულიანი თლილი ქვის სამრეკლო დგას. ისიც, ეკლესიის მსგავსად, სხვადასხვა ტონის ვარდისფერი და მორუხო ანდეზიტით არის ნაგები. მის პირველ სართულს კვადრატული გეგმა აქვს და წარმოადგენს ყრუ მასიურ ცოკოლს, რომელიც პროფილირებული კარნიზით სრულდება. ქვის კიბე ჩრდილოეთ კედელს მიუყვება. სამრეკლოს მეორე სართული ოთხი ნახევარწრიულთაღოვანი ღიობით არის გახსნილი. თაღები მასიურ კვადრატულ ბურჯებს ეფუძნება. მათ ორსაფეხუროვანი ბაზები და პროფილირებული კაპიტელები აქვს. სამრეკლოს მესამე სართული, რომლის სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეებზე

სამშენებლო წარწერაა გაკეთებული, ოთხ მრგვალ სვეტზე გადაყვანილი ნახევარწრიული თაღებით არის გახსნილი. კედლები ოთხსავე წახნაგზე ფრონტონებით სრულდება. სვეტების კაპიტელები შემკულია ექინის კუთხეებიდან ჩამოზრდილი მართკუთხა ფორმის მოცულობებით. როგორც უკვე აღინიშნა, მსგავსი სახის სვეტისთავები სამცხე-ჯავახეთის თითქმის ყველა ეკლესიაში, ინტერიერსა თუ სამრეკლოზეა გამოყენებული და ისინი რეგიონში ბერძენთა სამშენებლო საქმიანობას უკავშირდება. სამრეკლოს ადგას დაბალი პირამიდისებური სახურავი, რომელიც ლორფინით არის დაბურული.

არალის ეკლესიის სამრეკლოსთან სტრუქტურითა და არქიტექტურული გადაწყვეტის მხრივ ახლოს დგას ახალციხის ღმრთისმშობლის (პატრების) ეკლესიის სამრეკლო (ილ. 128). ვვარაუდობ, რომ ორივე სამრეკლო ერთ პერიოდში, ერთი სამშენებლო ჯგუფის მიერ უნდა იყოს აგებული და რომ ისინი სამცხე-ჯავახეთის ეკლესიების ქვით ნაგებ სამრეკლოებს შორის უადრესია.

არალის ეკლესია ზომითა და პროპორციებით დიდად არ განსხვავდება რეგიონის თანადროული კათოლიკური ეკლესიებისაგან. მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით მისი არქიტექტურა ერთ-ერთი ყველაზე სადა და ნეიტრალურია.

3.1.8. ვალეს ღმრთისმშობლის ეკლესია

ქალაქი ვალე ახალციხიდან 12 კმ-ის დაშორებით, მდ. ფოცხოვისწყლის მარჯვენა ნაპირზეა გაშენებული. ის სამცხე-ჯავახეთის რეგიონის იმ მცირერიცხოვან ადგილთა შორისაა, სადაც მოსახლეობის უმეტესობას ქართველი კათოლიკეები შეადგენდნენ. ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, კათოლიკეებს პირველი ეკლესია აქ 1670-იან წლებში აუგიათ. გადმოცემის თანახმად, მოგვიანებით ოსმალების მიერ საძირკვლამდე დანგრეული შენობა მრევლმა აღარ გაანახლა და მართლმადიდებელთა

მიტოვებულ ეკლესიაში განაგრძო ღმრთისმსახურება. [519] ვალეს კათოლიკეთა ეკლესია იხსენიება თბილისის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ ორ დოკუმენტში.[520] აქედან ერთი - 1838 წლისა მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში მომსახურე კათოლიკე მღვდლების სიას წარმოადგენს, ხოლო მეორე, რომელიც სავარაუდოდ, ამავე პერიოდში უნდა იყოს შედგენილი, [521] უფრო ვრცელი ნუსხაა. მასში დამატებით შეტანილია ეკლესიების ჩამონათვალი სამშენებლო მასალის მითითებით, ორივე სქესის მრევლის რაოდენობა და მღვდლების შემოსავალი. ამ დოკუმენტების მიხედვით, კათოლიკეების ეკლესია ვალეში ქვისაა და ღმრთისმშობლის სახელზეა ნაკურთხი. მღვდლად პავლე ხარისჭირაშვილი მსახურობს. ვფიქრობ, ეს სწორედ ის შენობაა, რომელზეც ზ. ჭიჭინაძე წერს, მართლმადიდებლებისგან იყო მიტოვებული და სამლოცველოს გარეშე დარჩენილმა კათოლიკეებმა დაიკავესო. საინტერესოა, რომ 1862 წელს მათ ეს ეკლესია კი არ ჩაანაცვლეს ახლით, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, არამედ ახალი შენობა სხვა ადგილზე ააგეს. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კათოლიკეები სარგებლობდნენ X საუკუნის ბოლოს აგებული ეკლესიით, რომელიც დღესაც დგას ვალეში? ეს ეკლესია 1560-იან წლებში განაახლა ბაგრატ მეფის ქალიშვილმა და ქაიხოსრო ათაბაგის მეუღლემ დედოფალმა დედისიმედმა. ვრცელი სამშენებლო წარწერა მას ვალის ღმრთისმშობლად იხსენიებს. როგორც ზემოთ ითქვა, ამავე სახელობის იყო ის ეკლესია, სადაც კათოლიკეები 1862 წლამდე წირავდნენ. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ რეგიონის სიძველეებით დაინტერესებული არცერთი მკვლევარი ვალეში ამ ეკლესიის გარდა შუა

---

519 . ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 30; ,,ახალციხური ქრონიკების" მიხედვით 1809-1820 წლებში ვალეს კათოლიკურ ეკლესიაში სტეფანე ნავროზაშვილი მსახურობს. იხ.: იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბნაშვილი და სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალციხური ქრონიკები, დღიური-მატიანე*, 229-240.

520. სცა, ფონდი №1644, ანაწერი №1, საქმე №1.

521. ამას მაფიქრებინებს დოკუმენტის არქაული ენა, რომელიც ძალიან ჰგავს 1838 წლის სიისას. ასევე თუ გავითვალისწინებთ, რომ მასში ნახსენებია რუსების მიერ 1829 წელს სამცხის დაპყრობა და შეტანილია ახალციხის ახალ უბანში აგებული ღმრთისმშობლის კათოლიკური ეკლესია (მისი მშენებლობა 1839 წელს დასრულდა) გამოდის, რომ სია 1840-იან წლებში უნდა იყოს შედგენილი.

საუკუნეების სხვა ძეგლს არ ასახელებს.[522] ასევე ყურადღებას იქცევს მისი სახურავის დასავლეთ კეხზე დადგმული სამრეკლო (ილ. 148). ის სტრუქტურითა და გაფორმებით ძალიან ჰგავს სამცხე-ჯავახეთის XIX საუკუნეების კათოლიკური ეკლესიების სამრეკლოებს (ალასტანი, ნაოხრები, უჯმანა, ვარევანი, კარტიკამი და სხვა).[523]

ეკლესია, რომლითაც კათოლიკეები სარგებლობდნენ, XIX საუკუნეში საკმაოდ დაზიანებული იყო, ამიტომ მათ ახლის აშენება გადაწყვიტეს.[524] ადგილობრივი გადმოცემის თანახმად, მღვდელმა სტეფანე გოზალოვმა საკუთარი წილი მიწის ნაკვეთი მშობლებს გამოართვა და ეკლესიის ასაგებად თანასოფლელ კათოლიკეებს უსასყიდლოდ გადასცა.[525]

ვალეს ღმრთისმშობლის სახელობის კათოლიკური ეკლესია სოფლის ჩრდილოეთით დგას. სამხრეთი კარის ბალავრის ქვაზე დატანილი წარწერის მიხედვით, მისი მშენებლობა 1862 წლის 1 ოქტომბერს დასრულებულა:

აღგენდა ეკლესია ესე წ[მიდ]ა ღთის მშობლის სახელობასა ზედა რომელთა იშრომეს ამის აღგენებასა ზ[ედ]ა საუკუნო დიდება დაუმკიდროს მათ კათოლიკეთა ეკლესია არის.[526]

---

522. მათ შორის პირველი იყო მ. ბროსე, რომელიც ვალეში 1847 წლის შემოდგომაზე იმყოფებოდა. მ. ბროსე დაწვრილებით აღწერს ეკლესიას, თუმცა არ ამბობს მოქმედია თუ არა ის. უცნაურია, მაგრამ მ. ბროსე კათოლიკეებს საერთოდ არ ახსენებს. არადა ისინი სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენენ. XIX საუკუნის ბოლოს ვალე მოინახულა პ. უვაროვამ. ამ დროს სოფელში უკვე ორი ეკლესია დგას: ერთი - ძველი, შუა საუკუნეებისა, ხოლო მეორე - ახალი, კათოლიკური („Селение Вале ... имеет две церкви, из которых одна, построенная по древному образу, принадлежит католикам и совершенно новая...“). სხვა სიძველის ნაშთს ვალეში არც ის ახსენებს. იხ.: Marie Brosset, *Rapports sur un voyage archéologique,* 2e livraison, 2e rapport, 128-130; *Материалы по Археологии Кавказа собранные экспедициями императорского московского археологического общества* (Москва: товарищество типографии А. И. Мамонтова, 1894), 69.

523. სამრეკლოს გამო ვალეს ღმრთისმშობლის მსგავსება კათოლიკურ ეკლესიასთან ჯერ კიდევ რ. მეფისაშვილს აქვს შენიშნული. იხ.: რუსუდან მეფისაშვილი, ,,ვალეს ტაძარი და მისი აღმშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი”, *ქართული ხელოვნება* 3 (1950), 25.

524. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 31.

525. სტეფანე გოზალოვი ეკლესიის სამხრეთ ფასადთან არის დაკრძალული. მისი გუმბათიანი ეკლესიის ფორმის საფლავის ქვაზე ვკითხულობთ: ,,აქ განსვენებული მღვდელი სტეფანე გოზალოვ ვილოც[ოთ] კეთილ მოღგაწეობისათვის (sic!) დაიბ[ადა] 1828-6-8 მღვდლ[ობაში] 41 გარდიცვლა 1895-3-9 წ”.

526. 2013 წელს ვალეში ყოფნის დროს ადგილობრივმა მკვიდრმა ავთო კაკაჩიშვილმა ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებული შემდეგი ისტორია მიამბო: სოფელში ყოფილა ერთი ქალი, რომელსაც ძალიან სურდა ეკლესიის აგებაში თავისი წვლილი

დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული შენობა წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას, რომელიც აღმოსავლეთით ნახევარწრიული შვერილი აფსიდით სრულდება (გარე ზომები აფსიდის გარეშე: 17.50 X 10.19 მ) (ილ. 149).

საკურთხეველს რთული სტრუქტურა აქვს. ის შედგება აფსიდის და მის წინ თავისუფლად მდგომი ორი კვადრატული გეგმის ბურჯისგან, რომლებისკენაც კონქის ძირიდან გრძივი თაღები გადადის (ილ. 150). ბურჯებსა და აფსიდის კედლებს შორის რჩება ვიწრო და მაღალი მართკუთხა გასასვლელები (ილ. 151). ისინი საკურთხევლის გვერდით ოთახებში შესასვლელი კარების შთაეჭდილებას ტოვებს, სინამდვილეში კი გადის დამოუკიდებელი გადახურვის მქონე სეგმენტური გეგმის მონაკვეთებში, რომლებიც საკურთხევლის სივრცის ნაწილებია.

ეკლესიის შიდა სივრცე ორი წყვილი მრგვალი სვეტით სამ ნავად არის გაყოფილი. შუა ნავი გვერდითებთან შედარებით მაღალი და განიერია. სვეტებს მასიური კაპიტელები აქვს. სვეტის ტანისა და კაპიტელის გადაბმის ადგილი ლითონის სალტით არის გამაგრებული. კაპიტელები გაფორმებულია აბაკის კუთხეებიდან ჩამოშვებული ცილინდრის ფორმის გეომეტრიული ელემენტებით. როგორც ზემოთ ითქვა, მსგავსი ელემენტები სხვადასხვა ვარიაციებით (მართკუთხა, წაკვეთილკონუსური, მარტივი ,,სტალაქტიტი“) სამცხე-ჯავახეთის თითქმის ყველა კათოლიკურ ეკლესიაში გვხვდება, თუმცა აქ ეს დეტალები უჩვეულოდ მსხვილია.

ვალეს ეკლესია მიეკუთვნება სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიების იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელთა გადახურვაა ქვისაა და არა ხის - ნავებს ქვის ცილინდრული კამარები ადგას. მათი საბჯენი თაღები კრონშტაინებს ეფუძნება. ინტერიერი გაჯით არის გალესილი. შეულესავად

შეეტანა. ის საძირკვლის გაჭრის დროს სამშენებლო მოედანზე საკუთარი წერაქვითა და ნიჩბით მისულა, მაგრამ კაცებს უკან გამოუბრუნებიათ და მუშაობის ნება არ მიუციათ. სახლში დაბრუნებულ ქალს მუშების რაოდენობის შესაბამისი ქილა მაწონი დაუმზადებია, ქილების ძირში ქვიშა ჩაუყრია და მუშებისთვის მიუტანია. ჭამის დროს მუშებს ქვიშა უნახავთ, ქალის ჩანაფიქრს მიმხვდარან და ქვიშა ეკლესიის საძირკველში ჩაუყრიათ.

მხოლოდ კონსტრუქციული ელემენტები - კამარის საბჯენი თაღები, პილასტრები და სვეტებია დატოვებული.

გრძივი კედლების დამანაწევრებელ პილასტრებზე ერთსაფეხუროვანი ნახევარწრიული თაღები გადადის. დასავლეთი კედლის წინ მოწყობილი იყო ხის ერთიარუსიანი გალერეა რიკულებიანი მოაჯირით.[527] დღეს ის შედარებით მცირე ზომის ლითონის აივნით არის შეცვლილი (ილ. 152).

ეკლესიის გარე მასებში ბაზილიკური ფორმა არ ვლინდება. სამივე ნავი ორფერდა სახურავის ქვეშ არის მოქცეული და შესაბამისად, შენობას ცალნავიანი ეკლესიის პროფილი აქვს. კარგად გათლილი მოვარდისფრო და ღია რუხი ფერის კვადრებით მოპირკეთებული ფასადები სადაა (ილ. 153).[528] მათ დამანაწევრებელ ყველა ღიობს მართკუთხა ფორმა აქვს. შენობას სულ ექვსი ფანჯარა აქვს - ორი ჩრდილოეთ, სამი სამხრეთ და ერთი დასავლეთ კედელში. სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში გაჭრილ ორ ფანჯარას თაღოვანი პროფილირებული საპირე შემოუყვება. ყურადღებას იქცევს დასავლეთი სარკმლის გაფორმება. მას შემოწერს მართკუთხა ფორმის ჩარჩო, რომელიც ზედა ნაწილში მარტივ ,,სტალაქტიტს“ დაირთავს. ,,სტალაქტიტი“ თავის მხრივ ასევე მოფარგლულია მართკუთხედით, რომელიც სქემატურად არის დატანილი ქვის ზედაპირზე მსუბუქი ღარით. ყველა სარკმელს ლითონის ავთენტური გისოსები აქვს.

შენობაში შესასვლელი ორი კარი დასავლეთ და სამხრეთ კედლებშია გაჭრილი. კარებს წინიდან რაღაც მინაშენები ჰქონდა. მათ ზემოთ კედელზე ორფერდა სახურავის კვალი დღესაც გარკვევით იკითხება. სამხრეთი კარის წინ განთავსებული უსახური მოცულობა 2010 წელს არის აშენებული.

დასავლეთი ფასადის ცენტრში გაჭრილი კარი ჩასმულია მართკუთხა შეღრმავებაში, რომელიც ზემოთ შუა ნაწილში შეტეხილია და მსუბუქად

---

527. Samvel Karapetyan, *Akhaltskha (Samtskhe Province)* (Yerevan: Research on Armenian Architecture (RAA) Foundation, 2011), 287 (სომხურად).

528. ადგილობრივი მკვიდრის ავთო კაკაჩიშვილის ცნობით, ქვა წყრუთიდან და ბუზმარეთიდან არის მოტანილი.

შეისრული შემაღლებული თაღით ბოლოვდება. თაღსა და ბალავრის ქვას შორის რელიეფური ფილაა ჩადგმული (ილ. 154). ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ღარიანი ლენტის წნულით მოჩარჩოებული ფილის ცენტრში განადლებული ჯვარია გამოსახული. ჯვრის მკლავებს წნულითვე გამოყვანილი სამყურა ბოლოები აქვს. მისი ზედა მკლავის ორსავე მხარეს, ჩარჩოს კუთხეებთან, მეოთხედი წრის ფორმის დისკოებია გამოყვანილი. მათი ზედაპირი სამკუთხა ჩაღრმავებების ბადით არის დაფარულია. ჩუქურთმის ეს სახე ტიპურია ხის ხუროთმოძღვრებისათვს საქართველოში და სხვაგანაც. ვალეს დეკორში მისი გამოყენება მოწმობს, რომ ოსტატი ხის კვეთაშიც იყო გაწაფული.

სამხრეთი ფასადის დასავლეთ მონაკვეთში მოწყობილ მეორე კარს ორმაგი საპირე შემოუყვება.[529] შიდა, რომელიც უშუალოდ ღიობს შემოწერს, წვრილი ჩარჩოა და სამივე მხარეს, შუაწელზე ნახევარწრიული ,,მკლავები" აქვს. ზედა ,,მკლავი" ბალავრის ქვაზე გადადის და მის გარშემო ზემოთ მოტანილი სამშენებლო წარწერაა დატანილი (ილ. 155). გარე ჩარჩო მართკუთხაა და ზედა ნაწილში მუზარადისებური თაღის ფორმა აქვს. თაღსა და ბალავრის ქვას შორის ჩადგმულია კავდრატული და სამკუთხა ფორმის ფილები. პირველი რელიეფით არის შემკული, მეორეზე ეკლესიის აგების თარიღი წერია. S-ისებრი ორნამენტით მოჩარჩოებული ფილის ცენტრში განედლებული ,,დაწნული" ჯვარია გამოსახული. ჯვრის ქვედა მკლავიდან გამოზრდილ ფოთლებზე ,,ჩამომსხდარი" ჩიტები ნისკარტებით ვარდულებს ეხებიან. ზედა მკლავის აქეთ-იქით ვარსკვლავები და ანგელოზებია გამოსახული, ხოლო მარცხენა მკლავის ქვეშ ბერძნული წარწერაა ამოკაწრული. დაზიანების გამო წარწერა კარგად არ გაირჩევა და შეიძლება წაკითხული იქნას როგორც ΙΟΔΙΑΙΣΠΑΠΑ (იოდიაისპაპა) ან ΙΟΑΝΙΣΠΑΠΑ (იოანისპაპა).[530] ნებისმიერ შემთხვევაში ეს გვარია და რადგან

529. სამხრეთ ღიობს კეტავს ავთენტური ხის კარი ლითონის ანჯამებითა და დიდი ურდულით.

530 წარწერის წაკითხვასთან დაკავშირებით გაწეული კონსულტაციისთვის მადლობა მინდა გადავუხადო სიმა მეზირიდუსა და ელიფ დემირთიკენს.

ის საერო თუ სასულიერო დამკვეთისა ვერ იქნება, ვფიქრობ, ეკლესიის მშენებელ ან რელიეფების შემსრულებელ ოსტატს უნდა ეკუთვნოდეს.[531] თუ ჩემი ვარაუდი სწორია, მაშინ ეს ერთადერთი შემთხვევაა საქართველოში, როცა კათოლიკური ეკლესიის წარწერა ოსტატის სახელს იხსენიებს, რაც მას განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს.

წარწერის გარდა, ბერძენ ოსტატთა ხელი ნაგებობის იშვიათ გეგმარებით სტრუქტურაში,[532] ზოგად პროპორციებში, ქვის თლის მანერასა და არქიტექტურულ მორთულობაშიც მჟღავნდება.

1862 წელს დასრულებული ვალეს კათოლიკური ეკლესია სამცხე-ჯავახეთში აგებულ კათოლიკურ სამლოცველოთა შორის ერთ-ერთი უადრესია. ამ პერიოდის ნაგებობათა უმეტესობა სამნავიანი ბაზილიკაა. (უჯმანა - 1851; არალი - 1860; ალასტანი - 1863; ნაოხრები - 1863-65). ზოგიერთი მათგანის კარებს ვალეს ეკლესიის მსგავსად დეკორატიული საპირე ევლება გარს (ვარევანი - 1890-იანი წლები; ალასტანი - 1863; ახალციხის წმ. ჯვარი - 1866). საპირეებთან ერთად ხშირია განედლებული ჯვრების გამოსახულებებიც, თუმცა არცერთ მათგანში ვალეს მსგავსად ადგილობრივი შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი ორნამენტი გამოყენებული არაა. ლენტური წნული და S-ისებრი ჩუქურთმა, რომლებიც ვალეში ჯვრიან ფილებს აჩარჩოებს, მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში არაერთ ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლზე გვხვდება და XIX საუკუნის ბერძენი ოსტატების რეპერტუარშიც შეაღწია. მსგავსი ტიპის კარგად ნაკვეთ ჩუქურთმას, ვალეს გარდა, ვხვდებით სუჯუნის წმ. გიორგისა (1838-1846) და მანგლისის (1850-იანი წლების რესტავრაცია) ეკლესიებში, სადაც ასევე ბერძენი ოსტატები მუშაობდნენ.[533] ზოგადად,

---

531. გვარის დაბლოვება - პაპა ბერძნულად მღვდელს ნიშნავს და იმაზე მიუთითებს, რომ ამ გვარის მატარებელი ადამიანი სასულიერო პირის შთამომავალია.

532. მსგავსი გეგმა აქვს მაგალითად, პონტოს რეგიონში მდებარე კერასუსის ციხის ეკლესიას, რომელიც ასევე XIX საუკუნეს განეკუთვნება. იხ.: Anthony Bryer and others, *The Post-Byzantine Monuments of the Pontos*, part 3, 233, 235, სურ. 14.

533. მალაქია დვალი, *მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი* (თბილისი: მეცნიერება, 1974), 28; მანონ ლილუაშვილი, ,,სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესია: ისტორია და არქიტექტურა", *საქართველოს სიძველენი* 20 (2017): 259-273.

მშენებლობის ხარისხით ვალეს ეკლესია სამცხის კათოლიკურ ეკლესიებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა.[534]

ეკლესიას ცალკე მდგომი სამრეკლო არ აქვს. ის სახურავის დასავლეთ კეხზე დგას. ერთსართულიანი სამრეკლოს ოთხ მრგვალ სვეტზე დაფუძნებული ოთხივე კედელი ფრონტონებით სრულდება. სვეტების კაპიტელები აქაც აბაკას კუთხეებიდან ჩამოზრდილი ცილინდრის ფორმის ელემენტებით არის გაფორმებული.

ეკლესიის აღმოსავლეთით დგას მოწითალო ფერის ფლეთილი ქვით ნაგები ერთსართულიანი შენობა (ილ. 156). ის XIX საუკუნეშია აგებული და მღვდლის სახლს წარმოადგენდა. აქ ცხოვრობდა მღვდელი სტეფანე ზაქაროვი, რომელიც 40 წელზე მეტხანს წირავდა ვალეში და 1903 წელს ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია ეკლესიის სამხრეთ კედელთან, სტეფანე გოზალოვის გვერდით. მისი საფლავის ქვასაც გუმბათიანი ეკლესიის ფორმა აქვს. ეპიტაფია გვამცნობს: „აქ განსვენებული მღვდელი სტეფანე ზაქაროვი ვილოცოთ კეთილ მ[ო]ღვაწეობისათვ[ი]ს დაიბადა 1820 წ. გარდაიცვალა 1903 წ. მკათათ[ვის] 5 ს“.

3.1.9. ნაოხრების მაცხოვრის ეკლესია

სოფელი ნაოხრები ახალციხიდან 19 კილომეტრის დაშორებით, მდ. ფოცხოვის ხეობაში მდებარეობს. ის 1829 წელს ერზერუმის მხრიდან გადმოსახლებულ სომეხ კათოლიკეთა შთამომავლებით არის დასახლებული.

534. , ,,ვალის ეკკლესია შვენიერი ყოფილა, შიგაც არა უჭირს რა” - საგანგებოდ აღუნიშნავს ტირასპოლის ეპისკოპოსს ბარონ ედუარდ ფონ როპს თავის დღიურში. იხ.: *ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა,* 32.

1860-იან წლებამდე სოფლის მცხოვრებთ ეკლესია არ ჰქონდათ და მღვდელი ღმრთისმსახურებას სახლში ატარებდა.[535] ნაოხრების მაცხოვრის სახელობის კათოლიკური ეკლესია 1863-1865 წლებშია აგებული. [536] მშენებლობის თარიღი სამხრეთი კარის ბალავრის ქვაზეა ამოკვეთილი (ამჟამად ციფრები ვერცხლისფერი საღებავით არის დაფერილი) (ილ. 157).

დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული (გარე ზომებია: 15.50 × 9.60 მ) ეკლესია მაღალი ბორცვის წვერზე დგას (ილ. 158). მართკუთხა გეგმის შენობა აღმოსავლეთით სამნაწილიანი საკურთხევლით სრულდება. საკურთხევლის იატაკი ძირითად სივრცესთან შედარებით სამი საფეხურით არის ამაღლებული (ილ. 159). სეგმენტური აფსიდის ჩრდილოეთ კედელში ტიმპანით დასრულებული მცირე ზომის მართკუთხა ნიშაა მოწყობილი. აფსიდის სამხრეთ კედელში განთავსებულია ნიჟარა წმ. წყლისათვის. ის წარმოადგენს მართკუთხა ფორმის ერთიან ქვას, რომელიც თაღოვანი ნიშის ძირშია ჩადგმული და კედლის ზედაპირიდან ოდნავ წინ გამოდის.

საკურთხევლის კუთხეები ქვედა ნაწილში 45 გრადუსით არის ჩამოჭრილი და გვერდითი ოთახების შესასვლელები ამ ირიბ სიბრტყეებშია მოწყობილი. გადასვლა კუთხიდან ირიბ სიბრტყეზე

---

535. სცა, ფონდი №1644, ანაწერი №1, საქმე №1.
როგორც ჩანს, ნაოხრებში შუა საუკუნეების ეკლესია არ ყოფილა. ვახუშტი ბატონიშვილი აქ მხოლოდ სასახლის ნანგრევებს ახსენებს: ,,ბოცოს წყალზედ, არს ნაოჴარს სასახლე თამარ მეფისა, დიდშენი, შუენიერს ადგილს და აწ ოჴერ.“; 1847 წელს ნაოხრები მოინახულა მარი ბროსემ. სოფელში მასაც უნახავს ნანგრევები, თუმცა არ აკონკრეტებს რა სახისაა ისინი: ,, ... გავიარე ადგილი სახელად ნაოხრები, ხალხურად ნიოხრები – უმნიშვნელო ნანგრევები, რომლებიც დიდად განსხვავდება ვახუშტის მიერ მოხსენიებული ამავე სახელწოდების ადგილისაგან, რომელიც მე საერთოდ ვერ მოვახერხე მომენახულებინა.“ შეად. ვახუშტი ბატონიშვილი, ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა”, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 664-665; Marie Brosset, *Rapports sur un voyage archéologique*, 2e livraison, cinquiéme rapport, 131.
ვფიქრობ, ბროსემ იგივე ნანგრევები ნახა, რაც ვახუშტიმ. უბრალოდ, შენობა უკვე ძლიერ იყო გავერანებული. დროთა განმავლობაში ალბათ მოსახლეობამ კედლები დაშალა და ქვები მეორად სამშენებლო მასალად გამოიყენა. ნანგრევებმა ბროსეზე შთაბეჭდილება ვეღარ მოახდინა და მან ჩათვალა, რომ სხვა ადგილას იმყოფებოდა.
536 . ეკლესიის მშენებლობის თარიღად ,,კავკასიის კალენდარში” 1869 წელია მითითებული, 1870 წელს ამბობს ზ. ჭიჭინაძე. *Кавказский Календар на 1885 год*, 69; ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში*, 109.

თლილი ქვებით არის მოპირკეთებული, დასაფეხურებულია და ძლიერ სქემატიზირებულ მუკარნასს მოგვაგონებს. საკურთხევლის მიმდებარე ოთახების შესასვლელების ასეთი მოწყობა ძალიან დამახასიათებელია სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიებისათვის. ქვემოთ კიდევ არაერთხელ მომიწევს მათი ხსენება და სიმოკლისათვის „მუკარნასიან შესასვლელებად“ მოვიხსენიებ. ოთახების დასავლეთ კედლებში ღრმა ნიშებია მოწყობილი ქანდაკებებისათვის. დღეს ორივე ნიშა წინა მხრიდან შემინულია.

აღმოსავლეთი მონაკვეთი ძირითადი სივრცისგან მრუდხაზოვანი არც თუ ძალიან დაბალი მოაჯირით არის მოსაზღვრული. ორი წყვილი სვეტით დანაწევრებულ ძირითად სივრცეს ბაზილიკური გეგმა აქვს, თუმცა მისი გადახურვა თავისებურებით გამოირჩევა. კერძოდ, ძალიან ვიწრო გვერდითი ნავები გრძივის ნაცვლად განივი კამარებით არის გადახურული (ილ. 160). გვერდითი ნავები იმდენად ვიწროა, რომ სვეტებიდან გრძივი კედლებისკენ თაღები კი არ გადადის, არამედ ქვის არქიტრავები დევს. განიერი შუა ნავი ქვის ცილინდრული კამარით არის გადახურული. რამდენიმე წლის წინ კამარის აღმოსავლეთი ნაწილი გადატიხრეს და მასში ანტრესოლი მოაწყვეს. ამავე პერიოდში უნდა შეეთეთრებინათ ინტერიერიც.

კარგად გათლილი ქვის სვეტები მსხვილი კაპიტელებით სრულდება. თავის დროზე მწვანედ და წითლად დაფერილი კაპიტელები დამატებით აბაკას კუთხეებიდან ჩამოზრდილი მართკუთხა ფორმის ელემენტებით არის გაფორმებული. მეტი სიმტკიცისათვის კედლის თაღების ქვეშ, კაპიტელების დონეზე, ლითონის დგარებია ჩამაგრებული.

დასავლეთ მხარეს მოწყობილია ხის განიერი და მაღალი სამიარუსიანი გალერეა (ილ. 161). ის დასავლეთი კედლის წინ მთელ სივრცეს იკავებს და უსიამოვნოდ არის გაჭედილი. დასავლეთიდან პირველი წყვილი სვეტების უკან გრძივ კედლებში ქვის კრონშტაინებია ჩამაგრებული. დღეს მათზე გალერეის იატაკის საყრდენი ძელებია

გადებული, თუმცა თავდაპირველად ისინი შესაძლოა განსხვავებული ფუნქციის ყოფილიყო.

გარედან ეკლესიის ფასადები ცუდად დამუშავებული ძირითადად მოყვითალო ქვიშისფერი ქვებით არის ნაშენი. კარგად გათლილი რუხი კვადრებით მხოლოდ კონსტრუქციული ნაწილები - კედლების კუთხეები, კარ-სარკმლები და კარნიზია გამოყვანილი. მისასვლელი ეკლესიას სამხრეთი მხრიდან აქვს და შესაბამისად, ეს ფასადია მთავარი (ილ. 162). მას ერთი მართკუთხა კარი და ორი თაღოვანი სარკმელი ანაწევრებს. კარი პომპეზურად არის გაფორმებული. მას თავზე ადგას მსხვილად პროფილირებული ნახევარწრიული თავსართი, რომელიც მაღალ ბაზისებზე შეყენებული ნახევარსვეტებითაა ფლანკირებული. მათ კაპიტელებს ამკობს აბაკას კუთხეებიდან ჩამოზრდილი მართკუთხა ფორმის ელემენტები. კაპიტელებს ზემოდან ადევს პროფილირებული იმპოსტები, რომლებზეც თაროს პროფილის სადა კარნიზია გადებული. ტიმპანში რელიეფურად გამოყვანილია წრეში ჩაწერილი გოლგოთის ჯვარი (ახლა ოქროსფრად დაფერილი). ბალავრის ქვაზე, როგორც ითქვა, ეკლესიის აგების თარიღია დატანილი. მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების წლებს შორის ბარძიმია გამოსახული (ახლა ასევე დაფერილი). შესასვლელის წინ მოწყობილი თაღოვანი კარიბჭის დიდი ნაწილი ახალია (წინა კედელი და კამარა), მაგრამ ძირითადად ძველის მოხზულობას უნდა იმეორებდეს. კარიბჭეს თავზე მცირე ზომის სამრეკლო ადგას. ის ახალია, თუმცა სტრუქტურითა და გაფორმების თვალსაზრისით ძველ სამრეკლოს ჰბაძავს.

სამხრეთი ფასადის ორი თაღოვანი სარკმლიდან ერთი კარის გვერდით არის გაჭრილი და კარიბჭის ფარგლებშია მოქცეული. მას ქვის გადანაკეცებიანი თავსართი აქვს. მეორე სარკმელი მოურთავია. მისი თაღის ზემოთ კედლის წყობაში ნათლად იკითხება კიდევ ერთი თაღის მოხაზულობა, რაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა სარკმელი თავიდან

უფრო მაღალი იყო და შემდგომ დაადაბლეს. ასეთივეა ჩრდილოეთი კედლის ორი სარკმელიც (ილ. 163).

დასავლეთი ფასადის ცენტრში მართკუთხა ფორმის კარი და მის ასწვრივ ერთი, ასევე მართკუთხა სარკმელია გაჭრილი. კარის წინ ცალფერდა სახურავით გადახურული უსახური მინაშენია მიდგმული.

სამი ღიობი ანაწევრებს აღმოსავლეთ ფასადს. მათ შორის ზომით გამოირჩევა მაღალი თაღოვანი სარკმელი ფრონტონის არეს ქვედა ნაწილში. მასზე დაბლა ფასადის ორივე კიდეში თითო მცირე ზომის მართკუთხა ღიობია. მათ გადანაკეცებიანი ნახევარწრიული თავსართები შემოწერს (ილ. 164).

ორფერდა სახურავის დასავლეთ კეხზე ერთსართულიანი სამრეკლო დგას. მისი პირამიდისებური სახურავით გადახურული ფანჩატური ექვსი მრგვალი სვეტისა და მათზე გადაყვანილი ნახევარწრიული თაღებისაგან შედგება. კაპიტელებს ადგილობრივი ტრადიციის შესაბამისად აბაკას კუთხეებიდან ჩამოშვებული მართკუთხა ელემენტები ამკობს. თაღებში მეტი სიმტკიცისათვის ლითონის დგარებია გადებული.

ნაოხრების ეკლესიამ ჩვენამდე ცუდ მდგომარეობაში მოაღწია. ჩრდილოეთ კედელზე მიდგმული ორი მასიური პილონით თუ ვიმსჯელებთ, მისი გამაგრება ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ან XX საუკუნის დასაწყისში უცდიათ.[537] ისინი უკვე ჩანს სავარაუდოდ, 1900-იან წლებში გადაღებულ ფოტოსურათზე (ილ. 158).[538] სავსებით შესაძლებელია ეკლესია 1899 წლის 19 დეკემბერს ჯავახეთში მომხდარ ძლიერ მიწისძვრას დაეზიანებინა. როგორც ჩანს, მცირე გამაგრებამ შენობას არ უშველა და რღვევა გაგრძელდა. უკვე საბჭოთა პერიოდში ის გარედან ლითონის მჭიმების ბადეში ჩასვეს, ბზარები კი ამოლესეს. რამოდენიმე წლის წინ

537. 1903 წელს სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობისას ტირასპოლის ეპისკოპოსი ბარონი ფონ როპი ნაოხრების ეკლესიაშიც იმყოფებოდა. მან თავის დღიურში აღნიშნა, რომ შენობა კარგად ვერ იყო დაცული, რაც შეიძლება მის ცუდ ფიზიკურ მდგომარეობასაც გულისხმობდეს. იხ.: *ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა*, 32.

538. ფოტოსურათის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდი სოფელ აბათხევის მკვიდრს ვალერ იადოიანს.

ინტერიერში კამარისა და კედლის თაღების გასამაგრებლად დამატებით ლითონის ბოძები განთავსდა.

ნაოხრების ეკლესია ძირითადი სტრუქტურითა და გაფორმების ხასიათით დიდად არ განსხვავდება სამცხე-ჯავახეთის სხვა თანადროული კათოლიკური ეკლესიებისაგან, თუმცა თითოეული მათგანის მსგავსად მასაც აქვს ინდივიდუალური ნიშნები - მაგალითად, ძალიან ვიწრო გვერდითი ნავები და მათი გადახურვის კონსტრუქცია, რაც სხვაგან არ გვხვდება. ასევე არსად მეორდება სარკმლების მამკობი თლილი ქვის გადანაკეცებიანი თავსართები თუ სარკმლის თაღის ზემოთ გამოყვანილი თაღები, რომლებიც ვერც კედლის განტვირთვის ფუნქციას ასრულებს და დიდად ვერც დეკორატიულს.

3.1.10. აბათხევის წმ. ჯვრის ეკლესია

სოფელი აბათხევი ახალციხიდან 19 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. 1829 წელს რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის დადებული ზავის შემდეგ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ზოგიერთი სოფლის მსგავსად, მოსახლეობის გაცვლა აბათხევსაც შეეხო. აქ ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობა ერზერუმიდან გადმოსახლებულმა სომეხმა კათოლიკეებმა შეცვალეს.[539]

სამშენებლო წარწერის მიხედვით, აბათხევის წმ. ჯვრის სახელობის ეკლესია 1881-1886 წლებშია აგებული.[540] მშენებლობის ინიციატორი იყო მღვდელი ტერ გრიქორ საჰარიანი, რომელიც ეკლესიის ეზოშია დაკრძალული.

აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე წაგრძელებულ დარბაზულ შენობას მართკუთხა გეგმა აქვს (გარე ზომებია: 15.65 × 9.30) (ილ. 165). ის

539. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 108.
540 . ,,კავკასიის კალენდარში" მშენებლობის თარიღად შეცდომით 1870 წელია მითითებული. *Кавказский Календар на 1885 год*, 68.

აღმოსავლეთით სამნაწილიანი საკურთხევლით სრულდება. ძირითადი სივრცისგან ხის მოაჯირით მოსაზღვრული საკურთხევლის იატაკი სამი საფეხურით არის ამაღლებული (ილ. 166). საკურთხეველი მოიცავს სეგმენტურ აფსიდსა და ვრცელ ბემას. მისი მიმდებარე სათავსების მუკარნასიანი შესასვლელები ბემის ირიბად ჩამოჭრილ კუთხეებშია მოწყობილი. პასტოფორიუმების დასავლეთ კედლებში პროფილირებული საპირეებით შემკული ღრმა თაღოვანი ნიშებია გაკეთებული. მარჯვენა ნიშაში მაცხოვრის, მარცხენაში კი ღმრთისმშობლის ქანდაკება დგას.

შენობის გრძივ კედლებს დაბალ პილასტრებზე გადაყვანილი სამ-სამი ცრუ თაღი გაუყვება. დასავლეთი კედლის წინ აღმართულ ხის ორსართულიან გალერეაზე (ილ. 167) სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან მოწყობილი ხის ერთმარშიანი კიბე ადის. ეკლესიას ხის ცრუ კამარა ხურავს.

ეკლესია 2016 წელს განაახლეს. გადაღებეს კედლები და კამარა. შეკეთებამდე საკურთხეველში იდგა მაღალი ყრუ ,,ტრიპტიქი",[541] რომელიც რერედოსისა და რეტაბლოს ერთგვარ შერწყმას წარმოადგენდა და XIX საუკუნის II ნახევარში, ეკლესიის დასრულებიდან მალევე უნდა ყოფილიყო გაკეთებული (ილ. 168). ,,ტრიპტიქს" ქვედა ნახევარი სადა ჰქონდა. შუაში მის წინ იდგა მართკუთხა ტრაპეზი (ასეთივე ტრაპეზები ქანდაკებებიანი ნიშების ქვეშაც იდგა, დღეს მათ ნაცვლად ახალი კარადებია განთავსებული), ხოლო ტრაპეზის აქეთ-იქით, გვერდითი ფრთების ქვეშ მოწყობილი იყო გასასვლელები, რომელთა მეშვეობით საკურთხევლის უკანა ნაწილში შეიძლებოდა მოხვედრა. ,,ტრიპტიქის" მეორე რეგისტრის ცენტრში ნათლისღება, მარჯვნივ წმ. პავლე, ხოლო მარცხნივ წმ. პეტრე იყო გამოსახული მთელი ტანით. როგორც ნათლისღების სცენას, ისე წმინდანთა ფიგურებს ოქროსფერი არშიებით შემკული ჩარჩოები შემოწერდა. ასეთივე ,,მაქმანიანი" წვრილი სარტყელი გაუყვებოდა კამარის ქუსლის დონეზე ბემასა და საკრისტიების დასავლეთ კედელს. ამ უკანასკნელზე სარტყლის ზემოთ ცისფერ ღრუბლებში

541. ნამდვილი ტრიპტიქისგან განსხვავებით ეს იყო ხის ერთიანი პანო, რომელზეც დამოუკიდებელი ჩარჩოთი შემოწერილი სამი წმინდანი ეხატა.

,,მოლივლივე“ ანგელოზები ეხატა. ისინი კონქში გამოსახული ფეხზე მდგომი მაცხოვრისკენ იყვნენ მიმართულნი (ქრისტე აქ კეთილი მწყემსის იკონოგრაფიით იყო ნაჩვენები). სატრიუმფო თაღზე ოქროსფრად დაფერილი გასხივოსნებული ჯვარი ეხატა. აბათხევის კედლის მხატვრობა თავისი პრიმიტიული ხასიათითა და შესრულების დაბალი ხარისხით თითქოს პონტოს XIX საუკუნის II ნახევრის ძეგლებთან (ზემო აულეანას ეკლესია; პროდრომოსის ეკლესია ბეშკილისეში - 1872 წელი)[542] უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებდა, ვიდრე საქართველოს ამავე პერიოდის ეკლესიების მოხატულობებთან.[543] ის სავარაუდოდ, ბერძენი ოსტატის ნახელავი უნდა ყოფილიყო. მას აკადემიური განათლება არ ჰქონდა და როგორც მხატვრობის ხარისხიდან ჩანს, ტრადიციულ ცოდნასაც სუსტად ფლობდა.

რაც შეეხება ,,ტრიპტიქს”, ფერთა მჭახე გამის შერჩევით ის სომხურ მინიატურებს მოგვაგონებდა, ხოლო დეტალებით დატვირთული ნათლისღების სცენა ევროპულ ტილოებსაც ჰგავდა. როგორც ცნობილია, XVIII საუკუნიდან მთელ აღმოსავლეთ საქრისტიანოში ფართოდ იყო გავრცელებული ევროპაში დასტამბული დასურათებული ბიბლიები, რომელთაც მხატვრები ნიმუშებად იყენებდნენ.[544] აბათხევის რეტაბლოც ერთ-ერთი ასეთი ნიმუშის გავლენით უნდა ყოფილიყო შესრულებული.

დღეს საკურთხეველში ახალი ტრაპეზი და მასზე აღმართული ჯვარცმული ქრისტეს ქანდაკება დგას, ძველი მხატვრობა კი გადაღებილია.

---

542. Anthony Bryer and others, Part 4, 215, 224. სურ. 175, 182.

543. თამარ ხოსროშვილი, ,,თბილისის XIX საუკუნის ეკლესიათა მოხატულობები”, წიგნში: *არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918)*, რედ. დ. ხოშტარია (თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი, 2016), 227-256; მზია ჯანჯალია, ,,ბოდბის ტაძრის ეგვტერის მოხატულობა და მისი ლიტერატურული წყაროები”, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია* 3 (1990): 144-152; ანა მგალობლიშვილი, ,,შიომღვიმის მონასტრის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიის მოხატულობასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი”, *საქართველოს სიძველენი* 13 (2009): 225-240; ანა მგალობლიშვილი, ,,აბასთუმნის ალექსანდრე ნეველის ეკლესიის მოხატულობა”, წიგნში: *ახალციხის და ტაო-კლარჯეთის ეპარქია*, რედ. ვ. ასათიანი (თბილისი: ზარზმის მონასტრის აღორძინების ფონდი, ,,ზარზმის სავანე”, 2013), 440-449.

544. თამარ ხოსროშვილი, ,,თბილისის XIX საუკუნის ეკლესიათა მოხატულობები”, 227.

ეკლესიის სამხრეთი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ფასადები სქელ ნალესობაში ჩაძირული უხეშად დამუშავებული ქვით არის ამოყვანილი. რიგების ჰორიზონტალურობა შეძლებისდაგვარად დაცულია. სუფთად გათლილი კვადრები მხოლოდ კონსტრუქციული ნაწილების ამოსაყვანად და დასავლეთი ფასადის მოსაპირკეთებლად არის გამოყენებული. აღმოსავლეთ ფასადს ერთი მართკუთხა, მარტივად პროფილირებული სარკმელი და მის ქვემოთ, კედლის კიდეებში გაჭრილი თითო მცირე თაღოვანი ღიობი ანაწევრებს. გრძივ და დასავლეთ კედლებში ორ-ორი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. მათ ამკობს ერთნაირი, ძალიან სპეციფიკური ფორმის თავსართები (ილ. 169). ის შედგება პატარა იმპოსტებზე გადაყვანილი პროფილირებული თაღისა და იმპოსტების ქვემოთ „ჩამოკიდული“ სტილიზებული ბროწეულის მსგავსი ელემენტებისაგან. ანალოგიური თავსართები გვხვდება ახალციხის წმ. მარინეს მართლმადიდებლურ (1868-1872),[545] წყალთბილას კათოლიკურ (1883), წუღრუთის სიონის სომხურ-მონოფიზიტურ (1881)[546] და ქუთაისის მაცხოვრის ამაღლების მართლმადიდებლურ ეკლესიებზე (1890-1893). ამ ხუთი ეკლესიიდან ოთხი - წმ. მარინე, წუღრუთი, წყალთბილა და აბათხევი ერთმანეთისგან სულ რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული. პირველ სამს ზუსტად ერთნაირი კარის საპირეებიც აქვს - მართკუთხა ღიობები ფლანკირებულია პილასტრებით, რომლებზეც მუზარადის ფორმის თაღი გადადის. მსგავსებები მაფიქრებინებს, რომ ისინი ერთი სამშენებლო არტელის მიერ უნდა იყოს აგებული.

---

545. ლ. ზაგურსკი წერს, რომ ეკლესიის მშენებლობა დასრულდა 1872 წელს. ის 16 მაისს უკურთხებია საქართველოს ეგზარქოს ევსევის. იხ.: Леонард Загурский, *Записки Кавказскаго Отдела Имнераторскаго Русскаго Географическаго Общества*, к. VIII (Тифлис: Изданная под редакцию правителя дел отдела Д. И. Коваленскаго, 1873), 16. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე დატანილ წარწერებში მითითებულია 1868-1898 წლები. ფრონტონის არეში ჩადგმულ ღვინისფერ ჯვრიან ფილაზე 1868 წელი წერია, ხოლო მის ქვემოთ მოგვიანებით ჩამატებული მცირე ზომის ქვის ფირფიტაზე - 1898 წელი. როგორც ჩანს, 1872 წელს დასრულდა ეკლესიის ძირითადი კორპუსის მშენებლობა და მასში ღმრთისმახურების დასაწყებად დროებითი გადახურვა მოაწყვეს. ვფიქრობ, აღმოსავლეთ ფასადზე აღნიშნული 1898 წელი გუმბათის დადგმის და, შესაბამისად, ეკლესიის მთლიანად დასრულების თარიღი უნდა იყოს.

546. Samvel Karapetyan, *Akhaltskha*, 221.

შესაძლებელია იმავე ოსტატების ნახელავია აბათხევისა და ქუთაისის ეკლესიებიც.[547]

აბათხევის ეკლესიაში შესასვლელი კარები დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებშია გაჭრილი. აქედან მთავარი დასავლეთის კარია, რომელიც პირდაპირ ძირითად სივრცეში შედის (ილ. 170). ღიობს მართკუთხა ფორმის, წვრილი პროფილირებული საპირე ევლება გარს. კარის თავზე დიდი ნახევარწრიული ტიმპანია, რომელსაც სარკმლების მსგავსი თავსართი აქვს. ტიმპანის არე გასხივოსნებული გოლგოთის ჯვრის რელიეფით არის შემკული. ჯვრის ქვემოთ საღებავით დატანილი იყო მშენებლობის თარიღი, რომელიც დღეს წაშლილია.[548]

მეორე კარი ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ კიდეში, მიწის დონიდან ბევრად მაღლაა გაჭრილი (ილ. 171). მისკენ მიემართება ქვის ერთმარშიანი მასიური კიბე, რომელიც განიერი ბაქნით სრულდება. მართკუთხა ფორმის კარი გალერეის პირველ იარუსზე შედის. აქედან მეორე იარუსზე ასასვლელად ხის ერთმარშიანი კიბეა გაკეთებული.

გარე შესასვლელები პატრონიკის ზედა გალერეაზე სამცხეში საკმაოდ იშვიათია. ასეთი შესასვლელი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ჰქონდა არალის 1850-იანი წლების ბოლოს აგებულ ეკლესიას (იქ კართან მისვლა სამრეკლოს პირველი იარუსიდან იყო შესაძლებელი). მსგავსი ფუნქციური გადაწყვეტის ნიმუშები შეიძლება ინახოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში - გუმუშჰანეს მახლობლად მდებარე სურბ სარქისისა და კურუმის ეკლესიებში (ორივე XIX საუკუნის II ნახევარს განეკუთვნება).[549] ასეთი გალერეები ქალებისთვის იყო განკუთვნილი და გარედან მოწყობილი კარით მათ შეეძლოთ იქ ეკლესიის ძირითადი სივრცის გავლის გარეშე მოხვედრილიყვნენ.

---

547. ქუთაისის ეკლესიის მშენებლების სახელები ცნობილია. ისინი ბერძენი ქვითხუროები - გიორგი შაბლახოვი და ქრისტოფორე თოფალ-ოღლი არიან. იხ.: *საქართველოს ძველი ქალაქები, ქუთაისი*, წიგნი მოამზადეს და გამოსცეს მარინე მულიამ და მზია ჯანჯალიამ (თბილისი: ბეთანია, 2006), 139. ანოტაცია №64. ანოტაციის ავტორი დ. ხოშტარია.
548. Samvel Karapetyan, *Akhaltskha*, 215.
549. Anthony Bryer and others, *The Post-Byzantine Monuments of the Pontos*, Part 3, 311; Part 4, 157, 261.

აბათხევის ეკლესიას აქვს ორფერდა სახურავი, რომლის დასავლეთ კეხზე სამრეკლოს ფანჩატური დგას. კვადრატული გეგმის ფანჩატურის ოთხი მრგვალი სვეტი ბოლოვდება ასეთივე მრგვალი კაპიტელებითა და მაღალი მართკუთხა იმპოსტებით, რომლებიც კუთხეებიდან ჩამოზრდილი კუბური მოცულობებით არის გაფორმებული. იმპოსტებზე გადასული ნახევარწრიული თაღების ზემოთ ამოყვანილი ოთხივე კედელი ფრონტონებით სრულდება. სამრეკლოს საბურველი ქვისაა. მიუხედავად იმისა, რომ სამრეკლო პატარაა და შესაბამისად, თაღებიც - ვიწრომალიანი, სიმტკიცის უზრუნველსაყოფად მათი ქუსლების დონეზე მაინც ლითონის დგარებია გადებული. იმპოსტებს შორის ჩადგმულ ქვის ფილაზე ეკლესიის მშენებლობის დასრულების თარიღი - 1886 წელია გამოყვანილი.

აბათხევის ეკლესია სამცხე-ჯავახეთის კათოლიკურ ეკლესიების უმეტესობისგან იმით განსხვავდება, რომ ძირითადად უხეშად დამუშავებული ქვით არის ნაგები. ასეთი ეკლესია რეგიონში სულ რამდენიმეა: ალასტანის ღმრთისმშობელი (1863), ნაოხრების მაცხოვარი (1863-1865) და ბავრის წმ. ჯვარი (1883-1887), ასევე კულიკამის სურბ კარაპეტის სომხურ-მონოფიზიტური ეკლესია (1865, განახლებულია XX საუკუნის დასაწყისში). ამ უკანასკნელში დასავლეთი ფასადი, აბათხევის მსგავსად, სუფთად გათლილი ქვით არის მოპირკეთებული და რადგან ორსავე შემთხვევაში ის მთავარია, მასალის განაწილების პრინციპი ცხადი ხდება - მატერიალურად გაჭირვებულმა მოსახლეობამ ,,მეორეხარისხოვან" ფასადებზე ეკონომია გააკეთა და თლილი ქვა მოზომილად, მხოლოდ მნიშვნელოვანი ადგილებისთვის (მთავარი ფასადი, სარკმლის საპირეები და სამრეკლო) გამოიყენა. ამაში უჩვეულო არაფერია. მსგავს ხერხს მიმართეს მაგალითად, თბილისის ბეთლემის ღმრთისმშობლის, იგივე ფეთხაინის (დღევანდელი სახით ეკლესია XVIII-XIX საუკუნეებს განეკუთვნება) მშენებლებმაც. მათ ქვიშაქვის თლილი პერანგით შემოსეს ეკლესიის მხოლოდ ის ნაწილები, რომლებიც ქალაქს გადაჰყურებს ან მისი შორი ხედებიდან კარგად მოჩანს (ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი

ფასადები, გუმბათის ყელი), ხოლო დანარჩენი ნაწილები უფრო იაფი მასალით - აგურით ამოიყვანეს.[550]

აბათხევის ერთი შეხედვით ტიპური და არაფრით გამორჩეული ეკლესია საინტერესო მასალას იძლევა XIX საუკუნის II ნახევრის სამცხე-ჯავახეთში მიმდინარე მშენებლობის ხასიათისა და ტენდენციების შესასწავლად.

3.1.11. წყალთბილას მაცხოვრის ეკლესია

სოფელი წყალთბილა ახალციხიდან 15 კილომეტრის დაშორებით, მდ. ფოცხოვისწყლის ხეობაში მდებარეობს. ის სომეხი კათოლიკეებით დასახლებული სოფლების (ნაოხრები, აბათხევი, წინუბანი და ჯულღა) თემის ცენტრია. წყალთბილას დღევანდელი მოსახლეობის წინაპრები 1830 წელს ერზერუმის ვილაიეთის სოფელ ნორშენიდან გადმოასახლეს. მათ მშობლიური სოფლის ხსოვნის პატივსაცემად წყალთბილას ნორშენი დაარქვეს. დღეს ის ორსავე სახელს ატარებს.

საარქივო მასალის მიხედვით, ახალმოსახლეებს პირველი ეკლესია მალევე აუგიათ. ხით ნაშენი სამლოცველო ღმრთისმშობლის სახელზე ყოფილა ნაკურთხი. [551] 1849 წელს ის მაცხოვრის სახელობის ქვის ეკლესიით ჩაანაცვლეს.[552]

წყალთბილას დღევანდელი, ასევე მაცხოვრის სახელობის კათოლიკური ეკლესია სამხრეთ და დასავლეთ კედელზე გაკეთებული სომხურენოვანი სამშენებლო წარწერის თანახმად 1883 წელს არის აგებული (სამხრეთ კედელზე არაბული რიცხვებით დაწერილი თარიღი გარკვევით იკითხება, უშუალოდ წარწერა კი დაზიანებულია და ასოები კარგად არ

---

550 . დავით ხოშტარია, ,,შენიშვნები თბილისის შუა საუკუნეების ეკლესიებზე", *საქართველოს სიძველენი* 12 (2008): 235; დიმიტრი თუმანიშვილი, ,,თბილისის ბეთლემის ღმრთისმშობლის ეკლესია" (ხელნაწერი), 4.

551. სცა, ფონდი №1644, აღწერა №1, საქმე №1.

552 . *Кавказский Календар* на 1885 год, 68; ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში*, 108.

გაირჩევა. დასავლეთ კედელზე თარიღი დღეს გადათლილი ჯვრის აქეთ-იქით წერია). ის ქვის გალავნით მოსაზღვრული მცირე ეზოს ცენტრში დგას. მართკუთხა გეგმის შენობა დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზეა წაგრძელებული და აღმოსავლეთით სამნაწილიანი საკურთხევლით სრულდება (გარე ზომებია: 22.26 მ × 12.31 მ) (ილ. 172). საკურთხევლის სეგმენტური აფსიდის ორსავე მხარეს კვადრატული გეგმის დამხმარე ოთახებია განთავსებული. ისინი დასავლეთ კედელში მოწყობილი თაღოვანი კარების მეშვეობით უკავშირდება ძირითად სივრცეს. განიერი დარბაზული სივრცე ხის ცრუ კამარით არის გადახურული (ილ. 173). კამარას ჭრილში ტალღოვანი, მსუბუქად გამოხატული სამყურა პროფილი აქვს.

ინტერიერის ძველი მორთულობა მთლიანად შეიცვალა 2008 წელს, როცა ეკლესია განაახლეს სომეხ კათოლიკეთა პატრიარქის ნერსეს პეტროს XIX-ის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით.[553] განახლების მთავარ მიზანს აშკარად ეკლესიის „სომხურობის“ აქცენტირება წარმოადგენდა, ამიტომ ინტერიერის ბევრი დეტალი შუა საუკუნეების სომხური ხელოვნებიდან არის ნასესხები და არაფერი აქვს საერთო ადგილობრივი კათოლიკური ეკლესიების ტრადიციულ გაფორმებასთან. გადაკეთებული შიდა სივრცე ერთგვარი გულუბრყვილო პომპეზურობით გამოირჩევა. უზარმაზარ პატრონიკე გრძივი კედლების წინ ამოყვანილ ტერაკოტისფერ ქვის მასიურ პილასტრებსა და თავისფლად მდგომ მსხვილ რვაწახნაგა სვეტებზეა გამართული. მათი ვოლუტებიანი კაპიტელები ზვართნოცის VII საუკუნის ეკლესიის სვეტისთავების გამარტივებული ვარიანტია.

553 . სოფლის მოსახლეობამ პატრიარქის ვიზიტის აღსანიშნავად საგანგებო დაფაც დაამზადებინა. ის ეკლესიის სამხრეთ ფასადზეა დამაგრებული. პატრიარქის პორტრეტს თან ახლავს შემდეგი წარწერა: ,,უპატივცემულესმა და უნეტარესმა ტ. ტ. ნერსეს პეტროს XIX, კათოლიკე სომეხთა კათოლიკოს-პატრიარქმა საქართველოში თავისი სამწყსოს მონახულებისას მოილოცა მაცხოვრის სახელობის ეს ეკლესია 2008 წლის 31 ივლისს და აღასრულა წმიდა წირვა.” ამავე ფასადზე კიდევ ერთი ახალი დაფაა წარწერით: ,,ეს დაფა შეიქმნა ტერ ქეროვბეს ვარდაპეტ ტერ პოღოსეანის გარდაცვალების 70 წლისთავზე, რომელიც დაიბადა 1878 წელს, დააპატიმრეს 1937 წლის 25 დეკემბერს, თავი შეაფარა ჯავახეთს, სადაც გარდაიცვალა. „კეთილი მწყემსი თავის სულს დადებს ცხვრებისთვის“. (იოანე, 10, 11).“

ტერაკოტისფერი ფილებით არის მოპირკეთებული საკურთხევლის ქვედა ნახევარი ბემის მხრებისა და დამხმარე ოთახების კარების ჩათვლით. შემაღლებული საკურთხევლის წინა პირი და ტრაპეზი შუა საუკუნეების სომხური ხაჩკარებიდან აღებული მოტივებით არის გაფორმებული. აფსიდის, კონქისა და სარკმლების წირთხლების მოხატულობაში მჭახე ოქროსფერი ჭარბობს. ოქროსფერი ყვავილებით არის შემკული ეკლესიის აღმოსავლეთი მონაკვეთის ძირითადი სივრცისაგან გამყოფი ლითონის დაბალი მოაჯირი.

გარედან შენობა კარგად გათლილი მოვარდისფრო და მოყვითალო ქვიშისფერი კვადრებით არის მოპირკეთებული. გრძივ ფასადებში ოთხ-ოთხი ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი (ილ. 174). მათ კედლის დონიდან ოდნავ ამოწეული ბრტყელი საპირეები შემოწერს. საპირეები ზედა ნაწილში გაფორმებულია პროფილირებული თავსართებით, რომლებიც ორივე ბოლოში ძალიან სტილიზებული ბროწეულის ფორმის ელემენტებს დაირთავს. სარკმლების ძირების დონეზე გავლებული პროფილირებული სარტყლები ფასადებს მთელ სიგრძეზე გასდევს.

აღმოსავლეთ კედელში სამი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი (ილ. 175). აქედან შუა უფრო მაღალი და განიერია. ის ზემოთ აღწერილი სარკმლების მსგავსად არის გაფორმებული. კეხში გაკეთებული პატარა მართკუთხა ფორმის ღიობი სახურავის სივრცეს ანათებს. ღიობის ქვემოთ ჩასმულია ფილა გასხივოსნებული ჯვრის გამოსახულებითა და სომხურენოვანი დაქარაგმებული წარწერით - ,,იესო მაცხოვარი".

აღმოსავლეთ ფასადზე ყურადღებას იქცევს ცოკოლი, რომლის თითქმის ყველა ქვაზე ჯვარია ამოკაწრული (ზოგიერთ მათგანზე რამდენიმეც) (ილ. 176). საკურთხევლის კედლის საფუძველზე ჯვრების გამოსახვა სავარაუდოდ, ეკლესიის საძირკვლის კურთხევის რიტუალთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ეკლესიაში შესასვლელი კარები დასავლეთი და სამხრეთი ფასადების ცენტრშია გაჭრილი. მათ წინ შუშაბანდის ტიპის უსახური მინაშენები დგას. კარები იდენტურად არის გაფორმებული - მართკუთხა ფორმის ღიობები ფლანკირებულია ბრტყელი პილასტრებით, რომელთა პროფილირებულ კაპიტელებზე მუზარადისებური თაღის მოხაზულობის თავსართი გადადის (ილ. 177).

წყალთბილას ეკლესიასთან გაფორმების თვალსაზრისით ძალიან ახლოს დგას ახალციხის წმ. მარინეს მართლმადიდებლური (1868-1898) და წუღრუთის წმ. სიონის სომხურ-მონოფიზიტური ეკლესიები (1881). სამივეს სარკმლების თავსართები და კარების საპირეები თითქმის იდენტურია (ილ. 178, 179). ასეთი მსგავსება მაფიქრებინებს, რომ ისინი ერთი სამშენებლო არტელის მიერ უნდა იყოს აგებული. შესაძლოა იმავე ოსტატებს ეკუთვნოდეს აბათხევის კათოლიკური (1881-1886) და ქუთაისის მაცხოვრის ამაღლების მართლმადიდებლური ეკლესიები (1890-1893), სადაც ,,ბროწეულებიანი" თავსართებით როგორც სარკმლები, ისე შესასვლელი ღიობებია გაფორმებული (ილ. 169, 180). სამშენებლო ტრადიციის მიხედვით ოთხივე ეკლესია ბერძენი ოსტატების მიერ ჩანს აგებული. მათგან მხოლოდ ქუთაისის

ეკლესიის მშენებელი ოსტატების სახელებია ცნობილი - ისინი გიორგი შაბლახოვი და ქრისტოფორე თოფალ-ოღლი არიან.[554]

ეკლესია ორფერდა სახურავით არის გადახურული. სახურავის დასავლეთ კეხზე, პროფილირებული სარტყლით მოფარგლულ შემაღლებულ ბაქანზე სამრეკლოს ფანჩატური დგას (ილ. 181). ის ტრადიციული ფორმისაა - ოთხი მრგვალი სვეტით, მათზე გადაყვანილი ნახევარწრიული თაღებითა და პირამიდისებური სახურავით. სვეტების კაპიტელები აბაკას კუთხეებიდან ჩამოზრდილი ცილინდრის ფორმის ელემენტებით არის გაფორმებული. სამრეკლოზე ასასვლელი დასავლეთი

554 . *საქართველოს ძველი ქალაქები, ქუთაისი*, წიგნი მოამზადეს და გამოსცეს მარინე მულიამ და მზია ჯანჯალიამ (თბილისი: ბეთანია, 2006), 139, ანოტაცია №64, ანოტაციის ავტორი დ. ხოშტარია.

კედლის ფარგლებშია მოწყობილი. ბუხრის მილივით ვიწრო სივრცე როგორც ფასადზე, ისე ინტერიერში ეკლესიის კედლის სიბრტყიდან გამოწეულია და მსხვილ კრონშტაინებს ეყრდნობა. მსგავსი სახით მოწყობილი ასასვლელები ასევე გვხვდება ვარევანისა (1890-იანი წლები) და ალასტანის კათოლიკურ ეკლესიებში (1863) (ილ. 233, 258).

წყალთბილას ეკლესია გეგმარებითი სტრუქტურით, ძირითადი პროპორციით, გაფომრების ხასიათითა თუ სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით, დიდად არ განსხვავდება თანადროული კათოლიკური ეკლესიებისგან და რეგიონში ბერძენთა მშენებლობის კიდევ ერთ რიგით ნიმუშს წარმოადგენს.

3.1.12. ხიზაბავრას წმ. იესოს გულის ეკლესია

სოფელი ხიზაბავრა მდებარეობს სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე, ასპინძიდან 19 კილომეტრის დაშორებით. ზეპირი გადმოცემის თანახმად, რომელიც წერილობითი წყაროებით არ დასტურდება, ხიზაბავრელ კათოლიკეებს პირველი ,,პატარა ... მიწურის ქოხივით გაკეთებული" ეკლესია XVI საუკუნეში აუგიათ. ის ჯვართ ამაღლების სახელზე ყოფილა ნაკურთხი.[555] XVIII საუკუნეში აქ როგორც სომხური, ისე ლათინური წესის კათოლიკეები ცხოვრობდნენ. 1766 წელს ხიზაბავრაში მისიონერად გაუგზავნიათ კაპუცინი პატრი ფრანჩისკე, რომელმაც აქ რამდენიმე წელი დაჰყო. ამ დროს ის ხიზაბავრაში ერთადერთი მღვდელია და ღმრთისმსახურებას ორივე ტიპიკონის მრევლისთვის ასრულებს.[556]

XIX საუკუნის დასაწყისში წმ. ჯვრის ეკლესია დაზიანებული იყო და მის სიახლოვეს ღმრთისმშობლის სახელობის უფრო მოზრდილი ეკლესია ააშენეს. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ის მღვდელმა ანტონ გოდებაძე-ხუციევმა

555. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 38.
556. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 435; იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბნაშვილი და სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალციხური ქრონიკები, დღიური-მატიანე*, 53.

ააგო 1828 წელს.[557] ,,კავკასიის კალენდარში“ მშენებლობის თარიღად 1840 წელია მითითებული.[558] თუ ეს უკანასკნელი თარიღი უფრო ზუსტია, მაშინ მისი მაშენებელი არა ანტონ გოდებაძე-ხუციევი, არამედ იოსებ ხუცოვია (ხუციშვილი), რომელიც ხიზაბავრაში მღვდლად 1836 წლიდან მსახურობდა.[559]

ახალი ეკლესია ,,მეტად მდარე აღმოჩნდა, მრევლისთვის პატარა და მასთან უბრალო სახლივით გაკეთებული, მიწურის ბანით და შიგ სრულიად მოუწყობი” [560]. ამასვე ადასტურებს მარი ბროსე, რომელიც ხიზაბავრაში 1847 წლის შემოდგომაზე იმყოფებოდა. მისი აღწერით ეკლესია, ახალციხის სამი ეკლესიის მსგავსად, ,,მართკუთხა ოთახის ფორმით” იყო აშენებული.[561]

1891 წელს ხიზაბავრაში მღვდლად მიხეილ ვარძელაშვილი დაინიშნა.[562] ენერგიულმა და აქტიურმა მღვდელმა პირველ რიგში ახალი ეკლესიის მშენებლობა დაისახა მიზნად. 1893 წელს მას უკვე აქვს შენობის არქიტექტურული პროექტი, რომლიც ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების არქიტექტორს ლუდვიკ კროპინსკის შეუდგენია (ილ. 182). [563] რუსეთის იმპერიაში მოქმედი სამშენებლო რეგულაციების გამო პროექტს ხანგრძლივი განხილვა-დამტკიცების პროცედურების გავლა დასჭირდა.

---

557. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში*, 38-39.
558. *Кавказский Календар на 1885 год,* 69.
559. ახალი ეკლესიის აშენების შემდეგ ძველი არ დაუნგრევიათ. ის დაზიანებული სახით XIX საუკუნის ბოლომდე მდგარა. 1880 წლის 5 ოქტომბერს მარი ბროსეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით ამ ეკლესიაში სიტყვა წარმოთქვა ივანე გვარამაძემ. *დროება*, 1880, 17 ოქტომბერი, №219, 2.
დროებითი სარგებლობის ან უბრალოდ სიძველის დაცვის მიზნით ის 1890-იან წლებში შეაუკეთებია მ. ვარძელაშვილს. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში*, 38; სცა, ფონდი №1644, ანაწერი №1, საქმე №1.
560. იქვე, 39.
561. Marie Brosset, *Rapports sur un voyage archéologique*, 2e livraison, 2e rapport, 176.
562. მ. ვარძელაშვილის შესახებ ვრცლად იხ.: ნატო ყრუაშვილი, *ხიზაბავრა* (თბილისი: ცოდნა, 2009), 45-47.
563. ნათია ნაცვლიშვილი, ,,კათოლიკური ეკლესიების მშენებლობა სამხრეთ საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე (ხიზაბავრა და სხვილისი)”, *საქართველოს სიძველენი* 16 (2013): 182-197. კროპინსკის შესახებ იხ.: ნათია ნაცვლიშვილი, ,,არქიტექტორი ლუდვიკ კროპინსკი”, *აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის თეზისები*, 2014 წლის 11-12 დეკემბერი, გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი, თბილისი, 19-20.

დამტკიცების პროცესში კროპინსკის პროექტმა გარკვეული ცვლილება განიცადა, რაც, პირველ რიგში, სამრეკლოს ფასადებს შეეხო. თავდაპირველი ნეიტრალურ-,,კლასიცისტური" გადაწყვეტის ნაცვლად, მათზე გაჩნდა შუა საუკუნეების სომხური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები - კარის მართკუთხად შეტეხილი გარე ჩარჩო, სამი ნიშა მეორე იარუსზე, მძიმეკარნიზიანი ფრონტონის ქვეშ მოქცეული რელიეფური ჯვარი შუა ნიშის თავზე და სხვა (ეს ელემენტები წითელი ტუშით არის გამოხაზული ცალკე ფურცლებზე და თავდაპირველ ნახაზზეა გადაკრული) (ილ. 183). აშკარაა, რომ იყო მცდელობა ეკლესიისათვის ერთგვარად ,,სომხური" იერი მიეცათ, მაგრამ პროექტის გახორციელებისას ეს ცვლილებები არ გაუთვალისწინებიათ. აშენებული ეკლესია კროპინსკის თავდაპირველ პროექტთან მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს, თუმცა მთლად ზუსტად არც მას მიჰყვება. ეკლესიას ნეიტრალური არქიტექტურული სახე აქვს, რაც პირველ რიგში უსახსრობას უნდა გამოეწვია.[564]

მ. ვარძელაშვილი ეკლესიის მშენებლობას 1896 წელს შეუდგა. [565] ადგილობრივ მოძიებული მცირე თანხა მალე გაუთავდა და ნებაყოფლობითი შემოწირულობების შესაგროვებლად ხელისუფლებისგან შესაბამისი ნებართვა ითხოვა. ხიზაბავრაში ეკლესიის მშენებლობის დაწყება და მასთან დაკავშირებული სირთულეები იმ პერიოდის პრესაშიც გაშუქდა. ილია ალხაზიშვილი გაზეთ ,,ივერიაში" წერდა:

ხიზაბავრელი ქართველობა 1700 სული დღევანდლამდე ერთ პატარა ძველ ეკკლესიის ამარა იყო, სადაც ოცი კაცი ძლივს დაეტეოდა, ამიტომაც დიდის მადლობის ღირსია მამა მიხეილ ვარძიელი, რომელმაც ითავა და ახალის ეკკლესიის აშენების ნება-რთვა და გეგმა გამოიტანა. ეკკლესიის საძირკველი და

564 . დავით ხოშტარია და ნათია ნაცვლიშვილი, ,,საეკლესიო არქიტექტურა და მშენებლობა ეროვნული და კონფესიური იდენტობის კონტექსტში", წიგნში: *არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918)*, რედ. დ. ხოშტარია (თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი, 2016), 25.

565 . ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 41; ნატო ყრუაშვილი, *ხიზაბავრა*, 25.

ერთ საჟენამდე კედლები შარშანვე ამოიტანეს და ახლა-კი საქმე გაუჭირდათ, რადგან ეკკლესიას თავისი ფული მხოლოდ სამასი თუმანი ჰქონდა, ხარჯი-კი ორი ათას თუმნად არის აღრიცხული, ამიტომაც საჭიროა კეთილ მორწმუნე ქრისტიანეთა წყალობა და შეწევნა.[566]

არც ადგილობრივად მოძიებული თანხა აღმოჩნდა საკმარისი. იმავე წელს მ. ვარძელაშვილი მ. თამარაშვილს ეკლესიის მშენებლობის გასაგრძელებელი ფულის მოსაძიებლად რომის პაპთან შუამდგომლობას სთხოვს:

...მამაო მიხაელ მგონი რომ თქვენც უნდა შეტყობილი გქონდესთ, რომ მე ხიზაბავრაშიდ ვაკეთებ ძალიან კარგს ეკკლესიას რომელზედაც იხარჯება 20000 მანეთი, ზოგი ხიზაბავრელებისგან ზოგი ქუთაისის, რუსეთის ხალხისგან დავკრიფე ფულები და კედლები შვიდი არშინის სიმაღლე როგორც იქმნა ავიტანე თუმცა აგერ ეხლაც კიდევ მივდივარ განმეორებით რუსეთში მაგრამ გავლილად ორი ათასი მანეთი ძლივს შევიძელ აკრეფა და ეხლაც არ ვიცი ვნახოთ რასმეს ვიშოვნი თუ არა, ასრე რომ რამდენიც ბევრი ვიშოვნო ან უნდა იყოს ათასი მანეთი და ან ცოტა მეტი. ... ამის გამო აგერ უნდა მოგმართოთ თქვენ და გთხოვოთ რომ როგორმე თუ შეიძლებ მიშუამდგომლოთ პაპთან ანუ ვატიკანში როგორც სახეირო იყოს რომ ან ცოტა რამ შემწეობა მოგვცე ყოვლითა ანუ მოწმობა მომცენ რომ იტალიაში და ფრანციაშიდ დავიარო ფულები მოვკრიფო რომ როგორმე იქნება შევასრულო ეკლესიის კეთება...[567]

ერთი წლის შემდეგ ის კვლავ მძიმე მდგომარეობაშია და დასახმარებლად ისევ მ. თამარაშვილს მიმართავს:

...ჩემო პატივცემულო მამაო აგერ რვა დღე იქნება რაც სტამბულშიდ ჩამოვედი იმ ჩემი თავ მობეზრილი და შეუსრულებელი ღატაკი ეკლესიისათვის, მაგრამ როგორც ვხედამ ესენი ჩემზედ უმფრო ტირიან (იგულისხმებიან

566. *ივერია*, 1897, 25 აპრილი, №78, 2.
567. მიხეილ ვარძელაშვილის წერილი მ. თამარაშვილს, 1897, 29 სექტემბერი, საქმე №1609, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

სტამბოლის ფერი-ქოის ქართული კათოლიკური მონასტრის ბერები - ნ. ნ.) და როგორც ეტყობა ამათგან არასფერი სიკეთე არ დაიბადება ... თუ არსაიდიმ რაიმე იმედი და შემწეობა არ მომეშველა ამდენმა ჩემმა თავის ხეთქა და შრომა რომელმაც სიცოცხლე შუაზედ გამიყო ტყვილად და ცუდათ ჩამიაროს უნდა ასე რომ თუ კაცი შენობას ვერდახურამს ხომ იცით რომ ის შენობა რა დღეში ჩავარდება უეჭველად დაირღვევა... მეტი გზა აღარა მაქვს უნდა ჩამოვიდე რომშიდ თქვენი იმედითა ... რამე შემწეობა უნდა აღმომიჩინოთ ღვთისათვის და არა ჩემთვის მე მამაო აგერ ორი წელიწადია აქ იქ დავიარები იმ ეკკლესიისთვის ჩემი ყოველი შესაძინი და ოჯახი მიტვებული მყავს ყოველ კერძოდ რომ იქმნები ამ საწყლის და ღატაკთ ხალხსა იქმნებ რაიმე შემწეობა მივსცე თქო გარდა ეკკლესიის აშენების მინდოდა როგორმე ერთი საეკკლესიო შკოლაც დამეარსებინა და სახელოსნოც თან რომ იქმება ეს საწყლები როგორმე სიბნელისაგან გამომეყვანა მარა ჩემდა საუბედუროდ ეკკლესიაც კი ვეღარ დავასრულე.[568]

მ. ვარძელაშვილის ძალისხმევას ამაოდ არ ჩაუვლია. მან არამარტო შეძლო ეკლესიის დამთავრება, არამედ სკოლაც გახსნა გოგონებისთვის:

ვიცი გაგეხარდებათ რომ ხიზაბავრა ძალიან მშვენივრად მოირთო ყველაფრით სადაც ვიშუამდგომლე მთავრობასთან და გადავაკეთებინე ნამყოფი ერთკლასიანი სასწავლებელი სკოლა ორკლასიანად. მასთანვე ცხონებული სტეფანე ზუბალაშვილის ფულითაც გავაკეთე ერთკლასიანი საქალებო სასწავლებელი თავისი სახელოსნო-სასწავლებლითა რომლის გამოც გამოვიწარე ჩვენი მონასტრისაგან 2 მოლაზონი და ასწავლიან მშვენივრად. ესენი ყოვლა საკვირველია მთავრობის ხარჯითა ერთი სიტყვით რამდენიმე წლის განმავლობაშიდ თუ ასრე წავიდა ხიზაბავრა თავის სიბნელისაგან გამოვა.[569]

ხიზაბავრას ეკლესია 1900 წლის 25 ივნისს აკურთხეს. [570] თანამედროვეთა აზრით, ის ერთ-ერთი საუკეთესო საეკლესიო ნაგებობა

568. მიხეილ ვარძელაშვილის წერილი მ. თამარაშვილს, 1898, 25 ნოემბერი, საქმე №1611, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.
569. მიხეილ ვარძელაშვილის წერილი მ. თამარაშვილს, 1905, 10 თებერვალი, საქმე №1617, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.
570. დელე პავლიაშვილი, ,,სოფ. ხიზაბავრაში...", *ცნობის ფურცელი*, 1900, 17 ივნისი, №1154, 1.

იყო მთელ რეგიონში. გაზეთი „ივერია“ წერდა: „დღეს სოფ. ხიზაბავრა ამაყობს თავისის დიდის ეკლესიისთ“, ხოლო ზ. ჭიჭინაძე ამბობდა, „ეს ეკლესია, მთელს ამ კუთხის კათოლიკეთ ეკლესიებში უპირველესად ჩაითვლება“-ო.[571] 1902 წლის ექსპედიციის ანგარიშში მას შუა საუკუნეების ძეგლების გვერდით საგანგებოდ ახსენებს ე. თაყაიშვილი.[572] სამცხე-ჯავახეთის კათოლიკურ ეკლესიებს შორის ყველაზე მეტად ხიზაბავრათი მოხიბლულა ტირასპოლის ეპისკოპოსი ბარონი ფონ როპი, თუმცა ქართველებისგან განსხვავებით მან ეკლესიის არქიტექტურული გადაწყვეტა დაიწუნა: ,,აქაური ეკკლესია ახალი ყოფილა და დიდიც. ძალიან მომეწონა ყველა ჩემ მიერ ნახულ, სომეხთ რიგის ეკლესიებზე უფრო, მარა სტილი ვერაა სანაქებო”.[573]

1896-1898 წლებში აგებული დარბაზული ეკლესია შემაღლებულ ბორცვზე დგას.[574] მის ფერდზე შეყოლებული გრძელი სამმარშიანი კიბე შენობის დასავლეთი ფასადისკენ მიემართება (ილ. 184). დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული მართკუთხა გეგმის ეკლესია (გარე ზომები: 14,15×27,50 მ) აღმოსავლეთით უაფსიდო საკურთხევლით სრულდება. ამ უკანასკნელს მართკუთხა ფორმა აქვს და ცილინდრული კამარით არის გადახურული (ილ. 185). ის ძირითად სივრცესთან შედარებით რამდენიმე საფეხურით ამაღლებულია და თითქმის მთელ პერიმეტრზე ღვთისმსახურთა ჩამოსაჯდომები შემოუყვება. სატრიუმფო თაღი ეფუძნება საკურთხევლის კუთხეებში განთავსებულ ნახევარსვეტებს,

---

571. ილია ალხაზიშვილი, ,,ჯავახეთის საჭიროებანი”, *ივერია*, 1898, 26 ნოემბერი, №253, 3; ზაქარია ჭიჭინაძე, *სამცხე-საათაბაგო და ქართველი კათოლიკენი* (თბილისი: მ. ხელაძის ტიპოგრაფია, 1906), 78.

572. ხიზაბავრას ძველი მართლმადიდებლური ეკლესიის აღწერის შემდეგ ის წერს: ,,ხიზაბავრაში ასევე არის 1898 წელს აშენებული ახალი შესანიშნავი ეკლესია ქართველი კათოლიკეებისა (В Хизабавре имеется и новая великолепная церковь грузин-католиков, построенная в 1898 году). იხ.: Евфимий Такаишвили, ,,Христианские памиятники, Экскурсия 1902 года”, *Материалы по археологии Кавказа*, вып. XII, Под редакций графини Уваровой, (Москва: Типография Г. Лисснера и Д. Собко), 1909, 19.

573. *ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა,* 27.

574. მინდა მადლობა გადავუხადო ხიზაბავრას მკვიდრთ - გულნაზ კალაიჯიშვილსა და ჯემალ დათაშვილს საველე სამუშაოს დროს გაწეული გულითადი დახმარებისთვის.

რომლებიც კიდეებწაკვეთილ შემაღლებებზეა შედგმული. მათი პროფილირებული ბაზისები და კაპიტელები ტანის მიმართ ორმოცდახუთი გრადუსით არის მოტრიალებული. ამ ხერხით, როგორც ჩანს, ოსტატს გარკვეული ცხოველხატულობის მიღწევა სურდა.

საკურთხევლის ორსავე მხარეს მართკუთხა გეგმის დამხმარე ოთახებია. ისინი ეკლესიის ძირითად სივრცეს დასავლეთ კედელში გაჭრილი თაღოვანი კარების მეშვეობით უკავშირდება. საკურთხევლის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში საკრისტიებში გამავალი თითო თაღოვანი სარკმელია მოწყობილი. [575] საკურთხევლის ქვეშ მდებარეობს კრიპტა - სარდაფი, რომელიც ეკლესიის ძირითად სივრცეზე არ გრძელდება. მასში ჩასასვლელი კარი მარცხენა საკრისტიის სამხრეთ კედელშია მოწყობილი.

განიერი დარბაზული სივრცე ხის ცრუ კამარით არის გადახურული. კარგად გათლილი რუხი ფერის კვადრებით მოპირკეთებული ინტერიერი დღეს შელესილია, ბათქაშის გარეშე მხოლოდ გრძივი კედლების დამანაწევრებელი ქვის პილასტრები და საკურთხევლის კუთხეებში გამოყვანილი ნახევარსვეტებია დატოვებული. ძალიან სპეციფიკურია ქვის დამუშავების ხასიათი - ზედაპირი მთლიანად წვრილად არის დაკეჭნილი. ნაკერები კვადრებს შორის კირის ხსნარით სქლად არის გალესილი. ქვის ტონთან შედარებით ღია (პილასტრებზე) და მუქი ფერის (სატრიუმფო თაღსა და საკურთხევლის ნახევარსვეტებზე) ჰორიზონტალური ხაზები ერთგვარ დეკორატიულ ეფექტს ქმნის. დასავლეთ კედელთან ხის ერთიარუსიანი პატრონიკე დგას (ილ. 186).

ინტერიერში ძველი აღჭურვილობიდან დარჩენილია წმინდა წყლის ჩასასხმელი და გადასაღვრელი ნიჟარები. ორი ერთნაირი, ერთიან ქვაში გამოთლილი პატარა ჩასასხმელი ნიჟარა სამხრეთი კარის აქეთ-იქით კედელშია ჩამაგრებული. მარჯვენა ნიჟარის ზედაპირზე ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული. წმინდა წყლის გადასაღვრელი ნიჟარა ჩრდილოეთი

575 . საკურთხევლის სამხრეთ კედელში გაჭრილი მართკუთხა კარი, რომელიც საკრისტიაში გადის, მოგვიანებით უნდა იყოს გაკეთებული.

კედლის აღმოსავლეთ კიდეში გაჭრილი სარკმლის ქვეშ არის მოთავსებული. ასევე ერთიან, მართკუთხა ფორმის ქვაში გამოთლილ ნიჟარას წყლის გასასვლელად მარჯვენა კუთხეში ნახვრეტი აქვს გაკეთებული (ილ. 187). დრენაჟი ისეა კედელში მოწყობილი, რომ წყალი პირდაპირ ნიადაგში იღვრება და არ ბინძურდება. ნიჟარის წინა პირზე ტოლმკლავა გასხივოსნებული ჯვარია გამოყვანილი.

გარედან ეკლესიას რუხი-მოლურჯო ფერის ტუფის კარგად გათლილი კვადრები მოსავს. ფასადები სადაა, თაღოვანი სარკმლების რიგითა (ჩრდილოეთ კედელში ექვსი, სამხრეთისაში ხუთი, ხოლო დასავლეთით ორი სარკმელია მოწყობილი) და შუაკედლისებზე აყოლებული პილასტრებით დანაწევრებული (ილ. 188). თანაბარი ზომის კვადრებით გამოყვანილი პილასტრების ბაზისები შემაღლებულ ცოკოლზეა შედგმული. კაპიტელები კარნიზზეა გადაყვანილი და მის პროფილს იმეორებს. აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებს ჩაკეტილი ფრონტონები აქვს. მათი ქვედა სარტყლები გრძივ კედლების კარნიზების გაგრძელებაა. ინტერიერის მსგავსად, ფასადებზეც კვადრების წყობის ნაკერები ადგილები სქლად არის გალესილი. რუხი ქვისა და მოთეთრო-მოყვითალო კირის ურთიერთდაპირისპირებით გარკვეული მხატვრული ეფექტია შექმნილი.

აღმოსავლეთი ფასადი ყრუ და სადაა (ილ. 189). მის ცენტრალურ არეში გაჭრილი დიდი სარკმელი მოგვიანებით ამოუქოლავთ. ფრონტონის არეში გაკეთებულია ჯვრის ფორმის სარკმელი, რომელსაც ჩაღრმავებული პროფილირებული საპირე შემოწერს. სარკმელი სხვენს ანათებს. ფრონტონი სრულდებოდა ღია ფერის გათლილი ქვით, რომელზეც სავარაუდოდ ჯვარზე გაკრული მაცხოვრის რელიეფური ფიგურა იყო გამოსახული. დღეს მისი უდიდესი ნაწილი მომტვრეულია. ცოკოლის არეში, თითქმის მიწის დონეზე, ოთხყურა მოყვანილობის პატარა სარკმელია მოწყობილი საკურთხევლის ქვეშ მდებარე კრიპტის გასანათებლად და გასანიავებლად.

ეკლესიაში შესასვლელი კარები სამხრეთ და დასავლეთ კედლებშია გაჭრილი (ილ. 190). თაღოვან სამხრეთ კარს მართკუთხა პროფილირებული ჩარჩო შემოსაზღვრავს, რომლის თავზეც ჯვარია აღმართული. კარის წირთხლებზე თითო პატარა ჯვარია გამოყვანილი.

ეკლესიის დასავლეთ ფასადზე სამსართულიანი სამრეკლო-კარიბჭეა მიდგმული (ილ. 184). მისი ქვედა ორი სართული სამი მხრიდან თაღოვანი ღიობებით არის გახსნილი. მეორე სართულს ზედა ნაწილში წიბოები ირიბად აქვს წაკვეთილი - ისე, რომ მიიღება არატოლფერდა რვაკუთხედი. ამ საფუძველზე დადგმული რვაწახნაგა ფანჩატური რვა მრგვალი სვეტისაგან შედგება. მათ ასრულებს რთული კაპიტელები, რომლებზეც ნახევარწრიული თაღებია გადაყვანილი. კაპიტელებზე აბაკის კუთხეებში კვადრატული ელემენტებია გამოყვანილი. ასეთ ელემენტებს სამცხე-ჯავახეთის თითქმის ყველა ეკლესიაში ვხვდებით. სხვაგან ისინი ბევრად მოცულობითია, ხიზაბავრაში კი დაბალი რელიეფითაა გამოყვანილი. აბაკის ქვეშ კაპიტელის კიდევ ერთი საფეხურია, რომლის კუთხეები მარტივი ,,სტალაქტიტის" ფორმისაა. ფანჩატურის აგურით გამოყვანილ კამარას ქვის საბურველი აქვს. სამრეკლოზე მოხვედრა მხოლოდ ინტერიერიდან, პატრონიკეს გავლით შეიძლება.

ეკლესიას ორი სამშენებლო წარწერა აქვს. ერთი სამრეკლოს შესასვლელის თავზე ჩადგმულ წითელი ქვის ფილაზეა მოთავსებული. მასზე ვკითხულობთ: ,,აღშენდა ესე რომის კათოლიკეთა ტაძარი იესოს გულისა მოღვაწეობითა მ. ვარძელაშვილისა შემწეობითა ხიზაბავრელ, რუსეთის და კავკაზელ კათოლიკეთა ღთ წელსა უდსა 1898. IESUS CHRISTUS DEUS HOMO VIVIT CONT IMPERIOM ANNO 1900 LEO XIII". კიდევ ერთი მთლიანად ქართულენოვანი სამშენებლო წარწერა სამხრეთი კარის თავზეა ამოკვეთილი. აღნიშნულმა წარწერებმა მთელი რიგი უსიამოვნებები მოუტანა მ. ვარძელაშვილს. წარწერების ენის გამო სომეხმა

კათოლიკე მღვდლებმა ის ,,გაქართველებასა" და ,,გადაგვარებაში" დაადანაშაულეს.[576] ამის შესახებ ის მ. თამარაშვილს ატყობინებს:

მამაო მოგახსენო ჩემი გაწვალება სომხებისაგან ხომ გახსობთ რომ აზარიანთან [577] მიჩივლეს სომხებმა ... უმეტესად შურითა შვიდმა ახალქალაქის მაზრის სომხის კათოლიკების ღვდლებმა (გვარით სომხებმა) მიჩივლეს გალიცინთან შემდეგის საჩივრითა რომ ვითომც ვარძელოვი არის დამარღვეველი სომხის კათოლიკური სარწმუნოების და აღვიარებს თავს რომის კათოლიკეთა და (წირვა) ლოცვას ასრულებს ქართულად... ლათინის წესისა აი რომელსაც ამტკიცებს მისი წარწერა ხიზაბავრის ახალ ეკკლესიაზედაო ... უბრძანე რომ წახოცოს ის წარწერა რადგან ხიზაბავრას ეკკლესია არის სომხის კათოლიკების და არა ქართველ რომის კათოლიკების.[578]

ცხადია, არც მ. ვარძელაშვილს გაუკეთებია შემთხვევით წარწერები მხოლოდ ქართულ და ლათინურ ენებზე და არც სომეხ კათოლიკეთა პრეტენზიები იყო უსაფუძვლო. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ოსმალების ბატონობის დროს აღმსარებლობის შესანარჩუნებლად სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებმა ქართველმა კათოლიკეებმა სომხური რიტი მიიღეს. ამ გადაწყვეტილებამ შემდგომში ისინი ეთნიკურ იდენტობასთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე დააყენა. [579] 1828 წელს რუსეთის იმპერიის მიერ სამცხე-ჯავახეთის მიერთების შემდეგ რუსულმა ხელისუფლებამ, ტიპიკონის გათვალისწინებით, ქართველი კათოლიკეები

576. მიხეილ ვარძელაშვილის წერილი მ. თამარაშვილს, 1902, 14 თებერვალი, საქმე №1615, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.
577. სტეფანოზ ბედროს X აზარიანი, სომეხ-კათოლიკეთა პატრიარქი 1881-1899 წლებში.
578. მიხეილ ვარძელაშვილის წერილი მ. თამარაშვილს, 1902, 14 თებერვალი, საქმე №1615, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.
579. 1900-იან წლებში ალექსანდრე ფრონელი წერდა: ,,ოსმალეთის თვალის ასაბმელად და ქრისტიანობის დასაცველად ქართველმა კათოლიკეებმა განიზრახეს, შემოეღოთ წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე. მართლაც ამ დიპლომატიურმა ხერხმა გაჭრა, ქართველმა კათოლიკეებმა შეინარჩუნეს ქრისტიანობა, მაგრამ დღეს ლამის ქართული ეროვნება დაკარგონ. თუ სცოდნოდათ მაშინ, რომ გულუბრყვილო დიპლომატიური ხერხი მატლად გადექცეოდათ, რომ პავლე და იაკობი პოღოსად და აკოფად გადინათლებოდა, შესაძლებელია, რომ მაჰმადიანობაზე უარი არ ეთქვათ და სახიფათო, კისერმოსატეხი დიპლომატიისათვის არ მიემართათ". იხ. ალექსანდრე ფრონელი, *დიდებული მესხეთი* (თბილისი: მარიხი, 1991), 39.

არ სცნო და ოფიციალურ საბუთებში სომხებად ჩაწერა. სამცხე-ჯავახეთის მკვიდრ კათოლიკეთა რიცხვს იმავე წელს თურქეთის საზღვრებში დარჩენილი არტაანის ოლქის სოფელ ველიდან გადმოსახლებული თურქულენოვანი კათოლიკეები (ისინი ჯავახეთის ახალქალაქის მაზრის სოფლებში - ბავრაში, კარტიკამში, ტურცხსა და ხულგუმოში დაასახლეს) და 1830-იან წლებში ერზერუმის ოლქიდან გადმოსახლებული სომეხი კათოლიკეები შეემატნენ. სხვადასხვა კონფესიურ და ეთნიკურ ჯგუფებს შორის უთანხმოების გაღვივების მიზანმიმართულმა პოლიტიკამ, რასაც მთელი იმპერიის ტერიტორიაზე ფართოდ მიმართავდა რუსული ხელისუფლება, შედეგი გამოიღო და მნიშვნელოვნად გაართულა ქართველ და სომეხ კათოლიკეთა თანაცხოვრება.

კონფლიქტს საფუძვლად დაედო სამცხე-ჯავახეთის ქართველი კათოლიკეების სურვილი, დაებრუნებინათ ლათინური რიტი, რომელიც მათ მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის საშუალებას მისცემდა. მდგომარეობა უფრო მეტად გაამძაფრა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ 1891 წელს გაცემულმა ბრძანებამ ქართული ენის გამოყენების აკრძალვის შესახებ, როგორც სომხურ-კათოლიკურ, ისე რომაულ-კათოლიკურ ეკლესიებში. ბრძანების შესახებ სამცხე-ჯავახეთში მოღვაწე მღვდლებს ტირასპოლის სასულიერო კონსისტორიის დეკანის საშუალებით ეცნობათ და მათი ნაწილი იძულებული გახდა ბრძანებას დამორჩილებოდა, რის დასტურადაც შესაბამის დოკუმენტზე მოაწერეს ხელი.[580] აღნიშნულმა მდგომარეობამ კიდევ უფრო გააძლიერა ქართველი კათოლიკეების სურვილი ებრძოლათ საკუთარი ტიპიკონისთვის. ზოგიერთი მათგანი არ ემორჩილებოდა ბრძანებას და მაინც ქართულ ენაზე ქადაგებდა.[581]

---

580. ივანე გვარამაძის წერილი მ. თამარაშვილს, 1891 წლის 4 ნოემბერი, საქმე №1205, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

581. ივანე გვარამაძე სწერდა მ. თამარაშვილს: ,,...წაგვიყვანეს პოლიციაში და ხელი მოგვაწერინეს, არ შეგეძლოსთ ამას იქით რამე ხმის ამოღება ქართულად ეკკლესიაშიო, ასე იყო მინისტრის ბრძანება. თქმა არის პირდაპირ მინისტრი უფლობს ჩვენზედა ეპისკოპოს კი არა ენაღვლება რა, არცა რა თავის დამცირებად სთვლის ასეთს მძლავრულ უკანონობასა. მეც სულ თათრულად ვკითხულობდი ჯვარის გზას ეკკლესიაში. სახარებას წრთვნას და ქადაგებას სკოლაში ვამბობ დღესაც ქართულად". ივანე გვარამაძის წერილი მ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველი მღვდლების სურვილს სასტიკი წინააღმდეგობა შეხვდა სომეხი კათოლიკე მღვდლების მხრიდან. ამ უკანასკნელთა წარმოდგენით, სომხურ-კათოლიკური ეკლესიის მრევლის ეთნიკურად ქართველი ნაწილიც მათ ,,გვარს" ეკუთვნოდა და, შესაბამისად, ტიპიკონის ენის შეცვლა მათ ,,გადაგვარებას" ნიშნავდა. სომეხ კათოლიკეთათვის მნიშვნელოვანი არგუმენტი იყო ის, რომ ქართველ კათოლიკეებს ისტორიულად არ ჰყოლიათ წარმოშობით ქართველი ეპისკოპოსი. ამდენად, მათ არც დამოუკიდებელი ეკლესიის ქონაზე უნდა ჰქონოდათ პრეტენზია. საინტერესოდ წარმოგვიჩენს ამ დამოკიდებულებას არუთინ სარუხანიანის სტატია ,,კიდევ რამდენიმე სიტყვა ქართველ-კათოლიკებზე", რომელიც გაზეთ ,,მშაკის" 1897 წლის №149-ში გამოქვეყნდა:

...ჩვენ ვლაპარაკობდით ,,გვაროვნული ქართველი-კათოლიკე ეპისკოპოსზედ", ანუ გვაროვნული ქართველი ეკლესიის საკუთარი მწყემის გამო; ხოლო ჩვენ გვიპასუხებენ, რომ 1293-ში ტფილისში იეპისკოპოზად დაინიშნა იოვანე ფლორენტიელიო. ბ. ჭიჭინაძეს (ზაქარია ჭიჭინაძე - ნ. ნ.) ავიწყდება, რომ იოვანე ფლორენტიელი არც ქართველი იყო თვითონ და არც საგვარო ქართველი - ეკლესიის მწყემსად. ის იყო იტალიელი მისიონერი. იგი მოსულიყო ლათინის ეკლესიის სახელით სამოქმედებლად; იგი ლათინურს წესს ჰხმარობდა და მისი შემდეგნიცა თუ სომეხი და თუ ქართველი ლათინურს წესს წყნარულობდნენ. სად არის აქ ,,ქართველ კათოლიკეთ ეკლესია?" სად არის ქართველი საგვარო კათოლიკის წეს-ტიპიკონი ?... ,,საგვარო კათოლიკე ეკლესიის" თქმით ჩვენ გვესმის ერთი სამწყსო, რომელიც სულიერს რამიებში შეერთებული ჰრომის ეკლესიასთან, წყნარულობს, რომ პაპი არის ეკლესიის თავი და სხვა შინაგან საქმეებში მას აქვს სრული თვით მმართველობა, თვისი საკუთარი ეკკლესიის საპატრიარქო. ესრედ არის სომხის-კათოლიკის ეკკლესია, ესრედვე არიან იგივე აღმოსავლეთის სხვა რავდენიმე ეკკლესიები.[582]

თამარაშვილს, 1893 წლის 20 აპრილი, საქმე №1208, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

582 . წერილი სომხურიდან თარგმნილია მ. თამარაშვილის მიერ. თარგმანის სტილი დაცულია. საქმე №169, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

თავის მხრივ, ქართველი ინტელექტუალები (მათ შორის არაკათოლიკეებიც - მაგალითად, ზაქარია ჭიჭინაძე, ალექსანდრე ფრონელი და სხვანი) სომეხ კათოლიკეებს ქართველ კათოლიკეთა ,,გასომხების" მცდელობაში ადანაშაულებდნენ:

... ამ რამდენიმე წლის წინად სომხურ გაზეთებში ბევრი წერილები იბეჭდებოდა საქართველოს კათოლიკეთა და იმათ ეკლესიათა შესახებ. გაზეთები ამ წერილების შემწეობით ცრუ და სიმართლეს მოკლებულს ამბებს ავრცელებენ ხალხში... უმთავრესი მიზანი გაზეთებისა ის იყო, რომ ყველა ქართველი კათოლიკენი სომხებად გარდაექმნათ. ისინი არწმუნებდნენ ყველას, რომ რომის-კათოლიკეთა ან სომხის-კათოლიკეთა სარწმუნოების ქართველები არასოდეს არ ყოფილან არც ქართლ-კახეთსა და არც ოსმალეთის საქართველოში, რომ ყველა ესრედ წოდებული ქართველი-კათოლიკენი სომხები არიანო და სხვა.[583]

მიუხედავად ცალკეულ მოღვაწეთა საჯარო მხარდაჭერისა, რაც ძირითადად სამცხე-ჯავახეთის კათოლიკე მოსახლეობის პრობლემების ფართო საზოგადოებისთვის პრესის საშუალებით გაცნობაში გამოიხატა, ტიპიკონის შეცვლის საკითხი მაინც ლოკალურ პრობლემად რჩებოდა.

მესხი კათოლიკეების ,,გასომხების" წინააღმდეგ და მათთვის მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარების უფლების მოსაპოვებლად აქტიური ბრძოლა დაიწყეს სამცხე-ჯავახეთში მოღვაწე ქართველმა კათოლიკე მღვდლებმა. მათ შორის იყო მ. ვარძელაშვილიც, რომელმაც 1902 წელს ახალციხის, უდეს და ვალეს მღვდლებთან ერთად რომის პაპს მიმართა თხოვნით სომეხი მღვდლების ნაცვლად ლათინი პატრების გამოგზავნის შესახებ:

... გთხოვთ და გევედრებით უნეტარესო მამაო, მოგვცეთ ჩვენ ლატინის მღვდლები, რომელთაც ცოლშვილი არ აწუხებთ და საჭირო სწავლა მაინც აქვთ სემინარიაში მიღებული, რაცა სომხის მღვდლებს, გარდა ცოლშვილისა,

583. ლუკა ისარლოვი, ,,კათოლიკენი საქართველოში", *მოამბე* , XII (დეკემბერი 1897), 61.

უსაჭიროესი რამების ცოდნაც არა აქვთ რა; რადგან არავითარ სემინარიაში არ არიან გაზრდილნი, და მათ კურთხევისათვის დიდი რა არ მოითხოვება ტირასპოლის ეპისკოპოზისაგან, რომელიც დიდის სიადვილით აკურთხებს, ვისაც კი წარუდგენს მსგავსადვე უმეცარი ვინმე სომხის კათოლიკის მღვდელი![584]

ქართველი კათოლიკეების თხოვნა რომმა არ დააკმაყოფილა. მ. ვარძელაშვილს ისღა დარჩენოდა მომჩივანთა თვალის ასახვევად დასავლეთი ფასადის წარწერა შეელესა (ფილაზე შეიმჩნევა ვარდისფერი ნალესობის მცირე კვალი) და მსგავსი შინაარსის წარწერა შედარებით მოფარებულ ადგილას, სამხრეთი კარის თავზე გაეკეთებინა.

3.1.13. სხვილისის ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესია

სოფელი სხვილისი (დამახინჯებული სახელია სუფლისა) მდებარეობს ახალციხიდან 5 კმ-ის დაშორებით, მდ. ქვაბლიანის მარჯვენა ნაპირზე. ის სამცხე-ჯავახეთის რეგიონის იმ სოფელთა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც 1829 წელს ერზერუმიდან გადმოსახლებული სომეხი კათოლიკეები დასახლდნენ. ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, პირველი ეკლესია მათ მართლმადიდებელთა ძველი ეკლესიის ადგილზე 1843 წელს აუგიათ.[585] მშენებლობის იგივე თარიღია მითითებული 1885 წელს გამოქვეყნებულ ,,კავკასიის კალენდარში".[586] წმ. ჯვრის სახელობის სამლოცველო ხის იყო.[587]

---

584 . მ. ვარძელაშვილთან ერთად თხოვნას ხელს აწერენ: ახალციხის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ზედამხედველი მღვდელი ივანე გვარამაძე, უდეს ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიის ზედამხედველი მღვდელი სიმონ ჭილაშვილი და ვალეს ღმრთისმშობლის ეკლესიის ზედამხედველი მღვდელი სტეფანე ზაქაროვი. ,,ქართველ კათოლიკეთა მიმართვა რომის პაპისადმი - სთხოვენ ახალციხის მხარის კათოლიკურ ეკლესიებში სომეხთა ნაცვლად ლათინთა ტიპიკონის მღვდლების დანიშვნას. ხელს აწერენ ახალციხის, ხიზაბავრის, უდის და ვალეს კათოლიკური ეკლესიის მსახურნი. 1902 წელი, საქმე №4225, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

585. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 108-109.

586. *Кавказский Календар на 1885 год,* 69.

587. სცა, ფონდი №1644, ანაწერი №1, საქმე №1.

ამჟამინდელი კათოლიკური ეკლესია, რომელიც სოფლის ცენტრში დგას, XIX საუკუნის ბოლოს არის აგებული და ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის სახელობისაა. შენობა ახალი დამთავრებული იყო 1903 წელს, როცა ის ტირასპოლის ეპისკოპოსმა ბარონმა დე როპმა მოინახულა. ის ეკლესიის არქიტექტურით დიდად არ აღფრთოვანებულა და წერს ,,არა უჭირს რა"-ო.[588]

ეკლესიის პროექტი 1893 წელს შეადგინა ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების არქიტექტორმა ლუდვიკ კროპინსკიმ (ილ. 191). [589] ეკლესიის სამშენებლო ისტორია უცნობია. იმდროინდელ პრაქტიკას თუ გავითვალისწინებთ სხვა ეკლესიების მსგავსად ისიც ადგილობრივი და იმპერიის სხვა მხარეებში მცხოვრები კათოლიკეების მიერ გაღებული შემოწირულობებით უნდა იყოს აგებული.

დამტკიცების პროცესში სხვილისის ეკლესიის პროექტმა ცვლილება განიცადა. ცვლილებები ყველაზე მეტად სამრეკლოს შეეხო, თუმცა საბოლოოდ აგებული ეკლესია პროექტის როგორც თავდაპირველი, ისე კორექტირებული ვარიანტისაგან სიმარტივით განსხვავდება - მაგალითად, არ გაუკეთებიათ მაღალი რთულადპროფილირებული კარნიზები, რომლებიც ნაჩვენებია პროექტის ორსავე ვარიანტზე.

დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული ნაგებობა (გარე ზომები: 11.17 × 20.50 მ) აღმოსავლეთით სეგმენტურად შვერილი აფსიდით სრულდება (ილ. 192). აღმოსავლეთი მონაკვეთი ძირითად სივრცესთან შედარებით ორი საფეხურით ამაღლებულია და ხის დაბალი რიკულებიანი მოაჯირით არის მოზღუდული (ილ. 193). იატაკის კიდე მრუდხაზოვანია და მოაჯირიც მის კონტურს იმეორებს. საკურთხეველი, სომხური სამოციქულო ეკლესიების მსგავსად, შემაღლებულია. მის ორსავე მხარეს მართკუთხა გეგმის დამხმარე ოთახებია მოწყობილი. მათ კედლებში

588. *ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა,* 31.

589 . ნათია ნაცვლიშვილი, ,,კათოლიკური ეკლესიების მშენებლობა სამხრეთ საქართველოში", 182-193; ნათია ნაცვლიშვილი, ,,არქიტექტორი ლუდვიკ კროპინსკი", 19-20.

გაჭრილი მაღალი თაღოვანი სარკმლები საკურთხევლის აფსიდისთვის მეორადი განათების წყაროა.

საკურთხევლის აფსიდის მხრები ქვედა ნაწილში დიაგონალურად არის ჩამოჭრილი და გვერდით ოთახებში შესასვლელი კარები ამ ირიბ სიბრტყეებშია მოწყობილი. ამის გამო პილასტრები, რომელთაც სატრიუმფო თაღი ეფუძნება, შუაზე წყდება და კარების დეკორს უერთდება. ღიობები შეულესავად დატოვებული თლილი ქვებით არის გამოყვანილი. ზემოდან მათ მოფარგლავს მაღალი ზღუდარები ერთნაირი დეკორით - ქვის ზედა ნაწილში გავლებულ ჰორიზონტალურ ღერძზე ერთმანეთისგან თანაბარი მანძილზე სამი სტილიზებული მტევანი ჰკიდია. ორსავე ზღუდარს თავზე ადევს ასეთივე დიდი ფილები, რომელთა ცენტრალური არე ღრმად ჩაკვეთილი სამკუთხედით არის აღნიშნული, ხოლო წიბოებზე ვოლუტებია გამოყვანილი. მოჩარჩოებას ასრულებს მესამე, შედარებით ვიწრო ქვა ირიბად ჩამოკვეთილი წინა მხარით. ამ ჩაკვეთილ სამკუთხა სიბრტყეზე გამოყვანილია ფრთებგამობმული დისკო და მის თავზე ჯვარი (აღნიშნული კომპოზიცია ძალიან წააგავს გვიანი შუა საუკუნეების საფლავის ქვებისათვის დამახასიათებელ კომპოზიციას - ფრთიანი ანგელოზი მისკენ დაშვებული მტრედით). ზოგადი ფორმით კარების ჩარჩოები მოგვაგონებს ისლამურ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ მუკარნასს, რომელმაც სომხურ და პოსტბიზანტიურ არქიტექტურაშიც შეაღწია (ილ. 194). ქვის ზედაპირის პირობითი დამუშავება, ორნამენტის არაღრმა კვეთა და რეპერტუარი მაფიქრებინებს, რომ შესასვლელების გაფორმების ავტორი ხეზე კვეთაში გაწაფული ადგილობრივი სომეხი ან ბერძენი ოსტატია. შესაძლოა მასვე ეკუთვნოდეს დასავლეთ კედელთან გამართული ორსართულიანი ხის პატრონიკე, რომლის სვეტები ასევე ვოლუტებიანი კაპიტელებით, ხოლო კიბეები პროფილირებული მოაჯირებით არის გაფორმებული (ილ. 195).

საკურთხევლის გვერდითი ოთახების დასავლეთ კედლებში მაღალი და ღრმა თაღოვანი ნიშებია მოწყობილი. მარცხენა ნიშაში ღმრთისმშობლის, ხოლო მარჯვენაში იესოს ქანდაკება დგას.

შიდა სივრცეს ხის ძელებით აწყობილი მრუდხაზოვანი ცრუ კამარა ხურავს. კედლები თავიდან ქვის კარგად გათლილი კვადრებით უნდა ყოფილიყო მოპირკეთებული. რამდენიმე წლის წინ ისინი შელესეს, ხოლო კამარა მოხატეს. მასზე სომხეთის ეკლესიის ადრეული ისტორიის ეპიზოდებია გამოსახული. წყალთბილას მსგავსად, თანამედროვე განახლება ამ შემთხვევაშიც ეკლესიის ზოგადი სომხური კონტექსტის გაძლიერებას ემსახურება.

ეკლესიის გარედან მოყვითალო ქვიშისფერი ტუფის კარგად გათლილი პერანგი მოსავს. ფასადები სადაა. აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებს ჩაკეტილი ფრონტონები აქვს (ილ. 196). აღმოსავლეთი ფრონტონის არეში ჯვრის, ხოლო აფსიდის ძირში ოთხფურცლა ყვავილის ფორმის ღიობებია გაჭრილი. ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებს ანაწევრებს ხუთ-ხუთი ბრტყელი თაღოვანი ნიშა, რომლებშიც შესაბამისი რაოდენობის თაღოვანი სარკმლებია გაჭრილი. მათ პროფილირებული საპირეები ევლება. დასავლეთ ფასადზე მიდგმულია სამსართულიანი სამრეკლო-კარიბჭე (ილ. 197). ეკლესიაში შესასვლელი კარები დასავლეთ და სამხრეთ კედლებშია მოწყობილი. რამდენიმე წლის წინ სამხრეთ კარს ორფერდა სახურავით გადახურული დაბალი უსახური მოცულობა მიადგეს.

ფასადებზე ყველა თაღი ნახევარწრიულია, გარდა სამრეკლოს პირველი სართულის თაღებისა - მათ შეისრული ფორმა აქვს. სამრეკლოს მეორე და მესამე სართულები ლითონის მოაჯირებით არის მოზღუდული (ისინი პროექტზეც ჩანს). მეორე იარუსს ზედა ნაწილში წიბოები ირიბად აქვს წაკვეთილი. მათზე ჯვრებია გამოსახული. სამრეკლოს მესამე სართული წარმოადგენს ექვსწახნაგა ფანჩატურს, რომელიც ექვსი მრგვალი სვეტით არის შედგენილი. სვეტებს სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიების სამრეკლოებისათვის სახასიათო კაპიტელები აქვს - აბაკას

კუთხეების ქვეშ დამატებითი მოცულობებია გამოყვანილი. მათ ქვემოდან სქემატური ,,სტალაქტიდები“ ერთვის. ფანჩატურს შიგნიდან სფერული, გარედან კი ოთხწახნაგა პირამიდისებური გადახურვა აქვს. ამჟამად ის თუნუქის ფურცლებით არის დაბურული.

ხიზაბავრას მსგავსად, სხვილისის ეკლესიის არქიტექტურაც სიმარტივით ხასიათდება და ნეიტრალურ-,,კლასიცისტურ“ სტილშია გადაწყვეტილი. ერთი არქიტექტორის მიერ დაპროექტებულ ორ ეკლესიას მსგავსი გეგმა და პროპორციები აქვს, თუმცა ცალკეული არქიტექტურული ელმენტებით ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება. მაგალითად, ხიზაბავრას ინტერიერს პილასტრები ანაწევრებს, ხოლო სხვილისას - არა; მეორე მხრივ, სხვილისში ფასადებს თაღნარი შემოუყვება, ხიზაბავრაში კი ისინი სადაა; სხხვილისის ეკლესიას შვერილი აფსიდი აქვს, მაშინ როცა ხიზაბავრაში საკურთხეველი მართკუთხედშია ჩაწერილი; ამ უკანასკნელის დამხმარე ოთახების შესასვლელები გაფორმების გარეშეა დატოვებული, სხვილისში კი მათ განვითარებული დეკორი აქვს. ამ განსხვავებების მიზეზი როგორც დამკვეთის სურვილი და ფინანსური შესაძლებლობები, ისე ოსტატთა სამშენებლო ჩვევები უნდა იყოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ორივე ეკლესია თითქმის თანადროულად იგებოდა, მათზე მშენებელთა სხვადასხვა ჯგუფების მუშაობა უნდა ვივარაუდოთ. ერთდროულად რამდენიმე ადგილობრივი არტელის არსებობა გასაკვირი სულაც არ არის - XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სამცხე-ჯავახეთში გაცხოველებული სამშენებლო საქმიანობა მიმდინარეობდა, რასაც, ცხადია, რამდენიმე ოსტატი ვერ გასწვდებოდა.

3.1.14. უდეს წმ. სერგის (სურბ სარქისის) ეკლესია

სოფელი უდე ადიგენიდან 14, ხოლო ახალციხიდან 20 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ქართული კათოლიკური თემი აქ ყოველთვის ძლიერი იყო და მოსახლეობის უმეტესობას შეადგენდა.[590]

XVIII საუკუნის II ნახევარში კათოლიკეებს სოფელ უდეში ორი - ღმრთისმშობლისა და წმ. სერგის (სურბ სარქისის) სახელობის ეკლესია ჰქონდათ.[591] ღმრთისმშობელი XX საუკუნის დასაწყისში ჩაანაცვლა იმავე სახელობის დიდმა გუმბათიანმა ეკლესიამ, რომელიც ახლაც დგას და მართლმადიდებლებს ეკუთვნის. წმ. სერგი ამჟამად ასევე მართლმადიდებლების ხელშია და წმ. ნინოს სახელობისაა.

ამ ეკლესიებს თავის დღიურში ახსენებს სამცხელი მღვდელი იოანე ხოჯაშვილი, რომელიც უდეში წინამძღვრად 1766 წლის 22 იანვარს დაუნიშნავთ.[592] რამდენიმე თვეში მან ეკლესიის შეკეთებას მიჰყო ხელი: ,,ენკენისთვე 5, სამ[შაბათი] ქ. უდის საყდრის ტრაპეზის დოშამი გავაკეთებინე, რომელია ქვაფენილი", ,,ენკენისთვე 7, ხუ[თშაბათი] ქ. უდის საყდარს ჴელი მივჰყავით გასათეთრებლათ".[593] სამწუხაროდ იოანე ეკლესიის სახელობას არ უთითებს და ჩვენთვის უცნობი რჩება კონკრეტულად რომელი შენობა განაახლა მან. 1767 წლის 12 მაისს უდეში იმერეთზე სალაშქროდ მიმავალი ოსმალთა ჯარი დაბანაკდა. შეშინებულმა მოსახლეობამ სოფელი დატოვა. იოანე ქუთაისს გაემგზავრა და იქ 1777 წლის 5 აპრილამდე დარჩა.[594] სამცხეში დაბრუნებული იოანე ჯერ არტაანის კათოლიკურ სოფლებში ასრულებს ღვთისმსახურებას, ხოლო 1783 წლიდან ახალციხეშია დაფუძნებული. უდეში ის აღარ საქმიანობს, თუმცა იქაურ

590. 1885 წელს სოფელში 897 კათოლიკე ცხოვრობდა, 1900-იანი წლების დასაწყისში - 1562, ხოლო 1909 წელს - 2120. იხ.: *Кавказский Календар на 1885 год*, 69; ალექსანდრე ფრონელი, *დიდებული მესხეთი* (თბილისი: მარიხი, 1991), 42.

591. იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბინაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალცხიური ქრონიკები, დღიური-მატიანე*, 136, 158.

592. იანვარი 22, კვი[რა] ქ. უდელების წირვა დავიწყე. იქვე, 10.

593. იქვე, 12; შოთა ლომსაძე, *გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები* (თბილისი: მეცნიერება, 1979), 85.

594. იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბნაშვილი და სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალციხური ქრონიკები, დღიური-მატიანე*, 13; 50; შოთა ლომსაძე, *გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან*, 86, 87.

მრევლთან თუ ეკლესიებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან მოვლენებს თავის დღიურში მაინც აღნიშნავს. კვლავ მისგან ვიგებთ, რომ 1787 წელს იქ ერთ-ერთი ეკლესიის განახლება დაუწყიათ: ,,მაისი 30, კვი[რე] უდის საყდარს შენება დაუწყეს".[595] სამწუხაროდ, იოანე სახელობას არც ამჯერად უთითებს.

წმ. სერგის ეკლესია ღმრთისმშობლის ეკლესიასთან შედარებით მცირე ზომის შენობა იყო.[596] უდეს პატარა კათოლიკურ ეკლესიას ახსენებენ ზ. ჭიჭინაძე და გ. ბოჭორიძე. ზ. ჭიჭინაძე მის სახელობას არ აკონკრეტებს. ის ამბობს შენობა, რომლის სიგრძეა 3 საჟენი, ხოლო სიგანე 2 საჟენი (დაახლოებით 6.4 X 4.3 მ) XIII საუკუნის ბოლოს არის აშენებულიო. [597] უფრო ვრცელია გ. ბოჭორიძის აღწერა და რამდენადაც მას არსებითი მნიშვნელობა აქვს ეკლესიის იდენტიფიცირებისთვის, აქ სრულად მომაქვს:

უდის წმ. გიორგის (პატარა ეკლესია) ერთნავიანი შენობაა ზომით 6,5X3,6 მ. ნაგებია თლილი ქვით და კირისაგან, ჰხურავს ფიქალი, კარი აქვს სამხრეთით, ფანჯარა აღმოსავლეთით - 1, დასავლეთით - 1, დასავლეთის ფანჯარა განახლებულია და ზევით უდევს მცირე ქვა სომხური წარწერით, რომელიც განახლების დროს არის დადებული. შიგნით დასავლეთ ნაწილში გამართულია აივანი. საკურთხეველს აქვს ორი მაღალი ღრმა თახჩა. ტრაპეზი ქართველ კათოლიკეთა ყაიდაზეა გამართული. ეს დღესაც ქართველი კათოლიკებისა არის. ჩრდილოეთ კედელში საკურთხეველთან არის ემბაზი - ოთხკუთხა ქვა ოთხკუთხად ამოჭრილი. შიგნით გალესილია კირით. ეკლესიას დასავლეთ მხარეს წარწერის (1842 წ.) მარცხენა მხარეს უდევს ქვა ჯვრის გამოსახულებით (იხ. ნახ. 24). სამხრეთ კედელზე ქვებს აქვს ჯვრის გამოსახულებანი სულ 6 ქვაზე. ჩრდილოეთ მხარეს არის ასეთივე ქვები.[598]

---

595 . იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბნაშვილი და სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალციხური ქრონიკები, დღიური-მატიანე*, 70.

596 . ,,1814 წელი სექტემბერი 5 - ამაღამ უდეს არლელი მარტიროზათ გრიქორას ძე ოვანესას და უდელი მერაბათ ქალი რისიმას გვირგვინი ვაკურთხე, იმავ უდის პატარა საყდარში სურფ-სარქისის". იქვე, 235.

597. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 29.

598 . გიორგი ბოჭორიძე, *მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები, საძიებლები და შესავალი დაურთეს დ. ბერძენიშვილმა, ლ. მელიქიშვილმა, ლ. ხუციშვილმა (თბილისი: მეცნიერება, 1992), 63, 64.

როგორც ჩანს ეს ეკლესია უნახავს მ. ბროსეს, რომელიც 1847 წლის შემოდგომაზე სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობისას უდეშიც იმყოფებოდა:

> აქედან (არალიდან - ნ. ნ.) მე წავედი უდეში, სოფელში, სადაც ჭარბობენ სომეხი კათოლიკეები. ეკლესია თლილი ქვისაა და მისი კედლები მოფენილია თავისებური სტილის ჯვრებით, რომელთაგან ერთი წარმოდგენილია VII ტაბულაზე. მოსახლეობის ზრდას ეკლესიის გადიდება მოუთხოვია, როგორც მოწმობს დასავლეთი მხარე, სადაც წერია: ქ. გამოწეულ იქმნა ესე კედელი ხელითა ტერ ᲂ. Ჰ. წელსა 1842. ინიციალები მალავს მღვდელ იოსებ ხუციანოვს, ამჟამად ... -ს მრევლის ღვთისმსახურს, რომელიც აქ ტერ ბოღოსმა შეცვალა.[599]

მოგზაურობისას მ. ბროსეს თან ახლდა ინჟინერი მუსლოვი, რომელმაც რამდენიმე ნახაზი გააკეთა. მათგან ორი უდეს კათოლიკური ეკლესიის დეტალებია - ჯვრებით გაფორმებული ქვის ფილა და სარკმლის საპირე (ილ. 198).[600] ეკლესიის სახელობა არც მ. ბროსეს ტექსტში და არც ნახაზების წარწერებშია მითითებული.

ვფიქრობ, წმ. სერგისა და გ. ბოჭორიძის მიერ აღწერილი წმ. გიორგის ეკლესიები ერთიდაიგივეა. 1840-იან წლებში შედგენილი ახალციხის მხარის ეკლესიების სიაში და 1885 წლის ,,კავკასიის კალენდარში“ ის წმ. სერგის სახლობით არის შეტანილი, [601] ხოლო პრასკოვია უვაროვა, რომელიც უდეში 1880-იანი წლების ბოლოს იმყოფებოდა, მას წმ. გიორგისად მოიხსენიებს. [602] ძნელად წარმოსადგენია ასე მოკლე ხანში კათოლიკეებს შენობა სხვა წმინდანის სახელზე ეკურთხათ. როგორც ჩანს უვაროვამ ეკლესიის სახელობა შეცდომით ჩაიწერა და ეს შეცდომა მასზე დაყრდნობით მოგვიანებით გ. ბოჭორიძემაც გაიმეორა.

---

599. Marie Brosset, *Rapports sur un voyage archéologique*, 2e livraison, 2e rapport, 131. ტექსტში სამი წერტილი ალბათ ნიშნავს, რომ ბროსეს დაავიწყდა სოფლის სახელწოდება. ქვემოთ ირკვევა, რომ ეს სოფელი ხიზაბავრაა. იხ.: იქვე, 176. იქ ეს მღვდელი ხუცოვადაა მოხსენიებული.
600. იქვე, ტაბულა VII.
601. სცა, ფონდი №1644, ანაწერი №1, საქმე №1; *Кавказский Календар на 1885 год*, 69.
602. Прасковья Уварова, ,,Христианские памятники”, *Материалы по Археологии Кавказа собранные экспедициями Императорского московского археологического общества*, вып. IV (Москва: товарищество типографии А. И. Мамонтова, 1894), 69.

გ. ბოჭორიძის მიერ აღწერილ ეკლესიას ზომით, არქიტექტურული ფორმისა და მხატვრული გაფორმების მხრივ ზუსტად შეესაბამება უდეს წმ. ნინოს სახელობის მართლმადიდებლური ეკლესია. მცირე ზომის დარბაზული შენობა სოფლის ცენტრში, გუმბათიანი ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 300 მეტრში დგას.

ეკლესია გეგმით მარტივი მართკუთხედია. ნახევარწრიული საკურთხეველი დღეს მაღალი კანკელით არის მოზღუდული (ილ. 199). ცილინდრული კამარა თლილი ქვებით ნაგებ თაღს უკავია. მისი პროფილირებული კრონშტაინები ეფუძნება გრძივ კედლებზე მოწყობილ პილასტრებს, რომლებიც იატაკამდე არ ჩადის. დღეს მოშლილია დასავლეთით მდებარე ხის პატრონიკე,[603] ხოლო კედლები თანამედროვე ფრესკებითაა დაფარული. ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში მოწყობილია მცირე ზომის ოთხკუთხა ნიშა, რომელიდ გ. ბოჭორიძემ ფორმის გამო ემბაზად მიიჩნია, თუმცა ის შესაძლოა წმინდა წყლის გადასაღვრელი ნიჟარა იყოს.[604]

კედლები გარედან მოვარდისფრო-მორუხო ანდეზიტის კარგად გათლილი ქვის დიდი კვადრებით არის მოპირკეთებული. პერანგის წყობა მეტნაკლებად წესიერია. ასე თუ ისე დაცულია რიგების ჰორიზონტალურობა. ერთადერთი მართკუთხა კარი სამხრეთ კედელშია მოწყობილი. მას ორი მსხვილი, გლუვი ლილვისგან შედგენილი ნახევარწრიულთაღოვანი ჩარჩო შემოწერს. აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში თითო თაღოვანი სარკმელია გაჭრილი (ილ. 200). მათი გვიანი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი საპირეები აქვს. აღმოსავლეთი სარკმლის საპირე ორი გლუვი ლილვისაგან შედგება. ქვედა კუთხეებში და ზედა ნახევარწრიული დაბოლოების ძირში ასევე გლუვი კვადრატული ფილებია ჩადგმული. სამხრეთი სარკმლის საპირე უფრო განიერია. მისი მომჩარჩოებელი შიდა და გარე ლილვები

---

603. სწორედ პატრონიკეს უნდა გულისხმობდეს ზ. ჭიჭინაძე, როცა ამბობს ,,შიგ პატარა აივანიც არის”-ო. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში*, 29.
604. გიორგი ბოჭორიძე, *მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში*, 64.

ერთმანეთს დაშორებულია და მათ შორის არე მრგვლად არის ამობურცული. კუთხის ფილები აქ არ არის. ეს საპირეც მოუჩუქურთმებელია. დაახლოებით მსგავსია დასავლეთის სარკმლის საპირეც. დაბალი სამშენებლო ხარისხი ღიობების გაფორმებაში განსაკუთრებული სიმძაფრით მჟავნდება. პროფილები დუნე და ,,მიმქრალია". ხაზები დაბრეცილი.

ფასადები სრულიად მოურთავი მაღალი, მსუბუქად შვერილი კარნიზით სრულდება. ორფერდა სახურავი ლორფინისაა.

ეკლესიის ექსტერიერი ყურადღებას იქცევს რელიფურჯვრიანი ქვების სიმრავლით (ილ. 201). პერანგის წყობაში უსისტემოდ განლაგებული ფილების უმეტესობა სამხრეთ კედელზეა თავმოყრილი, მათ შორის ის ხუთჯვრიანი ქვაც, რომელიც აღმოსავლეთ სარკმელთან ერთად აქვს ჩახატული მ. ბროსეს თანმხლებ ინჟინერ მუსლოვს. უნდა ითქვას, რომ მისი ნახაზები ზუსტი არაა. მაგალითად, ხუთჯვრიან ფილაზე შეცვლილია პროპორციები, ცალკეული ელემენტების ურთიერთმიმართება და დეტალები, ხოლო სარკმლის საპირის ფილა-იმპოსტებზე სინამდვილეში არარსებული რელიეფური დეკორია დატანილი.

ვ. ბერიძე ეკლესიის მშენებლობას ათაბაგთა მმართველობის გვიან პერიოდს მიაკუთვნებს.[605] ვფიქრობ ეკლესია მართლაც XV-XVI საუკუნეებში უნდა იყოს აგებული. 1628 წლის შემდგომ, როცა სამცხე ოსმალეთის იმპერიის ნაწილი გახდა და რეგიონში მართლმადიდებელ ქრისტიანთა რიცხვი შემცირდა, მათი ზოგიერთი ეკლესიის მსგავსად, უდეს ეკლესიებიც კათოლიკეთა ხელში გადავიდა.

რამდენიმე წლის წინ უდეში წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტერი დაარსდა, რასაც ეკლესიის რესტავრაცია მოჰყვა. რესტავრაციის დროს დასავლეთი ფასადის ფრონტონის არეში, ჯვრიანი ფილის მარცხნივ და ზემოთ საგანგებოდ გამოცვალეს პერანგის რამდენიმე ქვა, რომლებზეც

605 . ვახტანგ ბერიძე, *სამცხის ხუროთმოძღვრება* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1995), 200, შენიშვნა 1; ვახტანგ ბერიძე, *სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები* (თბილისი: ნაკადული, 1970), 60.

მ. ბროსესა და გ. ბოჭორიძის მიერ წაკითხული, ეკლესიის განახლების თარიღის შემცველი ქართულენოვანი წარწერა იყო გაკეთებული. ადგილზე აღარც სომხურენოვანი წარწერაა.

3.1.15. **უდეს ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია**

როგორც ზემოთ ითქვა, უდეს მეორე, ღმრთისმშობლის სახელობის კათოლიკური ეკლესია XX საუკუნის დასაწყისში აგებული დიდი გუმბათიანი ეკლესიის ადგილზე იდგა. სოფლის ცენტრში მდებარე შემაღლებული ტერიტორია ჩრდილოეთისკენ დაქანებულია. სამშენებლო მოედნის მოსაწყობად აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და მცირედ დასავლეთიდან საყრდენი კედელია გაკეთებული (ილ. 202).

ძველი ეკლესიის უადრესი აღწერა პრ. უვაროვას ეკუთვნის.[606] მის მიხედვით, ესაა უგუმბათო, სავარაუდოდ დარბაზული შენობა ლორფინით დაბურული ორქანობა სახურავით.[607] რამდენჯერმე გადაკეთებული შენობის ფასადებში უხვად იყო ჩართული მეორადი გამოყენების ორნამენტული და რელიეფური დეკორით შემკული ქვები. ქვების ნაწილი ეკლესიის ეზოში ელაგა. არაზუსტი აღწერის გამო ზოგიერთი რელიეფის ადგილმდებარეობის წარმოდგენა ჭირს. პრ. უვაროვას ცნობით, იონას სასწაული, გველის გამოსახულება და ღმრთისმშობელი ყრმით განთავსებული იყო ფრონტონში სამხრეთი კედლისა, რომელიც სამლოცველოს მსგავსად გამოიყურებოდა („из кусков этих назову: ...*Иона*, выкидываемого из чрева китова, и изображение *змеи* в составе фронтона южной стены и *Богоматерь с Младенцем*, составляющая род часовни“). რადგან უგუმბათო შენობის სამხრეთ ფასადს ფრონტონი ვერ ექნებოდა,

606. Прасковья Уварова, ,,Христианские памятники”, 68-69.

607. მართალია, პრ. უვაროვა ამბობს ეკლესიას ბაზილიკური ფორმა აქვსო, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ ის წმ. სერგის ეკლესიაზეც იგივეს ამბობს, მისთვის ტერმინი „ბაზილიკა“ უბრალოდ უგუმბათო შენობას უნდა ნიშნავდეს და არა აუცილებლად სამნავიან სტრუქტურას.

გამოდის, რომ კედლის წინ ეკვდერი ან კარიბჭის მსგავსი მინაშენი იდგა. პრ. უვაროვას ცნობით, განახლებული იყო ეკლესიის დასავლეთი ფასადი და ნავის დიდი ნაწილი. კამარის საბჯენი თაღების პილასტრების მიხედვით ინტერიერში ძველი და ახალი სამშენებლო ფენები ადვილად გაირჩეოდა.

ეკლესიის შესახებ დამატებით ინფორმაციას გვაწვდის ზ. ჭიჭინაძე.[608] მისი ცნობით, შენობის ზომები იყო: სიგრძე - 15 მ., სიგანე - 7 მ., სიმაღლე - 9 მეტრი. ერთ-ერთი შესასვლელის წინ მიდგმულ სამრეკლოს ქვედა კორპუსი ამოშენებული ჰქონდა: ,,ძველ კარის შესავალთან, ძველადვე მიდგმულ ყოფილა დიდი სამრეკლო, სამრეკლოს კარგი გუმბათიც აქვს, სამრეკლოს გვერდის კედლები ამოუშენებიათ ძველადვე, ამიტომ ეკკლესიის გზა შეკრულა". აღწერა ბუნდოვანია, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ სამრეკლოს პირველი სართული ყრუდ იყო ამოშენებული და მასში მოხვედრა მხოლოდ ეკლესიიდან შეიძლებოდა. შესაძლოა, სწორედ ამ სივრცეს გულისხმობს პრ. უვაროვა, როცა სამლოცველოს მსგავს მოცულობას ახსენებს.

ეკლესიის აგების ზუსტი თარიღი უცნობია. ჭიჭინაძე მის დაარსებას XI საუკუნეს მიაწერს, რაც, ცხადია, გადაჭარბებაა. კარნიზისა თუ საპირეების ფრაგმენტები, რომლებიც დღესაც დევს ახალი ეკლესიის ეზოში, XIV საუკუნეზე ადრინდელი ვერ იქნება (ილ. 203). შენობა სულ ცოტა ორჯერ განუახლებიათ - ერთხელ, დასავლეთი ფასადის წარწერის მიხედვით, 1802 წელს, ხოლო მეორედ - 1862 წელს. ბოლო თარიღის შემცველი მხედრული წარწერა კარის ტიმპანზე იყო განთავსებული: ,,სახელითა ღთისთა აღშენებულ იქმნა დამატება ი. წ. 1862".[609]

---

608. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 24-28.

609 . დაახლოებით იგივე პერიოდებია მითითებული 1896 წელს ეკლესიის გადაკეთებასთან დაკავშირებით თბილისის გუბერნიის სამშენებლო განყოფილებისადმი მიწერილ განცხადებაში: ,,სოფელ უდეში სომხურ-კათოლიკური ეკლესია სამი ნაწილისგან არის აშენებული. პირველი ნაწილი ჯერ კიდევ ძალიან ძველ დროშია აგებული, მეორე თურქული ხელისუფლების მიერ, ხოლო ბოლო აგებულია ქვით 1860 წელს".

XIX საუკუნის ბოლოს შენობა სიძველისა და რამდენჯერმე ჩამოვარდნილი მეხის გამო დაზიანებული სახით იდგა[610] - დამსკდარი იყო ლორფინის საბურველი, ხოლო კამარას გრძივი ბზარი გაუყვებოდა. სახურავიდან ჩამოსული წყალი განსაკუთრებით ძლიერად საკურთხეველში ჟონავდა. ინტერიერისგან განსხვავებით, შედარებით უკეთ გამოიყურებოდა ფასადები, აქ ძირითადად კარნიზის ქვები იყო ჩამოყრილი.[611] 1894 წელს ეკლესიის მღვდელმა სიმონ ბალახაშვილმა მისი განახლება გადაწყვიტა. შესაბამისი ნებართვის მისაღებად მთავარ არგუმენტს, ნაგებობის ცუდი ფიზიკური მდგომარეობის გარდა, შენობის მცირე ზომაც წარმოადგენდა.[612] 1898 თუ 1899 წელს უდეში მღვდლად დანიშნულმა სიმონ ჭილაშვილმა ძველის შეკეთების ნაცვლად ახალი ეკლესიის აგება განიზრახა და მალევე ნებართვაც აიღო. რადგან სოფლის განაშენიანებაში ძველ ეკლესიას დომინანტური ადგილი ეკავა, გადაწყდა, რომ ახალი შენობა მის ადგილზე განთავსდებოდა.

მართალია, ეკლესიის გრაფიკული პროექტი არ იძებნება, მაგრამ მის ტექნიკურ დეტალებზე წარმოდგენას გვიქმნის თბილისის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული განმარტებითი ბარათი, რომელიც პროექტის ავტორს ინჟინერსა და კაპიტან ფონ ფრიკენს ეკუთვნის.[613] ის ითვალისწინებდა, რომ ს. ჭილაშვილს მშენებლობის დაწყებისთვის ხელთ ძალიან მცირე თანხა ჰქონდა, შემოსავლის ძირითად წყაროს შემოწირულობები შეადგენდა, ხოლო მუშახელი ძირითადად მრევლის წევრები იყვნენ და შესაბამისად, მუშაობა ნებისმიერ დროს შეიძლება

სცა, ფონდი № 204, ანაწერი №1, საქმე №957, ფურცელი 14; ეკლესიის მშენებლობის თარიღად 1860 წელია მითითებული კავკასიის კალენდარში. *Кавказский Календар на 1885 год*, 69.

610. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში*, 27.

611. სცა, ფონდი №204, ანაწერი №1, საქმე № 957, ფურცელი 64.

612. უდეს ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ ქართველი კათოლიკეები, რომელთა რიცხვი სამცხის სხვა კათოლიკური სოფლებისას დაახლოებით ორჯერ აღემატებოდა. მაგალითად, 1885 წლის კავკასიის კალენდრის მიხედვით, აქ 897 კათოლიკე ცხოვრობდა, მაშინ როცა ვალეში - 497, ხოლო არალში - 373. იხ.: *Кавказский Календар на 1885 год*, 69; 1900-იანი წლებისთვის უდეში კათოლიკეთა რიცხვმა 1600 მიაღწია. ალექსანდრე ფრონელი, *დიდებული მესხეთი* (თბილისი: მარიხი, 1991), 42.

613. სცა, ფონდი №204, ანაწერი №1, საქმე № 957, ფურცელი 34.

შეჩერებულიყო, ამიტომ პროექტით ეკლესიის დროებით გადახურვაც გაითვალისწინა - არასაკმარისი სახსრების შემთხვევაში ის გეგმავდა ჯვრული კამარების ნაცვლად ხის ჭერი მოეწყო („в случае недостатка средств, предпологается, временно, крестовые своды верхнего этажа не возводить а сделать потолок из деревянных балок с подшивкою и черного пола со смазкою"). ეკლესიის კედლები და ბურჯები ბუნებრივი ქვით უნდა აშენებულიყო. ბურჯების სიმტკიცის გასაძლიერებლად დაგეგმილი იყო მათი ერთმანეთთან და გარე კედლებთან გადაბმა ორი გრძივი და ერთი განივი ლითონის მაკავშირებლით, რომელთაც შენობის ქვედა კორპუსის თაღების გულში ატანდნენ. გუმბათის განბრჯენის შესაკავებლად მის ყელში ასევე ლითონის მაკავშირებლები იდგმებოდა. ლითონის სარტყლები უნდა ჰქონოდა სამრეკლოს სვეტებსაც. სიმძიმის დაწოლიდან გამომდინარე, თაღებისა და კამარების ნაწილი აგურის, ნაწილი კი ქვის უნდა ყოფილიყო. აგურით უნდა ამოეყვანათ ეკლესიის და სამრეკლოების გუმბათები და საკურთხევლის კონქი.

სამშენებლო პროცესის შესახებ დამატებით ინფორმაციას გვაწვდის ს. ჭილაშვილის მიერ 1905 წლის ზაფხულში თამარაშვილისადმი გაგზავნილი წერილი:

მღვდლათ კურთხევისთანავე ესე სამი-ოთხი წელიწადია, რომ ჩვენ სოფელ უდეში დავიწყეთ ახალი ეკლესიის გაშენება, რომელიც არის ძვირფასი და ამ ეკლესიის პლანი წააგავს ქ. ქუთაისის ეკლესიას და სიდიდით უფრო მეტიცაა. ქვა მუქთადა გვაქვს დათმობილი პიო ხოჯოვანოვისაგან, რომელიც არის ფერად წითელი ... რამდენი საუკუნეც, რომ გაიაროს ტარაღის (სამშენებლო იარაღი - ნ. ნ.) კბილი არ გადავა.[614]

ამ დროისთვის ეკლესიის კედლები დაახლოებით 9 მეტრამდეა ამოყვანილი. სამშენებლო მასალა - კირი, ქვიშა და ხე მოსახლეობამ შეიძინა:

614. სიმონ ჭილაშვილის წერილი მ. თამარაშვილს, 1905, 24 ივლისი-7 აგვისტო, საქმე №3666, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

სილისა ქვისა კირის მიტანა და ხე-ტყე სულ ხალხზედაა დაკისრული და ამ რიგით ამ ოთხი ხუთი წლის განმავლობაში ავაშენეთ გარე კედლებით შიგ თავისი სვეტებით თერთმეტი არშინის სიმაღლისა და შიგ ქამრებით გადავუშვირეთ.

სამუშაოები უსახსრობის გამო შეფერხდა. მშენებლობის გასაგრძელებლად თანხების მოძიება იყო საჭირო. იმ დროს ყველაზე მიღებულ ფორმას თავისუფალი შეწირულობების შეგროვება წარმოადგენდა, რისთვისაც მშენებლობის მოთავე სასულიერო პირს სათანადო ნებართვა უნდა მიეღო. იმპერიის შიგნით თანხების მოძიების უფლებას ხელისუფლება გასცემდა, ხოლო მის ფარგლებს გარეთ ვატიკანის ოფიციალური წერილი იყო საჭირო. ს. ჭილაშვილი ჯერ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აპირებდა ფულის შეგროვებას და შესაბამისი ნებართვაც მოიპოვა, თუმცა 1905 წელს დაწყებული მასობრივი პოლიტიკური და სოციალური არეულობების გამო, რომლებიც მალე რევოლუციაში გადაიზარდა, მან ევროპაში წასვლა გადაწყვიტა.[615] არ არსებობს სიმონ ჭილაშვილის საზღვარგარეთ გამგზავრების დამადასტურებელი ცნობა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მან ადგილობრივად მოახერხა თანხის მოგროვება და 1909 წელს ეკლესიის მშენებლობა დაასრულა.

---

615. ,,ამ ეკლესიის ფულიც ასე 11 ათას მანეთამდე გვქონდა ისიც ვექსილებით სოფელზედ, როცა ეკლესიის გაშენება დავიწყეთ ძლივს ნაღდი ფული გვქონდა 1500 მანეთი ... ამ ხნის განმავლობაში დიდის შრომითა და მეცადინეობით დაგვიჯდა დღევანდლამდე ნაღდ ფულით გარდა მასალისა 12 000 მან. ახლა ეს ჩვენი ფულებიც ჩამოგველია, მივმართეთ სარათოვის ეპისკოპოზს, იმანაც მთავრობას მიჰმართა და მთავრობისაგან ჩვენი ეკლესიის დამთავრებისათვის ნება მოგვცა 15 000 მანეთის მოკრებისა. ახლა როგორც სჩანს აქ მოძრაობა და ბუნტები თანდათან ძლიერდება და ვერ უნდა მოვახერხოთ ფულის მოკრეფა და ვფიქრობთ, რომ ეპისკოპოზისაგან რეკომენდაციის წერილი მივიღოთ და საზღვარ გარეთ წამოვიდეთ ფულის მოსაკრებად ჩვენი ეკლესიის დამთავრებისათვის. ამისათვის გვირჩევენ რომ შეიძლება საფრანგეთსა და ბელგიაში ანუ რომშიც ფულის მოკრეფა თავისუფლ შემომწირველთაგან, ამისათვის მოგმართავ როგორც კეთილსა და გულისშემტკივარ მოღვაწესა, რომ ამაზედ ე. ი. ფულის მოკრეფაზედ შეგატყობინოთ შეიძლება თუ არა?" წერდა ის მ. თამარაშვილს 1905 წლის წერილში.
სიმონ ჭილაშვილის წერილი მ. თამარაშვილს, 1905, 24 ივლისი-7 აგვისტო, საქმე №3666, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.
რევოლუციურმა იდეებმა ახალციხისა და მისი მიმებარე სოფლების ახალგაზრდებზეც იქონია ზეგავლენა. 1905 წელს მათ რამდენიმე გაფიცვა და შეიარაღებული აჯანყება მოაწყვეს. იხ.: დავით კოჟორიძე, *განახლებული მესხეთის ქალაქი (ახალციხის ისტორია)* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1969), 230.

1901-1909 წლებში აგებული უდეს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია, როგორც უკვე ითქვა, სოფლის ცენტრში, საგანგებოდ ნაშენ სუბსტრუქციაზე დგას და განაშენიანების ერთადერთი არქიტექტურული დომინანტია (ილ. 204).[616] ეს არის დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული ნაგებობა, რომელიც აღმოსავლეთით ხუთწახნაგა შვერილი აფსიდით სრულდება (ილ. 205). საკურთხევლის ორსავე მხარეს კვადრატული გეგმის ოთახებია მოწყობილი. ისინი ეკლესიის ძირითად სივრცეს დასავლეთ კედელში გაჭრილი თაღოვანი კარების მეშვეობით უკავშირდებოდა (უკანასკნელი რემონტის დროს ღიობები მართკუთხად აქციეს, მაგრამ თაღების მოხაზულობა ნალესობის ქვეშ ახლაც იკითხება). გუმბათი მთავარი ნავისა და ტრანსეპტის გადაკვეთაზეა აღმართული (ილ. 206). ის საკურთხევლის კუთხეებსა და დასავლეთით თავისუფლად მდგომ ორ ბურჯს ეფუძნება. იმის გამო, რომ ჯვრის ოთხსავე მკლავში კამარის ზემოთ დამატებითი სათავსებია მოწყობილი, მკლავების კამარები და გუმბათის თაღები დაბალია. შესაბამისად, გუმბათქვეშა კვადრატი ჯვრის მკლავების მეორე სართულის დონემდე ადის. ის სრულდება პროფილირებული სარტყლით, რომლის ზემოთ გუმბათის წრეზე გადასასვლელად აფრებია მოწყობილი. აფრებს შორის არაღრმა, ბრტყელზურგიანი ნიშებია გაკეთებული. მათ კონსტრუქციული მნიშვნელობა არ აქვს.

დაგრძებული დასავლეთი მკლავი ჯვრული გეგმის მქონე სვეტების ორი წყვილით სამ ნავად არის გაყოფილი (ილ. 207). ცენტრალური მაღალი ნავი ცილინდრული კამარით არის გადახურული, ხოლო გვერდით ნავები სამ-სამ კომპარტიმენტადაა დაყოფილი. სამივეს დამოუკიდებელი ჯვრული კამარა აქვს.

ეკლესიის შიდა სივრცე მთლიანად შეთეთრებულია. სატრიუმფო თაღის თავზე რელიეფური, წითლად დაფერილი გასხივოსნებული ჯვარია

616 . ფლეთილი ქვით ნაგები სუბსტრუქციის აღმოსავლეთ კედელში ჩართულია ჩუქურთმიანი ქვის ნატეხი, სამჯვრიანი ფილა, ეკლესიის ფორმის აკროტერიონის გუმბათი და ჯვრიანი ფილა წარწერით ,,გვყ 1919”.

გამოსახული. ინტერიერის ძველი აღჭურვილობიდან დარჩენილია რუხი ფერის მთლიან ქვაში გამოთლილი თასის ფორმის ოთხი ნიჟარა წმინდა წყლისათვის. თასების ერთი წყვილი ცენტრალური კარის ორ მხარეს არის ჩადგმული, მეორე წყვილი - ჩრდილოეთი კარის აქეთ-იქით.

თუ ეკლესიის აღმოსავლეთი მონაკვეთს გამოხატულად ჯვრული ფორმა აქვს (ილ. 208), დასავლეთი ნაწილი ბაზილიკური პროფილისაა - დაბალი ორფერდა სახურავის ქვეშ მოქცეული შუა ნავით (დასავლეთი მკლავით) და ცალფერდა სახურავით გადახურული მაღალი გვერდითი ნავებით (ილ. 209). ძირითად კორპუსზე აღმართულია გუმბათი მსუბუქად წახნაგოვანი თორმეტსარკმლიანი ყელითა და სფერული სახურავით. მაღალ პასტოფორიუმებს თავზე ორსართულიანი სამრეკლოები ადგას. ისინი თაღებით გახსნილი დაბალი ქვედა სართულისა და ბევრად მაღალი ფანჩატურისაგან შედგება. აღმოსავლეთით ხუთწახნაგა საკურთხეველია. შუა წახნაგზე საფეხუროვანი წყობით გამოყვანილ კვარცხლბეკზე შედგმული დიდი ბრტყელი ჯვარია გამოსახული.

თავშეკავებულად გაფორმებული ფასადები მოწითალო ფერის სუფთად გათლილი ქვის კვადრებით არის მოპირკეთებული. კედლები უხვად არის დანაწევრებული ღიობებით. სამ-სამი შეწყვილებული თაღოვანი სარკმელია გაჭრილი დასავლეთი მკლავის გრძივ კედლებში, თითო - პასტოფორიუმების ჩრდილო და სამხრეთ კედლებში, ხოლო სამ-სამი (შუა გვერდითებზე მაღალია) სარკმელი - ტრანსეპტის ბოლოებში. პროფილირებული საპირეებით შემკულ ღიობებს ორსაფეხუროვანი ბოლოებგადაკეცილი ნახევარწრიული თავსართები შემოწერს. თავსართების ასწვრივ დამატებით თითო წრიული სარკმელია მოწყობილი. მათი ბრტყელი საპირეები რადიალურად დალაგებული ქვებით არის გამოყვანილი.

შუაკედლისებს შენობის მთელ სიმაღლეზე აუყვება პილასტრები, რომელთა კაპიტელები კარნიზშია ჩართული. დაახლოებით შუა სიმაღლეზე პილასტრებს დამატებითი კაპიტელები აქვს. ისინი ზუსტად

თავსართების გადანაკეცების დონეზეა გამოყვანილი, რაც ერთი შეხედვით ფასადზე უწყვეტი სარტყლის არსებობის შთაბეჭდილებას ქმნის.

შვერილ აფსიდს ორი თაღოვანი სარკმელი ანათებს. ისინი გვერდით წახნაგებშია გაჭრილი. ერთი მომცრო, ჯვრის ფორმის სარკმელი აღმოსავლეთი მკლავის ფრონტონის არეშიც არის მოწყობილი.

დასავლეთ კედელში სამი თაღოვანი კარია გაჭრილი. ცენტრალური კარი გვერდითა ორს სიმაღლითაც და სიგანითაც აღემატება. კარს სიმაღლეში სამ საფეხურად შეტეხილი მართკუთხა მოჩარჩოება შემოწერს. ჩარჩოს ასწვრივ ერთი მართკუთხა, ხოლო უფრო ზემოთ ჯვრის ფორმის სარკმელია გაკეთებული. თითო წრიული სარკმელი გვერდითი კარების თავზეც არის მოწყობილი.

დასავლეთ კედელზე ყურადღებას იპყრობს შუაკედლისებზე აყოლებული პილასტრები, რომლებიც კარნიზამდე არ მიდის და წრიული სარკმლების დონეზე წყდება. შესაძლოა გვეფიქრა, რომ დასავლეთ ფასადზე კარიბჭის მიშენებას გეგმავდნენ, თუმცა ამ შემთხვევაში ,,გაწყვეტილი" პილასტრები მხოლოდ ერთი რამის ნიშანია - რეგიონის ბევრი სხვა ეკლესიის მსგავსად უდეც ბერძენი ოსტატების მიერ არის აგებული. ბერძნების ხელი, პირველ რიგში, ეკლესიის პერანგს ეტყობა. აქაც გამოყენებულია ქვის თლის ძალიან სპეციფიური მანერა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ბერძნების მშენებლობასთან დაკავშირებულ არაერთ ძეგლში გვხვდება - კვადრებს გარშემო მოკლე და ხშირი ნაფხაჭნებით გამოყვანილი „ჩარჩო" ევლება, შუაგული კი ჰორიზონტალურად არის გათლილი. ზედაპირზე გარკვევით იკითხება საჭრეთელის კვალი.[617] ასეა გათლილი

617. ბერძენი ოსტატებისთვის სახასიათო ქვის თლის მანერა პირველად მალაქია დვალმა შენიშნა. მანგლისის კათედრალის XIX საუკუნეში განახლებული პერანგი მან სწორედ ქვის ზედაპირის დამუშავების თავისებურებით გამოჰყო: ის ბერძნების ,,ხელწერას" ასე ახასიათებს: ,,გათლილ ქვას იარაღის კვალი ჰორიზონტალურად გასდევს. ხაზების მთლიანობა დაცული არ არის. ისინი ერთმანეთსა ჰკვეთენ და ერთიმეორეში ირევიან. ხაზები კიდიდან კიდემდე ვერ აღწევენ, ვინაიდან ქვას გარშემო სუფთად გათლილი ლენტი შემოჰყვება, ჩარჩოს მსგავსად ... ვერც ერთ ძეგლს ვერ ნახავთ მოპირკეთებულს XIX საუკუნეში და შემდეგ, რომ ქვის ზედაპირის თლა ჰორიზონტალური ან საერთოდ უსახო არ იყოს. ასეთი თლა გვაქვს ყველა ძეგლზე, რომელიც კი XIX საუკუნეში შეაკეთეს ... საფირებელია, რომ ამ უკანასკნელი სახით ქვის დამუშავება შემოტანილი უნდა იყოს

მაგალითად ქუთაისის ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის (1826-1862), სუჯუნას წმ. გიორგის (1838-1846), მანგლისის (1850-1856 წლების განახლება), ახალციხის წმ. მარინეს (1868-1898), ქუთაისის მაცხოვრის ამაღლების (1890-1893) და ზემო აკეთის (1899) ეკლესიების პერანგები.

ბერძენ მშენებელთა რეპერტუარისთვის არის დამახასიათებელი დასავლეთი ცენტრალური კარის საფეხუროვანი ჩარჩოც. ის პარალელს პოვებს სუჯუნას წმ. გიორგის (1838-1846), ულუმბოს (1871 წლის განახლება) და ალასტანის (1863) ეკლესიების კარის საპირეებთან (ილ. 210, 21).

უდეს ეკლესია ვრცელი სამშენებლო წარწერებითაც გამოირჩევა. საინტერესოა, რომ მათზე ტრადიციისამებრ მხოლოდ მშენებლობის მოთავეები და შემწირველები არ არიან ნახსენები. ისინი დამატებით ახსენებს როგორც იმ დროის მნიშვნელოვან რელოგიურ და პოლიტიკურ ფიგურებს, ისე სოფლის სხვა კონფესიის მცხოვრებლებს - ქართველ მუსლიმებსაც. ორ-ორი მართკუთხა ფილა მათზე გამოყვანილი სამშენებლო წარწერებით ტრანსეპტის კედლებში, კეხის არეშია ჩადგმული. ზედა კვადრებზე წარწერები ჯვრების გარშემოა გამოყვანილი. ქვედა ფილები მთლიანად წარწერებს ეთმობა. ჩრდილოეთ ფასადზე ვკითხულობთ: ,,პაპი პიი X, ეპისკოპოზ კესლერ, უდეს მღვდელი სიმონ, 1909; 1901 წ. აღშენდა 1909 წ. სამცხე საათაბაგოს მესხ ქართველებმა უდის 272 მოსახ.[ლემ] კათოლიკებმა". სამხრეთ ფასადის წარწერა შემდეგს გვეუბნება: ,,მეფობასა რუსეთს რ. ი. ნიკოლოზ II, კავკაზს მთავარ[მართებლობასა] ი. გ. ვარანცოვ-დაშკოვი; უდეს არის კათოლიკები 2120 სული მაშენებელი ამა საყდრისა. მაჰმადიანები 520 სული ორივ ტომით ქართველნი. ღვთისმშობელო შენ გწირამთ ჩვენს შრომასა".[618] ამ ლაკონურ წარწერაში არსებითად ქართველი

გარედან, კერძოდ, ბერძენი ოსტატების მიერ, რომლებიც ასე მრავლად მოღვაწობდნენ XIX საუკუნის საქართველოში. ამ დროს თითქმის ყველა ძეგლი მათი მონაწილეობით არის შეკეთებული." იხ.: მალაქია დვალი, *მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი* (თბილისი: მეცნიერება, 1974), 28.

618. წარწერებში მოყვანილი ისტორიული პირები არიან: რომის პაპი პიუს X (1903-1914), ტირასპოლის ეპისკოპოსი იოზეფ ალოიზ კესლერი (1904-1918), მშენებლობის წამომწყები მღვდელი სიმონ ჭილაშვილი, რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ მეორე რომანოვი (1894-1817) და კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი (1904-

ერის მრავალკონფესიურობის იდეაა განცხადებული. მუსლიმთა ერთი შეხედვით უადგილო ხსენება ამ იდეის ხაზგასმას ემსახურება. ის ასევე შეიძლება გავიგოთ, როგორც ერთგვარი გზავნილი მუსლიმი ქართველებისადმი, რომელთა ეროვნული თვითშეგნება იმხანად ბევრად სუსტი იყო, ვიდრე ქართველი კათოლიკეებისა. ბუნებრივია წარწერის გაკეთების მიზანი მხოლოდ მისი მშენებლობის მესვეურთა შეხედულებების დემონსტრირება არ ყოფილა. წარწერას, ასე ვთქვათ, პროპაგანდისტული მნიშვნელობაც ჰქონდა - ის შეახსენებდა ყველას, ვისაც მისი წაკითხვა შეეძლო, ზეკონფესიური ,,ტომით ქართველობის" იდეას და, ამდენად, ამკვიდრებდა ქართულ ეროვნულ იდენტობას როგორც კათოლიკეებში, ისე მუსლიმებში.

გეგმით, ძირითადი პროპორციითა და ფასადების ხასიათით უდეს ეკლესია კლასიციზმის ძლიერ სქემატიზირებული ვარიანტია. სვეტების ორი წყვილით სამ ნავად გაყოფილი დაგრძელებული დასავლეთი მკლავი, ვრცელი ტრანსეპტი და ცენტრში აღმართული მაღალი გუმბათი მას ქუთაისის ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვისა და თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესიების გვერდით აყენებს. მას არც ზომითა და არც მოცულობითი გადაწყვეტით საერთო არ აქვს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის იმავე პერიოდში აგებულ სხვა კათოლიკურ ეკლესიებთან, რაც შემთხვევითი არ არის - ს. ჭილაშვილს უდეს ახალი ეკლესიის პროტოტიპად შეგნებულად აქვს შერჩეული ქუთაისის რომაულ-კათოლკური ეკლესია. მისი გადაწყვეტილება რეგიონში ქართველ კათოლიკეთა გარშემო შექმნილი ვითარებით იყო განპირობებული.

XIX საუკუნის შუა ხნებიდან ქართველ და სომეხ კათოლიკეებს შორის ტიპიკონის ენასთან დაკავშირებით წამოჭრილი უთანხმოება აქტიურ ფაზაში 1890-იან წლებში შევიდა. პატრიოტული თვითშეგნებით

1916). წარწერაში მცირე შეცდომაა დაშვებული მეფისნაცვლის ტიტულსა და მამის სახელთან დაკავშირებით. მისი სახელის წინ ამოკვეთილი ი. გ. შესაძლოა ნიშნავდეს ინფანტერიის გენერალს, თუმცა ვორონცოვ-დაშკოვს ეს წოდება არ ჰქონია, ის კავალერიის გენერალი იყო. მამამისს ივანე ერქვა და სახელის პირველი ასო წარწერაში მოყვანილისას არ ემთხვევა.

განმსჭვალული ქართველი მღვდლები, რომელთა უმეტესობა სომხური კათოლიკური წესით იყო ნაკურთხი, სასულიერო და საერო ხელისუფლებისაგან ღმრთისმსახურების დროს ქართული ენის გამოყენების უფლებას ითხოვდა. მათ შორის იყო ს. ჭილაშვილიც. ქართულ ტიპიკონზე ყოფნა მათთვის საკუთარი სახსრებით აგებული შენობის შენარჩუნების გარანტიაც იყო. 1908 წელს უდეს მკვიდრი ივანე მერაბიშვილი მ. თამარაშვილს წერს:

ახალი ეკლესია ავაშენეთ ისეთი რომ თელ კავკასიაშიდ პირველია სიდიდით და სილამაზითაც ... არ გვინდა, რომ ეკლესია სომეხმა აკურთხოს და სომხები იყვნენ ბატონები ... მთელი მაღალი საზოგადოება გვირჩევს რომ მალე ტიპიკონი გამოვიცვალოთ, რომ ამოდენა თქვენი ამაგი სომხება არ ჩაიგდონ ხელშით.[619]

ამ წერილის, ეკლესიის არქიტექტურისა და წარწერების ერთიან კონტექსტში განხილვა მოწმობს, რომ XX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ საქართველოს კათოლიკეთა იდენტობას, კონფესიურზე მეტად, ეროვნული ფაქტორი -,,ტომით ქართველობა" და ,,ტომით სომხობა" განსაზღვრავდა. შეიძლება ითქვას, რომ იდენტობის მარკერების რიგში პირველი იყო განცდა კუთვნილებისა ქართულ-კათოლიკური თუ სომხურ-კათოლიკური თემისადმი და მხოლოდ ამის შემდეგ იმ დიდი ერთობისადმი, რასაც წარმოადგენს მთლიანად კათოლიკური ეკლესია. ასეთ ვითარებაში უდეს ეკლესიის ამბიციური შენობა ახალი სალოცავი სივრცის შექმნის გარდა, ქართული ეროვნული იდენტობის დამკვიდრებასაც ემსახურებოდა.

ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ უდეს ეკლესიამ სხვა ბევრი რელიგიური ნაგებობის ბედი გაიზიარა. 1930 წელს ის დახურეს და კოლექტიური მეურნეობის საწყობად აქციეს. 1987 წელს შენობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცა. ამავე პერიოდში ის მცირედ შეაკეთეს - გამოიცვალა გუმბათის საბურველი. 2012 წლიდან უდეში დედათა მონასტერი ფუნქციონირებას, რასაც მის ტერიტორიაზე სენაკებისა

619. ივანე მერაბიშვილის წერილი მ. თამარაშვილს, 1908, 20 თებერვალი, საქმე №2381, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

და სამრეკლოს მშენებლობა მოჰყვა. რესტავრაცია ჩაუტარდა ქვის გალავანს და მთლიანად განახლდა ეკლესიის სახურავი.

ეკლესიის სამხრეთით ყოფილი სამრევლო სახლის ნანგრევები დგას. ფლეთილი ქვით ნაგებ ერთსართულიან სარდაფიან შენობას დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული მართკუთხა გეგმა აქვს. დღეს დარჩენილია ნაგებობის აღმოსავლეთი მონაკვეთი და სამხრეთი კედელი (ილ. 212). იატაკი და გადახურვა ჩანგრეულია, მონგრეულია დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლები. სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში იატაკის დონეზე ღრმა თაღოვანი ნიშაა მოწყობილი. გ. ბოჭორიძის ცნობით აქ იდგა ჭულეს მონასტრიდან წამოღებული ჩვილედი ღმრთისმშობლის რელიეფი,[620] რომელიც დღეს ეკლესიის სამკვეთლოშია გადატანილი.[621]

3.1.16. წინუბნის ღმრთისმშობლის ეკლესია

მდ. ფოცხოვისწყლის ხეობაში გაშენებული სოფელი წინუბანი ახალციხიდან 13 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. 1830 წელს აქ ერზერუმის ვილაიეთის რამდენიმე სოფლიდან წამოსული სომეხი კათოლიკეები დასახლდნენ. [622] მათ 1860-იან წლებამდე ეკლესია არ ჰქონდათ და პერიოდულად წყალთბილადან მოსული მღვდელი ღმრთისმახურებას ერთ-ერთ სახლში ატარებდა. [623] ,,კავკასიის კალენდრის" მიხედვით წინუბანში ეკლესია 1869 წელს ააშენეს. [624] ღმრთისმშობლის სახელზე ნაკურთხი ქვის შენობა 1879 წელს განუახლებიათ. [625] როგორც ჩანს ის

620. გიორგი ბოჭორიძე, *მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში*, 64.
621 . თამარ დადიანი, ეკატერინე კვაჭატაძე და თამარ ხუნდაძე, *შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება* (თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი, 2017), 143, სურ. 355.
622 . ადგილობრივი მოსახლეობის თქმით მათი წინაპრები ერზერუმის ვილაიეთში შემავალი სოფლებიდან - გარაქოფეკიდან, არცატიდან და კამპირიდან გადმოსახლდნენ.
623. სცა, ფონდი №1644, ანაწერი №1, საქმე №1.
624. *Кавказский Календар на 1885 год*, 69.
625. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 109.

დიდად არ განსხვავდებოდა ნაოხრების (1863-1865), აბათხევისა (1881-1886) და წყალთბილას ეკლესიებისგან (1883). ტირასპოლის ეპისკოპოსი ბარონი ფონ როპი, რომელიც საქართველოში 1903 წელს იმყოფებოდა, ოთხივე ეკლესიაზე ამბობს: ,,ვერ იყვნენ კარგა დაცული, ბევრი ნაკლი ჰქონდა"-ო.[626]

წინუბნის ამჟამინდელი კათოლიკური ეკლესია, რომელიც ასევე ღმრთისმშობლის სახელობისაა, 1908 წელს არის აგებული. მშენებლობის თარიღი სამრეკლოს დასავლეთ კედელში ჩადგმულ ჯვრიან ქვაზეა დატანილი.

დარბაზული შენობა აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზეა წაგრძელებული და მართკუთხა გეგმა აქვს (ილ. 213). ის აღმოსავლეთით სამნაწილიანი საკურთხევლით სრულდება. ეკლესიის აღმოსავლეთი მონაკვეთი ძირითადი დარბაზული სივრცისგან ხის დაბალი მრუდხაზოვანი მოაჯირით არის მოსაზღვრული (ილ. 214). საკურთხევლის იატაკი ოთხი საფეხურით არის ამაღლებული. სეგმენტურ აფსიდსა და ბემას შორის მაღალი რერედოსი დგას. აფსიდის გვერდით კედლებში მშვილდთაღოვანი პატარა ნიშებია მოწყობილი. სამხრეთ ნიშაში ჩადგმულია ქვის ნიჟარა წმ. წყლისათვის.

წინუბანშიც, სამცხე-ჯავახეთის ბევრი სხვა კათოლიკური ეკლესიის მსგავსად, ბემის კუთხეები ქვედა ნაწილში 45 გრადუსით არის ჩამოჭრილი. გადასვლა კუთხიდან ირიბ სიბრტყეზე აქაც სქემატიზირებული მუკარნასის მოტივით არის გაფორმებული. მაგრამ განსხვავებით აბათხევის, ნაოხრების, ვარევანის, ალასტანის, სხვილისის, ხულგუმოსა და კარტიკამის ეკლესიებისაგან, სადაც გვერდითი ოთახების კარები ამ ირიბ სიბრტყეებშია მოწყობილი, წინუბანში საკურთხევლის კუთხეები ვიწროა, ამიტომ გვერდითი ოთახების შესასვლელები ბემის კედლებშია გაჭრილი. პასტოფორიუმების დასავლეთ კედლებში პროფილირებული საპირეებით მოჩარჩოებული ღრმა თაღოვანი ნიშებია გაკეთებული.

626. *ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა,* 32.

ეკლესიის განიერი ძირითადი სივრცე ხის ცრუ კამარით არის გადახურული. მის ძირს გაუყვება პროფილირებული კარნიზი, რომელსაც კამარის საბჯენი ხის თაღები ეფუძნება. გრძივი კედლები მხოლოდ ღიობებით არის დანაწევრებული (ჩრდილოეთ კედელში ხუთი სარკმელია, სამხრეთისაში - ოთხი სარკმელი და ერთი კარი). მათ გარშემო პროფილირებული საპირეები შემოუყვება. სარკმლების ძირების დონეზე ასევე პროფილირებული სარტყელი გადის.

დასავლეთი კედლის წინ ხის ორიარუსიანი გალერეაა მოწყობილი (ილ. 215). ხელოსნობის თვალსაზრისით ის ერთ-ერთი საუკეთესოა სამცხე-ჯავახეთის ეკლესიებში დაცულ პატრონიკეებს შორის. სამ-სამ კომპარტიმენტად დაყოფილ იარუსებს რიკულებიანი მოაჯირები აქვს, ხოლო იატაკის წინა მხარეს მოხარატებული ფესტონების მწკრივი გაუყვება. ყველა მოაჯირს ნახევარწრიული ფორმა აქვს, გარდა მეორე იარუსის განაპირა მოაჯირებისა - ისინი სამწახნაგაა.

ხეზე კვეთის კარგი ოსტატობითაა შესრულებული სამხრეთი და დასავლეთი კარები და რერედოსი. სამივე ეკლესიის თანადროული უნდა იყოს. მაღალი რერედოსის ქვედა მონაკვეთის კიდეებში ორი აღსავლის კარია გაჭრილი, ხოლო შუა ნაწილის წინ მართკუთხა ფორმის მაღალი ტრაპეზი დგას. კარების თავზე წმ. პავლესა და წმ. პეტრეს ფერწერული ხატებია მოთავსებული. წმინდანთა ტიპაჟები სლავურია, შესრულების მანერა კი ევროპული.[627] იკონოსტასის თავისუფალი არეები ჩუქურთმით

627. მსგავსი სტილის კედლის მხატვრობა თუ ფერწერული ხატი მთელი საქართველოს მასშტაბით მრავლად გვხვდება XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში. ამ თემაზე ვრცლად იხ.: თამარ ხოსროშვილი, ,,თბილისის XIX საუკუნის ეკლესიათა მოხატულობები", წიგნში: *არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918)*, რედ. დავით ხოშტარია (თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი, 2016), 227-256;
მზია ჯანჯალია, ,,ბოდბის ტაძრის ეგვტერის მოხატულობა და მისი ლიტერატურული წყაროები", *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია* 3 (1990): 144-152; ანა მგალობლიშვილი, ,,შიომღვიმის მონასტრის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიის მოხატულობასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი". *საქართველოს სიძველენი* 13 (2009): 225-240; ანა მგალობლიშვილი, ,,აბასთუმნის ალექსანდრე ნეველის ეკლესიის მოხატულობა", წიგნში: *ახალციხის და ტაო-კლარჯეთის ეპარქია*, რედ. ვ. ასათიანი (თბილისი, 2013), 440-449.

არის შემკული. ორნამენტები ცალკეა გამოთლილი და ზემოდან ადევს ძირითად სიბრტყეს.

განსაკუთრებულ ყურადღებას დასავლეთი კარი იმსახურებს (ილ. 216). ცისფერ და ყვითელ ფერებში შეღებილ ორფრთიან კარსა და მის ზედა საგდულს ხის მცირე პლასტიკა ამკობს. აქ გამოსახულია ახალი აღთქმის სცენები: ქრისტეს ჯვარცმა და აღდგომა, ასევე ღმრთისმშობლის და ანგელოზთა ფიგურები. სავსებით შესაძლებელია, რომ დასავლეთის გალერეა, იკონოსტასი და კარები ერთი ხისმჭრელი ოსტატის მიერ იყოს გაკეთებული.

გარედან ეკლესიის კედლები ცუდად დამუშავებული რუხი და ღვინისფერი ქვებით არის ნაგები. მათგან განსხვავებით, კედლების კუთხეების, სარკმლების საპირეების, გრძივი ფასადის მამკობი თაღნარისა და სამრეკლოსათვის კარგად გათლილი მოყვითალო ქვიშისფერი კვადრებია გამოყენებული. ადგილობრივი გადმოცემით კედლების ამოსაყვანი ქვა წინუბანშია მოპოვებული, კონსტრუქციული ნაწილებისა და დეკორატიული ელემენტებისათვის გამოყენებული მოყვითალო ქვა კი სოფელ წყრუთის კარიერიდან არის მოტანილი. ქვის მთლელები ბერძნები ყოფილან.

გრძივ ფასადებს ბრტყელ პილასტრებზე გადაყვანილი თაღნარი ანაწევრებს. თითოეულ თაღში თაღოვანი ღიობია მოწყობილი (ილ. 217). სარკმლებს გარს ევლება კედლის საერთო სიბრტყიდან ერთი საფეხურით ამოწეული ბრტყელი საპირეები, რომელთა ქვედა ჰორიზონტალური ხაზის ორსავე ბოლოში გლუვი მართკუთხა კბილანებია ჩამოზრდილი. აღმოსავლეთ ფასადზე ერთი თაღოვანი სარკმელია. ფრონტონის კეხის არეში ჩადგმულია ღვინისფერი ქვის ფილა გოლგოთის ჯვრის გამოსახულებით. მის ზემოთ გადახურვის სივრცის გასანათებლად, ტოლმკლავა ჯვრის ფორმის პატარა ღიობია მოწყობილი (ილ. 218).

დასავლეთი ფასადზე სამსართულიანი სამრეკლო-კარიბჭეა მიდგმული (ილ. 219). მის აქეთ-იქით კედლის სიბრტყე თითო თაღოვანი

სარკმლით არის დანაწევრებული. სარკმლების თავზე კედლის ნახევარწრიული თაღები გადადის. მათი ქუსლები სამრეკლოს სვეტებსა და კუთხის პილასტრების შუაწელზე მოწყობილ პროფილირებულ კაპიტელებს ეფუძნება. თაღების ზემოთ თითო მცირე ზომის წრიული სარკმელია მოწყობილი.

სამრეკლოს ქვედა ორი სართული სამი მხრიდან თაღოვანი ღიობებით არის გახსნილი. მესამე სართულზე ექვსწახნაგა ფანჩატური დგას, შესაბამისი რაოდენობის მრგვალი სვეტებითა და მათზე გადაყვანილი ნახევარწრიული თაღებით. სვეტებს ასრულებს კაპიტელები აბაკის კუთხეებიდან ჩამოშვებული მართკუთხა ელემენტებით. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ეს მოტივი სამცხე-ჯავახეთის თითქმის ყველა ეკლესიაში გვხვდება. სამრეკლოს პირველი სართულის დასავლეთ კედელზე, თაღის ზემოთ ჩადგმულია ჯვრიანი ფილა, რომელზეც მშენებლობის თარიღი - 1908 წელია გამოყვანილი. ჯვრიანი ფილა დაღარულზედაპირიანი კოპებით არის ფლანკირებული.

წინუბნის ეკლესია სამცხე-ჯავახეთის კათოლიკურ ეკლესიებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გვიანდელია. ის ძირითადი პროპორციითა და არქიტექტურული გადაწყვეტის მხრივ ყველაზე მეტ სიახლოვეს სხვილისისა (1893) და ხიზაბავრას (1898) ეკლესიებთან ამჟღავნებს, თუმცა ფასადების პოლიქრომიული ხასიათის გამო, მათგან შედარებით უფრო დეკორატიულია.

3.2. ჯავახეთი

3.2.1. უჯმანას წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია

სოფელი უჯმანა ნინოწმინდიდან 15 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. აქაური კათოლიკეები 1829-30 წლებში ერზერუმის პროვინციიდან გადმოსახლებული სომხების შთამომავლები არიან.[628]

ახალმოსახლეებმა 1851 წელს წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია ააშენეს. მისი აგების თარიღი შესასვლელი კარის საპირეზეა გამოყვანილი. [629] ეკლესია ქვის დაბალი გალავნით არის მოზღუდული. დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული ბაზილიკა აღმოსავლეთით ნახევარწრიული შვერილი აფსიდით სრულდება (გარე ზომებია: 8,0 × 12,4 მ) (ილ. 220). შიდა სივრცე ხის ორი წყვილი სვეტით სამ ნავად არის დაყოფილი (ილ. 221). სვეტების პროფილირებულ კაპიტელებზე მაღალი იმპოსტები დგას. მათზე გადახურვის საყრდენი კოჭებია გადებული. აღმოსავლეთ სვეტებზე დამატებით განივი მოკლე ძელებიც არის გადებული. ისინი გრძივ კედლებზე დამაგრებულ კრონშტაინებსაც ეფუძნება. ინტერიერის ნავებად დამანაწევრებელი და გადახურვის დამჭერი კოსტრუქცია მთლიანად ხისაა (ილ. 222). ფიცრებითვე აწყობილი ჭერი გვერდით ნავებში დახრილია, ცენტრალური ნავის შუაში - ბრტყელი, ხოლო მის აღმოსავლეთ ნაწილში - მსუბუქად მორკალული.

მაღალი საკურთხევლის იატაკს ძირითადი სივრცისკენ გამოწეული ნახევარწრიული ფორმა აქვს. აფსიდის კედლებში თითო თაღოვანი ნიშაა

628. Samvel Karapetian, *Javakh*, 508.

629. *Кавказский Календар на 1885 год*, 69; ჭიჭინაძე ეკლესიის აგების თარიღად 1857 წელს უთითებს, რაც შეიძლება მშენებლობის დამთავრების წელი იყოს. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში*, 113.

გაკეთებული. დასავლეთი კედლის წინ მრუდხაზოვანი კონტურის ხის ერთიარუსიანი გალერეაა მოწყობილი (ილ. 223).

ეკლესიის ფასადები მთლიანად გალესილია და კედლის წყობის ხასიათი არ ჩანს. პატარა თაღოვანი სარკმლები (ორი დასავლეთ კედელში, სამი სამხრეთისაში) შიგნითკენ ძლიერ ფართოვდება. ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ფასადები ყრუა. აფსიდის დაახლოებით შუა მონაკვეთამდე გასამაგრებლად მოგვიანებით ფლეთილი ქვების გროვა მიუყრიათ.

ერთადერთი შესასვლელი კარი დასავლეთი კედლის ცენტრშია გაჭრილი (ილ. 224). მას შემოწერს თლილი ქვის ჩარჩო, რომელსაც ზედა ნაწილში ნახევარწრიული თაღის ფორმა აქვს. უშუალოდ კარის თაღი კრონშტაინებზეა გადაყვანილი. საჭექ ქვაზე ვარდულებითა და სხივებით გაფორმებული გოლგოთის ჯვარია გამოყვანილი. თაღის მარჯვენა ქუსლთან მშენებლობის თარიღი - 1851 წელი წერია. ჩარჩოს გარეთ, მარჯვენა მხარეს ძლიერ სქემატური ორფიგურიანი რელიეფია ჩადგმული. მარცხენა ფიგურას ჯვრიანი კვერთხი უჭირავს (ილ. 225).

შენობის გარე აგებულება უჩვეულოა. ბრტყელმა ჭერმა მშენებლებს საშუალება მისცა გაეკეთებინათ ძალიან დაბალი სახურავი ოდნავ დახრილი ფერდებით. გარედან ეს სახურავი თვალისთვის მთლიანად ჩამალული იყო სამხრეთი, ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლების თავზე აღმართული ერთიანი პარაპეტების უკან. საინტერესოა, რომ დასავლეთ ფასადს ფრონტონი არა აქვს - გრძივი ფასადების მსგავსად, ისიც ჰორიზონტალური კარნიზით სრულდება. სახურავიდან წვიმის წყლის გადაღვრას უზრუნველჰყოფდა გრძივი კედლების პარაპეტებში ჩართული, მთლიან ქვაში გამოთლილი ორ-ორი საწრეტი მილი. ახლანდელი სახურავი პოსტსაბჭოთა პერიოდშია გაკეთებული. ის თავდაპირველთან შედარებით უფრო მაღლაა და პარაპეტის პირს უსწორდება. შესაბამისად, ძველმა წყალსაწრეტმა მილებმა ფუნქცია დაკარგა. ახალი სახურავი სამქანობიანია: ორი კალთა წესისამებრ გრძივი კედლებისკენ არის

დაფერდებული, მესამე - დასავლეთ კედლისკენ. საკურთხევლის ნახევარცილინდრულ მოცულობას ცალკე სახურავი აქვს.

დასავლეთი კედლის შუა ნაწილს კვადრატული გეგმის ერთსართულიანი სამრეკლო ადგას. ის ოთხ მრგვალ სვეტზე გადაყვანილი ნახევარწრიული თაღებით არის გახსნილი. აღმოსავლეთი სვეტები უშუალოდ სახურავზე დგას, ხოლო დასავლეთისა მსხვილ კრონშტაინებს ეყრდნობა. კაპიტელები აბაკას კუთხეებიდან ჩამოზრდილი წახნაგოვანი ელემენტებით არის გაფორმებული. სამრეკლო სრულდება პირამიდისებური სახურავით, რომლის საბურველიც ქვისაა.

უჯმანა სამცხე-ჯავახეთის კათოლიკურ ეკლესიებს შორის ერთ-ერთი უადრესია. ამ პერიოდში განსაკუთრებული პორპულარობით სწორედ ბაზილიკები სარგებლობს (არალი - 1850-იანი წლები, ვალე - 1862, ალასტანი - 1863, ნაოხრები - 1862-65). მათგან განსხვავებით უჯმანაში შიდა სივრცეს ხის სვეტები ანაწევრებს, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ეკლესიას ქვის კამარის ნაცვლად ხის ჭერი აქვს. ასეთი კონსტრუქციული გადაწყვეტა - უთუოდ შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობებით ნაკარნახევი - სამცხე-ჯავახეთში გვხვდება როგორც კათოლიკურ (კარტიკამის პირველი ეკლესია - 1843, ბავრა - 1887, ტურცხი - 1892), ისე სომხურ-მონოფიზიტურ ეკლესიებში (სულდა - 1853, ხანჩალი - 1850-60, ჯიგრაშენი - 1850-იანი წლები, დილისკა - 1870). ზოგადად, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთში XIX საუკუნეში აგებული სხვადასხვა კონფესიის ეკლესიები სტრუქტურის, სამშენებლო ტექნიკისა და არქიტექტურული გაფორმების თვალსაზრისით ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა კონფესიის ეკლესიების მშენებლობაზე ბერძენ ოსტატთა ერთიდაიგივე არტელები მუშაობდნენ.

3.2.2. ვარევანის ღმრთისმშობლის ეკლესია

სოფელი ვარევანი ახალქალაქიდან 13 კილომეტრით არის დაშორებული. ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობა კათოლიკე სომეხია, თუმცა აქ რამდენიმე ქართული და ბერძნული ოჯახიც ცხოვრობს. ვარევანში სომეხი კათოლიკეები 1829 წელს სოფელ ტვანჯიდან (Tvanj) (კარინის (Karin) პროვინცია), ხოლო ბერძნები არტაანიდან გადმოუსახლებიათ.[630]

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული 1830-იანი წლების მიწურულის დოკუმენტის მიხედვით, ვარევანის პირველი კათოლიკური ეკლესია, რომელიც წმ. პეტრესა და წმ. პავლეს სახელზე აუშენებიათ, ხის იყო. [631] 1843 წელს ის ქვის შენობით ჩაანაცვლეს და ღმრთისმშობლის მიძინების სახელზე აკურთხეს.[632] მოგვიანებით გაჩენილი ხანძრის გამო 1856 წელს მას რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. [633] 1889 წელს მრევლმა ტირასპოლის ეპისკოპოს ანტონ იოჰან ცერის ნებართვით, ძველის ადგილზე ახალი ეკლესიის მშენებლობა დაიწყო. რუსეთის იმპერიაში იმ დროს მოქმედი კანონების თანახმად, კავკასიაში მცხოვრებ ნებისმიერი რიტის კათოლიკეს ეპისკოპოსის თანხმობით მხოლოდ ძველი შენობის განახლება შეეძლო, ახლის ასაშენებლად კი გუბერნატორის ნებართვა და დამტკიცებული პროექტი იყო საჭირო. ვარევანის მრევლს არც ერთი ჰქონდა და არც მეორე, ამიტომ 1890 წელს მშენებლობა შეუჩერეს. შესაბამისი პროცედურის გავლას რამდენიმე წელი დასჭირდა. საბოლოოდ, მშენებლობა 1894 წელს განახლდა. 1903 წლისთვის ეკლესია უკვე დასრულებულია. ამ დროს ჯავახეთში ჩასულ ეპისკოპოს ედუარდ ფონ

---

630. Samvel Karapetian, *Javakh*, 479. ვარევანში მცხოვრებ ქართველებზე არსებობს ხალხური ლექსი: ,,ვარევანი მოსავლითა თუმცა ზოგჯერ ნაქებია, ქართველებიცა სახლობენ, უფრო მეტი ფრანგებია.” იხ.: დევი ბერძენიშვილი და სხვანი, *ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი* (თბილისი: ნეკერი, 2000), 61.
631. სცა, ფონდი №1644, ანაწერი №1, საქმე №1.
632. *Кавказский Календар на 1885 год*, 69.
633. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში*, 112; Samvel Karapetian, *Javakh*, 479.

როპს ახალი სამლოცველო მოსწონებია: ,,აქ ეკკლესია კარგი სტილისა ყოფილა", აღნიშნავს ის თავის დღიურში.[634]

ვარევანის ეკლესიის პროექტი ხიზაბავრას, სხვილისისა და კარტიკამის ეკლესიების მსგავსად ლუდვიკ კროპინსკის ეკუთვნის (ილ. 226). აშენებული ეკლესია გეგმარებითი სტრუქტურითა და ზოგადი პროპორციით პროექტს მიჰყვება, მაგრამ ოდნავ შემცირებულია სიგრძეში და ნაკლები დეკორი აქვს. კერძოდ, არ გაუკეთებიათ გრძივი კედლების დამანაწევრებელი პილასტრები, კბილანებით გაფორმებული ჩაკეტილი ფრონტონი დასავლეთ ფასადზე და კბილანებითვე შემკული კარნიზი. პროქტიდან გადახვევა, სავარაუდოდ, უსახსრობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ცვლილებები შეეხო კარის ღიობებსაც. ისინი თაღოვანის ნაცვლად სწორკუთხა გააკეთეს.

ვარევანის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიას სამი მხრიდან დაბალი ზღუდე მოფარგლავს, ხოლო დასავლეთი ფასადით უშუალოდ გზის პირზე გადის (ილ. 227). დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული დარბაზული ტიპის შენობა (გარე ზომებია: 19 × 11,50 მ) აღმოსავლეთით სეგმენტურად შვერილი აფსიდით სრულდება. ეკლესიის აღმოსავლეთი მონაკვეთი ძირითად სივრცესთან შედარებით ერთი საფეხურით მაღალია და მისგან მრუდხაზოვანი დაბალი მოაჯირით არის გამიჯნული. საკურთხევლის იატაკი კიდევ სამი საფეხურითაა ამაღლებული. აფსიდის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში მოწყობილია მცირე ზომის თითო თაღოვანი ნიშა (ილ. 228).

საკურთხეველს ორივე მხრიდან მართკუთხა გეგმის დამხმარე ოთახები ემიჯნება. ზემოთ განხილული რამდენიმე ეკლესიის მსგავსად, მათაც მუკარნასიანი შესასვლელები აქვს ბემის ირიბად ჩაჭრილ კუთხეებზე. მუკარნასის წვერი აღნიშნულია ჩამოჭრილი კუთხის ძირიდან ჩამოზრდილი ცილინდრული ფორმის მოცულობით. ასეთივე გეომეტრიული ელემენტი ამკობს სამცხე-ჯავახეთის არაერთი

634. *ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა,* 26.

კათოლიკური ეკლესიის სამრეკლოების კაპიტელებს. დამხმარე ოთახების დასავლეთ კედლებში ღრმა თაღოვანი ნიშებია გაკეთებული. მათი ძირი წინ მძლავრად შვერილი რაფებით, ხოლო ზედა ნაწილები კრონშტაინებზე გადაყვანილი პროფილირებული თავსართებით არის გაფორმებული.

ძირითადი სივრცის აღმოსავლეთი კედელი ზედა ნაწილში სამთაღედითაა მონიშნული. შუა, სატრიუმფო თაღი გვერდითებთან შედარებით მაღალი და განიერია. თაღები საკურთხევლისა და გრძივი კედლების კუთხეებში განთავსებულ პროფილირებულ კრონშტაინებზეა გადაყვანილი.

გრძივ და დასავლეთ კედლებს პროფილირებული კაპიტელებით დასრულებული ორ-ორი პილასტრი აუყვება (ილ. 229). გრძივი კედლების პილასტრებს არაფერი ეყრდნობა, ხოლო დასავლეთისაზე სამთაღედია გადაყვანილი. მათგან შუა თაღი გვერდითებზე მაღალი და განიერია. მასზე წინიდან მიშენებულია ბუხრის მილის მსგავსი მოცულობა, რომელშიც სამრეკლოში ასასვლელი კარია გაჭრილი. დასავლეთი კედლის წინ ტრადიციისამებრ მრუდხაზოვანი კონტურის ხის გალერეაა მოწყობილი (ილ. 230).

გარედან ფასადები სუფთად გათლილი რუხი ფერის ქვით არის მოპირკეთებული. ღია მოვარდისფრო ქვა მხოლოდ სამხრეთი კარის, მის აქეთ-იქით გაჭრილი სარკმლების თავსართებისა და საკურთხევლის სარკმლის თავსართისთვის არის გამოყენებული. ამ ხერხით ხაზგასმულია ეკლესიის მნიშვნელოვანი ადგილები - საკურთხეველი და მთავარი შესასვლელი.

ეკლესიის ოთხსავე კედელს შემოუყვება ერთგვარი ჩარჩო, რომელიც გამოყვანილია კუთხეებზე და კარნიზის ქვეშ ძირითად სიბრტყესთან შედარებით ერთი საფეხურით ამაღლებული წყობით. ფასადები სადაა, თაღოვანი სარკმლები შემდეგნაირად არის განაწილებული - ოთხ-ოთხი გრძივ კედლებში, ორი დასავლეთ კედელში, ხოლო ერთიც აფსიდში (ილ. 231). პროფილირებული თავსართები ღიობების ფორმას იმეორებს.

საკურთხევლის სარკმლის საჭექი ქვა დამატებით მცირე ზომის განედლებული ჯვრის რელიეფური გამოსახულებით არის შემკული (ილ. 232).

დასავლეთ კედლის ფრონტონის არეში, ძირითადი სარკმლების აყოლებაზე გაჭრილია თითო მცირე ზომის მართკუთხა სარკმელი, რომელიც ინტერიერში ხის გალერეის სივრცეს ანათებს. მათ შერჩენილი აქვს ჯვრის ფორმის ლითონის გისოსები (ილ. 233).

ეკლესიაში შესასვლელი კარი ორია - ერთი დასავლეთი კედლის ცენტრში, მეორე სამხრეთი ფასადის დასავლეთ მონაკვეთში. დასავლეთი კარი მართკუთხა მოყვანილობისაა, შეისრული ფორმის ცრუ ტიმპანით. სამხრეთ კარს შემოწერს ჯვრის ფორმის ნახევარწრიულთაღოვანი საპირე, რომლის თაღზეც დიდი ზომის გასხივოსნებული ჯვარია აღმართული (ილ. 234). კარის ღიობის თავზე ჩადგმული ყოფილა წარწერიანი ქვა. ის დაკარგულია და კედელზე მის ადგილას მართკუთხა ფორმის ღრმულია დარჩენილი. დაბეჯითებით თქმა ძნელია, მაგრამ კარის საპირე და მასზე აღმართული ჯვარი შესაძლოა მეორადი გამოყენების იყოს. ამის ეჭვს ბადებს, როგორც საპირის განსხვავებული ფერი, ისე ჯვრის ზედა და ქვედა მკლავები, რომლებიც სხვა ნაწილებთან შედარებით უფრო ძველია. ისიც დასაშვებია, რომ ცენტრალური შესასვლელის ხაზგასასმელად საპირისთვის საგანგებოდ შეერჩიათ ღია ფერის ქვა, ხოლო ჯვრის ფრაგმენტები მოგვიანებით გამოეცვალათ.

ვარევანის ეკლესიის მსგავსად, ჯვრის ფორმის საპირე აქვს ახალციხის წმ. ჯვრისა (1866) და ალასტანის (1863) კათოლიკურ ეკლესიებს. წმ. ჯვრის ეკლესიაში საპირის ჰორიზონტალური მკლავები უფრო განიერია და პერანგის ქვის ორ რიგს მოიცავს, ხოლო ალასტანში მოჩარჩოება უფრო რთული ფორმისაა და ერთის ნაცვლად ჰორიზონტალური მკლავების ორ რიგს შეიცავს.[635] ჯვრის მოხაზულობის ჩარჩოებით გაფორმებული კარ-სარკმლები განსაკუთრებით უხვად XIX საუკუნეში დასავლეთ

635. Samvel Karapetian, *Javakh*, 48.

საქართველოში აგებულ ან შეკეთებულ ეკლესიებში გვხვდება და ყველა მათგანი ბერძენი ოსტატების მშენებლობასთან არის დაკავშირებული: სუჯუნას წმ. გიორგის ეკლესია (1838-46),[636] ლეჩხუმის მცხეთის წმ. გიორგის ეკლესია (სამხრეთი კარი, XIX ს-ის I ნახ.),[637] ქუთაისის ყოფილი სომხური ეკლესია,[638] მარტვილის კათედრალი (სამხრეთი კარი და სამხრეთი მკლავის სარკმელი, XIX ს.),[639] კაცხის ტაძარი (ეკლესიის კორპუსის ზედა საფეხურის სარკმლები, 1854 წ.,[640] ქვემო აკეთის მაცხოვრის ეკლესია (სამხრეთ, ჩრდილოეთ და დასავლეთ შესასვლელების საპირეები, 1890-იანი წლები), ზემო აკეთის ეკლესია (სამხრეთი კარი, 1899 წ.), ინაშაურისა და მაქათუბნის ეკლესიები (ილ. 129, 130, 131). როგორც ერთწყვილმკლავიანი, ისე ორწყვილმკლავიანი ჯვრის ფორმის კარის ჩარჩოები პირდაპირ პარალელებს პოვებს პონტოს რეგიონის XIX საუკუნის ეკლესიებთან - პიშტოფლის წმ. ქრისტოფორეს ეკლესია, პანტაკი, მენდალდოსი, დუბერა, მაურანა და ემრეკი.[641] პონტოს რეგიონის ეკლესიებისთვის არის ასევე დამხასიათებელი ვარევანის დასავლეთი კარის მსგავსი გაფორმებაც - მართკუთხა საპირე ცრუ შეისრული ან ნახევარწრიული თაღოვანი ტიმპანით (დემირჯი ქოი, კოიმესის ეკლესია პიბერაში, მატსერა, ემრეკი და სხვა) (ილ. 264).[642]

უეჭველია, რომ სამცხე-ჯავახეთის ზემოთ ჩამოთვლილი კათოლიკური ეკლესიების მაშენებლებიც სწორედ ბერძნები უნდა ყოფილიყვნენ. 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულების შემდეგ ბერძნებისა და სომხების დიდმა ნაკადმა ერზერუმის მხარე

---

636. მანანა ჭუმბურიძე, ,,თედო ხოშტარიას მოგონებები", *საისტორიო მოამბე*, № 79-80. (თბილისი: 2009-2010), 130-131.

637. ვახტანგ ბერიძე, *XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება* (თბილისი: კანდელი, 1994), 188, სურ. 165.

638. *საქართველოს ძველი ქალაქები, ქუთაისი*, წიგნი მოამზადეს და გამოსცეს მარინე ბულიამ და მზია ჯანჯალიამ (თბილისი: ბეთანია, 2006), 114, ანოტაცია 8.

639 . ვახტანგ ბერიძე, *ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია* (თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი, 2014), ტ. II, 82.

640. იქვე, 72.

641. Anthony Bryer and others, *the Post-Byzantine Monuments of the Pontos*, part 2, 125, სურ. 57; Part 3, 257, სურ. 17; 262, სურ. 78; 268, სურ. 81; Part 4, 211, სურ. 170; 234, სურ. 189.

642. იქვე, Part 3, 232; Part 4, 207, სურ. 167; 230, სურ. 180; 234, სურ. 189.

რუსეთის არმიასთან ერთად დატოვა. მათი ნაწილი სამხრეთ საქართველოში დასახლდა.[643]

არქიტექტურული გაფორმების გარდა, ბერძენი ოსტატების ხელწერას ეკლესიის პერანგიც ამჟღავნებს. აქ ქვის თლის ორი მანერა გაირჩევა. ძირითადი საფასადო სიბრტყე მოპირკეთებულია კვადრებით, რომელთა კიდეები მოსწორებულია, ხოლო შუაგული ხაოიანი. რაც შეეხება კარ-სარკმლების საპირეებს, ისინი სუფთად გათლილი ქვებით არის გამოყვანილი. მათ ზედაპირზე გარკვევით იკითხება საჭრეთელის კვალი - წყვეტილი ჰორიზონტალური ხაზები.[644]

ეკლესიის ორფერდა სახურავის კეხის დასავლეთ კიდეზე ერთსართულიანი სამრეკლო დგას. როგორც ზემოთ აღინიშნა, მასზე ასასვლელი კიბე ბუხრის მილის მსგავს მოცულობაშია მოწყობილი. მისი დასავლეთი კედელი კრონშტაინებზეა ამოყვანილი და ფასადის საერთო სიბრტყიდან წინ გამოდის. სამრეკლოს ექვსკუთხა ფანჩატურის გადახურვა ექვს მრგვალ სვეტს ეყრდნობა. სვეტების კაპიტელებს ტრადიციისამებრ აბაკის კუთხეებიდან ჩამოზრდილი ცილინდრის ფომის გეომეტრიული ელემენტები აფორმებს. კაპიტელებზე გადაყვანილი მოკლემალიანი თაღები ლითონის ჰორიზონტალური დგარებით არის გამაგრებული. სამრეკლო სრულდება პირამიდის ფორმის გადახურვით, რომლის საბურველიც ქვისაა.

---

643. იქვე, Part 3, 329.

644. საქართველოში მომუშავე ბერძენი ოსტატებისთვის სახასიათო ქვის თლის მანერა პირველად მალაქია დვალმა შენიშნა. მანგლისის კათედრალის XIX საუკუნეში განახლებული პერანგი მან სწორედ ქვის ზედაპირის დამუშავების თავისებურებით გამოჰყო: ის ბერძნების ,,ხელწერას" ასე ახასიათებს: ,,გათლილ ქვას იარაღის კვალი ჰორიზონტალურად გასდევს. ხაზების მთლიანობა დაცული არ არის. ისინი ერთმანეთსა ჰკვეთენ და ერთიმეორეში ირევიან. ხაზები კიდიდან კიდემდე ვერ აღწევენ, ვინაიდან ქვას გარშემო სუფთად გათლილი ლენტი შემოჰყვება, ჩარჩოს მსგავსად ... ვერც ერთ ძეგლს ვერ ნახავთ მოპირკეთებულს XIX საუკუნეში და შემდეგ, რომ ქვის ზედაპირის თლა ჰორიზონტალური ან საერთოდ უსახო არ იყოს. ასეთი თლა გვაქვს ყველა ძეგლზე, რომელიც კი XIX საუკუნეში შეაკეთეს ... საფირებელია, რომ ამ უკანასკნელი სახით ქვის დამუშავება შემოტანილი უნდა იყოს გარედან, კერძოდ, ბერძენი ოსტატების მიერ, რომლებიც ასე მრავლად მოღვაწობდნენ XIX საუკუნის საქართველოში. ამ დროს თითქმის ყველა ძეგლი მათი მონაწილეობით არის შეკეთებული". იხ.: მალაქია დვალი, *მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი* (თბილისი: მეცნიერება, 1974), 28.

ვარევანის ეკლესია გაფორმების თვალსაზრისით (კარის ჯვრის ფორმის საპირე, შეისრულთაღოვანი ნიშა დასავლეთი კარის თავზე, სარკმლების ნახევარწრიულთაღოვანი თავსართები) განსაკუთრებულ მსგავსებას ვალეს (1862), ალასტანისა (1863) და ახალციხის წმ. ჯვრის (1866) ეკლესიებთან ამჟღავნებს. როგორც ითქვა,. შესაძლოა მისი სამხრეთი კარის დეკორი ძველ შენობას ეკუთვნოდა და ახალ ეკლესიაში ხელახლა გამოიყენეს. ამით დამკვეთები ქვისმთლელთა ხარჯს გარკვეულწილად შეამცირებდნენ. თუმცა, უფრო მოსალოდნელია ეს მოტივი უბრალოდ მრევლის გემოვნებით ან მშენებელ ოსტატთა სამშენებლო ტრადიციის გავლენით იყოს შერჩეული.

3.2.3. ეშტიას ღმრთისმშობლის ეკლესია

სოფელი ეშტია გაშენებულია მდინარე ფარავნის მარჯვენა ნაპირზე. ის ნინოწმინდიდან 9, ხოლო ახალქალაქიდან 12 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. სოფელში მხოლოდ კათოლიკე სომხები ცხოვრობენ. ინფორმაცია მათი წარმომავლობის შესახებ განსხვავებულია. ადგილობრივი მოსახლეობა თვლის, რომ მათი წინაპრები 1829-30 წლებში გადმოასახლეს ერზერუმის ვილაიეთის სოფელ კიულიდან (Kyulli).[645] XIX საუკუნის პრესის მიხედვით, ეშტიელი სომხები აღმოსავლეთ თურქეთიდან, მუშის (Muş) პროვინციიდან არიან, ხოლო ი. გვარამაძის ცნობით სოფელ ელეშკერტიდან (Eleşkirt), რომელიც ასევე აღმოსავლეთ თურქეთში მდებარეობს, თუმცა არა მუშის, არამედ აღრის პროვინციაში (Ağrı).[646]

კათოლიკე სომხებმა პირველია ეკლესია 1835 წელს ააშენეს. ქვის მოზრდილი ნაგებობა ღმრთისმშობლის სახელზე იყო ნაკურთხი.[647]

---

645 . ზ. ჭიჭინაძეც წერს, ეშტია ერზერუმიდან გადმოსახლებული სომხებით არის დასახლებულიო. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში*, 113.

646. Samvel Karapetian, *Javakh*, 338; ვინმე მესხი, ,,ახალი შენიშვნანი", *დროება*, 1880, 14 სექტემბერი, №196, 3.

647. *Кавказский Календар на 1885 год*, 69; Samvel Karapetian, *Javakh*, 339; სცა, ფონდი №1644, ანაწერი №1, საქმე №1.

მრევლმა ეკლესია ორჯერ - 1856 და 1880 წელს განაახლა. ბოლო რეკონსტრუქციის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ი. გვარამაძე, რომელიც სამშენებლო სამუშაოების დროს გამოვლენილი ქართული წარწერების სანახავად საგანგებოდ გაემგზავრა ეშტიაში. მისი ცნობით:

ძველი მოდიდო ეკკლესია ყოფილა წმინდა თლილის ქვით ნაშენი. როგორც სჩანს სასაფლაოს ქვების ძეგლებიდგან, ადრე თუშებს უნდა ეცხოვროსთ აქ. ნაწერი ცოტა იყო. ,,წმიდა სტეფანე შეიწყალე სული ჩემიო", ხუცურად ეწერა. სჩანს ეს ეკკლესია წმიდა სტეფანე პირველ მოწამის სახელობაზედ ყოფილა აღგებული. ამ ეკკლესიის ორი კედელი ჩამოეღოთ და სიგრძე განს უმატევდნენ ისევ ძველივე თლილის ქვებითა![648]

ეკლესიის ჩრდილოეთ ფასადს მართლაც ეტყობა გადაკეთების კვალი (ილ. 235). კედლის დასავლეთი მონაკვეთი საერთო სიბტყიდან ერთი საფეხურით წინ არის გამოწეული. ქვის წყობა ფასადის აღმოსავლეთ მონაკვეთთან შედარებით ცუდი ხარისხისაა, მეორადი გამოყენების ქვებით არის აგებული და ძველი ნაგებობის ნაშთის შემცველი უნდა იყოს. აქ ჩადგმულია ორი საფლავის ქვის ფრაგმენტები. ერთ მათგანზე გამოსახულია მეცხვარე - გულხელდაკრეფილი მამაკაცის სქემატური ფიგურა კომბლით, ხოლო მეორეზე - საბრძოლო იარაღი (თოფი, ხმალი, ხანჯალი და დანა). ალბათ ამ გამოსახულებების გამო ჩათვალა გვარამაძემ, რომ ეშტიაში ძველად თუშებს უნდა ეცხოვრათ. ქართულენოვანი წარწერა, რომელიც დღეს დაკარგულია, შესაძლოა მართლაც ეკუთვნოდა ოდესღაც აქ მდგომ შუა საუკუნეების ეკლესიას.

ჩრდილოეთი კედლის დასავლეთი მონაკვეთის გარდა, ეკლესია ერთიანად არის ნაგები (ილ. 236). დღევანდელი ეკლესიის მშენებლობის თარიღად ზ. ჭიჭინაძე 1882, ხოლო ს. კარაპეტიანი 1893 წელს ასახელებს.[649]

---

648. ვინმე მესხი, ,,ახალი შენიშვნანი", *დროება*, 1880, 14 სექტემბერი, №196, 3.
649. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 113; Samvel Karapetian, *Javakh*, 339.

ორივე ამბობს ახალი ეკლესია ძველის ადგილზე აშენდაო. ზ. ჭიჭინაძის მიერ მოტანილი წელი თითქმის ემთხვევა ი. გვარამაძის ცნობას (განსხვავება მხოლოდ ორ წელშია) და იმავე რეკონსტრუქციის თარიღი უნდა იყოს. რაც შეეხება ს. კარაპეტიანს, მას მშენებლობის წელი საარქივო მასალაზე დაყრდნობით მოაქვს. ტექსტიდან არ ჩანს კარაპეტიანმა პროექტი ნახა თუ მრევლის თხოვნა მთავრობისადმი ახალი ეკლესიის აგების შესახებ. როგორც არ უნდა იყოს, მათი სურვილი არ განხორციელებულა და ეშტიას კათოლიკურმა ეკლესიამ ჩვენამდე 1880 წელს რეკონსტრუირებული სახით მოაღწია.[650]

დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული მოზრდილი შენობა აღმოსავლეთით შვერილი აფსიდით სრულდება (გარე ზომებია: 25 × 12 მ.). საკურთხეველი, სომხური სამოციქულო ეკლესიების მსგავსად, შემაღლებულია (ილ. 237). მის ორსავე მხარეს მოწყობილია მართკუთხა გეგმის ოთახები, რომლებიც დასავლეთ კედელში გაჭრილი კარების მეშვეობით უკავშირდება ძირითად სივრცეს. მარჯვენა კარსა და სამხრეთ კედელს შორის მაღალი და ღრმა თაღოვანი ნიშაა მოწყობილი. მასში ღმრთისმშობლის ქანდაკება დგას. საკურთხეველში მოხვედრა მხოლოდ მარცხენა ოთახიდან არის შესაძლებელი.

ძირითადი სივრცის აღმოსავლეთი კედელი ზედა ნაწილში სამთაღედით არის მონიშნული. შუა, სატრიუმფო თაღი გვერდითებთან შედარებით მაღალი და განიერია. თაღები საკურთხევლის კუთხეებთან განთავსებულ ნახევარსვეტებზეა გადაყვანლი. მაღალ მასიურ კვარცხლბეკებზე შედგმული ნახევარსვეტები მსხვილი კაპიტელებით სრულდება. ისინი აბაკას წინა კუთხეების ქვეშ გამოყვანილი ძლიერად სტილიზებული გირჩის ფორმის ელემენტებით არის შემკული. სვეტები და თაღები თეთრად არის შეღებილი. კედელი თაღების ქვემოთ ცისფერია,

---

650 . 1903 წელს საქართველოში ვიზიტის დროს ეშტიაში იმყოფებოდა ტირასპოლის ეპისკოპოსი ედუარდ ბარონ ფონ როპი. მისი თქმით: ,,ეკლესიას არა უჭირს-რა, საშუალო პირობებშია მისი ყოველივე მდგომარეობა". იხ.: *ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა,* 25.

ხოლო ზემოთ ღია მწვანე. თაღების წინა პირზე მონაცვლეობით თავთავები, ბროწეულები და ყურძნის მტევნებია დახატული.

აფსიდის კონქი კაპიტელებით დასრულებულ ერთსაფეხურიან პილასტრებზე გადადის. პილასტრებს შორის ტრაპეზის უკან დგას მაღალი ტრიპტიქი, რომელიც აფსიდსა და ბემას ერთმანეთისგან მიჯნავს. მის თითოეულ ფრთას ზემოთ ჯვრით დაბოლოებული მუზარადის ფორმა აქვს და შორეულად რუსული ეკლესიების გუმბათებს მოგვაგონებს. გვერდით ფრთებზე, დასასვლელების ზემოთ ტრადიციულად წმ. პეტრე და წმ. პავლე არიან გამოსახულნი. უცნობია თუ რა სცენას ეკავა შუა მონაკვეთი. დღეს აქ რაფაელის სიქსტის მადონას ასლი კიდია.

გრძივი კედლები სრულიად სადაა (ილ. 238). მათ არც პილასტრები ანაწევრებს და არც თაღნარი გაუყვება. ერთადერთი არქიტექტურული სამკაული ხის ფიცრებით აწყობილი ცრუ კამარის ძირში გავლებული კუწუბებიანი კარნიზია. დასავლეთი კედლის წინ აღმართული ტრადიციული ხის გალერეა (ილ. 239) ორიარუსიანია და სამ კომპარტიმენტად არის დაყოფილი.

გარედან ეკლესიის ფასადები სუფთად გათლილი მოვარდისფრო და მუქი წითელი ბაზალტით არის მოპირკეთებული. სამხრეთ კედელს ოთხი სწორკუთხა სარკმელი და ერთი ნახევარწრიულთაღოვანი კარი ანაწევრებს. ჩრდილოეთი კედელის აღმოსავლეთ ნაწილში სამი სარკმელია გაჭრილი, ხოლო დასავლეთი მონაკვეთი ყრუა. ის, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ძველი ეკლესიის ნაშთს უნდა შეიცავდეს.

სარკმლები გაფორმებულია წახნაგოვანი გეომეტრიული ელემენტით აღნიშნული საჭექი ქვებითა და პროფილირებული თარო-თავსართებით (ილ. 240). ნეორენესანსული რეპერტუარიდან აღებული ეს დეტალები, საეკლესიო არქიტექტურისგან განსხვავებით, ხშირად გვხვდება XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს ქალაქების არქიტექტურაში ანუ იქ, სადაც დაპროექტება და მშენებლობა აკადემიური განათლების მქონე არქიტექტორების მიერ ან მათი მეთვალყურეობით ხდებოდა. თუ

გავითვალისწინებთ, რომ მშენებლობის ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად 1870 წლიდან ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ქალაქის არქიტექტორის თანადებობა ოფიციალურად იქნა შემოღებული,[651] უეჭველია, რომ 1880 წელს ეშტიას ეკლესიის რეკონსტრუქცია პროექტის გარეშე არ წარიმართებოდა და როგორც ჩანს, ეს ელემენტები იმ დროს თანამდებობაზე მყოფი არქიტექტორის ინიციატივით დაემატა ფასადებს.

აღმოსავლეთი ფასადი სადაა. აფსიდში მხოლოდ ერთი, ოთხყურა ყვავილის ფორმის სარკმელია. ყველაზე ,,იმპოზანტურად" დასავლეთი ფასადი გამოიყურება. მის ცენტრში გაჭრილი თაღოვანი კარი მოჩარჩოებულია დაბალი პილასტრებითა და მათზე გადაყვანილი ორსაფეხუროვანი თაღით. კედლის მოწითალო პერანგისგან განსხვავებით, კარი და მისი ჩარჩო მოთეთრო ფერის ქვით არის გამოყვანილი. ფრონტონის ძირში გაჭრილი ორი მართკუთხა სარკმელი ინტერიერში გალერეას ანათებს. სახურავის კეხზე ორიარუსიანი სამრეკლო დგას. მისი კვადრატული გეგმის პირველი სართული ოთხ მრგვალ სვეტზე გადაყვანილი ნახევარწრიული თაღებით არის გახსნილი. მათი კაპიტელები აბაკას კუთხეებიდან ჩამოზრდილი ცილინდრული მოცულობებით არის გაფორმებული. აღმოსავლეთით განთავსებული სვეტები ორფერდა სახურავზე დგას, ხოლო დასავლეთისა კედლის საერთო სიბრტყიდან გამოწეულ მართკუთხა ფორმის მოცულობას ეფუძნება. მეორე სართულის ფანჩატური ექვსწახნაგაა და ქვის სახურავი აქვს. ორივე სართულის თაღები კაპიტელების დონეზე გადებული ლითონის ძელებით არის გამაგრებული.

სამრეკლოს საყრდენი შვერილი მოცულობა პროფილირებული კრონშტაინებისა და შეკიდული პილასტრების რთულ სისტემას ეფუძნება. პილასტრებს შორის ერთი მეორის თავზე ორი თაღია გადაყვანილი. ზედა თაღში ჩაწერილია ჯვარცმული ქრისტეს მონუმენტური ფიგურა (ილ. 241). ჯვრის ზედას მკლავზე სომხურად წერია: ,,იესო ქრისტე მეფე ებრაელთა".

651. ნათია ნაცვლიშვილი, არქიტექტორი ლუდვიკ კროპინსკი, 19-20.

ამ ქანდაკებას უშუალო პარალელი სამცხის სოფელ ღულალისის 1916 წელს განახლებულ სომხურ-მონოფიზიტურ ეკლესიაში ეძებნება. ჯვარცმული ქრისტეს დიდი ზომის ქანდაკება აქაც სამრეკლოს დასავლეთ კედელზეა განთავსებული.[652]

ეშტიას ეკლესია გეგმითა და საერთო პროპორციით არ განსხვავდება რეგიონის სხვა კათოლიკური ეკლესიებისგან და თავისი დროის ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს.

3.2.4. ბავრის წმ. ჯვრის ეკლესია

სოფელი ბავრა ახალქალაქიდან დაახლოებით 4 კილომეტრის დაშორებით, მდინარეების - აბულისწყლისა და ფარავნისწყლის შესართავთან მდებარეობს. 1829-1830 წლებში აქ არტაანის პროვინციის სოფელ ველიდან ქართველი, ხოლო ერზერუმის პროვინციიდან სომეხი კათოლიკეები გადმოსახლდნენ. [653] შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების გამო მათ მხოლოდ სოფელში მდებარე X საუკუნის ქართული ეკლესიის აღდგენა მოახერხეს და 1880-იან წლებამდე ამ შენობით სარგებლობდნენ.[654] თბილისის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტის მიხედვით, ეკლესია სამი მოგვის სახელზე იყო ნაკურთხი.[655]

---

652. Samvel Karapetyan, *Akhaltskha (Samtskhe Province)* (Yerevan: Research on Armenian Architecture (RAA) Foundation, 2011), 233 (სომხურად).

653. ალექსანდრე ფრონელი, *დიდებული მესხეთი*, 175; *ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი*, რედ. დიმიტრი თუმანიშვილი (თბილისი: ნეკერი 2000), 55; სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი, ,,ველელები", წიგნში: *წერილები ,,ოსმალოს საქართველოზე"* (თბილისი: არტანუჯი, 2008), 186-197; გ. ბოჭორიძის ცნობით, ქართველები არა სოფელ ველიდან, არამედ სოფელ ურიდან იყვნენ გადმოსახლებულნი. გიორგი ბოჭორიძე, *მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში*, 142.

654. Samvel Karapetian, *Javakh*, 96.

655. სცა, ფონდი №1644, ანაწერი №1, საქმე №1.

ბავრის დღევანდელი კათოლიკური ეკლესია 1883-1887 წლებშია აგებული.[656] დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული შენობა (გარე ზომებია: 17, 9 × 11 მ) გეგმით მარტივი მართკუთხედია. ინტერიერი ხის სვეტების სამი წყვილით სამ ნავად არის გაყოფილი (ილ. 242). ეკლესიის აღმოსავლეთი მონაკვეთი ძირითად სივრცესთან შედარებით ერთი საფეხურით ამაღლებულია და მისგან ხის დაბალი მოაჯირით არის მოსაზღვრული. მაღალი საკურთხეველი სამნაწილიანია. აფსიდს ორივე მხრიდან მართკუთხა ფორმის დამხმარე ოთახები ეკვრის. ისინი დასავლეთ კედელში გაჭრილი მართკუთხა კარების მეშვეობით მხოლოდ ძირითად სივრცეს უკავშირდება. აფსიდის კედლებში თითო მართკუთხა ნიშაა მოწყობილი.

ინტერიერის დამანაწევრებელ ხის სვეტებს მაღალი რვაწახნაგა კვარცხლბეკები და დაბალი კაპიტელები აქვს. კაპიტელებზე დადგმულია მაღალი იმპოსტები, რომლებზეც გადებულია ცრუ კამარების საყრდენი გრძივი კოჭები. ხის ფიცრებით აწყობილი ცრუ კამარები ძლიერ დაბრტყელებულია, მშვილდისებრი მოხაზულობისა. გადახურვა ახალი გამოცვლილია. მანამდე ეკლესიას 1916 წელს მოხატული ჭერი ჰქონდა.[657]

გალესილი გრძივი კედლები სრულიად სადაა. მათ მხოლოდ სარკმლების რიგი ანაწევრებს. დასავლეთი კედლის წინ დგას ხის ერთიარუსიანი მრუდხაზოვანი გალერეა, რომელიც მხოლოდ შუა ნავს მოიცავს (ილ. 243). იატაკის წინა პირზე გაკეთებული წარწერის მიხედვით, გალერეა 1929 წელს არის გაკეთებული. როგორც ჩანს, ამ დროს ეკლესია ჯერ კიდევ მოქმედი იყო.

---

656 . Samvel Karapetian, *Javakh*, 99; 1903 წელს ჯავახეთში ჩასული ტირასპოლის ეპისკოპოსმა ბარონმა ედუარდ ფონ როპი ბავრასთან დაკავშირებით თავის დღიურში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: ,,ბავრა დაბალზეა. ღვდელი არა ჰყავთ და ხულგუმოელი მღვდელი უვლის იმათ. ეკკლესია კი ორი ქონიათ. ორივეს არა უჭირს რა, თუ რომ თვითონ კარგი იყვენ. საკურთხეველი ბინძურათ იყო დაცული". იხ.: *ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა,* 25; ეპისკოპოსის მიერ ნახსენები ორი ეკლესიიდან ერთი, ცხადია, შუა საუკუნეების ქართული ეკლესიაა.
657. Samvel Karapetian, *Javakh*, 99.

გარედან ეკლესიის კედლები ცუდად დამუშავებული რუხი და მოვარდისფრო ანდეზიტით არის ნაგები. რამდენიმე წლის წინ ქვების რიგებს შორის ადგილები სქელი ნალესობით ამოუვსიათ, რაც ძალიან უსახურ იერს ანიჭებს ისედაც უხარისხო წყობას. დასავლეთ კედელში განიერი თაღოვანი კარი და მის თავზე ერთი პატარა სარკმელია გაკეთებული. სამი ასეთივე პატარა ღიობი აღმოსავლეთ კედელშია გაჭრილი (ილ. 244). გრძივ კედლებს სამ-სამი მართკუთხა სარკმელი ანაწევრებს. ყოველი მათგანი ოთხი კარგად გათლილი ქვისაგან არის ,,აწყობილი". სამხრეთი ფასადის დასავლეთ მონაკვეთში დამატებით ერთი თაღოვანი კარია გაკეთებული (ილ. 245). კარის თავზე ჩადგმულია თლილი ქვის ფილა, რომელზეც გოლგოთის გასხივოსნებულია ჯვარია გამოყვანილი (ილ. 246). ჯვრის გარშემო გაკეთებული ორსტრიქონიანი სომხური წარწერა დღეს თითქმის აღარ გაირჩევა. ს. კარაპეტიანს ის შემდეგნაირად აქვს წაკითხული: „მამა ჰოვანესი ... ბავრას [წმინდა] ჯვრის სომხურ კათოლიკური ეკლესია".[658]

ეკლესიის ორფერდა სახურავის კეხზე დასავლეთ ბოლოში ერთსართულიანი სამრეკლო დგას. მისი აღმოსავლეთი სვეტები სახურავის კალთებს, ხოლო დასავლეთისა პროფილირებულ კრონშტაინებს ეფუძნება. სამრეკლოს მარტივი სტრუქტურა აქვს. ის შედგება სამი წახნაგოვანი და ერთი მრგვალი სვეტისგან, რომლებზეც პირამიდის ფორმის გადახურვა დგას. საბურველი ქვისაა. საგანგებო ყურადღებას იმსახურებს სამრეკლოს სვეტების კაპიტელები (ილ. 247). მათ მართკუთხა ბლოკურ მოცულობებს კიდეებზე გაუყვება მრგვალი ბალუსტრები, რომელთა პირზეც თავსა და ბოლოში გრაფიკული ვოლუტებია ამოკვეთილი. მსგავსი სახის კაპიტელები სამცხე-ჯავახეთის სხვა არცერთ კათოლიკურ ეკლესიაში გვხვდება. საფიქრელია, რომ ისინი შთაგონებული უნდა იყოს IX-X საუკუნეთა ჯავახური ეკლესიებით (მურჯახეთი, აზავრეთი, ბურნაშეთი,

658. იქვე.

საღამო), რომლებშიც იონიური ორდერის ელემენტების შორეულ გამოძახილს ვხვდებით.[659]

ბავრის ეკლესია ძირითადი პროპორციითა და გეგმარებითი სტრუქტურის თვალსაზრისით დიდად არ განსხვავდება თანადროული კათოლიკური ეკლესიებისგან. შიდა სივრცის დანაწევრების თვალსაზრისით ის სიახლოვეს ამჟღავნებს უჯმანას (1851) და ტურცხის (1892) კათოლიკურ და რეგიონის რამდენიმე მონოფიზიტურ ეკლესიასთან (სულდა - 1853, ხანჩალი - 1850-60, ჯიგრაშენი - 1850-იანი წლები, დილისკა - 1870). სამშენებლო ტექნიკის მიხედვით, ამ ეკლესიების უმეტესობის მსგავსაც, ისიც ბერძენ ოსტატთა ნახელავი უნდა იყოს.

3.2.5. ტურცხის ღმრთისმშობლის ეკლესია

სოფელი ტურცხი ახალქალაქიდან 18 კილომეტრის დაშორებით მდინარე ჭერულის ნაპირზეა გაშენებული. ის მთლიანად დასახლებულია კათოლიკეებით, რომელთა წინაპრებიც 1830 წელს არტაანის სოფელ ველიდან გადმოასახლეს. გადმოცემის თანახმად ისინი იყვნენ ბერძნულ-კათოლიკური რიტის ქართველები, რომლებმაც რუსეთის იმპერიაში დასახლების შემდეგ სომხურ-კათოლიკური ტიპიკონი მიიღეს.[660]

ითვლება, რომ ქართველი კათოლიკეები ტურცხში გვიანი შუა საუკუნეებიდან ცხოვრობდნენ და საკუთარი ეკლესია უკვე XVII საუკუნეში ჰქონდათ. XVIII საუკუნეში ლათინი პატრების დახმარებით მათ დაძველებული შენობა ახალი, უფრო მცირე ზომის ეკლესიით შეუცვლიათ. ზ. ჭიჭინაძის მიხედვით ის ,,..არ ყოფილა მკვიდრ ქვით და ტალახით

---

659. დავით ხოშტარია, ,,იონიური ორდერის რემინისცენციები IX-X საუკუნეთა ქართულ არქიტექტურაში", *ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი VI საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებათა თეზისები* (თბილისი: მეცნიერება, 1989), 110-112.

660 . სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი, ,,ველელები", წიგნში: *წერილები ,,ოსმალოს საქართველოზე"* (თბილისი: არტანუჯი, 2008), 186-197; გ. ბოჭორიძის ცნობით ქართველები არა სოფელ ველიდან, არამედ სოფელ ურიდან იყვნენ გადმოსახლებულნი. გიორგი ბოჭორიძე, *მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში*, 142; ს. კარაპეტიანის მოსაზრებით ახალმოსახლენი სომხები იყვნენ. Samvel Karapetian, *Javakh*, 502.

ნაშენი”.[661] ეს შესაძლოა ნიშნავდეს, რომ ეკლესია ხის იყო. მართლაც, თბილისის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტის მიხედვით, 1830-იანი წლების მიწურულს ტურცხში ღმრთისმშობლის სახელობის ხის ეკლესია მდგარა. სოფელს საკუთარი მღვდელი არ ჰყავდა და ღმრთისმსახურებას აქ ალასტანიდან მოსული მოძღვარი ასრულებდა.[662]

მრევლმა ქვის კაპიტალური ეკლესიის აგება მხოლოდ 1856 წელს შეძლო. ძველი სამლოცველოს მსგავსად, ისიც ღმრთისმშობლის სახელზე იყო ნაკურთხი.[663] სამხრეთი კარის ბალავრის ქვაზე ოქროსფერი საღებავით გამოყვანილი წარწერის მიხედვით ეკლესია 1892 წელს განუახლებიათ.[664] მას ტირასპოლის ეპისკოპოს ბარონ ედუარდ დე როპზე ჯავახეთის ზოგიერთ სხვა კათოლიკურ ეკლესიასთან შედარებით სასიამოვნო შთაბეჭდილება მოუხდენია: ,,ტურცხის ეკკლესიაც დიდი სანაქებოდ არ მინახავს, მარა არც ისე დაქვეითებული იყო, როგორც სხვა ეკკლესიები ვნახე სუსტათ.”[665]

ეკლესია სოფლის მჭიდრო განაშენიანებაში დგას. დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული ნაგებობა (გარე ზომები აფსიდის გარეშე: 18,2 × 11,3 მ) სამნავიანი ბაზილიკაა სწორკუთხა საკურთხევლით. ინტერიერში ეკლესიის აღმოსავლეთი მონაკვეთი ძირითად სივრცესთან შედარებით ერთი საფეხურით ამაღლებულია და ხის დაბალი მრუდხაზოვანი მოაჯირით არის მოსაზღვრული (ილ. 248). დამატებით ოთხი საფეხურით შემაღლებულ საკურთხეველს აქეთ-იქიდან კვადრატული გეგმის დამხმარე ოთახები ეკვრის. საკურთხევლის კუთხეები ქვედა ნაწილში 45 გრადუსით არის ჩამოჭრილი და გვერდითი ოთახების შესასვლელები ამ ირიბ სიბრტყეებშია მოწყობილი. გადასვლა კუთხიდან ირიბ სიბრტყეზე აქცენტირებულია დეკორატიულად გათლილი

---

661. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 63-64.
662. სცა, ფონდი №1644, ანაწერი №1, საქმე №1.
663. *Кавказский Календар на 1885 год*, 69; ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 63-64; Samvel Karapetian, *Javakh*, 503.
664. ს. კარაპეტიანის მიერ მოყვანილი წყაროს მიხედვით ეკლესიის განახლება 1894 წელს მომხდარა. Samvel Karapetian, *Javakh*, 505.
665. *ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა,* 30.

ქვით, რომლის ზედა კუთხეები ძალიან სქემატიზირებულ პატარა ვოლუტებს დაირთავს. პასტოფორიუმების დასავლეთ კედლებში ღრმა თაღოვანი ნიშებია გაკეთებული. მათ წინ განთავსებულია ხის კიოტები, სადაც ხატები და ქანდაკებებია ჩადგმული. კიოტების არქიტექტურული გაფორმება კლასიციზმის პრინციპებს ემყარება - ნიშები ფლანკირებულია შეწყვილებული ნახევარსვეტებით, რომლებსაც ფრონტონი ადგას. თუმცა ცალკეული ელემენტები დიდად დაშორებულია კლასიკური ნიმუშებისაგან. ასევეა გადაწყვეტილი საკურთხევლის შუაში აღმართული დიდი ტრიპტიქი, რომლის მთავარ ცენტრალურ ნაწილში ტრაპეზის ხატია ჩასმული. ტრიპტიქის გვერდითი ფრთების ქვეშ მოწყობილი გასასვლელებით საკურთხევლის უკანა ნაწილში შეიძლება მოხვედრა.

საკურთხევლის ასეთი მოწყობა სპეციფიკურია სომხურ-კათოლიკური ეკლესიებისათვის. მსგავსი გადაწყვეტა შეიძლება ინახოს აბათხევის, წინუბნისა და უჯმანას ეკლესიებშიც.

ეკლესიის ძირითადი სივრცე სამი წყვილი ხის სვეტით სამ ნავად არის გაყოფილი (ილ. 249). ჭერი ცილინდრული კამარის იმიტაციას წარმოადგენს. მისი საყრდენი კონსტრუქცია მთლიანად ხისაა. ქვის ბაზისებზე აღმართული სვეტები თხელი პროფილირებული კაპიტელებით სრულდება. მათ ეფუძნება ჭერის საბჯენი იმპოსტები, რომლებიც კუთხეებიდან ჩამოზრდილი გეომეტრიული ელემენტებით არის გაფორმებული. საინტერესოა, რომ ხის ოსტატი იმეორებს სამცხე-ჯავახეთის ქვის არქიტექტურაში საყოველთად დამკვიდრებულ მოტივს, რომელიც ზემოთ არაერთხელ ვახსენეთ.

დასავლეთი კედლის წინ ტრადიციისამებრ ხის ორიარუსიანი გალერეა დგას (ილ. 250). იარუსების დამაკავშირებელი კიბეების მოაჯირები მოხარატებულია, ხოლო თავად გალერეისა რიკულებისგან შედგება. დასავლეთი კედლის ფარგლებშივეა მოწყობილი სამრეკლოზე ასასვლელი ღიობი და კიბე. თავდაპირველი სამრეკლო, როგორც ჩანს,

საბჭოთა პერიოდში მოარღვიეს. ამჟამინდელი ბოლო დროს არის გაკეთებული.

გრძივ კედლებს თხელი პილასტრები აუყვება. მათზე ნახევარწრიული არაღრმა თაღებია გადაყვანილი. პილასტრებს გადახურვის საბჯენი იმპოსტები აგრძელებს, თუმცა აქ ისინი უფუნქციოა, რადგან ქვის კამარის ნაცვლად ნაგებობას ხის ცრუ კამარა აქვს. ასეთი არალოგიკური არქიტექტურული გადაწყვეტები უცხო არ არის XIX საუკუნის იმ ეკლესიებისთვის, რომლებიც აკადემიურად განსწავლული არქიტექტორების ნაცვლად სამშენებლო არტელში მიღებული ტრადიციული ცოდნის მქონე მშენებელი ოსტატების მიერ არის აგებული.

ეკლესიის საფასადო წყობა უხეშად დამუშავებული მორუხო ქვიშისფერი და ღვინისფერი ქვებით არის ამოყვანილი. წყობის ნაკერები კირით სქლადაა გალესილი და რიგების ჰორიზონტალურობაც ძირითადად დაცულია. სუფთად გათლილი კვადრები მხოლოდ დეკორატიული ელემენტებისთვის არის გამოყენებული.

გრძივ კედლებში სამ-სამი დიდი ზომის მშვილდთაღოვანი სარკმელია გაკეთებული (ილ. 251). მათ გრძელი და მოკლე ქვების მონაცვლეობით აწყობილი სადა საპირეები ევლება. ასეთივეა აფსიდში, საკურთხევლის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებში და დასავლეთ კედელში გაჭრილი სარკმლებიც, ოღონდ უფრო მცირე ზომისა.

სარკმლების საპირეებთან ერთად დამატებით არქიტექტურულ სამკაულს წარმოადგენს გრძივ ფასადებზე და კედლების კუთხეებზე აყოლებული პილასტრები. მათ აქვს პროფილირებული ბაზისები და კაპიტელები, რომლებზეც კედლის დამანაწევრებელი თაღები არ გადადის.

როგორც დასაწყისში ითქვა, ეკლესიას აღმოსავლეთით აქვს კვადრატული გეგმის საკურთხეველი. ის გეგმის საერთო მართკუთხედში იწერება და გარე მასებში ძირითადი კორპუსისაგან მხოლოდ ნაკლები სიმაღლით გამოიყოფა. აღმოსავლეთიდან ამ მართკუთხა საკურთხეველს ერთვის ბევრად უფრო ვიწრო შვერილი აფსიდი. ის ცენტრალურ და

გვერდით ნავებთან შედარებით დაბალია, რის გამოც სატრიუმფო თაღს მაღალი შუბლი აქვს და მასში მცირე ზომის სარკმელია გაჭრილი (ილ. 252).

ეკლესიაში შესასვლელი კარი ორია - ერთი დასავლეთი კედლის ცენტრალურ არეში, მეორე სამხრეთი ფასადის დასავლეთ მონაკვეთში (ილ. 253). კარების მართკუთხა ღიობებს სარკმლების მსგავსი საპირეები შემოუყვება. დღეს ორივე კარის წინ დაბალი, უსახური მოცულობები დგას. დასავლეთ ფასადზე, მინაშენის ორსავე მხარეს, წყობაში თითო ძველი ხაჩკარია ჩადგმული (ილ. 254). ქვები დაბლაა განთავსებული და მათზე გაკეთებული წარწერები იოლად იკითხება. ს. კარაპეტიანის წაკითხვით, მარჯვენა ქვაზე წერია: ,,913 (1464) წელს, მე, ამირმა, აღვმართე ეს ჯვარი, მამაჩემის კ... მოსაგონრად", ხოლო მარცხენაზე: ,,914 (1465), მე, მარტიროსმა, აღვმართე ეს ჯვარი ..."[666]

ვფიქრობ, შუა საუკუნეების მემორიალური ქვების ჩართვა ახალი ეკლესიის კედელში მხოლოდ შენობის გამშვენებას არ ემსახურებოდა. მათი მეშვეობით ეკლესიის მშენებლობის მესვეურები ცდილობდნენ ახალმოსახლეთა, როგორც ტურცხში უწინ მცხოვრებ სომეხთა მემკვიდრეების ლეგიტიმაციას და ხაზს უსვამდნენ მათ ,,ტომით სომხობას". თუ გავითვალისწინებთ იმ პერიოდის ინსტორიულ კონტექსტს, ეს მცდელობა სავსებით კანონზომიერი ჩანს. როგორც ცნობილია, 1890-იან წლებში აქტიურად მიმდინარეობს დავა ქართველ და სომეხ კათოლიკეებს შორის სამცხე-ჯავახეთის კათოლიკეთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. ერთ-ერთი მწვავე საკითხი ამ დავაში იყო სწორედ ველიდან გადმოსახლებულ კათოლიკეთა წარმოშობა - მათ ორივე მხარე თავისად ჩემულობდა.[667]

ტურცხის ეკლესია გეგმარებითი სტრუქტურის, სამშენებლო ტექნიკისა და არქიტექტურული გაფორმების თვალსაზრისით დიდად არ განსხვავდება თანადროული კათოლიკური ეკლესიებისგან. უნიკალური არც მისი ინტერიერის დამანაწევრებელი ხის კონსტრუქციაა. ასეთივე

666. Samvel Karapetian, *Javakh*, 504-505.
667. სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი, *,,ველელები"*, 200-201.

გადაწყვეტას ვხვდებით რეგიონის რამდენიმე კათოლიკურ (უჯმანა - 1851, ბავრა -1883-87) და მონოფიზიტურ ეკლესიაში (სულდა - 1853, ხანჩალი - 1850-60, ჯიგრაშენი - 1850-იანი წლები, დილისკა - 1870). სამშენებლო ტექნიკის მიხედვით, ამ ეკლესიების უმეტესობის მსგავსად, ისიც ბერძენ ოსტატთა მიერ უნდა იყოს აგებული.

3.2.6. ალასტანის ღმრთისმშობლის ეკლესია

სოფელი ალასტანი ახალქალაქიდან 22 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს და მდინარე ჭობარეთის ორივე ნაპირზეა გაშენებული. ადგილობრივი მოსახლეობა 1829 წელს ერზრუმის პროვინციის სხვადასხვა სოფლებიდან გადმოსახლებული კათოლიკე სომხების შთამომავალია.

1863 წლამდე ახალმოსახლეები ღმრთისმსახურებისთვის იყენებდნენ ალასტანის X-XI საუკუნეების მიჯნის ქართულ ეკლესიას,[668] რომელიც წმ. სტეფანეს სახელზე ჰქონდათ ნაკურთხი.[669] 1856-1863 წლებში სომეხმა კათოლიკეებმა მის დასავლეთით, სულ რამდენიმე მეტრში, ახალი ეკლესია ააშენეს.[670] საარქივო მასალის მიხედვით, ნაგებობა 1903 წელს შეუკეთებიათ.[671] ტირასპოლის ეპისკოპოსი ბარონი ედუარდ დე როპი, რომელმაც იმავე წლის გაზაფხულზე მოინახულა ალასტანი, წერდა ,,ეკკლესიის სტილი მომეწონა“-ო.[672]

სოფლის ცენტრში მდებარე გამწვანებულ ბაღში მდგარი ეკლესია დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული დიდი სამნავიანი ბაზილიკაა (გარე ზომები: 23.70 × 14.40 მ).

ეკლესიის აღმოსავლეთი მონაკვეთი ძირითადი სივრცისაგან ხის დაბალი, მრუდხაზოვანი მოაჯირით არის მოფარგლული. შემაღლებულ

668. *ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი*, 71, ტაბ., 212-213.
669. სცა, ფონდი №1644, ანაწერი №1, საქმე №1.
670. Samvel Karapetian, *Javakh*, 48.
671. იქვე.
672. *ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა,* 30.

საკურთხეველს ორივე მხრიდან კვადრატული გეგმის დამხმარე ოთახები ემიჯნება (ილ. 255). საკურთხევლის კუთხეები ქვედა ნაწილში 45 გრადუსით არის ჩამოჭრილი და გვერდითი ოთახების შესასვლელები ამ ირიბ სიბრტყეებშია მოწყობილი. გადასვლა კუთხიდან ირიბ სიბრტყეზე ორსაფეხურიანია. ორივე საფეხურს გაუყვება ვოლუტებით გაფორმებული გლუვი ბალუსტრები. სიბრტყე ბალუსტრებს შორის და ზედა სამკუთხა არე ორნამენტებით არის შემკული (ამჟამად ისინი ოქროსფრადაა დაფერილი). პასტოფორიუმების დასავლეთ კედლებში ძირითადი სივრცის მხარეს ღრმა თაღოვანი ნიშებია გაკეთებული.

ბემასა და აფსიდს შორის ძალიან მაღალი, მცირე არქიტექტურული ფორმებითა და დეკორატიული ელემენტებით შემკული ხის ტრიპტიქი დგას. მსგავსი სტრუქტურის ტრიპტიქები ზოგადად დამახასიათებელია ამ პერიოდის სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიებისათვის და ასევე გვხვდება აბათხევის, წინუბნის, უჯმანასა და ტურცხის ეკლესიებში.[673]

შავად დაფერილ სატრიუმფო თაღზე სომხურად სამშენებლო წარწერაა გამოყვანილი: ,,ამ ალასტანის სოფლის მკვიდრთა შეწევნით 1863 წელს აღვაშენე ეკლესია ...“.[674]

ეკლესიის ძირითადი სივრცე სამი წყვილი სვეტით სამ ნავად არის გაყოფილი. მაღალ ბაზებზე შედგმული ქვის სვეტები სადა დაბალი კაპიტელებით სრულდება. მათზე დაფუძნებულია თაღების საყრდენი იმპოსტები, რომელთა წიბოები სამკუთხედად არის ჩაკვეთილი, ამიტომ მათი ძირი მომრგვალებულია, ხოლო თავი - კვადრატული. ყველა სვეტის ტანს ძირში, შუაში და თავში ლითონის წრიული სარტყლები ამაგრებს.

---

673. სამცხე-ჯავახეთის ეკლესიებში მოწყობილი ტრიპტიქები ზოგადი სტრუქტურითა და მხატვრული გადაწყვეტით მოგვაგონებს რუსული სტილის იკონოსტასებს, რომლებიც XIX საუკუნის II ნახევარში ფართოდ იყო გავრცელებული მთელ საქართველოში. იხ.: დავით ხოშტარია, ,,იმპერიული იდენტობა და რუსული სტილი თბილისის საეკლესიო არქიტექტურაში”, წიგნში: *არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918)*, რედ. დავით ხოშტარია (თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი, 2016), 102.

674. ტექსტში მოტანილი სომხურენოვანი წარწერები წაკითხული და თარგმნილია ხათუნა გაფრინდაშვილის მიერ.

ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებს აუყვება პილასტრები, რომლებზეც გრძივად კედლების დამანაწევრებელი, ხოლო განივად გვერდითი ნავების კამარების საყრდენი თაღები გადადის (ილ. 256). ინტერიერი ქვის კამარების ჩათვლით შელესილი და შეღებილია. შელესვის გარეშე მხოლოდ თაღებია დატოვებული.

ეკლესიის დასავლეთი მონაკვეთი აღმოსავლეთის მსგავსად დაბალი რიკულებიანი მოაჯირით არის მოსაზღვრული. კედლის წინ მდგარი ხის გალერეისკენ (ილ. 257) სიმეტრიულად განთავსებული ორი ერთმარშიანი კიბე მიემართება.

ეკლესიის კედლები გარედან მცირე ზომის, ცუდად დამუშავებული რუხი და მორუხო-ქვიშისფერი ქვებით არის ამოყვანილი (ილ. 258). ღრიჭოები ქვებს შორის სქლად არის გალესილი კირით, რაც აჭრელებს ფასადებს და ძლიერ უსიამოვნო იერს სძენს მათ. ჩრდილოეთ კედელში ოთხი სარკმელია, სამხრეთისაში - სამი, დასავლეთისაში - ოთხი (წყვილად ერთმანეთის თავზე), საკურთხევლის გვერდით კედლებში - თითო, აფსიდში - ერთი. ყველა ფანჯარა მართკუთხაა, განიერი, კედლის საერთო სიბრტყიდან ჩაწეული, მოწითალო ფერის დიდრონი სუფთად გათლილი ქვებით გამოყვანილი. ისინი ქმნიან ღიობების მოჩარჩოებას, რომელიც ქვედა ნაწილში შიგნით არის შეტეხილი. ღიობებში ლითონის ცხაურებია ჩასმული. ყველა ფანჯარას ნახევარწრიულთაღოვანი თავსართი ევლება. თავსართის თაღსა და სარკმელს შორის ცრუ ლუნეტი წარმოიქმნება. რელიეფური სამკაული მხოლოდ აფსიდის სარკმელს აქვს. ესაა დიაგონალურად გადაჯვარედინებულ გასაღებებზე აღმართული ჯვარი (ამჟამად თითქმის მთლიანად ამოტეხილი), ჩაწერილი გირლანდით მოჩარჩოებულ ოვალურ არეში (ილ. 259). ორი გადაჯვარედინებული გასაღები წმ. პეტრეს უკავშირდება და სიმბოლიზირებს რომის პაპების, როგორც წმ. პეტრეს მემკვიდრეების ძალაუფლებას. ეს გავრცელებული ჰერალდიკური სიმბოლოა და ხშირად გამოისახება ღერბებზე, მონეტებზე, მედალიონებზე, თუმცა საფასადო რელიეფზე მისი გამოკვეთა იშვიათია.

საქართველოს კათოლიკურ ეკლესიებში გადაჯვარედინებული გასაღებების გამოსახულება ფასადზე სხვაგან არსად გვხვდება. ჰერალდიკური სიმბოლოს სახით ისინი წარმოდგენილია ქუთაისის უბიწოდ ჩასახვის ეკლესიის ინტერიერის ფერწერულ დეკორში.

ეკლესიას ორი შესასვლელი კარი აქვს. ერთი დასავლეთ, ხოლო მეორე სამხრეთ კედლებშია გაჭრილი. დასავლეთი კარის თავზე ტოლმკლავა ჯვარი და მშენებლობის დასრულების თარიღი - 1863 წელია გამოყვანილი.

სამხრეთი კარი ყურადღებას იქცევს ჯვრის ფორმის ჩარჩოთი, როლის მსგავსი ახალციხის წმ. ჯვრისა და ვარევანის კათოლიკურ ეკლესიებსაც ამკობს, ოღონდ ალასტანში, მათგან განსხვავებით ჰორიზონტალური მკლავების ორი რიგია (ილ. 260). ზედა ვერტიკალური მკლავის ფარგლებში ჩასმული მარმარილოს რელიეფური ფილის თავსა და ძირში სომხური წარწერაა გაკეთებული, ხოლო შუა არე ეკავა რელიეფს, რომელიც დღეს ძალიან დაზიანებულია. მასზე სავარაუდოდ გამოსახული უნდა ყოფილიყო ღმრთისმშობელი და ანგელოზთა გუნდი. წარწერა შემდეგი შინაარსისაა: ,,1903 წელი ალასტანის სოფლის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია მოსახსენებლად პეტროს დუდუკჭიანისა" (ილ. 261).

ჯვრის ფორმის საპირეებს (ჰორიზონტალური მკლავების ერთი ან ორი რიგით) ეკლესიათა კარ-სარკმლების შესამკობად XIX საუკუნეში აგებულ თუ რესტავრირებულ არაერთ ძეგლზე ვხვდებით მთელ საქართველოში და ისინი ყოველთვის ბერძენ ოსტატთა მშენებლობას უკავშირდება. მათი პირდაპირი პარალელები პონტოს რეგიონის არაერთ ძეგლზე იძებნება - მაგალითად, პიშტოფლის წმ. კრიტოფორეს ეკლესია, პანტაკი, მენდალდოსი, დუბერა, მაურანა, ემრეკი და სხვა (ილ. 262, 263, 264).[675] რაც შეეხება საქართველოს, ჯვრის ფორმის საპირეებით გაფორმებულია სუჯუნას წმ. გიორგი (გუმბათის სარკმლები, 1838-46),[676] ლეჩხუმის მცხეთის წმ. გიორგი

675. Anthony Bryer and others, *The Post-Byzantine Monuments of the Pontos*, Part 2, 125, სურ. 57; Part 3, 257, 262, 268, სურ. 17, 78, 81; Part 4, 211, 234, სურ. 170, 189.
676. მანანა ჭუმბურიძე, ,,თედო ხოშტარიას მოგონებები", *საისტორიო მოამბე* 79-80 (2009-2010): 130-131.

(სამხრეთი კარი, XIX ს-ის I ნახ.),[677] მარტვილის კათედრალი (სამხრეთი კარი და სამხრეთი მკლავის სარკმელი, XIX ს-ის რესტავრაცია),[678] კაცხის ტაძარი (ეკლესიის კორპუსის ზედა საფეხურის სარკმლები, 1854 წლის რესტავრაცია),[679] სოფელ ოლეანგის ეკლესია (სამხრეთი კარი, XIX ს.),[680] ქვემო აკეთის მაცხოვრის ეკლესია (სამხრეთ, ჩრდილოეთ და დასავლეთ შესასვლელების საპირეები, 1890-იანი წლები), ზემო აკეთის ეკლესია (სამხრეთი კარი, 1899 წ.) და სხვა (ილ. 129, 130, 131).

ეკლესიას აღმოსავლეთით აქვს კვადრატული გეგმის საკურთხეველი. ის გეგმის საერთო მართკუთხედში იწერება და გარე მასებში ძირითადი კორპუსისაგან მხოლოდ ნაკლები სიმაღლით გამოიყოფა. აღმოსავლეთიდან ამ მართკუთხა საკურთხეველს ერთვის ბევრად უფრო ვიწრო შვერილი აფსიდი. ის ცენტრალურ და გვერდით ნავებთან შედარებით დაბალია, რის გამოც სატრიუმფო თაღს მაღალი შუბლი აქვს და მასში მცირე ზომის სარკმელია გაჭრილი (ილ. 265). შენობა მთლიანად ლორფინით არის დაბურული.

ძირითადი კორპუსის სახურავის კეხზე დასავლეთ ბოლოში დადგმულია ერთსართულიანი სამრეკლო. მასზე ასასვლელი სივრცე, რომელიც კარის თავზე იწყება და ბუხრის მილის ფორმა აქვს, დასავლეთი კედლიდან წინ არის გამოწეული. სამრეკლოს აღმოსავლეთი სვეტები უშუალოდ ეკლესიის სახურავს, ხოლო დასავლეთი სვეტები შვერილ მოცულობას ეფუძნება. მისი ექვსწახნაგა ფანჩატური ექვსი მრგვალი სვეტისაგან არის შეგენილი. სვეტებს სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიებისათვის სახასიათო კაპიტელები აქვს - ექინის კუთხეებიდან ცილინდრული ფორმის მოცულობებია ჩამოზრდილი. სვეტებზე ლითონის დგარებით გამაგრებული ნახევარწრიული თაღები გადადის. ფანჩატურს

677. ვახტანგ ბერიძე, *XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება*, (თბილისი: კანდელი, 1994), 188, სურ. 165.
678. ვახტანგ ბერიძე, *ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია*, ტ. II (თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი, 2014), 82.
679. იქვე, 72.
680. ნინო ჭიჭინაძე, *საბერძნეთი საბერძნეთს მიღმა, პონტოელი ბერძნების რელიგიური ხელოვნება საქართველოში* (თბილისი, 2008), 14, სურ. 24.

შიგნიდან სფერული, გარედან კი პირამიდული გადახურვა აქვს. საბურველი ქვისაა.

ალასტანის ეკლესია გეგმარებითი სტრუქტურით, სამშენებლო ტექნიკითა და არქიტექტურული გაფორმებით განსაკუთრებულ სიახლოვეს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 1850-1860-იან წლებში აგებულ კათილურ ეკლესიებთან ამჟღავნებს (ტურცხი - 1859 და ახალციხის წმ. ჯვარი - 1866) და ისიც ბერძენი მშენებლების მიერ უნდა იყოს აგებული.

3.2.7. თორიას ღმრთისმშობლის ეკლესია

სოფელი თორია ნინოწმინდიდან 15 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ადგილობრივი მცხოვრებლები კათოლიკე სომხები არიან. მათი წინაპრები რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ერზერუმის პროვინციის სხვადასხვა სოფლებიდან აყრილან და აქ დასახლებულან.[681]

ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, თორიაში უწინ ცხოვრობდნენ ქართველი კათოლიკეები, რომელთაც საკუთარი სამლოცველო ჰქონდათ.[682] ამ ცნობას ერთგვარად ამყარებს 1885 წლის ,,კავკასიის კალენდარი", სადაც თორიას კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის თარიღად 1793 წელია მითითებული.[683]

ახალმოსახლე სომეხმა კათოლიკეებმა თორიაში საკუთარი ეკლესია 1843 წელს ააშენეს. ღმრთისმშობლის სახელზე ნაკურთხი შენობა ქვით იყო ნაგები. 1893 წელს ეკლესია კაპიტალურად შეაკეთეს, [684] თუმცა განახლებული შენობა ჯავახეთში 1899 წლის 19 დეკემბერს მომხდარმა მიწისძვრამ დაანგრია: ,,თორიოს მივედით ... აქ, 1899 წლის, მიწის ძვრისაგან დანგრეული ეკკლესია ქონიათ და ამის გამო წირვა-ლოცვას სამლოცველო სახლში ასრულებენ" - ჩაუნიშნავს თავის დღიურში

681. Samvel Karapetian, *Javakh*, 206.
682. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 112.
683. *Кавказский Календар на 1885 год*, 69.
684. Samvel Karapetian, *Javakh*, 207.

ტირასპოლის ეპისკოპოსს ბარონ ედუარდ დე როპს, რომელიც ჯავახეთში 1903 წელს იმყოფებოდა.[685]

თორიას დღევანდელი კათოლიკური ეკლესია მასზე გაკეთებული სამშენებლო წარწერების მიხედვით 1905 წელს არის აგებული. ს. კარაპეტიანის წაკითხვით, დასავლეთი ფასადის წარწერა გვამცნობს: ,,1905. ეს დასავლეთის კედელი აიგო [განახლდა], ტერ მიქაელ ქოთანჭიანის შემოწირულობით, ხსენება იყოს მისი", ხოლო სამხრეთისა: ,,სურბ ასტვატცამორის (წმ. ღმრთისმშობლის - ნ. ნ.) ეკლესია აიგო მამა მიქაელ ქოთანჭიანცის შემოწირულობითა და თორიაში მცხოვრები ხალხის დახმარებით".[686]

ეკლესია სოფლის გზის პირზე, მაღალი ბორცვის ძირში დგას (ილ. 266). დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული მართკუთხა გეგმის შენობას (გარე ზომებია: 10,70 × 19,50 მ) აღმოსავლეთით ძალიან მცირე ზომის სეგმენტურად შვერილი აფსიდი აქვს.

ეკლესიის ინტერიერი წარმოადგენს განიერ დარბაზს აღმოსავლეთით მაღალი, ღრმა საკურთხევლით (ილ. 267). მის ორივე მხარეს თითო კვადრატული გეგმის ოთახია. ისინი მხოლოდ საკურთხეველს უკავშირდება. მათ შესასვლელ კარებს ფარავს აფსიდსა და ბემას შორის, ტრაპეზის თავზე აღმართული ხის ტრიპტიქი, რომელიც ფორმით იკონოსტასს წააგავს. XIX საუკუნის II ნახევრისათვის დამახასიათებელი მსგავსი ტრიპტიქები ასევე გვხვდება აბათხევის, წინუბნისა და უჯმანას სომხურ-კათოლიკურ ეკლესიებში.[687]

ინტერიერის მორთულობის ნაწილია საკურთხევლის ორივე მხარეს კედელთან მიდგმული ხის ჩარდახები ხატებისა და მცირე ზომის ქანდაკებებისთვის. ისინიც, შუა ტრიპტიქის მსგავსად, კანელურებიანი

---

685. *ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა*, 25.

686. Samvel Karapetian, *Javakh*, 208; სამხრეთი ფასადის წარწერა ოდნავ განსხვავებულად აქვს წაკითხული ხათუნა გაფრინდაშვილს: ,,შვილიშვილებისა და ხალხის დახმარებით აღვაშენე წმიდა ღვთისმშობლის ეკლესია ტერ მიქაელ ქოთჭიანცმა."

687. აღნიშნული პერიოდის იკონოსტასების შესახებ ვრცლად იხ.: დავით ხოშტარია, ,,იმპერიული იდენტობა და რუსული სტილი თბილისის საეკლესიო არქიტექტურაში", 102.

სვეტებით, ფრონტონებითა და მაღალი პროფილირებული კარნიზებით არის გაფორმებული.

ეკლესიის ძირითადი სივრცე გადახურულია ხის განიერი ცრუ კამარით. კამარის „საყრდენი თაღები“ გრძივ კედლებზე აყოლებულ ძალიან თხელ, უკაპიტელო პილასტრებზეა გადაყვანილი (ილ. 268). იატაკი ქვის ფილებით არის მოგებული. დასავლეთი კედლის წინ ხის ერთსართულიანი გალერეა დგას (ილ. 269).

ეკლესიის შიდა სივრცე შეღებილი და ცალკეულ მონაკვეთებში მოხატულია. დასავლეთ კედელზე, გალერეის შუა ნაწილის ფარგლებში დიდი პანოა, რომელზეც ,,აბრაამის მსხვერპლშეწირვა” ხატია. კონქში მაცხოვარი და ანგელოზთა გუნდია გამოსახული. ანგელოზებია დახატული ასევე სატრიუმფო თაღის ორსავე მხარეს. გრძივ კედლებზე დახატულია დეკორატიული ჩარჩოები, რომელთა კუთხეებში სტილიზებული მცენარეული ორნამენტია ჩართული. მსგავსი ტიპის საალფრეო მხატვრობა 1950-70-იან წლებში ფართოდ იყო გავრცელებული მაგალითად, დასავლეთ საქართველოში საცხოვრებელი სახლების ინტერიერების შესამკობად.

ფასადები სუფთად გათლილი მორუხო ქვიშისფერი და ღვინისფერი კვადრებით არის მოპირკეთებული. გრძივ კედლებს განიერი მოურთავი სარკმლები ანაწევრებს (ჩრდილოეთ კედელში - ხუთი, სამხრეთისაში - ოთხი) (ილ. 270). ღიობების დამაბოლოებელი მშვილდა თაღები რადიალურად ჩალაგებული ვიწრო ქვებით არის გამოყვანილი. ისეთვე მოყვანილობის, ოღონდ ბევრად მცირე ზომის ორი სარკმელი გაკეთებულია დასავლეთ კედელში, ერთი კი აფსიდში.

გრძივ ფასადებზე შუაკედლისებს ძალიან თხელი პილასტრები აუყვება. ისინი ერწყმის ცოკოლის არეზე და კარნიზის ქვეშ გავლებულ ერთიან სარტყლებს, რომლებიც შენობას მთელ პერიმეტრზე შემოუყვება.

სარკმლებისგან განსხვავებით, ეკლესიაში შესასვლელ კარებს, რომლებიც დასავლეთი და სამხრეთი ფასადების ცენტრშია გაჭრილი,

რამდენიმესაფეხურიანი, პროფილირებული საპირე ევლება გარს (ილ. 271). როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ორივე კარის თავზე ჩადგმულია ქვები სამშენებლო წარწერებით .

ეკლესიის ახლანდელი თუნუქის სახურავი ბოლო ათწლეულებშია გაკეთებული,[688] მაგრამ მისი ფორმა სავარაუდოდ ძველს იმეორებს. შენობის ძირითად ნაწილზე სახურავი ორქანობიანია, საკურთხევლის ნაწილს აღმოსავლეთისაკენ დაფერდებული ცალკე ქანობი ხურავს. ამ ქანობის შუაში საკუთრივ საკურთხევლის მოცულობის პირამიდული სახურავია ამოზრდილი.

დასავლეთ კეხზე უწინ სამრეკლო მდგარა (ილ. 272). მისი საყრდენი კონსოლები დასავლეთი ფასადის ფრონტონის კეხშია შემორჩენილი. ის სავარაუდოდ საბჭოთა პერიოდში მოშალეს. დღეს ქვის სამრეკლოს ნაცვლად იმავე ფუნქციის ხის ორიარუსიანი ფანჩატური დგას.

თორიას წმ. ღმრთისმშობელი უდესა (1901-1909) და კარტიკამის (1901-1908) ეკლესიებთან ერთად რეგიონში კათოლიკეთა აღმშენებლობის ერთ-ერთი გვიანი ნიმუშია.

3.2.8. ხულგუმოს წმ. სტეფანეს ეკლესია

მდინარე ფარავნის მარჯვენა ნაპირზე გაშენებული სოფელი ხულგუმო ახალქალაქიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. აქ მცხოვრები სომეხი კათოლიკეების წინაპრებად 1829 წელს არტაანის პროვინციის სოფელ ველიდან გადმოსახლებული ქართველი კათოლიკეები ითვლებიან.[689]

---

688. სახურავი გამოცვლილია სავარაუდოდ 1993 წელს, როცა ეკლესია სეხიან ჰოვაკიმის დაფინანსებით განაახლეს. ქვა შემწირველის წარწერით ინტერიერში, სამხეთი კარის მარცხნივ არის ჩადგმული. მასზე ვკითხულობთ: ,,აღვადგინე ღვთის სადიდებლად, 1993 [წელი], სეხიან ჰოვაკიმ" (სომხურიდან თარგმნა ხ. გაფრინდაშვილმა).

689 . ალექსანდრე ფრონელი, *დიდებული მესხეთი*, 175; *ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი*, 54; სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი, ,,ველელები", წიგნში: *წერილები ,,ოსმალოს საქართველოზე"* (თბილისი: არტანუჯი, 2008), 186-197.

თბილისის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული 1830-იანი წლების მიწურულს შედგენილი დოკუმენტის მიხედვით, ამ დროს ხულგუმოში ღმრთისმშობლის სახელობის ხის ეკლესია მდგარა. სოფელს მღვდელი არ ჰყავდა და ის დროგამოშვებით კარტიკამიდან დადიოდა.[690]

1856-1861 წლებში მრევლმა საკუთარი სახსრებით ააგო ქვის ეკლესია, რომელიც წმ. სტეფანეს სახელზე აკურთხეს.[691] ის 1899 წლის 19 დეკემბერს ჯავახეთში მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ სანახევროდ დაანგრია და კათოლიკეები 1907 წლამდე ხის დროებითი სამლოცველოთი სარგებლობდნენ.[692] როგორც ჩანს, ის იმდენად მცირე ზომის და უსახური იყო, რომ 1903 წლის გაზაფხულზე ხულგუმოში ჩასულმა ტირასპოლის ეპისკოპოსმა ბარონმა ედუარდ დე როპმა თავის დღიურში არც კი ახსენა.[693]

მრევლმა ეკლესიის განახლებაზე ზრუნვა მალევე დაიწყო. თბილისის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია ეკლესიის კაპიტალური შეკეთებისა და სამრეკლოს დამატების პროექტი, რომელიც ტექნიკოს ა. ნიკიტაევის მიერ 1903 წელს არის შედგენილი (ილ. 273).[694]

ნახაზების მიხედვით, ძალიან დაზიანებული ან მთლიანად დანგრეული იყო ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე (სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი მონაკვეთი, სამხრეთი საკრისტია და აფსიდის სამხრეთი ნაწილი), რადგან პროექტი მის თავიდან მშენებლობას გულისხმობდა. პროექტი ასევე ითვალისწინებდა ყველა ღიობის კუთხეების წყობის განახლებას, დასავლეთი ფასადის არქიტექტურული სახის შეცვლას, ხის კამარის მოწყობასა და სახურავის კეხზე ორიარუსიანი სამრეკლოს დადგმას.

გ. ბოჭორიძის ცნობით, ქართველები არა სოფელ ველიდან, არამედ სოფელ ურიდან იყვნენ გადმოსახლებულნი. გიორგი ბოჭორიძე, *მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში*, 142.

690. სცა, ფონდი №1644, ანაწერი №1, საქმე №1.

691. *Кавказский Календар на 1885 год*, 69; ,,კავკასიის კალენდარში" ეკლესიის სახელობად შეცდომით წმ. სტანისლავია მითითებული. ეკლესიას წმ. სტეფანეს სახელობით მოიხსენიებს ზ. ჭიჭინაძე. იხ.: ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში*, 65. მის სისწორეს შენობის სამხრეთი შესასვლელის თავზე გაკეთებული სომხურენოვანი წარწერაც ადასტურებს.

692. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში*, 65.

693. *ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა,* 25.

694. სცა, ფონდი № 204, ანაწერი № 1, საქმე № 2300.

ა. ნიკიტაევის პროექტი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გავრცელებული ეკლექტიზმის ტიპური ნიმუშია. აქ ერთმანეთშია აღრეული ნეობაროკული (შესასვლელი კარის პარადული კიბე და ფასადის დიდი ჩაკეტილი ფრონტონი), ნეორომანული (სამრეკლოს პირველი იარუსის შეწყვილებული ნახევარწრიული სარკმლები და ზოგადად ღიობთა ნახევარწრიული მოყვანილობა) და ნეოგოთიკური (სამრეკლოს ძალიან მაღალი და ვიწრო სახურავი, ფასადის კუთხეებზე დასმული შპილები) სტილები. სავარაუდოდ, შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების გამო მრევლმა პროექტის ამ ნაწილზე უარი თქვა და საბოლოოდ, შენობის დასავლეთი ფასადი და სამრეკლო ბევრად მოკრძალებული სახით განხორციელდა.

როგორც მოწმობს სამშენებლო წარწერა (იხ. ქვემოთ), ხულგუმოს წმ. სტეფანეს ეკლესია 1907 წელს აუგიათ. ის წარმოადგენს დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებულ შენობას სეგმენტურად შვერილი აფსიდით (გარე ზომები აფსიდის გარეშე: 7 × 18.10 მ). (ილ. 274)

აღმოსავლეთი მონაკვეთი ძირითადი სივრცისგან ხის დაბალი მრუდხაზოვანი მოაჯირით არის მოსაზღვრული. შემაღლებულ საკურთხეველს ორივე მხრიდან კვადრატული გეგმის დამხმარე ოთახები ემიჯნება. როგორც ზემოთ ნახსენებ არაერთ ეკლესიაში, აქაც საკურთხევლის კუთხეები ქვედა ნაწილში 45 გრადუსით არის წაკვეთილი და გვერდითი ოთახების შესასვლელები ამ ირიბ სიბრტყეებშია გაჭრილი. დამხმარე ოთახების დასავლეთ კედლებში ღრმა თაღოვანი ნიშებია მოწყობილი. მათ წინ დგას ხის მოხარატებული გუმბათებით დასრულებული სახატე ჩარდახები, რომელთა შუა ნაწილი შემინულია (ილ. 275).

საკურთხევლის ბემასა და აფსიდს შორის მაღალი სამნაწილიანი რეტაბლოა აღმართული. მის შუა ნაწილს ამკობს ფართო ჩარჩო, რომელიც ზედაპირი მთლიანად ხეში ნაკვეთი მცენარეული ორნამენტით არის დაფარული. ზემოდან მას ხის მოხარატებული გუმბათი ადგას. მსგავსი

ტიპის რეტაბლოები გვხვდება აბათხევის, წინუბნის, უჯმანასა და ტურცხის ეკლესიებში.

ეკლესიის ძირითადი სივრცე ხის განიერი ცრუ კამარით არის გადახურული. გრძივ კედლებს ანაწევრებს თხელი პილასტრები, რომელთაც მხოლოდ დეკორატიული ფუნქცია აქვს (ილ. 276). ერთსართულიან დასავლეთ გალერეაზე სიმეტრიულად განლაგებული ხის ერთმარშიანი კიბეები ადის (ილ. 277).

გარედან ეკლესიის პერანგი სუფთად გათილილი მოყვითალო ქვიშისფერი კვადრებისაა. ღიობების განაწილების ხასიათი ტრადიციულია: გრძივ კედლებში გაჭრილია დიდი ნახევარწრიულთაღოვანი სარკმლები (სამხრეთ კედელში - ოთხი, ჩრდილოეთისაში - ხუთი), დასავლეთ და სამხრეთ კედლებში გაკეთებულია თითო თაღოვანი კარი (ილ. 278). კარებს მარტივად პროფილირებული საპირეები შემოუყვება. სარკმლები ჩაწერილია თაღოვან შეღრმავებებში, რომლებიც კედლის ძირითადი სიბრტყიდან რამდენიმე სანტიმეტრით არის ჩაწეული.

ეკლესიის ფასადები სადაა. მათ ანაწევრებს ცოკოლის დონეზე გავლებული უწყვეტი პროფილირებული სარტყელი და კედლის კუთხეებსა და სარკმლებს შორის ამოყვანილი ბრტყელი პილასტრები და მარტივად პროფილირებული კარნიზი, რომელიც დასავლეთ და აღმოსავლეთ ფასადებზე ჩაკეტილი ფრონტონის ქვედა ხაზში გადადის. გამარტივებული კლასიცისტური ელემენტების გარდა ფასადებს ჯვრების გამოსახულებიც ამკობს.

მცირე ზომის თითო ჯვრიანი ფილა ორივე შესასვლელის თავზეა ჩადგმული, აქედან სამხრეთისას ახლავს წარწერები: ეკლესიის განახლების წელი - 1907 და სახელობა - წმ. სტეფანოზი. მესამე და ყველაზე დიდი ზომის ჯვარი დასავლეთი ფასადის ფრონტონის არეში, სარკმლის თავზეა აღმართული. ორსაფეხურიანი წყვილი ლილვით გამოყვანილი ჯვრის (ლილვებს შორის სიცარიელეა) სამ მკლავს სამყურა დაბოლოება აქვს, ქვედა მკლავის ლილვები კი იყოფა და სარკმლის გარშემო გოლგოთის

მთის ფორმის საპირეს ქმნის. ,,მთის" ძირი ძალიან სქემატიზირებული ტალღოვანი ორნამენტით არის შემკული. ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე ლილვებს შორის კიდევ ერთი, ამჯერად წნულით გამოყვანილი მცირე ზომის ჯვარია ჩასმული.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ფორმის ჯვარი სპეციფიკურად სომხური ხელოვნებისთვის არის დამახასიათებელი. მისი ადრეული ნიმუშები გვხვდება მაგალითად, ჰაღპატის სამრეკლოსა (1245) და აღ-ვანქის ღმრთისმშობლის ეკლესიის ფასადებზე (XIV ს.). მსგავსი ჯვრები ამკობს ტანძიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის (1683) აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებს, თუმცა ქართულ ძეგლზე მის გამოყენებას ვ. ბერიძე მშენებელი ოსტატის ტომით სომხობას უკავშირებს.[695]

რაც შეეხება ხულგუმოს ჯვარს, მას უშუალო პარალელი მეზობლად მდებარე სოფელ კულიკამის წმ. სამების სომხურ-მონოფიზიტურ (განახლებულია XX საუკუნის დასაწყისში) და კარტიკამის (1904-1908) კათოლიკურ ეკლესიებში მოეპოვება (ილ. 278, 279). მსგავსება იმდენად დიდია, რომ ვფიქრობ სამივე ეკლესია რეგიონში იმ დროს მომუშავე ერთი არტელის მიერ უნდა იყოს აგებული.

ეკლესიის ორფერდა სახურავის დასავლეთ კეხზე აღმართული ერთსართულიანი სამრეკლო 1903 წლის პროექტისგან სტრუქტურის სიმარტივითაც განსხვავდება. მისი ექვსი სვეტისგან შედგენილი ექვსწახნაგა ფანჩატური დაბალ წრიულ საფუძველზეა ამოყვანილი. ჯვრული გეგმის სვეტებს მაღალი ორსაფეხურიანი ბაზები და კაპიტელები აქვს. ფანჩატურს შიგნიდან სფერული, გარედან კი ექვსწახნაგა გადახურვა აქვს. საბურველი ქვისაა.

ხულგუმოს ეკლესია ზოგადი პროპორციით, სამშენებლო ტექნიკის ხასიათითა და არქიტექტურული დეკორის თვალსაზრისით ძალიან ახლოს დგას ჯავახეთის ამავე პერიოდის კათოლიკურ ეკლესიებთან (კარტიკამი - 1904-1908; თორია - 1905) და თავისი დროის ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს.

---

695. ვახტანგ ბერიძე, *XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება*, 78, ტაბ. 95, 96.

3.2.9. კარტიკამის ღმრთისმშობლის ეკლესია

სოფელი კარტიკამი მდებარეობს ჯავახეთში, ახალქალაქიდან 8 კილომეტრის დაშორებით. ის მთლიანად კათოლიკე სომხებით არის დასახლებული. სოლომონ ბავრელისა და ალექსანდრე ფრონელის მიხედვით, ისინი 1829-30 წლებში არტაანის პროვინციის სოფელ ველიდან გადმოსახლებული ქართველი კათოლიკეების შთამომავლები არიან.[696] შუა საუკუნეების სიძველეთა კვალი სოფელში არ ჩანს.

პირველი ეკლესია კარტიკამში კათოლიკეებმა 1843 წელს ააშენეს მრევლის სახსრებით. თბილისის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტის თანახმად, ის წმ. იოსების სახელზე ყოფილა ნაკურთხი,[697] ,,კავკასიის კალენდრისა" და სომხური წყაროების მიხედვით კი წმ. ღმრთისმშობლის სახელზე.[698] სამივე ცნობა ადასტურებს, რომ შენობა ქვისა იყო. 1895 წელს ეკლესია ავარიულ მდგომარეობაში იყო და მრევლის უსაფრთხოების მიზნით დახურეს. მის არქიტექტურულ სტრუქტურაზე წარმოდგენას გვიქმნის ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების არქიტექტორის ლუდვიკ კროპინსკის მოხსენებითი ბარათი, რომელიც 1896 წელს არის შედგენილი.[699] დოკუმენტის თანახმად, ეს იყო მართკუთხა გეგმის ბაზილიკა გარედან მიწატკეპნილი ბანური სახურავით. შიდა სივრცე ხის სვეტებით სამ ნავად იყოფოდა. შუა ნავს ხის ნახევარწრიული ცრუ კამარა ხურავდა, გვერდითი ნავების გადახურვა ბრტყელი იყო და გრძივი კედლებისკენ დაქანებული.

1897 წელს მოსახლეობამ რუსეთის ხელისუფლებას ეკლესიის შეკეთების ნებართვა სთხოვა, თუმცა მალევე ძველის განახლების ნაცვლად

---

696 . სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი, ,,ველელები", 197; ალექსანდრე ფრონელი, *დიდებული მესხეთი,* 175; Samvel Karapetian, *Javakh*, 291; ადგილობრივი მოსახლეობა თვლის, რომ მათი წინაპრები ერზერუმიდან გადმოასახლეს.

697. სცა, ფონდი №1644, ანაწერი №1, საქმე №1

698. *Кавказский календарь на 1885 год*, 69; Samvel Karapetian, *Javakh*, 292.

699. სცა, ფონდი №204, ანაწერი №1, საქმე №981.

მრევლმა ახალი ეკლესიის აგება გადაწყვიტა. მისი პროექტი არქიტექტორმა ლუდვიკ კროპინსკიმ დახაზა 1899 წელს (ილ. 280).[700] ის კროპინსკის მიერ რეგიონში დაპროექტებული სხვა ეკლესიების მსგავსად (კარწახი - 1890; ხიზაბავრა - 1893; სხვილისი - 1893) ნეიტრალურ-,,კლასიცისტურ" სტილშია გადაწყვეტილი - ფასადების შესამკობად ღიობთა მარტივი პროფილები და შუაკედლისებზე განთავსებული პილასტრებია გამოყენებული. მთავარი, დასავლეთი ფასადი მძლავრად პროფილირებული ჩაკეტილი ფრონტონითა და სამსართულიანი სამრეკლო-კარიბჭით არის აქცენტირებული. შესასვლელი კარის თავზე დიდი ზომის გოლგოთის ჯვარი უნდა ყოფილიყო გამოსახული. აშენებული ეკლესია კროპინსკის პროექტს დიდწილად ემთხვევა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, არსებითი სხვაობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სამსართულიანი სამრეკლო აღარ ააგეს და ეკლესიას ერთსართულიანი ფანჩატური დაადგეს.

1899 წელს კარტიკამის მოსახლეობამ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მშენებლობის ნებართვა იმ პირობით მიიღო, რომ ხარჯებს მრევლი მთლიანად საკუთარ თავზე აიღებდა.[701] პროექტის შეთანხმების მიუხედავად, ხელმოკლე სოფელს ეკლესიის აგება მაშინვე არ დაუწყია. 1903 წლის გაზაფხულზე, როცა კარტიკამი ტირასპოლის ეპისკოპოსმა ბარონმა ედუარდ ფონ როპმა მოინახულა, აქ ჯერ კიდევ ძველი ეკლესია იდგა. შენობის მდგომარეობას ეპისკოპოსზე განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია:

... ყველა ისე დაწუნებულ ჩემ მიერ ეკკლესიებზე უარესი ცუდს მდგომარეობაში მყოფი ეკკლესია აქ დამხვდა. ეკკლესია ეკკლესიას არა ჰგავდა; რომ შევედი შიგ; აგერ ჩამონგრეული, იგერ ნაგვების გროვა, კიდევ აგერ ტალახი,

---

700. სცა, ფონდი №204, ანაწერი №1, საქმე №981. 1896 წლიდან ლ. კროპინსკი ახალქალაქის არქიტექტორის მოვალეობას აღარ ასრულებდა, ამიტომ ის პროექტზე ხელს აწერს როგორც ახალციხის არქიტექტორი. კარტიკამის ეკლესიის პროექტი მისი ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს შესრულებული ერთ-ერთი ბოლო პროექტია. 1899 წლის იანვრიდან კროპინსკი სამოქალაქო ინჟინერმა ალექსეი ნიკოლაევმა შეცვალა.
701. *Кавказ,* 1900, 5 აგვისტო, №206, 3.

ტბა, მეორე კუთხეს სიბნელე, ტარპეზის სიბინძურე და საზოგადოთ საკურთხევლის საკურთხეველობის არგვანება ... ნაცვლათ ახალი ეკკლესიის აგებისა რაცღა ქოხი ქონიათ ...[702]

კარტიკამელებმა მშენებლობისთვის საჭირო თანხის მოგროვება ვერ შეძლეს. 1906 წელს მათ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ტირასპოლის ეპარქიაში შემოწირულობის შეგროვების უფლება მიიღეს. 1908 წელს მშენებლობის დასასრულებლად საჭირო 4000 მანეთის მოგროვების მიზნით ნებართვა ორი წლით იქნა განახლებული.[703]

1904-1908 წლებში აგებული დარბაზული შენობა აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზეა წაგრძელებული და მართკუთხა გეგმა აქვს (გარე ზომებია 21.70 × 12.25 მ). მას ხის ფიცრებით აწყობილი მშვილდისებრი მოხაზულობის ცრუ კამარა ხურავს. სამნაწილიანი საკურთხეველი ეკლესიის აღმოსავლეთით ძირითადი დარბაზული სივრცისგან ხის დაბალი მრუდხაზოვანი მოაჯირით არის გამიჯნული. საკუთრივ საკურთხეველს მართკუთხა გეგმა აქვს და ცილინდრული კამარა ხურავს (ილ. 281). მისი იატაკი ხუთი საფეხურით არის ამაღლებული. საკურთხევლის ორსავე მხარეს განთავსებულია კვადრატული გეგმის მქონე დამხმარე ოთახები - საკრისტიები, რომელთაც საკურთხევლის ჩამოჭრილ კუთხეებში მოწყობილი შესასვლელები აქვს. გადასვლა კუთხიდან ირიბ სიბრტყეზე აქ, სხვა ეკლესიებისაგან განსხვავებით, სუფთად არის გალესილი და ძალიან შორეულად თუ მოგვაგონებს დიდი ზომის მარტივ მუკარნასს. მარცხენა ოთახის კარი ტიმპანით სრულდება. მასზე ე. წ. ბოლნური ჯვარია გამოყვანილი. ტიმპანის ქვა შესაძლოა მეორადი გამოყენების იყოს, თუმცა ის დღეს თეთრად არის შეღებილი და დაზუსტებით რისამე თქმა ძნელია.

საკურთხეველში ტრაპეზის ზემოთ მთავარი ხატის მდიდრულად გაფორმებული ჩარჩოა აღმართული. მისი გვერდები შეწყვილებული

702. *ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა,* 25-26.
703. *Кавказ,* 1900, 5 აგვისტო, №206, 2.

სვეტებით არის ფლანკირებული, ზედა ფრონტონიანი ნაწილი კი მოხარატებული გუმბათით სრულდება. ხატის ადგილას ახლა რაფაელის „სიქსტეს მადონას“ ასლია ჩადგმული. დამხმარე ოთახების დასავლეთი კედლების წინ ანალოგიურად გაფორმებული სახატე ჩარდახები დგას, ოღონდ ისინი გუმბათის ნაცვლად გვირგვინზე აღმართული ჯვრებით ბოლოვდება. მსგავსი ტიპის სახატე ჩარდახები ძალიან პოპულარული იყო XIX საუკუნის II ნახევარში და რეგიონის არაერთ კათოლიკურ ეკლესიაში გვხვდება (მაგალითად, ხულგუმოს, ტურცხისა და თორიას ეკლესიებში).

სამრეკლოს კორპუსი (ფანჩატურის გარდა), რომელიც როგორც წესი დასავლეთ კედელზე გარედან არის ხოლმე მიდგმული, აქ ინტერიერშია შემოტანილი და ორსართულიან რიზალიტისებრ მოცულობას წარმოქმნის (ილ. 282). ის თაღოვანი ღიობებით არის გახსნილი. პირველი სართულის ფარგლებში შესასვლელი კარის ღიობია მოწყობილი, მეორე სართულის ფარგლებში კი სარკმელი. ამ ღიობის თაღს დიდი გოლგოთის ჯვარი აღნიშნავს.

დასავლეთ კედელთან ტრადიციისამებრ მრუდხაზოვანი რიკულებიანი მოაჯირით მოფარგლული ერთსართულიანი გალერეა არის მოწყობილი. გრძივ კედლებს ფართო თაღოვანი სარკმლები ანაწევრებს. მათ გარშემო პროფილირებული საპირე შემოწერს. შუაკედლისებს აუყვება გლუვი ბრტყელი პილასტრები, რომლებიც კედლების თავზე გამავალ პროფილირებულ კარნიზს კვეთს და ცრუ კამარის ქუსლს ებჯინება. ეს კარნიზი გრძივი კედლებიდან აღმოსავლეთის კედელზე გადადის და შუაში სატრიმუფო თაღს ევლება. ხის ცრუ კამარა, ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, დაახლოებით თხუთმეტი წლის წინ გამოუცვლიათ. ეკლესიის იატაკი ქვის ფილებით არის მოგებული.

ინტერიერში ძველი აღჭურვილობიდან დარჩენილია სანათლავი ემბაზი, რომელიც ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ კიდეში გაჭრილი სარკმლის ქვეშ არის მოწყობილი. მას ზემოდან ხის ბრტყელი სახურავი

აქვს. ემბაზის წინა მხარეს რელიფური ქვითაა აღნიშნული. მასზე წრეში ჩახაზული დიდი ზომის ვარდულია გამოყვანილი (ილ. 283).

ეკლესიის საფასადო პერანგი კარგად გათლილი მოვარდისფრო-მორუხო ქვისაა. ნახევარწრიულთაღოვან სარკმლებს კედლის საერთო სიბრტყიდან რამდენიმე სანტიმეტრით ამოზიდული საპირეები შემოწერს (ილ. 284). მათი ძირები პროფილირებული რაფებით არის მონიშნული. ღიობების განაწილება კარტიკამშიც ისეთივეა, როგორც რეგიონის უმეტეს ეკლესიაში: ხუთი სარკმელი - ჩრდილოეთ კედელში, ოთხი სარკმელი და ერთი კარი - სამხრეთისაში, სამი მცირე სარკმელი და ერთი კარი - დასავლეთისაში. ერთი სარკმელი - აღმოსავლეთისაში. ამ უკანასკნელის თავზე მცირე ზომის ჯვრიანი ფილაა ჩადგმული (ილ. 285).

ფასადებზე შუაკედლისებს პროფილირებულ ბაზისებზე შედგმული პილასტრები აუყვება. მათი კაპიტელები კარნიზს ერწყმის და მის პროფილს იმეორებს. პილასტრები ბევრად თხელია, ვიდრე პროექტით იყო ჩაფიქრებული და ფასადების დანაწევრებაში აქტიურ როლს არ ასრულებს.

სამხრეთი კარი მსხვილი ლილვით შემოწერილ მართკუთხა ჩარჩოშია ჩაწერილი. უშუალოდ ღიობს კი პროფილირებილი საპირე ევლება გარს. მისგან განსხვავებით, დასავლეთი კარის ღიობი გლუვია (ილ. 286). ის ფლანკირებულია ერთმანეთზე შედგმული მასიური ნახევარსვეტებით, რომლებიც ფასადს მთელ სიმაღლეზე აუყვება. მათი კაპიტელები შორეულად დორიულს მოგვაგონებს, თუმცა აბაკები არა აქვს. უშუალოდ კარის თაღის თავზე მშენებლობის დაწყების თარიღის შემცველი ქვის ფილაა ჩადგმული. მართკუთხა ფორმის ფილის კიდეები წნული ორნამენტით არის შემკული, ცენტრალური არე კი ჯვარს უკავია. ჯვრის ზედა მკლავის ორსავე მხარეს ანგელოზთა მინიატურული ფიგურებია გამოყვანილი. ქვედა მკლავის მარცხნივ მშენებლობის დაწყების წელი - 1904 - არაბული ასოებით წერია, მარჯვნივ კი სომხური ანბანის ასოებით.

ამ ფილის თავზე დიდი ზომის ჯვარია აღმართული. ორსაფეხურიანი წყვილი ლილვით გამოყვანილი ჯვრის (ლილვებს შორის სიცარიელეა) სამ

მკლავს სამყურა დაბოლოება აქვს, ქვედა მკლავის ლილვები კი იყოფა და სარკმლის გარშემო გოლგოთის მთის ფორმის საპირეს ქმნის. ,,მთის" ძირი ძლიერ სქემატიზირებული ტალღოვანი ორნამენტით არის შემკული. ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე ლილვებს შორის მცირე ზომის გასხივოსნებული ჯვარია ჩასმული. ანალოგიური საფასადო ჯვრები გვხვდება მეზობელი სოფლების - ხულგუმოს კათოლიკურ (1907) და კულიკამის მონოფიზიტურ (განახლებულია 1900-იან წლებში) ეკლესიათა დასავლეთ ფასადებზე. სამშენებლო ტექნიკისა და ცალკეული არქიტექტურული დეტალების გათვალისწინებით უნდა ვიფიქროთ, რომ სამივე ეკლესია ერთი არტელის მიერ არის აგებული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კარტიკამის ეკლესიას პროექტით ჩაფიქრებული სამსართულიანი სამრეკლო-კარიბჭის ნაცვლად ერთსართულიანი სამრეკლო აქვს. სახურავის კეხის დასავლეთ კიდეზე ამოყვანილ დაბალ წრიულ ყელზე დგას ექვსწახნაგა ფანჩატური შესაბამისი რაოდენობის წახნაგოვანი სვეტებითა და მათზე გადაყვანილი ნახევარწრიული თაღებით. სამრეკლო მაღალი კონუსური სახურავით სრულდება. საბურველი ქვისაა (ილ. 287).

კარტიკამის ეკლესია ცუდ ფიზიკურ მდგომარეობაშია. მის კედლებს ღრმა ბზარები დაუყვება. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ეკლესიის დაზიანება გამოიწვია ახალქალაქში განლაგებული საბჭოთა (შემდეგ რუსული) სამხედრო ბაზის ტანკებმა, რომლებიც საწვრთნელ პოლიგონზე ეკლესიის გვერდით გამავალი გზით დადიოდნენ. ბოლო ხანებში ინტერიერის პილასტრები ლითონის კუთხოვანებით გაამაგრეს, ხოლო გრძივი კედლები გარედან ასევე ლითონის ჩარჩოში ჩასვეს.

კარტიკამის ეკლესია თავისი დროის ტიპური ნიმუშია. ის ზოგადი პროპორციით, სამშენებლო ტექნიკისა და არქიტექტურული გადაწყვეტის თვალსაზრისით დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს ჯავახეთის ამავე პერიოდის სხვა კათოლიკურ ეკლესიებთან (ხულგუმო - 1907; თორია - 1905).

ეკლესიის დასავლეთით მღვდლის ერთსართულიანი სახლი დგას. (ილ. 288). მოწითალო ფერის ფლეთილი ქვით ნაგები შენობის ფასადი მარტივად არის დანაწევრებული რამდენიმე მართკუთხა ღიობით. შესასვლელ კარს ჯვრის ფორმის საპირე შემოუყვება. მის ზედა მკლავში არაბული ციფრებით სახლის მშენებლობლობის თარიღი - 1876 წელი წერია. როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ ტიპის საპირეებითაა გაფორმებული ვარევანის (1890-იანი წლები), ალასტანისა (1863) და ახალციხის წმ. ჯვარის (1866) ეკლესიების ცენტრალური შესასვლელები. როგორც ჩანს, დანარჩენი საქართველოს მსგავსად, ჯვრის ფორმის საპირე სამცხე-ჯავახეთშიც პოპულარობით სარგებლობდა.

3.2.10. ოცხე და აბასთუმანი

ზემოთ ჩამოთვლილი დასახლებების გარდა, სომხური წესის კათოლიკე მოსახლეობა ცხოვრობდა ოცხესა[704] და აბასთუმანში. XIX საუკუნის I ნახევარში მათ სულიერ სამსახურს ახალციხელი მღვდლები უწევდნენ.[705] როგორც წერილობითი ცნობებიდან ჩანს, ეკლესია მხოლოდ აბასთუმანში იდგა. 1818 წელს ტერ ანტონ თუმანოვის მიერ შედგენილ წერილში იხსენიება ოცხელი პეტრე ვართანასძე, რომელსაც 1804 წელს ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის ძმობისთვის და აბასთუმნის კათოლიკური ეკლესიისთვის საზიაროდ შეუწირავს ერთი ხულა და ერთი დუქანი.[706] 1866 წელს აბასთუმნის ეკლესია ახალციხელ კარლო მღებრიშვილს საკუთარი სახსრებით განუახლებია.[707] ,,კავკასიის კალენდრის" ცნობით, 1866 წელს აგებული ღმრთისმშობლის სახელობის

704. ამ სახელწოდების დასახლება დღეს არ არსებობს. სახელიდან გამომდინარე ის მდინარე ოცხისწყლის ნაპირზე იყო გაშენებული და აბასთუმანის სიახლოვეს მდებარეობდა.

705. იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბნაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალციხური ქრონიკები, დღიური-მატიან,* ოცხესთვის იხ.: 110, 133, 194, 197, 199, 224; აბასთუმნისთვის: 133, 202, 204, 238, 239, 242.

706. მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 509-510.

707. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 111.

ხის ეკლესია მინერალური წყლების სტუმრებისთვის იყო განკუთვნილი.[708] როგორც ჩანს, ამ დროს ადგილობრივი კათოლიკეების რიცხვი შემცირებულია, თუმცა ბოლომდე გამქრალი არ არის. აბასთუმნის ღმრთისმშობლის ეკლესიის მრევლი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების სხვა კათოლიკური ეკლესიების მრევლთან ერთად იხსენიება 1910 წლის 12 თებერვალს ტირასპოლის ეპისკოპოსის იოზეფ კესლერისათვის თხოვნით გაგზავნილ წერილში, რომელშიც ქართველი კათოლიკეები სომხური რიტიდან ლათინურ რიტზე გადაყვანას ითხოვდნენ. [709] ცხადია, რიტის შეცვლას მკვიდრი აბასთუმნელები მოითხოვდნენ და არა კურორტის სტუმრები.

აღარარსებული ეკლესიის არქიტექტურული ფორმების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის XX საუკუნის დასაწყისის ღია ბარათი და 1922 წლის ფოტოსურათი (ილ. 289, 290). [710] ღია ბარათზე ეკლესია სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან მოჩანს. მარჯვნივ, დაბალი ბორცვის წვერთან თბილისის გუბერნიის მინერალური წყლების სამმართველოს უფროსის ადოლფ რემერტის საფლავზე აღმართული კაპელა დგას, ხოლო ფერდობის ძირში, მოსწორებულ ბაქანზე - მოზრდილი ეკლესია. ესაა ხით ნაგები შენობა დაბალი ნახევარწრიულად შვერილი აფსიდითა და გადაჯვარედინებული სახურავით, რომლის ამაღლებულ შუა ნაწილს პირამიდის ფორმა აქვს. ჩრდილოეთი მკლავის სახურავის კეხზე იდგა მაღალი და ვიწრო სამრეკლო კონუსური შპილის ფორმის სახურავით. დეტალების დაზუსტების საშუალებას 1922 წლის ფოტოსურათი იძლევა. მასზე ეკლესია ჩრდილო-დასავლეთი მხრიდან არის აღბეჭდილი. ჰორიზონტალურად გადებული ხის ფიცრებით ნაგები სამლოცველო თლილი ქვის მაღალ ცოკოლს ეფუძნება. ჩრდილოეთ ფასადს ორი ღიობი

---

708. *Кавказский календарь на 1885 год*, 69.

709 . ქ. ახალციხის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ქართულ-კათოლიკური მრევლის და კათოლიკე მღვდლების თხოვნა ტირასპოლის ეპისკოპოსის იოსებ კესლერისადმი, 1910, 12 თებერვალი, საქმე №4231, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

710. მადლობას ვუხდი მანანა ქუთათელაძეს ფოტოსურათის მოწოდებისთვის.

ანაწევრებს - ერთი სამყურა ფორმის მაღალი და განიერი ფანჯარა ფასადის აღმოსავლეთ კიდეშია გაჭრილი, ხოლო მეორე, მცირე ზომის წრიული სარკმელი - ფრონტონში. ფასადის დანარჩენი მონაკვეთი ყრუა. ფრონტონის წინ მისი მომცველი ხის წინფრაა მოწყობილი. მას ფასადის ატმოსფერული ნალექისგან დაცვის ფუნქცია უნდა ჰქონოდა.

დასავლეთი კედლის ძირითად სიბრტყეს ვიწრო და მაღალი, შეისრული ფორმის სარკმლები (შუაში - სამმაგი, კიდეებში კი თითო-თითო) ანაწევრებს. ფრონტონში ვარდულია ჩასმული. ფრონტონის არეები, კედლის ქვედა ნაწილებისგან განსხვავებით, ვერტიკალურად ჩადგმული ფიცრებით არის აწყობილი, რაც გარკვეულ მხატვრულ ეფექტს ქმნის, თუმცა ძირითად დეკორატიულ სამკაულს წინფრაზე გაყოლებული და დასავლეთი ფასადის ფრონტონის სიბრტყეზე დატანილი ხის აჟურული ელემენტები წარმოადგენს. ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთიდან იყო მოწყობილი. ამავე მხრიდან მას მინაშენიც ჰქონდა (ის არ ჩანს ღია ბარათზე და შესაძლოა უფრო გვიან იყოს დამატებული). რამდენადაც ფოტოსურათით შეიძლება მსჯელობა, მინაშენის დასავლეთი კედელი ფახვერკული იყო.

ცოკოლი იმდენად მაღალია, რომ, როგორც ჩანს, სამლოცველოს ქვეშ არსებულ სივრცეს დამატებით სათავსოდ იყენებდნენ. ფოტოსურათზე გარკვევით არ იკითხება, მაგრამ ცოკოლის ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთში კარი უნდა ყოფილიყო გაჭრილი. მის წინ მარტივი პორტიკი იყო მოწყობილი.

ეკლესიისა და სამრეკლოს სახურავების, ასევე ღიობების ფორმის წყალობით ეკლესიას გამოხატულად ნეოგოთიკური სახის იყო. ძნელი წარმოსადგენია 1866 წელს მას უკვე ასეთი არქიტექტურული გადაწყვეტა ჰქონოდა. შესაძლოა ის მოგვიანებით კიდევ ერთხელ განაახლეს - მაგალითად, 1902 წელს, როცა ადოლფ რემერტი გარდაიცვალა და ის ეკლესიის უშუალო სიახლოვეს დაკრძალეს.

3.3. სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიების არქიტექტურის თავისებურებები

სამშენებლო მასალა

სამცხე-ჯავახეთში კათოლიკური ეკლესიების აქტიური მშენებლობა 1830-იან წლებში იწყება. 1829 წელს ოსმალეთთან დადებული ადრიანოპოლის ზავის შედეგად რუსეთის იმპერიამ სამხრეთ საქართველო შეიერთა, რასაც რეგიონში სომეხი კათოლიკეების გადმოსახლება მოჰყვა. ახალ მიწაზე დაფუძნებულმა ლტოლვილებმა რამდენიმე წელში ეკლესიების აგებაზეც დაიწყეს ზრუნვა.

1830-იან წლებში აშენებული პირველი სამლოცველოების უმეტესობა ხის იყო და მარტივი არქიტექტურული გადაწყვეტა უნდა ჰქონდა (წყალთბილა, სხვილისი, ტურცხი, ხულგუმო). ხის მასალა ახალმოსახლეებს რუსეთის ხელისუფლებისგან უსასყიდლოდ გადაეცემოდათ სახლების ასაშენებლად და, როგორც ჩანს, ისინი მას ეკლესიების ასაგებადაც იყენებდნენ. ზოგიერთ სოფელში პირველი სამლოცველოები ქვის იყო (ახალციხის ,,პლანის" ღმრთისმშობელი, ხიზაბავრა, ეშტია, თორია, კარტიკამი), თუმცა ისინი ,,მიწური ქოხებისგან" დიდად არ განსხვავდებოდა.

მშენებლობის შემდგომი ტალღები XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისზე მოდის. ამ პერიოდში აგებული ყველა ეკლესია ქვისაა. სამშენებლო მასალად გამოყენებულია რეგიონში ფართოდ გავრცელებული ანდეზიტი ან ბაზალტი. როგორც წესი, ქვის ოსტატები სამშენებლო მოედანთან ახლოს მდებარე კარიერებით სარგებლობდნენ. ზეპირი გადმოცემის თანახმად, ადგილობრივად არის მოპოვებული წინუბნის ეკლესიის კედლების ამოსაყვანად გამოყენებული ღვინისფერი და რუხი ქვები, ხოლო დეკორატიული ელემენტებისათვის ნახმარი მოყვითალო ქვიშისფერი ქვა წყრუთის საბადოდან მოუტანიათ. ასევე ზეპირი გადმოცემით, წყრუთიდან და ბუზმარეთიდან მოტანილი ქვითაა

ნაშენი ვალეს ეკლესია.

XIX საუკუნის II ნახევრიდან სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიებისათვის მთავარი საშენი მასალა ქვაა, თუმცა მის გვერდით ხესაც ფართოდ მოიხმარდნენ. ხის ცრუ კამარით არის გადახურული ყველა დარბაზული ეკლესიის ძირითადი სივრცე (აბათხევი, წყალთბილა, ხიზაბავრა, ხიზაბავრა, წინუბანი, ეშტია, თორია, ხულგუმო, კარტიკამი), ხის ცრუ კამარა და ხის სვეტები აქვს ზოგიერთ ბაზილიკას (უჯმანა, ბავრა, ტურცხი). ხის გადახურვის მოწყობა პირველ რიგში ალბათ მრევლის შეზღუდულ მატერიალურ შესაძლებლობებს უნდა უკავშირდებოდეს - ქვის კამარის ამოყვანა გაცილებით ძვირი ჯდებოდა, ვიდრე მისი ხის იმიტაციისა. დამატებითი ფაქტორი იყო დაქვეითებული სამშენებლო ოსტატობა - მშენებლებს არ შეეძლოთ ქვის ფართო კამარის საკმარისი სიმტკიცის უზრუნველყოფა, მით უმეტეს სეისმურად ისეთ აქტიურ ზონაში, როგორიც სამცხე-ჯავახეთია. ხე გამოიყენებოდა ინტერიერის ცალკეული ელემენტებისათვისაც - მაგალითად, მთლიანად ხისგან იყო ნაგები დასავლეთი კედლის წინ მოწყობილი გალერეა, რომელიც ყველა ეკლესიას ჰქონდა.

სეისმედეგობის გაზრდის მიზნით XIX საუკუნის ოსტატები ლითონის ძელებს იყენებდნენ. როგორც თბილისის საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული განმარტებითი ბარათიდან ირკვევა, უდეს ეკლესიაში ბურჯების სიმტკიცის გასაძლიერებლად მათი გარე კედლებთან გადაბმა ორი გრძივი და ერთი განივი ლითონის მაკავშირებლით მოხდა. ის შენობის ქვედა კორპუსის თაღების გულში ჩაატანეს. გუმბათის განბრჯენის შესაკავებლად მის ყელში ასევე ლითონის მაკავშირებლები ჩაიდგა. ლითონის სარტყლები მოეწყო სამრეკლოს სვეტებზე. ასეთივე სარტყლებით გაამგრეს ვალეს ინტერიერის და ახალციხის რაბათის ღმრთისმშობლის („პატრების") ეკლესიის სამრეკლოს სვეტები (ილ. 152, 120). ლითონის ძელები გამოიყენებოდა სამრეკლოების თაღებისა და გუმბათის სფეროს გასამტკიცებლად, თაღის სიგანისა თუ გუმბათის დიამეტრის მიუხედავად.

დაახლოებით 3 სმ დიამეტრის ლითონის ძელები თაღის ქუსლებს შორის იდებოდა, ხოლო გუმბათის სფეროს, როგორც წესი, ჯვარედინად ამაგრებდნენ. ერთადერთი შემთხვევა, როცა გუმბათის ძირში ლითონის ნაცვლად ხის ძელებია გადებული, ახალციხის რაბათის ღმრთისმშობლის („პატრების") ეკლესიის სამრეკლოა (ილ. 291). აქ დაახლოებით 10 სმ სისქის ხის ორი ძელი ერთმანეთის პარალელურად არის ჩადგმული.

აღმოსავლეთ საქართველოსგან განსხვავებით (თბილისის ორივე ეკლესია, გორის ეკლესია), სამცხე-ჯავახეთში აგურით ნაშენი კათოლიკური ეკლესია არ გვხვდება. აქ ამ მასალას იშვიათად მოიხმარდნენ შეზღუდული ფუნქციით - გუმბათისა და კონქის ასაშენებლად და ღიობების წირთხლების გამოსაყვანად.

გეგმარებითი სტრუქტურა

სამცხე-ჯავახეთის კათოლიკურ ეკლესიათა უმეტესობა სამნავიანი ბაზილიკები და დარბაზული შენობებია. ბაზილიკებში შიდა სივრცეს სვეტების ორი ან სამი წყვილი ანაწევრებს. შუა და გვერდითი ნავები თითქმის ყოველთვის თანაბარი სიმაღლისაა, გარედან ორფერდა სახურავში მოქცეული. ამდენად, ბაზილიკური ფორმა გარე მასებში არასოდეს ვლინდება. ბაზილიკების ნაწილს ქვის კამარა და სვეტები აქვს, ნაწილი კი გადახურულია ხის ცრუ კამარით, რომელიც ასევე ხის სვეტებს უჭირავს. ერთადერთი გამონაკლისი ივლიტას ეკლესიაა, სადაც ხის სვეტებზე ცრუ კამარის ნაცვლად ბრტყელი ჭერია გამართული (ილ. 137). თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, ეს 1960-იანი წლების სახელდახელო აღდგენის შედეგი უნდა იყოს, თავიდან ალბათ აქაც ცრუ კამარა იქნებოდა. თავისებურებით გამოირჩევა ნაოხრების ეკლესიის გადახურვაც. მისი შუა ნავი ქვის ცილინდრული კამარით არის გადახურული, ხოლო ძალიან ვიწრო გვერდით ნავებს გრძივის ნაცვლად განივი კამარები აქვს. ისინი იმდენად ვიწროა, რომ სვეტებიდან გრძივი კედლებისკენ თაღები კი არ გადადის, არამედ ქვის არქიტრავები დევს (ილ. 160).

აღმოსავლეთი მონაკვეთის საინტერესო გადაწყვეტას ვხედავთ ტურცხის და ალასტანისა ბაზილიკებში. ორივეს აქვს კვადრატული გეგმის საკურთხეველი, რომელიც გეგმის საერთო მართკუთხედში იწერება და გარე მასებში ძირითადი კორპუსისაგან მხოლოდ ნაკლები სიმაღლით გამოიყოფა. აღმოსავლეთიდან ამ მართკუთხა საკურთხეველს ერთვის ბევრად უფრო ვიწრო შვერილი აფსიდი (ილ. 252, 265). ის ცენტრალურ და გვერდით ნავებთან შედარებით დაბალია, რის გამოც სატრიუმფო თაღს მაღალი შუბლი აქვს და მასში მცირე ზომის სარკმელია გაჭრილი. აღმოსავლეთი მონაკვეთის მსგავსი გადაწყვეტა დამახასიათებელია ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის XIX საუკუნის ეკლესიებისათვის და ჩვენშიც იქიდან მოსული მშენებელი ოსტატების მიერ უნდა იყოს მოტანილი, თუმცა ტექნიკური სირთულიდან გამომდინარე დიდი პოპულარობა ვერ მოიპოვა და სხვა ძეგლებში აღარ გვხვდება.

დარბაზული ეკლესიები გეგმით მარტივ მართკუთხედს წარმოადგენს. ყველა შენობას განიერი ცრუ კამარა ხურავს. შიგნით გრძივი კედლები ზოგიერთ ეკლესიაში გლუვად არის დატოვებული (სხვილისი, ეშტია, წყალთბილა, წინუბანი), ზოგან კი ბრტყელი თაღებით (ახალციხის წმ. ჯვარი, აბათხევი) ან პილასტრებით (ხიზაბავრა, ხულგუმო, კარტიკამი, თორია, ვარევანი) ნაწევრდება. იმის გამო, რომ გადახურვის ნივნივები უშუალოდ გრძივ კედლებს ეყრდნობა, კედლის თაღებსა და პილასტრებს უმეტესად დეკორატიული ფუნქცია აქვს.

გუმბათიანი კათოლიკური ეკლესია რეგიონში სულ ორია. აქედან ერთი - ახალციხის წმ. ჯვრი გვიან შუა საუკუნეებშია აგებული, მეორე კი უდეს ღმრთისმშობელის მიძინების ეკლესიაა. მას არც ზომითა და არც მოცულობითი გადაწყვეტით საერთო არაფერი აქვს სამცხე-ჯავახეთის იმავე პერიოდში აგებულ სხვა კათოლიკურ ეკლესიებთან. სვეტების ორი წყვილით სამ ნავად გაყოფილი დაგრძელებული დასავლეთი მკლავით, ვრცელი ტრანსეპტითა და ცენტრში აღმართული მაღალი გუმბათით უდეს ეკლესია ქუთაისის ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვისა და თბილისის წმ.

პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესიების გვერდით დგას.

გეგმარებითი სტრუქტურის მიუხედავად, ყველა ეკლესიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა დასავლეთი კედლის წინ მოწყობილი ხის ერთ ან ორსართულიანი გალერეა, რომელიც ქალებისთვის იყო განკუთვნილი (ვრცლად იხ. ქვემოთ).

დეკორატიული თავისებურებები

სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიები სისადავით ხასიათდება. არქიტექტურული სამკაული უმეტესად ფასადებზე, კარ-სარკმლების გარშემოა თავმოყრილი. ღიობები ძირითადად მართკუთხა ან ნახევარწრიულთაღოვანი ფორმისაა, იშვიათად მშვილდათაღოვანი (თორია, ტურცხი) (ილ. 251, 270). კარი, როგორც წესი, მთლიანად არქიტრავული ან მთლიანად თაღოვანია. გამჭოლი ლუნეტი მხოლოდ ორ შენობას აქვს (წყალთბილა, სხვილისი) (ილ. 177).

სამხრეთ და / ან დასავლეთ კედლებში გაჭრილ კარებს სხვადასხვა ფორმის ჩარჩოები შემოწერს. სახასიათოა ჯვრის ფორმის საპირეები ჰორიზონტალური მკლავების ერთი ან ორი რიგით (ახალციხის წმ. ჯვარი, ვარევანი, ალასტანი) (ილ. 234, 260). მართკუთხა და ნახევარწრიულთაღოვან საპირეებთან შედარებით იშვიათია შეისრული (ვალე) და მუზარადისებური (წყალთბილა) თაღებით დასრულებული საპირეები.

კათოლიკური ეკლესიების სარკმლები საკმაოდ განიერია. ზოგჯერ მათი წირთხლები ურთიერთპარალელურია (ხიზაბავრა, აბათხევი, წყალთბილა, ტურცხი), უფრო ხშირად კი შიგნითკენ ფართოვდება. ფანჯრები გარედან შემკულია მარტივად პროფილირებული საპირეებით, რომლებიც ღიობის ფორმას იმეორებს და კედლის სიბრტყეს არ სცდება. იშვიათია ნახევარწრიულთაღოვანი თავსართები (ახალციხის წმ. ჯვარი, ვარევანი, ნაოხრები, უდე) და თარო-თავსართები (ეშტია) (ილ. 125, 232, 240).

გამონაკლისს წარმოადგენს აბათხევისა და წყალთბილას ეკლესიები, სადაც კარ-სარკმლების მომფარგლავი საპირეები დამატებით სტილიზებული ,,ბროწეულებით“ არის გაფორმებული (ილ. 169). როგორც უკვე ითქვა ანალოგიური თავსართები გვხვდება წუღრუთის სომხურ მონოფიზიტურ (1881), ახალციხის წმ. მარინეს (1868-1872) და ქუთაისის მაცხოვრის ამაღლების (1890-1893) მართლმადიდებლურ ეკლესიებზე. ეს ელემენტი მშენებელთა ტრადიციული რეპერტუარიდან არის აღებული და პროფესიულად განსწავლულ არქიტექტორს არ ეკუთვნის.

ფასადების დამანაწევრებელი პილასტრები, თაღები და ნიშები 1890-იანი წლების დასაწყისიდან ჩნდება და მათ გამოყენებას სულ რამდენიმე ძეგლზე ვხვდებით. პილასტრები აუყვება ტურცხის (1892), ხიზაბავრას (1896-1898), კარტიკამისა (1904-1908) და ხულგუმოს (1907) ეკლესიების გრძივ კედლებს (ილ. 251, 274, 284). მარტივად პროფილირებული ბაზებითა და კაპიტელებით გაფორმებული პილასტრები იმდენად თხელია, რომ კედელისგან დამოუკიდებლად თითქმის არ აღიქმება. საფასადო თაღნარით მხოლოდ წინუბნის (1908) ეკლესიაა გაფორმებული (ილ. 218). ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე გადაყვანილი თანაბარი სიმაღლის თაღები პილასტრების მსგავსად ,,უხორცოა” და დეკორატიულ ფუნქციას ფერის მეშვეობითღა ასრულებს - ისინი მუქ ღვინისფერ ფონზე მოყვითალო ქვიშისფერი ქვითაა გამოყვანილი. არაღრმა ნიშებით არის დანაწევრებული სხვილისისა (1890-იანი წლების ბოლო) და თორიას (1905) ეკლესიების ფასადები (ილ. 196, 270). პირველ შემთხვევაში ისინი თაღოვანია, ხოლო მეორეში - მართკუთხა.

ზოგადად, სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიების მამკობი არქიტექტურული ელემენტები მარტივი პროფილის მქონეა, ნეიტრალურ-კლასიცისტური ხასიათს ატარებს და შენობიდან შენობაზე თითქმის უცვლელი სახით მეორდება.

ფასადების გაფორმების ერთ-ერთი მთავარი ელემენტი ჯვარია. მისი ზომა და სახე მრავალფეროვანია. გვხვდება გასხივოსნებული (ბავრასა და

ვარევანის სამხრეთი კარები, წმ. წყლის ჭურჭელი ხიზაბავრაში, სატრიუმფო თაღი უდეში) (ილ. 246, 234), ლათინური (ალასტანისა და ხიზაბავრას სამხრეთი კარის საპირეები) (ილ. 259, 190), გოლგოთის (კარტიკამისა და ხულგუმოს დასავლეთი ფასადები) (ილ. 286, 278), განედლებული (ვარევანის აღმოსავლეთი სარკმელი) (ილ. 232) და დიაგონალურად გადაჯვარედინებულ გასაღებებზე აღმართული ჯვრები (ალასტანის აღმოსავლეთი სარკმელი) (ილ. 259). ქვის მართკუთხა ფილებზე ამოკვეთილი ჯვრის რელიეფური გამოსახულებები ხშირად ჩასმულია კარ-ფანჯრების თავზე ან ფრონტონის არეში. ჯვრებს თან ერთვის მშენებლობის წლების (ნაოხრები, წყალთბილა, წინუბანი, უდე, კარტიკამი) ან, უფრო იშვიათად, ეკლესიის სახელობის (ხულგუმო, წყალთბილა) აღმნიშვნელი წარწერა.

ჯვრის ფორმას ზოგჯერ სარკმლის ღიობებისთვისაც იყენებდნენ. ისინი, როგორც წესი, მცირე ზომისაა და განათების ძირითად წყაროს არ წარმოადგენს. მათ უმეტესად სამხრეთი ან დასავლეთი ფრონტონის არეში (სხვილისი, ხიზაბავრა, უდე) ათავსებენ. ეშტიაში ჯვრის ფორმა აქვს საკურთხევლის სარკმელს.

რელიეფური ქანდაკება სამცხე-ჯავახეთის სულ რამდენიმე კათოლიკურ ეკლესიას აქვს. მათ შორის უადრესი სავარაუდოდ უნდა იყოს არალის (1850-იანი წლების მიწურული) აღმოსავლეთ ფრონტონში ჩართული დისკო, რომლის ზედაპირი დღეს მთლიანად ნატყვიარებით არის დაფარული (ილ. 147). ამის გამო ძნელია დაზუსტებით ითქვას მასზე ფიგურული გამოსახულება იყო განთავსებული თუ ორნამენტული.

ეშტიას (1883) დასავლეთ ფასადზე, ფრონტონის არეში ჯვარცმული მაცხოვრის დიდი ზომის ქანდაკებაა განთავსებული (ილ. 241). რეგიონში მას უშუალო პარალელი ღულალისის 1916 წელს განახლებულ სომხურ-მონოფიზიტურ ეკლესიაში ეძებნება. ეშტიას მსგავსად ჯვარცმული ქრისტეს დიდი ზომის ქანდაკება აქაც სამრეკლოს დასავლეთ კედელზეა

განთავსებული.[711] ზოგადად, მსგავსი ტიპის სკულპტურა უცხო არ არის XIX საუკუნის საქართველოსათვის. მაგალითად, ჯვარცმული მაცხოვრის რელიეფური გამოსახულება სორის 1894 წელს განახლებული მართლმადიდებლური ეკლესიის დასავლეთი ფასადის გაფორმების ნაწილია (ილ. 292). ის ეშტიას ქანდაკებასთან შედარებით მცირე ზომისაა, თუმცა მაცხოვრის ფიგურა აქაც ერთგვარი გულუბრყვილო ნატურალიზმით ხასიათდება.

როგორც ჩანს, ჯვარცმული მაცხოვრის სკულპტურულ გამოსახულებას შეიცავდა ხიზაბავრას ეკლესიის დასავლეთ კეხზე აღმართული აკროტერიონი. მისგან ჯვრის ქვედა მკლავის მცირე ფრაგმენტიღაა დარჩენილი.

ანგელოზთა გუნდით გარშემორტყმულ ღმრთისმშობელს ეკავა ალასტანის სამხრეთი კარის თავზე ჩასმული მართკუთხა ფორმის ფილა (ილ. 261). წარწერის მიხედვით 1905 წლით დათარიღებული რელიეფი დღეს ძალიან დაზიანებულია და კომპოზიციის დეტალურად გარჩევა შეუძლებელია.

მცირე პლასტიკის ნიმუშებია ანგელოზებისა და ჩიტების მინიატურული ფიგურები, რომლებიც ზოგან დამატებით მოტივებად ერთვის რელიეფურ ჯვრებს (ვალე, კარტიკამი) (ილ. 155, 285).

ქვის პლასტიკის გვერდით ძალიან იშვიათად გვხვდება ხის რელიეფური ქანდაკება. ამ მხრივ სრულიად უნიკალურია წინუბნის ეკლესია. მის დასავლეთ და სამხრეთ შესასვლელებში შებმულია ხის ორფრთიანი კარები, რომლებიც ორნამენტულ დეკორთან ერთად წმინდანთა გამოსახულებებითაც არის შემკული. სამხრეთი კარის ფრთებზე ფეხზე მდგომი თითო ანგელოზია გამოსახული, დასავლეთისაზე კი ჯვარცმის სცენაა წარმოდგენილი. მისივე ზედა საგდულში სულ ზემოთ გამოსახულია ღმრთისმშობლის დიდება, ქვემოთ - მაცხოვრის აღდგომა (ილ. 216).

---

711. Samvel Karapetyan, *Akhaltskha (Samtskhe Province)* (Yerevan: Research on Armenian Architecture (RAA) Foundation, 2011), 233 (სომხურად).

კათოლიკური ეკლესიების მშენებლები გვიან შუა საუკუნეებში ფართოდ მოიხმარდნენ მეორად მასალას - სპოლიას. მისი გამოყენება დასტურდება ახალციხის წმ. ჯვრის და ღმრთისმშობლის (პატრების) ეკლესიებში, ასევე ივლიტაში. XIX საუკუნეში მეორადი მასალის მოხმარება იშვიათია. საფლავის რამდენიმე ქვა არის ჩართული ეშტიას 1883 წელს განახლებული ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში. ტურცხის ეკლესიის დასავლეთ კედელში კი XV საუკუნის ორი ხაჩკარია ჩადგმული (ილ. 254).

ფასადებთან შედარებით კიდევ უფრო სადაა კათოლიკური ეკლესიების ინტერიერები. პილასტრები და თაღნარი მხოლოდ რამდენიმე შენობის გრძივ კედლებს ანაწევრებს (ახალციხის წმ. ჯვარი, ხიზაბავრა, ხულგუმო, აბათხევი, თორია, ვარევანი). ბაზილიკებში დამატებით დეკორატიული აქცენტი იქმნება სვეტების გაფორმებით. მათი კაპიტელები, როგორც წესი, შემკულია აბაკას კუთხეებიდან ჩამოზრდილი სხვადასხვა ფორმის (ცილინდრული ვალესა და ტურცხში, პრიზმული არალსა და ნაოხრებში) არქიტექტურული ელემენტებით (ილ. 152, 249, 141, 160). როგორც ქვემოთ დავინახავთ, ასეთივე ელემენტები გამოიყენება სამრეკლოების სვეტების გასაფორმებლადაც.

ეკლესიების აღმოსავლეთი და დასავლეთი მონაკვეთების მოწყობის წესი

სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიების აღმოსავლეთი მონაკვეთის გადაწყვეტა ძირითადად რომაულ-კათოლიკურისას მისდევს, თუმცა გარკვეული თავისებურებებიც ახასიათებს. საკურთხეველი ძირითად სივრცესთან შედარებით ყოველთვის ორი ან სამი საფეხურით არის ამაღლებული და ხის დაბალი რიკულებიანი მოაჯირითაა მოზღუდული. როგორც წესი, იატაკის კიდეს მრუდხაზოვანი კონტური მოყვანილობა აქვს და მოაჯირიც მას მიჰყვება. საკურთხევლის ორსავე მხარეს მართკუთხა გეგმის დამხმარე ოთახებია მოწყობილი. ბევრ ეკლესიაში (ალასტანი, კარტიკამი, ნაოხრები, ტურცხი, ვარევანი,

სხვილისი, აბათხევი, ხულგუმო) საკურთხევლის აფსიდის მხრები ქვედა ნაწილში დიაგონალურად არის ჩამოჭრილი და გვერდით ოთახებში შესასვლელი კარები ამ ირიბ სიბრტყეებშია მოწყობილი (ილ. 168, 275). გადასვლა კუთხიდან ირიბ სიბრტყეზე ზოგ შემთხვევაში მოპირკეთებულია სუფთად ან სხვადასხვა პროფილით გათლილი ქვებით და ზოგადი ფორმით ძლიერ სქემატიზირებულ მუკარნასს წააგავს (აბათხევი, ნაოხრები, კარტიკამი, ვარევანი, ხულგუმო), უფრო იშვიათად კი მისი დეკორი უფრო გართულებული ხასიათისაა და სხვადასხვა სახის ელემენტებს (მაგალითად, ვოლუტებს, ფრთიან დისკოებს, მცენარეულ მოტივებს) შეიცავს (სხვილისი, ალასტანი, ტურცხი) (ილ. 194,). ხშირად დამხმარე ოთახების დასავლეთ კედლებში ძირითადი სივრცის მხარეს, წმინდანთა ფიგურების განსათავსებლად, ღრმა თაღოვანი ნიშებია გაკეთებული.

რამდენიმე ეკლესიაში შემორჩენილია ბემასა და აფსიდს შორის, ტრაპეზის უკან განთავსებული ხის მაღალი ტრიპტიქები. ისინი კათოლიკურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული რერედოსისა და რეტაბლოს თავისებურ შერწყმას წარმოადგენს და, შენობების მასშტაბებიდან გამომდინარე, ზომითა და გაფორმების სიუხვით ბევრად ჩამორჩება დიდი ეკლესიებისა და კათედრალებისას. მცირე არქიტექტურული ფორმებითა და დეკორატიული ელემენტებით შემკული ტრიპტიქების ცენტრალური ნაწილი, სადაც მთავარი ხატია ჩასმული, ტრაპეზის ზემოთ არის აღმართული. გვერდითი ფრთების ქვეშ მოწყობილია გასასვლელები, რომელთა მეშვეობით საკურთხევლის უკანა ნაწილში შეიძლება მოხვედრა (ალასტანი, თორია, წინუბანი, ტურცხი, ხულგუმო, ეშტია, აბათხევი) (ილ. 255, 214, 237). ეს გასასვლელები, რომაულ-კათოლიკური ტრადიციის შესაბამისად, ტრაპეზის აქეთ-იქით დაკიდული ფარდების თავისებური ინტერპრეტაცია უნდა იყოს. მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით ისინი სიახლოვეს ამჟღავნებს XIX საუკუნის იკონოსტასებთან, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული

რუსეთის იმპერიაში და მათ შორის საქართველოშიც. ზოგიერთ ეკლესიაში ტრიპტიქებთან ერთად სახატე ჩარდახებიც დგას. ისინი დამხმარე ოთახების დასავლეთი კედლების წინ, კედლის ნიშების ადგილას არის მოთავსებული (თორია, ტურცხი, ხულგუმო, ალასტანი). მათი დეკორატიული გაფორმება, როგორც წესი, ტრიპტიქებისას იმეორებს. იმ ეკლესიებში, სადაც ასეთი რერედოსები არ არის, საკურთხეველში მხოლოდ ტრაპეზი და მის თავზე აღმართული ხატი დგას.

სომხური-კათოლიკური რიტის თავისებურებას წარმოადგენს ბემის ქუსლების დონეზე გადებული ლითონის ჰორიზონტლური ძელი, რომელზეც ფარდა ჰკიდია. ძველი აღმოსავლეთის ეკლესიის ტრადიციის თანახმად, ის მესის გარკვეულ მონაკვეთებში საკურთხევლის მლოცველებისგან მთლიანად დასაფარად გამოიყენება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამცხე-ჯავახეთის ყველა კათოლიკურ ეკლესიაში ღმრთისმსახურებაზე დამსწრე ქალებისათვის დასავლეთი კედლის წინ ხის გალერეაა მოწყობილი. გვხვდება ერთ (ალასტანი, ბავრა, კარტიკამი, თორია, უჯმანა, ვარევანი, კარტიკამი, აბათხევი, არალი), ორ (წინუბანი, ტურცხი, სხვილისი, ეშტია) და სამსართულიანი (ნაოხრები) გალერეები (ილ. 257, 195, 161). ისინი ხის სვეტებზეა გამართული და თითქმის ყოველთვის სამ კომპარტიმენტად იყოფა. სამივეს რიკულებით შედგენილი მრუდხაზოვანი მოაჯირი აქვს. როგორც წესი, მათზე მოხვედრა ეკლესიის ინტერიერიდან, გალერეის პირველი იარუსის ქვეშ მოწყობილი ხის კიბით ან კიბეებით არის შესაძლებელი. ზოგიერთ ეკლესიაში საგანგებოდ იყო მოწყობილი გარედან შესასვლელები. მათი მეშვეობით ქალებს გალერეაზე მოხვედრა ეკლესიის ძირითადი სივრცის გავლის გარეშე შეეძლოთ. ასეთი შესასვლელები სამცხეში იშვიათია და სულ ორ ეკლესიას აქვს (არალი და აბათხევი). მსგავსი ფუნქციური გადაწყვეტის ნიმუშები შეიძლება ინახოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში - გუმუშჰანეს მახლობლად მდებარე სურბ სარქისისა და კურუმის

ეკლესიებში (ორივე XIX საუკუნის II ნახევარს განეკუთვნება), [712] ასეთივე გალერეები ჰქონდა ართვინის სომხურ-მონოფიზიტურ და სომხურ კათოლიკურ ეკლესიებს. [713] ღმრთისმსახურებაზე დამსწრე ქალებისათვის გალერეების მეშვეობით განცალკევებული სივრცის მოწყობა ოსმალეთის იმპერიაში შემუშავებული წესი ჩანს და ის ერთნაირად დამახასიათებელი იყო XIX საუკუნის ანატოლიის როგორც ბერძნულ-მართლმადიდებლური, ისე სომხურ-მონოფიზიტური და სომხურ-კათოლიკური ეკლესიებისათვის.[714]

იოანე ხოჯაშვილის ცნობით, 1817 წლის 8 აპრილს ახალციხის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში „... ქალების ჩარდახი ჩამოწვა წირვაზედ, ბევრი დაიტანა, მაგრამ არავინ მოკლა, უზიანოთ."[715] ეს ცნობა მოწმობს, რომ დასავლეთი კედლის წინ ხის გალერეის მოწყობის წესი სამცხე-ჯავახეთში 1829 წელს ოსმალეთიდან სომეხი კათოლიკეების გადმოსახლებამდე უკვე არსებობდა.

სამრეკლოები

სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიების განუყოფელ ნაწილს სამრეკლო წარმოადგენს. მათი აღმართვა შესაძლებელი გახდა 1828 წელს რეგიონის რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ. პირველი სამრეკლოებს მარტივი სტრუქტურა ჰქონდა. ისინი ხის ოთხი სვეტისგან შედგებოდა და სრულდებოდა პატარა სახურავით, რომლის ქვეშაც ზარი ეკიდა.[716] მოგვიანებით ხის სამრეკლოები ქვის კაპიტალურმა ნაგებობებმა შეცვალა. გვხვდება სამი ტიპის სამრეკლო: ცალკე მდგომი, უშუალოდ

712. Anthony Bryer and others, *The Post-Byzantine Monuments of the Pontos*, part 3, 311; Part 4, 157, 261.
713. Константин Мачавариани, *Сборник Материалов для описнаия Местностей и Племен Кавказа*, выпуск двадцать втарой (Тифлис: Типография Канцелярий Главноначальствующаго гражданскою частю на Кавказе, К. Козловскаго и А. Федорова, 1897), 17.
714. Anthony Bryer and others, *the Post-Byzantine Monuments of the Pontos,* part 3, 347, 348.
715. იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბინაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალციხური ქრონიკები დღიური-მატიანე,* 197.
716. F. Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase,* t. II, Paris, 1839, 266.

ეკლესიის კედელზე (ძირითადად დასავლეთისაზე) მიდგმული და სახურავის კეხის დასავლეთ ბოლოზე აღმართული.

პირველ ტიპს მიეკუთვნება არალისა (1860) და ახალციხის რაბათში მდებარე ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიების სამრეკლოები (ილ. 140, 120). თლილი ქვით ნაშენი სამსართულიანი ნაგებობების პირველ სართულს კვადრატული გეგმა აქვს და ყრუ მასიურ ცოკოლს წარმოადგენს. მეორე და მესამე სართულები ოთხი ნახევარწრიულთაღოვანი ღიობით არის გახსნილი. სავარაუდოდ, ორივე სამრეკლო ერთ პერიოდში, ერთი სამშენებლო ჯგუფის მიერ უნდა იყოს აგებული და ისინი სამცხე-ჯავახეთის ეკლესიების ქვით ნაგებ სამრეკლოებს შორის უადრესია.

მეორე ტიპის სამრეკლო, წინასგან განსხავებით, ცალკე კი არ დგას, არამედ უშუალოდ ეკლესიის მთავარ შესასვლელზეა მიდგმული. ასეთი სამრეკლოები აქვს ახალციხის წმ. ჯვრის (1881), სხვილისის (1890-იანი წლები), ხიზაბავრასა (1896-1898) და წინუბნის (1908) ეკლესიებს (ილ. 128, 197, 184, 219). ასეთივე ჰქონდა ახალციხის წმ. იოანე ნათლისმცემელს (1908-1912). ორ ან სამსართულიანი კვადრატული გეგმის სამრეკლოების პირველი სართული ოთხი ღიობით გახსნილ კარიბჭეს წარმოადგენს. თუ სამრეკლო სამსართულიანია, მაშინ მისი მეორე სართული პირველის ფორმასა და დანაწევრების ხასიათს იმეორებს. ბოლო სართული ექვს ან რვაწახნაგა ფანჩატურია, რომელიც მრგვალ სვეტებითა და მათზე გადაყვანილი თაღებითაა შედგენილი.

სამცხე-ჯავახეთის კათოლიკურ ეკლესიებში სიმარტივისა და ეკონომიურობის გამო ყველაზე ფართოდ სახურავის დასავლეთ კეხზე განთავსებული სამრეკლოები იყო გავრცელებული. მათი უმეტესობა მცირე ზომისაა, ერთსართულიანი (გამონაკლისია მხოლოდ ეშტია, სადაც სამრეკლო ორსართულიანია) და ოთხ (ვალე, აბათხევი, წყალთბილა, ბავრა, უჯმანა) ან ექვსმალიან (ნაოხრები, ეშტია, ხულგუმო, ალასტანი, კარტიკამი, ვარევანი) ფანჩატურს წარმოადგენს (ილ. 153, 235, 247). სამრეკლო ამოჰყავთ წრიულ პოსტამენტზე ან ქვის კრონშტაინებზე მოწყობილ მართკუთხა

ბაქანზე. რამდენიმე ეკლესიაში სამრეკლოზე ასასვლელი დასავლეთი კედლის ფარგლებშია მოწყობილი. ბუხრის მილივით ვიწრო სივრცე როგორც ფასადზე, ისე ინტერიერში ეკლესიის კედლის სიბრტყიდან გამოწეულია და მსხვილ კრონშტაინებს ეყრდნობა (წყალთბილა, ვარევანი, ალასტანი) (ილ. 181, 258).

ზოგადი არქიტექტურული ფორმისა და სამშენებლო მასალის გარდა, ზემოთ აღწერილი სამივე ტიპის სამრეკლო მხატვრული გაფორმების თვალსაზრისითაც ჰგავს ერთმანეთს. თითქმის ყველგან სვეტების კაპიტელები შემკულია ექინის კუთხეებიდან ჩამოზრდილი გეომეტრიული ფორმის მოცულობებით. ზოგან ამ მოცულობებს მართკუთხა ფორმა აქვს (აბათხევი, ნაოხრები, ვარევანი, ახალციხის წმ. ჯვარი, არალი, წინუბანი), ზოგან ცილინდრის (წყალთბილა, ვალე, ეშტია, ალასტანი). რამდენიმე შენობაზე სვეტისთავები ოდნავ განსხვავებულად არის შემკული. გვხვდება, გირჩის მსგავსი წახნაგოვანი მოცულობები (ახალციხის რაბათის ღმრთისმშობელი, უჯმანა), ვოლუტები (ბავრა) და სქემატური ,,სტალაქტიტები" (სხვილისი და ხიზაბავრა).

მსგავსი სახით გაფორმებული სვეტისთავები მხოლოდ კათოლიკურ ეკლესიებისთვის არ არის დამახასიათებელი. მაგალითად, ახალციხის წმ. მარინეს სომხურ-მონოფიზიტურ ეკლესიაზე (1863-1868) ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტების თითქმის სრული სპექტრია წარმოდგენილი. ინტერიერის სვეტებს ,,გირჩები", სამრეკლოებს კი ვოლუტები და მსუბუქად დაკუთხოვანებული ცილინდრები ამკობს. მართკუთხა მოცულობებით არის გაფორმებული ახალციხის რაბათის წმ. სტეფანეს სომხურ-მონოფიზიტური ეკლესია (1897). რეგიონის გარეთ გირჩის ფორმის ელემენტები გამოყენებულია ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის ფასადზე, აღმოსავლეთი კედლის მეორე იარუსის სვეტების გასაფორმებლად.

სვეტების ზემოთაღწერილ გაფორმებას საქართველოს ფარგლებს გარეთ პარალელები პონტოს რეგიონში ეძებნება. მაგალითად, მართკუთხა ფორმის ელემენტები აქვს ზემო აულეანას მეოთხე ეკლესიის ინტერიერის

სვეტებს, ხოლო გირჩისებრი, რომელსაც ე. ბრაიერი „გადმობრუნებული ჩალმის მოტივს“ უწოდებს, კალურის მთავარი ეკლესიის ინტერიერის სვეტებს.[717]

მშენებელი ოსტატები და სამშენებლო ტექნიკა

როგორც ცნობილია, XIX საუკუნეში საქართველოში აქტიურ სამშენებლო საქმიანობას ეწეოდნენ ბერძენი ოსტატები, რომელთა მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით არაერთი შენობაა აგებული თუ შეკეთებული.[718] სხვა კონფესიის რელიგიური შენობების მსგავსად, მათი აშენებულია სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიების უმეტესობაც.

ბერძნების გადმოსახლება ახალციხის რაიონში რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. მათი დიდი ნაკადი რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის 1829 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული ადრიანოპოლის ზავის შემდეგ გიუმუშხანედან და ერზერუმიდან წამოვიდა და სამხრეთ საქართველოში დასახლდა. [719] ემიგრანტთა მეორე ტალღა 1864 წელზე მოდის.[720]

საქართველოში დამკვიდრებულ ბერძნებთან ერთად, აქ ოსმალეთის ქვეშევრდომად დარჩენილებიც საქმიანობდნენ. სამშენებლო საქმეში გაწაფული ოსტატებისთვის სამუშაოს საძებნელად მეზობელ იმპერიაში

---

717. Anthony Bryer and others, *The Post-Byzantine Monuments of the Pontos*, part 3, 358, სურ. 360, 361; Part 4, 217, სურ. 177.

718. მალაქია დვალი, *მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი* (თბილისი: მეცნიერება, 1974), 28.

719. ირინე გარაყანიძე, ,,საქართელოში ბერძენთა გადმოსახლების ისტორია (XVIII-XX სს.)”, წიგნში: *ბერძნები საქართველოში* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990), 58; Candan Badem, “Forty Years of Black Days?” The Russian Administration of Kars, Ardahan, and Batum, 1878-1918, *Russian-Ottoman Borderlands the Eastern Question Reconsidered*, Lucien J. Frary and Mara Kozelsky, eds., (Madison, Wisconsin: University of Wisconsin Press, 2014), 234; Anthony Bryer and others, *the Post-Byzantine Monuments of the Pontos*, part 3, 329.

720. სიმონ ყაუხჩიშვილი, ,,ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში”, *ალ. წულიკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები*, ტ. IV (ქუთაისი, 1942), 238.

გამგზავრება მიღებული პრაქტიკა იყო და მათ ასეთ აქტიურ მოძრაობას არცერთი ქვეყანა ზღუდავდა.

ბერძენმა ოსტატებმა თან საკუთარი სამშენებლო ტექნიკა და არქიტექტურული ელემენტების სახასიათო რეპერტუარი მოიტანეს, რაც მშენებლების ვინაობაზე ისტორიული წყაროს არარსებობის შემთხვევაშიც კი საშუალებას გვაძლევს დიდი ალბათობით ამა თუ იმ ეკლესიის მშენებლობა მათ მივაწეროთ. პირველ რიგში ეს არის ქვის თლის ძალიან სპეციფიური მანერა, რომელიც ბერძნების მშენებლობასთან დაკავშირებულ არაერთ ნაგებობაზე გვხვდება - კვადრებს გარშემო მოკლე და ხშირი ნაფხაჭნებით გამოყვანილი „ჩარჩო“ ევლება, შუაგული კი ჰორიზონტალურად არის გათლილი. ზოგან კიდეები მოსწორებულია, ქვის შუაგული კი მოკეჭნილი და ხაოიანია. ნებისმიერ შემთხვევაში ზედაპირზე გარკვევით იკითხება საჭრეთელის კვალი. ასეა გათლილი მაგალითად ქუთაისის ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის (1826-1862), სუჯუნას წმ. გიორგის (1838-1846), მანგლისის (1850-1856 წლების განახლება), ახალციხის წმ. მარინეს (1868-1898), ქუთაისის მაცხოვრის ამაღლების (1890-1893) და ზემო აკეთის (1899) ეკლესიების პერანგები. სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიების ფასადები თითქმის უგამონაკლისოდ ანალოგიურად გათლილი ქვის კვადრებით არის მოპირკეთებული.

სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიები არქიტექტურული გაფორმების ხასიათითა და ტექნიკური ელემენტების გამოყენების თვალსაზრისით დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს პონტოს რეგიონის პოსტბიზანტიურ ძეგლებთან. პირველ რიგში ესაა ზემოთ უკვე ნახსენები კარ-ფანჯრების შემომსაზღვრელი ჯვრის ფორმის საპირეები (ახალციხის წმ. ჯვარი (1866), ალასტანი (1863), ვარევანი (1890-იანი წლები), კარტიკამის ეკლესიის მღვდლის სახლი (1876)),[721] (ილ. 260, 234, 288) დასავლეთის ან აღმოსავლეთის ფრონტონში გაჭრილი პატარა ჯვრის ან ოთხყურა ყვავილის ფორმის სარკმლები (სხვილისი, ხიზაბავრა, უდე) და სვეტისთავების

721. Anthony Bryer and others, *The Post-Byzantine Monuments of the Pontos*, part 4, 263.

მამკობი მართკუთხა თუ ცილინდრული ფორმის ელემენტები (თითქმის ყველა ეკლესია).

პონტოელი მშენებლები საეკლესიო შენობებში სვეტების ან თაღების გასამყარებლად ფართოდ იყენებდნენ ლითონის ჰორიზონტალურად გადებულ ძელებს.[722] ასეთი ძელები სამცხე-ჯავახეთის თითქმის ყველა ეკლესიაში და სამრეკლოზე გვხვდება, იქაც კი, სადაც თაღის სიმცირის გამო მათი გამოყენება თითქოს ზედმეტია. ეს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ხშირად მათ არა საჭიროების მიხედვით, არამედ უბრალოდ სამშენებლო ჩვევის გამო მიმართავდნენ.

საფიქრებელია, რომ დროთა განმავლობაში ბერძენთა სამშენებლო ტექნიკას ადგილობრივი ქართველი ან სომეხი ოსტატებიც დაუფლებოდნენ და ზოგიერთი ეკლესია შესაძლოა შერეული არტელების მიერაც იყოს აგებული, თუმცა ქვის თლის მაღალი კულტურა ბოლო დრომდე მხოლოდ ბერძნებმა შეინარჩუნეს.

სამწუხაროდ, სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიების მშენებელთა სახელები ჩვენთვის უცნობია. გამონაკლისია ვალეს ეკლესიის სამხრეთი კარის რელიეფური ფილა, რომელიც ვინმე ΙΟΔΙΑΙΣΠΑΠΑ (იოდიაისპაპა) ან ΙΟΑΝΙΣΠΑΠΑ (იოანისპაპა) იხსენიებს. სავარაუდოდ, ის ეკლესიის მაშენებელი ოსტატი ან რელიეფების ავტორი უნდა იყოს.

722. იქვე, part 1, 236, სურ. 2, 4; Part 3, 233, სურ. 65.

3.4. შავშეთი, კლარჯეთი და არტაანი

1550-იან წლებში ოსმალეთმა დაიპყრო ჭოროხის აუზის პროვინციები (ტაო, კლარჯეთი, შავშეთი), ხოლო 1570-იან წლებში - მტკვრის ხეობის ზედა წელისა (კოლა-არტაანი, სამცხე, ჯავახეთი). ამის შემდეგ მთელ რეგიონში ოსმალური ადმინისტრაცია და კანონმდებლობა დამკვიდრდა. შესაბამისად, მისი ქართული ქრისტიანული მოსახლეობაც ოსმალეთის იმპერიის ეროვნულ-კონფესიური პოლიტიკის ჩარჩოში - მილეთების სისტემაში მოექცა. უკვე XV საუკუნის შუახანებში შეიქმნა ორი ქრისტიანული მილეთი - ბერძნული და სომხური, ამასთან იმპერიის მართლმადიდებელი ქართველობა (ყოფილი სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობა) მიეწერა სომხურ მილეთს.[723] ძნელია ითქვას, რატომ გადაწყვიტა ასე პორტამ, შესაძლოა, აქ მნიშვნელობა გეოგრაფიულმა ფაქტორმა იქონია. ასეა თუ ისე, არ ჩანს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სულიერ ცხოვრებაზე ამ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებას რაიმე არსებითი გავლენა მოეხდინოს. წერილობითი წყაროების მონაცემები ოსმალთა მიერ დაპყრობილი რეგიონში რელიგიური ვითარების შესახებ მეტად მწირია. ისინი მოწმობს, რომ XVII საუკუნის მიწურულამდე ყოფილ სამცხე-საათაბაგოში საეკლესიო იერარქია არ მოშლილა. აქა-იქ გვხვდება ცნობები რეგიონის ცალკეულ ეპარქიებში ეპისკოპოსების დანიშვნის შესახებ. XVII საუკუნის შუა ხანებში ან II ნახევარში იხსენიება ერუშნელი ეპისკოპოსი დიონისე ლარაძე, რომელიც შემდეგ ქართლში გადავიდა და მროველი გახდა.[724] 1637 წელს მტბევრად დაჯდა გედეონ საფრიძე. უკვე 1650 წელს მან მაწყვერლობა და იშხნელობაც მიიღო. მანამდე იშხნელად -

723. Malachia Ormanian, *L'église arménienne. Son histoire, sa doctrine, son régime, sa discipline, sa liturgie, sa litterature, son present* (Paris: E. Leroux, 1910), 77; შოთა ლომსაძე, *გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები* (თბილისი: მეცნიერება, 1979), 27; Mario Apostolov, *Religious Minorities, Nation States ans Security: Five Cases from the Balkans ans the Eastern Mediterranean* (Aldershot: Ashgate, 2001), 32.

724 . თედო ჟორდანია, *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*, წ. III (თბილისი: მეცნიერება, 1967), 59.

მთავარეპისკოპოსის წოდებით - იხსენიება მაკარი. გედეონ საფრიძის შემდეგ იშხნელი, როგორც ჩანს, ხდება გერმანოსი - ამჯერად უკვე მიტროპოლიტის ტიტულით. 1687 წელს ჩანს ნიკოლოზ იშხნელი.[725]

XVIII საუკუნიდან ცნობები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსების შესახებ აღარ არის. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, როგორც ორგანიზაციამ აქ ფუნქციონირება შეწყვიტა, მხოლოდ კლარჯეთის მონასტრებში იყვნენ აქა-იქ შემორჩენილი ბერები („სრულიად არღარა იპოებიან მუნ მორწმუნეთაგანი, თჳნიერ კლარჯეთისა მსხემთა“ - წერს ბერი ეგნატაშვილი) [726] და ცალკეულ სოფლებში - მღვდლები. მოძღვრების გარეშე დარჩენილი მოსახლეობის ნაწილი გამუსლიმდა, ნაწილმა ქრისტიანული რწმენის შესანარჩუნებლად კათოლიციზმს შეაფარა თავი. როგორც ზემოთ, ახალციხის კათოლიკეთა ისტორიის მიმოხილვისას ითქვა, XVIII საუკუნიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გაკათოლიკებულ მრევლს რელიგიურ სამსახურს უწევდნენ მხითარისტების სომხურ-კათოლიკურ მონასტერში (დაარსდა 1701 წელს, 1717 წელს გადავიდა ვენეციაში) ან რომის ურბანოს კოლეჯში აღზრდილი და კონსტანტინოპოლში სომხურ რიტზე ნაკურთხი მღვდლები, რომელთა შორის სომხებიც იყვნენ და ქართველებიც. 1730-40-იანი წლებიდან რეგიონში ჩნდებიან კაპუცინებიც, რომლებიც წირვას ლათინურ რიტზე ატარებენ, თუმცა ზოგჯერ იყენებენ ქართულ ენას. არტაანში, სოფელ ველში იყო ბერძნული რიტის კათოლიკეთა მცირერიცხოვანი თემიც (იხ. ქვემოთ).

რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის შემდეგ სამცხე-ჯავახეთს რუსეთი დაეპატრონა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ნაწილი ოსმალეთის ხელში დარჩა. ამის შემდეგ მოვლენები სხვადასხვა იმპერიებში მოქცეულ რეგიონებში სხვადასხვაგვარად

---

725 . ვალერი სილოგავა, ,,ტაო-კლარჯეთის ეპარქიები”, წიგნში: *ახალციხის და ტაო-კლარჯეთის ეპარქია*, რედ. ვალერი ასათიანი, (თბილისი: ზარზმის მონატრის აღორძინების ფონდი, 2013), 690-691, 718-719.

726. *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1959), 427.

განვითარდა. 1830 წელს პაპი პიუს VIII-ის ძალისხმევით ოსმალეთის ქვეშევრდომი კათოლიკე სომხები (და მათთან ერთად სომხური რიტის კათოლიკე ქართველები) სომხური მილეთიდან გამოვიდნენ და ცალკე საკუთარი მილეთი შექმნეს. მისი მეთაური გახდა კონსტანტინეპოლის არქიეპისკოპოსი. კათოლიკეთა მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. 1850 წელს პაპმა პიუს IX-მ სომხურ-კათოლიკური ეკლესიის საეპისკოპოსო კათედრები დააფუძნა ანატოლიის რამდენსამე ქალაქში, მათ შორის ართვინში.[727] 1878 წლის შემდეგ, როცა რუსეთმა ართვინის მხარე მიიერთა, საეპისკოპოსო და იქაური კათოლიკეები ტირასპოლის კათედრას დაუქვემდებარა.

შავშეთ-კლარჯეთში ლათინურმა რიტმა, როგორც ჩანს, ფეხი ვერ მოიკიდა, მიუხედავად ევროპელ მისიონერთა ცალკეული მცდელობებისა. რუსეთის ხელისუფლება დაბრკოლებებს უქმნიდა მათ საქმიანობას. პრასკოვია უვაროვა ჰყვება იეზუიტი მისიონერის შესახებ, რომელიც 1887 წელს ერთხანს ნაყოფიერად მოღვაწეობდა კლარჯეთში. როცა ეს ამბავი გახმაურდა, ხელისუფლებამ მისიონერის დაპატიმრების ბრძანება გასცა, მაგრამ მან მიმალვა მოასწრო.[728]

კლარჯეთში და ზოგადად „ოსმალეთის საქართველოში“ ყველაზე დიდი კათოლიკური თემი ართვინში ცხოვრობდა. გიორგი ყაზბეგის 1874 წლის ცნობით, სომეხ კათოლიკეთა რაოდენობა ქალაქში 600 კომლს აღწევდა.[729] ევგენი ვეიდენბაუმი, რომელმაც რეგიონში ოთხი წლით გვიან იმოგზაურა, 800 კომლს უთითებს.[730]

---

727. *Cyclopaedia of Biblical, Theological, and Ecclesiastical Literature*, prepared by John McLintok and James Strong, Vol. 10 (New York: Harper & Brothers Publishers, 1891), 592.
728. Прасковья Уварова, *Путевые записки, Кавказ: Аджария, Шавшетия, Посховский участок*, ч. II (Москва: Т-во скоропеч. А. Левенсон, 1891), 303.
729. გიორგი ყაზბეგი, *სამი თვე თურქეთის საქართველოში* (ბათუმი: აჭარა, 1995), 111.
730. ევგენი ვეიდენბაუმი, *ბათუმიდან ართვინამდე (მგზავრის ჩანაწერები)* (თბილისი: არტანუჯი, 2006), 134-135.

კათოლიკეებს ართვინსა და მის გარეუბნებში სამი თუ ოთხი ეკლესია[731] ჰქონდათ. მათ შორის ყველაზე ძველად ითვლებოდა ღმრთისმშობლის ეკლესია ქვემო (ჭოროხისპირა) გარეუბან კორძულში. 1795 წლის სექტემბერში აქ უწირავს ახალციხელ მღვდელს სტეფანე აბინაშვილს.[732] კორძულში ინახებოდა მამაწმინდიდან მოტანილი „ორიგინალური კლიტე“ (ნიკო მარის მიხედვით, ეკლესიის ერთადერთი სიძველე)[733] და ყაზანის ღმრთისმშობლის გვიანი ხატი სლავური წარწერით.[734] ეკლესია 1881 წელს განაახლეს.[735] ზ. ჭიჭინაძის მიხედვით კორძულის ღმრთისმშობელი მცირე ზომის შენობა იყო (12.78 X 10.65 მ) და გალავნით მოფარგლულ პატარა ეზოში იდგა.[736]

ართვინში იყო წმ. პეტრესა და პავლეს სახელობის საეპისკოპოსო ტაძარი. მისი არქიტექტურის მოკლე და ბუნდოვანი აღწერა ეკუთვნის კვლავ ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელმაც ართვინში XIX საუკუნის მიწურულს იმოგზაურა:

---

731. გ. ყაზბეგის, კ. მაჭავარიანისა და გ. მოსკვიჩის მიხედვით ოთხი, ვეიდენბაუმის მიხედვით სამი. იხ.: გიორგი ყაზბეგი, *სამი თვე თურქეთის საქართველოში*, 111; Константин Мачавариани, *Сборник Материалов для описнаия Местностей и Племен Кавказа*, выпуск двадцать втарой (Тифлис: Типография Канцелярий Главноначальствующаго гражданскою частю на Кавказе, К. Козловскаго и А. Федорова, 1897), 15; Григорий Москвич, *Иллюстрированный практический путеводитель по Кавказу* (Одесса: Тип. Л. Нитче, 1902), 455; ევგენი ვეიდენბაუმი, *ბათუმიდან ართვინამდე*, 134-135.

732. იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბნაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალციხური ქრონიკები, დღიური-მატიანე*, 170.

733. Марр Николай, ,,Дневник поездки в Шавшию и Кларджию“, წიგნში: Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. Грузинский текст, Введение, издание, перевод Н. Марра, *Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии,* кн.VII (С.-Петербург, 1911), 202. ნ. მარის ცნობით, ადგილობრივი სომხები ამბობდნენ, რომ ტოპონიმი კორძული/კორზული არის დამახინჯებული ქართული „კარწვრილი“ (იქვე).

734. Прасковья Уварова, *Путевые записки*, 311; გიორგი ყაზბეგი, *სამი თვე თურქეთის საქართველოში*, 111-112. გ. ყაზბეგის მიერ ამ ეკლესიაში ნანახი საბუთი, რომელშიც მხედრული ქართულით ეწერა, რომ ვინმე ნიკოლოზ ხანოვმა 1501 წელს კათოლიკურ ეკლესიას პაპ სიქსტის სადიდებლად მიწა შესწირა, სრულიად არასანდოა. თავად გ. ყაზბეგი შენიშნავს, ის არსებით შეუსაბამობებსა და ანაქრონიზმებს შეიცავსო (იქვე, 112, შენიშვნა *). როგორც ჩანს, ან საბუთი იყო უხეიროდ ნაყალბევი, ან გ. ყაზბეგმა ვერ წაიკითხა ის სწორად.

735. Rev. Christopher Lawrence Zugger, *The forgotten Catholics of the Soviet Empire from Lenin through Stalin* (New York: Syracuse University Press 2001), 60.

736. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში*, 101.

ეკკლესიას აქვს ათი საჟენი სიგრძე, რვა საჟენი სიგანე, სიმაღლეც საკმარისი. წინ კარის შესავალთან არის ოთხი ბურჯი და მასზედ გადაყვანილია თაღი ეკკლესიის კედლამდე, ეკკლესიას შიგ თითო მხარეს სამ-სამი სვეტი აქვს, შიგ მორთულია საკმარისად მდიდრად და ბევრი ძველი საეკკლესიო ნივთებიც აქვს. იგი საეპისკოპოზო ეკკლესიად ითვლება.[737]

ამ აღწერის თანახმად წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესია დიდი ზომის (21.30 X 17.04 მ) სამნავიანი ბაზილიკა ჩანს, სამი წყვილი სვეტითა და დასავლეთიდან მიდგმული კარიბჭით თუ სამრეკლოთი. ის ძველი ეკლესიის ადგილას 1837 წელს აუგიათ.[738]

კათოლიკეთა მესამე სამლოცველო ართვინში წმ. გრიგოლ განმანათლებლის სახელობის ყოფილა. ის 1865 წელს ძველი, მანამდე არაერთხელ განახლებული შენობის ადგილზე ააგეს. მოზრდილი ეკლესია (19.17 X 10.65 მ) ქვით იყო ნაგები: ,,... ახალი ეკკლესია, რომელსაც 9 საჟენი სიგრძე აქვს და 5 სიგანე ... ნაშენი არის ბელტის ქვებით და მაგარის ტალახისაგან".[739]

ართვინის ეკლესიებიდან ორი მოჩანს ს. პროკუდინ-გორსკის მიერ 1909 წელს გადაღებულ ქალაქის საერთო ხედში, თუმცა მათი ზუსტი იდენტიფიცირება მხოლოდ ამ ფოტოზე დაყრდნობით შეუძლებელია (ილ. 293).[740]

სომხური რიტის კათოლიკეები მოსახლეობის უმეტესობას შეადგენდნენ კლარჯეთის ისტორიულ ცენტრ არტანუჯში. მათ შორის ბევრი იყო ქართველი, რომელთაც ქართული ენა XVIII საუკუნის ბოლომდე მაინც შენარჩუნებული ჰქონდათ არა მხოლოდ ყოფაში, არამედ საეკლესიო ცხოვრებაშიც. [741] 1784 წლით დათარიღებულ ქადაგებათა ქართულ

---

737. იქვე, 117-118.
738. იქვე, 117; Rev. Christopher Lawrence Zugger, *The forgotten Catholics*, 60.
739. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 70-71; Rev. Christopher Lawrence Zugger, *The forgotten Catholics*, 60.
740. გიორგი კალანდია, *ს. პროკუდინ-გორსკი, ფერადი წარსული* (თბილისი, 2006), 66.
741 . XIX საუკუნის მანძილზე შავშეთ-კლარჯეთის ქართველ კათოლიკეთა თანდათანობითი გასომხების საილუსტრაციო საინტერესო მაგალითი მოაქვს ნ. მარს: ბაბუამ, რომელიც 1800 წლის ახლო ხანებში უნდა ყოფილიყო დაბადებული, იცოდა

კათოლიკურ წიგნს აქვს მინაწერი: „მე, მონა მონათა, უმსახურმა პავლე არტანუჯელმა დიაკონმა დავწერე ეს უმცირეს ნაწერსა“. [742] არტანუჯში იდგა 1790-იან წლებში აგებული (ალბათ უფრო ძველის ადგილას) კათოლიკური ეკლესია. [743] 1794 წლის 15 მაისს აქ ბარობად დაუნიშნავთ ვინმე ოჰანათი.[744] ,,ახალციხურ ქრონიკებში" 1818-1824 წლებში იხსენიება არტანუჯელი ტერ პოღოსი.[745] ზ. ჭიჭინაძის ცნობით, არტანუჯის ეკლესია 1830 წელს განუახლებიათ და გაუფართოებიათ.[746]

სომხური რიტის კათოლიკეები ცხოვრობდნენ ასევე კლარჯეთის ორ სოფელში. ფხიკიურში ისინი მთელ მოსახლეობას შეადგენდნენ (25-ზე მეტი კომლი 1874 წელს), ჰქონდათ ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია, აგებული ძველი ქართული ეკლესიის ნანგრევებზე. [747] დიდ სოფელ ტანძოთში კათოლიკეები ცოტანი იყვნენ (სულ 6 კომლი 1904 წელს), საკუთარი ეკლესია მათ არ გააჩნდათ.[748]

შავშეთში დიდი კათოლიკური თემი იყო დაბა სათლეში (თურქების გამოთქმით - სათლელი), კერძოდ მის სომხურ გარეუბან სათლელ-რაბათში. გიორგი ყაზბეგის მიხედვით, აქ ცხოვრობდა 40 კომლი

მხოლოდ ქართული, შვილმა - ქართული და, სავარაუდოდ, სომხურიც, შვილიშვილმა (დაბადებულია დაახლოებით 1855 წელს) - მხოლოდ სომხური. მას სახელიც და გვარიც სომხური აქვს. ერთადერთი, რაც მას ქართველობასთან ჯერ კიდევ აკავშირებს, ხსოვნაა. რამდენიმე თაობის შემდეგ ეს ხსოვნაც დაიკარგება (Николай Марр, ,,Дневник поездки в Шавшию и Кларджию", 164-165).

742 . *ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა*, შეადგინეს ილ. აბულაძემ, მ. ქავთარიამ და ც. ჭანკიევმა (თბილისი: მეცნიერება, 1987), 194. დათარიღებისათვის იხ.: შოთა ლომსაძე, *გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან*, 235-236.

743. დავით ხოშტარია, *კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები* (თბილისი: არტანუჯი, 2006), 79.

744 . იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბნაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალციხური ქრონიკები, დღიური-მატიანე*, 166.

745. იქვე, 198, 205.

746. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 90.

747 . გიორგი ყაზბეგი, *სამი თვე თურქეთის საქართველოში*, 97; ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 96.

748 . Николай Марр, ,,Дневник поездки в Шавшию и Кларджию", 104. ტანძოთში გაცილებით მეტნი იყვნენ მონოფიზიტი სომხები - 110 კომლი. 1843 წელს მათ ეკლესიაც აიშენეს. ეს დარბაზული შენობა სომხური წარწერით კარის თავზე დღემდე შემორჩა. იხ.: Osman Aytekin, *Ortaçağ'dan Osmanlı Dönemi Sonuna Kadar: Artvin'deki Mimarı Eserler* (Ankara: Kültür Bakanliği Yayinlari, 1999), 291, ტაბ. 223; ზ. ჭიჭინაძის ცნობა, რომ ტანძოთში კათოლიკეებს წმ. ანტონის სახელობის ეკლესია ჰქონდათ, სხვა წყაროებით არ დასტურდება. იხ.: ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 91.

კათოლიკე, რომლებიც შავშეთის ბეგმა სელიმ ხიმშიაშვილმა (ახალციხის ფაშას სელიმ-ბეგის შვილიშვილმა) დაასახლა 1850-იან წლებში.[749] ნიკო მარის ცნობით, სათლელ-რაბათში სომეხ კათოლიკეებს ჰქონდათ ეკლესია, აშენებული ძველი ეკლესიის ნანგრევზე „125 წლის წინ“, ე. ი. 1780 წლის ახლო ხანებში. ძველი წყობა განირჩეოდა საკურთხეველში დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლემდე. კედლებში ჩართული იყო ქვაჯვარები, ზოგი სომხური წარწერით. ეკლესიის ეზოში იდგა სოფელ გუნათლედან (გურნათელიდან) მოტანილი 1,1 მეტრი სიმაღლის სტელა ჯვრებით სამ წახნაგზე.[750] ზ. ჭიჭინაძის მიხედვით შავი თლილი ქვით ნაგები ეკლესია წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელზე იყო ნაკურთხი.[751]

არტაანში იყო ერთი დიდი კათოლიკური სოფელი - ველი. ისტორიულად ის მთლიანად ქართული სოფელი იყო. ზეპირი გადმოცემით, რომელიც სოლომონ ასლანიშვილმა ჩაიწერა და გამოსცა,[752] 1723 წელს ველში ჩავიდა ევროპელი კათოლიკე (ალბათ კაპუცინი) მისიონერი. მოკლე ხანში მან ველელების ნდობა მოიპოვა და კათოლიკურ აღმსარებლობაზე გადაიყვანა ჯერ სოფლის მღვდელი და შემდეგ მთელი მოსახლეობა, მაგრამ რომიდან მღვდლის გამოგზავნა დაყოვნდა და ახლადგაკათოლიკებული მრევლი მოძღვრის გარეშე დარჩა. მოკლე ხნის შემდეგ ველში მისიონერულ მოღვაწეობას შეუდგნენ მელკიტები - ბერძნულ-ბიზანტიური რიტის სირიელი კათოლიკეები. შედეგად, მალე მოსახლეობა ბერძნულ რიტზე გადავიდა, მაგრამ ამით პრობლემა არ გადაჭრილა - მისიონერები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, მრევლი კი მღვდლის გარეშე რჩებოდა. 1760-იან წლებში ველელებმა დასახმარებლად ისევ კაპუცინებს მიმართეს. 1769 წლის ერთი წერილიდან ჩანს, რომ პროპაგანდა ფიდე ცდილობს მოძებნოს ბერძნული ტიპიკონის მღვდელი,

---

749. გიორგი ყაზბეგი, *სამი თვე თურქეთის საქართველოში*, 84. სათლეს ისტორიისათვის იხ.: დავით ხოშტარია, *კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები*, 255-256.
750. Николай Марр, ,,Дневник поездки в Шавшию и Кларджию", 27-29.
751. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში*, 86.
752 . სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი, ,,ველელები", წიგნში: *წერილები ,,ოსმალოს საქართველოზე"* (თბილისი: არტანუჯი, 2008), 186-197.

რომელიც მოხუც და დასნეულებულ ველელ მღვდელს შეცვლის.[753] დაახლოებით 1780-იან წლებში კაპუცინებისადმი გაგზავნილ წერილში ველელები ითხოვენ მღვდელს, რომელიც „ქართველ რიგზედ“ მოუვლის მრევლს.[754] 1784-1787 წლებში ველში ისევ კაპუცინი მღვდელია, პატრი პოლიკარპო მანტუელი. კაპუცინი პატრი, რომლის სახელიც უცნობია, ველში მსახურობდა 1794 წელს.[755] პარალელურად, ჩანან სომხური რიტის კათოლიკეებიც, რომლებიც ცდილობენ პატრი სოფლიდან გაუშვან და თავიანთი წესის მღვდელი დაიდგინონ.[756] 1778-1780 წლებში აქ წირავდა იოანე ხოჯაშვილი, რომლის ძირითადი მარშრუტი იყო ახალციხე, არტაანი, ველი და ნაქალაქევი.[757] როგორც ჩანს, სომეხმა კათოლიკე მღვდლებმა ყველაზე მეტ წარმატებას მიაღწიეს. 1828 წელს ველელები, ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის სომხური მოსახლეობის ერთ ნაწილთან ერთად გადასახლდნენ ჯავახეთში და დასახლდნენ ოთხ სოფელში - ბავრაში, კარტიკამში, ხულგუმოსა და ტურცხში. 1840-იან წლებში, პავლე შაჰყულიანის რჩევით, ბერძნულ და ლათინურ რიტზე დარჩენილი ველელებიც სომხურ-კათოლიკურ რიტზე გადავიდნენ.[758] ჩამოთვლილი სოფლების დღევანდელი მკვიდრი კათოლიკე სომხები ველელების შთამომავლები არიან.[759] გადმოცემის თანახმად ქართველი კათოლიკეები ასევე ცხოვრობდნენ არტაანის სოფელ ურში.[760]

---

753. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 441.
754. სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი, ,,ველელები”, 186-197
755 . იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბნაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალციხური ქრონიკები, დღიური-მატიანე,* 87.
756. სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი, ,,ველელები”, 186-197
757 . იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბნაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი, *ახალციხური ქრონიკები, დღიური-მატიანე,* 55-59.
758. სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი, ,,ველელები”, 186-197
759 . ალექსანდრე ფრონელი, *დიდებული მესხეთი*, 175; *ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი*, 55.
760. ზაქარია ჭიჭინაძე, *კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში*, 62-63; გიორგი ბოჭორიძე, *მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში*, 142.

თავი 4

ქართველ კათოლიკეთა აღმშენებლობა საზღვარგარეთ

4.1. სტამბოლის ფერიქოის მონასტერი

ქართველ კათოლიკეთა აღმშენებლობა მხოლოდ საქართველოთი არ შემოიფარგლებოდა. მათ სამონასტრო კერები ქვეყნის ფარგლებს გარეთ - თურქეთსა და საფრანგეთშიც ჰქონდათ.

1861 წელს ქართველმა კათოლიკე მღვდელმა პეტრე ხარისჭირაშვილმა სტამბოლის ფერიქოის უბანში ქართული კათოლიკური ეკლესია ააშენა და იქვე დედათა და მამათა მონასტრები დააფუძნა (კაზიმ ორბაის ქ. №27). მალევე, 1864 წელს, ვატიკანმა მხოლოდ აღნიშნული მონასტრებისთვის ქართულენოვანი ტიპიკონი სცნო. პ. ხარისჭირაშვილის რამდენიმეწლიანი გარჯის შედეგად, ის ოფიციალურად დაუმტკიცდა სტამბოლის ქართულ კონგრეგაციას.[761] ქართველ კათოლიკეთათვის ეს მშობლიურ წესსა და ენაზე დაბრუნებას ნიშნავდა, თუმცა ლიტურგიული თვალსაზრისით არსებითად ლაპარაკი იყო ბერძნულ-კონსტანტინეპოლურ (ბიზანტიურ) რიტზე.[762] 1905 წლამდე რუსეთის იმპერიაში კათოლიკეებს ბიზანტიური რიტის გამოყენება ეკრძალებოდათ. ამის გამო ქართველი კათოლიკეების ერთი ნაწილი (ძირითადად სამცხე-ჯავახეთში) სომხურ რიტს მისდევდა, მეორე - ლათინურს. ამ ფონზე ქართულად ლიტურგიის ჩატარების უფლების მოპოვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

---

761 . შოთა ლომსაძე, *გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან,* 72; ნინო დობორჯგინიძე, ,,ზოგიერთი რამ ილიასეული ბარაქალას შესახებ", *კადმოსი* 4 (2012): 90, სქოლიო 39.

762 . ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: ნინო დობორჯგინიძე, უცნობი საქართველო, იტალიის არქივებსა და მუზეუმებში დაცული წყაროების კვლევა და პუბლიკაცია, *მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო კონფერენციის ,,მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა" მასალები* (თბილისი, 2015), 76-80.

ქართული კათოლიკური თემისათვის მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარების მართებულობაზე დავა 1840-იანი წლებიდან დაიწყო, როცა ახალციხეში ერთმანეთს ორი ჯგუფი დაუპირისპირდა. ერთნი, გასომხებული ქართველი მღვდლის, პავლე შაჰყულიანის მეთაურობით, თვლიდნენ რომ კათოლიკე ქართველები უნდა დარჩენილიყვნენ სომხურ ტიპიკონზე, ხოლო მეორენი, რომელთაც პროდასავლური შეხედულებების მღვდელი, შაჰყულიანისავე მოწაფე პეტრე ხარისჭირაშვილი ხელმძღვანელობდა, ამტკიცებდნენ, რომ საეკლესიო მსახურება მხოლოდ მშობლიურ ენაზე - ამ შემთხვევაში ქართულად - ან, უკიდურეს შემთხვევაში, ლათინურად უნდა ყოფილიყო.[763] ლათინური რიტის დაბრუნებისა და ახალციხეში ევროპული მისიონების დაარსების საკითხი ცხარე კამათის საგანი გახდა. თუ ქართველი კათოლიკესათვის ლათინურ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარება მის ,,ტომით ქართველობას" საფრთხეს არ უქმნიდა, სომეხი კათოლიკე მღვდლები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ ახალციხეში ლათინი პატრების დაფუძნებას სწორედ მათი უცხო გვაროვნობის გამო. სომეხი კათოლიკე მოძღვრის ალექსანდრე არარატიანის 1846 წლის ქართულ ენაზე დაწერილ მიმართვაში მრევლისადმი სახელწოდებით ,,ჩვენის გვარის სასულიეროთა და ერთა საცოდნელი საჭირო მოადგილებანი" ვკითხულობთ:

კარგათ ვიცით ჩვენ რომ ჩვენი მომავალი ჩამომავლობა სულიერ უუმფროსოდ არ დაშთება, მაშ აქ ვიფიქროთ, თუ ჩვენის გვარისაგან გვყავდეს უფროსი, ის რიერთიც უმოწყალო იყოს, მაინც გვარის სისხლისაგან ძალდატანებული, ნამდვილი მშობელი დედის ლმობიერება ექნება ჩვენ ზედა, ხოლო თუ თანამორწმუნე უცხო გვარისგან გვეყოლება ჩვენ უმფროსი, ის რიერთიც გულკეთილი იყოს ჩვენზედა, მაინც დედობილის გული და თვალი ექნება ჩვენ ზედა.[764]

---

763. იქვე, 65.

764. ვინმე სომეხი კათოლიკე, ,,ზნეობითი სიყვარული და ერთობა", 1846, №4159, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

ბუნებრივია, სომხური კათოლიკური ეკლესიის მესვეურები პრაგმატულად უყურებდნენ შექმნილ სიტუაციას. მათთვის რომის კათოლიკური ეკლესია ჩვეულებრივი მეტოქე იყო. ეს უკანასკნელი მათ მრევლის მნიშვნელოვან ნაწილს ეცილებოდა, რაც ერთი მხრივ, შეზღუდავდა სომხური კათოლიკური ეკლესიის ძალაუფლებას რეგიონში, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად შეამცირებდა მის შემოსავალს. ქართველი მრევლისთვის სომხური კათოლიკური ეკლესიისგან გამოყოფა იყო ერთგვარი გამოწვევა, რომელსაც სათანადოდ მომზადებული უნდა შეხვედროდა.

პეტრე ხარისჭირაშვილს მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ მთავარ პირობად ქართველ კათოლიკე მოსახლეობაში განათლების დონის ამაღლება ესახებოდა. ჯერ კიდევ ახალციხეში ცხოვრების პერიოდში ის აუცილებლად მიიჩნევდა ქალაქში ქართული სემინარიის გახსნას, მოგვიანებით ქუთაისში მსახურობის დროს კი დიდ დროს უთმობდა მოწაფეებისათვის ქართული და ლათინური წერა-კითხვის სწავლებას.[765]

სტამბოლში ქართული მონასტრის დაარსებით პ. ხარისჭირაშვილს სემინარიის გახსნის შესაძლებლობაც მიეცა. მან, დაიწყო მომზადება მღვდლებისა, რომლებიც მომავალში, უკვე სამშობლოში დაბრუნებულნი, ქართულ კათოლიკურ ეკლესიებს უწინამძღვრებდნენ. მართლაც, 1890-იან წლებში, როცა სამცხე-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა თემმა განსაკუთრებით აქტიურად დაიწყო საკუთარი ეთნიკური იდენტობის დაცვა-დამტკიცება, ეროვნული მოძრაობის წინამძღოლები სწორედ ფერიქოის მონასტერში აღზრდილი მღვდლები გახდნენ.

გასაკვირი არ არის, რომ პეტრე ხარისჭირაშვილისთვის მონასტერს მხოლოდ წმინდა რელიგიური დანიშნულება არ ჰქონია. სემინარია,[766]

---

765 . ვინმე სომეხი კათოლიკე, ,,ზნეობითი სიყვარული და ერთობა", 1846, №4159, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

766 . ფერი-ქოის გარდა ქართველ მამათა კონგრეგაციას სტამბოლში სასწავლებლები ჰქონდა პერაში (პაპა-ქეფრუის წმ. იოსების სკოლა. გაიხსნა 1875 წელს), უსკუდარში და დარდანელზე. იხ.: მანანა ჯავახიშვილი, *მონტობანის ქართველ კათოლიკეთა სავანე* (თბილისი, 2009), 37.

რომელშიც სამოქალაქო დისციპლინის საგნებიც ისევე ისწავლებოდა, როგორც საღმრთო სჯული, და სტამბა, რომელშიც საღვთისმეტყველო წიგნების გარდა სასწავლო და საყოფაცხოვრებო წიგნებიც მრავლად იბეჭდებოდა, მონასტრის განუყოფელ ნაწილებს შეადგენდა.[767]

მონასტრის აშენებამდე პეტრე ხარისჭირაშვილი აქვე მდებარე ლათინური კათოლიკური ეკლესიით სარგებლობდა, თუმცა ღვთისმსახურებას ქართულ ენაზე ატარებდა. [768] შესაბამისი ფინანსური სახსრების მოძიების შემდეგ მან ეკლესიის აგება შეძლო. შენობის აღმოსავლეთი ფასადის შუაში, წრიულ ფორმის ჩაღრმავებაში ნალესობაზე ამოკვეთილი ფრანგული წარწერა: N. D. DE LOURDES ÉGLISE GÉORGIENNE F. 1861 R. 1901 გვამცნობს, რომ ლურდის ღვთისმშობლის სახელობის ქართული ეკლესია 1861 წელს აიგო და 1901 წელს განახლდა.[769]

თავიდან ფერიქოის ეკლესია უბიწოდ ჩასახვის სახელობისა იყო. წმინდა ქალწულის უბიწოდ ჩასახვის დოგმა კათოლიკურმა ეკლესიამ 1854 წელს მიიღო სამოციქულო კონსტიტუციით *Ineffabilis Deus*. რამდენიმე ხნის შემდეგ ეკლესია ხელახლა აკურთხეს ლურდის ღმრთისმშობლის სახელობაზე. ეს სახელობა უკავშირდება ცნობილ სასწაულს -

---

767 . ვრცლად სამონასტრო ყოფის შესახებ იხ.: ნათია ნაცვლიშვილი, ,,სტამბოლის ფერიქოის ქართული კათოლიკური მონასტერი", *საქართველოს სიძველენი* 17 (2014), 296-311.

768. შოთა ლომსაძე, *გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან,* 72.

769. შ. ლომსაძე ეკლესიის საფუძვლის ჩაყრის თარიღად 1859 წელს ასახელებს. მისივე ცნობით, შესასვლელ თაღზე ამოკვეთილი იყო დიდი ქართული წარწერა: ,,წმიდაო მარიამ დაიცავ ივერიელნი". იხ.: შოთა ლომსაძე, *გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან,* 72, 73. სინამდვილეში, ეკლესიის მშენებლობა 1861 წელს დაიწყო და წარწერა, რომლის სრული ტექსტია ,,მარიამ ღვთის მშობელო იბერიის მოციქულო მეოხ მეყავნ ჩვენ ცოდვილთა ქართველთა", ინტერიერში, სამხრეთ კედელში მოთავსებული ლურდის ღვთისმშობლის ნიშის პოსტამენტზეა ამოკვეთილი.
ამავე წარწერის განთავსების ადგილად საკურთხევლის ტრაპეზის ქვას ასახელებს ევგენი დალეჯიო დ'ალესიო: ,,მაღლა სწერია: ,,მარიამ - ქართველთა მხსნელი" და ძირს წმინდა საკურთხევლის ქვაზე - ,,მარიამ ღვთის მშობელო, ივერიის მოციქულო, მეოხ მეყავნ ჩვენ, ცოდვილთა ქართველთა". მაღლა დგას ... ქალწული ნინო ... თავის ვაზის ჯვრით ...". იხ.: ევგენი დალეჯიო დ'ალესიო, *ქართველები კონსტანტინეპოლში,* თარგმანი ფრანგულიდან პ. შალვა ვარდიძისა (სტამბოლი: საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა სავანისა, 1921), 31, 32. თუმცა დ'ალესიოს ცნობაც არაზუსტია. 1910-იანი წლების ფოტოსურათზე გარკვევით იკითხება, რომ აღნიშნული წარწერა თავიდანვე ლურდის ღვთისმშობლის ქანდაკების პოსტამენტზე იყო მოთავსებული, ხოლო დ'ალესიოს მიერ მოტანილი მეორე წარწერა - ,,მარიამ - ქართველთა მხსნელი" საერთოდ არ ყოფილა.

კათოლიკური ტრადიციით, 1858 წელს ქალაქ ლურდის მახლობლად მდებარე მღვიმეში ადგილობრივი მეწისქვილის ქალიშვილს ბერნადეტ სუბირუს (Bernadette Soubirous, 1844-1879) რამდენიმეჯერ გამოეცხადა ღმრთისმშობელი. ლურდის ღმრთისმშობლის თაყვანისცემა ეკლესიამ ოფიციალურად 1862 წელს დაამკვიდრა და მოკლე ხანში ის არნახულად პოპულარული გახდა მთელ კათოლიკურ სამყაროში. რამდენადაც ლურდის ღმრთისმშობლის კულტის მთავარი იდეა სწორედ მისი უბიწოდ ჩასახვაა, ეს ორი სახელობა არსებითად ერთიდაიგივეა.

იმის წარმოსადგენად, თუ როგორ გამოიყურებოდა ეკლესია 1901 წლამდე, ისტორიული ფოტოსურათები დაგვეხმარება. პირველი ფოტოსურათი 1894-1900 წლებით უნდა დათარიღდეს (ილ. 294). თარიღის ქვედა ზღვრის განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს სასტუმროს ოთხსართულიანი შენობა, რომელიც 1894 წელს არის აშენებული.[770] მის გარდა ფოტოზე კიდევ ოთხი ნაგებობა ჩანს. უშუალოდ სასტუმროზე მიდგმულია ვიწრო, ასევე ოთხსართულიანი, თუმცა უფრო დაბალი სახლი, რომლის კედელზეც ხის კონსტრუქცია - ჯვრით დაგვირგვინებული სამრეკლოა მიდგმული. ამ სახლს მოსდევს კიდევ ორი ორსართულიანი შენობა. ბოლო ნაგებობის წინ კი კრამიტის ორფერდა სახურავით გადახურული დარბაზული ეკლესია დგას. ეს არის ძალიან უბრალო, სოფლის სამლოცველოს მსგავსი ნაგებობა სრულიად ყრუ და მოურთავი აღმოსავლეთი ფასადით, რომელიც უშუალოდ ქუჩის პირზე გამოდის. ამ ფასადის ორსავე მხარეს ქვის მაღალი გალავანი მიემართება. გალავანში ორი კარია დატანებული. ერთი, რომელიც დღემდე ადგილზეა, ლითონის ავთენტური კარით ზუსტად სასტუმროს წინ არის გაჭრილი, ხოლო მეორე ეკლესიის მარცხენა მხარეს იყო და როგორც ჩანს სწორედ აქედან შედიოდნენ ეკლესიის ეზოში. ეს ჭიშკარი მოგვიანებით გააუქმეს. ახალი ეკლესიის აშენების შემდეგ მის ადგილას გალავნის ყრუ კედელია. ახალი ჭიშკარი ეკლესიის მარჯვენა მხარეს მოაწყვეს. მის გასაკეთებლად მოშალეს

770. შუშანა ფუტკარაძე, *სტამბოლის ქართული სავანე* (თბილისი: არტანუჯი, 2012), 62.

მანამდე აქ არსებული ყორე ქვით ამოყვანილი გალავნის კედელი და მის ნაცვლად ლითონის ღობე გაავლეს. ღობის ცენტრში ახალი ეკლესიისთვის შესაფერისი გოთიკური კარიბჭე ააშენეს. სწორედ ამ უკანასკნელის მეშვეობით არის დღეს შესაძლებელი ეკლესიის ეზოში მოხვედრა.

1901 წლის შემდგომ ფოტოსურათებზე უკვე ახალი ეკლესია დგას (ილ. 295). მას ძველი ეკლესიისა და ამ უკანასკნელის უკან მდგომი ორსართულიანი სახლის ადგილი უკავია. ნეოგოთიკურ სტილში აგებული ახალი ეკლესია ორჯერ უფრო მაღალია ვიდრე ძველი, თუმცა სიგანეში დიდად არ აღემატება მას. კვლავ კრამიტის ორფერდა სახურავით გადახურული დარბაზული ნაგებობა ყრუ აღმოსავლეთი ფასადით, ძველის მსგავსად, ქუჩის პირზე გამოდის, ხოლო დასავლეთი მხრიდან სამრეკლო აქვს მიდგმული. აღმოსავლეთი ფასადის დაახლოებით შუა ნაწილში, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, წრიული ჩაღრმავებაა, რომელშიც ეკლესიის თავდაპირველი მშენებლობისა და შემდგომ მისი განახლების თარიღებია მოტანილი.[771]

აღმოსავლეთ ფასადს ნალესობაზე დატანილი ჰორიზონტალური ღარები დაუყვება და ოთხი კონტრფორსი ამაგრებს. ამ კონტრფორსებს, რომელთაგან ორი კედლის კუთხეებში, ორიც კი ოდნავ სიღრმეშია განთავსებული, ერთი შეხედვით დეკორაციული ფუნქცია უფრო აქვთ, ვიდრე საყრდენი. თითქოს ისინი მხოლოდ იმისთვის ამოუყვანიათ, რომ ნაგებობას მეტად შეეძინა ნეოგოთიკური იერი. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ამძაფრებს მათი ზედა ნაწილები, რომლებიც კარნიზამდე არმისული წყდება და ბრტყელ ზედაპირზე, როგორც პოსტამენტზე, ოთხი თავისუფლად მდგომი მრგვალი, აკანთის ფოთლებით შემკული კაპიტელებიანი ბოძკინტებით შედგენილი არქიტექტურული მოცულობა დგას. კაპიტელებს ეყრდნობა წინ და გვერდებზე შეისრული თაღებით გახსნილი კუბი, რომელსაც პროფილირებული, რამდენიმესაფეხურიანი კარნიზი და ,,შპილი" აგვირგვინებს.

771. ეკლესიის განახლებაზე ბურსადან ჩამოსულ ქართველ მუშებს უმუშავიათ (იქვე, ტაბულა XXVI).

ეკლესიის მარჯვნივ მოწყობილი ნეოგოთიკური კარიბჭიდან ვხვდებით უხვად გამწვანებულ ეზოში, სადაც ნაგებობა ჩრდილოეთი და დასავლეთი ფასადებით გადის.

გრძივი კედლები სადაა, გლუვად შელესილი. მათ აუყვება კონტრფორსები (ჩრდილოეთ კედელზე ხუთია, სამხრეთის დათავლიერება ვერ მოხერხდა, მაგრამ აქ ნაკლები უნდა იყოს, რადგან ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთზე ორსართულიანი სახლია მიდგმული), რომლებიც ორ ადგილას (შუაწელიდან ოდნავ ზემოთ და პილასტრის თითქმის თავში) დაცერობებული კაპიტელებით არის აღნიშნული. ჩრდილოეთი ფასადის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში ორი შეისრულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი, ხოლო სამხრეთი ფასადის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეში - ერთი.

დასავლეთ ფასადზე სამრეკლოა მიდგმული (ილ. 296). ის ორსართულიანია, თუმცა გარე დანაწევრება ოთხსართულიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი შეისრული ღიობებით გახსნილი პირველი სართული ეკლესიაში შესასვლელი კარიბჭის ფუნქციას ასრულებს. კარიბჭის კამარის დასასრული და მეორე სართულის იატაკი გარედან ჰორიზონტალური სარტყლით არის მონიშნული. მაღალი მეორე სართული, ერთმანეთის თავზე გაჭრილი ღიობების მეშვეობით ისეა დანაწევრებული, რომ სამ დამოუკიდებელ სართულად აღიქმება. ნახევარწრიული თავსართით მონიშნული, პროფილირებული ნალესობის მოჩარჩოებაში ჩასმული მრგვალი სარკმლების თავზე შეწყვილებული შეისრული ღიობებია გაკეთებული. სამრეკლო-კარიბჭის კუთხეებზე ჰორიზონტალურად დაღარულზედაპირიანი პილასტრებია აყოლებული. სამრეკლო კოშკისებური სახურავით სრულდება.

უშუალოდ ეკლესიის დასავლეთ კედელში ოთხი შეისრული სარკმელია გაკეთებული. ერთმანეთის თავზე გაჭრილი ორ-ორი სარკმელი კარიბჭის აქეთ-იქით არის განლაგებული, ხოლო მეხუთე ღიობი

შეისრული კარია, რომელიც სამრეკლოში გადის. ის ინტერიერის განათებისთვის დამატებით წყაროს წარმოადგენს.

დარბაზული სივრცე, რომელიც აღმოსავლეთით ბრტყელი საკურთხევლით სრულდება, ნათელი და ხალვათია (ილ. 297). ინტერიერს დიდწილად შენარჩუნებული აქვს 1901 წლის რეკონსტრუქციისდროინდელი სახე. გრძივ კედლებს ხუთ-ხუთი ორსაფეხუროვანი პილასტრი აუყვება (ილ. 298). პილასტრების წინა საფეხურს კომპოზიტური კაპიტელები ამკობს, ხოლო უშუალოდ ორივე საფეხურის დამაგვირგვინებელი პროფილირებული კაპიტელები კედლისა და კამარის გამყოფი, ინტერიერის მთელ პერიმეტრზე გამავალი კარნიზის არეშია მოქცეული. დღეს კედლები თეთრად, ხოლო პილასტრები ცისფრად არის შეღებილი; კომპოზიტური კაპიტელები ოქროსფერია, პროფილირებული - თეთრი. ძველ ფოტოსურათზე ჩანს, რომ პილასტრებიცა და კაპიტელებიც, ისევე როგორც კარნიზი, ან მარმარილოსია, ან მარმარილოს იმიტაციით არის დაფერილი. შეღებვამდე ისინი უფრო ეფექტური იქნებოდა და ინტერიერიც განსხვავებულ შთაბეჭდილებას დატოვებდა მნახველზე.

ცვლილების კვალი ამჩნევია საკურთხეველსაც, კერძოდ კი მის მხატვრობას. საკურთხეველი ძირითადი სივრცისგან გამოყოფილია მარმარილოს დაბალი მოაჯირით. ის შედგება წრეებისაგან, რომლებშიც სტილიზებული ,,S”-ებია ჩაწერილი. ეს მოტივიც, ისევე როგორც ფასადებზე გამოყენებული კონტრფორსები და ღიობების შეისრული ფორმა, ნეოგოთიკის რეპერტუარიდან არის ნასესხები. მოაჯირის შუაში მოწყობილი იყო საკურთხეველში შესასვლელი დაბალი ორფრთიანი კარი. ის დღეს დაკარგულია. საკურთხევლის ცენტრალური მონაკვეთი ნალესობაში გამოყვანილი შეისრული თაღით არის მონიშნული. ის სიმბოლურად განასახიერებს ცის კამარას, რომელზეც ცისფერ ფონზე ოქროსფერი ვარსკვლავებია მოფენილი. თაღის დამჭერი პილასტრების ქვედა ნაწილს ნეოგოთიკური ბალდახინის მსგავსი ფორმა აქვს, ხოლო

ზედა მონაკვეთი პოსტამენტებია ხის შეღებილი ქანდაკებებისთვის. მარცხენა მხარეს დგას წმ. ანდრია პირველწოდებულის ქანდაკება დიდი X-ისებრი ჯვრით, ხოლო მარჯვენა მხარეს - წმ. ნინოსი.

საკურთხევლის ცენტრი უკავია ღვთისმშობელი ოდიგიტრიის ხატს, რომელიც პოლონური წარმომავლობისა ჩანს. ქვემოთ მას აქვს წარწერა Pod Twoją obronę uciekamy się - პოლონურ ენაზე დასაწყისი ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი უძველესი ჰიმნისა Sub tuum praesidium. ხატი საგანგებოდ მისთვის შექმნილი მოჩუქურთმებული ხის პანოს ცენტრშია დაბრძანებული. საკურთხევლის კედლის კუთხეებში თითო შეისრული ნიშაა. მათშიც ხის ქანდაკებები დგას: მარცხენაში - წმ. ქრისტეფორე ყრმა იესოთი, ხოლო მარჯვენაში - მაცხოვარი. ძველი ფოტოსურათის მიხედვით, მაცხოვრის ქანდაკების თავდაპირველი ადგილი მარცხენა ნიშაში იყო, ხოლო მარჯვენა ნიშა სხვა ქანდაკებას ეკავა.

საკურთხევლის ძველი მოხატულობა გადაწერილია (ილ. 299). თავდაპირველად ნიშები მცენარეული ორნამენტით იყო გაფორმებული. მათ ზემოთ თითო ანგელოზი ეხატა, წმ. ანდრიასა და წმ. ნინოს ქანდაკებების უკან - წმინდანები, ხოლო შუა არეში, უშუალოდ შეისრული თაღის თავზე - ანგელოზებით გარშემორტყმული ,,ყოვლისმხედველი თვალი". დღეს ამ უკანასკნელის ადგილი უკავია მღვიმის ფონზე გამოსახულ ლურდის ღვთისმშობელს და მის წინ დაჩოქილ წმ. ბერნადეტს. წმინდანების და ანგელოზების ადგილას კი ლურდის ღვთისმშობლის მიერ სასწაულებრივი განკურნების სცენებია გამოსახული.

საკურთხევლის კედელთან ძალიან ახლოს განთავსებული წმ. ნინოსა და წმ. ანდრია პირველწოდებულის ხის შეღებილი ქანდაკებები მის მოხატულობასთან ერთად აღიქმება. წმინდანების ქანდაკებების ორსავ მხარეს საკურთხველის კედელზე ეკლესიებია გამოსახული: წმ. ნინოსგან ხელმარჯვნივ - მცხეთის სამთავრო, მარცხნივ - სვეტიცხოველი, წმ. ანდრიასგან ხელმარცხნივ - ბათუმის 1898-1902 წლებში აგებული

კათოლიკური ეკლესია, მარჯვნივ - ლურდის ღმრთისმშობლის ტაძარი (ილ. 300, 301).

ეს გამოსახულებები საკურთხევლის მოხატულობას სრულიად განსაკუთრებულ აზრს სძენს. ის ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ რელიგიური მხატვრობა - ის არის კულტურული რეპრეზენტაცია ქართველ კათოლიკეთა მისწრაფებისა ჩაეწერონ ეროვნულ ნარატივში, რომელიც XIX საუკუნის ბოლოსთვის ჩამოყალიბდა. მხატვრობა მოწოდებულია აჩვენოს ჰარმონია ქართული კათოლიკური იდენტობის ,,ორ ნახევარს" - ეროვნულსა და კონფესიურს შორის, რომლებიც სიმბოლიზირებულია ერთი მხრივ მცხეთის უძველესი ტაძრებით, მეორე მხრივ - ლურდისა და ბათუმის ეკლესიებით (ეს უკანასკნელი უთუოდ შეირჩა როგორც საქართველოს ყველაზე თვალსაჩინო კათოლიკური ეკლესია). ამ რეპრეზენტაციის სულისკვეთება სრულად შეესაბამება ქართველ კათოლიკე ინტელექტუალთა მიზნებსა და იდეებს. დაახლოებით იმ დროს, როცა ფერიქოის ეკლესიის ფრესკა იხატებოდა, გამოქვეყნდა მიქაელ თამარაშვილის ნაშრომები, რომლებშიც ქართველ კათოლიკეთა უსტორია განუყოფლად არის გადაწნული საქართველოს ზოგად ისტორიასთან. ქართველ კათოლიკეებს მ. თამარაშვილი, პირველ რიგში, ხედავდა როგორც ერის ნაწილს და უკვე შემდეგ როგორც ცალკე კონფესიურ თემს.

წმ. ანდრიას - საქართველოში ქრისტიანობის პირველი მქადაგებლისა და წმ. ნინოს - ქართლის განმანათლებლის ქანდაკებებს ასევე მნიშვნელოვანი როლი აქვს საკურთხევლის გაფორმებაში. ამ ორი წმინდანის წარმოდგენა კათოლიკურ ეკლესიაში ხაზს უსვამს ქართული კათოლიციზმის ურღვევ კავშირს საქართველოს უძველეს საეკლესიო ტრადიციასთან.[772] მათ მიმართ გამორჩეული პატივის მიგება XIX-XX

772. კომპოზიცია, რომლის ცენტრშიც წარმოდგენილია ღმრთისმშობლის გამოსახულება, ხოლო მის აქეთ-იქით - წმ. ანდრია პირველწოდებულისა და წმ. ნინოსი, საქართველოში XVIII საუკუნიდან ვრცელდება. მისი ერთ-ერთი ადრეული მაგალითი გვხვდება 1720 წლის ნაბეჭდ პარაკლიტონში, სადაც გამოსახულებები მედალიონებია ჩაწერილი. იხ.: შალვა კვასხაძე, *ქართული წიგნის გრაფიკული ხელოვნება: ვახტანგ VI-ის სტამბის წიგნი, 1709-1722* (თბილისი: ხელოვნება 1952), 173; *ძველნაბეჭდი ქართული გამოცემები*, ტ. 1,

საუკუნეთა მიჯნიდან განსაკუთრებით დამახასიათებელი გახდა ქართველ კათოლიკეთათვის. [773] მღვდელმა ანსელმ მღებრიშვილმა საგანგებოდ დაამზადებინა მილანში წმ. ნინოსა და წმ. ანდრიას ქანდაკებები ბათუმის ზემოთნახსენები ეკლესიისათვის.[774] ისინი ყველაზე გამოსაჩენ ადგილას - დასავლეთ ფასადზე მოათავსეს.

ფერიქოის ეკლესიის საკურთხევლის გაფორმების მთავარი იდეა გამოძახილს პოვებს ინტერიერის სხვა ნაწილებშიც. ქართველ კათოლიკეთა ეროვნული და კონფესიური იდენტობის განუყოფელობის კიდევ ერთ

რედ-ები მიხეილ ქავთარია და ფერიდე კვაჭანტირაძე (თბილისი, 2010), 122-123, სურ. დანართი I, №28. ქ. აბაშიძემ ამ კომპოზიციას მოსწრებულად უწოდა ,,ქართული ვედრება". არსებითად, ასეთი ,,ქართული ვედრების" კათოლიკური ვერსია გვაქვს ფერიქოიში, თუ გავითვალისწინებთ, რომ წმ. ანდრიასა და წმ. ნინოს ქანდაკებებს შორის კედელზე ლურდის ღმრთისმშობელია გამოსახული.

773. 1902 წელს გაზეთ ,,ცნობის ფურცლის" სურათებიან დამატებაში წმ. ნინოს რამდენიმე შავ-თეთრი ნახატი დაიბეჭდა. ერთ ნახატზე ის ტრადიციული იკონოგრაფიით სვეტიცხოვლისა და ბოდბის ეკლესიის ფონზეა გამოსახული. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეორე ნახატი სათაურით: ,,წმ. ნინო საფრანგეთის წმინდანი". ლანდშაფტის ფონზე წარმოდგენილი წმ. ნინო კათოლიკე წმინდანივით არის შემოსილი და ხელში ვაზის რტოსაგან შექმნილი ჯვრის ნაცვლად ე. წ. ლათინური ჯვარი უჭირავს. ქართული ეკლესიები ამ ნახატზე წმ. პეტრეს ბაზილიკით არის ჩანაცვლებული. *ცნობის ფურცელი*, სურათებიანი დამატება, 1902, იანვარი, №1696, დამატების №23, 2-3.

კათოლიკეები მოგვიანებითაც ცდილობდნენ მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი კათოლიკურ წრეებშიც პოპულარული გაეხადათ. რაფიელ ისარლიშვილი, ავტორი ფრანგულად გამოცემული წიგნისა ,,საქართველოს ისტორია", 1910 წელს გულდაწყვეტილი სწერს მ. თამარაშვილს იმის შესახებ, რომ წმ. ნინოს ევროპაში არ იცნობენ: ,,თქვენი ბოლონდელი პოსტის კარტი მივიღე - წმ. ნინოს ხატის გამო, მწერთ რომ ევროპაში კარგა არ იცნობენო ეს ვისი ბრალია! ... საზოგადოდ რაც დიდი დანაშაული აქვთ ძველ მოქალაქეებსა ამის გამო, ეს ხომ ვიცით მაგრამ მას შემდეგ, სხვებმა რომ ასე უცნობლივ დასტოვეს ეს ჩვენი დიდი წმინდა არა თუ ევროპაში, ჩვენ საქართველოს ეკლესიებშიც სადაც სხვა და სხვა უცხო და უცნობი წმინდანებით აქვსთ კედლები სავსე და ჩვენი პატრონი წმინდა კი არსად არ არის. ... ყველა კათოლიკე თავის ლოცვის წიგნში ნახავს მის მშვენიერ სახეს - ჩემ წიგნში ჩართული სურათი ბერძნული ხასიათისაა საჭიროა რომ იყოს სხვანაირი, ან ჩვენი ძველებური ტანსაცმლით, ან ფრანციცულისა, რომელიც არ გაირჩევა ჩვენისაგან". იხ.: რ. ისარლიშვილის წერილი მ. თამარაშვილს, 1904, 10 იანვარი, საქმე №1854, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

განსაკუთრებით საგულისხმოა ციტატის ბოლო წინადადება, რადგან მასში კარგად ჩანს თუ როდის მოიაზრებს ქართველი კათოლიკე ქართული ეკლესიის წმინდანს ,,თავისიანად". თუ გამოსახული წმინდანი ქართული კაბითაა შემოსილი, ის მისაღებია ეროვნული ნიშნით, ხოლო თუ ,,ფრანგული" სამოსი (იგულისხმება კათოლიკე წმინდანებისათვის დამახასიათებელი ჩაცმულობა) მოსავს - კონფესიურით. ,,ბერძნული" (მართმადიდებლური) იკონოგრაფია მისთვის მიუღებელია ეროვნულადაც და კონფესიურადაც, ამ იკონოგრაფიით გამოსახული წმ. ნინო ქართველ კათოლიკეს ეუცხოვება.

774 . ა. მღებრიშვილმა მ. თამარაშვილს გაუგზავნა ხატი წმ. ნინოს გამოსახულებით და სთხოვა მის მიხედვით მილანში დაემზადებინა ქანდაკება. იხ.: ა. მღებრიშვილის წერილი მ. თამარაშვილს, 1900, 20 თებერვალი- 1 იანვარი, №2655, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ხეც, თბილისი.

რეპრეზენტაციას ვხედავთ სამხრეთ კედელზე, სადაც ნიშაში შედგმულია კლდოვან მღვიმეში მდგარი ლურდის ღმრთისმშობლის ქანდაკება. ნიშის თავზე ფრანგულად დატანილია სიტყვები, რომლებიც უთხრა წმინდა ქალწულმა ბერნადეტ სუბირუს ,,Je suis l'Immaculée Conception" (,,მე ვარ უბიწოდ ჩასახვა"). ქანდაკებების მარმარილოს პოსტამენტზე კი ქართულად წერია: ,,მარიამ ღვთის მშობელო იბერიის მოციქულო მეოხ მეყავნ ჩვენ ცოდვილთა ქართველთა". ამ წარწერით ლურდის ღმრთისმშობლის მთლიანად კათოლიკური კულტი ქართულ კონტექსტს იძენს და უკავშირდება საეკლესიო ტრადიციას, რომელიც საქართველოს ღმრთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად განიხილავს.

როგორც დავინახეთ, ფერწერისა და ერთი ქანდაკების გარდა საკურთხევლის გაფორმებაში 1901 წლის შემდეგ არსებითად არაფერი შეცვლილა. საკურთხევლის მორთულობისა და სამხრეთი ნიშის გარდა, თავდაპირველია ეკლესიის იატაკიც. ცენტრალურ არეში, სადაც პეტრე ხარისჭირაშვილია დაკრძალული, მარმარილოს დიდი ზომის მოყვითალო-მონაცრისფრო ფილებია დაგებული, ხოლო კიდეებში შავი, თეთრი და ნაცრისფერი ტონების მოზაიკური იატაკი გაფორმებულია მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტებით.

დასავლეთით ხის რიკულებიანი მოაჯირით გაწყობილი, ერთიარუსიანი მრუდხაზოვანი პატრონიკეა (ილ. 302). პატრონიკეზე, ისევე როგორც სააღმსარებლო ოთახსა და საკრისტიაში, ეკლესიის სამხრეთ კედელში დატანებული კარიდან ვხვდებით. ეს ოთახები სამხრეთ კედელზე მიდგმული ორსართულიანი შენობის ნაწილებია.

ჩვენთვის უცნობია თუ როგორ გამოიყურებოდა ეკლესიის შიდა სივრცე 1901 წლის რეკონსტრუქციამდე. სავარაუდოდ, მისი ინტერიერი, ექსტერიერის მსგავსად, სადა იქნებოდა. როგორც ჩანს, რეკონსტრუქციისას გამოიყენეს არსებული კედლები (ძველის დანგრევა და ახლის თავიდან აშენება დიდ და არამიზნობრივ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული, რის უფლებასაც კონგრეგაცია თავის თავს ვერ მისცემდა).

ფოტოსურათებით თუ ვიმსჯელებთ, ახალი ეკლესია ძირითადად სიმაღლისა და სიგრძის ხარჯზე გაფათოვდა და ეპოქის შესაბამისად, ნეოგოთიკურ ყაიდაზე გაფორმდა. 1900-იან წლებში ნეოგოთიკური სტილის კათოლიკური ეკლესიები მთელს მსოფლიოში შენდებოდა, მათ შორის სტამბოლშიც.[775] ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში როგორც ლათინი, ისე სომეხი კათოლიკეების მოღვაწეობის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა,[776] კათოლიკური ეკლესიების გაცხოვლებული მშენებლობა-რეკონსტრუქცია რეფორმაციის - თანზიმათის შემდგომ პერიოდს უკავშირდება, როცა ყველა არამუსლიმს და მათ შორის კათოლიკეებს საშუალება მიეცათ თავიანთი სალოცავების მშენებლობისას განეხორციელებინათ თამამი არქიტექტურული პროექტები.

ფერიქოის მონასტრის ეკლესია გეგმარებითი სტრუქტურითა და მხატვრული გადაწყვეტით სავსებით ეპასუხება XX საუკუნის დასაწყისის არქიტექტურულ ტენდენციებს. აქაური ქართველი კათოლიკეები თავს იწონებდნენ თანამედროვე, კარგად მოწყობილი ეკლესიითა და უხვად გამწვანებული ბაღით, ვრცელი სამონასტრო შენობებით, სტამბითა და წიგნთსაცავით. 1921 წლამდე კონგრეგაციის ზრდა მეტწილად საქართველოდან წასული ახალგაზრდების ხარჯზე ხდებოდა. მათი ნაკადი უზრუნველყოფდა ძმობის მუდმივ შევსებას და თაობათა უმტკივნეულო ცვლას. გასაბჭოების შემდეგ საქართველო ჩაიკეტა და საზღვარგარეთ სასწავლად და, მით უმეტეს, რელიგიური მსახურებისათვის წასვლა შეუძლებელი გახდა. შედეგად, ფერიქოის მონასტრის საძმო თანდათან შემცირდა. ბოლო წინამძღვარი პეტრე ტატალაშვილი 1961 წელს

775. მაგალითად, წმ. ანტონის ეკლესიის ფასადის პირველი ვარიანტი, რომელიც ჟულიო მონგერიმ 1906 წელს შეადგინა. სტამბოლის ეკლესიების შესახებ ვრცლად იხ.: Paolo Girardeli, „Architecture, Identity, and Liminality: on the Use and Meaning of Catholic Spaces in Late Ottoman Istanbul", *Muqarnas* 22 (2005): 233-264; გეგმარებითი სტრუქტურისა და არქიტექტურული გადაწყვეტის მხრივ ფერიქოის ეკლესიასთან ძალიან ახლოს დგას ვარნის ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის სახელობის კათოლიკური ეკლესია, რომელიც 1885 წელს არის აგებული იტალიელი არქიტექტორის რუდოლფო ვალენტინოს მიერ.

776. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: Charles A. Frazee, *Catholics and Sultans: the Church and the Ottoman Empire 1455-1923* (New York: Cambridge University Press, 1983).

გარდაიცვალა, ხოლო უკანასკნელი პატრი პავლე აკობაშვილი (ადგულაძე) 1979 წელს და მონასტერიც დაიხურა.[777]

4.2. სტამბოლის უსქუდარის მონასტერი

ფერიქოის გარდა ქართული კათოლიკური მონასტერი მდებარეობდა უსქუდარში. მას ხუთის სოფლის მრევლი და რამდენიმე შემოსავლიანი სახლი ეკუთვნოდა. 1910 წელს კონსტანტინოპოლის სამოციქულო ვიკარის (Vicar Apostolic of Constantinopole) და პალესტინის კესარიის ტიტულარული არქიეპისკოპოსის (Titular Archbishop of Caesaria in Palaestina) ვინჩენცო სარდი დი რივისონდოლის ინიციატივით უსკუდარის მონასტერი იტალიელთა ხელში გადავიდა - ეკლესიაში ქართული წირვა ლათინურით შეიცვალა, ხოლო მონასტრის კუთვნილი შემოსავლიანი სახლები და სოფლები ქართველ ბერებს ჩამოართვეს და იტალიელებს გადასცეს. ამ ფაქტს ქართველი კათოლიკეების გარდა სტამბოლში საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლების დიდი გაღიზიანებაც გამოუწვევია, რადგან მონასტრის დასაარსებლად მიწის ნაკვეთი და დანარჩენი ქონება სწორედ მათ შეუწირავთ ქართველებისთვის. არქიეპისკოპოსის უსამართლო გადაწყვეტილებას გამოხმაურება მოჰყვა როგორც ადგილობრივ, ისე საქართველოში გამომავალ გაზეთებში. ქართული ,,სახალხო გაზეთი“ უმოქმედობაში ადანაშაულებდა ფერიქოის მონასტრის იმდროინდელ წინამძღვარს ბენედიქტე ვარდიძეს (ჩილინგაროვი) და უსქუდარის მონასტრის დაკარგვას მას აბრალებდა: ,,... საგვამო მონასტრისათვის სულიერის თუ ხორციელის ვნების მომტანი თვით მამა ბენედიკტე ყოფილა, და არა ის, რომელზედაც ფრანგული გაზეთები ლაპარაკობენ და პასუხის გებაშიც მისცეს ე. ი. ეპისკოპოსი

777. შუშანა ფუტკარაძე, *სტამბოლის ქართული სავანე,* 62.

სარდი”. [778] სამწუხაროდ, ამ მონასტრის შესახებ ჩვენთვის ბევრი რამ უცნობია, მათ შორის აქ მდებარე შენობების არქიტექტურული სახეც.

4.3. მონტობანი

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ქართული კათოლიკური კერა საფრანგეთში, ქალაქ მონტობანში მდებაროებდა. 1874 წელს პეტრე ხარისჭირაშვილმა ეგალიტეს ქუჩაზე მდებარე მცირე ზომის სახლი იყიდა და იქ რელიგიური ცენტრი დაარსა. [779] შენობის პირველ სართულზე სამზარეულო და სტამბა მდებარეობდა, ხოლო მეორეზე ბერების საცხოვრებელი ოთახები და სამლოცველო იყო განთავსებული.[780]

1880 წელს საფრანგეთში გატარებული ანტირელიგიური პოლიტიკის გამო მონტობანის კათოლიკური მონასტერი მთავრობამ დახურა. [781] რელიგიური ცხოვრება იქ მხოლოდ 1896 წელს განახლდა, თუმცა მონასტერს ამას მერეც დიდხანს არ უარსებია და 1904 წელს სამუდამოდ გაუქმდა.[782]

---

778. უნაღვლელი, ,,წერილი სტამბოლიდან”, *სახალხო გაზეთი*, 1911, 29 ივლისი, №364, 2-3; მერაბ ნაჭყებია, ,,ქართული კულტურის კვალი უსკუდარში”, *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები* V (2008): 247-252; შუშანა ფუტკარაძე, *სტამბოლის ქართული სავანე*, 13-14.

779. მანანა ჯავახიშვილი, *მონტობანის ქართველ კათოლიკეთა სავანე* (თბილისი, 2009), 33. საარქივო მასალების თანახმად, მონტობანში დასახლებამდე ათიოდე წლით ადრე, 1863 წელს პეტრე ხარისჭირაშვილს, მონტობანიდან 30 კმ-ის დაშორებით მდებარე ქალაქ მუასაკში დაუარსებია ,,უბიწოდ ჩასახვის დათა” ქართული კონგრეგაცია. ქართველ დედათა ამ მონასტრის შესახებ ცნობები უკიდურესად მწირია. იხ.: ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ,,ახალი შტრიხები მონტობანის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის ისტორიიდან”, *ნოვაცია* 5 (2009): 171-172.

780. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ,,ახალი შტრიხები მონტობანის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის ისტორიიდან”, 168.

781. ვრცლად იხ.: სულიკო გრიგალაშვილი, ,,ანტიკლერიკული მოძრაობა საფრანგეთში და ქართველი კათოლიკეები”, *საისტორიო ვერტიკალები* 1 (10) (2006): 70-75.

782. მანანა ჯავახიშვილი, ,,*მონტობანის ქართველ კათოლიკეთა სავანე*”, 41-42.

დასკვნა

XIX საუკუნის დასაწყისისთვის, როცა რუსეთის იმპერიამ საქართველო დაიპყრო, კათოლიკური თემები ქვეყნის რამდენიმე რეგიონში არსებობდა. XIX საუკუნის მანძილზე კათოლიკეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. მათი ეთნიკური შემადგენლობა ქალაქების მიხედვით სხვაობდა. თბილისში ეს იყო მულტიეთნიკური თემი, რომელიც ქართველებს, სომხებს, ასირიელებს, პოლონელებს, ფრანგებს, იტალიელებსა და სხვა ეროვნების ხალხს მოიცავდა. ქუთაისში კათოლიკეთა უმრავლესობა ქართველი იყო, ხოლო გორში კათოლიკური თემი ქართველებისა და სომხებისგან შედგებოდა.

განსხვავებული მდგომარეობა იყო სამცხე-ჯავახეთის პროვინციებსა და მათ მთავარ ქალაქში - ახალციხეში. სომხური რიტის, ეთნიკურად ქართულ-სომხური კათოლიკური თემი აქ გვიანი შუა საუკუნეებიდან არსებობდა. მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ სამცხე-ჯავახეთი ოსმალეთის იმპერიას წაართვა, რეგიონის კონფესიური დემოგრაფია მნიშვნელოვნად შეიცვალა. ადრიანოპოლის 1829 წლის ზავს ერზერუმის პროვინციიდან სომეხ კათოლიკეთა გადმოსახლება მოჰყვა, რამაც მკვეთრად გაზარდა კათოლიკეთა რიცხვი რეგიონში. XIX საუკუნეში კათოლიკეები ცხოვრობდნენ ახალციხეშიც და სამცხე-ჯავახეთის სოფლებშიც. მათი უმეტესობა კვლავ სომხურ კათოლიკურ წესს მისდევდა. ეთნიკური ქართველი კათოლიკეების მხოლოდ ნაწილი ეკუთვნოდა ლათინური რიტის ეკლესიას. რუსეთის იმპერიის მიერ 1878 წელს შემოერთებული ართვინისა და არტაანის კათოლიკური თემები პრაქტიკულად მთლიანად სომხური რიტისა იყო. ბათუმში ადრინდელ მცირერიცხოვან სომხურ-კათოლიკურ მოსახლეობას 1878 წლის შემდეგ დაემატნენ საქართველოს სხვა რეგიონებიდან, რუსეთიდან და ევროპიდან გადმოსული სხვადასხვა ეროვნების კათოლიკეები.

კათოლიკეები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ XIX საუკუნის საქართველოს კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. მათ შორის იყვნენ მაღალი თანამდებობის პირები, კომერსანტები, მეწარმეები, ექიმები, ადვოკატები, ჟურნალისტები, მეცნიერები, მუსიკოსები და სხვა. ქართველი კათოლიკე ინტელექტუალები პეტრე ხარისჭირაშვილი და მიხეილ თამარაშვილი ეროვნულ იდენტობასა და კულტურულ თვითგადარჩენაზე ზრუნავდნენ და ქართული ნაციონალიზმის იდეებსა და მისწრაფებებს იზიარებდნენ.

კათოლიციზმი რუსეთის იმპერიაში უმცირესობის რელიგია იყო. XIX საუკუნის განმავლობაში როგორც ლათინური, ისე ბერძნული და სომხური რიტის კათოლიკეებს შევიწროების რამდენიმე ტალღა დაატყდათ, განსაკუთრებით ნიკოლოზ I-ის მეფობის პერიოდში (1825-1855). მათი მდგომარეობა შედარებით უკეთესი გახდა 1870-იანი წლების შემდეგ და ბევრად გაუმჯობესდა 1905 წლიდან, როცა ნიკოლოზ II-მ იმპერიაში მცხოვრებ კათოლიკეებს მეტი თავისუფლება მიანიჭა. შეზღუდვებისა და ხანგრძლივი ბიუროკრატიული პროცედურების მიუხედავად, კათოლიკური თემები მთელი იმპერიის ფარგლებში ახერხებდნენ საეკლესიო მშენებლობის ნებართვების მიღებას. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოში როგორც ლათინური, ისე სომხური რიტის ოცდაათზე მეტი კათოლიკური ეკლესია და სამლოცველო აშენდა, რამდენიმე კი განახლდა.

ეკლესიებს კათოლიკური თემების ცხოვრებაში ცენტრალური ადგილი ეკავა. მათი წევრები მხოლოდ ფინანსურად როდი ეხმარებოდნენ საეკლესიო მშენებლობას. ისინი მოხალისეებადაც მუშაობდნენ და საკუთარ დროსა და ფიზიკურ შრომას უსასყიდლოდ გასცემდნენ. როგორც წესი, დაფინანსების გზა და თანხების მოძიების მეთოდები საქართველოს ყველა რეგიონში ერთნაირი იყო. კათოლიკურ ეკლესიას, მართლმადიდებლურისაგან განსხვავებით, რუსეთის იმპერიაში სახელმწიფოსაგან ფინანსური მხარდაჭერა არ ჰქონია, ამიტომ ეკლესიის

ასაშენებელი ხარჯების დაფარვა უშუალოდ მრევლის მიერ ხდებოდა, მის წევრთა შორის გაჭირვებით შეგროვილი ფულით ან, უკეთეს შემთხვევაში, მდიდარი კათოლიკე კომერსანტებისა და მრეწველების შემწეობით.

XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში ეკლესიის მშენებლობას ხშირად სრულიად მოუმზადებლად იწყებდნენ - ისე, რომ შეიძლება წინასწარ არც სცოდნოდათ თუ რა თანხა დასჭირდებოდა მშენებლობას, რა დროს მოანდომებდნენ მის დასრულებას ან ვინ გაიღებდა შემოწირულობას. მცირე საწყისი ბიუჯეტიც კი საკმარისი იყო ეკლესიის წარმომადგენელთა სამშენებლო საქმიანობის დაწყების წასახალისებლად. ჩვეულებრივ, სამღვდელოების ამბიციები მათ ფინანსურ შესაძლებლობებს აჭარბებდა. ეკლესიის დასრულებას მშენებლობის ყველა საფეხურზე საფრთხე ელოდა. თითოეულ მღვდელს სურდა აეგო რაღაც განსაკუთრებული, რასაც ისინი მათ ხელთ არსებული თანხების ამოწურვამდე და ვალების აღებამდე მიჰყავდა.

ეკლესიების მშენებლობა შეზღუდული ბიუჯეტით იწყებოდა და მისი დიდი წილი მრევლის მიერ იყო გაღებული. ისინი აფინანსებდნენ სრულად თუ ნაწილობრივ სამცხე-ჯავახეთის სოფლების თითქმის ყველა ეკლესიის მშენებლობასა თუ რეკონსტრუქციას. მრევლის წევრების უმეტესობა ძალიან ღარიბი იყო, ამიტომ ისინი ფულს წლების განმავლობაში აგროვებდნენ.

ხშირად სასულიერო პირები ცდილობდნენ მშენებლობის დასამთავრებელი თანხა იმპერიის სხვა მხარეებში ან საზღვარგარეთ შეეკრიბათ. შეწირულობების შეგროვების დაწყებამდე მშენებლობის მოთავე მღვდელს სათანადო ნებართვა უნდა მიეღო. იმპერიის შიგნით თანხების მოძიების უფლებას ხელისუფლება გასცემდა, ხოლო მის ფარგლებს გარეთ ვატიკანის ოფიციალური წერილი იყო საჭირო.

ფულის შეგროვება მძიმე და ხანგრძლივი საქმიანობა იყო. ის დიდ სულიერ და ფიზიკურ გამძლეობას მოითხოვდა. მღვდლებისთვის იოლი არ იყო მტკიცედ აეტანათ რამდენიმე თვის ამაო ხეტიალი. მაგალითად, ხიზაბავრის წმ. იოესოს გულის ეკლესიის მშენებლობის წამომწყებმა

მიხეილ ვარძელაშვილმა უკრაინაში გატარებული ხუთი თვის შემდეგ მხოლოდ 2500 მანეთი შეაგროვა და კიდევ 5000 სჭირდებოდა.[783] მან ეკლესიის დასრულება 1898 წელს მოახერხა. სამრეკლოს დასავლეთ ფასადზე ამოკვეთილი წარწერის მიხედვით, თანხა როგორც ადგილობრივი და რეგიონული (ქუთაისის გუბერნია), ისე იმპერიის მასშტაბით შეუგროვებიათ.

ბუნებრივია, პატარა სამლოცველოთა მშენებლებს ნაკლები სირთულეების გადალახვა უწევდათ. მცირე ზომის ნაგებობები ძირითადად სასაფლაოებზე იდგა და გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს, როგორც წესი, ადვილად შეეძლოთ სამშენებლო ხარჯის საკუთარ თავზე აღება. 1900 წელს თბილისის კუკიის სასაფლაოზე დაკრძალულ ფარმაცევტ ვილჰელმ შმიდტცის საფლავზე აღმართული სამლოცველო მთლიანად მისმა ქვრივმა, ექიმმა სოფია შმიდტცმა დააფინანსა მიუხედავად იმისა, რომ სამლოცველო საერთო სარგებლობისთვის იყო განკუთვნილი.

საეკლესიო მშენებლობა დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. დაახლოებით 20 000 მანეთი ჯდებოდა ხიზაბავრას მსგავსი დიდი ბაზილიკების მშენებლობა, 30 000 მანეთს გადააჭარბა გუმბათიანი ეკლესიის მშენებლობამ უდეში, ხოლო ბათუმის ეკლესიაზე, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული კათოლიკური ეკლესიაა საქართველოში, 240 000 მანეთი დაიხარჯა. ცხადია, ასეთი მშენებლობების წარმოება წარმოუდგენელი იქნებოდა შეძლებული შემომწირველების დახმარების გარეშე. მათ შორის ყველაზე მეტად ცნობილი არიან ზუბალაშვილების ოჯახის წევრები, მდიდარი ქართველი კათოლიკე კომერსანტები, რომელთაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს კათოლიკური ეკლესიების მშენებლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით. კონსტანტინე ზუბალაშვილი (1828-1901) და მისი ოთხი ვაჟიშვილი: ლევანი (1853-1914), სტეფანე (1860-1904), პეტრე (1862-1903) და იაკობი (1876-1941) შეძლებულ კათოლიკეთა მაღალ წრეს მიეკუთვნებოდნენ და თავიანთ დიდძალ ქონებას

783. მიხეილ ვარძელაშვილის წერილი მ. თამარაშვილს, 1897 წლის 30 ოქტომბერი, საქმე №1610, ხეც, თბილისი.

ქველმოქმედებას ახმარდნენ. საქართველოში მდებარე რომაულ-კათოლიკური ეკლესიებისა და რელიგიური სკოლების უმეტესობა მთლიანად ან ნაწილობრივ მათი დაფინანსებულია. კონსტანტინე ზუბალაშვილის სახელს უკავშირდება თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესიის მშენებლობა. მისი ვაჟი სტეფანე თავის მამაზე უფრო ენთუზიასტი დონატორი იყო. ისაა ბათუმის უბიწოდ ჩასახვის ეკლესიის - ქართველ კათოლიკეთა ყველაზე ამბიციური პროექტის ძირითადი დამფინანსებელი. კონსტანტინე ზუბალაშვილის უფროსმა ვაჟმა ლევანმა დააფინანსა გორის წმ. ოჯახის სახელობის კათოლიკური ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოები.

საქართველოს კათოლიკურ თემებში - ისევე, როგორც მთელ კათოლიკურ სამყაროში - მიღებული იყო ქადაგების დროს მრევლის მოწოდება შემოწირულობის გაღებისკენ. დაფინანსების კიდევ ერთ მნიშვნელოვან წყაროს მრევლის წევრების მიერ ანდერძით დატოვებული ქონება შეადგენდა.

კვლევამ აჩვენა, რომ მშენებლობის ინიციატორი, როგორც წესი, მღვდელი იყო. სოფლებში ის თავად იყო დაფინანსების მომძიებელი პირი, მაშინ როცა დიდ ქალაქებში თანხის მოზიდვას საგანგებოდ შექმნილი კომიტეტები უზრუნველყოფდნენ. მრევლი კათოლიკური ეკლესიების მშენებლობის პროცესს ხელს უმართავდა ფულით, სამშენებლო მასალითა და უსასყიდლოდ გაღებული შრომით.

XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში აგებული კათოლიკური ეკლესიები სხვადასხვა პროფესიისა და თანამდებობის ადამიანების მიერ არის დაპროექტებული. მათ შორის არიან როგორც თავისი დროის წამყვანი - ალბერტ ზალცმანი (თბილისის პეტრე-პავლე - 1866), ალექსანდრ როგოისკი (თბილისის მიძინების რეკონსტრუქცია - 1902, ბათუმის ეკლესია? - 1898-1902), ისე რიგითი არქიტექტორები - ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების არქიტექტორი ლ. კროპინსკი (ხიზაბავრა - 1893, სხვილისი - 1893, ვარევანი - 1894, კარტიკამი - 1899) და

მხატვარ-არქიტექტორი ჩენცოვი (გორი - 1913).

დამპროექტებლებს შორის არიან ინჟინრები და ტექნიკოსები - საქალაქო ტექნიკოსი ინჟინერ-პორუჩიკი ლევაკოვსკი (ახალციხის წმ. იოანე ნათლისმცემელი - 1914), შინაგან საქმეთა სამინისტროს სამშენებლო საქმეების წარმოების უფლების მქონე ტექნიკოსი ლ. ნიკიტინევი (ხულგუმოს რეკონსტრუქციის პროექტი - 1903), ინჟინერი და კაპიტანი ფონ ფრიკენი (უდეს ეკლესია - 1901-1906), ინჟინერი და პოლკოვნიკი რაზუმოვი (კუკიის სამლოცველო - 1900-1902), სავარაუდოდ, მსგავსი სტატუსი უნდა ჰქონოდა ბათუმის სომხურ-კათოლიკური ეკლესიის პროექტის ავტორს ვ. ონიკევიჩსაც, რომლის ზუსტი თანამდებობა და პროფესია უცნობია.

კიდევ უფრო ნაკლები ვიცით უშუალოდ მშენებელი ოსტატების შესახებ. საარქივო მასალიდან მხოლოდ ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის სამი ოსტატის სახელს ვიგებთ. სამივე - გიორგი უსტაბაში (მუშაობდა 1835-1838 წლებში), მიხეილ ელიოვი და ქრისტოფორე ჩილიკოვი (მუშაობდნენ 1858-1862) ეროვნებით ბერძენი იყო.

ძნელია ყოველი ნაგებობის შემთხვევაში დაბეჯითებით ითქვას, თუ ვისი გემოვნება განსაზღვრავდა ეკლესიების გარეგნულ სახეს. ურბანულ ცენტრებში კათოლიკური ეკლესიების არქიტექტურული სტილი, როგორც წესი, რუსეთის იმპერიის არქიტექტურის განვითარების ძირითად ტენდენციებს პასუხობს. მაგალითად, 1804-1808 წლებში აგებული თბილისის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიისთვის გვიანი კლასიციზმი, იმპერატორ ალექსანდრე I-ის ეპოქის ოფიციალური არქიტექტურული სტილი [784] შეირჩა. ზემოთ ამ ეკლესიის განხილვისას აღინიშნა, რომ მისი გეგმა კაპუცინებს მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა დაუხაზა. უნდა ვიფიქროთ, რომ მისივე შეთავაზებული იქნებოდა შენობის არქიტექტურული ფორმებიც.

---

784 . დავით ხოშტარია, ,,იმპერიული იდენტობა და რუსული სტილი თბილისის საეკლესიო არქიტექტურაში", წიგნში: *არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო აღმშენებლობა თბილისში (1801-1918)*", რედ. დავით ხოშტარია (თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი, 2016), 89.

1884-1886 წლების რეკონსტრუქციის შემდეგ მიძინების ეკლესიამ ნეოგოთიკური იერი მიიღო. რეკონსტრუქციის მოთავე მღვდელ დიმიტრი თუმანიშვილს ეს სტილი ალბათ შემთხვევით არ შეურჩევია, ამ დროისთვის უკვე მთელ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ნეოგოთიკა, რომელსაც როგორც რელიგიური,[785] ისე საზოგადოებრივი შენობებისთვის ერთნაირად მიმართავდნენ, პირველ რიგში რომაულ-კათოლიკურ სამყაროსთან ასოცირდებოდა.

გვიანკლასიცისტურ არქიტექტურას უკავშირდება გორის კათოლიკური ეკლესიის გუმბათის თავდაპირველი სახე. შენობის ძირითადი კორპუსი, რომელიც ქვეყანაში სამშენებლო რეგულაციების შემოღებამდელ ხანას - 1810-1819 წლებს განეკუთვნება, გვიანი შუა საუკუნეების არქიტექტურული ტრადიციების მიხედვით არის ნაგები ადგილობრივი სამშენებლო არტელის მიერ; სავარაუდოდ, 1830-იან წლებში დადგმული გუმბათი კი ფორმითა და დეკორატიული გაფორმების მხრივ პროფესიული განათლების მქონე არქიტექტორის დაპროექტებული ჩანს. ამდენად, ეკლესიის ერთი ნაწილი (ძირითადი კორპუსი) ადგილობრივ სამშენებლო ტრადიციებზე აღზრდილი ოსტატების მიერ არის შექმნილი, მეორე ნაწილი (გუმბათი) - იმპერიის ოფიციალური პოლიტიკის გამტარებელი არქიტექტორის მიერ. ბუნებრივია, ისინი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. ეკლექტურობის მიუხედავად, პატრებს დიდად მოსწონდათ ახალი ეკლესია და კმაყოფილნი იყვნენ საკუთარი სალოცავის ქონით.

სხვადასხვა არქიტექტურული სტილების ერთგვარ ნაზავს წარმოგვიდგენს 1826-1862 წლებში აგებული ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის გარეგნული სახეც. ფასადების გაფორმებაში შეთავსებულია

---

785 . საგულისხმოა, რომ ამ პერიოდში ამერიკის სამხრეთ შტატებში მცხოვრები ებრაელებიც კი ადგილობრივ ქრისტიანულ მოსახლეობასთან კულტურული ასიმილაციის ნიშნად თავიანთ სინაგოგებს ნეოგოთიკურ სტილში აშენებდნენ. Steven H. Moffson, ,,Identity and Assimilation in Synagogue Architecture in Georgia, 1870-1920", *Perspectives in Vernacular Architecture* 9 (2003), 154, სურ. 10. 2.

ბაროკული ელემენტები, კლასიციზმის პრინციპების გამოძახილი და XIX საუკუნის ბერძენ ოსტატთა დეკორატიული ხერხები, რომლებიც თავის მხრივ სათავეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ეკლექტური პოსტბიზანტიური არქიტექტურიდან იღებს. ეკლესიას დიდი წყვეტილებით ორმოცი წლის განმავლობაში რამდენიმე სამშენებლო ჯგუფი აშენებდა და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ გორის მსგავსად, აქაური კათოლიკეებიც შენობის არქიტექტურული სახის მთლიანობაზე მეტად მისი დასრულებით ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი.

ვ. ონიკევიჩის მიერ 1882 წელს შედგენილი ბათუმის სომხურ-კათოლიკური ეკლესიის პროექტი ეპასუხება არა მხოლოდ იმპერიის იმდროინდელ არქიტექტურულ გემოვნებას, არამედ იდეოლოგიურ მისწრაფებებსაც. შენობა რუსულ სტილში იყო ჩაფიქრებული და ამ სტილისთვის დამახასიათებელი ხახვისთავიანი გუმბათით ბოლოვდებოდა (პროექტი, როგორც ვნახეთ, ამ სახით არ განხორციელებულა). თუ გავითვალისწინებთ, რომ სომეხ-კათოლიკეთა ეკლესია იყო პირველი ქრისტიანული საკულტო შენობა, რომელიც ბათუმში რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ შენდებოდა,[786] პროექტით ნაგულისხმევი რუსული სტილი იმპერიული იდენტობის პირველი არქიტექტურული მანიფესტაცია უნდა გამხდარიყო ქალაქში.

მისგან განსხვავებით, 1898-1902 წლებში აგებული ბათუმის რომაულ-კათოლიკური ეკლესია ნეორომანულ-ნეოგოთიკური სახე აქვს. ეს სტილები იმდროინდელი კათოლიკური არქიტექტურის მსოფლიო ტენდენციებსაც ეპასუხებოდა, ქალაქის მულტიკულტურულ გარემოსაც და მშენებლობის წამომწყები მღვდლის ანსელმ მღებრიშვილის ამბიციებსაც. შესაბამისად, ის ალბათ მრევლის გემოვნებასაც აკმაყოფილებდა - მის დიდ ნაწილს ხომ სწორედ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული კათოლიკები შეადგენდნენ.

---

786 . 1878 წლამდე ბათუმში მხოლოდ ერთი მართლმადიდებლური ეკლესია იყო. ის ადგილობრივმა ბერძნებმა 1865-1871 წლებში ააშენეს (მაია ჭიჭილეიშვილი, ,,,,ძველი ბათუმის" საკულტო ძეგლების შესწავლის საკითხისათვის", 161).

კათოლიკური მრევლის გემოვნების აშკარა გამოხატულებაა 1870-1877 წლებში აგებული (გუმბათი 1896-1898 წლებში დაადგეს) თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესია. ნეობაროკული სტილის დიდი ზომის ნაგებობა ა. ზალცმანის პროექტის მიხედვით და პოლონელების ინიციატივითა და დიდწილად მათივე სახსრებით აშენდა. როგორც ზემოთ, ეკლესიის მშენებლობის ისტორიის განხილვისას ითქვა, მის პროტოტიპად იეზუიტთა ორდენის მთავარი ტაძარი - ილ ჯეზუ შეირჩა.[787] ამ უკანსაკნელის მიბაძვით XVII საუკუნეში არაერთი ეკლესია აიგო მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი პოლონეთში. მაგალითად, კრაკოვისა (1605-1619) და ლვოვის (1613-1621) ასევე პირველმოციქულთა სახელობის ეკლესიები, რომლებიც თბილისის ეკლესიასთანაც დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს. სურვილი, რომ კუკიის წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესია ილ ჯეზუსა და მის პოლონურ რეპლიკებს ყოფილიყო მიმსგავსებული, უთუოდ თავად პოლონური თემის მესვეურთაგან მოდიოდა. იეზუიტური ტაძრების ბაროკო უშუალოდ ასოცირდებოდა პოლონეთთან და მისი ისტორიის ოქროს ხანასთან - XVII საუკუნესთან. ეს არ ყოფილა მარტოოდენ ,,ნაცნობი“ არქიტექტურული ფორმა, რომელიც კავკასიაში იძულებით გადახვეწილ პოლონელებს სამშობლოს მოაგონებდა, ეს იყო ერთგვარი სიმბოლო პოლონეთის დიდების ეპოქისა, რომელმაც XIX საუკუნეში, პოლონეთის სახელმწიფოებრიობის არარსებობის ხანაში, ეროვნული იდენტობის მარკერის მნიშვნელობა შეიძინა.

ნეობაროკული სტილი, რომ უშუალოდ ეპასუხებოდა პოლონელების ეროვნულ იდენტობას, სამი ათეული წლის შემდეგ კუკიაზე დაკრძალული ვილჰელმ შმიდტცის საფლავზე აგებული სამლოცველოს არქიტექტურაც ადასტურებს.

ახალციხესა და სამცხე-ჯავახეთის სოფლებში, სადაც საეკლესიო მშენებლობა ქართველ და სომეხ კათოლიკეებს შორის ატეხილი ცხარე კამათის ფონზე მიმდინარეობდა, საკუთარი საეკლესიო ნაგებობის ქონა

787. მაია მანია, *ევროპელი არქიტექტორები საქართველოში* (თბილისი, 2006), 40.

ეროვნული იდენტობის განმტკიცებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. როგორც კვლევამ აჩვენა, გეგმარებითი სტრუქტურითა და მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით ქართული და სომხური კათოლიკური ეკლესიები არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. მათი უმეტესობა სამნავიანი ბაზილიკები და დარბაზული შენობებია. მამკობი არქიტექტურული ელემენტები მარტივი პროფილის მქონეა, ნეიტრალურ-კლასიცისტური ხასიათს ატარებს და შენობიდან შენობაზე თითქმის უცვლელი სახით მეორდება. სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიების სისადავის მთავარ მიზეზად ალბათ მშენებელთა და მრევლის შეზღუდული ფინანსური სახსრები უნდა მივიჩნიოთ. მათი შედარება სამშენებლო პროექტებთან გვიჩვენებს, რომ თავდაპირველი ჩანაფიქრი ხშირად სრულად ვერ ხორციელდებოდა და ეკლესიები გამარტივებული სახით შენდებოდა (ხიზაბავრა, სხვილისი, კარტიკამი, ხულგუმო), რაც უთუოდ თანხის დაზოგვის სურვილითუნდა აიხსნას. მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად 1870 წლიდან ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ქალაქის არქიტექტორის თანადებობა ოფიციალურად შემოიღეს და ამ დროიდან მოყოლებული ყველა ნაგებობის მშენებლობა თუ რეკონსტრუქცია პროფესიონალი არქიტექტორის მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით მიმდინარეობდა, ეკლესიათა გარეგნულ სახეს პროექტზე მეტად მაინც ბერძენ ოსტატთა სამშენებლო ტრადიციები (ქვის თლის მანერა, დეკორატიული მოტივები, ცალკეულ შემთხვევებში გეგმარებითი სტრუქტურაც) განსაზღვრავს, რაც მათ ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის პოსტბიზანტიური ეპოქის ძეგლებთან აახლოვებს.

როგორც კვლევამ აჩვენა, XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში კათოლიკური ეკლესიების არქიტექტურული სტილი არც ქართული და არც სომხური კათოლიკური თემებისთვის ეროვნული და რელიგიური იდენტობების გამოხატვის მთავარ გზად არ ქცეულა, ისინი სხვა საშუალებებით გამოვლინდა - მაგალითად, სამშენებლო წარწერების

ენასა და ლიტურგიული მოწყობის წესში. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, სადაც ოფიციალურად ყველა კათოლიკური ეკლესია სომხურ-კათოლიკურ რიტს მიეკუთვნებოდა, სამშენებლო წარწერის ენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მისი მეშვეობით მრევლი საკუთარ ეთნიკურ იდენტობას ამჟღავნებდა. ამის საინტერესო მაგალითია ხიზაბავრას ეკლესია. მის პროექტში, როგორც ითქვა, არქიტექტორმა ლუდვიკ კროპინსკიმ შუა საუკუნეების სომხური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები შეიტანა. პროექტის განხორციელებისას 1896-1898 წლებში ეს ელემენტები არ გაუკეთებიათ, აშენებულ ეკლესიას ნეიტრალური არქიტექტურული სახე აქვს. საფიქრელია, რომ ამის მიზეზი უსახსრობა უნდა ყოფილიყო და არა ქართველი მრევლის უკმაყოფილება შენობის სომხური იერით (ისიც საკითხავია, რამდენად აღიქვამდნენ ისინი ამ იერის სომხურობას). თავის მიმოწერაში მიხეილ თამარაშვილთან ხიზაბავრას მღვდელი მიხეილ ვარძელაშვილი ვრცლად ეხება ეკლესიის მშენებლობის ბევრ საკითხს, მაგრამ მისი არქიტექტურული სახის შესახებ არაფერს წერს. აგებულ შენობას მან წარწერები მხოლოდ ქართულად და ლათინურად გაუკეთა, რამაც სომეხ-კათოლიკეთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ის კანონის დარღვევაში დაადანაშაულეს და წარწერის წაშლა უბრძანეს: ,,რადგან ხიზაბავრას ეკკლესია არის სომხის კათოლიკების და არა ქართველ რომის კათოლიკების".[788]

ქართული ეროვნული იდენტობის განმტკიცებას ემსახურებოდა უდეს ეკლესიის (1901-1909) ვრცელი სამშენებლო წარწერებიც. სამხრეთ ფასადზე გაკეთებული წარწერის მიხედვით: ,,უდეს არის კათოლიკები 2120 სული მაშენებელნი ამა საყდრისა. მაჰმადიანები 520 სული ორივ ტომით ქართველნი. ღვთისმშობელო შენ გწირამთ ჩვენ შრომასა." ამ ლაკონურ წარწერაში არსებითად ქართველი ერის მრავალკონფესიურობის იდეაა განცხადებული. მუსლიმთა ერთი შეხედვით უადგილო ხსენება ამ იდეის ხაზგასმას ემსახურება. ის ასევე შეიძლება გავიგოთ, როგორც ერთგვარი

788. მიხეილ ვარძელაშვილის წერილი მ. თამარაშვილს, 1897 წლის 30 ოქტომბერი, საქმე №1615, ხეც, თბილისი.

გამოღვიძების გზავნილი მუსლიმი ქართველებისადმი, რომელთა ეროვნული თვითშეგნება იმხანად ბევრად სუსტი იყო, ვიდრე ქართველი კათოლიკეებისა.

საგულისხმოა, რომ ეკლესიის მაშენებელმა მღვდელმა სიმონ ჭილაშვილმა უდეს ეკლესიის ,,პროტოტიპად" საგანგებოდ შეარჩია ქუთაისის ასევე ღმრთისმშობლის სახელობის რომაულ-კათოლიკური ეკლესია. სინამდვილეში რეგიონში ამ დროს აგებულ ერთადერთ გუმბათიან ეკლესიას ქუთაისის ეკლესიასთან საერთო მხოლოდ ზოგადი არქიტექტურული სტრუქტურა და დიდი ზომა აქვს, მაგრამ ს. ჭილაშვილისა და მისი მრევლისთვის თავიანთი კულტურულ-რელიგიური ორიენტაციის საჩვენებლად ესეც საკმარისი იყო.

საეკლესიო შენობის ეროვნულ-კონფესიური კუთხით აღქმის საინტერესო მაგალითია თბილისის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიის ორღანის ზემოთმოტანილი ისტორია. 1884-1886 წლების რეკონსტრუქციის შემდეგ ეკლესიამ ნეოგოთიკური სახე მიიღო, მაგრამ ქართველი კათოლიკე სასულიერო პირებისა და მრევლისათვის ეს, როგორც ჩანს, ეკლესიის „ევროპულობის" საკმარისი მაჩვენებელი არ იყო. მისი წინამძღვრის პეტრე კალაიჯოვის თქმით, ის მხოლოდ მაშინ დაემსგავსა ,,ნამდვილ ევროპიულ რომის-კათოლიკე მშვენიერ ეკკლესიებს", როცა XX საუკუნის დასაწყისში აქ ორღანი დაიდგა. ეს შეფასება მოწმობს, რომ მისთვის და ალბათ მისი მრევლისთვისაც ,,ევროპულობას" არა შენობის არქიტექტურული სტილი, არამედ ლიტურგიული მოწყობა განსაზღვრავდა. განსხვავებით ნეოგოთიკური არქიტექტურული სტილისგან, რომელიც თავისუფლად შეიძლება სომეხ კათოლიკეებსაც გამოეყენებინათ, ორღანი პირდაპირ ასოცირდებოდა ლათინურ რიტთან, რადგან სომხურ-კათოლიკურ ეკლესიებში ორღანზე დაკვრა მიღებული არ იყო.

ეს ისტორია კარგად ასახავს ქართველ კათოლიკე თემში XIX საუკუნეში მიმდინარე პროცესს: ნაციონალიზმის აღმავლობის კვალდაკვალ, ქართული ეროვნული იდენტობა სულ უფროდაუფრო

ნაკლებად თავსებადი ხდება სომხურ-კათოლიკურ კონფესიურ იდენტობასთან. ქართველ კათოლიკეებს აღარ უნდათ იყვნენ „აღმსარებლობით სომხები“, მათ უნდათ აღმსარებლობითაც ქართველები იყვნენ. და თუ ეს არ გამოდის, ურჩევნიათ დაუკავშირდნენ ეთნიკურად ნეიტრალურ, უნივერსალურ-კოსმოპოლიტურ ლათინურ კათოლიკობას და ამ გზით დისტანცირდნენ ძლიერი ეროვნული შეფერილობის მქონე სომხური კათოლიკობისაგან.

ქართველ კათოლიკეთა ეროვნული მისწრაფებები ყველაზე სრულად სტამბოლის ფერიქოის უბიწოდ ჩასახვის მონასტრის ეკლესიაშია გამჟღავნებული. ეს საკითხი ზემოთ ვრცლად იყო განხილული და აქ აღარ დავუბრუნდები. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ქართველ კათოლიკეთა კონფესიური და ეროვნული იდენტობის თავსებადობისა და განუყოფელობის იდეის ჩვენებას ფერიქოის ეკლესიაში პროგრამული ხასიათი აქვს. არსად სხვაგან ეს იდეა ასე გაშლილად არ არის წარმოჩენილი, რაც ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ არსად სხვაგან, არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ, არ მოღვაწეობდა პატრიოტ კათოლიკე ინტელექტუალთა ისეთი გუნდი, როგორმაც მოიყარა თავი ფერიქოიში. საკურთხევლის კედლის მხატვრობა, მის წინ მდგარი წმ ანდრიასა და წმ. ნინოს ქანდაკებები და ინტერიერის სხვა დეტალები მოწოდებულია ვიზუალური ხატებით აჩვენოს ჰარმონია ქართული კათოლიკური იდენტობის ,,ორ ნახევარს“ - ეროვნულსა და კონფესიურს შორის და ქართული კათოლიციზმის ურღვევი კავშირი საქართველოს უძველეს საეკლესიო ტრადიციასთან.

ახალმოსახლეთა თვითდამკვიდრების საინტერესო მცდელობას ვხედავთ ტურცხის ეკლესიაში, რომლის დასავლეთი კედელში მეთხუთმეტე საუკუნის ორი ხაჩკარია ჩადგმული. ვფიქრობ, შუა საუკუნეების მემორიალური ქვების ჩართვა ახალი ეკლესიის კედელში მხოლოდ შენობის გამშვენებას არ ემსახურებოდა. მათი მეშვეობით ეკლესიის მშენებლობის მესვეურები ცდილობდნენ სომხური ეკლესიის

მრავალსაუკუნოვან ტრადიციასთან თავიანთი კავშირის ხაზგასმას და ახალმოსახლეთა, როგორც რეგიონში უწინ მცხოვრებ სომეხთა სულიერი მემკვიდრეების ლეგიტიმაციას.

საქართველოს კათოლიკური ეკლესიების ადგილი მსოფლიო საეკლესიო არქიტექტურის ისტორიაში ერთობ მოკრძალებულია. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ეს შენობები ვერ დაიკვეხნის ვერც არქიტექტურული ჩანაფიქრის მასშტაბურობით და ვერ შესრულების ხარისხით. სოფლის ეკლესიები (უდეს გარდა) მცირე ზომისა და მარტივი აგებულების უგუმბათო ნაგებობებია. მათი უსიამოვნო ჯმუხი პროპორციები და უსახური ფასადები გვაფიქრებინებს, რომ ხშირ შემთხვევაში მშენებლებს მხოლოდ უტილიტარული მიზნები ჰქონდათ და მხატვრულ ამოცანებს არც ისახავდნენ. ამას, როგორც ითქვა, პირველ რიგში, სოფლის კათოლიკური თემების სიდუხჭირე განაპირობებდა - სახსრების ნაკლებობა ეკლესიათა მშენებლებს აიძულებდა რაც შეიძლება მეტად გაეიაფებინათ მშენებლობა. მათგან განსხვავებით, თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის კათოლიკური ეკლესიები, რომელთაც მდიდარი შემწეები ჰყავდა, კვალიფიციურად დაპროექტებული და რიგიანად ნაშენი ნაგებობებია. მათ მეტ-ნაკლები მხატვრული ღირებულებაც აქვთ, მაგრამ ისინიც სრულიად მოკლებულია ორიგინალურობას და არსებითად ევროპული საეკლესიო არქიტექტურის რიგით პროვინციულ ნიმუშებს წარმოადგენს. ეს ეპიგონურობა სავსებით გასაგებია - კათოლიკური არქიტექტურა საქართველოში ადგილობრივ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, ადგილობრივი ტრადიციებით არ იყო ნასაზრდოები და, შესაბამისად, მის არქიტექტურულ ენას მთლიანად განსაზღვრავდა რუსეთის იმპერიასა თუ ევროპაში გავრცელებული სტილები.

საქართველოს კათოლიკური ეკლესიების მნიშვნელობის შესაფასებლად მთავარი არა მათი მხატვრულ-არქიტექტურული, არამედ კულტურულ-ისტორიული ღირებულებაა. ეს ეკლესიები წარმოადგენს კათოლიკობის ყველაზე თვალსაჩინო მატერიალურ კვალს საქართველოში,

ნივთიერ საბუთებს, რომელთა შესწავლის გარეშეც შეუძლებელია კათოლიკობის ისტორიის სურათის სრულად წარმოდგენა. დიდად დასანანია, რომ ამ ნივთიერ საბუთთაგან ყველაზე ძველი - მისიონერთა თუ ადგილობრივ კათოლიკეთა მიერ შუა საუკუნეებში აგებული ეკლესიები მთლიანად განადგურდა და მათ შესახებ მხოლოდ ძუნწი წერილობითი და გრაფიკული მასალით გვიწევს მსჯელობა. რაც შემორჩა, თითქმის უგამონაკლისოდ 1801 წლის შემდგომი ხანისაა და უკვე ახალი დროის ისტორიის ილუსტრირებას ემსახურება. ვფიქრობ, მათი შესწავლით უფრო ნათლად წარმოჩნდა საქართველოს XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ისტორიის მრავალი საკითხი - სხვადასხვა ეროვნებისა და სოციალური შემადგენლობის კათოლიკური თემების მისწრაფებები და იდეალები, მათი ეკონომიკური მდგომარეობა და შესაძლებლობები, სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა, შიდაკონფესიური და კონფესიათშორისი ურთიერთობები, ეთნიკური და რელიგიური იდენტობა და სხვა.

ბიბლიოგრაფია

ავიტაბილე, პიეტრო. 1977. *ცნობები საქართველოზე: XVII საუკუნე.* შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა. თბილისი: მეცნიერება.

ალიმბარაშვილი, იოსებ. 2012. ,,გორის ოქონის ღვთისმშობლის ეკლესია და მასში დაცული სიწმინდეები". *ოქონა, სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო სესიების მასალები,* 57-82. თბილისი: ფარნავაზი.

ანთელავა, ილია. 1990. *ლევან II დადიანი.* თბილისი: მერანი.

ასლანიშვილი-ბავრელი, სოლომონ. 2008. *წერილები ოსმალოს საქართველოზე.* თბილისი: არტანუჯი.

ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა. 1987. შეადგინეს ილ. აბულაძემ, მ. ქავთარიამ და ც. ჭანკიევმა. თბილისი: მეცნიერება.

ბაგრატიონი, თეიმურაზ. 1983. *ახალი ისტორია.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა. თბილისი: მეცნიერება.

ბაღოშვილი, ვაჟა და თენგიზ პარმაქსიზიშვილი. 2012. ,,კათოლიკეთა საკრებულო ბათუმში". *ბათუმი წარსული და თანამედროვეობა.* საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ბათუმი. 2010 წლის 30-31 ოქტომბერი. II: 148-158.

ბაჯელიძე, ასმათ. 2010. ,,ბათუმის კათოლიკური ეკლესია". *ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმის მაცნე.* III: 31-36.

ბაჯელიძე, ასმათ. 2011. ,,სტეფანე ზუბალაშვილი". *ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმის მაცნე.* IV: 39-41.

ბერიძე, ვახტანგ. 1960. *თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801-1917 წლები.* ტ. I. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

---------. 1963. *თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917.* ტ. II. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

---------. 1955. *სამცხის ხუროთმოძღვრება.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

---------. 1970. *სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები.* თბილისი: ნაკადული.

----------. 2014. *ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია.* ტ. II. თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი.

----------. 1994. *XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება*, თბილისი: კანდელი.

ბერიძე, თეიმურაზ. 1977. *ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია.* თბილისი: მეცნიერება.

ბერძენიშვილი, დევი და სხვანი, 2000*. ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი.* თბილისი: ნეკერი.

ბერძნიშვილი, მამისა. 1965. *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში.* თბილისი: მეცნიერება.

ბოჭორიძე, გიორგი. 1992. *მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები, საძიებლები და შესავალი დაურთეს: დ. ბერძენიშვილმა, ლ. მელიქიშვილმა, ლ. ხუციშვილმა. თბილისი: მეცნიერება.

ბროსსე, მარი. 1998. *საქართველოს ისტორია.* ბათუმი: აჭარა.

გამბა, ფრანსუა ჟაკ. 1987. *მოგზაურობა ამიერკავკასიაში.* თბილისი: განათლება.

გარაყანიძე, ირინე. 1990. ,,საქართელოში ბერძენთა გადმოსახლების ისტორია (XVIII-XX სს.)", *ბერძნები საქართველოში.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გერსამია, თამაზ. 1984. *ძველი თბილისი.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. 1964. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

გრიგალაშვილი, სულიკო. 2006. ,,ანტიკლერიკული მოძრაობა საფრანგეთში და ქართველი კათოლიკეები". *საისტორიო ვერტიკალები* 1 (10): 70-75.

დალეჯიო დ'ალესიო, ევგენი. 1921. *ქართველები კონსტანტინეპოლში.* თარგმანი ფრანგულიდან პ. შალვა ვარდიძისა. სტამბოლი: საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა სავანისა.

დარჩიაშვილი, დავით. 2015. ,,ახალციხე - ქართული ,,იერუსალიმი"". *ისტორიის რეკონსტრუქციები* 1: 8-51.

დვალი, მალაქია. 1974. *მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი.* თბილისი: მეცნიერება.

დობორჯგინიძე, ნინო. 2012. ,,ზოგიერთი რამ ილიასეული ბარაქალას შესახებ". *კადმოსი* 4: 73-96.

---------. 2015. ,,უცნობი საქართველო, იტალიის არქივებსა და მუზეუმებში დაცული წყაროების კვლევა და პუბლიკაცია". მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო კონფერენციის *,,მუზეუმი და კულტურული მემკვიდრება"* მასალები, 75-82. 2015 წლის 20- 22 მაისი. თბილისი-წინანდალი.

ელერდაშვილი, ნინო. 2009. ,,სერაფიმე პოლოლიკაშვილის უცნობი ნამუშევრები". *საქართველოს სიძველენი* 9: 205-211.

ვეიდენბაუმი, ევგენი. 2006. *ბათუმიდან ართვინამდე (მგზავრის ჩანაწერები).* თბილისი: არტანუჯი.

თამარაშვილი, მიხეილ. 2011. *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე.* თბილისი: სიესტა.

----------. 1904. *პასუხად სომხის მწერლებს, რომლებიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას: (ისტორიული გამოკვლევა).* ტფილისი: გრ. ნ. დიასამიძის სტამბა.

----------. 1995. *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე.* თბილისი: კანდელი.

თინიკაშვილი, დავით. 2015. *ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა XI-XIII საუკუნეებში.* ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი. თბილისი.

თუმანიშვილი, დიმიტრი. *თბილისის ბეთლემის ღმრთისმშობლის ეკლესია.* ხელნაწერი.

თუმანიშვილი, დიმიტრი, ნათია ნაცვლიშვილი და დავით ხოშტარია. 2012. *მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში.* თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი.

იველაშვილი, თინა. 2009. *კათოლიკობა საქართველოში.* თბილისი: უნივერსალი.

-------. 2005. *სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია.* თბილისი: მემატიანე.

იზაშვილი, პ. 1898. *ქართველ კათოლიკეთა შესახებ.* ტფილისი: ზ. ჭიჭინაძის გამოცემა.

ისაკაძე, როლანდ. 2006. *ქუთაისი XV-XVIII საუკუნეებში.* ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი.

იოსელიანი, პლატონ. 2006. *აღწერა თფილისის სიძველეთა.* თბილისი: ძველი თბილისის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი.

ისარლოვი, ლუკა. 1897. ,,კათოლიკენი საქართველოში". *მოამბე* XII: 61-92.

კალანდია, გიორგი. 2006. *ს. პროკუდინ-გორსკი, ფერადი წარსული.* თბილისი.

კარმელიტების ქრონიკა საქართველოზე (XVII-XVIII საუკუნეები). 1999. შესავალი, თარგმანი და კომენტარები ქეთევან პავლიაშვილისა. თბილისი: ირმისა.

კასრაძე, ანასტასია. 1947. *რომის პროპაგანდა და რომის კათოლიკური მისიები საქართველოში.* ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვლებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის თეზისები. თბილისი: სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კასტელი, დონ კრისტოფორო დე. 1976. *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ.* ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბილისი: მეცნიერება.

კეზევაძე, მერაბ. 2017. ,,ქუთაისის წმ. სოფიასა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიების ისტორიისათვის", საერთაშორისო კონფერენციის *,,არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა, სიძველეთმცოდნეობა -*

*ტენდენციები და თანამედროვე გამოწვევები”*მასალები, 58-65. 2016 წლის 1-3 სექტემბერი. თბილისი.

კვარაცხელია, ნუგზარ. 1999. ,,ქუთაისელი კათოლიკები XIX საუკუნეში”. *ქუთაისის მუზეუმის მასალები.* XI: 88-97.

კვასხაძე, შალვა. 1952. *ქართული წიგნის გრაფიკული ხელოვნება: ვახტანგ VI-ის სტამბის წიგნი, 1709-1722.* თბილისი: ხელოვნება.

კიკნაძე, ვაჟა. 1983. ,,ლათინური წყარო XIV საქართველოს შესახებ”. *თბილისის უნივერსიტეტის შრომები* 243: 95-105.

----------. 1982. საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან. *მნათობი* (სექტემბერი): 156-160.

კილანავა, ცირა. 2013. *ქართული ნაციონალური დისკურსის ფორმირება: საქართველოსა და რუსეთის იმპერიის მარკირების მოდელები და ქართული ნაციონალური თვითიდენტიფიკაცია მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.* ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი. თბილისი.

კოჟორიძე, დავით. 1969. *განახლებული მესხეთის ქალაქი (ახალციხის ისტორია).* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ლამბერტი, არქანჯელო. 2011. *სამეგრელოს აღწერა.* თბილისი: მთაწმინდა.

ლანჩავა, ომარ. 2015. *ქუთაისის არქეოლოგია.* ქუთაისი: ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.

ლილუაშვილი, მანონ. 2016. ,,სომხური და ქართული არქიტექტურის ურთიერთქმედება XVIII-XIX საუკუნეების თბილისში”. წიგნში: *არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918)*, რედ. დ. ხოშტარია, 133-148. თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი.

----------. 2017. ,,სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესია: ისტორია და არქიტექტურა”. *საქართველოს სიძველენი* 20: 259-273.

ლომინაძე, ბაბილინა. 1966. *ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან სენიორიები.* I. თბილისი: მეცნიერება.

ლომსაძე, შოთა. 1979. *გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან:*

ახალციხური ქრონიკები. თბილისი: მეცნიერება.

---------. 1984. *მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

---------. 1975. *სამცხე-ჯავახეთი.* თბილისი: მეცნიერება.

მამისთვალიშვილი, ელდარ. 1994. *გორის ისტორია.* წ. I. თბილისი: მეცნიერება.

---------. 2014. ,,ვინ იყვნენ XVII-XVIII საუკუნეთა საქართველოში კათოლიკენი?". *კადმოსი* 6: 376-399.

--------. 2009. *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (XV-XVI სს.).* I. თბილისი: მერიდიანი.

----------. 1980. ,,საქართველო ჰანს შილტბერგერის ,,მოგზაურობის წიგნში"". *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე* 2: 103-119.

მანია, მაია. 2006. *ევროპელი არქიტექტორები თბილისში.* თბილისი.

მგალობლიშვილი, ანა. 2013. ,,აბასთუმნის ალექსანდრე ნეველის ეკლესიის მოხატულობა". *ახალციხის და ტაო-კლარჯეთის ეპარქია,* რედ. ვ. ასათიანი, 440-449. თბილისი: ზარზმის სავანე.

--------. 2009. ,,შიომღვიმის მონასტრის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიის მოხატულობასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი". *საქართველოს სიძველენი* 13: 225-240.

მენაბდიშვილი, ვახტანგ. 2005. *კათოლიკობა საქართველოში.* ქუთაისი: ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მეფისაშვილი, რუსუდან. 1950. ,,ვალეს ტაძარი და მისი აღმშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი". *ქართული ხელოვნება* 3: 25-52.

მურიე, ჟან. *ბათუმი და ჭოროხის აუზი.* 1962. ფრანგულიდან თარგმნა იზა ლორთქიფანიძემ. ბათუმი: სახელმწიფო გამომცემლობა.

ნაცვლიშვილი, ნათია. 2014. ,,არქიტექტორი ლუდვიკ კროპინსკი". *აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები,* 19-20. 2014 წლის 11-12 დეკემბერი. თბილისი.

--------. 2017. ,,ახალციხის კათოლიკური სიძველეები". *საქართველოს სიძველენი* 20: 274-306.

--------. 2011. ,,თბილისის კათოლიკური თემის ისტორიიდან (სოლოლაკის სასაფლაო)". *Academia* 2: 83-87.

--------. 2016. ,,კათოლიკეთა აღმშენებლობა თბილისში". წიგნში: *არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო აღმშენებლობა თბილისში (1801-1918).* რედ. დავით ხოშტარია, 149-189. თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი.

--------. 2016. ,,კათოლიკური ეკლესიების მშენებლობა სამხრეთ საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე (ხიზაბავრა და სხვილისი)". *საქართველოს სიძველენი* 16: 182-197.

---------. 2015. ,,კათოლიკური ეკლესიები საქართველოში: მშენებლები და შემწირველები (XIX საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისი)". *კადმოსი* 7: 7-21.

----------. 2014. ,,სტამბოლის ფერიქოის ქართული კათოლიკური მონასტერი". *საქართველოს სიძველენი* 17: 296-311.

ნაჭყებია, მერაბ. 2008. ,,ქართული კულტურის კვალი უსკუდარში". *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები* V: 247-252.

ნიკოლეიშვილი, ავთანდილ. 2009. ,,ახალი შტრიხები მონტობანის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის ისტორიიდან". *ნოვაცია* 5: 158-174.

ნინიძე, დავით. 2004. ,,სიმონ დე სან-კვენტინის ცნობები საქართველოს შესახებ (ასცელინის ელჩობა)". *ქართული დიპლომატია. წელიწდეული* 11: 256-286.

---------. 2009. ,,თბილისის დომინიკელთა მონასტრის ისტორიისათვის (ვინ იყო გვიხარდ კრემონელი?)". *საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი*, 224-236. თბილისი.

ოკუჯავა, კობა. 2007. „თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია XVII საუკუნეში". წიგნში: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე, რედ-ები ჯემალ გამახარია, თამაზ ბერაძე და თეიმურაზ გვანცელაძე, 151-172. თბილისი: ინტელექტი.

ორბელიანი, სულხან საბა. 2005. *მოგზაურობა ევროპაში.* სოლომონ

იორდანაშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით. თბილისი: ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის გამომცემლობა.

ოხალი, ადამ. 2004. ,,პოლონელთა წვლილი საქართველოს კათოლიკური ეკლესიის მოღვაწეობაში". *პოლონელების 200 წელი კავკასიაში. ქართულ-პოლონური ურთიერთკავშირები*, რედ. მ. ფილინა, 34-49. თბილისი.

პავლიაშვილი, ქეთევან. 2008. ,,ფრაგმენტები გორის კათოლიკური ეკლესიის ისტორიიდან (XV-XIX სს.)". *კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები.* XXI: 81-91. თბილისი.

პაპაშვილი, მურმან. 1995. *საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს.*. თბილისი: აღმაშენებელი.

პაპუაშვილი, ნუგზარ. 2013. *სიმართლისა და სამართლისათვის გორის კათოლიკურ ეკლესიაზე.* თბილისი.

პოლიევქტოვი, მიხეილ და გრიგოლ ნათაძე. 1930. *ძველი ტფილისი.* თარგმანი რუსულიდან ი. აღლაძისა და ვ. გორგაძისა, ტფილისი: სახელგამი.

ჟორდანია, თედო. 1967. *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა.* წ. III. თბილისი: მეცნიერება.

რელიგიური დაწესებულებები აჭარაში (დოკუმენტების კრებული). 2010. ბათუმი: ალიონი.

როგავა, გივი. 1996. *კათოლიკობა საქართველოში.* თბილისი.

საქართველოს ისტორიის ატლასი. 2016, რედ. დავით მუსხელიშვილი. თბილისი: არტანუჯი.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. 1990. ტ. 5. თბილისი: ქათული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთავარი სამეცნიერო რედაქცია.

საქართველოს ძველი ქალაქები. თბილისი. 2006. წიგნი მოამზადეს და გამოსცეს მ. ბულიამ და მ. ჯანჯალიამ. თბილისი: ბეთანია.

საქართველოს ძველი ქალაქები. ქუთაისი. 2006. წიგნი მოამზადეს და

გამოსცეს მ. ბულიამ და მ. ჯანჯალიამ. თბილისი: ბეთანია.

სილოგავა, ვალერი. 2013. „ტაო-კლარჯეთის ეპარქიები". *ახალციხის და ტაო-კლარჯეთის ეპარქია*, რედ. ვალერი ასათიანი, 670-730. თბილისი: ზარზმის სავანე.

ტაბაღუა, ილია. 1984. *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში.* ტ. I. თბილისი: მეცნიერება.

--------. 1986. *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში.* ტ. II. თბილისი: მეცნიერება.

--------. 1987. *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში.* ტ. III. თბილისი: მეცნიერება.

ტოტოჩავა, გოდერძი. 1988. ,,ხსოვნა გულისა". *ჯვარი ვაზისა* 1: 31-33.

ტურნეფორი, ჟოზეფ პიტონ დე. 1988. *მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში.* ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბილისი: მეცნიერება.

უზუნაძე, რევაზ. 1997. *ბათუმის ისტორიიდან.* ბათუმი: აჭარა.

ფურიერი, ანჯეი. 1992. ,,თბილისის პეტრე-პავლეს ეკლესიის ისტორიიდან". *თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები* 310: 224-230.

ფრონელი, ალექსანდრე. 1991. *დიდებული მესხეთი.* თბილისი: მარიხი.

ფუტკარაძე, შუშანა. 2012. *ქართული სტამბოლის სავანე.* თბილისი: არტანუჯი.

ქართველიშვილი, თეა. 2006. *გურიის საეპისკოპოსოები.* თბილისი: არტანუჯი.

ქართლის ცხოვრება. 1959. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ქართლის ცხოვრება. 1973. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ქიტიაშვილი, ლია. 2014. *1763-1809 წლების სამხრეთ-დასავლეთ*

საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი ,,ხოჯავანთ იოვანეს მისიონერული დღიურის წერილების" მიხედვით. სადისერტაციო ნაშრომი. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი.

ყაზბეგი, გიორგი. 1995. *სამი თვე თურქეთის საქართველოში.* ბათუმი: აჭარა.

ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა, ტირასპოლის ეპარხიის ეპისკოპოსი ედუარდ ბარონ-დე როპპი და მისი მოგზაურობა საქართველოში თავისი საკუთარი მარშრუტის დამატებით. 1903. შედგენილი და გამოცემული მესხი კონსტანტინე გვარამაძის მიერ. თბილისი: ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის სტამბა.

ყრუაშვილი, ნატო. 2008. *ივანე გვარამაძის როლი მესხურ განმანათლებლობაში.* თბილისი.

--------. 1999. *კონსტანტინე გვარამაძე.* თბილისი: თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა.

--------. 2012. *მიხეილ თამარაშვილი.* ახალციხე: ცოდნა.

--------. 2010. ,,,ოსმალეთის ქართველთა შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოების" დაარსების საკითხის შესწავლისათვის". *საზრისი* 26: 89-92.

--------. 2009. *სოფელი ხიზაბავრა.* თბილისი: ცოდნა.

--------. 2012. *სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის წინამძღვრები ხიზაბავრიდან.* ახალციხე.

--------. 2005. *ქართველი კათოლიკეები სამცხე-ჯავახეთში (XIX-XX საუკუნეთა მიჯნა).* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

შამილიშვილი, მანანა. 1988. ,,ბათუმის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის ისტორიიდან". *ჭოროხი* 2: 80-83.

შარდენი, ჟან. *მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ).* 1975. ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბილისი: მეცნიერება.

შარიქაძე, თემურ. 2011. ,,ზუბალაშვილების სავაჭრო-სამრეწველო და საქველმოქმედო მოღვაწეობა". *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე.* ტ. II (47-B): 447-459.

ჩელები, ევლია. 1971. *მოგზაურობის წიგნი.* თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. ნაკვ. I. თბილისი: მეცნიერება.

ძველნაბეჭდი ქართული გამოცემები. 2010. ტ. 1. რედ-ები. მიხეილ ქავთარია და ფერიდე კვაჭანტირაძე. თბილისი.

წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან. 2017. I. რედ. შუშანა ფუტარაძე. ბათუმი: სამშობლო.

ჭანიშვილი, გიორგი. 2016. ,,თბილისის სატაძრო ნაგებობა რკინაბეტონის გუმბათით - აშკენაზების სინაგოგა". *საქართველოს სიძველენი* 19: 215-230.

ჭიჭილეიშვილი, მაია. 2011. ,,,ძველი ბათუმის" საკულტო ძეგლების შესწავლის საკითხისათვის". *ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები* III: 161-185.

ჭიჭინაძე, ზაქარია. 1895. *აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი.* ტფილისი: მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბა.

--------. 1903. *კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში.* ტფილისი: მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა არ. ქუთათელაძისა.

--------. 1896. *პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში.* ტფილისი: ი. ხელაძის სტამბა.

--------. 1905. *სამცხე-საათაბაგო.* ტფილისი: მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა არ. ქუთათელაძისა.

--------. 1898. *უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა.* ტფილისი: ი. ხელაძის სტამბა.

--------. 1904. *ქართველ კათოლიკეთ არქიმანდრიტი პავლე შაყულიანი (ჭილიმურზაშვილი) 1769-1855.* ტფილისი: გრ. ნ. დიასამიძის სტამბა.

--------. 1904. *ქართველ კათოლიკეთ პატრი მიხეილ თამარაშვილი და მისი შრომანი.* ტფილისი: არ. ქუთათელაძის სტამბა.

--------. 1905. *ქართველ კათოლიკეთ მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის*

ცნობები. ტფილისი: მსწრაფლ-მბეჭდავი არ. ქუთათელაძისა.

--------. 1912. *ქართველ კათოლიკეთ სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები: მიხეილ პეტრეს-ძე თამარაშვილი.* ტფილისი: სტამბა ,,შრომა".

--------. 1920. *ქართველ კათოლიკეთ ქართული ტიპიკონის ამბავი.* ტფილისი: ამხანაგობა ,,შრომა"-ს სტამბა,

----------. 1905. *ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა.* თფილისი: სტამბა ე. ი. ხელაძისა.

--------. 1904. *ქართველ კათოლიკეთა მოძღვარი ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი).* ტფილისი: გრ. ნ. დიასამიძის სტამბა.

--------. 1905. *ქართველ კათოლიკენი ყველა ასპარეზზედ და ზოგი რამ წერილები დასავლეთ საქართველოზე.* ტფილისი: არ. ქუთათელაძის სტამბა.

--------. 1904. *ქართველთ კათოლიკენი და საქართველოს დაკარგული სოფლები.* ტფილისი: გრ. ნ. დიასამიძის სტამბა.

ჭიჭინაძე, ნინო. 2008. *საბერძნეთი საბერძნეთს მიღმა, პონტოელი ბერძნების რელიგიური ხელოვნება საქართველოში.* თბილისი.

ჭუმბურიძე, მანანა. 2009-2010. ,,თედო ხოშტარიას მოგონებები". *საისტორიო მოამბე* 79-80: 124-168.

ხითარიშვილი, ხათუნა. 2004. ,,ივლიტის ეკლესიის ისტორია", *საბა* 4: 7.

ხორავა, ბეჟან. 2007. ,,აფხაზეთი XVIII საუკუნის დასაწყისიდან 80-იან წლებამდე". წიგნში: *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე.* რედ-ები ჯემალ გამახარია, თამაზ ბერაძე და თეიმურაზ გვანცელაძე, 187-202. თბილისი: ინტელექტი.

ხოსროშვილი, თამარ. 2016. ,,თბილისის XIX საუკუნის ეკლესიათა მოხატულობები". წიგნში: *არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918)*, რედ. დავით ხოშტარია, 227-256. თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი.

ხოშტარია, დავით. 2016. ,,იმპერიული იდენტობა და რუსული სტილი თბილისის საეკლესიო არქიტექტურაში". წიგნში: *არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918).* რედ. დ. ხოშტარია, 89-105. თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი

ცენტრი.

--------. 1989. ,,იონიური ორდერის რემინისცენციები IX-X საუკუნეთა ქართულ არქიტექტურაში". *ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი VI საერთაშორისო სიმპოზიუმი. მოხსენებათა თეზისები*, 110-112. თბილისი: მეცნიერება.

----------. 2006. *კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები*, თბილისი: არტანუჯი, 2006.

----------. 2008. ,,შენიშვნები თბილისის შუა საუკუნეების ეკლესიებზე". *საქართველოს სიძველენი*. 12: 230-246.

----------. 2009. ,,ხარების ეკლესია თბილისში". *საქართველოს სიძველენი* 13: 159-167.

ხოშტარია, დავით და ნათია ნაცვლიშვილი. ,,საეკლესიო არქიტექტურა და მშენებლობა ეროვნული და კონფესიური იდენტობის კონტექსტში". წიგნში: *არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918)*, რედ. დ. ხოშტარია, 11-29. თბილისი: გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრი.

ხოჯაშვილი, იოანე, სტეფანე აბინაშვილი და სტეფანე ნავროზაშვილი. 2015. *ახალციხური ქრონიკები, დღიური მატიანე*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ნიკო ბერძენიშვილმა და მიხეილ ქავთარიამ. თბილისი: უნივერსალი.

ჯავახიშვილი, მანანა. 2009. *მონტობანის ქართველ კათოლიკეთა სავანე*. თბილისი.

ჯავახიშვილი, მანანა. 1997. *საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან XI-XIV სს-ში*. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

ჯანჯალია, მზია. 1990. ,,ბოდბის ტაძრის ეგვტერის მოხატულობა და მისი ლიტერატურული წყაროები". *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია* 3: 144-152.

ჯვარიძე, გრიგოლ. 2011. *ივანე გვარამაძის პირადი არქივის აღწერილობა*. ახალციხე: საქართველოს ეროვნული მუზეუმი; სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი.

ჯიბაშვილი, ოლეგ და ხათუნა დიასამიძე. 2013. ,,ბათუმში მცხოვრებ

კათოლიკე სომეხთა ისტორიიდან", *ბათუმი წარსული და თანამედროვეობა*. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 85-89. 2012 წლის 7-8 სექტემბერი. ბათუმი.

ჯუდიჩე, დონ ჯუზეპე მილანელი. 2014. *რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე)*. იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა. თბილისი: უნივერსალი.

XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. 1981. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშილმა. თბილისი: მეცნიერება.

Afif, Muhammad. 1999. ,,The State and the Church in Nineteenth-Century Egypt". *Die Welt des Islams,* New Series, Vol. 39, Issue 3 (November): 273-288. http://www.jstor.org/stable/1571250 (08.04.2011 17:38)..

Aytekin, Osman. 1999. *Ortaçağ'dan Osmanlı Dönemi Sonuna Kadar: Artvin'deki Mimarı Eserler*, Ankara: Kültür Bakanliği Yayinlari.

Apostolov, Mario. 2001. *Religious Minorities, Nation States ans Security: Five Cases from the Balkans and the Eastern Mediterranean*. Aldershot: Ashgate.

Badem Candan. 2014. ""Forty Years of Black Days?" The Russian Administration of Kars, Ardahan, and Batum, 1878-1918". In *Russian-Ottoman Borderlands the Eastern Question Reconsidered*. Lucien J. Frary and Mara Kozelsky, eds. Madison, Wisconsin: University of Wisconsin Press.

Baronius, Caesar. *Annalles Ecclesiastici*, Vol. 24 (1313-1333). Barri-Ducis, Parisus, Friburgi HELV. Ex typis Consociationis Sancti Pauli, M DCCC LXXX.

Braude, Benjamin. 1982. "Foundation Myths of the Millet System". In *Christians and Jews in the Ottoman Empire: The Functioning of a Plural Society*. Benjamin Braude and Bernard Lewis, eds. Vol. I: The Central Lands 69-88. London: Holmes & Meier.

Brosset, Marie. 1851. *Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, execute en 1847-1848*. 2e livraison. cinquiéme rapport. St-Pétersbourg: Imprimerie de l'Académie Impériale des Sciences.

-------. 1851. *Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847-1848*, 3e livraison. sixième rapport. St.-Pétersbourg: Imprimerie de l'Académie Impériale des Sciences.

Butterwick, Richard. 2011. *The Polish Revolution and the Catholic Church 1788-1792: A Political History*. Oxford: Oxford University Press.

Bryer, Anthony, David Winfield, Selina Balance, and Jane Isaac. 2002. *The Post-Byzantine Monuments of the Pontos*. Aldershot, Vermont: Ashgate.

Checa-Artasu, Martín M. "Catedrales Neogóticas y Especialidades del Poder de la Iglesia en el Occidente de México: una Visión desde la Geografía de la Religión". *XII Coloquio Internacional de Geocrítica, las independencias y construcción de estados nacionales: poder, territorialización y socialización, siglos XIX-XX*. Bogotá. 7 a 11 Mayo de 2012. http://www.ub.edu/geocrit/sn/sn-418/sn-418-49.htm

Cordier, Henri. 1913. *Cathay and the Way Thither Being a Collection of Mewdieval Norices of China*. Vol. III. Sir H. Yule, trans. and ed. London: Hakluyt Society.

Corrsin, Stephen D. 1986. "Warsaw, Poles and Jews in a Conquered City". In *The City in Late Imperial Russia*, M. F. Hamm, ed., 123-151. Bloomington: Indiana University Press.

Crews, Robert. 2003. "Empire and the Confessional State: Islam and Religious Politics in Nineteenth-Century Russia. *The American Historical Rieview* 108, no 1 (Fabruary): 50-83. http://www.jstor.org/stable/10.1086/533045 . (08.04.2011 18:04)

Curl, James Stevens. 1975. "The Architecture and Planning of the Nineteenth-Century Cemetery". *Garden History* 3, no. 3: 13:41. http://www.jstor.org/stable/1586489 . (17.04.2011 13:50)

Darnault, Sezer Sezim. 2004. *Latin Catholic Buildings in Istanbul: a Historical Perspective (1839-1923)*. Istanbul: the Isis Press.

Doborjginidze, Nino. 2012. "On Some Implications of Ilia Chavchavadze's Barakala". *Kadmos* 4: 73-115.

Dubois de Montpéreux, Frédéric. 1839. *Voyage autour du Caucase, chez les tcherkesses et les abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée*, t. I, Paris: Librarie de Gide.

----------. 1840. *Voyage autour du Caucase*, *chez les tcherkesses et les abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée*. Atlas. série d'architecture. III. Neushatel en Suisse: l'Auteur.

Frazee, Charles A. 2006. *Catholics and Sultans: The Church and the Ottoman Empire 1453-1923*. New York: Cambridge University Press.

---------. 1975. "The Formation of the Armenian Catholic Community in the Ottoman Empire." *Eastern Churches Review* VII. no 2: 149-169.

---------. 1984. "Vincentian Missions in the Islamic World." *Vincentian Heritage Journal* 5, Issue 1, Article 1: 1-42. http://via.library.depaul.edu/vhj/vol5/iss1/1

Furier, Andrzej. 2009. *Polacy w Gruzi.* Warszawa: Wydawnictwo Trio.

Gallager, Sally K. 2005. "Building Traditions: Comparing Space, Ritual, and Community in Three Congregations." *Review of eligious Research* 47. no 1 (September): 70-85.

Gamba, Jacques François. 1826. *Voyage dans la Russie méridionale, et particulièrment dans les provinces situées au-delà du Caucase, fait depuis 1820 jusqu'en 1824*. T. II. Paris: C. J. Trouvé Imprimeur-Libraire.

Girardelli, Paolo. 2005. "Architecture, Identity, and Liminality: On the Use and Meaning of Catholic Spaces in Late Ottoman Istanbul." *Muqarnas* 22: 233-264.

Grimse, Brendan. 2009. "Funding a Roman Catholic Church in Nineteenth-Century Ireland." *Architectural History* 52: 147-168.

----------. 2005. *The Architecture of Dublin's Neo-Classical Roman Catholic Temples 1803-62*. Ph.D. thesis Submtted to the Faculty of History of Art and Design and Complementary Studies National Collage of Art and Design a recognised college of the National University of Ireland.

Guthe, Christine M. E. 1996. "Japan 1868-1945: Art, Architecture, and National Identity." *Art Journal* 55. no 3 (Autumn): 16-20.

Guzman, Gregory G. 1971. "Simon of Saint-Quentin and the Dominican Mission to the Mongol Baiju: A Reappraisal." *Speculum* 46 (2): 232-249.

Ayoob, Mohammed and Ismayilov, Murad (eds). 2015. *Identity and Politics in Central Asia and the Caucasus*. London and New York: Routledge.

Joseph, John. 2000. *The Modern Assyrians of the Middle East, Encounters with Western Christian Missions, Archaeologists, and Colonial Powers*. Leiden, Boston, Köln: Brill.

Kalmar, Ivan Davidson. 2001. "Moorish Style: Orientalism, the Jews, and Synagoge Architecture". *Jewish Social Studies.* New Series. Vol. 7, no. 3 (Spring-Summer,): 68-100. http://www.jstor.org/stable/4467611 (09.04.2011 12:02).

Karapetyan, Samvel. 2008. Akhaltskha (Samtskhe Province). Yerevan: Research on Armenian Architecture (RAA) Foundation. (სომხურად).

---------. 2011. *Javakhk*. Yerevan: Research on Armenian Architecture (RAA) Foundation.

Klaproth, Julius Heinrich. 1814. *Travels in the Caucasus and Georgia*, Performed in the years 1807 and 1808 by Command of Russian Government. Translated from German by F. Shoberl. London: H. Colburn.

Klaproth, Jules. 1823. *Voyage au Mont Caucase et en Georgie*, tome second, Paris: librarie de Charles Gosselin, Librarie Classique-Éleméntaire.

Loosley, Emma. 2008. "The Manorite Catholic Church: History and Identity". *One in Christ,* 42. no 1 (Summer): 29-45.

Monteith, William. 1856. *Kars and Erzeroum: The Campaigns of Prince Paskiewitch in 1828 and 1829, and an Account of the Conquests of Russia Beyond the Caucasus, from the Time of Peter the Great to the Treaty of Turcoman Chie and Adrianople*. London: Longman, Brown, Green, and Longman.

Moffson, Steven. H. 2003. "Identity and Assimilation in Synagogue Architecture in Georgia, 1870-1920". *Perspectives in Vernacular Architecture* 9:151-165. http://www.jstor.org/stable/3514431 (03.06.2013 03:17).

Murphy, Thaddeus O. P. 1953. "The Friars Preachers in Armenia". *Dominicana* 38:2 (June): 121-130.

Natsvlishvili, Natia. 2015. "Catholic Churches in Georgia: Builders and Benefactors (19th and early 20th Centuries)". *Kadmos* 7: 22-34.

----------. 2015. "A Struggle for Identity: Georgian Catholics and their Monastery in Istanbul". *Caucasus Survey* 3. no1: 76-86. http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/23761199.2015.1023599

Norseng, Mary Kay. 1991. *Dagny Juel Przybyszewska, the Woman and the Myth*. Seattle & London: University of Washington Press.

Peratoner, Alberto. 2011. *Venice San Lazzaro Degli Armeni*. Milan: Silvana Editoriale.

Ormanian, Malachia. 1910. *L'église arménienne. Son histoire, sa doctrine, son régime, sa discipline, sa liturgie, sa litterature, son present*. Paris: E. Leroux.

Pantelić, Bratislav. 1997. "Nationalism and Architecture: the Creation of a National Style in Serbian Architecture and its Political Implications". *Journal of the Society of Architectural Historians* 56. no 1 (March): 16-41.

Petrowicz, Grzegorz. 1969. I Fratres Unitores nella Chiesa Armena. *Euntus Docete* XXII: 309-347.

Phillips, John Roland Seymour. 1998. *The Medeival Expansion of Europe*. Oxford: Clarendon Press.

Porter, Ker Robert. 1821. *Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylonia, etc. During the Years 1817, 1818, 1819, and 1820*. Vol. I. London: Longman, Hurst, Rees, Orme, and Brown.

Pugliese, Matteo. *Genoa and Abkhazia: two centaries of relations (1280-1475) colonies, trade, war and slaves*. https://www.academia.edu/11291871

Rogers, Michael. 2001. "The Theatine Mission to Georgia: Cristoforo Castelli as Painter and Reporter". *Oriental Art* 47, no. 5: 40-47.

Rottiers, Bernard. 1829. *Itinéraire de Tiflis a Constantinepole*. Bruxelles: Frechet Libraire.

Smith, Eli. 1833. *Researches of the Rev. E. Smith and Rev. H. G. O. Dwight in Armenia: Including a Journey through Asia Minor, and into Georgia and Persia*. Vol. I. Boston: Crocker and Brewster.

Stamatopoulos, Dimitrios. 2006. "From Millets to Minorities in the 19th-Century Ottoman Empire, an Ambiguous Modernization". In *Citizenship in Historical Perspective*. Steven G. Ellis, Gudmundur Hálfadanarson, and Ann Katherine Isaacs, eds., 253-273. Pisa: Edizioni Plus.

Suny, Roland Grigor. 2000. "Nationalities in the Russian Empire". *Russian Review* 59, no. 4: 487-492. http://www.jstor.org/stable/2679274 (09.04.2011 04:39)

The New Westminster Dictionary of Church History. 2008. Robert Benedetto. ed.

Vol. 1. Louisville, London: Westminster John Knox Press.

Tökmeci, Ebru Özeke. 2015. "A Catholic Church in an Islamic Capital. Historicism and Modernity in the St Antoine Church". In *Sacred Precincts the Religious Architecture of Non-Muslim Communities across the Islamic World*. Vol. 3. Mohammad Gharipour, ed., 219-239. Leiden, Boston: Brill.

Tournebize, Francois. 1920-1921. "Les Frères-Uniteurs ou Dominicains Armèniens". *Revue de l'Orient Chrétien*, troisième série, tome II, (XXII): 145-161; 249-279.

Wagner, Moritz. 1856. *Travels in Persia, Georgia, and Koordistan*. Vol. II. London: Hurst and Blackett Publishers.

Wharton, Alyson. 2015. "Identity and Style Armenian-Ottoman Churches in the Nineteenth Century". In *Sacred Precincts the Religious Architecture of Non-Muslim Communities across the Islamic World*. Vol. 3. Mohammad Gharipour, ed., 76-105. Leiden, Boston: Brill.

Zacour N. P. and H. W. Hazard. eds. 1985. "*A history of the Crusades", Vol. V: The Impact of the Crusades on the Near East*. Madison,Wisconsin: University of Wisconsin Press.

Zekiyan, Levon Boghos. 2000. "Armenians and the Vatican During Eighteen and Nineteenth Centuries: Mekhitar and the Armenian Catholic Patriarchate, the Challenge of Mekhitarian ECUMENISM and Latin-Roman Loyalty". *Het Christelijk Oosten* 52, no. 3-4: 251-267.

--------. 2003. "Simpatizzanti per la comunione romana". *Eukosmia: Studi miscellanei per il 75o di Vincenzo Poggi S. J.* A cura di Vincenzo Ruggieri e Luca Pieralli, 643-664. Soveria Mannelli: Rubbettino.

Zugger, Christopher Lawrence. 2001. *The Forgotten: Catholics of the Soviet Empire from Lenin Through Stalin*. New York: Syracuse University Press.

Анчабадзе, Зураб. 1959. *Из истории средневековой абхазий (VI-XVII вв.).* Сухуми: Абхазское государственное издательство.

Агумаа, Анзор. 2016. *Старый Сухум, Архитектура Сухума на рубеже XIX-XX вв.* Сухум: Абгосиздат.

Гнилосаров, Петр. 1858. "О царе Соломоне II и бывшем при нем управлении". *Кавказский Календарь на* 1859. Тифлис: Типография канцелярии наместника кавказскаго.

Жордания, Гиви и Зураб Гамезардашвили. 1994. *Римско-католическая миссия и Грузия*. Тбилиси: Изд-во ТГУ.

Загурский, Леонард. 1873. *Записки Кавказскаго Отдела Имнераторскаго Русскаго Географическаго Общества*. кн. VIII. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского.

Иосселиани, Платон. 1866. *Описание древностей города Тифлиса*. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского.

Кавказский календарь на 1885 год. 1884. Тифлис: Типография Канцелярий Главноначальствующего гражданской частью на Кавказе.

Кавказский календарь на 1896 год. 1895. Тифлис: Типографии Грузинского Издательского Товарищества и Мартиросянца.

Кухаренко, Богдан. 2009. "Военные капелланы в Тираспольской епархии". *Поляки в России: эпохи и судьбы*. Краснодар: Издательство "Парабеллум".

Марр, Николай. 1911. "Дневник поездки в Шавшию и Кларджию", Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра. *Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии.* кн.VII. С.-Петербург.

Мачавариани, Константин. 1897. "Город Артвин". *Сборник Материалов для описнаия Местностей и Племен Кавказа*. выпуск двадцать второй. Тифлис: Типография Канцелярий Главноначальствующего гражданской частью на Кавказе, К. Козловскаго и А. Федорова.

Москвич, Григорий. 1902. *Иллюстрированный практический путеводитель по Кавказу*. Одесса: типография Л. Нитче.

Орманян, Магакия. 1913. *Армянская церковь: ее история, учение, управление, внутренний строй, литургия, литература, ее настоящее*. Пер. с франц. Б. Рунт. Москва: Издание А. М. Будагова.

Секерски, Конрад. 2016. "«Промежуточная церковь»: армянские католики в Армении и Грузии в постсоветское время". *Государство, религия, церковь в России и за рубежом* 2: 310-330.

Сумбадзе, Лонгиноз. 1984. *Архитектура грузинского народного жилища дарбази*. Тбилиси: Мецниереба.

Такаишвили, Евфимий. 1909. “Христианские памиятники, Экскурсия 1902 года”. *Материалы по археологии Кавказа*, вып. XII. Под редакций графини Уваровой. Москва: Типография Г. Лисснера и Д. Собко.

Уварова Прасковья. 1891. *Путевые записки. Кавказ: Аджария, Шавшетия, Посховский участок*. ч. II. Москва: Т-во скоропеч. А. Левенсон.

Ушаков Николай. 1836. *История военных действии в Азиатской Турции в 1828 и 1829 годах*. часть первая. Санкт-Петербург: Типографии Эдуарда Праца и Ко.

--------. 1894. Христианские памятники, *Материалы по Археологии Кавказа,* вып. IV. Москва: товарищество типографии А. И. Мамонтова.

Френкель, Александр. 1879. *Очерки Чурук-су и Батума*. Тифлис: Типография А. А. Михельсона.

Чаплицкий, Бронислав. *История Католической Церкви в России*. http://krotov.info/libr_min/24_ch/ap/lizky_01.html

Чхетия, Шота. 1942. *Тбилиси в XIX Столетии*. Тбилиси: Академия наук Грузинской ССР.